დავით კლდიაშვილი

თხზულებანი

მოთხრობები, პიესები, მემუარები, მიმოწერა,
მოგონებები დ. კლდიაშვილზე

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1989

84Гр1—4
Ф 588

შეადგინა და განმარტებები დაურთო ბ ი ვ ი ბ ო ჯ ბ უ ა ბ

მხატვარი ზ უ რ ა ბ ლ ე ქ ვ ა ვ ა

4Е01000000023
К————————184—88
М—602(08)—87

ISBN 5—505—00413—X

© გამომცემლობა „განათლება", 1988.

შემდგენლისგან

ამ კრებულის შედგენა დაემთხვა პირველი საბჭოთა სახალხო მწერლის დავით კლდიაშვილის (1862—1931) დაბადების 125 წლისთავს. ამდენად, იგი შეიძლება ჩაითვალოს საიუბილეო საჩუქრად მოსწავლე ახალგაზრდების, მათი მასწავლებლებისა და მშობლებისათვის.

დ. კლდიაშვილის თხზულებანი ქართულ ენაზე ხშირად გამოცემულა ცალკეული ნაწარმოებების, კრებულების, ორტომეულების სახით და მათ კარგად იცნობს ფართო მკითხველი საზოგადოება. რაც შეეხება გამოცემებს „სასკოლო ბიბლიოთეკის“ და „მოსწავლის ბიბლიოთეკის“ სერიებით, ე. ი. უშუალოდ მოსწავლეთათვის განკუთვნილ კრებულებს, აქ შედარებით სიმწირეა. ორივე ზემოხსენებული სერიით დ. კლდიაშვილის თხზულებანი მხოლოდ ხუთჯერ გამოვიდა 1928—1965 წლებში.

თითქმის მეოთხედი საუკუნეა, რაც დ. კლდიაშვილის ნაწარმოებები არ გამოსულა საგანგებო რუბრიკით მოსწავლეთათვის. თანაც, უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული სერიებით იგივე ნაწარმოებები ისტამბებოდა, რომლებიც შეტანილი იყო სასწავლო პროგრამაში და, შესაბამისად, ამა თუ იმ კლასის სახელმძღვანელოში. ამ გამოცემებში ნაკლებად გვხვდება აუცილებელი სათანადო განმარტებები და შენიშვნები. ისინი ასევე მოკლებულია ლექსიკონსა და სხვა აპარატურასა თუ საინტერესო მასალებს (მწერლის პირადი ცხოვრების ამსახველი პასაჟები, მოგონებანი და ა. შ.). არადა, ამ მხრივ უხვი მასალა მოგვეპოვება.

პირველი, ვინც სასკოლო სახელმძღვანელოში შეიტანა დ. კლდიაშვილის ნაწარმოები, იყო გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, მწერალი ივანე გომელაური (1867—1951). მან 1906 წელს გამოსცა სახელმძღვანელო (ივ. გომელაურის მკვლევარ ვარლამ ქაჯაიას თქმით — ლიტერატურული ქრესტომათია, საკითხავი წიგნი) სახელწოდებით „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები“, რომელმაც ორ

ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გაუწია სამსახური ქართულ სკოლას, მათ შორის, საბჭოთა პერიოდშიც.

ამ ქრესტომათიის პირველ გამოცემაში, რომელშიც მოთავსებული იყო ილია ჭავჭავაძის, ნიკ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, შიო არაგვისპირელის, ეკატერინე გაბაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, ირიდიონ ევდოშვილის, ლალიონის (არსენ მამულაიშვილი) რჩეული ნაწარმოებები, ივ. გომართელმა შეიტანა დ. კლდიაშვილის „შერისხვა". ივ. გომართელი სახელმძღვანელოს 1924 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „ამ წიგნში თავი მოვუყარე ისეთ მასალას, რითაც, ჩემის აზრით, უნდა იწყებოდეს ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის, ცოტად თუ ბევრად, საფუძვლიანი შესწავლა სკოლებში". და, აი, ასეთ მასალად მიიჩნია მან დ. კლდიაშვილის მოთხრობა „შერისხვა".

„სასკოლო ბიბლიოთეკის" სერიით პირველად 1928 წელს გამოსცა „სახელგამმა" დ. კლდიაშვილის ცნობილი მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი" (ტირაჟი 7.000); ხუთი წლის შემდეგ (1933) იმავე „სახელგამმა" (მისმა სასწავლო-პედაგოგიურმა სექტორმა) გაიმეორა „სამანიშვილის დედინაცვლის" გამოცემა (ტირაჟი 3. 000); „სასკოლო ბიბლიოთეკის" მესამე და უკანასკნელი გამოცემა იყო დ. კლდიაშვილის „მოთხრობები" („სახელგამი", 1937), რომელშიც შეეიდა სამი მოთხრობა: „სოლომან მორბელაძე", „სამანიშვილის დედინაცვალი" და „ქამუშაძის გაჭირვება". ამჯერად ყველა მოთხრობას სქოლიოს სახით ჰქონდა სიტყვების ახსნა და კომენტარები. ტექსტი მოამზადა და კომენტარები დაურთო მწერლის ვაჟაშვილმა ს. კლდიაშვილმა. წიგნის რედაქტორი იყო პროფ. ვ. ბერიძე.

შემდგომი ორი გამოცემა გამოვიდა „მოსწავლის ბიბლიოთეკის" სერიით. პირველი 1959 წელს — „მოთხრობები" („შერისხვა", „სოლომან მორბელაძე", „სამანიშვილის დედინაცვალი", „ქამუშაძის გაჭირვება"). იგი გამოსცა სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნამ" და განკუთვნილი იყო X კლასის მოსწავლეთათვის (რედაქტორი ე. პოლოლიკაშვილი, ტირაჟი 25.000). კრებულს ახლავს პროფ. ს. ჭილაიას შესავალი წერილი „დავით კლდია-

შეილი“, შენიშვნები (ნაწარმოებთა დაწერის ან გამოქვეყნების თარიღის შესახებ) და სიტყვების ახსნა სქოლიოში. ბოლო გამოცემა („განათლება“, 1965) იყო „მოთხრობები“ („სოლომან მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება““, „დარისპანის გასაჭირი“). თუმცა კრებულს „მოთხრობები“ ჰქვია, მაგრამ მასში მოთავსებულია პიესაც (რედაქტორი ა. ბაჩიძე, ტირაჟი 20.000). მოთხრობებს სქოლიოში ახლავს სიტყვების ახსნა.

წინამდებარე კრებული საგრძნობლად განსხვავდება მისი ყველა წინამორბედისაგან. აქ, უპირველეს ყოვლისა, გაფართოებული და გამრავალფეროვანებულია თემატიკა. მოთხრობების გარდა, „თხზულებებში“ შეტანილია დ. კლდიაშვილის სამივე პიესა, ნაწყვეტები მისი მემუარებიდან „ჩემი ცხოვრების გზაზე“, მწერლის მიმოწერა, საიუბილეო მასალები, მოგონებები დ. კლდიაშვილზე. დაცულია წესი, რომლის მიხედვითაც კრებულში არ შეეიდა ის ნაწარმოებები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სახელმძღვანელოებშია დასტამბული. სამაგიეროდ, მთლიანად მოტანილია VI, VII და X კლასებში გათვალისწინებული ყველა კლასგარეშე საკითხავი ნაწარმოები („ბაკულას ღორები“, „მიქელა“, „შერისხვა“, „დარისპანის გასაჭირი“). ამჟამად მოქმედი პროგრამის მიხედვით სკოლაში ისწავლება დ. კლდიაშვილის მხოლოდ სამი მოთხრობა: „სოლომან მორბელაძე“ (VII კლასში); „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „ქამუშაძის გაჭირვება“ (X კლასში), ამიტომ ისინი არ შეეიდა წინამდებარე კრებულში.

დ. კლდიაშვილის ეს „თხზულებები“ შედგება ხუთი განყოფილებისგან.

I განყოფილებაში შეტანილია მწერლის ცხრა მოთხრობა („შერისხვა“, „მსხვერპლი“, „წრფელი გული“, „მრეველში“, „მიქელა“, „როსტომ მანველიძე“, „თავადი პეტრე“, „მშობლის ნუგეში“, „ბაკულას ღორები“).

II განყოფილებაში მოთავსებულია დ. კლდიაშვილის სამივე პიესა („ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“, „უბედურება“).

III განყოფილებაში წარმოდგენილია ნაწყვეტები დაბეჭდილი მემუარებიდან „ჩემი ცხოვრების გზაზე“, რომლითაც, შრავ

სხვა საინტერესო მასალასთან ერთად, ვეცნობით ილია ჭავ-ჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის, ივანე მაჩაბლის, ნიკო ლომოურის, გრიგოლ რობაქიძის, კიტა აბაშიძის, ივანე ჯავახიშვილის, ლადო მესხიშვილის და სხვათა ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეულ მომენტებს; ქართული კულტურის მნიშვნელოვან საკითხებს. კრებულში მთლიანად შევიდა მოგონების ბოლო, მეთორმეტე თავი, ვინაიდან იგი უშუალოდ ეხება დ. კლდიაშვილის ლიტერატურულ შემოქმედებას.

IV განყოფილება მოიცავს დ. კლდიაშვილის პირად წერილებს ალ. ყაზბეგის, ოჯახის წევრებისა და საზოგადო მოღვაწეებისადმი; მწერლის ხელნაწერებს, გამონათქვამებს, შეხედულებებს; აქვეა მწერლის იუბილეებთან (1920, 1930) დაკავშირებული მასალები.

V განყოფილებაში შევიდა თ. სახოკიას, ვ. გორგაძისა და ს. კლდიაშვილის მოგონებები დავით კლდიაშვილზე.

IV და V განყოფილებათა მასალები მთლიანად საარქივოა (გარდა ს. კლდიაშვილის მოგონებისა) და მოპოვებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში.

დ. კლდიაშვილის ამ „თხზულებათა" შედგენისას გულდასმით გადავათვალიერე თითქმის ყველა გამოცემა მწერლის წიგნებისა დაწყებული 1901-დან 1987 წლამდე, მაგრამ ძირითადად გამოვიყენე 1932, 1952, 1955, 1961, 1980—1981 წლების გამოცემანი (მემუარები; თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ. I, ტ. II; „შერისხვა", „მსხვერპლი"; ერთტომეული; თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, ტ. II); აგრეთვე, ს. კლდიაშვილის თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად, ტ. 3 (1975). ამ წიგნებიდან გადმობეჭდილ მასალებში მკაცრადაა დაცული ნაწარმოებთა ქრონოლოგია. შემდგენლის მიერ შემცირებული ადგილები აღნიშნულია ნიშნით [...].

განმარტებებისათვის ძირითადად გამოვიყენე: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I—VIII; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული); ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I—XI; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა (ერთტომეული); ქ. ძოწენიძის ზემოიმერული

ლექსიკონი; უცხო სიტყვათა ლექსიკონი; ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის — ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, 1961; ალ. ნეიმანის ქართულ სინონიმთა ლექსიკონი; ალ. ონიანის ქართული იდიომები; თვით დ. კლდიაშვილის თხზულებათა ორტომეულზე დართული ლექსიკონები (მიხ. ალავიძისა), აგრეთვე სქოლიოები და სხვ.

განმარტებებში ასახსნელი სიტყვები, ფრაზები თუ წინადადებები ტექსტში აღნიშნულია ვარსკვლავით (*) და განმარტებულია გარყოფილებებისა და ნაწარმოებთა სათაურების მიხედვით.

„სასკოლო ბიბლიოთეკის" სერიით გამოსულ დ. კლდიაშვილის ამ თხზულებათა კრებულში მოთავსებული მასალები, განსაკუთრებით საარქივო და მწერლის მემუარები, ვფიქრობ, მიმზიდველი იქნება ახალგაზრდობისთვის და, პროგრამულ მასალასთან ერთად, კიდეე უფრო გაუღვივებს მათ გამოჩენილი მწერლის შემოქმედებისადმი ინტერესს. აკი დიდი გალაკტიონიც წერდა: „როდესაც ხელში ვიღებ დავით კლდიაშვილის წიგნს, არ შეიძლება არ გავიფიქრო: აი, კლდიაშვილი, განუმეორებლად მეტყველი, თავისებური კოლორიტით მწერალი... რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა მსოფლიო ლიტერატურაში სოლომან მორბელაძე. ვერც ერთი მწერალი ვერ მოისაზრებდა გამოესახა ბეკინა, და ერთადერთი მთელ შავიზღვისპირზე დარისპანი, რომელიც მოგზაურობს თავისი ურყევი მიზნით... რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა კაროჟნა, მშვენიერზე მშვენიერი კაროჟნა"...

* *

ქართველი კლასიკოსების თხზულებათა გამოცემა „სასკოლო ბიბლიოთეკის" სერიით თანდათან პოპულარული ხდება. მისი სახით მოსწავლე ახალგაზრდობას ფართო საშუალება ეძლევა მეტი სიღრმით ჩასწვდეს მშობლიური ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშებს. საინტერესოა, რომ ამ სერიით გამოცემული წიგნები, ფაქტობრივად, ამა თუ იმ მწერლის რჩე-

ული მხატვრული ნაწარმოებების კრებულია (ცხადია, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულთა გარდა), ხოლო მისი უშუალო ადრესატი — მრავალათასიანი მოსწავლე ახალგაზრდობა.

„სასკოლო ბიბლიოთეკის" სერიით გამოსული კრებულები უდავოდ საინტერესო საკითხავი წიგნებია, რომლებშიც, გარდა საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებებისა, შეტანილია მწერლის პუბლიცისტური წერილები, საჯარო გამოსვლები, მოგონებები, მიმოწერა, იუბილეებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენები, ნაკლებად ცნობილი ეპიზოდები ცხოვრებიდან, მათი ურთიერთობა ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან, გამონათქვამები მათ შესახებ და სხვა, ხშირად საკმაოდაა მოხმობილი საარქივო მასალაც, ე. ი. ყველაფერი ის, რაც უფრო დააახლოებს ახალგაზრდას ხელოვნის შემოქმედებასთან. თითოეულ წიგნს ერთვის გარკვეული აპარატურა შესავალი წერილის, განმარტებებისა თუ ლექსიკონის სახით.

გამომცემლობა „განათლებამ" ამ ბოლო წლებში ზედიზედ გამოსცა რამდენიმე კრებული ზემოხსენებული სერიით. მათ შორისაა იაკობ ხუცესის, გიორგი მერჩულეს, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, კ. ლორთქიფანიძის თხზულებანი: გარდა დ. კლდიაშვილისა, წელსვე გამოვა ამავე სერიით აკაკი წერეთლისა და ეგნატე ნინოშვილის თხზულებანი. ხოლო მომდევნო წლებში — ძველი ქართული მწერლობის წარმომადგენლების, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა გამოჩენილ საბჭოთა პოეტთა და პროზაიკოსთა საუკეთესო ნაწარმოებები.

„სასკოლო ბიბლიოთეკა" მხოლოდ ქართული ლიტერატურით რიდი იზღუდება. ამ სერიით გამოდის აგრეთვე რუსული და საზღვარგარეთის კლასიკა, რომელსაც გატაცებით კითხულობს თანამედროვე ახალგაზრდობა.

მოთხრობები



შერისხვა

კვირა დღე იყო. ის-ის იყო სოფლის ეკლესიაზე წირვაც* გათავდა. სალოცავად მოსული ხალხი ეკლესიის გალავანში გაიფანტა, ჯგუფ-ჯგუფად დაიყო და შეიქნა ჩვეულებრივი სჯა-მუსაიფი სოფლელებს შორის. ერთ ადგილას რამდენიმე კაცი გულმოდგინებით ყურს უგდებდა რაღაც მხიარულ ამბავს, რომელსაც მოუთხრობდა ახალგაზრდა გლეხი.

— შე კაცო, შენ ერთობ მუსაიფში ხარ და კაცია საგუნა-შვილმა ეს არის წმიდა გიორგიზე გადაგცა!* — უთხრა მოამბეს* ხანში შესულმა გლეხმა, რომელიც ის-იყო მიუახლოვდა მხიარულად მოლაპარაკე ჯგუფს.

— რას ამბობ, გიორგი? — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— მართალს ამბობ, კაცო? — თავზარდაცემულმა წაილუღ-ლუღა იმან, ვისაც მიუტანეს ხატზე გადაცემის* არასასიამოვ-ნო ამბავი.

— მართალს გეუბნები, შვილო, მა რა, გეხუმრები?.. რა სახუმაროა, შენ თვითონ თქვი! — მიუგო გიორგიმ.

ანდრია, ახალგაზრდა გლეხი, ეკლესიისაკენ გაიქცა და ერთ წამში კარებთან გაჩნდა. თითქმის იმავე დროს გამოჩნდა კა-

ციაც, რომელიც ხელზე ბოხოხის* ბერტყით ეკლესიიდან გამოდიოდა.

— ხატზე გადამეცი, მართლა, კაცია? — შესძახა ანდრიამ.

— მა რა გეგონა?! — უპასუხა კაციამ.

— რა დაგიშავე, კაცია? ეს გამაგებინე, რა დაგიშავე, რომ ასე ამომიჩემე... რომ აღარაფრით მზოგავ?.. თქვი მაინც, შე კაი კაცო... ამ ხალხს მაინც კარგად გააგებინე... ამათ გაჰსაჯოს, თუ რამეში მტყუანი ვარ შენთან!

— მაგათზე უკეთეს მოსამართლეს მიგეცი... ღმერთს, თვითონ ღმერთს და მასთან მყოფ წმინდანს გასცემ, შვილოსა, პასუხს!.. მე რაღას მედუდღუნები!.. ბევრი გეხვეწეთ, შენც და სხვასაც, მარა არაფერი საქმე გამეწყო* თქვენთან... შენ არ ააგულიანე სხვები?.. ორი ტკაველა მიწა მქონდა, იმასაც აღარ მიყენებთ!.. მე, ჩემო ვაებატონო, ჩემს თავს არავის დავაჩაგვრინებ... რა გზითაც იქნება, ჩემზე მოღერებულ ხელს ჰისივე პატრონს მოვახვედრებ... შენ ჩემთან აწი აღარაფერი სალაპარაკო აღარა გაქვს... წმ. გიორგის გაეცი პასუხი!..

— შენ გგონია, წმ. გიორგი მარტო შენს სიტყვაზე გეიარს? — გულმოსულად უთხრა ანდრიამ.

— მაგასაც შენი თვალებითვე დეინახავ!.. — და ამ სიტყვისთანავე კაციამ კიდევ დაიბერტყა ქუდი ხელზე, დაიხურა თავზე და მაღალი, მსხვილი ჯოხით ხელში, გარშემო მოგროვილ ხალხს გაშორდა.

მოხუცებული კაცია დარწმუნებული იყო, რომ ანდრიას თავზე ღვთის რისხვას* მოიყვანდა... მისი სახის გამომეტყველება, რომელიც ისე აშკარად, ნათლად გეუბნებოდათ, რომ ამ კაცის დამორჩილება ადვილი არ არისო, რომ ის თავის შეურაცხყოფას არავის შეარჩენს, ვინც უნდა იყოსო, — მისი სახის გამომეტყველება ახლა თითქო გეუბნებოდათ: ეჭვი არა მაქვს, რომ წმ. გიორგი დასჯის ანდრიასო. ამიტომ ისე დინჯად გაბრუნდა ის მოშორებით, საფლავის ქვაზე მჯდარი გლეხებისკენ.

ყაბალახმოგლეჯილი ანდრია კი ისევ იმავე ადგილას, ეკლესიის კარებთან, იდგა და გაჯრს შემოხვეულ გლეხებს ცხარედ შესჩიოდა:

— ჩემგან რა უნდა, რომ ვერ გავიგე?! მე რას მერჩის,

რას ჩამცივებია, — ეს რომ ვიცოდე, სხვა არაფერი მინდა!.. ჩემ გარდა სხვა რამდენია, რომ არ მოაშლევინეს ის ამოსაგდები გზა... რაღა მე ამომარჩია წმ. გიორგიზე გადასაცემად?!

— ეგ არ ვიცი კარგად, შენ რა ბრალს გდებს კაცია და უსამართლოდ რომ ირჯებით მთელი კუთხე, ეს კი ცხადია! — წამოიძახა ერთმა გლეხმა.

— რატომ, შე კაცო? უსამართლოდ რით ვირჯებით? — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— რატომ არ ანებებთ მაგ კაცს მის ადგილს?.. მე არ მოვკვდე, მეც არავის მოვუთმენდი, მაგისთანა რამე რომ ექნათ ჩემთვის... რას მეუბნები?! მე და ჩემმა ღმერთმა, ერთიორი კაცი მაინც შემომაკვდებოდა იქვე!.. ბიჭო, უწინ გზა სადაც გქონიათ, იმაზე იარეთ... აბა, კაცს ადგილი ვეღარ გაუშვია, ადგილი ვეღარ დაუსვენებია! — ცხარობდა გლეხი.

— სადაა ეს ძველი გზა, აბა რას ამბობ, კირილე? მე პატარა ვიყავი, რომ იმაზე აღარავინ დადიოდა... ახლა ყანაშია შეტანილი!.. ვინ განახვებს თვალით და, ამასთანავე ის ძველი გზა სულ აღარ ვარგა. არ გინახავს თუ? — სხაპასხუპით და გაჯავრებით თქვა ანდრიამ.

— ამიტომ კაციას ძალით ართმევდი ადგილს? კარგია შენმა ვაზდამ! — მიაძახა კირილემ.

— ძალით ვინ ართმევს, შე კაცო! მაგას რატომ კადრულობ? — მოისმა ზოგიერთების ხმა.

— ძალითაა, აბა რა, ვინ შეეხვეწა? თავიდან ძალის დატანება მოუნდომეთ... კაცი გაახელეთ და ახლა აღარ უნდა თავი დაგაჯაბნებინოსთ! ასე მოგექცეოდათ, აბა რავა გეგონათ? — არ წყნარდებოდა კირილე.

— შე დალოცვილო, საქმე სასამართლოში იყო და იქაც გადასწყვიტეს აგრე, რომ გზა კაციას ადგილზე დარჩენილიყო... ჯიუტია მაგ დალოცვილი, სხვა არაფერი! — წამოიძახა ერთმა მოხუცებულმა გლეხმა.

— მე კი მაინც ჩემსას ვიტყვი, — რატომ ამომიღო თვალში? მე, მე რად გადამცა ხატზე? გასაკვირველია, ღმერთმანი! — მხრების აწევით თქვა ანდრიამ.

— ეჰ, შენც კიდევ!.. რა გაწუხებს?! მაგნაირ უსაფუძვლო

გადაცემას ძალაც არა აქვს! — თანაგრძნობით უთხრა ანდრიას ერთმა იქ მყოფთაგანმა.

— დიახ, ეგ მართალია, ბერიკო, მაგრამ მაინც გეწყინება, რაზე უნდა წაგაყენოს ხატთან ტყუილაუბრალოდ კაცმა? — მიუგო მას ანდრიამ.

საქმე იმაში იყო, რომ კარგა ხანმა გაიარა მას აქეთ, რაც კაცია საგუნაშვილმა ერთი თავისი საყანე ადგილი შესასვენებლად გაუშვა და აღარ დაუმუშავებია, ღობეც აღარ გაუყოლებია მის გარშემო, — ადგილი მოღალული იყო, თითქმის არაფერს იძლეოდა. სოფლელებმა ამ შემთხვევით ისარგებლეს და შესვენებულ ადგილზე სიარული დაიწყეს, რადგანაც ამ ახალი გზით ერთობ ემარჯვებოდათ სიარული მახლობლად მდებარე ბაზრიან დაბაში და საყანეებზედაც. ძველი გზა, რომელიც სრულიად წამხდარი იყო, მიივიწყეს და მის შეკეთებას აღარავინ დაეძებდა. ამით ისარგებლეს იმ ძველი გზის მახლობლად საყანე ადგილების პატრონებმა და მოსპეს გზა. ეგ იმათთვის მეტად საჭირო იყო, რადგანაც გაფუჭებული გზის თიხნარი ნაპირები ნელ-ნელა ინგრეოდა და ამით ფუჭდებოდა საყანეებიც. დროთა განმავლობაში ეს ძველი გზა ყველამ დაივიწყა, მით უფრო, რომ კაციას ადგილზე სიარულის დამშლელი არავინ იყო. კაცია, თავის მხრივ, დარწმუნებული იყო, რომ, როცა კი მოინდომებდა, ყოველთვის შეჰკრავდა თავის ადგილს. მაგრამ ბოლოს სულ სხვა გამოდგა. როცა კაციამ ერთ დღეს მოინდომა გაშვებული საყანის შემოღობვა, მეზობლებმა მოითხოვეს ერთი ნაწილი გზად დაეტოვებინა. კაცია ავარდ-დავარდა ამაზე, ყური არავის ათხოვა, ღობვა დაიწყო, მაგრამ ღობე ისევ მოურღვიეს. კაციამ დაიწყო მუქარა, მოვკლავ ვისმე იმ ჩემს ადგილზედაო, მაგრამ მაინც არავინ შეეპუა, მით უფრო, რომ ყველასათვის ეგ იყო ერთადერთი გზა. საქმე სოფლის სასამართლომდის მივიდა. მოსამართლენი მოვიდნენ, დაათვალიერეს ის ადგილი, სადაც ძველი გზა მიდიოდა, ეს ახალი სადაო გზაც, და გადასწყვიტეს: რადგანაც ძველი გზა მეტისმეტად გაფუჭებულია და მისი შეკეთება ყოვლად შეუძლებელია, ამის გამო კაციას ადგილს უნდა ჩამოსჭროდა ერთი ნაწილი ახალი გზისთვის. კაციასთან ერთად ერთმეოდა ცოტა მიწა მის მეზობელ ერთ გლეხსაც.

ეს უკანასკნელი ადვილად დაითანხმეს, კაცია კი ვერაფრით ვერ დააწყნარეს, ვერ ჩააგონეს, რომ უნდა დაეთმო ის ცოტაოდენი მიწა სოფლისათვის.

— ღვთით, არაფერი გიჭირს, სხვა ადგილებიც გაქვს. ბევრი-ბევრი, ორი ბათმანი* მოვიდეს ამ ჩამონაჭერზე... უნდა დაუთმო სოფელს, აბა რა ქნას სოფელმა? — ეუბნებოდნენ კაციას.

— ძველ გზაზე იარონ!

— რომ აღარ შეიძლება იმ გზით სიარული, შე კაცო, ვანა შენ თვითონ არ იცი!..

— მერე მე რა?.. სადაც გინდათ, იქ გააკეთეთ ახალი გზა... მე კი ჩემსას არავის დავანებებ... დავუთმო სოფელს ჩემი ადგილი და მე მშიერი დავრჩე?.. — გაჯავრებით ამბობდა კაცია.

— შე კაცო, აქამდის ასე იოლად რჩებოდი* ამ ადგილით, ახლა დაგამძიმებს და მშიერს დაგარჩენს ორი ტკაველა მიწის ჩამოჭრა? მერე საზოგადოებისათვის!.. — უთხრა ანდრიამ, რომელიც სოფლის ერთი მოსამართლეთაგანი იყო.

— საზოგადოებისათვის კი არა, ის კიდევ!.. — მითქვამს — არ დაგითმობთ... მორჩა, გათავდა... სოფელ[illegible] ფეხებზე მკიდია! — გაჯავრებით წამოიძახა კაციამ.

— სასამართლოს განაჩენი რომ შესდგა, მეტი რა გზა გაქვს არ დაუმორჩილდე!.. — უთხრა მეორე მოსამართლემ, რომელიც მოთმინებიდან გამოიყვანა კაციას ჯიუტობამ.

— გლახა ანთიმოზა გგონივართ მე, რომ თქვენ წინაშე იმასავით თავს მოვიხრი?.. დიახ!.. მიროი სუდში* ვიჩივლებ... თუ საჭირო იქნება, ოკრუჟნი სუდშიაც* გიახლებით... იმას ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ ჩემი თაკი დაგაჯაბნებიოთ!

— ტყუილად გაირჯები, ჩემო კაცია. ამ საქმეს სხვაგან არსად არ მიიღებენ გასარჩევად, არც მიროი სუდი და არც ოკრუჟნი, — უთხრა ანდრიამ.

— თუ არ მიიღებენ, მე სხვა გზასაც მოვნახავ, სადაც პასუხს აგებთ თქვენი უსამართლობისათვის... კი მიგაცემიებთ პასუხს, სადაც იქნება!.. ნამეტურ* შენ, ვაჟბატონო! შენ რომ დიდი მოქალაქე ბრძანდები! — მიუბრუნდა კაცია ანდრიას: — შენ შეგაწევ* ჩემს დაჯაბნებას, გგონია?.. მოგიკვდეს მაშინ კაცია, შენი წიხლი დამკარი.. კაცია არ ვიქნები, თუ შენი და-

ბედნიერების დღე შენვე არ გაწყევლინე! — ყვიროდა ძალზე გაჯავრებული კაცია. — ახლა კი, რაც გინდათ, ის ქენით! — და განრისხებული ჩქარი ნაბიჯით თავის სახლისკენ გასწია.

— რა უნდა ელაპარაკო ამისთანა კაცს? — მხრების აწევით თქვა ანდრიამ და თან თვალები გააყოლა კაციას, რომელიც კიდევ მოჩანდა ორღობეში მიმავალი.

კაციამ აასრულა თავისი სიტყვა, აღარც თავი დაიზოგა, აღარც თავის მოხუცებულობას მოერიდა, — ბევრი იწანწალა, ორიოდე ადვოკატთანაც იყო ძღვენით, მაგრამ ვერაფერი ვერა გააწყო რა. ანდრიას სიტყვა მართალი გამოდგა და ეს უფრო გულს უკლავდა მოხუცებულს.

აენთო კაცია. ის ჰგავდა მხეცს, რომელიც არა ლონისძიებას არ დაერიდებოდა, ოღონდ კი რითიმე თავისი ჯავრი ამოეყარა, განსაკუთრებით იმ გაიძვერა, მოტიკტიკე ანდრიაზე, რომელიც თავი და ბოლო იყო სოფლის მოსამართლეებს შორის. კაციას ერთი გზაღა დარჩა თავის შემავიწროვებელთა მოთავის დასასჯელად და კიდევაც გადაწყვიტა, მიემართნა ხატისათვის. გადაწყვეტილება აღსრულებაში მოიყვანა და კიდევაც ჩაუგდო ხატს ხელში, — გადასცა წმ. გიორგის ხატზე ანდრია. სადღა წაუვიჯოდა წმ. გიორგის ანდრია? ეჭვი არ უნდოდა, წმიდა გიორგი უსათუოდ დასჯიდა ანდრიასაც და მასთან მის უკულმართ მოსამართლე ამხანაგებსაც, — ეს მტკიცედ სწამდა კაციას.

ამ დღიდან კაცია გულდამშვიდებული ელოდა წმიდა გიორგისაგან ანდრიას და მის ამყოლთა საჯაროდ დასჯას.

— დამაცათ, შვილებო, ისევ თქვენვე შემეხვეწებით ადგილი ჩავიბარო, როცა ჩემი გამჩენი შაგ დღეს დაგაყენებსთ!.. ვეღარსად იჩივლებო!.. აბა ვნახოთ!.. ღმერთიც დაივიწყეთ?! ვითომ იმას ამა სოფლის აღარაფერი ეყურება?! ჰაი გიდი, რანაირი ხალხი იზრდება?! — ხშირად იმეორებდა კაცია.

დრო და ხანი გადიოდა, მაგრამ წმიდანის რისხვის ნიშნები კი არსად ჩანდა. კაციას მოუთმენლობა დაეტყო. ნეტა რად ატარებს წმ. გიორგი ამდენს ხანს უვნებლად ანდრიას და არაფრით არ იჩენს იმაზე თავის სასწაულს?! ამ მოუთმენლობას ის უფრო უმატებდა, რომ ამ ბოლო დროს ანდრიასაც მეტი რაღაც მბიარულება ემჩნეოდა, იგი უფრო გათამამდა და,

როგორც სხვები ეუბნებოდნენ კაცას, ვითომ არაფრად აგდებ-და კაციასაგან ხატზე გადაცემას. პირველ ხანებში, მართალ-ანდრია შეშინდა, თუმცა თავისი სიმართლის იმედი ჰქონდა; ორჯერ ძღვენიც მიართვა წმინდანს, მაგრამ მერე, როცა გაია-რა ხანმა და იმის ცხოვრებაში ისეთი არა მომხდარა რა, დაი-მედდა და სრულიად მიივიწყა, რომ კაციასაგან გადაცემული იყო.

კაცია სულ ერთიანად აამღვრია ანდრიას ამგვარმა უდარ-დელმა ყოფაქცევამ. ახლა ის გუნებაში წმ. გიორგისაც ემღუ-როდა შეგვიანებისათვის. ბერმა კაცმა იმ ზომამდისაც მიალ-წია, რომ ხმამაღლა დაუწყო წმიდანს მდურება.

— განა დღესავით ნათელი საქმე არაა!.. გამოძიება ეჭვ-რება? კიდევ თუ?!

— რატომ ხარ, შე უბედურო, მაგდენად უგუნური, რომ წმ. გიორგის უსწორებ სამართალს?! სულწასულობაა ეგ, მე-ტი არაფერი... გაჩუმდი, შენთვის იყავი... წმ. გიორგიმ, — ეე-ხაცვალე მის ძლიერებას! — შენზე უკეთ იცის, როგორ უნდა მოიქცეს, ან ვინ როდის დასაჯოს... — შეუტია კაციას მისმა ცოლმა, მოხუცებულმა დოდომ.

— როდემდის ვუყურო?.. ვერა ხედავ, გათამამდა და გამ-ხიარულდა მტერი?.. ბაშ, სიავკაცე და ავაზაკობა ჯობნებია სიმართლეს?! საიდან გაიგოს კაცმა, რომელი სჯობია, თუ წმინდახიც ყურს არ მიაქცევს შევიწროებული ადამიანის თხოვნას და თავის დროზე არ დასჯის კაცის შემაწუხებელს?.. რას მეუბნები შენ! — ამბობდა გულმოსული კაცია.

— გაჩუმდი-მეთქი, გაჩუმდი, ხუ ჩეოჩეტობ უთავბოლოდ! ვის უჯავრდები, შე შეჩვენებულო? ვის ასწავლი, ვის ირიგებ ჭკუას?.. სრულიად შეიშალე, შე უბედურო, ამ ბოლო დროს... ალარაფრის გაგება ალარა გაქვს!..

— მომშორდი, დედაკაცო, თავიდან! — მიაყვირა კაციამ დოდოს და ფეხზე წამოვარდა: — მე შენზე უკეთ ვიცი ჩემი საქმე... როდის იყო ჩემთვის საჭირო დედაკაცის დარიგება? — მოჰკიდა ჯოხს ხელი და ეზოდან გავიდა.

მოხუცებული კაცია ახლა ანდრიასთან ერთად წმ. გიორ-გისაც ემდუროდა და ამ სამდურავს ხმამაღლა წარმოსთქვამ-და ხოლმე. ეკლესიაში რომ იდგა, ხშირად თვალმოუშორებ-

ლად და საყვედურით მისჩერებოდა წმიდა გიორგის ხატს, თითქოს უნდოდა ამით გაეგებინებინა წმიდანისათვის: „ნუთუ დაგავიწყდა, რასაც გთხოვდიო?!“

ვერაფერ საქმეს ხელს ვეღარ ჰკიდებდა, აღარაფერი აღარ ახსოვდა კაციას იმის მეტი, რომ ის დაექადნა ანდრიას, წმიდანის შემწეობით ჯავრს ამოვიყრიო, მაგრამ ვერც ეს აასრულა და თვით წმიდანმაც არავითარი ყურადღება არ მიაქცია მას.

დიდმა მარხვამ გაიარა. კაცია, რომელიც ყოველ წელიწადს ეზიარებოდა ხოლმე ამ დროს, წელს არ ზიარებულა. გათენდა აღდგომაც, მაგრამ იმის გულს ამ სამხიარულო დღესაც არ გაუხარია.

აპრილის მშვენიერი დილა იყო, აღდგომის მეორე დღე. ეკლესიაზე მრავალი ხალხი იყო თავმოყრილი. ჩვეულებისამებრ, დღეს ხატებით უნდა შემოევლოთ ეკლესიისათვის და მერე მღვდელს ხალხი უნდა დაელოცნა. წირვა გათავდა. ეკლესიიდან ხალხმა გამოსვლა იწყო.

— ყველა ხატებს გავყვეთ, ყველა! — დაიძახა ვიღაცამ.

— უთუოდ, უთუოდ!.. აბა რისთვის მოსულხართ... სეირს უყურეთ თუ? — დაუმატა მეორემ.

— უტიეთ, ყმაწვილებო, გზა მიეცით!.. რატომ იცით კარებში გაჩერება! — მიაყვირა ერთმა მოხუცებულმა გლეხმა რამდენსამე კაცს, რომელნიც ეკლესიის კარებთან შეჩერდნენ და ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავდნენ. — ვერ ხედავთ, ხატებს მოასვენებენ?

მართლაც, კარებში გამოჩნდა ხატებით ხელში რამდენიმე გლეხი, მათ უკან მოჰყვებოდა შემოსილი მღვდელი სასხურით მარჯვენა ხელში და ჯვრით მარცხენაში. მღვდელი თან ჯვარს სახავდა ხალხს და თან წმიდა აიაზმის წყალს ასხურებდა.

— ნუ გაჩერებულხართ, ყველა ხატებს გამოჰყევით... ეკლესიას შემოვუაროთ!.. კირილე, პეტრე, ვის უყურებთ?.. ეკლესიას შემოუარეთ! — უძახოდა მღვდელი ხალხს.

— კირიე-ლეი-სონ! კირიე-ლეი-სონ — გაიძახოდა იმდენი ხალხი და წყნარის ნაბიჯით მიჰყვებოდა უკან ხატებს. უკვე სამჯერ შემოუარეს ეკლესიას და შემდეგ ხატები გალავანში გაიტანეს და იქ დაასვენეს.

ხალხი გარს შემოეხვია მღვდელს. ამ უკანასკნელმა რამდენიმე ლოცვა წაიკითხა და ხალხს უბრძანა ხატების წინ მუხლთ მოიყარეთო.*

— წმიდაო გიორგი! — მიმართა მღვდელმა წმ. გიორგის ხატს, რომლის სახელიც ერქვა ამ ეკლესიას: — წმიდაო გიორგი! ყველა ესენი შენი ყმები არიან, შენი მმოსავნი. შენს მფარველობის ქვეშ მყოფნი, შენი მავედრებელნი და გეხვეწებიან მუხლმოდრეკილნი, რათა შეისმინო მათი ვედრება, ნუ მოაკლებ ამათ ნუგეშისცემას, წყალობას შენსას, განაშორე ყოველივე ბოროტი, განაძლიერე ამათში კეთილი, დათრგუნე ავი* და შთანერგე შიში და სასოება*... რათა ადიდონ სახელი შენი, ჩვენო მფარველო, ჩვენო სასოებავ, ჩვენო ბატონო უკუნითი უკუნისამდე!..*

— ამინ, ამინ! — ისმოდა ყოველი მხრიდან.

ჯერ კიდევ არა ჰქონდა მღვდელს გათავებული ვედრების* სიტყვა, რომ მოშორებით მდგარი კაცია საგუნაშვილი წამოიჭრა წინ, მისწი-მოსწია დაჩოქილი ხალხი და ერთ წამს წმ. გიორგის ხატთან გაჩნდა.

— ესმის ახლა ვითომ მაგას რამე?.. ძაღლი ვიყავი მე, ჩემი რომ არაფერი შეისმინა მაგან?! — საშინელი ხმით წამოიძახა აცახცახებულმა ბებერმა კაცმა.

ეს ისე სწრაფად, ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა, რომ ვერავინ მოასწრო მოხუცებულის შეჩერება. მღვდელი გაფითრებული, გონებადაკარგულივით მისჩერებოდა განრისხებულ მოხუცს.

— რას ამბობ, შე შეჩვენებულო?* — მიაძახეს აქეთ-იქიდან კაციას. ვიღაცამ ხელი ჰკრა; კაცია წაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა.

— კაცია, გაგიჟდი?

— ჭკუაზე შეიშალე? — უყვიროდნენ გარშემო.

— რა ქნა ამ შეჩვენებულმა!.. უმაგალითო საქმე არ ჩაიდინა?! — ამბობდნენ გაოცებული მაყურებელნი.

— რაო, რა თქვა? — კითხულობდნენ მოშორებით მდგომნი.

— წმ. გიორგის ხატი ჰგმო!.. — იყო პასუხი.

— კაცია საგუნაშვილმა ხატი ჰგმო!.. კაციამ ხატი ჰგმო! —

ისმოდა ყველგან და ამ ამბავმა ელვასავით შემოირბინა იქაურობა.

— რატომ ქნა მაგ შეჩვენებულმა ეგ ამბავი? — კითხულობდნენ ზოგიერთნი.

— ანდრია ჭურაშვილი ჰყავდა გადაცემული და რატომ წმ. გიორგიმ არ დასაჯაო!

— ვაი, გაგიჟებულა, ნამდვილ გაგიჟებულა ეგ უბედური! — ამბობდნენ და ყველას თვალი მიქცეული ჰქონდა ამ საკვირველი მოხუცისაკენ, რომელიც დინჯად, მაღალი ჯოხით ხელში, გალავნის ჭიშკრისაკენ მიდიოდა.

უეცრად ქალის საშინელმა კივილმა შესძრა იქაურობა.

— მომკალით!.. მომკალით!.. რა დღეს შევესწარი?.. მომკალით!.. ვაიმე, ვაიმე!.. რადა ვარ ცოცხალი, მე წაწყმედილი!! — კიოდა მოხუცებული დედაკაცი, რომელიც მორბოდა იმ მხრიდან, სადაც ქალები იდგნენ ცალკე. ეს იყო კაციას ცოლი დოდო.

— სადაა, სად ის შეჩვენებული?.. სად არის?.. თვალით დამანახეთ ერთი! — სასოწარკვეთილებით გაიძახოდა დოდო.

— ეგერ მიდის, დედავ, აი, ეგერ ჭიშკართან! — მიუთითეს კაციაზე.

დოდოს თითქოს დაავიწყდა თავისი მოხუცებულობა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაექანა კაციასაკენ.

— სად მიხვალ?.. სად ჯანდაბაში მიყავხარ ეშმაკს, შე წყეულო?! სად მიეთრევი... სად მიეთრევი, შე სამიწევ?! — მირბოდა და თან კიოდა დოდო.

ის იყო, კაციამ გალავნის ჭიშკრის კარი გააღო, რომ მას ქორივით დაეტაკა ცოლი, ჩააფრინდა ჩოხის კალთაში და უკან დასწია.

— სად ეშმაკებში მიხვალ?.. სად ჯანდაბაში მიხვალ?.. ახლავე დაბრუნდი!.. დაბრუნდი-მეთქი და ხატს შესთხოვე გაპატიოს!.. გესმის ჩემი თუ არა?.. — შესაზარი ხმით მიაყვირა კაციას დოდომ.

— იქით!.. მომშორდი! — ყრუდ წაილაპარაკა კაციამ და სცადა ჩოხის კალთა გაეთავისუფლებინა დოდოს ხელიდან.

— თავს გაგიხეთქ! დაბრუნდი, თვარა თავს გაგიხეთქ!.. დაბრუნდი, გეუბნები!.. ახლავე ბოდიში მოიხადე, შავდღეზე

გაჩენილო!.. გესმის ჩემი თუ არა შენ? — და დოდომ ერთი ძლავრად გამოსწია კაცია ჩოხის კალთა.

მოხუცებული კინაღამ წაიქცა, მაგრამ თავი შეიმაგრა, გულმოსულმა მოიქნია ჯოხი, რომელიც ისე მძიმედ მოხვდა დოდოს ხელებზე, რომ კინაღამ მაჯები დასწყვიტა. ქალმა სიმწარისაგან დაიკივლა და ჩოხის* კალთები ხელიდან გაუშვა.

— მომკალი, შე წყეულო!.. მომკალი! — დაიკვნესა დოდომ. ღვარივით გადმონადენმა ცრემლებმა თვალები აუვსო. გარეტიანებული მისჩერებოდა სახლისაკენ მიმავალ თავის უბედურ ქმარს. მერე უცბად მოტრიალდა, ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა ეკლესიისაკენ. მივიდა მღვდელთან, რომელიც ხალხს ელაპარაკებოდა და ფეხებში ჩაუვარდა:

— მიშველე, შენ მიშველე, მამაო!. მიშველე, შენი მუხლის ჭირიმე, ჩემო მოძღვარო!.. ვაიმე, ვაიმე!.. მიშველე, შენ დაგენაცვლე, ჩემო ბატონო!.. — მწარე ქვითინით მოსთქვამდა პირქვე დამხობილი მოხუცებული დედაკაცი: — მიშუამდგომელ წმიდანთან!... გადამერია კაცი!.. ვაიმე... ვაიმე!..

— ადექ, შვილო, ადექ!.. ნუ გეშინია, შვილო! — მოხუცებული მღვდელი ძლივს იმაგრებდა ცრემლებს, ამ დედაკაცის უსაზღვრო მწუხარებას რომ ხედავდა, — ნუ გეშინია... წმ. გიორგი ყურადღებასაც არ მიაქცევს მაგის უგუნურობით ჩადენილ საქციელს... ოღონდ ილოცე, შვილო, ევედრე და სულგრძელი წმინდანი შეუნდობს, თუ შენი ქმარი შეიგნებს თავის ცოდვას...* შედი, შვილო, ეკლესიაში: წმ. გიორგის დაუჩოქე და ევედრე... ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა და სულგრძელი!..

მღვდელმა გადასახა* ჯვარი დედაკაცს; დოდო ხელზე ემთხვია, მერე შევიდა ეკლესიაში და იქ, წმ. გიორგის ხატის წინ მუხლმოდრეკილი, დიდხანს ევედრებოდა ცხარე ცრემლით მტირალი, რათა შეენდო ყოვლად მოწყალე წმინდანს ქმრისათვის უგუნურებით ჩადენილი საზარელი საქციელი.

მღვდელი კი ისევ ხალხს ელაპარაკებოდა:

— ერთობ უცნაური ხასიათისა ვართ... ბუზს არ გადავიფრენთ ხანდახან თავზე... გულისწყრომას ხომ საზღვარი არა აქვს ხშირად... თუ რამ დავიჯინეთ, იმის გადათქმას სიკვდილს ვარჩევთ, თუნდაც რომ მტყუანიც ვიყვეთ... უთუოდ ჩვენს

ნებაზე უნდა იქნეს ყველაფერი და, თუ ისე არ იქნა, საშუალებასაც ალარ გავარჩევთ, ოღონდ კი სურვილი ავისრულოთ... დათმენა* რა არის... — ხშირად არც კი გვინდა ვიცოდეთ. და აი, სადამდის მივყავართ ამნაირ ჩვენს ხასიათს... თვით ღმერთსაც კი ვებრძვით... კაცი წმიდანს ებრძვის, რატომ ჩემს ნებაზე არ გაიარეო, რატომ ჩემი ნება არ აასრულეო... ამაზე მეტი შეიძლება?! აი, სადამდის მივყავართ ჩვენს გულფიცხობას... აი, სადამდის მიდის ჩვენი უგუნური კულისწყრომა!.. დამშვიდდით, შვილებო, ისწავლეთ მოთმინება, რომ გულფიცხობაში ჩადენილი საქციელი შესანანებლად ისევ თქვენვე არ დაგირჩეთ!..

იმ სამახსოვრო დღიდან საკვირველად გამოიცვალა კაცია. ძვირად უნახავთ, რომ ვინმეს დალაპარაკებოდა. თავის ოჯახშიაც ცალკე ყოფნას ცდილობდა ყოველთვის. ხანდახან, დოდო რომ მასთან ლაპარაკს ცდილობდა, კაცია წამოდგებოდა, აიღებდა ჯოხს და სადღაც მიეშურებოდა, ბოლოს უწყინარ შეშლილს დაემსგავსა.

მოტყდა, უცნაურად მალე მოტყდა, სრულიად დაბერდა და მოიკუმშა ამას წინათ წარმოსადეგი კაცია. ზედვე ეტყობოდა, რომ იგი სწუხდა, სწუხდა გადამეტებით, მაგრამ ხმას არ იღებდა.

ერთხელ ისე მეტისმეტად შეწუხდა, რომ მთელი ოჯახი ფეხზე დადგა.

— არიქა, ბიჭო გიორგი, მღვდელთან!.. მალე! — შეჰყვირა დოდომ თავის ვაჟს.

— არ მინდა, არა!.. — ძლივს წამოილუღლუღა კაციამ, რომელიც საზარლად კვნესოდა ტახტზე მწოლიარე.

— მალე, შვილო, მალე!.. უზიარებელი* არ მოკვდეს ეს შავ დღეზე გაჩენილი!.. ღმერთო დიდებულო, მოხედე შენი მოწყალე თვალით!.. — და დოდო რომ ავადმყოფთან ფუსფუსებდა, გიორგი მღვდელთან მირბოდა თავმოძულებით.

ცოტა ხანს იქით კაციას მღვდელი ადგა თავზე.

— რას შვრები კაცია?.. როგორ ხარ? — ჰკითხა მღვდელმა.

კაციამ ჯერ ხმა არ გასცა, მერე გადმოხედა, მიაპყრო თვალები, დიდხანს უყურა, ხელი გამოართვა, წამოიწია, ემთხვია ხელზე. მერე უცბად ისევ დაწვა, ქედლისაკენ ქნა პირი და

ვეება დევკაცი ბავშვივით ატირდა სიტყვის უთქმელად. ამ მწარე, საცოდავად მოთქმამ მღვდელს გული აუჩვილა; ცრემლებით თვალებზე ის გულმხურვალედ ლოცულობდა და თან ნუგეშს აძლევდა საცოდავ მოხუცებულს.

კაცია ეზიარა.

რამდენიმე დღის შემდეგ მოხუცებული მოკვდა საშინელ ტანჯვაში. საწყალი ბერიკაცი თავის გულს შემოასკდა; გულფიცხობამ იმ ზომამდის მიიყვანა, რომ უმაგალითო საქციელი ჩაადენინა და ამ ჩადენილი საქციელის მოგონება, რომლის გასწორებაც მის თვალში შეუძლებელი იყო, წარმოუთქმელად აწუხებდა, სტანჯავდა, სტანჯავდა მუდამ, ყოველ ჟამს, ყოველ წუთს, ისე რომ ბოლოს ბერიკაცს ძალღონეც გამოელია და სულიც დალია.*

— ვერ ვიტირებთ, — ამბობდნენ მეზობლები, — ღმერთს ვაწყენინებთ, რომ მისი მგმობელი ვიტიროთ! — და ამიტომაც მიცვალებულ კაცია სასაფლაოზე მხოლოდ ცოლ-შვილი მიჰყვა და ესენიც მხოლოდ იმის უბედურ ღღეზე გაჩენას დასტიროდნენ.

1893.

მსხვერპლი

ახალგაზრდა, ლამაზი მარიწე პარასკევობაზე* ისტუმრებდა ქმარს ნიკას.

— არ დაგავიწყდეს, — ეუბნებოდა იგი ქმარს, — ეს სიჩოხე შალი ხუთ მანეთ ნაკლებ არ გაყიდო: ამ გაროზში* თუ მოგცეენ ორ მაწეთ-ნახევარი, გაყიდე, თუ არა და ისევ სახლში მოიტანე... ეს ოთხი წიწილი სამ-სამ შაურად.. ამ გაროზში რომ ფულს მოგცემენ, იმითი ერთი კაი ბაღდადი* მიყიდე და მომიტანე...

— ბაღდადის ყიდვისა მე არაფერი ვიცი, — მიუგო ნიკამ.

— ნაცნობი ვინმე შეგხვდება, შე კაცო, შეეხვეწე და გაყიდვიებს... მარა კარგი იქნეს კი!

— რა ფერის გინდა?

— თეთრი იქნეს.. თუ გინდა ცისფერი... ფოჩვიანი* თუ იშოვო, ძალიან კარგი იქნება... ორ მანეთ-ნახევრად კარგ ბაღდადს იშოვი.

— ფულები აღარ გეტევათ ზანდუკებში?* — თქვა ამ ლაპარაკის დროს სახლში შემოსულმა მაღალი ტანის, ცოტათი წელში მოხრილმა მოხუცებულმა დედაკაცმა: — ფული არ გეტევათ ზანდუკებში?

— სახლში მოსატანი ფულისათვის, ბატონო, საჩოხე შალს ვატან და ოთხ ახალ ქათამს... ბაღდადს მარტო გაროზის ფასი მიყიდის... ყველას ახურავს თითო ბაღდადი, მე კი უბრალო თავსაფრით დავდივარ ეკლესიაზე... მარტო მრცხვენია!..—თავდაბლად უპასუხა მარინემ მოხუცებულ დედამთილს.

— ათასჯერ მითქვამს შენთვის... სხვისი წამხედურობა შენი საქმე არ არის, არა... ჩვენ არ გვარგებს, ქალბატონო, არ გვარგებს... რომ ვერ ჩავაგონე!.. შენ, ვაჟბატონო, ბაზრობა რომ გათავდება, მაშინ წადი, შენმა სიცოცხლემ, — მიუბრუნდა ფეფენა ნიკას: — რას გაჩერებულხარ?.. გასწი შენთვის და დროზე მოდი სახლში... ფული თელათ* მოიტანე!..

ნიკამ, დედის ბრძანებაზე, სიტყვაშეუბრუნებლად, მოხვია ხელი, რაც წასაღები იყო და საჩქაროდ კარში გავიდა. მარინე კი გულამღვრეული მისჩერებოდა, თვალს არ აშორებდა ფეფენას.

— გეუბნები, პრანჭვა-გრეხას თავი დაანებე-თქვა!.. რაღა დროს შენი კოპწიაობაა... ვის ეპრანჭები, მითხარი ერთი? ქმარი გყავს, იმას მოაწონე შენი თავი... ამ სხვებზე რომ თვალი მიგირბის...

— ვის სხვას ვეპრანჭები ბატონო?.. ვის ვეპრანჭები, მითხარით მაინც, რომ ყოველდღე ამას მეუბნებით?..

— მუსაიფი გამაბმევიე ახლა მაგაზე!.. — შეუტია მოხუცებულმა.

— აბა, რა ვქნა, ღმერთმანი? ასე ტყუილაუბრალოდ შეწამებამ გული მომიკლა!..

— ტყუილაუბრალოდ? ჰმ! ტყუილაუბრალოდ?.. მე გული მომეხარჩა, ჩემო ქალბატონო, შენ რომ გიყურებ, გესმის, შენ რომ გიყურებ, გული მომეხარჩა!..

— რა ვქენი მაგისთანა? რა დავაშავე? — ცხარედ წარმოსთქვა ქალმა: — მითხარით მაინც, რა დავაშავე?

— ეგ თქვენი ახალი განათლება არ მინდა მე, არა; არა-მეთქი, გეიგონე ჩემი.. ნუ იცი ყოველ კაცთან შენებურად ლაქლაქი, დოურიდებლად ყბედობა, არ შეგფერის ეგ ცუნდრუკი* და კისკასი*... არა, არა... მე ვიცი, რა ბოლო მოჰყვება მაგისთანა თავისუფლებას...

— მე აღარავის ვცემ ხმას... ყველას ჩამოვეთხოვე... სულ მუნჯად კი ვერ გადავიქცევი, რა ვქნა!

— ყველას ჩამოეთხოვე, ყველას ჩამოეთხოვე? ხმას აღარავის ცემ?.. აბა, ეს გლახაკი, გაქუცული აზნოუშვილი დავითი რას დაწანწალობს ჩემს სახლში? რა უნდა კარუგდელაძეს ჩემს ოჯახში?.. მანამდი როდის ყოფილა იგი ჩემ მიდამოზე მოსიარულე?.. ასე ჩამოეთხოვე ყველას?

— ბატონო, მე ვერ ვეტყვი ვერაფერს იმ ადამიანს... თქვენ უფროსი ბრძანდებით... თუ გწყინთ მისი აქ მოსვლა, თქვენ დეითხოვეთ და ის იქნება... მე რა ბრალი უნდა მედებოდეს? — მარინეს ხმაში შეკავებული ცრემლები ეტყობოდა.

— მე დევითხოვო?.. თუ შენ, თუ შენ, შენ უნდა დაანახვო, რომ ტყვილა დაგდევს უკან?.. გამიფრთხილებიხარ, იცოდე, რომ რამე სირცხვილი მაჭამო, ოჯახი გამიხადო ქვეყნის სალაპარაკოდ, სამასხარო ასაგდებად, იცოდე, ან შენ და ან მე!.. არაფრით არ დაგზოგავ, ცოცხალი ვერ გადამირჩები, იცოდე! — და ამ სიტყვებთან ფეფენამ ისეთნაირად გადახედა მარინეს, რომ ეს უკანასკნელი აქედანვე უნდა დარწმუნებულიყო: ეს, თავისნება მოხუცებული დედაკაცი, ერთ გუნებაზე მართლა და არ დაზოგავდა მას არაფრით.

— ოჯახს უყურე... ოჯახზე გქონდეს უფრო თვალი, გირჩევნია... თვარა, შენისთანა განათლებული ქალი ერთი კი არ გვინახავს შერცხვენილი და თავსლაფდასხმული, თავისი გაუფრთხილებლობის წყალობით! — წაილაპარაკა ფეფენამ და რძალს მოშორდა.

რა პასუხი მიეცა ამაზე მარინეს? რა მიეგო ამ სიტყვებზე? ან როგორ მოახერხებდა რაიმე პასუხი მიეგო, როცა ტანი მთლად უცახცახებდა აღელვებულს და ყელში ცრემლები უჭირებდნენ... რარიგად გაჭკილა, ტალახში ამოსრისა მისი

თავმოყვარეობა, მისი ნამუსიანობა და სიყმაწვილე ამ უსინდისო დედაბერმა?! მერე რისთვის? მხოლოდ ეჭვისათვის!.. ჰმ, ერთი ამ მოხუცებულის ფეხქვეშ მოთელვა, მისი ჩაწიხვლა! — მაგრამ ეს აზრი, ეს სურვილი წარეცხა თვალებიდან ერთბაშად ნაკადულივით გადმოკრიალებულმა ცრემლებმა.

ამ ცრემლების სიმწვავემ თითქო გამოაფხიზლა მარინე — კაბის სახელოთი მოიწმინდა თვალები, მიტრიალდა და გავარდა კარში; დაეშვა ეზოს ქვემოთ მდებარე ვენახისკენ, გადახტა ვენახის ბოლოში ღობეზე და შარაგზით მიჰქროდა და თან იძახდა: „რა ვქნა, რა ვუყო ამ დედაბერს?.. ღმერთო, რა ცეცხლში ჩავვარდე?!“

— ბიძია, ბიძია ჩემო, თავი უნდა მოვიკლა! — ძლივს ამბობდა აღელვებული მარინე.

— რა იყო? რა ამბავია, შე ქალო? — ერთხმად შეჰკითხეს ორთავე ცოლ-ქმარმა, ონისიმემ და სოფიომ, მარინეს შეხედულობით გაკვირვებულებმა.

— ბიძია, ან ჩემი თავი უნდა მოვიკლა, ანა-და ის დედაბერი, ის მართლა კუდიანი,* არაწმიდა, ის უნდა მოვკლა... მეტი გზა არ მაქვს... გამიჭირდა, სიცოცხლე გამიჭირდა მისგან!

— რა დაგემართათ, რა მოგივიდათ? — ისევ კითხულობდნენ მოხუცებულები.

— დაჯექი, შვილო, და ისე გვიამბე! — უთხრა სოფიომ.

— ყველაფერს ვითმენდი, ყოველ იმის სიპილწეს ვუძლებდი... შეხედავდა, მეგონა, რომ არა ვარ ოჯახზე ორგულად... რომ ცუდი არაფერი მჭირს... რა არ ამიტანია სიტყვის უთქმელად... მეგონა, მცდის-თქვა... ვცდილობდი, რამერიგად მისი ოხერი გული მომეგო... მარა არაფერი, არაფერი მე მასთან არ გამივიდა... კაცს ხმას ნუ გასცემო, კარგად ნუ იცვამო... ძონძებში რავა გამოვეხვიო, როცა, ღვთით, ვშოულობ, ვხელსაქნარობ... ქმარს — ის უიმისოდაც სულელია, ქმარს მიხელებს, რას არ ეუბნება, აგულიანებს... დღეს რეები არ გამაგონა?!. რა არ მითხრა?! რა არ შემწამა?.. რატომ იქვე არ მოვკვდი!.. რა ეჭვები შემოაქვს ჩემზე?.. ღმერთო, ღმერთო, რატომ ვარ ცოცხალი ამის შემდეგ?! — და მარინემ დაწვრილებით უამბო ონისიმეს და სოფიოს დედამთილთან ნალაპარაკევი.

— ბიძია, ბიძია! — საყვედურით უთხრა მან ონისიმეს: — ბიძია, შენ ჩამაგდე ამ გენიაში!.. რატომ მოიკიდე ჩემი ცოდვა?.. რაზე ათხოვიე ჩემი თავი მაგ ოხრებს! — მარინე მწარედ მოსთქვამდა.

ისიც საკმარისი იყო ონისიმესათვის, რასაც მოჰყვა მარინე და ამ საყვედურმა, ამ საყვედურის ცხარე სიტყვებმა ხომ მოხუცებული მისი გულის მონად გახადეს.

თოფნაკრავივით წამოვარდა ზეზე და წამოიძახა:

— მერე ის შენი სულელი ქმარი, ის სულელი ბიჭი... — გაჯავრებული კაცი სიტყვებს ძლივს ახერხებდა.

— დედამისს რას გაუბედავს... კაცია? — ქვითინებდა მარინე.

— დალახვრათ* ჩემმა გამჩენმა!.. სული მიცხონდა, მე იმათ შავი დღე მივაყენო!.. შეჩვენებულს... იმ კუდიან დედაკაცს!.. შეხედეთ ერთი!.. — ყვიროდა ონისიმე.

— მოითმინე, კიდევ მოითმინე, შვილო, — ალერსით და ტკბილად ეუბნებოდა სოფიო და თან ეხვეოდა: — კიდევ მოითმინე, შვილო... სულ ასე კი არ იქნება... ისიც დარწმუნდება, შეხედავს, რომ ცდება.. ტყვილა გიჯავრდება... კი, შვილო, მოთმინება ჯობია!..

— მოთმინება კი არა!.. ორსავე დედა-შვილს სულს ამოვახდენ,* თუ ადამიანის დაფასება არ იციან მაგ შეჩვენებულებმა — მე ოვუხელ თვალებს, თუ კაცი ვარ! შენ, ბიძიკო, — მიმართა ონისიმემ მარინეს: — შენ სულ ნუ წახდები... შიშს ნუ მიეცემი... მე ვიცი და იმათ... მე ახლავე წავალ იმ წყეულთან, — წამოიძახა ერთბაშად ონისიმემ: — ახლავე წავალ!.. მომე, ქალო, ღვედი!

— კაია, თუ ღმერთი გწამს, კაია, ონისიმე!.. ნუ აცერცეტდები, — უთხრა ქმარს სოფიომ. — რა დროს ფეფენასთან ლაპარაკია ახლა... გვაცალე... დაწყნარდეს ის ადამიანიც... ახლა რომ მიხვიდე მასთან — უარესად გაახელებ, მეტი რა იქნება... მერეც შეხვდები და ეტყვი ტკბილად, სიტყვა-მოფიქრებით.. უკეთესიც იქნება, თუ შენ სულ არ გასცემ ამაზე ხმას... ისევ მე მოველაპარაკები... მე ვიცი მასთან ლაპარაკი!

თუმცა ონისიმე ძალიან იწევდა რძალთან საჩხუბრად, მაგრამ სოფიომ იმდენი მოახერხა, რომ დაბოლოს ეს სურვილი

გადაათქმევინა ქმარს, მერე მარინეს მიაქცია თავისი ყურადღება და თავისი ტკბილი ზნით, მოხერხებული სიტყვით, შაქრიანი ენით სრულიად დაამშვიდა, დააწყნარა, გული გაუკეთა, ათასი იმედი გაუღვიძა და ისე გაისტუმრა რამდენიმე ხნის შემდეგ.

— გეუბნებოდი, ნუ ერევი-თქვა იმ შენი ძმისწულის ქალის თხოვაში, ბოლოს შეგარცხვენენ და სამწუხაროდ დაგირჩება-თქვა და ხომ გამართლდა ჩემი სიტყვა!.. წინდაწინ ვიცოდი, რომ ასეთი ამბავი იქნებოდა...და ამიტომ მეშინოდა ყოველთვის... — საყვედურით ეუბნებოდა სოფიო ქმარს, როცა მარინე წავიდა.

— სიკეთე მინდოდა, სიკეთე, დედაკაცო, მაგ შეჩვენებულებისათვის... გაუწყრა მაგათ ჩემი გამჩენი!.. კაცი არ ვიქნები, თუ მე მაგენი რჯულზე არ მოვაქციო!.. კაცი არ ვიქნები!.. მაგ წუნკლიან, არაწმინდა დედაბერს ასე რავა შევარცხვენიებ ჩემს თავს!

— კაი, კაი... კაია, დაწყნარდი! — შეუტია ქმარს სოფიომ: — ვის ახსენებ მაგრე... ვის ექადნები შე უბედურო, გავიწყდება?

— მისი კუდიანობის შენისთანა დედაკაცებს ეშინოდეს... მე სულაც არ მეშინია მისი!.. მის კუდიანობას ჩემზე გასავალი არა აქვს! — გაცხარებით წამოიძახა ონისიმემ.

— შენისთანებს გამოუცდიათ მისი ძალ-ღონე... დიდგულზე ხარ, ზურგს უკან რომ ლაპარაკობ! ვითომდა ვერ გეიგებს... რასაკვირველია, ამ იმედით იყავი!.. ონისიმე, თუ ღმერთი გწამს, თუ შენი ოჯახი გებრალება, დაჩუმდი... ნუ იხსენებ ცუდად იმ შენს რძალს... არ ივარგებს!.. — თითქმის ხვეწნით უთხრა სოფიომ.

— აბა, ფეხქვეშ გევეშალო*, ა?.. რას მეუბნები დედაკაცო! კუდიანს, არაწმინდას ასე რავა დავუმორჩილდები, ღმერთო მომკალი!..

— ჩუ თქვა, ჩუ, შე უბედურო! რომ არაფერი ეყურება ამ კაცს, კაცის სიტყვა რომ არ ეყურება!.. რა გუნებაზე ხარ ღღეს?.. აქამდის ყოველთვის მის ცუდ ხსენებას ერიდებოდი... დღეს რა ამბავია, რა ამბავია ეს?..

— რა ამბავია და ის, რომ გული მომიკლა იმ ბოვშის საყ-

ვედურმა... მართალია, სულ მართალია!.. მე ჩავაგდე იგი მაგათ ხელში... მე რომ არა, ნიკას ვინ ოხერი მისცემდა ქალს!.. არ მემართლება საყვედური?.. რავა არ გავცეცხლდები, შე ქალო!

მოხუცებული არ წყნარდებოდა; მშიშარა სოფიო თავს იკლავდა მისი მაყურებელი და აქედანვე ხედავდა ათას უბედურებას, ფეფენასაგან მათ თავზე მოვლენილს. ტიროდა ქალი და წუწუნებდა ქმრის ჯიუტობის გამო, მაგრამ ის კი მაინც მოახერხა, რომ ონისიმეს ფეფენასთან წასვლა გადაათქმევინა.

გაიარა რამდენიმე დღემ.

ნაშუადღევი იყო. ონისიმემ თავის ეზოდან თვალი მოჰკრა გზად მიმავალ ფეფენას. იგი მიდიოდა ქვევით ყანის დასახედავად.

— მომითმინე, მომითმინე! — გადმოსძახა ონისიმემ რძალს, — საქმე მაქვს შენთან!..

ფეფენა შეჩერდა.

— ახლა მოგელაპარაკები შენდა საკადრისად! — გაბედულად წამოვიდა ონისიმე, მაგრამ რარიგად უმტყუნა ამ გაბედულებამ, როცა იგი მიუახლოვდა ამ მაღალი ტანის დედაკაცს, რომელიც ჯოხზე დაბჯენილი იდგა შარაგზაზე. ფეფენას მოხვეულ შალქვეშ, რომლის ერთი ყურით ყბა ჰქონდა ამოკრული, უჩანდა მხოლოდ ცხვირი და მკაცრად გამომზირალი თვალები. ამ ცოტათი წელში გახრილ დედაკაცში რაღაც ძალა იყო დამალული, ამას გრძნობდა ყოველი ადამიანი მის დანახვისთანავე. მისი შეხედულება გაგრძნობინებდათ, რომ ივი სხვა დედაკაცს არ ჩამოგავდა, რომ მასში სულ სხვანაირი ხასიათი იყო დაფარული; უნებლიედ რიდით აგევსებოდა გული იმის მოლაპარაკეს და მორიდებას გაფიქრებინებდა. მისი კუშტი გამოხედულება სხვანაირად მოქმედებდა ყველაზე, ვინც მას მიუახლოვდებოდა. ამას ზედ რომ ერთვოდა მისი განმარტოებულად ყოფნა, მეზობლებთან მიუკარებლობა — ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ სოფლად კუდიანობას ეწამებოდნენ*, ყველას მისი ეშინოდა და ყველა მას ერიდებოდა.

ეს იყო მიზეზი იმისი, რომ თუმცა დიდგულად წამოვიდა ონისიმე რძლისაკენ, მაგრამ გაბედულობამ უღალატა და წყნარად ეთხრა:

— რა ხანია შენი ნახვა მინდოდა!

ფეფენა ხმაგაკმენდილი იდგა, მისჩერებოდა მახლს — ეითქო ეუბნებოდა თვალებით: „რაზე გამაჩერე, თქვი ბარე-ნ.. "

ონისიმეს შერცხვა თავისი თავის, რომ წინათ ისე იქაჩე-ბოდა და ახლა კი სულ სხვაჩარ კილოზე დაიწყო ლაპარაკი და მოხუცებულმა კაცმა თავგაბსტებულად სცადა, თავის წი-ნაბე მაინც, დაემტკიცებინა, რომ მას მართლადაც სულ არ ეშინოდა კუდიანი ფეფენასი.

— რატომ ხართ ასეთი ავები! — დაიწყო მან — რატომ ხართ ასეთი ავები, რომ ადამიანი ვერ გიგუებიათ!..*

ფეფენამ თვალები მიაშტერა.

— რა ამბავია? — კუშტად წამოისროლა მან.

— მარინესთანა ანგელოზი ქალი ადამიანმა ვერ ივუნა?! ალარ ვიცი... ალარ ვიცი!.. რომ არაა ცუდი ქალი... რატომ გე-�თებათ ასეთი საქმე?.. მიკვირს ღმერთმანი... ნამეტანი მიკ-ვირს... და მწყინს!..

— ჰმ! — მშრალად ჩაიცინა ფეფენამ; — ადუკანტობა* ლეიწყე?... საქმე გამოგლევია, გეტყობა... ადუკანტობა რა შენი საკადრისი ხელობაა!..

— ადუკანტი ვარ თუ რაცხა ვარ, მე საქმეზე გელაპარაკე-ბი, ძალო! ეგ ბოვში მე ვათხოვიე შენს შვილს... მისმა ჭი-რისუფალმა მე ჩამაბარა მისი თავი და მარინეს ამბავი ყო-ველთვის მეკითხება, შე ქალო!

— რა გინდა მერე?

— ცუდად ეპყრობით, გეუბნები!

— მიჩივა?

— კი არ გიჩივა, მე თავათ ვხედავ და პირში გეუბნები. ურიგო ქალი იყოს, მესმის, და რომ არაა ურიგო, რატომ?.. რატომ?

— ონისიმე, ხომ იცი, რა გაჭირვება გამომივლია მე შენი ძმის ოჯახში... ყმაწვილი ქალი დავქვრივდი და გამოუცდელს ოჯახი მე დამაწვა კისერზე... რა ოჯახი? სარჩო რომ არ მო-დიოდა!.. ვინ იყო ჩემი შემფარე, მშველელი?.. ყანას მე ვხნავ-დი, მე ვწმენდდი, მე ვიწევდი.. თან ბოვშსაც ვზრდიდი... შემ-წე* ვინ მყოლებია? ყველაფერი მე ვიყავი, მე, მარტოხელა



ქალი!.. ვის უნახავს ჩემოდენი გასაჭირი?.. ვის გაძოუცდია, რაც მე გამოვცადე?.. მეზობლობას ჩამოვრჩი — ჩემს საქნარს ვუნდებოდი და ზოგიერთს ჭკუათხელს ჰგონია, ვითომ მე ადამიანი მძულს და იმიტომ არ ვეკარები არავისს.. მარა სხვის უგუნურ სიტყვას არ ავყოლივარ ჩემს დღეში... ოჯახი კი ფეხზე დავაყენე... ჩემი თავი ნამუსიანად შემინახავს... — ჩირქი ოჯახისათვის არ მიმიცხია* და რომ ამდენი ტანჯვა-წამებით შემონახულ ოჯახს ვინმემ თავსლაფი დაასხას, ქვეყნის სასაცილოდ გამიხადოს, მის სისხლს დალევს ფეფენა, იცოდე! მის სისხლს დალევს ფეფენა! — და აღელვებული მობუცი დედაკაცი თავის გრძელ ჯოხს ურტყამდა მიწას.

— ეგ აგრე უნდა იყვეს... მაგაში მართალი ხარ, ფეფენა, მაგრამ მარინემ გაფიქრებია მაგისთანა რამე?!.. შე ქალო, შენი რძალი ყმაწვილი ქალია, რა ვუყოთ, რომ ჩაცმა-დახურვა ეხალისებოდეს... ეგ რა საშიშარი უნდა იყვეს?..

— რა საშიშარია?! რა მისი საქმეა პრანჭვა-გრეხა თუ ცუ-

დი რამ გულში არ ჰქონდეს!.. მე, ჩემო ბატონო, ხამის* ლურ-ჯი კაბითაც კარგად გამიტარებია ჩემი წუთისოფელი!

— მე და შენი დრო სხვა იყო, ფეფენა, ახლა სხვა დროა...

— ეგ არის, რომ სხვა დრო დადგა!.. ახლანდელი ქალები?!.. ძველი სინდისიანობა გაჰქრა... ყველა ამჩატდა... უტიფარნი* შეიქმნენ. მორიდებასაც გადაეჩვევნენ... აღარაფრის რცხვენიათ... გათამამდნენ... რატომაც არ გათამამდებიან, როცა შენისთანა გულკეთილი კაცები, — დაცინვით წარმოთქვა ფეფენამ, — ამართლებენ, დასტურს აძლევენ და მათი საქციელის მოწონებაში ბრძანდებიან. ქვეყანა კი გეირყვნა!.. შენი წყალობით, ჩემდა გულის სახეთქად, ერთი ამისთანა მეც ჩამომივარდა ოჯახში. და სიცოცხლე გამიმწარა!.. რად უნდოდა ჩემს გლახაკს ლამაზი გოგო... ძროხასავით რომ დარბის სუყველგან და იმის ფიქრშია, თუ ვის მოაწონოს თავი!

— ტყვილია, სულ ტყვილია შენგან მისი ავად ხსენება, ფეფენა, დამიჯერე!

— ტყვილია, დიახ, ტყვილია!.. ჰმ! გახრეკილი* დავით კარუგდელაძე ვინ შემომითრია სახლში? როდის იყო ის ჩემს ოჯახში მარინეს მოყვანამდინ, ახლა რომ ძაღლივით დაწანწალობს?! წინათ ისიც კი არ იცოდა, მქონდა სახლი თუ არა!.. გოგოს დასდევს და მაგასაც დიდად მიაჩნია ეს!.. შენი წყალობით მომდის მე ეგ, შენ გადამკიდე უტიფარ სულიერს, შენ, ვაჟბატონო!.. და შენ მარიგებ, თავის ნებაზე მივუშვა სვინდისდაკარგული წყეული გომბიო, რომ საძაგლობა ჩაიდინოს და ქვეყანაში ოჯახი შემიგინოს?!.

— ფეფენა, ნუ ხარ აჩქარებული ქალი!.. ნუ ხარ ასეთი უსამართლო, და გულფიცხობამ საცოდაობა არ გაქნევინოს!

— აბა, ვუყურო, გულგრილად ვუმზირო ყველაფერს, რაც ჩემი თვალების წინ ხდება... არა? სირცხვილს რომ მაჭმევენ, მერე გამოვეკიდო საქმის გამოკეთებას?.. მაშინ გვიან იქნება, ჩემო ბატონო. მე თვალი მაქვს და ჭკუა თავში ჯერ არ გამომლაყებია, ზოგიერთივით!.. შენი რჩევა ჩემთვის უსარგებლოა, თავს ნუ იწუხებ, ნუ, ნუ იწუხებ! და შენთვის კი ეგ ძითქვამს: კმარა, კმარა, რაც სიკეთე დამმართე, და შენი ჭკუით ჩემი ოჯახის საქმეებში ნუ ეჩრები, იცოდე, დამითხოვიხარ, დამითხოვიხარ... იცოდე... და კარგად დეიმახსოვრე ეს, გესმის?

ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი დამექრებით და თან ზიზღით წარმოსთქვა დედაკაცმა, რომ ამის გამგონე ონისიმე სულ სხვა კაცად გარდაქმნა. ახლა დააკიწყდა მას ფეფენას კუდიანობაც, მისი ძლიერებაც და მხოლოდ თავისი წყენა, თავისი თავმოყვარეობის შელახვა, თავისი შეურაცხყოფალა ედგა თვალწინ და ეს იყო მიზეზი, რომ მან, გაცეცხლებულმა, უცნაური ხმით მიაყვირა ფეფენას:

— თუ ეგრეა, ჩემიც დეიმახსოვრე!.. ჩემს მოხუცებულობას ვფიცავ, მარინეს რომ ცუდი რამე შეამთხვიო, კერც დედა და ვერც შვილი ცოცხალი ვერ გადამირჩებით!.. ცოცხალი ვერ გადამირჩებით, იცოდეთ! ჰაი, თქვენი რჯული, გაგიწყრათ ჩემი გამჩენი! ცოცხლები ვერ გადამირჩებით, იცოდეთ!

ათრთოლებული ონისიმე უცბად მიტრიალდა და თავისი სახლისკენ გასწია. მაგრამ ერთი კიდევ მოტრიალდა და გადასძახა რძალს:

— კარგად დეიმახსოვრე ჩემი სიტყვა... ცოცხლები ვერ გადამირჩებით, თქვე შეჩვენებულებო!..

— რა ქალი მოვაყვანიე მაგ დაწყევლილს და რას მეუბნებიან, შეხედოს კაცმა ერთი?! კაცი არ ვიქნები, თუ შენისთანა ურჯულო, არაწმინდა რჯულზე არ მოვიყვანო!.. შეჩვენებულები, შეხედეთ, შეხედეთ ერთი!

ფეფენა კი ერთ ხანს ისევ თავის ადგილას იდგა და მისჩერებოდა გაჯავრებული, გაწიწმატებული მიმავალ მაზლს, მერე თავის გზას დაადგა და ქვევითკენ წავიდა ყასაბის დასახედავად.

სოფიო, მშიშარა სოფიო, შიშმა აიტანა, რაკი ყური მოჰკრა რძალ-მაზლის ლაპარაკს!.. მან კარში ვამოსელაც ვერ გაბედა საწყალმა, ვიდრე ფეფენამ არ ჩაიარა; სოფიომ გააღო სახლის კარი და ქმარს ყვედრებით მიმართა:

— ვიცოდი, წინდაწინ ვიცოდი... რომ ასე გათავდებოდა შენი მასთან მუსაიფი!.. ღმერთო, მომკალი, ღმერთო, მომკალი!.. გამოტვინდი, შე უბედურო, გამოჩერჩეტდი, შე საწყალო?! გეხვეწე, გემუდარე — ნუ შეებმები-თქვა ლაპარაკში... არა, არ დეიჯერა, არ დეიჯერა ადამიანის სიტყვა! ღმერთო, ღმერთო! — გაიძახოდა მწუხარედ სოფიო.

— მა რა მიქნა, ერთი შენც?! მოთმინებიდან გამომიყვანა

ის წყეულმა, იმისთანები მითხრა... მკვდარი ხომ არა ვარ... რარიგად მომეთმინა?.. მკვდარიც არ მოუთმენდა, მე რომ იმაზ მითხრა!

— უნდა მოგეთმინა, უნდა მოგეთმინა!.. ვის ებრძვი, ვის, შე უბედურო?.. რატომ არ ერიდები, შე უბედურო, რატომ არ ერიდები? ვინ გიშველის, ვინ დაგიფარავს, შენზე ჯავრის ამოყრა რომ მოინდომოს?

— ვერაფერს ვერ მიზამს! — დაჟინებით წამოიძახა ონასიმემ.

— დიახ, დიახ, მაგ იმედით იყავი, მაგ იმედით იყავი!..

ქმრის ამგვარი ჯიუტობა გულს უკლავდა საწყალ სოფიოს.

— ეჰ, ერთი შენც კიდევ! — გაჯავრებით თქვა მოხუცებულმა კაცმა: — რასაც მიზამს, ქნას და ის იქნება... წავალ ახლა, მუხლზე მოვეხვევი, შენი მეშინია და მაპატივე-თქვა, თუ რავა გგონია?

— ვაი ჩემი ბრალი შენს ხელში!.. არ ვიცი შენი ჯიუტი ხასიათის ამბავი თუ?.. ისევ მე უნდა დავაშოშმინო რამე გზით... ისევ მე უნდა დავაწყნარო!.. ვაი ჩემი ბრალი შენს ხელში, ყოველთვის გულისხეთქაში ვარ შენი წყალობით... — სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა მშიშარა დედაკაცმა.

ფეფენამ დახედა ყანას და ახლა უკანდაბრუნებული იმავე გზით, სახლისაკენ მოდიოდა, თავჩაღუნული, ნელი ნაბიჯით მომავალი, ჯოხზე დაყრდომით ათას ფიქრში იყო წასული... რამდენი მწუხარება, რამდენი უსიამოვნება შეხვდა ამ ბოლო დროს!.. ახლაც, ამ ერთი საათის წინ რა ლაპარაკი მოუხდა?!. რარიგად გაუწვალდა, გაუუგემურდა მოხუცებულობა ამ გლახა გომბიოს გამოისობით? რარიგად მოუშხამა სიცოცხლე ამ უხეირო გოგომ! რა უყოს, რარიგად აიცდინოს თავიდან განსაცდელი, აიცდინოს ქვეყანაში თავის მოჭრა?.. განსაცდელი მოელის, უსათუოდ მოელის, ამაში დარწმუნებულია ფეფენა... რარიგად უჭირავს თავი იმ შეჩვენებულს! ვის გაუგონია გათხოვილი ქალის კისკისი, გაუთავებელი სიმღერა, ცეკვა-თამაში ისე, როგორც მან იცის?.. გაგონილა ისე თამამად, მოურიდებლად, თავისუფლად ლაპარაკი, მან რომ კაცებთან ლაპარაკი იცის?.. რას ჰგავს, რავა შეჰფერის ქმრიან ქალს, მან რომ მოკმაზმვა-გამოპრანჭვა იცის?!. ეს გახრეკილი აზნოუშვი-

ლიც რომ შემოუთრია სახლში!.. ალბათ იმედს აძლევს, იმედს! ბა, რაზე დასდევს ეს შეჩვენებული ასე მოუცილებლად... ამ უნამუსოს კი უხარია, რასაკვირველია, უხარია, რომ აზნოუ-შვილი უკან დამდევსო!.. უკკუო, გამოტვინებული ონისიმე კიდევ ამართლებს და... ხმა არ გასცეთო!.. დიახ, სწორედ ეგრე იზამს ფეფენა! სულ თავისუფლად ამყოფებს, სანამ თავზე ლაფს არ დაასხამენ!.. სულს ამოხდის, თავის ხელით წაახრ-ჩობს ფეფენა, ვინც მის წვა-დაგვით შენახულ ოჯახს რამე ჩირქს მოსცხებს, ცუდ სახელს დაუგდებს!..

ცალკე ამ ფიქრებში გართული, ცალკე დაღლილი, ნელა მომავალი ფეფენა ის იყო ვიწრო ორღობიდან ფართო გზაზე გამოვიდა, რომ რაღაც ხმა მოესმა, რომელმაც მოხუცებული ქალი ფიქრებიდან გამოიყვანა. მაწ ასწია თავი და გაიხედა იქით, საიდანაც ხმა მოესმა.

გაფითრებული ფეფეწა თითქო მიეკრა იმ ადგილს, სადაც იდგა.

ეს მარინე იყო, ჩაფი ედგა მხარზე და მორბოდა ზევით-კენ. ფეფენამ ადვილად იცნო; მას ელაპარაკებოდა ღობეზე მომდგარი დავით კარუგდელაძე, რომელმაც ახლა მარინეს უკან მიაძახა:

— კვირას მოვალ, უსათუოდ გეწვევი... კაი მასბინძელი თუ დამიხვდები!

მარინე ისევ მირბოდა და დავითიც ღობეს მოშორდა.

სისხლი თავში აუვარდა მოხუცებულ ფეფენას ამ სურათის დანახვაზე! ახლაც ტყუილად ეწამება* იგი მარინეს, ახლაც სცდება თავის ეჭვში? იმ ზომამდის იყო გააფთრებული, რომ მოსაზრების ძალაც კი დაკარგა ნახულის მოულოდნელობით. თავდაპირველად ვერ მოისაზრა — რა ექნა, რარიგად მოქცეუ-ლიყო. მერე კი ისევ გონზე მოვიდა, მოშორდა იმ ადგილს, სადაც გაქვავებულივით იდგა, მიირბინა ღობესთან, სადაც და-ვითი იყო გადმოწოლილი, ერთი თვალის დახამხამებაში ახტა ღობეზე და ყანაში გადახტა, მიავლ-მოავლო თვალი და რომ ვერა კაცი ვერ დაინახა, ხმამაღლა დაიძახა:

— სად ქვესკნელში ჩამძვრალხარ?.. შე წუწკო, უსინდისო, შენ! — მერე, ვითომც რაღაც გაახსენდა, გამოტრიალდა, ისევ გადმოხტა ღობეზე და შარაგზით ზევითკენ ძუნძულით გა-ქანდა.



ცოტა ხნის შემდეგ იგი დავით კარუგდელაძის ეზოში იყო. დაგითის ცოლი, ნატალია, რომელიც ბალკონზე იჯდა ხელსაქნარით ხელში, კიბესთან შეეგება მას.

— მობრძანდი, მობრძანდი, ჩემო ფეფენა! რას მივაწერო, რომ გაგვიხსენე... სულ დაგვივიწყე, შე ქალო!

ფეფენა ავიდა დაბალი კიბით ბალკონზე, ჯოხით ხელში.

— კესარია, გოგო, სკამი მოართვი ფეფენას! — დაუძახა ნატალიამ მოსამსახურეს.

— დასაჯდომად კი არ მოვსულვარ! — მკვახედ წამოიძახა ფეფენამ.

ნატალიამ იცოდა ამ დედაკაცის ხასიათი, მაგრამ ამ სიტყვის კილომ მაინც გააკვირვა იგი.

— რა იყო, შე ქალო! რა ამბავია?.. ხომ არავის უწყენიებია შენთვის? — ჰკითხა ნატალიამ, მაგრამ იქვე დაატანა: — მარა შენ ვინ გაგიბედავს, გაწყენიოს რამე.

— შენს ქმარს ჩემი ოჯახის თავსლაფის დასხმა მოუწდომებია... — ძლივს წამოიძახა მეტისმეტად აღელვებულმა ფეფენამ.

— რას ამბობ, ფეფენა, რას ამბობ?.. მაგ როგორ იქნება?

— გეუბნები, მართალი ყოფილა — უკმეხად მიაძახა ფეფენამ — იცოდე, მეც ისე გევიმეტებ, როგორც იმას ვყავარ გამეტებული!.. გოგო სულელია... იმას არაფერი ესმის.. უხარია, აზნოუშვილი უკან დამდევსო!.. აზნოუშვილს გარყვნილობის მეტი რა ახსოვს?.. ჩამომათხოვე, ნატალია, შენი ქმარი!.. ნუ დასდევს ჩემს შეჩვენებულ რძალს... ქვეყნის თვალში სასაცილოდ ნუ მხდის, თვარა არ ვიცი, არ ვიცი, რას მაქნევინებს, რას გამაბედვინებს შენი ქმრის გარყვნილობა! რაც არ გეკადრებათ, ნუ კადრულობთ... კეთილშობილებს გეძახიან!

აზრდაბნეულივით მისჩერებოდა ნატალია ამ გააფთრებულ მოხუცებულ დედაკაცს და საშინელ ძალას ატანდა თავისთავს, მოთმინება არ დაჰკარგოდა და ბოლომდის მოესმინა, რაც ეტყოდა ამ უცნაური დედაკაცის უზრდელი ლაპარაკი.

— ვეტყვი, ყველაფერს ვეტყვი დავითს და შენ და ის ერთმანეთში მოილაპარაკებთ... მე რა უნდა ვქნა? — უთხრა ნატალიამ და ამით უნდოდა ბოლო მოეღო ამ უცნაური ბაასისათვის.

— ჩემთან იმას არაფერი სალაპარაკო არა აქვს! რაც სათქმელი მქონდა, გითხარი, და აწი თქვენ იცით!.. მშვიდობით ბრძანდებოდე! — წამოიძახა ფეფენამ და თავიც არ დაუკრავს, მიტრიალდა და უცბად ჩაიარა კიბე.

— სად მიიჩქარი, შე ქალო?.. დაჯექი, დაწყნარდი, შე ქალო, და ისე წადი! — უთხრა ნატალიამ ფეფენას დასაშოშმინებლად, მაგრამ იმას არც კი მოუხედავს, მხოლოდ წაილაპარაკა:

— საქმე კი არ გამომლევია თქვენსავით... თქვენთან ვილაყლაყო! — ფეფენამ ისე ხმამაღლა თქვა ეს, რომ ნატალიამ გარკვევით გაიგონა. ერთი ბეწო დააკლდა, კინაღამ ბიჭს უბრძანა: — ეს პილწი* დედაბერი კისრისტეხით ეზოს გარეთ გააგდეო.

საღამოზე შინდაბრუნებულ დავითს ყველაფერი უამბო ნატალიამ, რაც ფეფენასაგან გადაჰხდა.

— რა სულელები არიან ოჯახდაქცეულები! — წამოიძახა დავითმა, როცა ნატალიამ გაათავა ეს ამბავი: — თუკი ქალს ხმა გეეცი, უსათუოდ რამე უნდა შევწამონ... რა ჩემ ფეხე-

ბად მინდა მწვირიანი ყაზახის* გომბიო, როცა ლამაზი ცოლი შინ მიზის... ხვალვე ავუხსნი ყველაფერს იმ დედაბერს!.. შენ კი ყოჩაღად მოქცეულხარ, რომ მოგითმენია და სახლიდან არ გაგიძუნძულებია... პილწია ის ოხერი!

— მოვერიდე, მა რა მექნა?! მთელი ქვეყანა კუდიანობას სწამობს... რომ რამე შეგამთხვიოს, რაღას იზამ?.. თუ ღმერთი გწამს, ხვალ უსათუოდ მიდი და რამერიგად დაამშვიდე, დააწყნარე ის უხეირო... ნამეტანი გაანჩხლებულია!

— უსათუოდ, უსათუოდ ვნახავ ხვალ და დავაშოშმინებ, — თქვა დავითმა. — გეტყობა, ძალიან შეუშინებიხარ, — სიცილით უთხრა მან ცოლს.

დავით კარუგდელაძისაგან ფეფენამ პირდაპირ თავისი სახლისაკენ გასწია.

უკვე საღამო იყო, როცა ფეფენამ თავის ეზოში ფეხი შედგა.

მარინე ვახშმის კეთებას შესდგომოდა; ცეცხლზე ჭადებისათვის კეცები შეელაგებინა, პატარა ქოთნით ლობიო მიედგა და თვითონ თაროსთან ცომს ზელავდა ჭადისათვის. ბაზრობიდან დაბრუნებული ნიკა ცეცხლის მოშორებით იჯდა, გაყუჩებული, პატარა დაბალ სკამზე და ყალიონს შეექცეოდა.

კარი გაიღო და ფეფენა შემოვიდა სახლში.

— შენისთანა გომბიოს თავზე ლაფი რავა დავასხმევინო? თავზე ლაფი რავა დავასხმევინო, ღმერთო, მომკალი?! — შემოსვლისთანავე დასჭექა მან. — შენისთანა გომბიომ რავა გამიხადოს ჩემი ოჯახი ქვეყნის სასაცილოდ?! რას გადმოგიყვლიპინებია მაგ დასაფსები* თვალები?! შენ, შენ, შენ გეუბნები, შე... შე სასიკვდილე! — მიაყვირა ფეფენამ მარინეს, როცა ამან თვალები მიაშტერა მოქაქანე დედამთილს. — რაზე მომითრიე ეს ჩემი სისხლისმსმელი, ჩემი მკვლელი, შე სულელო, შე უტვინო, უტვინო? — მიუბრუნდა მერე შვილს.

— რა იყო, დედა?.. რა იყო, ჰა? — იკითხა გაუბედავად ნიკამ.

— შენი თვალების დაბნელება, შენი თვალების დაფსება, შვილო!.. ათასჯერ მითხრობია შენთვის, ნუ ხარ ლენჩი-თქვა, ნუ ხარ დაგლახავებული-თქვა! შეგხედოს შენმა ოხერმა ცოლმა, რომ ქმარი ყავხარ!.. არ გაგაგონა დამბადებელმა არაფერ-

ირი, ჩემი დარიგება შენ ვერ გეიგონე! იმიტომაც კაი საქმე გეიმართება.

მარინემ ცომის ზელას თავი დაანება და ხელებწაკაპიწებული, გაშტერებული იქვე თაროსთან იდგა და გაოცებით ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს.

ნიკამ ერთი თვალით გადახედა მას და ისევ შეეკითხა დედას:

— რა ქნა მაგ შეჩვენებულმა, ჰა, რა ქნა, რა?

ოჰ, რა საზიზღარი რამ იყო ამ წამში მარინესათვის ეს დედის ყურმოჭრილი მონა-შვილი.

— რა ქნა? ჰკითხე, ჰკითხე... თვითონ მოგახსენებს... მაგას ხომ არაფრისა რცხვენია!.. შარაგზაში რომ ძროხა დედაკაცი საარშიყოდ გამოდგება, იმას რიღასი რცხვენია?.. სულ დაივიწყე, შე შეჩვენებულო, სირცხვილი?! სვინდისი აღარ შეგრჩა ცოტაოდენი მაინც მაგ შენს გარყვნილობაში?.. ისიც აღარ იფიქრე, რომ ამ შარაგზაში ვინმე დაგინახავდათ?.. თუ აღარც კი ერიდები ვისმეს?.. ჰა? ამ ზომამდინ მივიდა შენი თავხედობა და უნამუსობა?.. ჰმ! რასაკვირველია, ამ ღვთის გლახას წუწკი აზნოუშვილი დავითი სჯობია!.. რასაკვირველია, რასაკვირველია! მარა მე რას მიპირობ?.. მე დამივიწყე, რომ ცოცხალი ვარ?.. შე გარყვნილო, შე უტიფარო! — ყვიროდა ბრაზმორეული ფეფენა, რომელიც თავს ვერ იკავებდა თავის გულისწყრომის გამოთქმაში და ამასობაში უფრო და უფრო ხელდებოდა და ბორგდებოდა.

მარინემ ჯერ დრო მისცა ამ დედაკაცს ამოესვარა ტალახში მისი ნამუსი, მერე კი სცადა თავის გამართლება; ცდილობდა აეხსნა, თუ რარიგად შეხვდა მას დავითი, ეფიცებოდა, რომ მას, მარინეს, დავითისათვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ხმაც არ გაუცია. მაგრამ ყოველივე ეს ამაო იყო... ფეფენას აღარაფერი ეყურებოდა ამგვარები, მხოლოდ მარინეს ხმა უფრო ახელებდა, უფრო ბრაზს უმატებდა და ბოლოს იმ ზომამდის მივიდა, რომ არავითარ სიტყვას აღარ ერიდებოდა მარინესთვის; სიტყვა სიტყვაზე უფრო მყრალი, პილწი, ეჭვი ყოვლად აზიზღარი, სარწმუნოდ აღიარებული, უანგარიშოდ, უზომოდ ეყრებოდა თავზე ყმაწვილ ქალს.

ბოლოს ამასაც ულალატა მოთმინებამ და, რაც ძალა ჰქონდა, განწირულებით შეჰყვირა გააფთრებულ დედაბერს:

— გაჩუმდი!.. გაჩუმდი!.. კმარა!.. — და ცხარე ცრემლები შადრევანივით წამოსკდა თვალებიდან. მთელი სხეული უცახცახებდა მას.

— ვის უბედავ, შენ, მაგას, ჰა? ვის უბედავ?.. — წამოეარდა ნიკა და მარინესაკენ წაიწია.

— ღვთის გლახა!* ღვთის გლახა! — ზიზღით მიაძახა მარინემ ქმარს — ღვთის გლახა!.. იქით, ახლოს არ მომეკარო!

— შეხედე, შეხედე ამ გარყვნილს!.. შეხედე ამ არაწმინდას! — მიაყვირა ფეფენამ და ამანაც მარინესაკენ მიიწია.

— არაწმინდა რომ არ იყვე, კუდიანიც არ იქნებოდი! — გადმოსძახა მარინემ.

— გარყვნილო, როსკიპო!* სხვას აბა რას იტყვი... როსკიპო, როსკიპო! — იწივლა ფეფენამ, მოიქნია ჯოხი და ის იყო თავში უნდა დაერტყა მარინესათვის, რომ ამ უკანასკნელმა ვეფხვივით ისკუპა თავისი ადგილიდან, ერთ თვალის დახამხამებაში დაეძგერა მოხუცებულ დედაკაცს, ღონივრად მოიქნია იგი და მძლავრად მიწაზე დაახეთქა.

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ნიკა სრულიად დაიბნა თავდაპირველში, მერე უცბად წამოავლო ხელი პატარა სამფეხიან სკამს და მარინეს ესროლა, მაგრამ სკამი ასცდა მარინეს და მძიმედ ეოხვდა კედელს.

მარინემ ერთი-ორჯერ ჩაჰკრა წიხლი ფეფენას და კარში გავარდა.

— სად მიხვალ?.. სად მიხვალ, შე შეჩვენებულო?.. გაჩერდი, თვარა ეს არის მოგკალი!.. — ყვირილით გასდია უკან ნიკამ.

მარინემ ერთ წამში გადაირბინა ეზო, გადახტა ღობეზე და ბნელ ღამეში შველივით მიჰქროდა ორღობეში.

— მიშველეთ, მიშველეთ! — ყვირილით მივარდა მარინე ონისიმესას. — ბიძია, მიშველეთ, თვარა მომკლეს!..

შეშინებული ჯალაბობა გარეთ გამოცვივდა ამ ყვირილზე და, გაოცებულნი მარინეს შეხედულებით, ეკითხებოდნენ, თუ რა ამბავი მოხდა.

ძლივს მოასწრო მარინემ ორიოდე სიტყვის წარმოთქმა, რომ ეზოში ნიკამაც შემოირბინა.

— აქ არი, ბიძია, მარინე? — დაიძახა მან.

— შენ ხარ, ბიჭო, ნიკა? — შეეკითხა ონისიმე.

— ჰო, მე ვარ, ბიძია, მე! მარინე თქვენთან არი?

— ბიჭო, რა ღმერთი გიწყრებათ, რა ავი ზნე გივლით! აღარ გრცხვენიათ მაინც?

— მაგას უწყრება ჩემი გამჩენი, მაგას!.. მაგ უსინდისოს, გარყვნილს! ბიძია, დედაჩემი გამილახა მაგან, დედაჩემი! რავა არ მოვკლა მაგ?.. ნუ გყავთ სახლში... გამოაგდეთ... კარში გამოაგდეთ!

— შენმა სიცოცხლემ! — გამოსძახა მარინემ სახლიდან.

— აბა სხვაგან სად წავიდოდა?.. უკეთეს თავშესაფარს სად მონახავდა?.. მარა ძალიან შემცდარი ბრძანდები! — მოისმა ღამის სიბნელეში ფეფენას ხმა: — მად არის, ბიჭო ხომ?

— კი, დედა, აქ არის, აქ! — მიუგო ნიკამ.

— არ გრცხვენია, ბატონო ონისიმე, არ გრცხვენია ახლა?.. აქ გამომიყვანე მაგ შეჩვენებული!.. ფეფენა სახლის წინ გადმოხურულში შემოვიდა, სადაც სხვები იყვნენ.

— ორივე დედა-შვილი თავიდან მომშორდით, დამითხოვიხართ ამ ჩემი სახლიდან... ამ ჩემს ეზოში არ გნახოთ არც ერთი... ახლავე გამეცალეთ!.. თქვენთან ლაპარაკის თავი არა მაქვს მე! — შეუტია გაჯავრებით ონისიმემ.

— შენთან სალაპარაკოდ კი არ მოვსულვარ, ვაჟბატონი..: გოგო გამოაგდე გარეთ, გეუბნები... გესმის? — წყრომით შესძახა ფეფენამ მაზლს.

— ონისიმე, კაცო... გეიგონე ჩემი. ნუ იკიდებ შენი ოჯახის საცოდაობას... ნუ ახელებ მაგას... გაატანე მაგ ბოვში! — ხმადაბლა წაულაპარაკა სოფიომ ქმარს.

— მაგის მეშინია, თუ რავა გონია მაგას!.. ახლავე გავაძუნძულებ ეზოს გადაღმა, თუ კაცი ვარ! — წამოიძახა ონისიმემ და წინ წაიწია, მაგრამ სოფიომ წაავლო უცბად ხელი ახალუხის კალთაში და უკან დაახევინა.

— მოჰკიდე, ბიჭო, მაშაშენს ხელი, ფეხი არსად გადაადგმევინო! — უთხრა მან იქვე მდგარ შვილს და თვითონ კი სახლში შევიდა.

— მარინე, შვილო, წაჰყევი... წაჰყევი, ჩემო ბიცოლა! ნუ გეიმეტებ ბიძიშენის ოჯახს, შენი ჭირი შეეყაროს შენს ბიცოლას! ამოგვწყვეტს, ამოგვბუგავს... აღარ დაგვინდობს... .ათას უბედურებას შეგვყრის მაგ შავდღეზე გაჩენილი! ნუ მოიკიდებ ჩვენს ცოდვას... შენთვისაც აჯობებს, რომ წაჰყვე, შენ ნუ მომიკვდები! — ხვეწნა დაუწყო სოფიომ მარინეს.

— ბიცოლა, მომკლავენ!.. მომკლავენ, ბიცოლა! არ იცი შენ მაგათი ამბავი... ღმერთმანი, მომკლავენ!.. ბიცოლა, ნუ მოაკვლევინებ მაგათ ჩემს თავს... ბიცოლა, შენ დაგენაცვლე, შენი სულის ჭირიმე, დამიფარე, მაგათ ხელიდან მიპატიე! მომკლავენ, მომკლავენ, მაგ ურჯულოები! — მოთქვამდა მარინე.

— ნუ გეშინია, შვილო... მე შეგარიგებ ფეფენასთან... მე დოვუჩოქებ და ისე შევეხვეწები, გაპატიოს, დედაშვილობამ... ოღონდ ახლა წაჰყევი... ოღონდ მაგას ჩვენზე ნუ გაახელებ... მე შეგარიგებ... ნუ ტირი, შენი სულის ჭირიმე... კაია, ნუ ტირი!.. — და თვალცრემლიანი სოფიო გულში იხუტებდა მტირალ მარინეს და თავსა და პირს უკოცნიდა.

— როდემდის უნდა ვიყურყუტო ამ ღამეში? — წამოიძახა ფეფენამ: — უმაგისოდ მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

— გიახლებათ, ბატონო, გიახლებათ, შენი ჭირიმე! — დაიძახა სახლიდან სოფიომ; გადმოხურულში გამოვიდა, მარინე გამოიყვანა თან და ფეფენას წაუყენა წინ.

— ჩემო ბატონო, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე... აპატიე მაგ უბედურ მისი უგუნურობა, — დაუწყო ხვეწნა სოფიომ ფეფენას: — ნუ დასჯი შენი სულგრძელობისათვის!

— ხელი მოჰკიდე, ბიჭო! — უბრძანა ფეფენამ ნიკას: — არსად გაგექცეს კიდევ!.. წამობრძანდი, ქალბატონო!

სოფიოს სიტყვები კი ვითომ არც კი გაეგონოს, ისე წაუყრუა ფეფენამ მას. ნიკამ ჩაავლო მარინეს მკლავში ხელი და ეზოდან გაიყვანა.

მტირალი მარინე დასაკლავი პირუტყვივით მიჰყვებოდა ქმარს.

— აი დაგწყევლა ჩემმა გამჩენმა!.. არაწმინდა რაღაც გაუჩენიხარ ღმერთს! — მიძახა ონისიმემ ფეფენას.

— გაგიხმა მაგ ენა!.. — შეუტია სოფიომ და ისევ ფეფენას

გაჰყვა ხვეწნით, რომ მას ეპატივებინა მარინესათვის მისი დანაშაულობა.

ამ დღიდან სრულიად მიიკარგა მარინე; სოფლად მოსიარულე იგი არავის უნახავს. სოფლელები ლაპარაკობდნენ, რომ ქმარმა და დედამთილმა, როცა ონისიმესაგან სახლში მიიყვანეს, გალახესო, დედამთილი სახლს გარეთ არსად უშვებსო, ეზოშიაც არ ახედებსო.

მეზობლობაში რძალ-დედამთილის უცნაურად გადაკიდებას და ყოველგვარ უთანხმოებას იმით ხსნიდნენ, რომ ფეფენას არ შეეძლო ეგუებინა თავის მახლობლად იმისთანა ქალი, რომელიც მისი კუდიანობის მონაწილე არ გახდებოდა და იგი, ვითომც ცდილობდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, არა საშუალებას არ ზოგავდა, ოღონდ კი მარინე თავისი ხელქვეითი გაეხადა, გაეკუდიანებია. ეს ყველას უტყუარ საბუთად, ჭეშმარიტებად მიაჩნდა და, როცა ფეფენას ოჯახში წინანდელი უთანხმოების ამბავი აღარ ისმოდა მეტად, ყველამ დაამტკიცა, რომ ფეფენამ თავის საწადელს მიაღწია, მარინე დაიმორჩილა და კუდიანობაში გარიაო.

„გული ამოსჭამაო, ამბობდნენ, და ყოლისფრის ხალისი დაუკარგაო; როგორიც თვითონ არის იმისთანა გახადაო".

ამაში უფრო რწმუნდებოდნენ მით, რომ მნახველები მარინეს ვეღარ სცნობდნენ, — სრულიად ვეღარ სცნობდნენ მასში უწინდელ მარინეს. ახლანდელი მარინე თავისი დედამთილივით ერიდებოდა ყველას, ძვირად ვისმე გამოელაპარაკებოდა, აღარავისი ნახვა, შეხვედრა მას აღარ ეხალისებოდა წინანდებურად. საწყალს ყველაზე გული გაუტყდა; ონისიმემაც, ვისიც ყველაზე დიდი იმედი ჰქონდა, ვერ დაიფარა იგი ფეფენას ხელისაგან; მას გადახდა ყოველივე თავისი და ახლა აღარავინ ესაჭიროებოდა მომხმარედ. აშკარად დაინახა, რომ ფეფენას წინააღმდეგი ვერავინ გამოჩნდა, რომ ფეფენა ყველაზე ძლიერი ყოფილა, რომ მასთან ბრძოლა ამაო იქნებოდა და დაემორჩილა, ეყმო სულიან-ხორციანად. მარინეს მაყურებელნი კი ამნაირ მდგომარეობას მის გაკუდიანებას აწერდნენ.

ფეფენასთან ერთად ახლა მარინესაც დაუწყეს რიდება, ახლა მისი შიშიც მიემატათ მეზობლებს.

ამ ბოლო დროს ლაპარაკი ისმოდა, რომ ამა და ამ კაცს

მთლად საქონელი ავად გაუხდა, ამას წვრილფეხობა* აღარ ეზრდებაო, ამას ეს ცუდი საქმე შეემთხვაო და ეჭვი მარინეზე მიჰქონდათ... მისი გაკუდიანების შემდეგ მომრავლდა სოფლად ყოველივე უბედურებაო... ახლა ბავშვებსაც კი აშინებდნენ მარინეს სახელით და საქმე იმ ზომამდის მივიდა, რომ მარინეს ერთხელ ვიღაც ბავშვი შეხვდა, ამ უკანასკნელმა შექმნა შიშისაგან საშინელი ყვირილი და გულგადატრიალებულმა ძლივს მიაღწია ცოცხალმა სახლამდის.

ერთი მოხუცებული დედაკაცი, რომელსაც ფეფენასათვის უარი ვერ ეთქვა და სიმინდის სარჩევში მოსახმარებლად სახლში წაჰყოლოდა და მათთან ვახშამიც ეჭამა, ყველას არწმუნებდა, რომ, გამოვცილდი თუ არა ფეფენას სახლს, პირის საშინელი აყროლება ვიგრძენიო... გულგახეთქილ მოხუცებულს ვერას გზით ვერ მოეშორებინა ეს საძაგელი სუნი პირიდან და უზომოდ შეწუხებულს თავშალის ყურით მაგრად აეკრა ცხვირ-პირი; მთლად ჯალაბობა* გაეკვირვებინა თავისი ხმის ამოუღებლობით, ეგონათ თურმე, ავად თუ არისო... თეთრად გაეთენებინა ის ღამე და ალიონზე მაკრინე-მკითხავთან წასულიყო... მაკრინეს ეთქვა, — ქალალდიდან* ამოეკითხა, — რომ ეგ ამბავი მარინეს საქმეაო, ფეფენას რად მოეხმარეო... ხანდახან თურმე კუდიანობაში ეჯიბრება კიდევაცო... მაკრინეს ამასთანავე შენალოცი მარილი მიეცა ამ დედაკაცისათვის და ის მარილის პირში ხშირ-ხშირად გამოვლებით განთავისუფლებულიყო საზარელი მდგომარეობისაგან. ვინ იქნებოდა იმისთანა, რომ არ დაეჯერებინა ეს ამბავი, როდესაც ამას ამბობდა ის, ვისაც ყოველივე ზემოხსენებული თავს გადაჰხდომოდა.

მარინე ნამდვილ კუდიანად იყო ცნობილი.

— წადი, კაცო, წადი, მეტი გზა აღარ არის, წადი და მაგ უბედურის ჭირისუფალს შეატყობინე მათი შვილის ამბავი... — ეუბნებოდა ონისიმეს სოფიო.

— მრცხვენია, ქალო, მრცხვენია, გესმის!.. რა პირით დეევნახო მარკოზას?.. რარიგად მოვუყვე მისი შვილის გაბოროტიანება? — ამბობდა მწუხარებით სავსე ონისიმე: — სიტყვა მივეცი პატიოსანი, თქვენი შვილის მეთვალყურე ვიქნები-თქვა, მე ვუპატრონებ, თუ რამე გასაჭირი შეხვდა-თქვა... წადი ახლა და ასეთ ამბებს მოუყევი! მოვმკვდარიყავ არ დავეძებდი, და

ამისთანა სირცხვილში კი არ ჩავვარდნილიყავი!.. რაზე გვევ-
რიე, მე ოხერი, მაგათ საქმეში... მარა ამისწულია ის გლახაკი
და შემეცოდა... ქალს ვინ მიცემდა, თუ მე არ მეთავებია?..
რა მეგონა, თუ ამისთანა რამეს ნახავდა ჩემი თვალები!..

— ბედი ჰქონებია ალბათ მაგ საცოდავს მაგისთანა, აბა რა-
ვაა?.. ყოველისფერი ღვთისაგანაა... ვენაცვალე მის ძლიერე-
ბას! — ვითომდა სანუგეშოდ უთხრა ქმარს სოფიომ.

— აბა, სხვაფერ რავა იქნება! — ეთანხმებოდა მოხუცებუ-
ლი ონისიმე: — სხვაფერ აბა რავა იქნება?! რაც ადამიანს
უწერია, ვინ ააცდენს თავის წერას?!. — აბა, წავალ ხვალ მარ-
კოზასთან... — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა ონისიმემ.

— წადი, წადი!.. ეგებ იმათ უსაშველონ* რამე... უთხარი,
რომ ჩვენ სრულიად აღარ გვეკარება, თორემ რამე საშვალე-
ბაა ვიხმარდი-თქვა... ჩვენს სიტყვას სულ არ იკარებს-თქვა...
არ დაავიწყდეთ, მათ მახლობლად საიქიოს ნამყოფი კაცი რომ
არის — გამოტეხა შენაძლება ახლად გაკუდიანებულების —
იქას სთხოვონ, ეგებ წამოყვეს და გამოტეხოს, კუდიანობიდან
ეგებ რამეფერად ფეხი ამოადგმევინოს იმ დალოცვილმა... სულს
არ წააწყმედინებენ მაინც უბედურს და შავდღეზე გაჩენილს!

ონისიმე ფოცხვერაძემ უამბო მარკოზა ხმელაძეს მისი შვი-
ლის ამბავი და ამან სიძე-მძახალზე დამუქრებით გამოსწია
წითურეთისკენ შვილთან. მარინეს დედა, მოხუცებული ესმა,
ვერაფრით ვერ დააკავეს სახლში; შორი გზა ჰქონდა გამოსავ-
ლელი, მაგრამ რაკი, წამოსვლა თქვა, ვერას გზით ვერ გა-
დაათქმევინეს; შვილის ნახვის სურვილმა, როცა მისი ამბავი
ეაიგო, ყოველი შორ გზაში მოსალოდნელი გაჭირვება არარად
ჩააგდებინა. უბედური მშობლები მივიდნენ საიქიოს ნამყოფ
ვასილ კარიკაძესთან და შემწეობა შესთხოვეს; ამასაც არავი-
ათვის არასოდეს უარი არ უთქვამს, როცა მის შემწეობას
ვინმე საჭიროებდა და არც ამათ უთხრა; მათთან ერთად გას-
ია წითურეთში.

მიწურული შემოდგომის გრილი დილა იყო. მზე დიდი ხნის
მოსული არ იყო. მტვრიანი გზით მიმავალნი ჯერჯერობით
ალისით მიდიოდნენ და დაღალულობას ვერ გრძნობდნენ.
ვასილი და მარკოზა წინ მიუძღოდნენ, ესმა და ონისიმე კი მათ
ისდევდნენ. გზადაგზა ლაპარაკის მოყვარულმა მარკოზამ

უამბო ათასგვარი თავგადასავალი ვასილს, და ეს უკანასკნელი ისე წახალისდა, რომ თვითონაც მოჰყვა იმის ამბავს, თუ როგორ მოიარა საიქიო.

— ჭურის თავზე ცხონებულ მამაჩემს, — ასე დაიწყო ვასილმა თავისი ამბავი: — ერთი ძველი, დაბერებული მუხა ჰქონდა. ცხონებულმა ამ მუხის მობელვა* მითხრა ერთხელ. ხეზე ჩემი ასვლა და ჩემს ხელში ნაჯახის დამძიმება ერთი იყო... ეს კარგად მახსოვს... ყური არ ვათხოვე ამას, დავუწყე შტოებს ჭრა... ერთი შტო მოვჭერი, ჩამოვაგდე, მეორე მოვჭერი, ჩამოვაგდე; მესამე შტოს რომ მოვუქნიე ნაჯახი, ვერ მოვახვედრე, ორჯელ-სამჯელ დავაცილე... გული მომივიდა, ნუთუ ასე მომეღალა ხელი-თქვა; ერთი ღონიერად მოვიქნიე — მოხვდა შტოს, მართალია, ჩემი ნაჯახი, მარა არ გაჭრა, სულ არ მიეკარა რკინა ხეს!.. თურმე რას მოსჭრი?! ჩვენ აბა რა ვიცოდით, მერე გევიგეთ... თურმე ამ მუხაზე ანგელოზებს* ცოდნიათ ჩამოფრენა... მერე მივხვდით ამას ჩვენ!.. მე კი უფრო მომივიდა გული, რომ შტოს ვერაფერი მოვუხერხე... ზედ გადამჯდარმა, რაც ღონე მქონდა, კიდევ მოვიქნიე ნაჯახი... ახლაც ვერაფერს დაგაკლებ-თქვა თუ გუნებაში ვთქვი?! შენს მტერს, მე რომ დამემართა. უცბად თვალებში წამომიბნელდა, წინ რაღაც შავად წამომეფარა, აზრი დამეკარგა და ხიდან ჩამოვარდნილს ძლივს დამყოლია სული მიწაზე... ცოცხალ-მკვდარი მნახეს თურმე მუხის ქვეშ და წამიღეს სახლში... ისეთი ავად შევიქენი, ისეთი, რომ ჩემს მორჩენას ადამიანი აღარ ფიქრობდა თურმე!.. რა არ ექნა მამაჩემს! რა საშვალება არ ეხმარა; ჯერ განატეხი თურმე გაატანია დედაკაცებს. მერე ცხრა გამოცდილ ქალს ცხრა-ცხრა სანთლით ხელში თითოს ცხრა-ცხრა ლოცვა ათქმევინა იმ მუხასთან, წმიდა გიორგის ხატისთვის ჩემი ზომა წმიდა სანთელი მიერთმია, მაგრამ არ მეშველა და არ მეშველა მაინც არაფერი. ისევ ისე უიმედოდ ვარ თურმე... ერთ დღეს მოვმკვდარვარ კიდევაც... შეექმნათ თურმე ერთი ტირილი, კივილი... ჩემს გასვენებაზე დეიწყეს ლაპარაკი... მე არაფერი არ მესმის... ამასობაში მე ზეცაში დავფრინავ... ჩემი სული, რასაკვირველია... ქვეყნად მარტო ჩემი ლეში იდვა ტახტზედ... სული კი მაღლა-მაღლა მიფრინავს... ზევიდან დავჩერებივარ დედამიწას... ბურთივით პატარა მოჩანს... უცბად

ჩემს თვალწინ გეიშალა იმისთანა თვალუწვდენელი ამწვანებული მინდორი, იმისთანა, რომ მის ნახვას არაფერი ჯობია... მინდორია იმისთანა, კიდე არა აქვს... მთელი წელიწადი რომ იარო, გარს ვერ შემოუვლი... მუხლებამდეა მწვანე, აბრეშუმივით ბალახი... არის გაბნეული ამ ტრიალ მინდორზე უთვალავი ცხვარი და ბალახს წიწკნიან... სულ, სადაც მიიხედავ, მარტო ცხვარია... აგერ ერთია, აგერ ორი ერთად, სამ-სამი, ხანდახან ოთხ-ოთხიც დადიან და ჭამენ მშვენიერ ბალახს... წვრილი გზა შემხვდა ერთი... დავადექი ამ გზას. ვიარე, ვიარე და ერთ წყაროსთან მივედი... წყალია იმისთანა, რომ მკვდარს გააცოცხლებს მისი ერთი წვეთი... წყაროსთან კაცია, წევს... დამიძახა, — სადაური ხარო, მკითხა. მე მოვახსენე, რომ ამა და ამ სოფლიდანა ვარ-თქვა, ამა და ამ კაცის შვილი-თქვა. „აბა, შენი აქ მოსვლა ჯერ ადრეა... შენ ისევ დედამიწაზე უნდა დაბრუნდეო... გაჰყევი ამ გზას, არსად გადაუხვიო, ბოლოში სიმონა კიკაბიძეს შეხვდებიო, მიხვალ იმასთან და ის გასწავლის გზას, დედამიწაზე რომ ჩახვიდეო... მითხრა: თუ გალობა რამე გეიგონო, დეიჩოქე და ისე იყავი, სანამ გალობის ხმა არ შეწყდებაო“... გამიხარდა, სიმონა კიკაბიძეს ნახავო, რომ მითხრა... გავსწიე ნაჩვენები გზით... ვიარე, ვიარე ამ მინდვრით... სულ ცხვრით იყო სავსე იქაურობა... ბევრი ვიარე. ერთ ადგილას შემხვდა სიმონა... ზის და მასთან რამოდენიმე ჩვენი სოფლის მიცვალებულებიც არიან... მუსაიფობენ... დამინახეს, გეეხარდათ, ამბავი მკითხეს... მერე მე ვკითხე: ეს რა ადგილია-თქვა? მიპასუხეს, რომ სამოთხეაო და წყაროსთან რომ კაცი იწვა, ანგელოზი ყოფილიყო თურმე... რასაც ცხვრებს ხედავო, ცხონებულთა სულიაო... ანგელოზი უყურებს მათ, არა დააკლდეთ რაო. რომ ვლაპარაკობთ ასე, მოისმა იმისთანა მშვენიერი გალობა, რომ მთელ სიცოცხლეში მისი ყურება რავა მოეწყინება ადამიანს!.. ყველამ მუხლი მოვიყარეთ... სიმონამ მითხრა, ანგელოზთა ვალობაა, ღმერთს ადიდებენო... ბევრი ვილაპარაკეთ, ბევრი ჩვენებური ვნახე, ვინც იქ იყო... სიმონამ მითხრა, რომ მამიშენის ლოცვა ძალიან წაგდგომიაო, ღმერთს შენზე მოწყალება მოუღია და აქ ნუღარ იგვიანებო... როგორც გითხრა ანგელოზმა, დედამიწაზე მალე დაბრუნდიო... ყველას გამოვეთხოვე, სიმონამ გზა

მასწავლა და ჩემი სული სწორედ იმ დროს დაუბრუნდა ჩემს ლეშს, როცა გასვენებას ის იყო მიპირობდნენ. ყველა გაშტერდა, გაცოცხლებული რომ მნახეს!.. რა სიხარული, რა ამბავი, კაცი რავა გამოთქვამს?! ერთ თვეზე სრულიად გამოვკეთდი და მას აქეთია, ღვთის შეწევნით, ფიხილი არ წამოშტკენია ტყვილა... ასეთი მოწყალება მიიღო ჩემს თავზე ჩემმა გამჩენმა, ვენაცვალე მის დიდებას!.. — და ვასილმა პირჯვარი გადაისახა. — ის ძალაც მომანიჭა, რომ ბოროტი ადამიანის გამობრუნებაც ადვილი გახადა ჩემთვის.

— ვენაცვალე ღვთაებას... არ ვყევართ მოძულებული კიდევ და შენისთანა კაცებს გვაღირსებს ხანდახან ჩვენდა გასამხნევებლად. — მარკოზამაც პირჯვარი გადისახა ამ სიტყვებზე.

— სწორედ, სწორედ! — დაეთანხმა ონისიმე.

— შენ დიდი ხნის სიცოცხლე გექნება დანიშნული ღვ...დან! — მიმართა მარკოზამ ვასილს. — შენისთანა კაცები დიდხანს ძლებენ და ძალიან მაგრებიც არიან! მე ვიცი რამოდენიმე მაგალითი... ცხონებული მამაჩემისაგან გამიგონია ასე!

— კი, კი, მართალია! — ემოწმებოდა ონისიმე.

— ასე იტყვიან, მართალია, — თქვა ვასილმა: — მარა ყველაფერი ღვთის ნებაა. რავარც იმას ნებავს, ისე იქნება... ისე იქნება...

— რასაკვირველია, რასაკვირველია! — ერთხმად წამოიძახეს ონისიმემ და მარკოზამ.

ესმა კი ხმას არ იღებდა; იგი სმენად იყო გადაქცეული და ამ უცნაური კაცის უცნაურ ამბავს ყურს უგდებდა.

საღამო იყო, როდესაც ჩვენი მგზავრები ონისიმესას მივიდნენ.

— სოფიო, ქალო, ეი!.. კარი გააღე და სტუმრებს გამოხედე, — დაიძახა ონისიმემ, თავის ეზოში რომ შეიყვანა ვასილი, მარკოზა და ესმა.

სახლის კარი გაიღო, სოფიო გამოვიდა, დიდის თავაზით შეეგება სტუმრებს და სახლში მიიწვია.

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, მობრძანდით... დაღალული ბრძანდებით... კაი გზა გაქვთ გამოვლილი... ღმერთო,

მომკალი, თქვენ რამ შეგაძლებინათ ამათთან სიარული, ჩემო ბატონო? — მიუბრუნდა იგი ესმას.

— გამწარებამ, ჩემო ბატონო, გამწარებამ, ჩემო ანგელოზო! — ნაღვლიანად წარმოსთქვა დაღლილობისაგან ძლივს ფეხზემდგომმა ესმამ.

— დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი და მისი მონაწილეც!.. მარა ღმერთი მოწყალეა, იმის იმედით ვინუგეშოთ, ჩემო ბატონო! — ამოოხვრით და მონაწილეობით უთხრა სოფიომ; მერე უცბად ლაპარაკის კილო შესცვალა, ვასილზე თვალით ანიშნა და ხმადაბლა ჰკითხა ესმას: - -ეს არის, ბატონო, საიქიოს რომ ბრძანდებოდა?..

— კი, შენი ჭირიმე! — მიუგო ესმამ.

— აბა ღმერთი ჩვენსკენ ყოფილა, — იმედიანად და ხალისით თქვა სოფიომ: — აწი აღარაფერი გვიჭირს!

— დედაკაცო! — წამოიძახა ონისიმემ ცოტა ხნის შემდეგ: — ბატონი ვასილი დაღლილია და მოსვენება ეჭირვება... აბა, თუ გაქვს რამე, დროით მოგვიტანე და ის იქნება...

— ნამდვილი კაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა. მაგაზე უკეთესი არაფერი იქნება! — სიცილით თქვა მარკოზამ.

— ხელად სუფრა, ბიჭო! — მიაძახა შვილს ონისიმემ: გოგო, შენ რას გაყუჩებულხარ მანდ ყურეში?.. დედაშენს ხელი მოუწყვე!..

ერთ წამში სუფრა მზად იყო.

მადაზე მოსულმა მარკოზამ ვეღარ მოითმინა და წამოიძახა:

— მადლიანი დედაკაცის ჭირიმე!.. მე და ჩემმა ღმერთმა!

— ნეტავი შენ!.. ყოველთვის რომ კარგ გუნებაზე ხარ! — უკმაყოფილოდ შეუტია ესმამ.

— აბა ვიტირო ახლა, დედაკაცო, თუ?.. ცოდვა არ იქნება, მასპინძლის ამისთანა სუფრას მოღუშული რომ შემოვუსხდეთ!.. აგრე არაა, ბატონო? — მიმართა მარკოზამ სოფიოს, რომელიც სუფრას აკრიალებდა.

— კი, ჩემო ბატონო, კი შენი ჭირიმე, მართალს ბრძანებთ!.. — ტკბილად მიუგო მან.

— ნუ გეშინია, იმ კუდიან დედაკაცთან ანგარიშის გასწორებას კიდევ მოვესწრებით!.. სად წამივა? ხვალ ალილოზე

დავეცემი თავზე ორივე დედა-შვილს და შავ დღეს დავაყენებ... როგორც კაცი! ახლა კი ამ ვახშამს შევექცეთ... ტკბილი ღვინო დავლიოთ... მასპინძელს სუფრას ნუ დავუწუნებთ. ნურც ბატონ ვასილს მოვაწყენთ!.. არა, მძახალო, ჰა? — იძახოდა მარკოზა.

— კი, ჩემო მარკოზა, კი, ჩემო მარკოზა! — ამხნევებდა ონისიმე.

— შენთან ნურას უკაცრავად, ჩემო ბატონო, შენი ჭირიმე, — მიუბრუნდა ვასილს მარკოზა: — თუ რამ უზრდელობა შემნიშნო, მაპატივე... შენ სულ სხვა კაცი ხარ!..

— მოილხინე, ჩემო მარკოზა, მოილხინე, — დინჯად მიუგო ვასილმა: — მე რაში მერიდები, შე კაცო!

— იცოცხლე, კაცი ბრძანდები და კაცი... შესმენილი და ღვთისგან დაჯილდოებული!.. აბა, ონისიმე, ვასილს ღვინო მიართვი! — და მარკოზა ისე გამხიარულდა, რომ გეგონებოდათ, სრულიად დაავიწყდაო, თუ რამ მოიყვანა იგი ონისიმეს ოჯახში. ესმას თუმცა ძალიან სწყინდა ქმრის ამნაირი უსაქციელობა, მაგრამ ვერაფერი გააწყო მარკოზასთან, რომელიც ყოველ მის თხოვნაზე, რომ დაწყნარებულიყო, პასუხად უგებდა:*

— ნუ გეშინია, ვერსად ვერ წაგვივა ის კუდიანი შენი მძახალი, ვერსად ვერ წაგვივა! ხვალ გიჩვენებ მის სეირს!..

დილა ადრიანი იყო, მარკოზა რომ მეორე დღეს სიძისას ეადავიდა.

— გამარჯვება შენი! — უთხრა მარკოზამ ნიკას, რომელიც სახლის წინ რაღაცას თლიდა წალდით.

— ღმერთმა თქვენი თავი მიცოცხლოს!.. საიდან, ბატონო, როდის მობრძანდით?.. ღამე გივლიათ!.. — მიეგება ნიკა სიმამრს.

— მარინე შინ არი?

— სახლში გახლავს, აბა სად იქნება?

— ავად ხომ აღარაა?

— არა, აჰ!

— ჩვენთვის არ უნდა შეგეტყობინებინა, ბიჭო, შენი ცოლის ავად ყოფნა?

— ისე ავად რომ არ ყოფილა...

— ჰეი, შვილო! — სიტყვა გააწყვეტინა მარკოზამ: — ქვეყანაზე კაცს რა დეემალება?!. მარგალიტივით ქალი მოგეცი და ეაგლახად ვერ შეგალახეინებ მის თავს, იცოდე!..

— შენთვის რაღაც ენა მოუტანიათ ჩვენზე... ათასი მტერი გვყავს... — გაუბედავად დაიწყო ნიკამ.

— ეს თქვენი სიგლახით, თვარა ჩემ შვილზე მტრობას კაცი არ ჩაიგდებს გულში მიდღემჩი...

— ვის ელაპარაკები, ბიჭო? — მოისმა სახლიდან ფეფენას ხმა და ამასთანავე მოხუცებულმა დედაკაცმაც კარში გამოიხედა, დაინახა მარკოზა და შესძახა — უიმე!.. თქვენ ბრძანებულხართ! სახლში შემობრძანდით, ბატონო, სახლში შემობრძანდით! შე სულელო, ამდენ ხანს ვერ გამაგებიე?

მარკოზა შევიდა სახლში, ფეფენას ჩამოართვა ხელი და დაკვირვებული თვალი ააკლ-ჩაავლო მარინეს, რომელიც ის იყო მიეგება მას, მერე მოჰკიდა ხელი და გვერდით მოისვა.

მარკოზა მისჩერებოდა შვილს და თვალს არ უჯერებდა. წუთუ ეს მისი სიცოცხლით სავსე, ცქვიტი, მხიარული, პირსავსე, ლამაზი მარინეა, რომელიც ნიკას გამოატანა?! ეს სახეჩაყვითლებული, გამხდარი, თვალებმიმქრალი ქალი მარინეა?.. მაშ მართალი ყოფილა, სულ მართალი ყოფილა, ეჭვი რაღა საჭიროა, მართალი ყოფილა, რაც ონისიმემ უამბო!.. საწყალმა მარკოზამ კიდევ ერთხელ თვალი გადააკლო შვილს, უფრო მიიკრა გულზე; გულმა აღარ მოუთმინა მოხუცებულს და შვილს ჰკითხა:

— რამ გამოგცვალა ეგრე უცნაურად, შვილო? ავად ხომ არა ხარ?

— არა, ბატონო!.. — წყნარად მიუგო მარინემ.

— კარგად რომ არა ხარ, არ გეტყობა თუ?.. მე ჯერ თვალები არ ამბმია*!... — წყრომით წარმოსთქვა მარკოზამ.

მარინე შიშმა აიტანა ამ სიტყვებზე; წინდაწინვე გრძნობდა იგი, რომ აქ მშვიდობიანად არ გათავდებოდა საქმე... მამამისი სულ სხვანაირ ხასიათზე იყო... ოჰ, ღმერთო, ისევ ხელახლად აყალმაყალი, უსიამოვნება, გულის ხეოქა!.. ისევ მოეშალა ეგრე ძვირად მოპოვებული მყუდროება, მშვიდობიანობა!.. მან თითქო მოიწადინა გაქცეოდა ყოველ ამ უბედურებას, სადმე

ვადაკარგულიყო. ფეხზე წამოდგა და წასვლა დააპირა. მარკოზამ ხელი წაავლო.

— სად მიხვალ?.. დაჯექ, ჩემთან იყავ! — უთხრა მან და მარინე ისევ გვერდით მოისვა.

ფეფენა თავის გამჭრიახობით უცბად მიხვდა, რომ მარკოზა უბრალოდ მოსული არ იყო, უეჭველად ჩხუბი ასტყდებოდა მძახლებს შორის, და მან მოინდომა დაესწრო მარკოზასათვის — თავისი სათქმელი ეთქვა და ამით ამ კაცისათვის უსიამოვნო საგანზე ხმის ამოღების საშუალება მოესპო.

— მე ძალიან ვემდური, — დაიწყო ფეფენამ, — ძალიან ვემდური შენ შვილს, რომ ერთ დროს სულ არ მიიკარა ჩემი სიტყვა, ვერაფერი ვერ ჩავაგონე და ბევრი უსიამოვნება გამომარონია*... ბევრი მწუხარება მომაყენა... — და მან უამბო თითქმის ყველაფერი, რაც მათ შორის მოხდა.

მარკოზამ აცალა ფეფენას მისი სათქმელის დათავება.

— ახლა ქე მიხვდა თავის შეცდომას, — დაათავა თავისი სიტყვა ფეფენამ, — და ქე მეეკიდება ოჯახს!

მარკოზა წამოდგა და მარინეც წამოაყენა.

— ამისთანა ქალი აწი ვეღარ არგებს თქვენისთანა ოჯახს!.. მე მიმყავს ჩემი შვილი! — გადაწყვეტით წარმოთქვა მარკოზამ.

— რავა მიგყავს?.. რას ბრძანებ! — შეეკითხა გაოცებული ფეფენა.

— მიმყავს!.. ისევ ჩემ სახლში მყავდეს... მე თქვენზე უკეთ მოვუვლი, თუ თქვენ ვერ დააფასეთ! — და მარკოზამ უფრო მაგრა ჩაავლო მარინეს ხელი. — წამოდი ჩემთან!

— ღმერთო, მომკალი!.. ეს რა მესმის?!. შე სულელო, ხმას ვერ ამოიღებ, ხახა რომ გაგიღია? — შეუტია ფეფენამ ნიკას: — არ გეყურება, ცოლს გართმევენ!

ნიკა ისევ გაუნძრევლად იდგა.

— წამო, შვილო! — მარკოზამ მარინე კარისაკენ გასწია.

— მამა, მამა, შენი ჭირიმე! — ხვეწნით ეუბნებოდა მარინე მამამისს და თან ცდილობდა მარკოზას ხელიდან გაეთავისუფლებინა თავისი ხელი.

— წამო, გეუბნები, ნუ სულელობ!

— მამა, მამა, შენი სულის ჭირიმე! — თვალცრემლიანი ემუდარებოდა ყმაწვილი ქალი.

— ღმერთო, რა დღეს მევესწარი?! — წამოიძახა ფეფენამ: — რა დღეს მევესწარი?!.

— რატომ კადრულობთ მაგისთანა საქმეს, ბატონო?.. არ გეკადრებათ! — წინ გადაუდგა, გზა გადაუღობა მარკოზას ნიკამ.

— იქით, შე მართლა ქალაჩუნა*! — მარკოზამ ღონივრად მოიქნია ნიკა და განზე მიაგდო, მოსწია მარინეს მძლავრად და ძალით გაითრია ეზოში, თუმცა ყმაწვილი ქალი ტიროდა და გაიძახოდა:

— მამა, ჩემო მამა, შენს სულს დავენაცვლე... გამიშვი, გამიშვი, შენი ჭირიმე, ჩემო მამა... მომკლავენ, მამა! ვაიმე, ვაიმე! — მოსთქვამდა და უძალიანდებოდა მარინე.

— კმარა!.. გაჩუმდი! — წყრომით შესძახა მარკოზამ: — კმარა... გაჩუმდი! ვინ მოგკლავს?.. ხელსაც ვერავინ შეგახებს... ამოვარდა მაგათი რჯული, ნუ ზლუქუნებ! — და მარკოზამ გაიყოლა მარინე.

ონისიმესას სახლის აივანზე უკვე თავი მოეყარა ბლომა საზოგადოებას, რომელიც შესდგებოდა მარტო დედაკაცებისაგან.

ვასილ კარიკაძე ეზოში ნიგვზის* ქვეშ იჯდა და ონისიმეს ელაპარაკებოდა.

ჭიშკარი გაიღო; ეზოში შემოვიდა მარკოზა და თან მარინე შემოიყვანა. დაინახა თუ არა ესმამ შვილი, გამოქანდა, მივარდა მას, მოჰკიდა ბეჭებში ხელი და ცოტათი უკან დააჩოქინა, რომ კარგად შეეხედა მისთვის. უყურა, უყურა ესმამ, საცოდავ შვილს, პირისახემ ძაგძაგი დაუწყო და ერთბაშად თვალებიდან ცხარე ცრემლების ნაკადული წამოუვიდა მოხუცებულ ქალს.

— შვილო!.. შვილო!.. ვაი, შენს დედას!.. ვაი, შენს დედას, შვილო! — ძლივს შესძლო ეთქვა. ყელში მომდგარი ცრემლები ხმას უწყვეტდა მას. ესმამ გულში ჩაიკრა მარინე.

— კარგი..: გეყოფა, დედაკაცო!

მარკოზამ ქალებისაკენ წაიყვანა მარინე. უკანასკნელმა თვალი გადაავლო შეკრებილობას, ძლივს შესამჩნევად თავი დაუკრა და ბოძთან ჩაჯდა. „რას ნიშნავდა ეს, რისთვის მოუყვანია ამათ თავი?“ — ფიქრობდა მარინე და ხანდახან გაუბედა-

კად გამოიხედავდა თვალებზე ჩამოწეული თავსაფრის ქვეშიდან.

— შეგაწუხეთ, ბატონებო, შეგაწუხეთ, — მიმართა დედაკაცებს მარკოზამ: — მაგრამ დღემდის არ მცოდნია, თუ ჩემს თავზე ამისთანა უბედურება ტრიალობდა... ცუდი ამბავი შეგვემთხვა... მოგვიტევეთ... რა ვქნათ... ყველაფერი ღვთის ნებაა... ყოველივე სიკეთე მისცეს ღმერთმა ბატონ ვასილს, ეს ღვთისნიერი ადამიანი გაისარჯა, ინება ჩვენთან წამობრძანება... თუ ჩემ შვილს მართლა რამე კავშირი აქვს ეშმაკთან, ეხლავე გაგვაგებინებს ეს ღვთისნიერი კაცი...

მარინემ ამ სიტყვების გაგონებაზე ერთი კი ახედა მამამისს და მერე უფრო ჩაღუნა თავი და თავსაფარიც ჩამოიწია ისე, რომ სულ ერთიანად პირისახე დამალა.

— ამიერიდან თქვენი მაწუხებლისაგანაც თავისუფალი იქნებით და ჩვენც თქვენგან სამდურავს ავცდებით... — დაათავა სიტყვა მარკოზამ.

— მადლობელი ვართ, მადლობელი ვართ!.. ღმერთმა დღეგრძელობა მოგცეთ! — მოისმა აქეთ-იქიდან.

— სვინდისიერი კაცი ბრძანებულხარ... შვილის კაი პატრონი... ღმერთმა გიწინამძღვროს! — უთხრა ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა.

— აბა, ბატონო ვასილ, ყოველისფერი მზადაა, შენი ჭირიმე... დროს ნუ დავკარგავთ... შევუდგეთ საქმეს!.. — თავდაბლად უთხრა მარკოზამ ვასილს.

ეს უკანასკნელი წამოდგა და ქალებისაკენ წამოვიდა. მთელი საზოგადოება ფეხზე წამოდგა მის მისვლაზე და პატივისცემით თავი დაუკრეს. ვასილმაც თავის მხრივ დინჯად თავი დაუკრა ყველას საერთოდ და მიმართა:

— დაბრძანდით, დაბრძანდით! — და თვითონაც მარინეს მახლობლად დაჯდა სკამზე.

მარინე მუმიასავით* იჯდა, მიჰყუდებოდა ბოძს და თავი გულზე ჰქონდა დაყრდნობილი, პირისახე სრულიად არ უჩანდა თავსაფარის ქვეშ, ისე დაბლა ჰქონდა თავი ჩამოწეული, იგი უფრო მკვდარს ჰგავდა, ვიდრე ცოცხალს. მარინეს ზურგს უკან მოიკრუნჩხა დედამისი ესმა, რომლის დროგამოშვებით სასოწარკვეთილებითი წამოძახება: „შვილო, შვილო... რა დღეს

შეესწრო შენი ოხერი დედა!..“ და ამასთანავე გულში მეშტეების ცემა მაყურებლებს გულს უთუთქავდა.

— ბიძიკო, — დაიწყო ტკბილი ხმით ვასილმა: — შენ გაბრალებენ, ვითომ ქრისტესათვის გეღალატნოს და ეშმაკებს მიჰკერძოდე*... ვითომ მავნებლობასთან და ბოროტთან კავშირი შეგეკრას და ამის დასამტკიცებლად შენზე ბევრ რამეს ამბობენ შენი აქამდე საყვარელი მეზობლები და ამხანაგები... — ვასილმა უთხრა ყოველივე ის, რაშიაც ბრალსა სდებდნენ მარინეს და ჰკითხა: — მართალია თუ არა ეს?

მარინემ პასუხი არ გასცა.

ვასილმა ისევ განუმეორა თავისი კითხვა, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მიიღო.

— არ გესმის, რომ გკითხავენ? — მიაძახა მარკოზამ.

მარინე მაინც ხმას არ იღებდა... გაქვავებული უმოძრაოდ იჯდა.

— მიეცი, შვილო, პასუხი, პასუხი გაეცი, შვილო! — მხარზე ხელის დადებით შეეხვეწა ესმა: — პასუხი გაეცი, შვილო!

— არ იცი, ბოშო, ვინ გკითხავს!.. უბრალო კაცი ხომ არ გელაპარაკება?.. ანგელოზებთან ნამუსაიფები კაცი ხმას გცემს და შენ რა ღმერთი გიწყრება?!.. — გაცხარდა მარკოზა.

— მე უშენოდაც კი მიგიხვდები, — ისევ მიმართა სიტყვა ვასილმა ყმაწვილ ქალს: — უშენოდაც კი მიგიხვდები ყოველ შენს საქმეს, მარა შენთვის ჯობია, რომ თვითონ შენით აღიარო ყოველივე შენი ამბავი... ყველაფერში გამოგვიტყდი და ღმერთი, ჩვენი შემქმნელი და მწყალობელი, გაპატიებს შენს შეცდომას, მოგიტევებს შენს დანაშაულობას... ერა და, თუ არ გამოტყდები, იცოდე, საუკუნო წვალება მოგელის ჯოჯოხეთში, ყოველ წვალებაზე უფრო მეტი... ამაში დამერწმუნე მე, რომ მართალს გეუბნები... თუკი გამოტყდები, როგორც გითხარი, ღმერთი შეგინდობს შენს შეცდომილებას და სულსაც არ წაიწყმედ, ეშმაკს არ დააპატრონებ მასზე... ხარ კუდიანი, თუ არა? გაქვს მათთანა რამე კავშირი? — კიდევ ჩაჰკითხა ვასილმა.

სიჩუმეში მოისმოდა შეკავებული ტირილის ხმა.

— გაქვს კავშირი თუ არა კუდიანობასთან? — არ ეშეებოდა ვასილი.

— მაქვს! — ძლივს გასაგონი ხმით თქვა მარინემ.

საშინელმა, გულგამგმირმა კივილმა შესძრა იქაურობა.

— უიმე, უიმე! — სასოწარკვეთილებით წამოიკივლა ესმამ და თავზე ხელები დაიშინა.

— ქალო, გაჩუმდი, გაჩუმდი!.. არ გესმის, შენ, ეი! გაჩუმდი, გეუბნები! — ამშვიდებდა ცოლს მარკოზა მარინეს სიტყვისაგან გამშრალი, გარეტიანებული.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ვინ შეგაცდინა? ვინ გაგაჩვია კუდიანებთან? — ჰკითხავდა ვასილი.

მარინე ისევ გაყუჩდა და პასუხი არ მისცა. მარკოზას გული მოუვიდა და წყრომით უთხრა, რომ ამგვარი ჯიუტობით ვასილს აწუხებო. ამის შემდეგ ვასილმა ისევ გაუმეორა კითხვა და მარინემაც ყრუდ მიუგო:

ჩემმა დედამთილმა!

ქალები ისევ შეინძრნენ, ერთმანეთს გადახედ-გადმოხედეს. ესმა კი ისევ მუშტებს ირტყამდა გულში; ქმრის შიშით ხმამაღლა ტირილს ვერ ბედავდა საცოდავი მოხუცებული დედაკაცი.

— აბა, ახლა მოგვიყევი, როგორ შეგაჩვია კუდიანობას შენმა დედამთილმა?.. თავიდან მოყევი: რას გიშვრებოდა, რას გეუბნებოდა, ან გპირდებოდა რამეს? ჰო?

მარინემ ჯერ ხმა არ ამოიღო, მერე თითქო იფიქრა, რომ მაინც არ მომეშვებიანო, ვიდრე დაწვრილებით არ ვიტყვი ჩემს ამბავსო, და მოჰყვა ყველაფერს. მთელი საზოგადოება სმენად გადაიქცა; ზოგიერთი ქალები წამოდგნენ და მარინესკენ გამოიწიეს, რომ უკეთესად გაეგონათ მისი ლაპარაკი.

სიჩუმემ დაიპყრო იქაურობა და ამ სიჩუმეში ძლივს ისმოდა აღელვებული, მისუსტებული მარინეს ხმა, რომელიც ხშირად უწყდებოდა მოლაპარაკეს.

მარინემ უამბო, თუ როგორ გალახეს იგი დედამთილმა და ქმარმა, ონისიმესაგან რომ სახლში მიიყვანეს, რის შემდეგაც ავად გახდა... როგორ უმოწყალოდ სდევნიდა მას ფეფენა, მოსვენებას არ აძლევდა; როგორ აუკრძალა ჯერ სახლიდან

ეზოში გამოსვლა, მერე ეზოს გადაღმა გადაბიჯება, უშლიდა სხვებთან ლაპარაკს; რომ ყველგან სდევნიდა მას და ვერსად ვერ დაეფარა მისგან თავი.

— ერთხელ ვენახში დავემალე, დავწექი ბეოლის ძირშა... მიმძინებოდა, — მოუყვა მარინე, — უეცრად რაღაც შავი უშველებელი დამეტაკა, გამომაღვიძა, წამავლო ხელი და ცაში ამიყვანა ისე მაღლა, რომ თავბრუ დამესხა. დაბლა რომ გადმოვიხედე... „დამნებდიო, — მითხრა იმან, — და ჩემი ნება აასრულეო, თორემ ახლავე აქედან ხელს გაგიშვებ და მიწას დაგახეთქებო“. შემეშინდა, ავკანკალდი... ვუთხარი, კი, ბატონო-თქვა. „აბა გახსოვდეს ეგ შენი სიტყვა... მე ხუმრობა არ ვიციო“... ჩავაჩერდი, ვინ მელაპარაკებოდა, მინდოდა შემეტყო... იმ შავ მოჩვენებაში ჩემი დედამთილი ვიცანი... მე უფრო შემეშინდა კიდევ და ხვეწნა დავუწყე — ოღონდ ნუ მომკლავ და შენი მორჩილი ვიქნები-თქვა... არც ხმას გავცემ ვისმე უშენოდ, არც არსად წავალ შენდა დაუკითხავად-თქვა... ოღონდ მიწაზე დამიშვი-თქვა... ისევ თვალებზე წამომეფარა რაღაცა, გონება დამეკარგა... აზრზე რომ მოვედი, ისევ იმ ადგილას ვიწევი, სადაც მიმძინებოდა...

— კიდევ?

— ნიგოზზე შემომესწრო...

— ჰმ!

— ნიგოზს ვხალავდი... უეცრად თვალებზე წამომეფარა შავად... რეტი დამესხა, მეგონა, გადმოვვარდი ეს არის-თქვა... ბრეყალები ჩამასო კაბაში... მაღლა... სულ მაღლა ამიყვანა!.. გადმოგაგდებო... აქედან გისვრიო... ნიგვზის წვეროზე წამოეკობიო, თუ არ შემომიდექიო... კუდიანი გახდიო... შემეშინდა, ეული შემეხუთა... მორჩილი ვიქნები-თქვა, ვუთხარი... ნუ მომკლავ-თქვა, შევეხვეწე...

— ვინ იყო? ვინ გელაპარაკებოდა მაგრე? იცანი?

— ვიცანი! — ღრმად ამოიხვნეშა მარინემ.

— ვინ იცანი?

— სული მეხუთება!.. დედა, მიშველე!.. ოჰ! მიშველე, დედა! — ატირდა მარინე, დედისკენ პირი ქნა და ღონემიხდილი ყისერზე ჩამოეკიდა.

— ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია, შენ დაგენაცვლოს შენი დედა! რა იყო, შვილო? რა დაგემართა, შვილო, შვილო?! — შექნა ყვირილი ესმამ, შვილის უსიცოცხლო სახე რომ დაინახა, როცა მას პირზე თავსაფარი ახადა.

— ვინ შეიცანი, ვინ? — არ ეშვებოდა მაინც ვასილი, რომელიც ყურში ჩასძახოდა გრძნობადაკარგულ ქალს.

— ჩემი დედამთილი! — ძლივს გასაგონი ხმით თქვა და მკვდარივით, ხელებ და კისერმოსხლეტილი მიილუშა* ესმას კალთაში.

— შვილო, მარინე, შვილო! — დასწიოდა მას საცოდავი ესმა: — რატომ შენი დედა უწინ არ მოკვდა, სანამ ამას დეინახავდა მისი დასაფსები თვალები!.. შვილო, შვილო! — მწარედ მოთქვამდა მოხუცებული დედა.

მარკოზა გაშტერებული, გალენჩებული იდგა განზე და უცნაურ ძალას ატანდა თავის თავს, რომ ამ საზოგადოებაში ტირილი არ წასკდომოდა.

— სახლში შეიყვანეთ... — დაიძახა და ფეხზე წამოდგა ვასილი: — შეიყვანეთ სახლში და დააწვინეთ ქვეშაგებში...

ვასილი ქალებს მოშორდა და ონისიმესა და მარკოზას თანხლებით ისევ ეზოში გავიდა. გრძნობამიხდილი მარინე სახლში შეიტანეს, დააწვინეს ტახტზე და საბანი წაახურეს... დედაკაცები იქვე ფუსფუსებდნენ... ვინ ესმას ანუგეშებდა და ამხნევებდა... ვინ რა რჩევას იძლეოდა მარინეს გრძნობაზე მოსაყვანად.

— ახლა კი წმინდად გეიწმინდა! — ამბობდა ერთი დედაკაცი.

— ძალიან საქმე ქნა იმ დალოცვილმა ადამიანმა! — ამბობდა მეორე.

— ღვთის კაცია, შე დალოცვილო... ვიგინდარა ვინმე ხომ არ არი!

— რასაკვირველია, რასაკვირველია!.. მარა ამ უბედურს დიდი ხნის სიცოცხლე კი აღარ აქვს... — გადაუფუჩუნა ერთმა დედაკაცმა მეორეს.

— შე, ქალო, სული რომ არ წააწყმედინეს,* ის აღარ კმარა? — ხმადაბლა მიუგო მეორემ: — გამოტეხილს რაღა აცოცხლებს?.. არ გამოეტეხათ, უარესი ცოდვა იქნებოდა... იცოცხ-

ლებდა კი, მარა რაღა სიცოცხლე იქნებოდა მისი... ბოლოს ხომ წაწყმედილი იქნებოდა მაინც...

ეს საზოგადო აზრი იყო, რომ გამოტეხილი* დიდხანს ვერ იცოცხლებდა და ამაში დარწმუნებულნი წავიდ-წამოვიდნენ დედაკაცები. ამათაც მადლობა უთხრეს, როგორც ვასილ კარიკაძეს, ისე მარკოზას, რომ მათ სოფელს ამისთანა სამადლო საქმე უქნეს — გაკუდიანებული ქალი მოაშორეს სოფელს. მეორე დღეს ვასილიც წავიდა თავის სოფელში ონისიმეს ვაჟიშვილის თანხლებით. მარკოზა ბევრი ეხვეწა მას, მიეღო მისგან ორიოდე მანეთი გასამრჯელო, მაგრამ ვასილმა არაფრის გულისათვის არა ქნა.

— ღმერთს ჩემთვის ეს ძალა ფულის საბოძავად კი არ მოუნიჭებია, შე კაცო! -- უთხრა მან მარკოზას.

— ვეცდები სხვანაირად გემსახურო და ეს დავალება კაცურად გადაგიხადო, ჩემო ბატონო! — მიუგო მოხუცებულმა გლეხმა.

ამ წამებამ, მთელი საზოგადოების წინაშე წამებამ, სულ დაათავა უიმისოდაც მისუსტებული მარინე. იგი მესამე დღესაც არ ამდგარა ზეზე, ისევ ავადმყოფი იწვა. უბედური დედამისი თვალდათვალ უყურებდა, როგორ ესალმებოდა მისი საწყალი, მრავალტანჯული შვილი ამ წუთისოფელს. ესალმებოდა, აბა რისი მომასწავებელი იყო მისი ასე საცოდავად მოქცევა... და ესმა თავს დასტიროდა მარინეს... მარკოზა კი ხანდახან მივიდოდა ავადმყოფთან, ჩაჰკითხავდა: „რავა ხარ, შვილო?“ და პასუხის მაგივრად რომ გაიგონებდა გაუგებარ სიტყვებს, მიმქრალი ხმით წარმოთქმულს, უცბად მოშორდებოდა და ცალკე, ნაჩუმათევად ჰყრიდა ცრემლებს.

სოფიო და ონისიმე ნუგეშს აძლევდნენ ვითომ მოხუცებულებს, მაგრამ თვითონაც ხედავდნენ, რომ სანუგეშო აქ არა იყო რა.

ერთ დღეს მარინემ უცნაურად დაიჯინა სახლში, დედამთილთან წასვლა იქ დასაწოლად. მარკოზამ ძლივს, ისევ წყროლმით გადაათქმევინა ეს სურვილი. „ფეფენას ნურაფერს აწყენინებთო“, — ეხვეწებოდა მომაკვდავი მშობლებს.

ფეფენას არაფერი გაუგია იმისი, თუ რა მოხდა ონისიმესაკ, რარიგად საბოლოოდ დამტკიცდა მისი კუდიანობა და მისგან

რძლის გაკუდიანება. ვინ იქნებოდა იმისთანა, რომ ყოველი ეს ეამბნა ფეფენასათვის, რომლის წინაშეც უფრო იმატა შიშმა მეზობლების გულში. გამოტეხაზე დამსწრენი მაინც ერთობ შიშში ჩავარდნენ — ფეფენა არ გადაგვეკიდოსო.

ფეფენამ ის იცოდა მხოლოდ, რომ მარკოზამ მარინე ონისიმესას მიიყვანა და რომ ახლა იგი ავადმყოფი იწვა მისი მაზლის სახლში. ერთ დღეს აღარ მოუთმინა გულმა მოხუცებულ დედაკაცს და გადაწყვიტა გადასულიყო ონისიმესას, რძლის ამბავიც გაეგო და მის მშობლებთანაც მოელაპარაკნა, რომ ასე წართმევა ქალის არავის უნახავს და გაუგონია, მით უფრო, რომ ფეფენა ამ ბოლო დროს სრულიად კმაყოფილი იყო მარინესი. მართლადაც, როცა მარინემ სრულიად გამოიცვალა ხასიათი, მისი სიტყვის გამგონი და დამჯერი შეიქნა, მიივიწყა უწინდელი ცმუტვა-ცერცეტობა, სულ სახლში იჯდა, და მოხუცებულმა ქალმა, მისი აზრით, თავიდან აიცილა თავზე წამოწეული უბედურება, — ახლა ფეფენას აღარავითარი განსაცდელის მოლოდინი არ აწუხებდა. მან სრულიად გამოიცვალა გული რძალზე. ამიტომაც იყო, რომ მან გადასწყვიტა ავადმყოფი მარინეს ნახვა... ეგებ ამ უცნაური ხასიათის პატრონის გულის სიღრმეში რძლის სიყვარულმაც გაიღვიძა... ვინ იცის!

— აჰა!.. კაი დაგემართოს! მაგაზე უკეთესს ვერას იზამდი!.. — რაღაც უცნაურ კილოზე წამოიძახა მარკოზამ, როცა ნიკას თანხლებით ეზოში შემოსულ ფეფენას თვალი მოჰკრა.

— სახლში არ შემოუშვა მაგ სულწაწყმედილი, მაგ! — გაჯავრებით თქვა ესმამ.

— ვინ არი, დედა? — იკითხა ავადმყოფმა.

— წყეული შენი დედამთილი, შვილო!.. მარკოზა, კაცო, სახლში აო შემოუშვა, იცოდე, თვარა ამ წამსვე ყანყრატოში ვეცემი!

— მაცალე, დედაკაცო!.. შენ შენთვის იყავი! ეს მინდოდა, რომ სადმე ხელში ჩამეგდო მაგისი თავი და ღმერთი მიგზავნის კიდევაც! — ბოროტად წარმოსთქვა მარკოზამ, მივარდა კერას, აჩქარებით გამოქექა ცეცხლი, გადააბნია ნაცარი და ზევით ოაგდო კერაში ნაგდები ნალი. მერე ისევ ნაკვერცხლები წაუყარა რკინას, მიტრიალდა და ფეფენას შეეგება კარებთან. არც სოფიო და არც ონისიმე შინ არ იყვნენ.

— მობრძანდი, მძახალო, მობრძანდი!.. აქამდინაც კი უნდა გენახა, შე ქალო, შენი ავადმყოფი რძალი! — დაცინვით უთხრა ძარკოზამ: — შენ, ბიჭო, არ გეკადრებოდა ცოლის ამბავი გაგეგო?

— შე დალოცვილო, — მიმართა მარკოზას: — შენ იმისთანა საქმე გვიყავი!.. გხედავდი სხვანაირ გუნებაზე იყავი და აღარაფერი გითხარი... მე ვთქვი, ჯერ ესე იყოს, კაცი დამშვიდდება, დაწყნარდება... შვილიც ეტყვის...

— შვილმა ვერაფერი კაი მითხრა! — წამოიძახა მარკოზამ.

— მამა, მამა! — მოისმა ავადმყოფის ხმა.

— იმიტომ ვიცდიდი ამ სამ დღეს, — თავისას ამბობდა ფეფენა: — რითია ავად? რამ გახადა ასე უცბად ამნაირად? — და ფეფენა ავადმყოფთან მივიდა.

— ნამდვილი ამბავი გინდა, რასაკვირველია, გეიგო, ხომ? — ისევ სხვანაირად ჩაჰკითხა მარკოზამ ფეფენას.

— დედა, დედა... უთხარი მამას... — ძლივს გააგონა დედას მარინემ.

— შენ კი, ბიჭო, გარეთ გადი! — დაუძახა ნიკას მარკოზამ: — შენი გასაგონი არ არის ეს ჩვენი ლაპარაკი!..

ნიკა ცხვარივით კარში გავიდა. მარკოზამ უცბად მიხურა კარი და გადარაზა სარაზავით, გამოტრიალდა, წინ წამოუდგა წელში გამართული, დოინჯშემოყრილი ფეფენას და შეჰყვირა:

— შენმა კუდიანობამ უყო მაგას ეგ!.. შენმა კუდიანობამ! — დაიყვირა, რაც ხმა ჰქონდა, მარკოზამ: — ვითომ და არ იცოდე... იმისათვის მოხვედი, რომ მაგის წვალების ყურებით დამტკბარიყავი?! მარა სად წამიხვალ ახლა, სად წამიხვალ!.. — უყვიროდა მარკოზა გაფითრებულ მოხუცებულ ქალს, რომელიც გრძნობადაკარგულივით მისჩერებოდა ამ გამხეცებულ კაცს — ვერსად ვერ წამიხვალ, ვერსად!.. გესმის თუ არა? — ყვიროდა ისევ მარკოზა.

— ხომ არ გადარეულხარ! — შეუტია გონზე მოსულმა ფეფენამ: — ხომ არ გადარეულხარ... ახლავე კარი გამიღეთ!.. — და მან კარებისაკენ მიიწია, მაგრამ მარკოზამ ხელი სტაცა და უკან დაახევინა.

— სად წამიხვალ? სად წამიხვალ?

— გამიშვი, გეუბნები!.. ხელი გამიშვი! ბიჭო, ნიკა, კარი გააღე ახლავე... გესმის, ბიჭო!

— ვერ გავაღე, დედა, ვერა! — მოისმა ნიკას ხმა.

— რატომ ტანჯავ, რაზე აწვალებ, შე შეჩვენებულო?.. აღარ გეყო მაგის წამება, ვერ გაძეხი? შე წყეულო, სული რომ არ წაგაწყმენდინე, ხორცს რას ერჩი, მითხარი? — და მარკოზა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოხუცებულს ხან იქიდან წაჰკრავდა მუჯლუგუნს, ხან აქედან. ფეფენა კი ამ სიტყვებით გაკვირვებული იძახდა: — „რეებს ამბობ, შე უგონო*, რას სულელობ?" — და თან საზარლად ყვიროდა, მაგრამ მარკოზამ ყურიც არ ათხოვა ამას, მოჰხვია ხელი ფეფენას, მიათრია ბაგასთან, მოხსნა ბაგაზე ჩამოკიდებული ხარის დასაბმელი ბაწარი, ესმას დახმარებით შეჰკრა მოხუცებული დედაკაცი და გადაბაწრული მიწაზე დააგდო.

— მიშველეთ, მიშველეთ! — შესაზარი ხმით გაჰკიოდა ფეფენა.

— მოიტა აქ ნალი! — გადასძახა მარკოზამ ცოლს; თვითონ კი ფეფენას თავს დაადგა და ნიშნის მოგებით ეუბნებოდა: — სად წამიხვალ ახლა, სად წამიხვალ, შე კუდიანო!.. ახლავე მოგარჯულებ მე შენ!.. მალე, დედაკაცო!

ესმამ გამოჩხრიკა ცეცხლი, გამოიღო საკეცით გავარვარებული ნალი და მარკოზასაკენ წაიღო.

— მამა! მამა!.. რას შობი?.. რას შობი, მამა? — წამოვარდა ამის დანახვაზე ლოგინიდან მარინე: — მამა, შენი ჭირიმე... მე მომკალი, მე!.. ნუ შობი მაგას!.. დედა, იქით! — დაიწივლა მან და ესმას ხელიდან გააგდებინა საკეცეც და ნალიც.

— ახლავე მორჩები, შვილო, გვაცალე! — წამოიძახა ესმამ.

— მამა, ნუ მკლავ, ნუ მკლავ, მამა! — და ღონემიხდილი კისერზე ჩამოეკიდა მარკოზას.

— მაცალე! მაცალე, გეუბნები! — გაჯავრებით მიაძახა მარკოზამ: — დოუდაღავი რავა გადამირჩება მაგ შეჩვენებული!

ყვირილისაგან ხმაჩახრინწებული ფეფენა ისევ შველას ითხოვდა. კარებთან კაცების ხმა მოისმა, ეს ნიკამ შეჰყარა მეზობლები.

— მარკოზა, კარი გააღე, კარი გააღე, მარკოზა! — იძახოდნენ და თან კარს აწვებოდნენ.

— მაცალე, ბიშო,* მაცალე, წეიყვანე ეს სულელი იქით! — მიაყვირა მარკოზამ ესმას და თან ისე ღონივრად შეინძრა, რომ მარინესაგან თავი გაითავისუფლა, მაგრამ ამან თავი ველარ შეიმაგრა და მიწას დაასკდა მძიმედ.

განთავისუფლებულმა მარკოზამ უცბად დაავლო ხელი საკეცეს, აიღო მით მსურვალე ნალი და მიიტანა იგი ფეფენასთან, რომელსაც შიშისაგან ხმა დაეკარგა და გველივით კლაკვნა დაიწყო.

— ხედავ ამას, ხედავ?! — ყვიროდა მარკოზა, — ხედავ ამას!? აი, შენი რჯული, შენი რჯული! — და გამხეცებულმა მარკოზამ გახურებული რკინა თეძოზე მიადო ფეფენას.

სახლში ბყრალი, ნამწვავი ჭინჭის სუნი დადგა, ამ დროს კარიც ჩამოგლიჯეს და სახლში შემოცვივნულმა ბლეხებმა ცეცხალ-მკვდარ ფეფენას მოაშორეს მარკოზა, შემოხსნეს ბაწარი და გარეთ გაიყვანეს ჰაერზე.

საშინელმა კივილმა შესძრა იქაურობა. ესმა, რომელიც ბიწაზე დაცემულ მარინესთან ფუსფუსებდა, საზარლად ღრიალებდა.

— მარინე... შვილო! მარინე... მიშველეთ... ვინ ხართ ქრისტიანი, მიშველეთ... კვდება!.. მარინე, შვილო! — ყვიროდა საცოდავად დედაკაცი.

— ჰა, მოკვდა!? — იყვირა მარკოზამ და მარინეს მივარდა, — მარინე! მარინე!.. და რა შეხედა მიწაზე უსულოდ მდებარე შვილს, მოხუცებულმა ღონივრად ასწია საყვარელი გვამი, გულში ჩაიხუტა და თან გულსაკლავად გაიძახოდა:

— შვილო! გაწვალებულო შვილო!.. მარინე, შენი ჭირიმე! ვაიმე, ვაიმე, ვაიმე! — და მარკოზა გაცივებულ პირისახეს უკოცნიდა მიცვალებულს.

1924.

წრფელი გული

როცა ბაბომ წერილი გაუგზავნა თავის ძმად მიჩნეულ გიგო სალაძეს, იგი უკვე თავის გულის პატრონი აღარ იყო.

მოკლე წერილში მხოლოდ ეს ეწერა: „თუ ძმა ხარ ჩემი, და ცოტათი გებრალება შენი ბაბო, ახლავე ჩამოდი. შენი და ბაბო გარაყანიძისა“.

თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა ბაბო, თუ ოდესმე მის თავზე იმგვარი ამბავი დატრიალდებოდა, რომ გულში შეეპარებოდა და გაბატონდებოდა ისეთი გრძნობა, რომელიც მის დამონებას მოინდომებდა და რომლის დამჩაგვრელი ძალის გაძლიერებას დღიდანდღე ცხადად ამჩნევდა ყმაწვილი ქალი.

რარიგად მოხდა ეს?

საეჭვო აქ აღარა იყო-რა. მისი გული სხვისთვის სცემდა; წინათ დაწყნარებული, დამშვიდებული, ახლა სხვისთვის ტოკავდა, ღელავდა, შფოთავდა. როცა ეს ღელვა და შფოთვა გაძლიერდა, მეტად მწვავე შეიქნა, ყმაწვილი ქალის გონებაც აღშფოთდა, თითქოს გამოფხიზლდა რაღაც საშიშროების მოახლოების წინაშე.

არავითარი რამ ამგვარი მდგომარეობა ანუ მისი მსგავსი ჯერ არ გამოეცადნა; არასოდეს ასეთი მტანჯავი მოუსვენრობა არ განეცადა თავის სიცოცხლეში... დღემდე თავისუფალს, უდარდელს, თავის გულწრფელობით ყოველ თავის მოქმედებაში გაბედულს, დღეს დაეკარგა ეს გაბედულებაც, თავისუფლებაც საქციელში და დღეს დამნაშავესავით მორიდებულია ქმართანაც, ნათესავთანაც, მახლობელთანაც და თითქმის ყოველ ადამიანთან, რომელსაც კი თავის მახლობლად ხედავდა.

რარიგად შეიპარა მის გულში ეს საზარელი, ეს უცნაური გრძნობა? როდის? რა იყო ამის მიზეზი? როგორ მოუვიდა ასეთი გაუფრთხილებლობა, რომ ასე ქურდულად, თვისდა უნებურად ესტუმრა ეს უსიამოვნო სტუმარი, რომელიც ასე შეუბრალებლად ეკიდება, ასე მაგრად ხვევს ხელს; უკარგავს ძალას, ართმევს ნებას და მიჰყავს სადღაც, მიაქროლებს სადღაც განსაცდელის ნაპირად? და აი, შემკრთალმა, შეშინებულმა ბაბომ, მისაზრების ღონეს მოკლებულმა, სხვა ვერა მოიფიქრარა თავის გასაჭირში, რომ წერილი მისწერა ძმად მიღებულს,

დღეს მოშორებით მყოფ გიგო სალაძეს. მისწერა წერილი და უნდოდა, რაც შეიძლება მალე, მოშველებოდა. მოვა ის ჩემი პატიოსანი მეგობარი კაცი და იმას გამოვუტყდები, გავუმხელ ჩემს უბედურებას, ვეტყვი აღსარებას და ვთხოვ შველას, შემწეობას ამ ულმობელი, დამჩაგვრელი, ჩემზე გაბატონებული გრძნობის ასაშორებლად, მისი ბრჭყალებიდან თავის დასახწევადო.

მიწერით მისწერა კი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მეტად შეინანა თავისი საქციელი, თავისთავს ამტყუნებდა აჩქარებისათვის. რა ეთქვა? როგორ მოჰყოლოდა, რა სიტყვებით გამოეთქვა თავისი სამწუხარო ამბავი? რა ენით ეამბნა თავისი სირცხვილი, თავისი სიგლახე? — ხომ დავკარგე იმწუთშივე მისი სიყვარული, მისი თანაგრძნობა, მისი ძმური გული? ხომ დავკარგე ამასთანავე ყველასაგან ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც ყოველი ნაცნობი მეგებებოდაო?!

ყმაწვილ ბაბოს მართლაც განსაკუთრებული სახელი ჰქონდა დამსახურებული იმ საზოგადოებაში, რომელშიაც ცხოვრობდა. ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ პირველი გაცნობისთანავე თქვენი გული არ მიეზიდა, არ მოეხიბლა ამ თვალტანადს, ლამაზს, სიცოცხლით სავსე, მკვირცხლ, მხიარული ხასიათის, ენამახვილ, ცქრიალა ყმაწვილ ქალს; შეუძლებელი იყო აღტაცებაში არ მოეყვანეთ მის გულკეთილობასა და გულწრფელობას და ამ პირველ გაცნობისთანავე არ ცდილიყავით მასთან უფრო დაახლოებას, მაგრამ რანაირ დაახლოებას? ამ ქალის წინაშე ყოვლად შეუძლებელი იყო თქვენს გულში გაევლო იმ გრძნობას, იმ სურვილს, რომლის გაღვიძება სასიქადულოდ მიაჩნია მანდილოსანთა უმეტეს ნაწილს. ყმაწვილ ქალს ბუნებითვე თანდაყოლილი ჰქონდა ის თავმოყვარეობა, რომელიც ეამსჯელია ყოველისავე ფიქრისა, თავში გაელვებული აზრისაც კი, არა თუ გამოქვეყნებული საქციელისა; ეს ის თავმოყვარეობაა, რომელიც დედაბოძია პატიოსნებისა, სინდისიერებისა, სიკეთისა, საფუძველია თავისთავის ინ[illegible]ედისა. ეს თავმოყვარეობა იყო, რომ ბაბოს თავისუფლებას აძლევდა ყოველ მოქმედებაში, ყოველ მის საქციელში, ყოველგან და ყველასთან. ამ თვისების პატრონის წინაშე თქვენც იმასავით შორს იყავით ყოველსავე გრძნობაზე, ბინძურ აზრზე. იმასავით

ეჭვენც თავისუფალი იყავით ყოველ ამისთანა ზრახვისაგან და ეჭვენი გული ვრძნობდა, თუ რა ადვილად შესაძლებელი ყოფილა პლატონიური სიყვარული, სიყვარული სულისა, სათნოებისა, და აღტაცებული გეუბნებოდათ ამ სიყვარულის სიტკბოებასაც.

ის საზოგადოება, რომელიც თავს იყრიდა გარაყანიძის ოჯახში, სწორედ ამნაირი პატივისცემით და სიყვარულით იყო გამსჭვალული ბაბოსადმი; ყოველი კაციც და ქალიც ამ ოჯახს ეტანებოდა, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ იქ რაღაც სხვანაირი ურთიერთობა იყო დამყარებული თავშეყრილი საზოგადოების წევრთა შორის, რომ იქ განსხვავებული იყო ყოველივე სიტყვაც, მოქმედებაც, ხუმრობაც და ოხუნჯობაც.

იმ საამურ ოჯახში, საცა ისე ხშირი იყო მხიარულება, დაუცხრომელი ხითხითი, გაუთავებელი ოხუნჯობა, მახვილსიტყვათა სროლა, სადაც ყოველივე ისე სასიამოვნოდ იყო მოწყობილი, სრულიად მოულოდნელად, გაუგებრად, ქურდულად, ნაპარევად, თითქოს ჯიბრზე, ფეხი შედგა იმ გრძნობამ, რომელსაც სიყვარულს ეძახიან და რომლის ნამდვილი სახელი კი მხოლოდ ვნებაა.

ეჭვი არ იყო, რომ ბაბოს გული ვლადო ბრელიშვილისთვის ფრთხიალებდა, მისთვის მოუსვენრობდა... იმის დანახვაზე კი არა, მარტოოდენ სახელის გაგონებაზე უცნაური, ჯერ გამოუცდელი აღშფოთება შეიპყრობდა ხოლმე ბაბოს. რა ხანია ეს ყმაწვილი კაცი მის ოჯახში დადის, რა ხანია იცნობს? აქამდე ძმასავით უყურებდა, კეთილ მეგობართა შორის სახავდა* და ახლა კი... ახლა კი? ნუთუ სიყვარული იყო ეს გრძნობა? რასაკვირველია, არა... იგი მხოლოდ ვნებათა ღელვა იყო, სხვა არაფერი, და ეგ უკლავდა, უთუთქავდა გულს საწყალ ბაბოს. ამიტომაც იყო, რომ ეს გრძნობა სამარცხვინოდაც მიიმჩნია... სიყვარული პატიოსანი გრძნობაა, გამბედავია, უშიშარი, ამას კი თავისი გრძნობა ეთაკილება, გამბედაობას, თავისუფლებას უკარგავს, შიშით ავსებს მის არსებას; ეს გრძნობა ჩასჩურჩულებს — ერიდე მაგ ყმაწვილ კაცსაო, აიძულებს, ქურდულად იგემე ის სიამოვნება, რომლის გამოცდაც გინდაო, და თანვე რაღაც საშიშარ ბოლოსაც უქადის, დიდ სიმწარეს ჰპირდება.

ქალი ახლა ერთ შიშშია, ერთ კრთომაშია, რომ არავინ

გაუგოს, არავინ მიუხვდეს, არავინ ამოიკითხოს მის თვალებში, რაც მის გულში ჩოჩქოლია, და ამის გამო გამბედაობამიხდილი ვეღარ უსწორებს სხვებს თვალს, არიდებს სახეს, რომ სახეზე არ შემამჩნიოს ვინმემ, რა უბედურებაშიაცა ვარ ჩავარდნილიო.

უიმისოდაც აღშფოთებულმა თავის მდგომარეობით, საწყალმა ქალმა აჩქარებით ახალი საშფოთავი და საწუხებელი გაუჩინა თავის თავს გაგზავნილი წერილით. სადაც იყო, გიგოც, რასაკვირველია, გაჩნდებოდა, და ბაბო მოუსვენრად იჯდა ფანჯარასთან ყოველ დილას და გულის ძგერით ათვალიერებდა ყოველ გამვლელ-გამომვლელ ეტლს.

წერილის გაგზავნის მეოთხე დღეს, მატარებლით ჩამოსულმა გიგომ ეტლი გააჩერა გარაყანიძის სახლის კარწინ.

ბაბომ ფანჯრიდან დაინახა საშველად მოწვეული ძმობილის დადარდიანებული სახე და უნებურად გაიცინა.

„რა ვუთხრა ახლა?“ გაიფიქრა მან და მომღიმარი სახით შეეგება ამ წარმოსადეგ, ვაჟკაცური შეხედულების ყმაწვილ კაცს, რომელმაც მხურვალედ აკოცა ხელზე და, პირველი მისალმების შემდეგ, დადარდიანებული სახის მეტყველებით მიაცქერდა ქალს ხმაამოუღებლად, თითქოს ეკითხებოდა, რა ამბავია, რას ნიშნავს შენი მონაწერი, ჩემი ასე საჩქაროდ დაბარებაო? მას ეგონა, რაღაც უსიამოვნო ამბავს გავიგონებ ამ ყმაწვილი ქალისგანაო და დაჯავრიანებული სახის გამომეტყველებით მისინერებოდა, ბაბო კი ამგვარად გიგოს დანახვაზე უნებურმა სიცილმა აიტაცა. გაკვირვებულმა ყმაწვილმა კაცმა ეს სიცილი ჯერ იმის ნიშნად მიიღო, რომ ბაბომ უთუოდ მიხუმრა, როგორც არა ერთხელ უხუმრიაო, და წაილაპარაკა გულდამშვიდებით:

— მე კი რაღაც ამბავი მეგონა!

— ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარა ბაბომ და ამ უდარდელმა კისკისმა და სიცილმა სრულიად გაუფანტა გიგოს ყოველივე ეშვი, რომ ვითომ სამწუხარო და უსიამოვნო რამ ამბავი ყოფილიყო ქალის თავს.

— არა გრცხვენიან, გიგო, ამდენხანს რომ დაგეკარგე?.. ხომ ჩამოგაჩანჩალეთ?! ჰა?.. ხა, ხა, ხა! — გაღაიკისკისა ისევ ბაბომ.

— მე სულელმა ეგ რატომ ვერ მოვისაზრე, რომ შენი წერილი მართლა ჩემდა ჩამოსაჩანჩალებლად უნდა ყოფილიყო მოწერილი... მივატოვე მუშაობა, საქმე და გამოვსწიე საჩქაროდ. რა ვიცი, რა არ ვიფიქრე შენი ეშმაკური წერილის გამო!

— რა, რა იფიქრე, რა წარმოიდგინე, მითხარი, თუ ძმა ხარ?

გიგო მოჰყვა და დაწვრილებით უამბო ყოველივე, რაც წარმოიდგინა, რაც იფიქრა; ბაბო კი გაფაციცებით ყურს უგდებდა და იცინოდა, რაკი ხედავდა, რომ გიგო სრულიად ვერაფერს ვერ მიხვედრილიყო, ღობე-ყორეს მოსდებოდა. დამნაშავე ბავშვივით, რომლის დანაშაულს ჯერ ვერ მიმხვდარან, და რომელსაც იმედი კი არა აქვს, რომ ბოლოს მაინც ვერ გაუგებენ ჩანადენს, და ამიტომაც ცდილობს ამთავითვე მოულბოს გული თავის გამკიცხველს, მიიმხროს, მოინადიროს, რისთვისაც სხვანაირად ევლება თავს, ექუცქუცება*, უცინის, ეალერსება, — ისე ბაბოც, უცნაური შიშით შეპყრობილი, უნებურად იცინოდა, კისკისობდა, გიგო კი ვერ ამჩნევდა იმის სიცილის ნაძალადეობას. პირიქით, გიგო ამ გარემოებამ სრულიად დაამშვიდა, დააწყნარა, გაამხიარულა და მალე ისეთ სასიამოვნო მუსაიფში გაება ბაბოსთან, რომ თითქმის სულ დაავიწყდა მწუხარება.

ამათ მუსაიფში დრომ ისე მალე გაიარა, რომ ვერც კი შენიშნეს, სადილობა როგორ მოახლოებულიყო. ერთი ამბით შემოვიდნენ სახლში სამსახურიდან დაბრუნებული სარდიონ გარაყანიძე და მასთან რამდენიმე ყმაწვილი კაციც. ყველანი დიდი სიხარულით მიეგებნენ გიგოს და წამსვე გაიმართა ერთი ყაყანი, ოხუნჯობა და სიცილ-ხარხარი.

რარიგად რცხვენოდა ყმაწვილ ქალს, გიგოს გვერდით რომ ვლადო ბრელიშვილსაც ხედავდა! ამ ყმაწვილმა კაცმა არც კი იცოდა, რომ ტანჯვის მიზეზად იყო შექმნილი და ამიტომ წინანდებურად თავისუფლად გრძნობდა თავს, თამამად იქცეოდა და გაბედული იყო ყოველ სიტყვა-მოქმედებაში.

დღეს ბაბომაც სძლია თავის შემაწუხებელ გრძნობას და წინანდებური მხიარულებითა და უდარდელობით შეუერთდა შეხალისებულ პატარა საზოგადოებას. დღეს მისთვის ამ სა-

შიშრად შექმნილმა არსებამაც დაჰკარგა თავისი საშიშროება, მის გულს შვება მისცა, ისევ დაუბრუნა წინანდელი თავისუფლება და ამით გამხნევებული, გახარებული, აღტაცებული ბაბო იცინოდა, კისკისებდა და თავის ენამახვილობით აღტაცებაში მოჰყავდა ყველანი; მის ოხუნჯობას დასასრული არ ჰქონდა. ახლა ისევ ის წინანდელი ბაბო იყო, ყველასათვის საყვარელი და ყველას დაძმურად მოსიყვარულე.

უცებ თითქოს ვილამაც იწყინა მისი ასეთი მხიარულებაო, ბაბო შეკრთა და დაღონდა... გამხიარულებული ქალი უეცრად ჩაჩუმდა, გაყუჩდა. შემკრთალი და გულშეხუთული ქურდულად იმზირებოდა აქეთ-იქით. ყმაწვილმა ქალმა ყველას თვალი გადაავლო, აბა, ხომ არა შემამჩნიეს-რაო... ყველანი მხიარულ ლაპარაკში იყვნენ გართულნი და, ეტყობოდათ, არავის არ შეუმჩნევია, რომ იგი ნამეტანს ეხუმრებოდა ბრელიშვილს, რომ კარგ გუნებაზე ყოფნით თავდავიწყებამდე მისული სხვებზე მეტად იმის შესახებ ოხუნჯობდა.

სარდიონიც მეტად მხიარულად იყო და ერთხელაც არ გადუხედნია თავის ცოლისაკენ, მაგრამ ბაბო მაინც ისევ მწუხარებაში ჩავარდა, მისი გული მაინც სევდით აივსო, მაინც თითქოს დამნაშავედ მიაჩნდა თავისი თავი, რაკი ასე ნებდებოდა ამ რაღაც უცნაურად მასზე გაბატონებულ გრძნობას. ქალი ამ წუხილში იყო ახლა წასული* და სხვა აღარაფერი ეყურებოდა.

ყველამ შეამჩნია ამ ერთის წუთის წინათ მეტად მხიარულ გუნებაზე მყოფს ასეთი ცვლილება და გაკვირვებით ეკითხებოდნენ ამის მიზეზს.

— არაფერია... ღმერთმანი, არაფერია! — ჰფიცავდა ბაბო. — გარწმუნებთ, ისევ კარგ გუნებაზე ვარ... საწყენი რა უნდა შემხვდომოდა?!

— კი, მაგრამ ასე ერთბაშად გაყუჩება?

— ბატონო, თავი დაანებეთ! — ჩაერია სარდიონი. — განა არ იცით მაგისი ამბავი, რა უსაქციელია?!.. რაღას ეკითხებით, თუ ღმერთი გწამთ!

ბაბომ არაფერი თქვა ქმრის სიტყვებზე, ოღონდ ერთი კი გადახედა საყვედურით. სამაგიეროდ, სხვებმა საოხუნჯო საგნად აიღეს* სარდიონის ნათქვამი და დაუსრულებელი ხუმრო-

ბისათვის მასალა გაიჩინეს. ამის გამო სადილი ისევ ერთი სიცილითა და მსიარულებით გათავდა. თვით ბაბომაც გადაივიწყა ისევ თავისი მწუხარება და, ხალისიანი, შეუერთდა საზოგადო მხიარულებას.

სტუმრებმა წასვლა-წამოსვლა დაიწყეს.

— გავიაროთ! — გაკვრით უთხრა ბაბომ გიგოს.

— ბატონი ბძანდები! — მიუგო გიგომ.

— უთხარი ვლადოსაც... თუ სცალიან! — დაატანა ბაბომ და ჯერ კიდევ სიტყვა არ ჰქონდა დათავებული, რომ ისევ გადათქმა მოინდომა, უკან წაღება უნდოდა ნათქვამისა და ამისთვის უცბად ხელი გაიწვდინა, უნდოდა გიგო შეეჩერებინა; მაგრამ გიგო კიდეც მივიდა ვლადოსთან, კიდეც გადასცა ბაბოს სურვილი და უკან დაბრუნებულმა ვლადოსთან ერთად მისი თანხმობა მოახსენა.

— დიდი სიამოვნებით... თუკი ინებებთ! — თავაზიანად ეუბნებოდა ყმაწვილი კაცი. — დიდი სიამოვნებით!

მაგრამ ბაბოსათვის ახლა ეს თანხმობა სრულიად აღარ იყო სასიამოვნო. ახლა ქალი თავის თავს უჯავრდებოდა, უწყრებოდა ამ საქციელისათვის, თუმცა ეს სრულიად მისდა უნებურად მოხდა თითქმის... რა სისულელე იყო ჩემის მხრივ ამ კაცის აქ დატოვება და სასეირნოდ მოწვევაო... რა წინდაუხედველობაა?! იმის მაგივრად, რომ ვერიდებოდე, უფრო ვუახლოვდები, უფრო თამამად ვეკიდები. განა ეგ იყო საჭირო ჩემთვის ამხანად?! არა, ეგ ჩემდა უნებურად მოხდა... ვიღამაც ძალად მათქმევინა მისი სახელი... ვიღამაც შემაცდინა, ვიღამაც მიბრძანა მაგ სიტყვების თქმა, — ფიქრობდა გულში ბაბო და, რაკი მიხვდა, რომ ეგ სათქმელი არ იყო, რაკი იგრძნო ესა, ნაძალადევი ღიმილით ცდილობდა გადაეთქვა სასეირნოდ წასვლაც, სახლიდან ფეხის გადადგმაც, მაგრამ გულის სიღრმეში თითქოს მაინც ნანობდა ამ უარზე დადგომას და, ყოყმანში მყოფი, სავარძელში ჩაჯდა და ქანაობა დაიწყო, თითქოს ამით უნდოდა დაევიწყა თავისი გულის უცნაური მდგომარეობა.

— თუ მივდივართ, რაღას ზიხარ, შე ქალო? — უთხრა გიგომ, როცა ყველანი წავიდნენ და ოთახში სარდიონი და ბრელიშვილიღა დარჩნენ.

— უკაცრავად ვარ, გიგო... — დაიწყო ღიმილით ბაბომ.

— გადათქვი თუ?..

— რაღაც არ შემიძლია...

— მით უფრო მოსახდენი იქნება ეგ გავლა თქვენთვის... და მერე კიდევ, სარდიონი ნასადილევის ხვრინს რომ ამოუშვებს, უარესად ავად გახდებით... თქვენ ნუ მომიკვდებით, არიდება გჭირიათ! — თქვა ბრელიშვილმა.

ამაზე ყველას გულიანად გაეცინა.

— ბიჭო, ასე უნდა იმასხრო შენი წუთისოფელი*, შე უბედურო?.. — უთხრა ვლადოს სიცილით სარდიონმა.

— აბა, შენ რომ „სტოლონაჩალნიკობამ"* წარბები შეგიკრა*, ყველა მაგას ხომ ვერ ვეღირსებით... „სერიოზნობა" თქვენი საქმეა და ჩვენ, წვრილფეხობამ*, თუ სულ არ ვიცინეთ, ამას სიჭკვიანეში ჩამოგვართმევენ და ვინღა გვაღირსებს წარმატებას... შენს სტოლს გაფიცებ, თქვი, ასე არაა?!

ბაბო და გიგო იცინოდნენ ბრელიშვილის სიტყვებზე; იცინოდა სარდიონიც, რომელმაც სიტყვა გააწყვეტინა და ცოლსა და გიგოს მიმართა:

— თუ მისვალთ, წადით და ის იქნება, რაღას უყურებთ!.. ამას თუ შეაჩერდით... ხომ ხედავთ, მოხსნა ბოხჩას თავი* — სვალამდის ილაქლაქებს ასე!..

— ადექი, ადექი... წავიდეთ! — უთხრა გიგომ ბაბოს. — ნუ გეზარება!..

— ჩვენი ნებით წავიდეთ, ბატონო, ისევ სჯობია! — და ცალი თვალით სარდიონისკენ ანიშნა ბრელიშვილმა.

ბაბომ ამაზე ერთი გადაიხარხარა, წამოდგა და თავის ოთახისკენ გასწია.

რამდენიმე ხნის შემდეგ სამივე ბაღისკენ მიდიოდნენ. ბრელიშვილმა თავის ცოცხალი ენით მეტად გაამხიარულა ბაბოც და გიგოც. მცენარეებით მდიდარი ბაღი მეტად სასიამოვნო სამყოფი იყო, და ეს უფრო ხალისსა ჰმატებდა მოსეირნეთ; გიგო სიცილით ეკითხებოდა განგებ ბაბოს უცხო მცენარეების სახელებს და, რადგანაც ბაბო ხშირად სცდებოდა, ერთ მცენარეს მეორის სახელს უწოდებდა, ბრელიშვილმა უთხრა გიგოს:

— შე დალოცვილო, მაგდენი რომ ესწავლა, ბარბალოს სოფლის „ზავედენიას"* მიტს ვერ გაათავებდა?

— ქ-ისის „ზავედენიაშიც“ ხომ იყო? — სიცილით თქვა ვიგომ.

— იყო! იყო, მარა კი არ დააცალეს... მასწავლებლებს, და ნამეტურ „კლასნი დამებს“, შეეშინდათ, გულმოდგინეობაში თავს გაიტეხსო, ცოდვა მოგვედებაო და პირველი კლასიდანვე დაითხოვეს... იმ ოხრებმა, ასე შეუშალეს ხელი, და იქიდანაა, რომ ახლა ყველაფერი ეშლება... ვერც მაგ ყვავილების სახელებს იტყვის სწორად — არც შეუძლია, რომ არ შეეშალოს...

ბაბო ამაზე თავშეუკავებლად იცინოდა; იცინოდა გიგოც. ბაბო ისევ წინანდელი გიჟი, ხითხითა, სიცოცხლით სავსე, საყვარელი ბაბო შეიქნა. მისი გული, ყოველ ცუდ გრძნობას დაშორებული, ძმური სიყვარულით იყო აღვსილი ამ ერთი საათის წინათ მისთვის საშიშარი, მოსარიდებელი კაცისადმი.

— მოდით, ნავში ჩავჯდეთ! — წამოიძახა ბაბომ და ტბისაკენ გაიქცა, რომლის ნაპირზე რამდენიმე ნავი იყო დაბმული.

— ბაბო, დაიცადე, ქალო! ნუ მირბიხარ!.. — უძახოდა გიგო, რომელიც გამოეკიდა ქალს. — ამისთანა გადარეული ადამიანი, ნეტავ, თუ იყვეს კიდევ სადმე!..

ყმაწვილმა კაცებმა ახსნეს ნავი, რომელშიაც უკვე ჩამხტარიყო ბაბო და ნიჩაბი ეკავა ხელში.

— მე ნიჩაბზე ვჯდები, გიგო... შენც ნიჩაბი აიღე!..

ნავი წყალში შეაცურეს. ვლადო საჭესთან დაჯდა.

— აბა, გიგო! — წამოიძახა მხიარულად ბაბომ და თვალებზე ჩამოიფხატა თავისი ფართო ქუდი, რომ სხივებისათვის აერიდებინა თვალები და რაც ღონე ჰქონდა, მოუსვა წყალს ნიჩაბი.

— ბრავო, ბრავო! — მიაძახა ვლადომ. — ბრავო, მე და ჩემმა ღმერთმა!.. გიგო, მარჯვედ იყავი, არ გაჯობოს, კაცო!

— ხა, ხა, ხა! — გადიკისკისა ბაბომ. — ხა, ხა, ხა! ვაჯობებ.. მაინც ვაჯობებ!

ნავი წავიდა შურდულივით, მსუბუქად მისრიალებდა წყალში.

— ვაი, ვაი! — იკივლა უეცრად ბაბომ და ეს კივილი მისივე ხმამაღალმა სიცილმა შესცვალა.

— ხა, ხა, ხა! ეგ იყო, რომ უნდა გეჯობნა?! ხა, ხა, ხა! —

გადიხარხარა გიგომ და მასთან ბრელიშვილმაც, როცა დაინახეს, რა გაწვალებით ეჭიდებოდა დაღლილი ბაბო ხელიდან გავარდნილ ნიჩაბს, რომელიც ნავს ამოჰკვროდა სიგრძეზე და რომლის წყლიდან ამოღებასაც ცდილობდა.

— გაუმარჯოს მჯობნს, მჯობნს გაუმარჯოს! — დასცინოდნენ ყმაწვილები ბაბოს, რომელსაც თვითონაც ეცინებოდა ამ თავის დამარცხებაზე.

გიგომ ამოიღო წყლიდან ნიჩაბი.

— აბა, ახლა ჯიბრზე ნეღარ იქნება საქმე, ისე ვიშუშაოთ! — ღიმილით უთხრა მან ბაბოს და ნიჩაბი მისცა.

ნავი ისევ გაცურდა, ისევ გაქანებული მისრიალებდა წყალში, როცა ორივე ნიჩაბს დაავლო გიგომ თავისი ღონიერი ხელები.

საღამო ჟამი იყო, როცა სამივენი, ამ სეირნობით მეტად კმაყოფილნი, ნასიამოვნებნი სახლში დაბრუნდნენ. მათმა ხალისიანობამ შინ დარჩენილი სარდიონიც აიყოლია და მეტად კარგ გუნებაზე მყოფნი, საამურად მუსაიფობდნენ. ბაბო სწორედ ბედნიერი იყო ამ საღამოს: ისევ თავისუფალი, უდარდელი ბაბო იყო. ერთხელაც არ უჩენია თავი მის მაწუხებელ, მჩაგრავ, დამაღონებელ გრძნობას. ქალს დაუბრუნდა თითქოს ისევ მისი წინანდელი გამბედაობა. ყმაწვილს, ბრელიშვილს, ისევ თამამად შეჰყურებდა, ისევ გაბედვით უმზერდა, ელაპარაკებოდა, თითქოს მისდამი არასოდეს არავითარი სხვა აზრი, სხვა გრძნობა არ ჰქონია გულში, გარდა ამხანაგობისა და ძმობისა. ამის მიზეზად, ამ ბედნიერების მომნიჭებლად იგი სახავდა თავის ძვირფას გიგოს, იმ ძვირფას კაცს, რომლის იმედმა არ უმტყუნა, რომლის მხოლოდ ახლო ყოფნამ ასე საკეთილოდ შესცვალა მისი გუნება, რომლის შეხედვამ დაუბრუნა ყოველივე ღირსებანი, გაამხნევა, გააღონიერა და სამარცხვინო მდგომარეობას დააშორა. ასე ეგონა, რომ ეს არის ახლა გადვურჩი ყოველ განსაცდელსაო. ამშორდა ყოველივე უბედურება და დამცირებაო. და ასე იმედიანად რომ შეიქნა, ეს რწმენა რომ დაებადა, ამიტომაც ეს კაცი, უამისოდაც მისთვის საყვარელი, ღრმად პატივსაცემად მიჩნეული, ძმად დასახული, დღეს კიდევ უფრო შეუყვარდა, უფრო ძვირფასი,

უფრო კეთილი, პატიოსანი, ძმაზე კიდევ უფრო ძმა გაუხდა. აღტაცებული ყმაწვილი ქალი უსაზღვროდ ბედნიერი იყო, ბადლიერი. ოჰ, რა ბედნიერად მიაჩნდა ამჟამად თავისი თავი! ოჰ, რა კარგი იყო სიცოცხლე მის თვალში!.. რა ნეტარებას გრძნობდა ყოველი მწუხარებისაგან განთავისუფლებული გული! ასე აღტაცებული ფიქრობდა გიგოს შესახებ: „ძვირფასო, ძვირფასო ძმაო!.. შენით ვარ ისევ ბედნიერი!.. შენით ვარ ისევ ადამიანი!"

ამ გატაცებაში რომ იყო, ამ ნეტარებით გარეტიანებული, .ვაბრუებული დროს მსვლელობას რომ ვერ ამჩნევდა, უეცრად, თითქოს შორიდან მოესმა ვიღაცის ნათქვამი:

— აწი კი დროა, თქვენც მოგასვენოთ!.. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ბაბო ამ სიტყვებმა თითქოს გამოაფხიზლა... მან ახლად გამოღვიძებულის მსგავსად მიიხედ-მოიხედა, თითქოს რაღაცის ეკვებას ცდილობსო და, როცა დაინახა, რომ ბრელიშვილი ხეზე წამომდგარა, ქუდი ხელში უჭირავს და წასვლას აპირებს, ბაბოს გულში რაღაც ჩასწყდა, რაღაც მძიმე ლოდი დაეწვა ზედ. მოკუმშა ეგ გული და თითქოს იმის მოწყვეტას ცდილობდა.

„მიდის?!" გაურბინა ქალს თავში. ანგარიშმიუცემლად გაეწოდა ხელი და გაშტერებული თვალი გააყოლა მიმავალ ყმაწვილს, რომელიც რამდენიმე წამის შემდეგ ოთახიდან გავიდა... ეაჰქრა და თითქოს... თითქოს სამუდამოდ განშორდა...

— ბაბო, გეტყობა ძალიან დაგღალა სეირნობამ და გირჩევ, მოისვენო... აწი დროც არის! — ბუნდოვნად ესმის ქალს ქმრის სიტყვები.

— დაიღლებოდა, აბა რა მოუვიდოდა! რაც მაგან ნავში ამბავი დააწია! — დაატანა გიგომაც.

— დაწევი, დაწევი, თუ ღმერთი გწამს! — არ ეშვებოდა სარდიონი. — ხვალ კარგად იქნები!

მართლაც მოღალული, მოქანცული, დასუსტებული ბაბო, მეწუხებული წავიდა თავის საწოლ ოთახში, მაგრამ არა მოსასვენებლად, დასამშვიდებლად... მისი აღტაცება ამაო იყო?! აბა, მისი იმედი, ახლა კი გავთავისუფლდიო, ფუჭი გამოდგა? მისი გულის ბატონი, შეუბრალებელი ბატონი ისევ ბატონობს,

ისევ მბრძანებლობს?! ღმერთო, მაშ ხსნა არ არის, საშველი არსაიდან მომეცემა! გიგოც ტყუილი იმედი ყოფილა! აბა რილასთვის ჩამოვიყვანე, რად მინდოდა ეგ კაცი? იმიტომ რომ დამენახვებინა ჩემი უსაქციელობა, ჩემი შერცხვენა და უნამუსობა? განა სხვები არა კმარან ამისათვის, რომ მოწმედ ესეც მოვიწვიო?!. — ასე ფიქრობდა უიმედობით შეპყრობილი ბაბო და ამ უსაშუალობაში,* ამ უიმედობაში ეს კაცი, მისი ახლო ყოფნა, დახმარების მაგივრად, უფრო აწუხებდა, სტანჯავდა. ამ გაწამაწიაში მყოფის სურვილი ახლა ის იყო, რომ ეს კაცი განშორებოდა, ამ კაცის თვალი აერიდებინა, იმას არ ეყურებინა მისთვის. ბედნიერება მისთვის ის იქნებოდა, რომ სვალვე წასულიყო იგი და მის თვალთა მზერა აეცილებინა... ეგონა კი, რომ ისევ მოვიპოვე ჩემი გული, მოვიპოვე კმაყოფილება, სიმშვიდე გულისა და თავისუფლება — და რა მალე კი გაუქრა ყოველივე ეს საწყალს!

ამ ბრძოლით მოღლილი, ღელვისაგან მისუსტებული, მიილუშა,* რაღაც ბურუსში გაეხვია, ჩაჩუმდა, ბურანში წავიდა, მაგრამ ამ ტანჯვით ძილმორეულს ძილშიაც გული მოუსვენრად უცემდა, ძალზე ძგერდა და, საშინელ სიზმრებში ჩავარდნილს, ძილშიაც სრული დამშვიდება არ ეღირსა.

მეორე დღეს ბაბო რომ ადგა, სარდიონი უკვე სამსახურში იყო წასული. ბაბოს მოაგონდა წუხანდელი ამბავი და ერთ წყვეტებაში* ჩავარდა: ვაი თუ გიგომ შენიშნა ყოველივე, ვაი თუ მიმიხვდა ჩემს ამბავსაო? ამ დარდით შეპყრობილი ქალი ვერ ბედავდა ოთახიდან გასვლას, რცხვენოდა და ეშინოდა კიდეც გიგოს შეხვედრისა. როგორც იყო, გააღო ბოლოს საწოლი ოთახის კარი, გამოვიდა სასადილო ოთახში, იქიდან ზალაში გავიდა და მხოლოდ იქ დაინახა გიგო, რომელიც ტახტზე იჯდა, კედელს მისწოლოდა და რაღაც წიგნს კითხულობდა.

— დიდხანს გეძინა, ბაბო! — მხიარულად შეეგება იგი ფეხზე წამოდგომით. — ჩანს, მართლა ძალიან დაღლილი იყავი! ახლა ხომ კარგადა ხარ?

— კარგადა ვარ! — მიუგო ბაბომ.

ამ კაცის ხალისიანად შეგებებამ, მისი სახის გამომეტყველებამ ქალს გამბედაობა დაუბრუნა, გული დაუმშვიდდა და

სიტყვის თქმის ღონე მისცა, მაგრამ მაინც რცხვენოდა, მაინც უხერხულად გრძნობდა თავს, მაინც დამნაშავესავით იყო და ისე შეჰყურებდა, თითქოს გუნებაში ამბობდა: „რომ იცოდე, რაც ჩემს გულში ამბავია, ვაი რომ ეგრე ამხანაგურად, ეგრე ძმურად აღარ მომეპყრობი!..“

— ბაბო, წაკითხული გაქვს შენ ეს რომანი? — შეეკითხა გიგო ამ დროს და ანიშნა წიგნი, რომელიც ხელში ეკავა.

— რა არი ეგა?

— ბურჟეს* რომანია „სიცრუენი“*, — „Les mensonges!“.

— არა, ჯერ არ წამიკითხავს.

— აბა, მოდი, მე წაგიკითხავ, იმ პირობით, თუ არ დაგეძინება... ვერ წარმოიდგენ, რა მშვენიერებაა!

ბაბო დაეთანხმა, იფიქრა, რომ ის წიგნის კითხვაში იქნება, მე უფრო თავისუფლად ვიქნები, თვალებში მზერას აღარ დამიწყებსო.

გიგოს მოხდენილმა კითხვამ და თვით წიგნის შინაარსმა ინტერესი გაუღვიძა ბაბოს და ქალი სმენად იქცა.

— შენ კი ხელი არ მოგიკიდნია ამისთანა თხზულებისათვის, თუმცა ვიღაცას შემოუტანია აგერ და სტოლზე დაუგდია!.. — ღიმილით უთხრა გიგომ, როცა შენიშნა თავის მსმენელს გახალისება.

ბაბომ მხოლოდ გაიღიმა და გიგომ ისევ განაგრძო კითხვა. ამ დილას არავინ მოსულა სტუმართაგანი და ამიტომაც კითხვისათვის ხელი არავის შეუშლია.

გიგო გატაცებით კითხულობდა და ტახტზე უმოძრაოდ კედელს მიწოლილი ბაბო, ეტყობოდა, ერთიანად შეპყრობილი იყო გაგონილით, ეტყობოდა, რომ ძლიერ მოქმედებდა მის გრძნობა-გონებაზე ყოველივე, რაც ესმოდა. გიგო სიამოვნებით გადაჰხედავდა ხოლმე ბაბოს და, თვითონაც თხზულებით გატაცებული, უფრო გატაცებით კითხულობდა, რაკი ხედავდა, რომ ბაბოც დიდი ყურადღებით უსმენდა. აღელვებული, წყრომით აღსავსე, უცნაურის, რაღაც უბედურების მომასწავებელის ხმით შეუდგა გიგო იმ ადგილის კითხვას, სადაც ყმაწვილი რენე უკვე დარწმუნდა, რომ სუზანა გარყვნილიაო, და მიდის მასთან განრისხებული, გაცეცხლებული. მცირე ლაპა-

რაკის შემდეგ, თავდავიწყებული წაავლებს ამ მისი სიყვარულის ულირს ქალს თმაში ხელს და შეუბრალებლად ცხვირ-პირს დაახლეკინებს ბებერი საყვარლის სურათზე.

გატაცებით კითხულობდა გიგო და იმას კი ვერ ხედავდა, რომ მის წინ მჯდარი ბაბო თვალებგაფართოებული, შეშინებულივით, შემკრთალივით მისჩერებოდა აღელვებული, აწრიალებული, მოუსვენრობით შეპყრობილი. გიგო ვერ ამჩნევდა ამას და, თითქოს ჯიბრზე, უმატებდა კითხვის განგრძობით ტანჯვას.

რას კითხულობდა გიგო ამის შემდეგ, რითი დათავდა ის ამბავი, საწყალ ბაბოს არც კი გაუგონია, ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო წაკითხულმა. შიშით დამფრთხალი ქალი მხოლოდ თავის გულში ამბობდა გიგოს შემხედვარე:

„რენე!.. აი, რენე!“

და როცა გიგომ წიგნი მაგიდაზე დასდვა, კითხვა რომ გააოთავა და მიმართა ქალს კმაყოფილებით: — ხომ კარგი რომანია? — ბაბომ გონებადაუტანებლივ მიუგო აღელვებისაგან მისუსტებული ხმით:

— კარგი!.. კარგი!

— აი, ქალბატონებო, თქვენი ამბავი! — ღიმილით დაატანა გიგომ, რაზედაც ბაბომ მხოლოდ ძალდატანებით გაიცინა.

— ჰმ, თქვენი ამბავი... თქვენი ამბავი! — თავისთავად გაიმეორა გუნებაში ბაბომ.

ეს კაცი ახლა სწორედ საშიშარი შეიქნა მისთვის, დიახ, საშიშარი.

„რენე... რენე!“ უნებლიეთ აგონდებოდა ბაბოს, როცა შეხედავდა გიგოს, როცა მოესმოდა მისი ხმა.

ამისთანა კაცს ეტყოდა ახლა ბაბო თავის გასაჭირს? ამას გამოუტყდებოდა ბაბო, რომ ასეთსა და ასეთს უბედურებაში ვარო? რასაკვირველია. ცრა. პირიქით, დამალვას ცდილობდა, მისგან შორს ყოფნას, მის თვალთახედვისაგან დაშორებას. საშიშარი და სარიდალი* შეიქნა მისთვის ახლა ყოველი ნაცნობი, ყოველი ამხანაგი, ყოველი მისი წინანდელი პატივისმცემელი, რომელთაც სრული უფლება მიეცემათ, თუკი გაიგებენ მის ამბავს, ისე მოეპყრან, როგორც ის შეუბრალებელი რენე სუზანას მოეპყრო მისი უპატიოსნობის გაგებისთანავე. გან-

მარტოებაში მყოფს ამასობაში მისი მაწუხებელი გრძნობა დღე-დღეზე უფრო უძლიერდებოდა, უფრო ეზრდებოდა ეს გრძნობა. თანდათან უფრო იმორჩილებდა ქალს და, მისდა სამწუხაროდ, ტანჯვასთან ერთად რაღაც უცნაურ სიამოვნებასაც აგრძნობინებდა.

თუმცა ყმაწვილი ქალი მედგრად ებრძოდა თავის გრძნობას, მისი გონება უარს ამბობდა მისგან მონიჭებულ სიამოვნებაზე, მაგრამ ყოველივე ამაო შეიქნა. ყოველი წინადადება ფუჭი იყო: მისი გული მაინც ბრელიშვილისათვის სცემდა, მისი გრძნობა მაინც მისკენ მიფრინავდა, ქალის არსება მთლად მისთვის შფოთავდა და ღელავდა, მაინც მისით უხალისდებოდა ეგ გატანჯული სიცოცხლე. იმის მზერით, შეხედვით, ახლოს ყოფნით ეძლეოდა მის ცხოვრებას ფასი, მისით გრძნობდა ბედნიერებას, იგი ანიჭებდა ნეტარებას. და რაც უფრო ნათლად ხედავდა ამას, ამჩნევდა თავის თავს, მით უფრო სასოწარკვეთილებას ეძლეოდა: რცხვენოდა, უპატიოსნოდ მიაჩნდა ამნაირი თავისი მდგომარეობა, ამნაირი გულისთქმა. უფრო ისა ჰკლავდა, ისა წვავდა და დაგავდა, რომ ყოველ ღონეს ხმარობდა თავის დამღუპველისათვის არ შეეხედნა, გარნა მისი თვალები მაინც მისკენ იმზირებოდნენ, მაინც მასზე უშტერდებოდნენ, იმას ვერა შორდებოდნენ და ამას ადვილად შეეძლო გამოეაშკარავებინა მისი გულის ამბავი. ამ შიშით იგი იძულებული შეიქნა მალვით, ქურდულად დაეკმაყოფილებინა თავისი გულის წადილი. ნამალევად დაეტკბო გრძნობა, დაემშვიდებინა გული, მოეკლა სურვილი თავის მომხიბვლელის ცქერით. მაგრამ საშინელება ის იყო, რომ ზომიერება ეკარგებოდა, მოსაზრებულ გაფრთხილებას ვერ ახორციელებდა. და ამნაირად დამონებულს რომ ხედავდა თავის თავს, ასეთ უღონობას რომ ატყობდა, რომ ხედავდა ცხადად, ჩემ ნებაზე ვეღარ ვიქცევი, ჩემს თავს ვეღარ ვიკავებ, ჩემი არსება ვეღარ დამიმორჩილებიაო, უფრო სუსტდებოდა სულით, უფრო უიმედობას ეძლეოდა და თან უფრო ყურმოჭრილი მონა ხდებოდა თავისი გულისთქმისა. ყოველივე ეს ვაება მეტად ასუსტებდა, მაგრამ ძლეულს, მოღალულს, მოქანცულს წინააღმდეგობითა და ბრძოლით რაღა ექნა, რა გზას დასდგომოდა?!

ბაბო ნამდვილ ავადმყოფს დაემსგავსა. მოწყვეტილი,

მჩვრად გადაქცეული იწვა ხოლმე მთელი დღეებით ჩაცმული თავის ოთახში და მარტოობას არჩევდა. დიდი გამოცდილება და დაკვირვება არ იყო საჭირო, რომ კაცს შეემჩნია მისი უცნაური გამოცვლა. გარაყანიძის ოჯახში უჩვეული სიჩუმე და სიწყნარე ჩამოვარდა.

წასასვლელად გამზადებულმა გიგომ ამის გამო გადასდო წასვლა.

— სარდიონ, ბაბო არ ამხელს, თორემ ძლიერ ავად უნდა იყვეს... საჭიროა დროზე ზომა მიიღო! — უთხრა გიგომ სარდიონს.

— განა მე კი ვერა ვხედავ, ჩემო ძმაო! — მიუგო მწუხარებით სარდიონმა. — განა ვერ ვხედავ, მაგრამ რა ვქნა, რა ვუყო? ვეხვეწები, ვემუდარები, მითხარი, რა გტკივა, ექიმს მოვიყვან, ვწახავს, რამე საშუალებას აღმოგიჩენს-მეთქი — რომ არაფერს შვრება, რომ არაფერს ნდომულობს?!.. ვეღარ ვცნობილობ, ისე გაჯიუტებულია, გაუზნეურებული! რა ვქნა, ღმერთმანი, აღარ ვიცი!.. — და შეწუხებულმა კაცმა ღრმად ამოიოხრა და ჩაჩუმდა.

— უსათუოდ უნდა ანახვო ექიმს, უსათუოდ, სარდიონ! — მტკიცედ მიმართა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ გიგომ. — უსათუოდ! მაგას რას ეკითხები, თუ ღმერთი გწამს!

— მაინც ეგრე უნდა ვქნა, მეტი გზა არ არის! — წარმოსთქვა სარდიონმაც.

მოწვეულმა ექიმმა ნერვების აშლას მიაწერა ბაბოს ისეთი მდგომარეობა და ურჩია ქალაქიდან სადმე სოფლად, კარგ წმინდა ჰაერზე წასვლა რამდენიმე ხნით.

როცა სარდიონმა უთხრა წასასვლელად შემზადებულიყო, ბაბო უარზე დადგა. არწმუნებდა ქმარსაც და გიგოსაც, კარგად ვარო, სრულიად ავად არა ვარო, არსად წასვლა არ მესაჭიროება, ეგ მხოლოდ ექიმის სიჩერჩეტეაო.

მთელ საზოგადოებას სალაპარაკოდ გაუხდა ბაბოს ავადმყოფობის ამბავი. ყველა — კაცი და ქალი — მის ამბავს კითხულობდა თანაგრძნობითა და ყოველდღე მრავალი მნახველი მოსდიოდა. ამათი დაღონებული სახის გამომეტყველება, მათი შეწუხება, გადამეტებული თანაგრძნობა და ნუგეში მხოლოდ უფრო აჯავრებდა უიმისოდაც შეწუხებულ ბაბოს, რო-

შელიც ათასწილად უფრო მადლობელი იქნებოდა, რომ მისი მარტოდ, მუუდროდ ყოფნა არ დაერღვიათ, მიეცათ თავისუფლება თავის გულთან ემუსაიფნა, ელაპარაკნა, მისი ცემა-ტოკვისათვის ყური ეგდო. მისი სიამოვნება ახლა ეს მარტოდ ყოფნა იყო დილიდან საღამომდის, რომ ტახტზე წამოწვებოდა რბილ მუთაქებში, ან გაყუჩებული, თავაბურძგნული რომ ქანაობდა სავარძელში ხმაამოუღებლად და ამასობაში მისი მისუსტებული გონება რაღაც ბურუსით იყო გარემოცული და ამ ბურუსში მკრთალად, ბუნდოვნად ეხატებოდა იმისი სახე, ვისიც მოშორება თან სწადდა და თან ეძნელებოდა კიდეც.

სხვებთან ისიც მოდიოდა მის სანახავად, მის კარგად ყოფნის ამბის გასაგებად და თანაგრძნობით ეკითხებოდა, გულუბრყვილოდ, რაკი არა იცოდა რა, თუ როგორ იყო მისგან გატანჯული ადამიანი. გულაძგერებულს, მთრთოლავს, აკანკალებულ ქალს სული ეხუთებოდა, ენა უშრებოდა, სისხლი თავში უვარდებოდა, საფეთქლებშიც სცემდა კვერივით* და გაბრუებულს პირის გაღებისა ეშინოდა, ეშინოდა, რომ მისდა უნებურად ენას არ წარმოეთქვა, წამოეტარტარა, რაც ამბავი იყო მის თავს, არ გაეცა პასუხის მაგივრად სხვა, მისი სიკვდილი, მისი შეჩვენება არ გამოეთქვა. ამ გაწამაწიაში, რა მიუგო, რა უთხრა, რა უპასუხა, ან თუ მისცა რამ პასუხი, აღარაფერი იცოდა, აღარაფერი ახსოვდა. მისი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ განშორებოდა ეს მისი მტანჯავი, მისი მაწამებელი, განშორებოდა და მით შვება მიეცა...

ყმაწვილი, თითქოს მიუხვდა სურვილს, წამოდგა, რაღაც უთხრა, თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა. ორი ნაბიჯი ძლივს გადადგა ბაბომ მისდა გასაცილებლად, რომ, ყმაწვილი კაცის გასვლისთანავე, ერთბაშად მიტრიალდა და ტყვიანაკრავივით მძიმედ დავარდა ტახტზე, ჩაემხო მუთაქებში და ბალიშებში; გულამომჯდარი მტირალი ქალი თავს ურტყამდა მუთაქებსა და ტახტს გამწარებით.

შინდაბრუნებულ სარდიონსა და გიგოს ბაბო საწოლში მწოლარე დაუხვდათ.

— სარდიონ, გირჩევ, ნუ აგვიანებ ექიმის რჩევის შესრულებას! უსათუოდ წადით სადმე, სადაც ის კაცი გირჩევთ... ერთი-ორი თვის გულისთვის სამიდღემჩიოდ თავს ნუ იმეტებ...

ვერ ხედავ. ქალი აღარაა სრულიად! — გაცხარებით და მწუხარებით ამბობდა ვიგო.

— რასაკვირველია, უნდა ავასრულო ექიმის რჩევა. რასაკვირველია! — დაბნევით უპასუხებდა სარდიონი. — მეტი არაფერი მეშველება... აგერ ვითხოვ „ოტპუსკს", ჩემს საქმეებს გადავცემ და წავალ... აბა რა ექნა!

გარაყანიძის ოჯახის ყოველი ნაცნობი მეტად შეწუხებული იყო ბაბოს ასე უცნაური ყოფით. ყველგან და ყველას აკვირვებდა მისი მდგომარეობა, მისი ასე მოულოდნელად ავად გახდომა. ყველანი მიზეზს კითხულობდნენ, მიზეზს ეძებდნენ — თუ რისგან იყო, რამ ჩააგდო ასეთს ყოფაშიო.

— მაინც რას მიაწერა, რა დაასახელა ნერვების ამშლელ მიზეზად ბესტავაძემ? — ეკითხებოდნენ გიგოს ბულვარში, როცა გარაყანიძიანთ ნაცნობებმა გაიგეს, რომ სარდიონი იმ დღეებში ცოლიანად მიდიოდა №-დან.

— საიდან გაიგოს, რითი მიხვდეს მაგას? — უპასუხებდა გიგო. — განა შეიძლება, რომ დანამდვილებით თქვას, ეს ან ეს გარემოებაა მიზეზიო?!

— მე უკეთესი ექიმი ვყოფილვარ, თუ კაცი ვარ, იმ ბესტავაძეზე... ქალი ბრელიშვილისათვის კვდება და ესენი, ნერვების აშლაოო... სისულელე ამაზე მეტი იქნება?!

გიგომ მიიხედა იქით, საიდანაც ეს სიტყვები მოესმა. ამისი მთქმელი მაღალი ტანისა, მოკლედ შეკრეჭილ-წვერებიანი, სათვალეებით მოგრძო ცხვირზე, შუახნის კაცი იყო, მოშორებით იდვა რამდენიმე კაცს შორის და ამ სიტყვების თქმასთან ერთად ილრიჭებოდა და გესლიანად იცინოდა. ეგ იყო ცნობილი თავისი დაურიდებელი სიტყვა-პასუხით გრიგოლ გამცემლიძე.

— ღმერთმანი მართალს ვამბობ! — ხითხითით დაათავა მან თავისი სიტყვა.

გიგო თოფის წამალივით აენთო. მზად იყო ჯოხი დაეფშვნა ამ საზიზღარი კაცის ზურგზე. მაგრამ თავსა სძლია და მეტად აღელვებულმა ხმამაღლა წამოიძახა:

— რა საკვირველი თვისება დაჰყვება ზოგიერთ ადამიანს დაბადებიდანვე... თუ ვისმეზე საძაგლობა არა თქვა, თავისი

სისაძაგლე ვისმეზე არ გამოიჩინა, უამისოდ სიცოცხლე სიცოცხლედ არ მიაჩნია!..

გამცემლიძე, რასაკვირველია, მიუხვდა გაგონებისთანავე, რომ სალაძის სიტყვა მას შეეხებოდა.

— ჩემზე არის თქვენი წყრომა მომართული, ყმაწვილო? თქვენ ნუ მომიკვდებით, ტყუილად, სულ ტყუილუბრალოდ! — წამოიწია მან გიგოსკენ და დაცინვით უთხრა ეს სიტყვები.

გიგო გაჩუმდა, პასუხი არ მისცა და რამდენიმე წუთის შემდეგ სხვა ყმაწვილებთან ერთად კიდეც მოშორდა იქ მყოფთ. გიგო მოერიდა ამ კაცთან ლაპარაკს, რომ უარესი რამ არ შემოხვეოდა და საზოგადოება არ აელაპარაკებინა გამცემლიძის სიტყვების გამო.

გიგო მეტად გაბრაზებული იყო და გაცხარებით ლაპარაკობდა თავის ამხანაგებთან გამცემლიძეზე:

— რა ჯინი სჭირთ მაგ შეჩვენებულებს ყოველისავე პატიოსანი ადამიანისა, რა შხამი აქვთ მომზადებული ყოველი რიგიანად და კეთილად მიჩნეულისათვის, რომ უსათუოდ უნდა წაბილწონ, ტალახში ამოსვარონ? სულით და გულით მონდომილი არიან ჩამოაცალონ ყოველივე ღირსება, ყოველივე კარგი თვისება, დაუკარგონ პატივისცემა და ამისათვის არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, არაფერ საზიზღრობას არ თაკილობენ... და უფრო გასაკვირველი ის არის, რომ საზოგადოება არ ერიდება ამგვარ კაცებს, მიღებულიცა ჰყავთ ყველგან და გათამამებულიც.

თუმცა ასე ხსნიდა გამცემლიძის ნათქვამს, მაგრამ გულში კი, უნებურად, ერთხელ-ორჯერ გაურბინა აზრმა: „ვაი თუ ამ საძაგელმა კაცმა მართალი თქვაო“.

და თუმცა გიგო მეტად შორს იყო ამნაირი რამ დაეჯერებინა ბაბოს შესახებ, მაგრამ, რაც ხანი მიდიოდა, უფრო ხშირად უკვირდებოდა ამ სიტყვებს. „ვაი თუ ეგ მართალი იყოს? — გაშტერებით იმეორებდა გუნებაში და იმწამსვე ხმამაღლა წამოიძახებდა ხოლმე ამ ეპვიანობისათვის გაჯავრებული: „არა, არა, ეგ, რასაკვირველია, ტყუილია... ცილისწამებაა მხოლოდ!.. ბაბო ამისთანა ამბავში?! ჰმ, მაშ ქვეყანაზე პატიოსნება აღარ ყოფილა!.. მაშ კაცს კაცისა არაფერი არ უნდა გწამდეს, არაფერი არ უნდა გჯეროდეს!.. რასაკვირველია, ტყუი-

ლია, მხოლოდ ცილისწამებაა, სხვა არაფერი!..“, ეუბნებოდა თავისთავს გიგო, მაგრამ ამასთანავე, მისდა უნებურად, მისდა წინააღმდეგ, ეს ცილისწამებად მიღებული სიტყვაც ბოლოს მასზე უგავლენოდ არ დარჩენილა; მან მაინც ეჭვის თვალით შეახედვინა ბაბოსათვის, იძულებული გახდა თვალი ედევნებინა მისთვის, დროებით ნდობა დაუკარგა ყმაწვილ ქალისა და ამას ისიც მოჰყვა, რომ ამ კაცს გულიც კი შეუცვალა და წყრომით აუვსო იმ შემთხვევისათვის, თუ ბაბო მართლა უპატიოსნებაში იყო გარეული, თუ იგი მისი პატივისცემისა და სიყვარულის ღირსი არ აღმოჩნდებოდა.

— ოჰ, მაშინ არ ვიცი, რას არ ჩავიდენ! — წყრომით წამოიძახებდა ხოლმე გიგო.

ამ ეჭვსა და წყვეტებაში მყოფს კიდეც დაეკარგა, თუ სრულიად არა, შესამჩნევად მაინც შეუმცირდა, ბაბოს სიყვარული და თანაგრძნობა. ახლა იგი უფრო თავისთვის ზრუნავდა. ეშინოდა, თვისი რწმენა ხელიდან არ გამოსცლოდა და არ დარწმუნებულიყო, რომ ყმაწვილივით ვენდობოდი ადამიანთაო, და რომ ასე ადვილად არ დაეკარგა ეს რწმენა, ეს ნდობა ადამიანისა მხოლოდ ვიღაც საძაგლისა და ავი კაცის მიკო ნათქვამი ლიტონი სიტყვის წყალობით, მან გადაწყვიტა ყველაფერი დაწერილებით, დანამდვილებით გაეგო, ყოველივეში თავად დარწმუნებულიყო.

სწორედ ამ განზრახვით ადევნებდა ახლა გიგო თვალს ბაბოს და ბრელიშვილს, ამისათვის ხმარობდა ათასნაირ ღონისძიებას და სხვადასხვა ხერხს იგონებდა, მაგრამ მან მაინც ვერაფერი გამოარკვია.

ერთ საღამოს შინდაბრუნებულ გიგოს მხოლოდ ბაბო დაუხვდა სასტუმრო ოთახში, რომელსაც ოდნავ ანათებდა ჩაწეული ლამპის სინათლე. სიბნელით მოცულ ოთახში ბაბო ტახტზე წამოწოლილიყო. გიგოს დანახვაზე მან წამოიწია და დამძიმებული ხმით ჰკითხა:

— სად ხარ, გიგო, ამდენი ხანი?

გიგომ ცივად უპასუხა, რომ საქმე მქონდაო, და სკამზე ჩამოჯდა ლამპის მახლობლად.

ლაპარაკი რაღაც არ ხერხდებოდა. ბაბო წამოდგა და საქანებელ სავარძელში ქანაობა დაიწყო; გაყუჩებული ჯერ გი-

გოს მისჩერებოდა, მერე კი თითქოს რაღაცამ გაიტაცაო, გადიგდო სავარძლის სახურგეზე თავი, და რაღაც შორს მამზერალივით, გაშტერებული იმზირებოდა ამ ჩამობნელებულ ოთახში.. მისი აზრები, მისი გონება თითქოს რაღაცას ეძებდა, შეიძლება კიდევაც არჩევდა, ხედავდა და სტკბებოდა რიღაცის მზერით.

იქაურობა მყუდროებას მოეცვა... ოთახში სრული დუმილი იყო დამყარებული. ამ დუმილს მხოლოდ ხანდახან თუ დაარღვევდა ქუჩიდან შემოვარდნილი მიმავალ-მომავალი ეტლების რახარუხი.

გიგო ნელი ნაბიჯით ნოხებზე აქეთ-იქით დადიოდა გაჩუმებული.

უეცრად რაღაც ბოროტმა სურვილმა გაურბინა გულში, უცბად მიტრიალდა ბაბოსაკენ, თითქოს რაღაც დავიწყებული სათქმელი გაახსენდა, და მიმართა:

— მართლა, ბრელიშვილი რომ სადღაც გადაჰყავთ თურმე! დღეს მითხრეს ბულვარში.

— აჰ?! გადაჰყავთ?! — უცნაურის ხმით წაილაპარაკა ამ-სიტყვების გაგონებაზე წელში გამართულმა ბაბომ, თან მეტი აღელვებისაგან ფეხზედაც წამოდგა, მაგრამ გიგოს მიჩერებულ თვალებს რომ შეხედა, უცბად მოვიდა გონს, გაისწორა კაბა, ვითომ ამისათვის წამოვდექიო და ისევ ჩაჯდა სავარძელში; ჩაჯდა კი არა, უფრო ჩაიკეცა.

„ჰმ!.. რასაკვირველია! რასაკვირველია, ამათ შორის ერთი რამ ამბავი..! — ზიზღით წაილაპარაკა გულში გიგომ. — განა არ ეტყობა?!“

მაშ რა იყო ეს აღშფოთება, თითქმის წამოძახილი, „გადაჰყავთ?“ დაიჭირა, დაიჭირა, გაუგო! მაგას აწი ეჭვი აღარ უნდოდა. ამ გამოსაცდელად ნათქვამმა სიტყვამ საბოლოოდ გამოააშკარავა მისთვის ამ ქალბატონის გულის ამბავი!.. ნათლად, ცხადად!

ბაბოც მიხვდა, რომ დაიჭირეს, რომ მახეში გააბეს საცოდავი ჩიტუნია, შესაბრალისი, უღონო ფრინველი; ისეთი შემკრთალებით, ისეთი შეშინებული თვალებით მისჩერებოდა თავის მონადირეს,* რომ გამარჯვებულს შერცხვა, შეენანა თავისი საქციელი, თავისი შეუბრალებლობა და თავისი მსხვერპლის სა-

ცოდავი შეხედულებით* შეწუხებულმა ისეთ კილოზე დაუწყო ლაპარაკი, ისეთი შერჩეული სიტყვებით დაუწყო მუსაიფი, თითქოს ამით უნდოდა დაემშვიდებინა თავზარდაცემული ტყვე, დაეწყნარებინა მისგან შეშინებული გულის ძგერა.

თავბრუდასხმული ბაბო ძლივს იჯდა სავარძელში, სირცხილისაგან გამშრალი. ცდილობდა გიგოს თვალებში ამოეკითხა თავისი განაჩენი, თავისი სასჯელი. არც კი ესმოდა, რას ლაპარაკობდა მის წინ მდგარი, ამას წინათ კიდევ მისი მოსიყვარულე ადამიანი. მზად იყო იმწამსვე ბოლო მოეღო თავის აწ შერცხვენილ სიცოცხლისათვის, მაგრამ ღონე. ღონე სად იყო? ძალა რომ აღარ აქვს, რა ქნას, რა მოახერხოს?! ღმერთო, რას უნდა ფიქრობდეს ეს კაცი ჩემზე? რას იფიქრებენ ამასთან სხვებიც? ყველა, სულ მთლად ჩემი ნაცნობები, ჩემი მოკეთეობა?! ღმერთო, რა დღეს შევესწარი! ღმერთო, რა ამბავია ეს ჩემს თავს! — ფიქრობს გულში გაწტერებული, სავარძელში უმოძრაოდ მოკუმშული ბაბო და რაღაც ბურანი ეხვევა, თვალთ უბნელდება, გონება ერთმევა და უცნაური, წყნარი და ტკბილი უგრძნობლობა ავსებს მის არსებას.

რა ტკბილ, საამურ ძილში იყო წასული მისი გონება! რა კარგად ჰგრძნობდა თავს ამ უარარაობაში ჩავარდნილი და რა მწუხარებით აივსო მისი არსება, როცა მისი გონება ისევ გამოფხიზლდა, როცა მის ფიქრებს შემოეცალა გარშემოხვეული ბურანი.

მის წინ მოჩვენებასავით იდგა ბრელიშვილი და რაღაცას ეუბნებოდა ღიმილით.

ძარღვებში სისხლი შედგა ერთბაშად და იმ წამსვე საშინელი სიჩქარით დატრიალდა მთელ მის სხეულში.

— მადლობა ღმერთს, რომ უკეთ ბრძანდებით! თქვენი ეგრე ყოფნა სწორედ ძალიან დაეტყო ჩვენს საზოგადოებას, ბატონო ბაბო!

პასუხის მაგიერ ბაბომ გაიღიმა მხოლოდ და გიგოს მიაპყრო თვალები. გიგო კი გაჯავრებით მისჩერებოდა მოლაპარაკე ბრელიშვილს, რომელიც ახლა სძულდა, ეზიზღებოდა იმდენად, რამდენად წინათ უყვარდა. გიგოს ახლა ორივე სძაგდა, მათი მზერა გულს უმღვრევდა, უცნაურად აქეზებდა, რომ მათი საწყენი რამ ეთქვა, მათთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა.

ბრელიშვილის ყოველი სიტყვა სხვანაირად მიიღო გიგომ. მას ეგონა, რომ თვალთმაქცობსო, ეს კაცი ატყუებს ქალსაო, თვალებს უსვევს და ამიტომ ელაპარაკება ასე მორიდებით, ვიღომ და აქ არაფერია პატივისცემის მეტიო.

„საძაგლები!.. საძაგლები!“ ამბობდა გიგო გულში.

ბრელიშვილი მეტად გააკვირვა გიგოს ამრეზილობამ ამ საღამოს; ისეთ ყოფაში ეჩვენა, რომ კითხვაც გაუბედა იმისი, თუ რათა ხარ მაგრე ავგუნებაზედაო. ბაბო კი ერთ სატანჯველში იყო ჩავარდნილი. კიდევაც უნდოდა ერთხელ კიდევ მაინც დამტკბარიყო ამ კაცის მზერით, ესიამოვნა მისი ყურებით და ოან მოწადინებულიც იყო, რომ ეს სურვილი გულიდან ამოეფხვრა, ამოეგლიჯა ძირიანად; მაგრამ მისი ეს ცდა უნაყოფოდ რჩებოდა. მის წინ გიგო იდგა. ერთის გულით* მადლობელი იყო მისი, მაგრამ მეორეთი ამას ფიქრობდა: რას მომჩერებია ეს შეუბრალებელი კაცი... რას მადევნებს თვალს? რა უნდა ჩემგან?

„ღმერთო ჩემო, ხომ მიდის, ხომ მშორდება, შეიძლება, სამიდღემჩოდ... შეიძლება საუკუნოდ?.. ეგებ ვერასოდეს აწი ველარ დავინახო... თვალიც ველარ მოვკრა! რაღად მიშლის მის ყურებას... რაზე მიწყრება, თითქოს მეუბნება, ნუ შესცქერიო! მე თვითონ ვიცი, რომ ეგ სიცუდეა ჩემი, სიგლახე, უპატიოსნობა... მაგრამ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გადავავლებ თვალს და მერე აღარ... აი, ერთხელ კიდევ და მეტს აღარ შევხედავ... აღარ მივაჩერდები. ერთხელ კიდევ, ეს უკანასკნელად და მერე აღარ... აღარ!..“

ასე ებრძვის თავისთავს უბედური ბაბო და მისი გონება მ-სი აზრი, მისი გამცემი თვალები ბრელიშვილისკენ მირბიან, მასსე ისვენებენ, მისით დატკბობას ეტანებიან. მხნეობადაკარგული ქალი გრძნობის სათამაშოდ შეიქნა და მისდა უნებურად შერჩენილი უღონო მოსაზრება კიდევ მაინც ატყობინებს, რარიგად შეუბრალებლად ითელება ამ მორეული გრძნობათა ღელვისაგან და, აი, ეს ფიქრი, ეს შეგნება ჰკლავდა, ცეცხლს უკიდებდა.

ბრელიშვილი ცოტა ხნის შემდეგ ადგა, გამოეთხოვა ბაბოს, გიგოს და წასვლა დააპირა. მასთან ერთად წასვლა მოინდომეს

სხვა სტუმრებმაც, რომელნიც ბრელიშვილთან მოსულიყვნენ ბაბოს სანახავად.

გამოეთხოვა თუ არა ბრელიშვილს, გიგო ისევ სავარძელში ჩაჯდა წარბებშეკრული.* ბაბო კი ადგა, გაედევნა ულონო ხაბიჯით ბრელიშვილს, გაჰყვა წინა ოთახში, იქიდან აივანზე და არ შემობრუნებულა, სანამ მიმავალთ კიბე არ ჩაიარეს და გაუნათებელ ქუჩაში ღამის წყვდიადმა არ მიმალა წასულნი. თუმცა ქალი ვეღარ არჩევდა ბრელიშვილს, ვეღარ ხედავდა სიბნელეში, მაგრამ მისი აზრი და გონება მაინც იმას მიჰყვებოდა უკან. ასე იდგა ბაბო კიბის თავზე რამდენსამე ხანს გაშტერებულივით, და ზალაში დაბრუნებულმა გიგოს რომ თვალი მოჰკრა, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა და მიხვდა, რა უსაქციელობა ჩაიდინა, რარიგად გაიმტყუნა ამ კაცის წინაშე თავისი თავი.

ერთი კი გადახედა სავარძელში ჩამჯდარს წარბებშეკრულ გიგოს და იმწამსვე იგრძნო, იმწამსვე შეატყო, რა წყრომით იყო აღვსილი ამ კაცის გული. ბაბო შიშმა აიტანა.

ქალმა ხმა არ ამოიღო. მივიდა ტახტთან და ზედ ზანტად ჩამოჯდა, სულგანაბული; გიგომ კი გაჯავრებული კილოთი დაიწყო ლაპარაკი: ამათთანა მაწანწალებისაგან* არის, რომ ათასნაირი საძაგლობა ხდება, ოჯახები ილანძღებაო, უკმაყოფილება და შფოთი-დავიდარაბაა ცოლ-ქმართა შორისო, რომ სინდისის სუსტი* ქალები ათასნაირ სამარცხვინო და შესაჩვენებელ საქციელს ადგანანო* და სხვა ამგვარები.

ბაბოსთვის ეს, რასაკვირველია, ნამეტანიც იყო. უმისოდაც დიდ გასაჭირში იყო და ამ სიტყვების გაგონებამ ხომ სულ მიწასთან გაასწორა... გაფაციცებულმა, დამფრთხალმა და აკანკალებულმა, სიტყვა გააწყვეტინა გიგოს და შესაბრალისი ხმით უთხრა:

— გიგო, შენი ჭირიმე... არ გეწყინოს... არ შემიძლია... უნდა მივეგდო!.. უკაცრავად, შენ გენაცვალე!

გიგომ გაუწოდა გამოსამშვიდობებლად ხელი და ქალი ტორტმანით* გაეშურა თავისი საწოლი ოთახისაკენ.

ოჰ, რა უშნო და რა შესაბრალისი ეჩვენა ახლა გიგოს ეს ზლაზვნით მიმავალი ქალი. ეს იყო მისი საყვარელი, სათაყვანებელი, სამაგალითო ბაბო?! ამას აღმერთებდა?! რამ მოჰკლა,

რამ დააღონა, რამ მოკრუნჩხა ასე საცოდავად? ვნებათაღელვამ, გამრყვეულმა გულის წადილმა, უსინდისობამ, თავმოყვარეობის, ნაძდვილი თავმოყვარეობის უქონლობამ, განა?!

და გიგოს სულითა და გულით ეზიზღებოდა ახლა, სძაგდა ეს ვნებამორეული ქალი, ვნების შესებით გასვრილი, გატალახიანებული. ამასთან სძაგდა მისი უჭკუო ქმარი, რომელიც, მისი აზრით, მონაწილე იყო ცოლის უსაქციელობისა.

— სულელი, ჩერჩეტი... უგუნური პირუტყვი, რომლის ტყავი ქალამნადაც სასმარებელი არაა!.. ნუთუ არ იცის, რაც აქბავია მის თავზე?.. თუ იცის, ხმას რატომ არ იღებს, რატომაა დამუნჯებული, თითქოს სათქმელი არაფერი ჰქონდეს ამ შერცხვენილ ქალთან!.. მაგრამ რა მოეთხოვებათ?! ყველა საძაგლობაშია გახვეული, ყველა გაფუჭებულია, უსნეო, ბრიყვი, გარყვნილი!.. რა მოეთხოვება მაგათ?! მათთან ყოფნით თვითონაც გაირყვნები, გაისვრები... სხვას რას დაგმართებენ! შორს, შორს!.. კისერიც მოუტეხნიათ!

და გიგო მოუსვენრად დადიოდა თავის ოთახში და ის იყო გადაწყვიტა, ახლავე, ამ ღამესვე მიეტოვებინა ეს ოჯახი და თავის ბარგი-ბარხანით ხვალინდელ მატარებლამდის ერთ-ერთ მახლობელ ამხანაგთან გადასულიყო და ეს ღამე იქ გაეთია.

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა სარდიონი. იგი შეწუხებული უნდა ყოფილიყო.

— გიგო! — თქვა მან ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ. — გიგო, ბაბო ერთობ ავადაა... რა ვქნა, კაცო?.. გადამეტებული ავადმყოფია.

— ახლა აგეხილა, ჩემო ძმაო, თვალები? რასაკვირველია, ავადაა! — გაჯავრებით მიუგო გიგომ.

— რა ვქნა... რა ვუყო, ღმერთმანი!.. გონება მეკარგება!

— რაც გითხრეს, რაც გირჩიეს და როგორც დაგარიგეს, ისე მოიქეცი!.. რაღა ყოყმანი და ვაი-ვუი გეჭირვება კიდევ! ხომ გითხრეს წადიო... ეგ ქალი აქედან წაიყვანეო...

— ეგ კი... აგერ ხვალ-ზეგ სულ მზად ვიქნები და წავალ... მაგრამ... არ ვიცი, არ ვიცი! — თავის გაქნევით წარმოსთქვა სარდიონმა.

— რა არ იცი?

— ვაი თუ ვერ გადურჩეს ამ ავადმყოფობას... მეტად ცუდადაა მოქცეული,* გიგო ჩემო!

— ეგ ღმერთმა იცის... და შენ შენი საქნარი აასრულე!

სარდიონის ყოველი სიტყვა, იმის ხმის გაგონებაც კი გულს უმღვრევდა, ჯავრს ჰგვრიდა გიგოს და ამიტომაც ასე კუშტად და უგუნებოდ ელაპარაკებოდა. სარდიონმაც შეატყო, გუნებაზე არ არისო, ჩაჩუმდა და მზერა დაუწყო შუა ოთახში გამოთრეულ გიგოს გახსნილ ჩემოდანს.

— მიემზადები თუ? — გაუბედავად შეეკითხა გიგოს.

— ჰო!

— ერთად წავიდეთ ბარემაც... გზა ხომ ერთხანაზე საერთო გვექნება.

— მე ამაღამვე უნდა წავიდე!

— ამაღამვე? — მიაშტერა გაკვირვებით თვალები სარდიონმა.

— ამაღამვე... გოცირიძეს შევპირდი, ბესარიონს, მოვალთქვა... იქ მიცდიან.

— ჰო, მე მეგონა, თუ ეგ ჩემოდანიც იქ მიგქონდა!..

გიგო მიხვდა თავის განზრახვის უადგილობას, დახურა გაშლილი ჩემოდანი, მისწია კედლისაკენ, ამოიღო საათი, დახედა, წამოავლო ხელი პალტოს და ქუდს და სარდიონს მიმართა:

— ამაღამ ველარ მოვალ, ნელარ მიცდით! — გამოეთხოვა და კარებისაკენ ვასწია.

გააღო თუ არა კარი, გიგომ განცვიფრებით წამოიძახა:

— ბაბო?!

სარდიონი მივარდა კარებს, შალწამოხურული ბაბო გაქვავებულივით იდგა კარებს უკან ატუზული.

— რა გინდა აქ, რაზე ამდგარხარ? — შეეკითხა ცოლს გაოცებული სარდიონი.

— შენ გეძებდი!.. — ძლივს წარმოსთქვა ბაბომ ნელი ხმით.

— რა გინდა, რა იყო? — ჰკითხა კვლავ სარდიონმა.

„რა ენდომებოდა, რა უნდა ყოფილიყო? მოსაყურებლად თუ იყო მოსული, უნდოდა გაეგო, ჩემზე ხომ არ ლაპარაკობენო, და, თუ ლაპარაკობენ, რას ლაპარაკობენო“ — გაიფიქრა გიგომ და წუთი აღარც კი შეიცადა, წავიდა. ამ კაცს დაეკარგა ყოველივე სიბრალული ამ ქალისადმი.

მივიდა გოცირიძისას, თავის გულითად ამხანაგთან, და ამ დაგვიანებული სტუმრობით გაკვირვებულ მეგობარს გულახდით მოუყვა ყველაფერი, უამბო დაუმალავად და დაწვრილებით ბაბოს ამბავი. გიგომ იცოდა, რა კაცს ელაპარაკებოდა და ამიტომაც შეეძლო თავის გულის საჯეროდ გამოეთქვა ყოველივე თავისი მწუხარება და ნაღველი.

— შენ ერთობ ცხარობ, ჩემო გიგო! და ბევრი რამ გავიწყდება ამასობაში, რისი მახსოვრობა, მხედველობაში მიღება ეგრე აღარ შეგახედვინებდა ამ შემთხვევისათვის!.. — უთხრა ბესარიონმა გიგოს.

გიგო შეჩერდა და მერე უცებ დაატანა:

— რას ვივიწყებ?

— იმას, რომ ბაბოც ისეთივე ქალია, როგორც სხვა, ჩემო გიგო!.. — ღიმილით თქვა ბესარიონმა.

გიგოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ბესარიონმა დაასწრო:

— მეც მათქმევინე, შენ ხომ იმდენი ილაპარაკე!.. ჰო, იმას გეუბნები, შენ გავიწყდება, რომ ეგ ჩვენი ბაბოც ქალია და მერე კიდევ ამასთან ქართველი ქალი...

— ჰოდა მაგიტომ უფრო მერევა ბრაზი! — ვეღარ მოითმინა გიგომ.

— ჩემი აზრით, ჩვენ არა გვაქვს უფლება, არა გვაქვს საფუძველი მკაცრად ვსინჯოთ ყოველი მათი საქციელი, ყოველ მოქმედებაში პასუხისმგებლად გავხადოთ... რატომ? იმიტომ, რომ ისინი ისევ ბუნების შვილნი არიან, მათი აზრი, გონება ისეთი მარტივია ჯერჯერობით, მთლად მათი არსება ისე ცოტაზეა დაშორებული პირვანდელ მდგომარეობას, მათი სულიერი მდგომარეობა, არსება ისეთი მონაა მხოლოდ გრძნობიერებისა, რომ ღმერთმანი, ცოდვაა, თუ უსამართლობა არა, მათდამი სასტიკად მოპყრობა, მათ შეცდომათა მკაცრად განსჯა, განკითხვა. ჩვენზე უფრო განვითარებულ საზოგადოებათ საჩივლელად და გულსაწყვეტად აქვთ თავიანთ ქალების მდგომარეობა, მათი დაქვეითებული, უკანჩამორჩენილი პიროვნება, მათი ფუჭი, უშინაარსო ცხოვრება. მაშ ჩვენ ქალებზე რაღა გვეთქმის, რაღა უნდა ვუკიჟინოთ ამის მცოდნეთა?! რა ადგილი უნდა ჰქონდეს მათზე ჩვენს წყრომას?! რას თხოვ, ან რად

ეხოვ იმას, რისიც აღსრულებისათვის მას ჯერ ღონე არ შეუძენია? რა ქნას თავის გრძნობათა მონამ, მხოლოდ დღიური ცხოვრების ვიწრო ფარგალში მოქცეულმა, უზენაესი იდეებით გონებაგაუბრწყინებელმა, რომლისათვის სრულიად უცნობია და გაუგებარი იმ იდეათა სიტკბოება და სიამოვნება, როცა მისი მდიდარი ბუნება დუღს, ღელავს, არ ასვენებს, ამოძრავებს, სიცოცხლის ნიშანს ითხოვს მისგან; არ სჯერდება ერთფეროვნებას, ერთგვაროვნებას, მიყუჩებას. რასაკვირველია, ყოველ ამის დასაკმაყოფილებლად რომაა გამზადებული, ეტანება უფრო იმას, რაც ადვილია, რაც მისთვის ხელმისაწვდომია, ეძლევა ვნებათაღელვას, თავის გაუგებრობით ამ დაბალ გრძნობას სიყვარულის სახელს უწოდებს და ამით იმართლებს თავს; იმას კი ვერ მიმხვდარა, თუ რარიგად მიედარება ამ თავის აღელვებაში იმ პირვანდელ დედაკაცებს, რომელნიც ნადირებივით ტყედ დარბოდნენ მამაკაცებთან ერთად და პირუტყვებივით იკმაყოფილებდნენ თავიანთ ჟინს... რა ქნან? ეგეს სშირად გულის სიღრმეში კიდეც ერცხვინებოდეთ, კიდეც ეწინააღმდეგებოდნენ თავიანთ დამამდაბლებელ, შეურაცხმყოფელ გრძნობათა ღელვას, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, ჯერ გამარჯვება მათთვის შეუძლებელია, მიუწვდომელია!

— მაშ, აბა, ვუყუროთ სეირს მხოლოდ?! — შესძახა გიგომ. — სეირს ვუყუროთ... ხმა არ ამოიღოს კაცმა?

— თქმით თქვი, რაც გნებავს, შე კაცო... მაგას კი არ გეუბნები... მე იმისი თქმა მინდა, რომ წყრომით და გაჯავრებით ადამიანის ბუნება არ შეიცვლება და ნება არა გვაქვს მოვითხოვოთ ისეთი რამ, რაც ერთნაირ განვითარებაში მყოფ ადამიანს არ შეუთვისებია.

— არა, ბესარიონ, არა... ათიათასჯერ არა! — მოეთმენლობით შესძახა გიგომ თავის მეგობარს. — ათიათასჯერ არა! შენ ცდები, შენა და არა მე! მეტად შემცდარი ხარ მაგ მსჯელობაში!.. რა შუაშია აქ განვითარება, გამოფხიზლებული გონება და ამგვარები?.. აქ ზნეობაა მხოლოდ საჭირო, მხოლოდ ზნეობა!.. ყოველ ადამიანს მართებს იყოს ზნეობიანი და პატიოსანი, ჰქონდეს თავმოყვარეობა, არა ვარეგნული, არამედ ის თავმოყვარეობა, რომელიც გვაშორებს და გვარიდებს ყოველ სამარცხვინო საუბებელ და უღირს საქციელ-მოქმედებას. თუ

ეს თავმოყვარეობა აქვს კაცს, თუ იგი ღრმად და ღონივრად არის ჩანერგილი ადამიანის ბუნებაში, იგი ყოველ შემთხვევაში გამარჯვებული იქნება; რაგინდ განსაცდელში ჩავარდეს, მძლეველი* დარჩება უსათუოდ!.. მე ამნაირ თავმოყვარეობას ვამჩნევდი იმ შეჩვენებულ გომბიოს და ამიტომ მიყვარდა, ამიტომ ვეთაყვანებოდი... ამიტომ მწამდა მისი ქალობა და ხმამაღლა ვიძახდი, რომ ამ თვისებით სწორედ სასიქადულოა ქართველი ქალი-თქო და ახლა კი მოტყუებული ვრჩები, გაცრუებული ამ ჩემს რწმენაში. ასე მგონია ახლა, რომ სხვებიც უსათუოდ ამისთანები იქნებიან-მეთქი და გული მიკვდება; მიკვდება გული იმიტომ, რომ კაცის ნდობა მეკარგება, მცლება ხელიდან ვისი წყალობით, მერე?.. ვისი მიზეზით? შემიძლია აწი ვისიმე რამე კეთილსახიერება დავიჯერო?.. რისთვის ჩაიდინა ოხერმა ეს საძაგლობა? რა აკლდა, რას ეძებდა?.. რა უნდა კიდევ: ქმარი მოყვარული, ურიცხვი კეთილისმყოფელი, ყოველი ნაცნობი და მახლობელი მოსიყვარულე და გულითადი პატივისმცემელი, სიყვარული, წმინდა პატიოსანი სიყვარული ყოველგან და ყველასაგან — რაღა გინდა? რაღას პირუტყვობ? ყველას ფეხი ჰკრა და სიბინძურეში ჰყოფს თავს, სიოხრეში!.. ვისთვის, რისთვის, მერე?! კაცო, გადამრევი როგორ არაა ეგ, თუ კაცს სისხლი გიდგია ძარღვებში, კაცის გამაგიჟებელი როგორ არაა ეგ და მიწასთან გასასწორებელი ყოველ ამნაირ მოქმედების ჩამდენი?!.. შეჩვენებული, ოხერი, უწმინდური!.. მე კი ქალი მეგონა, პატიოსანი, ღირსეული!.. ვის ვაღმერთებდი, ვის ვადიდებდი, ღმერთო ჩემო?! — და ცეცხლმოკიდებული გიგო თითქმის დარბოდა ოთახში განცვიფრებული ბესარიონის წინაშე.

— აბა, მართალს გეტყვი ამას, გიგო, რომ შენ ჯერ კიდევ არა გაქვს ნება, თუნდ შენი აზრი მართალიც იყოს, აგრე მოიხსენიო ბაბო! — უთხრა ბესარიონმა.

— რატომ? — შეჩერდა გიგო.

— იმიტომ, რომ შენ ჯერ არც კი იცი, რითი გათავდება ის ბრძოლა, რომელიც ბაბოს თავის გულისთქმასთან აქვს გამართული... სრულიად დაუმორჩილდა თავის ვნებას, არა აქვს არავითარი ხსნა? დათავდა ბრძოლა ბაბოს დამარცხებით?.. ეგ განა იცი შენა?

ამ სიტყვებმა გიგო გააქვავა; ხმაგაკმენდილი მისჩერებოდა თავის მოსაუბრეს და ისეთივად შესცქეროდა, თითქოს ამ სიტყვებმა ფრთები ჩამოაყრევინა, თითქოს ძალა და ღონე წაართვა, ბესარიონი კი განაგრძობდა:

— განა შეგიძლია წმინდანობა მოსთხოვო ქალს, ბაბო იქნება იგი თუ ნინო, ანუ სხვა რომელიმე?.. შეგიძლია მოსთხოვო, რომ მისი არსება სულ განსხვავებული იყოს? ისიც ხომ ქალია, ისიც ხომ ადამიანია, მის ძარღვებშიც ხომ სისხლი სდის, გული უძგერს, — იგი მომლოდინე უნდა იყოს ყოველი ადამიანის თავზე მოსახდენი და შესაძლებელი შე ეხვევისა!.. მაგას რატომ იტყვი, რომ ბაბოს გული ვნებათაღელვით არ უნდა ატოკებულიყო? რატომ მისი გული ბრელიშვილისათვის არ უნდა აძგერებულიყო? განა ბაბო ადამიანი არაა, ქალი არაა? სამარცხვინო დასაწყისი კი არაა, სრულიადაც არა. დამამცდაბლებელი მისი ცუდად დაბოლოებაა, ცუდად დათავება. და ამიტომაც შენც მოვალე ხარ ჯერ უფერო, ოვალი ადევნო, თუ გსურს და გიგო, ვინ დარჩება ამ ბრძოლაში გამარჯვებული... ვინ იქნება შეარცხვენილი და ვინ საქებარი! არა ვარ ამაში რაინც მართალი, გიგო ჩემო? — გაღიმებით შეეკითხა ბესარიონი, რომელიც ყარვად ამჩნევდა, რომ გიგო მიხვედრილი იყო თავის აჩქარებას. — ვარ თუ არა მართალი? — განუმეორა ბესარიონმა.

— კი, კი!.. — მიუგო დაწყნარებით გიგომ. — მართალი ხარ სწორედ!..

— მადლობა ღმერთს! — გაიცინა ბესარიონმა. — ახლა მაინც დაწყნარდები!

— პირიქით, შენ უფრო მომიმატე და გამიძლიერე მწუხარება!..

— როგორ?

— მე წასვლას ვაპირებდი ხვალ და ახლა ეს ... დავრჩე, სანამ გარიყანიძენი არ წავლენ.. ჩემთვის ეგ მეტად საინტერესო კი არა, თითქმის სასაცილო ამბავია... ამ ამბის ასე თუ ისე დათავებაზეა, ძმობას გეფიცები, დამოკიდებული ერთ-ერთი ჩემი რწმენა, ჩემი წარმოდგენა, რომლის დაკარგვა, რომლის შერყევაც ჩემთვის სიკვდილის მსგავსი იქნება!

ბესარიონმა გაიღიმა და ამის შემხედვარე გიგოც დაატანა:

— შენ გეცინება, მე კი, ამხანაგობას გეფიცები, მართალს ვამბობ!.. შენ ვერ წარმოიდგენ, რაგვარი ძმური სიყვარულით მიყვარდა ის ქალი და რარიგად მეძნელება ამ გრძნობის დაკარგვა... მით უფრო, რომ მისით პატივს ვცემდი და რწმენა მქონდა საზოგადოდ ყოველი ქალისადმი! კი, კი, მე ავჩქარდი და მალე გადავწყვიტე ის, რაც ჯერ არ უნდა გადამეწყვიტა!.. ისევ უნდა მივიდე იმ საცოდავთან, იმ უბედურთან... თუმცა ვერ წარმოიდგენ, რარიგად მეძნელება მისი დანახვა, მისი შეხედვა!.. ხვალ მაინც ვეღარ მივალ, გული არ მაძლევს ნებას! ზეგ წავალ და ვნახოთ... ვნახოთ, რითი გათავდება ეს გაწამაწია!

ბაბო კი ამავე დროს ერთ ვაებაში იყო ჩავარდნილი. მას თვალწინ ედგა და არ შორდებოდა შემწყრალი და განრისხებული სახე გიგოსი, როცა მან კარებთან მიატოვა ხმაგაუცემლად. მისთვის ცხადი და თვალსაჩინო იყო, რარიგად შეიცვალა მათი ურთიერთობა, მათი მეგობრობა. და ბაბო ცრემლად იღვრებოდა ამაზე. თუ გიგომაც შეიძულა, სხვა რაღას შეიბრალებს, სხვისგან რაღა პატივებას უნდა მოელოდეს?! რისთვის მხედა წილად ამდენი ტანჯვა, ასეთი წამება? — ფიქრობდა გულში ბაბო. — რა დავაშავე, რა ჯავრი სჭირდა ამ ოხერტიალ გულს ჩემი, რომ ასეთ უბედურებაში გამხვია, ასე მომიშხამა სიცოცხლე?!

მოუთმენლად ელოდა ბაბო დილიდანვე გიგოს დაბრუნებას, მის დანახვას... ეგებ არც ისე მიწყრებოდეს, როგორც მეჩვენაო... მაგრამ გიგო არსად იყო. და რაც ხანი გადიოდა, მით უფრო გული უწუხდებოდა ყმაწვილ ქალს, უამისოდაც შეწუხებულ-გამწარებულს.

დასაღამოვდა და გიგო კი მაინც არ ჩანდა.

„მაშ შეიძულა... თვალით დასანახავადაც ვეჯავრები... დაეკარგა ჩემი სიყვარული... ღმერთო ჩემო! — თვალცრემლიანი მოსთქვამდა თავის გულში ბაბო. — რა ვქნა... რა ვქნა?! მიიფარებდა ხელებს თვალებზე, ჩაეხობოდა ბალიშებში და აფრქვევდა მდუღარებას.* ამავე დროს კი თვალწინ თითქოს ჯიბრზე ის ეხატებოდა, ვისგანაც ამდენი ტანჯვა-გაწვალება შეემთხვა... ამ სინათლეს აშორებულ თვალებში ბრელიშვილის სახე ელანდებოდა და გამწარებული, მისდა ასარიდებლად,

წამოვარდებოდა, ადგილს ეამოინაცვლებდა, გაურბოდა ღა ოგი მაინც არ ეშვებოდა, მაინც უკან დასდევდა, მაინც არ შორდებოდა, არ აძლევდა მოსვენებას. ამასობაში ბაბოს გული კი ამ გადამეტებული წამებით, ამ შეუსვენებელი წიწკნა-გლეჯით ძლივსღა ჰფეთქავდა, ძლივსღა სცემდა მოღლილი.

ის ღამე დღეზე უარესი შეიქნა ბაბისათვის. მის თვალს სრულიად ძილი არ მიჰკარებია; ჩუმად, სარდიონის ნამალევად, შფოთავდა და მეტად გადამეტებულ მოუსვენრობაში იყო ჩავარდნილი. გათენდა თუ არა, წამოვარდა და, გადადგა სასტლიდან სარდიონმა ფეხი თუ არა, ბაბო მიუჯდა სასტუმრო ოთახში ფანჯარას და ქუჩაში დაიწყო ყურება. მერე წამოდგა, შევიდა გიგოს ოთახში, დაათვალიერა, ჩემოდანი თუ იყო კიდევ თავის ადგილას, გამობრუნდა და ისევ ფანჯარას მიუჯდა.

გულჩათუთქული ამაო ლოდინით, გამწარებული ძვირფასი კაცის სიყვარულის და პატივისცემის დაკარგვით, რომელთანაც ერთად ეკარგებოდა სხვების ამგვარი გრძნობა-შეთვისება, ყმაწვილი ქალი წამოვარდებოდა, დაეცემოდა ტახტზე, ჩააფრინდებოდა კბილებით ხან მუთაქას, ხან ბალიშს და დაიწყებდა გულამოჯდომით ქვითინს... და თვალწინ კი იქვე ბრელიშვილის სახე... მისი თვალები, ლამაზი წვერ-ულვაში... კიდევ წამოვარდა, ისევ მივარდა ფანჯარას... ისევ იყურებოდა ცრემლმორეული თვალებით... არავინ... არავინ! ყველას სძავს, ყველასაგან მიტოვებულია! და ისევ მოთქმა, ისევ გულამოჯდარი ტირილი. უეცრივ თვალი მოჰკრა კედელზე, რომ სხვა ფოტოგრაფიულ სურათებთან დაკიდებულია ბრელიშვილის პორტრეტიც. ჯერ მიაჩერდა, მერე უეცრად ჩამოჰგლიჯა კედლიდან, მიირბინა მაგიდასთან, გამოსწია ყუთი, გადაშალ-გადმოშალა აკანკალებული ხელით ქაღალდები და შიგ ჩამალა ეს სურათი...

— რენე!.. რენე! — უნებლიედ ამბობდა მისი ტუჩები და შეძრწუნებულს ავონლებოდა გიგოსაგან წაკითხული ამბავი.

თითქმის დაიმედებული, რომ აცილებული ჰქონდა ახლა რომელიმე თავის შეგობარ-მოკეთისაგან იმგვარი ამბავი, როგორც იმ რომანში სუზანას დაუწია რენემ, იგი ისევ მივიდა ფანჯარასთან და ისევ დაიწყო ყურება. იყურა, იყურა... ღამეხანს იყურა, და რაკი მოლოდინით მოიღალა, მოთმინება დაე-

კარგა, სასოწარკვეთილი დავარდა ტახტზე, მერე ისევ წამოდგა, გადარეულივით გაექანა თავის ოთახისაკენ, იგლეჯდა თმას და სულ შემოიხია გულზე კაბა, თან გამწარებით ურტყამდა თავს თავის სატუალეტო მაგიდას,* აქვითინებული.

— ბაბო! — მოესმა შორიდან ხმა. — ბაბო!

— ვლადო! — გაურბინა თავში ბაბოს და, რომ გაექრო ეს გაგონება, ეს ხმა, უფრო მეტის გამწარებით დაუშინა თავი მაგიდას.

— ბაბო! არ გესმის? ბაბო, ბაბო! — მოდის ხმა.

— არა... არა!.. — ამბობს ბაბო და ჰგრძნობს, რომ გონება ეკარგება. — არა! — ეუბნება იგი ამ ძახილს. გაფაციცებული ქალი წამოჯდა საწოლზე და აცახცახებული დაკეტილ კარებს მისჩერებია, საიდანაც ხმა ესმოდა.

— ბაბო, გააღე კარი, გეუბნები! არ გესმის?! — მოისმა ისევ ბრძანება და ამან, ამ კილოთი ნათქვამმა, ამ ბრძანებამ სრულიად წაართვა უკანასკნელი მოსაზრება, გონება, წამოაყენა ფეხზე, წამოიყვანა კარებისაკენ, მიიყვანა იქ, ძალად გადაატრიალებინა გასაღები და ათრთოლებულმა, აცახცახებულმა, თვალებჩამობნელებულმა ძლივს გასაგონი ხმით წაილაპარაკა:

— ვლადო!.. — და მოსხლეტილი, გონებაწასული იატაკზე დავარდებოდა, რომ გაღებულ კარებში შემოსწრებულ გიგოს ხელი არ ეტაცნა მისთვის.

— ბაბო... რა გემართება?! ბაბო, რა იყო, ქალო?!.. — ჩასძახა გიგომ, მაგრამ ბაბოს აღარაფერი ესმოდა, აღარაფერი ეყურებოდა.

გულწასული ქალი გიგომ იქვე მდგარ სავარძელზე დაასვენა, მივარდა მაგიდას, აიღო წყალი და პირზე* შეასხურა.

— ბაბო, გამოიხედე, ქალო!.. ეს მე ვარ, მე, გიგო ვარ!.. რა იყო, რა მოგივიდა?

ბაბომ გამოახილა თვალები... მიაჩერდა გიგოს... უყურა, უყურა, და გიგოს ტკბილი ლაპარაკი რომ ჩაესმა, ისევ ტირილი მოუვიდა, ისევ ცრემლები წამოსკდა.

— ბაბო, შენი ჭირიმე, გაჩუმდი... დაწყნარდი, დამშვიდდი!

მაგრამ დამშვიდების მაგიერ იგი უფრო გულამოჯდომით

სტიროდა. მერე, თითქოს რაც ძალა შერჩენია, შემოიკრიბაო, ჩაუვარდა ფეხებში გიგოს და სმამაღლა შესძახა საშინელის ხმით:

— მიშველე, შე ულმერთო... მიშველეთ, თქვე შეუბრალებლებო!.. გიგო, მომაშორე, მოშაშორე!.. ამომგლიჯე ეს ოხერი გული!.. ღმერთო, ღმერთო!.. რად მიძულებთ... რად გინდათ შემაჩვენოთ?.. რა ვქნა, რა ვქნა მე? მომკალით ბარემაც... გამათავეთ... შემიბრალეთ, თქვე უღვთოებო!.. მომკალით... მომკალით მაინც!..

გულაჩვილებული გიგო რას ეუბნებოდა, რას ელაპარაკებოდა, თვითონ არ ესმოდა. ცდილობდა ამ საცოდავის დამშვიდებას, მაგრამ აღარც სიტყვა ეხერხებოდა, აღარც მოსაზრება ემორჩილებოდა. ამ მდგომარეობაში რომ ნახა, ისევ ხელახლად შეუყვარდა ეს არსება, ისევ ძვირფასი შეიქმნა; ამ მისმა წამებამ აპატიებინა ყოველივე მისი შეცოდება, გამოასყიდვინა ყოველივე დანაშაული, და გიგო დატკბობით,* ალერსით შესცქეროდა ღონემიხდილ ყმაწვილ ქალს. მძიმედ მსუნთქავს, თვალებდახუჭულს, გულამომჯდარს, თმაგაწეწილს, სახეგაცრეცილს.

მესამე დღეს მატარებელი მიაკროლებდა სარდიონსაც, ბაბოსაც და გიგოსაც ...-დან. კუთხეში მიმჯდარ ბებოს აზრი და გონება ისევ, მისდა უნებურად, მიტოვებულ ადგილებში ღიჭფრინავდა და გიგოს ახლოს ყოფნის გამო და აგრეთვე მატარებლის გრიალის მიზეზით მბოლოდ რაოდენადმე იბნეოდა ეს მოგონებანი და გამოხატულებანი. „მისი სახე“ მაინც კიდევ არ შორდება, ისევ თვალწინ უდგას. ქალი იგონებს, რა თავდაჭერილი, რა თანაგრძნობით გამოეთხოვა ის ყმაწვილი კაცი სადგურზე და უნატრა, ისევ მალე კარგადმყოფი დაბრუნებულიყოთო.

— იმას არაფრის ეშვი არა აქვს ალებული, არაფერი იცის!.. ნამდვილად ასეა! — იმედიანად და ნუგეშით ამბობს გულში ბაბო. — და ღმერთმა ნურც გააგვინოს როდისმე! — მისი გული ისე დაცარიელებულივითაა. ისეა, თითქოს რაღაც აკლიაო, რაღაც ენატრებაო, მაგრამ აქ გიგო თავისი ხალასიანი* სიტყვა-პასუხით, აქ გზაში ნახული ნაცნობების სიხარული მის დანახვაზე, ამათთან ლაპარაკი, მუსაიფი, — ყოველივე ეს

ნელ-ნელა აშორებდა წარსულს და მალამოდ ედებოდა, ესალბუნებოდა მის გულს.

რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ გიგო გამოეთხოვა თავის მეგობართ, რადგან თავის სოფელში უნდა წასულიყო და ცოლ-ქმარს პირობა მისცა, რომ, თუ დროს იშოვიდა, უსათუოდ ნახავდა ამ მოკლე ხანში.

მაგრამ მთელმა ერთმა წელიწადმა გაიარა და სალაძეს გარაყანიძეების ნახვისათვის დრო არ შეხვდა. სარდიონისაგან ორჯერ-სამჯერ მოუვიდა წერილი და აქედან იცოდა, რომ ბაბო უკეთ იყო. ახლა უკანასკნელი წერილით კი სარდიონი ატყობინებდა, რომ ბაბო სრულიად გამოკეთდა და ისევ ის ბაბოა, როგორც სხვიმის გინახავსო. გარაყანიძეები №-ში იყვნენ. ბრელიშვილიც იქ იყო და ამიტომ ამ უკანასკნელი წერილის წაკითხვამ, ამ მოხსენებულ გარემოებასთან, მეტად დააინტერესა სალაძე და გადასწყვიტა უსათუოდ №-ში წასულიყო, ბაბო ენახა და ისიც გაეგო, რაგვარი თვისებისა იყო ამ ქალის კარგად ყოფნა და მისი გულის დამშვიდება, დაწყნარება: გაიმარჯვა, სძლია ბრძოლაში თუ დაუმორჩილდა და სამარცხვინოდ მოურიგდა თავის დამდაბლებას, თავის დაცემას? ეს აინტერესებდა, ამის გაგება მოუთმენლად ეჩქარებოდა გიგოს და ამიტომ მალე გაექანა №-კენ.

მოულოდნელად გაჩენილი გარაყანიძისას, იგი უკეთეს დროს სწორედ ვერ შეურჩევდა ბაბოს სანახავად; მისი მოსვლის დღეს სარდიონს წვეულება ჰქონდა და დიდი საზოგადოება ყავდა თავშეყრილი.

გიგოს მისვლამ კიდევ უფრო გაამხიარულა კარგ გუნებაზე მყოფნი ბაბო და სარდიონი.

რა ნახეს მისმა თვალებმა? ბაბო, ამასწინათ საბრალო ბაბო, დღეს ისევ შართლა სულ წინანდელი ბაბო იყო. წინანდელი ამბისა არა ეტყობოდარა. ისევ სიცოცხლით სავსე, ხითხითა, მოკისკისე, ენამახვილი, დარდიმანდი, სიტყვამოსწრებული, ლამაზი, კოხტა — ყველასათვის საყვარელი ბაბო!.. მასთან რა უნდოდა სევდასა და მწუხარებას?! ყველასთან ასწრებდა სიტყვის თქმასაც, ხუმრობასაც, ყველას თავს დასტრიალებდა და თვითონ ხალისიანი, სხვებსაც ახალისებდა და ამხიარულებდა.

აქვე იყო, სხვებთან ერთად, ვლადო ბრელიშვილიც, რომლის მხიარულებას ბოლო არ ჰქონდა და რომელიც აცინებდა იქ მყოფთ თავის დაუსრულებელი ოხუნჯობით. ბაბოს ისე ეკავა თავი მასთან, თითქოს მის შესახებ არავითარი ნწარე მოგონება არ ჰქონიაო. ბაბო იმასთან სრულიად თამამად იყო, თამამად ელაპარაკებოდა და ეხუმრებოდა.

„რის მიზეზია ეგა?“ ეკითხებოდა გუნებაში თავისთავს ყოველ ამით გაკვირვებული გიგო.

ბაბომ ორჯერ-სამჯერ შეასწრო თვალი გიგოს და შეამჩნია ეს გაკვირვება. ქალმა არაფერი უთხრა, ოღონდ გაუღიმებდა ხიალმე, თითქოს აცნობებდა, — გატყობ, რის გაგებაც გწადიანო. ერთხელ, ბრელიშვილთან ლაპარაკის შემდეგ, ბაბომ გვერდზე გაუარა გიგოს სიცილით.

კარგა გვიან იყო, ნადიმი რომ გათავდა და სტუმრები დაიშალნენ. სარდიონი დაღალული, ოთახში წამოწვა კმაყოფილი; ბედნიერი ბაბოს გული სავსე იყო სიამოვნებით. მოცინარი, მიუახლოვდა გიგოს. მათ მეტი ოთახში არავინ იყო.

— მე დღეს გაკვირვებ, გიგო? — სიცილით მიჰმართა მან სალაძეს.

— ის რაღა იყო, გვერდით ჩამიარე და დამცინე? — ხუმრობით უთხრა გიგომ.

— ის რომ შეგატყვე, მომჩერებოდი! ხა, ხა, ხა! — გაიცინა ბაბომ. — გიკვირს... ვიკვირს, ასე რომ მბედავ... არა?

— მართალი გითხრა, მიკვირს! — მიუგო გიგომ.

— და, აი, ახლა, ამ წამში... მე რომ ისევ ბედნიერად ვგრძნობ ჩემს თავს, აქვე მინდა მადლობა შემოგწირო... არა, მადლობა ცოტაა, ძმაო!.. და, როგორც ძმას, გეუბნები... უნდა გითხრა, რომ არავითარი სამარცხვინო დანაშაული არ მიმიძღვის, ამითა ვარ ბედნიერი, ამითა ვარ ცოცხალი... და ეგ შენით, თქვენით, ვისიც სიყვარული მე მუდამ მახსოვდა... თქვენმა სიყვარულის მოგონებამ გადამარჩინა საშინელებას!.. თქვენ მომეცით ძალა, ღონე და, აი, დღეს მე ისევ სულელი, გიჟი, გადარეული, მაგრამ შეურცხვენელი ბაბო ვარ... შენი, საყვარელო ძმაო, შენი მადლობელი ვარ და ვიქნები კვლავაც, სიკვდილამდე!

ჟრუანტელმა დაუარა ტანში ამის გამგონს გიგოს, ისი გუ-

ლი ამოვარდნას ლამობდა. იგი მხურვალედ დაეწაფა ხელზე ბის წინ წამდგარ მშვენიერებას, გააწყვეტინა მას სიტყვა და აღტაცებულმა შესძახა:

— აბა, ბაბო... მე, მე გმადლობ, მე, მე!.. ჩვენ ყველანი გმადლობთ!.. შენით* იყო ყოველივე. არც მე, არც სხვა აქ არაფერ შუაში ვართ... მე მწამდა, რწმენა მქონდა აღიარებული, რომ ყოველივე ქალი, თუკი ნამდვილი, ჭეშმარიტი თავმოყვარეობითაა აღჭურვილი, თუ მას ღრმად აქვს ჩანერგილი პატიოსნება, სინდისი, გამარჯვებული იქნებოდა ყოველ მდაბალ, უღირს გრძნობაზე; რომ მის გულს ვერ დაიმონავებდა უხეირო, ფუჭი, დროებითი გამართობელი ვნებათაღელვა; რომ პატიოსანი ადამიანი არ გადაალახვინებდა თავისთავს და არ დაჰკარგავდა თავის პირნათლობას წუთიერ გატაცებისათვის!.. ამ ღირსების არსებობა ჩვენს ქალებში სანეტარო რწმენად მქონდა და მაგალითად შენ გხედავდი. ამიტომ უყვარდი ყოველ შენ მცნობს, ამიტომ გცემდა პატივს ყველა და დღეიდან უფრო ძვირფასი ხარ, უფრო სასიქადულო! შენ რომ გიყურებ ახლა, დღეიდან უფრო მიღონიერდება ჩემი რწმენა... ჩემი გული უფრო მეტის იმედით და რწმენით, პატივისცემით ივსება ქალისადმი... შენ მომეცი ამისი მტკიცე საბუთი, მაგალითი! მადლობას მე გწირავ... მე ვარ შენი მადლიერი, შენით დაჯილდოვებული და გაბედნიერებული, ჩემო ძვირფასო ბაბო!..

და ამის მთქმელმა აღტაცებულმა ყმაწვილმა კაცმა ისევ მხურვალედ, ნიშნად მადლობისა, აკოცა ხელზე სიხარულით ცას დაწეულ* ბაბოს.

1896.

მრევლში

ნაწირვები* იყო. ფართოდ გაშლილი ცაცხვის ქვეშ თავშეყრილ გლეხკაცებში ჩამდგარი მაღალი ტანის ახალგაზრდა მღვდელი გაცხარებით ლაპარაკობდა.

— განა მე თვითონ არ მაწუხებს ასეთი ჩემი მდგომარეობა, თქვე დალოცვილებო?! კი გეთქმისთ საყვედური, კი!.. ხში-

რად გაკლივართ... თქვენს დროზე არა გყავთ მღვდელი, მოკლებული ხართ მღვდელმსახურებას,? მაგრამ რა გიყოთ, ჩემო კეთილებო, რა ვქნა, რომ ასე არ იქნეს!.. მღვდელი ახლოს გინდათ გყავდეთ, ამისათვის ბევრს ვეცადე, მაგრამ რა გზით შემოვუარო ამას, როცა მთელ სოფელში ვერსად ვერ კიშოვე ქაჭირავოდ? სადგომი!.. თუმცა ჩემთვის მეტისმეტი გასაჭირი იქნებოდა ჭირის გადახდა, მაგრამ ვინ ოხერი თავს არ შეიწუხებდა, ოღონდ კი თქვენგნით სიყვედური ამეცილებინა!.. იცის ღმერთმა, რომ ვწუხვარ, მეტად ვწუხვარ ამ ჩემი მდგომარეობისათვის. მაგრამ საღსარი ვერავითარი მიპოვნია!.. ვარ გაბმული? ამ გზაში, დავწანწალობ ჩემი სახლიდან ამ თქვენს სოფლამდინ, მარტო გზას ვუნდები; ეკლესიაზედაც დაშორებული ვარ და მრევლზედაც!..* მოძღვარი* მქვია — და ეს მიკლავს გულს, რომ ამნაირი სახელი მქვია და ნამდვილ კი არა მოძღვარი ვარ?! ა, წირვა გამოვიყვანე* და სახლისკენ უნდა გავსწიო ახლავე, თორემ გზაში შემომაღამდება... რა ვქნა, აღარ ვიცი, ღმერთმანი! სულ ამაზე ვფიქრობ და იცის ღმერთმა, რომ მეტად ვწუხვარ ამგვარ ჩემს მდგომარეობისათვის...

— შეეწიეთ, შეეწიეთ... ყველა შევეწიოთ, ავუშენოთ ერთი პატარა სადგომი ამ ჩვენს ეკლესიასთან და მღვდელიც ახლოს გვეყოლება და ყოველივე უკმაყოფილება და სამდურავი მოისპობა მოძღვარსა და ჩვენს შორის!.. — თქვა მოხუცებულმა აზნაურმა, რომლიც იქვე იჯდა საფლავის ქვაზე და ამ სიტყვებზე წამოდგა.

— თქვე დალოცვილო, ჩვენთვის ვერ დაგვიდგამს სახლი, ჭოხებში ვყრივართ, მღვდელს სად ვუშოვნოთ სადგომი? — წამოიძახა მოხუცებულმა გლეხმა და სხვებმაც ბუტბუტით ბანი მისცეს.

— აბა რა ქნას ამ ადამიანმა? — განაგრძო მოხუცებულმა აზნაურმა. — რა ქნას ამ ადამიანმა?..

— ბატონო, მღვდელი წინათაც გვყოლია, მაგრამ მათთვის სადგომი არ გვიშენებია, მაგ რაღა შეიქნა?!

— რომ გყოლია, ჩემო კიმოთე, ის შენი მეზობელი იყო, ამ სოფლის მცხოვრები... დღეს კი ამ შენს მეზობლებში აღარავინ გყავს იმისთანა, რომ მოძღვრად გამოსადეგი იყვეს და აგერ გამოგიგზავნეს განათლებული ადამიანი, შესმენილი* და

მცოდნე... იმ შენს უწინდელ ყრუალა* მღვდელთან ვერ მიაღარებ ამას, უკაცრავად!..

— ეგ კაი დაგემართოთ, ბატონო, კაი იყვეს... განათლებული მოძღვარი, რასაკვირველია, ჯობია გვყავდეს, მაგრამ მეტ ტვირთად გვაწვება, ბატონო ნესტორ!.. ჩვენ ჩვენი საკუთარი გაჭირვება გვეყოფა, ძლივს სული გვიდგია ტანში, ჩვენ მაგისაგან მოველით შველას და დახმარებას, ჩვენი გაჭირვების გაადვილებას და ამის მაგივრად ტვირთად გვაწვება... დასაბინავებლად ჩვენ გვიხდება და შესანახავად... ჩვენც ცოდვანი ვართ!

— მართალია, მართალია! — მოისმა იქით-აქედან ხმები ამ სიტყვებზე.

ახალგაზრდა მღვდელს ეტყობოდა ისრებივით ესობოდა გულში განაგონი; აღელვებული ხან წვერს ისწორებდა, ხან ულვაშებს იგრეხავდა ათრთოლებული ხელით.

— გთხოვთ, თავი დაანებოთ ამ ლაპარაკს! — მიმართა მან რუსულად მის მომხრე აზნაურს.

— მომითმინე, მომითმინე, მამაო!.. ნუ გეწყინება, ამათ ასე იციან ჭიჭყინი! — რუსულადვე მიუგო ნესტორმა მღვდელს და მერე ისევ ხალხს მიმართა: — ნუ ჯიუტობთ, ნუ, ნუ... შეეუწყოთ ხელი ამ ჩვენს მოძღვარს, დავაბინავოთ ჩვენს მახლობლად, მეზობლად ვიყოლიოთ და ჩვენც უკეთ გვემსახურება... ავაგოთ პატარა სახლი ამ ეკლესიასთან და სამიდღემჩიოთ* თავისუფალი ვიქნებით ყოველი უკმაყოფილებისაგან მღვდელსა და სოფელს შორის... ჩვენი სოფლის კაცის მღვდლად ნახვას მოვესწრებოდით თუ არა ოდესმე, ვინ იცის!.. ჰო და ამაზე ყოველთვის გვექნება ერთი ლაპარაკი და ყაყანი... და ბარემაც გადავსწყვიტოთ და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკის განახლებას!.. არ გვარგია, ხომ ყველა ვხედავთ, ასე შორს მოძღვრის ყოლა!.. ჩვენი ვალია, ყოველივე ღონე ვიღონოთ და დევიახლოვოთ იგი... ჰო, ნუ ყოყმანობთ!.. გადასწყვიტეთ და ის იქნება!..

გლეხებს შორის ყაყანი ატყდა; ესეც ლაპარაკობდა, ისიც; ყველას უკმაყოფილების სიტყვა ადგა პირზე. მღვდელი ძლიერ უხერხულად გრძნობდა თავის თავს და გაქცევას აპირებდა, რომ მოხუცებული ნესტორის ხათრი არა. მის ყურთასმენას

არ გამოპარვია თითქმის არც ერთი სიტყვა გლეხებში ნათქვამი და ეგ იყო მიზეზი, რომ იგი უფრო და უფრო მოუსვენარი ხდებოდა. უეცრად იგი შეინძრა მთელი სხეულით, ისარნაკრავივით მიტრიალდა მარცხნით და აცახცახებულმა უცნაური ხმით წამოიძახა:

— მართალია, მართალი, ექვთიმე ბატონო, მართალი!

ყველანი შეჩერდნენ. ჩამოვარდა სიჩუმე. შუახნის გლეხი, რომელსაც მიმართა მღვდელმა, სახედაბნეული* იდგა და დარცხვენილივით იყურებოდა გაჯავრებული მოძღვრისაკენ.

— სწორედ მიმხვდარი* ბრძანდები... დიახ, იმისათვის ვცდილობ თქვენთან დაახლოებას, რომ თვალები მაქვს გამიპრაწული* — თქვენს სარჩოზე ვიწყო ცხოვრება!.. ძალიან მიმიხვდი, ძალიან, ისე შენ გეშველა!.. ფუი შენს კაცობას! შენისთანა კაცთან ღირს ადამიანმა ხმა ამოიღოს... შეგირცხვათ ნამუსი! — ერთბაშად წამოისროლა მამა ზოსიმემ, აძაგძაგებული ხელით ჩამოიფხატა შუბლზე თავისი ფართო კიდეებიანი ქუდი და გაშორდა სახტად დარჩენილ ხალხს.

მაგრამ მერე ისევ მოტრიალდა, მივიდა თავის მომხრე მოხუცებულ აზნაურთან:

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — უთხრა მან, ხელი ჩამოართვა და ისევ გაშორდა ამ გროვას.

სახეწამონთებული, თვალებამღვრეული იგი შეჩერდა ერთ ადგილას და იქით-აქეთ იცქირებოდა, თითქო ვიღაცას ეძებდა ეკლესიის გალავანში. კარგა ხანს იდგა იგი იმავ ადგილას ბურანში გახვეული, გარეტიანებულივით და სრულიად არაფერი ესმოდა, რას ეუბნებოდა მასთან მიახლოებული ახალგაზრდა გლეხის ბიჭი და დიდხანს ვერ შენიშნავდა მას, რომ ბიჭს თავისი მიმართვის გამეორებაზე შემაღლებული ხმით არ წარმოეთქვა თავისი სათქმელი.

ამ ხმამაღლა დაძახებამ გამოარკვია მამა ზოსიმე, მოიხედა და ბიჭი რომ დაინახა, კუშტად* მიმართა!

— რა გინდა?

— ჩემთან უნდა წამობრძანდე ახლავე, მამაო!

— რა ამბავია? — ისევ კუშტად და წარბებშეყრით შეეკითხა გულმოსული მღვდელი.

— ბიჭი გვყავს, ჩემი უფროსი ძმა, მწარე გაჭირვებული!

— მერე?

— ზიარება გვინდა! — თქვა ბიჭმა და თვალებზე ცრემლები მოადგა. — მალე, შენი ჭირიმე, მალე!.. ჯავრისაგან დედაც გადამერევა, ისეა!.. ნუღარ დაიგვიანებ, მამაო!

— წადი, ი სულელი პეტრია დარაჯი მონახე... ჯორი გეიყვანეთ ჯიშკართან!.. ლოცვანს* გამოვიტან... მოვალ ახლავე!..

— აბა დროზე ქენი, შენი ჭირიმე! — თქვა ბიჭმა და გაიქცა პეტრიას მოსაყვანად, მაგრამ ისევ მოტრიალდა და მღვდელს მიმართა: — არაფერი წამალი არ მიუდგა... ეგებ ლოცვამ უშველოს... ლოცვაც უნდა წოუკითხო!

— კარგი, კარგი!.. რაც გითხარი, შენ ის ქენი! — მღვდელი შევიდა ეკლესიაში, გამოიტანა იქიდან ლოცვანი, უბრძანა მნათეს* ეკლესია დაეკეტნა. ვეღარ მოითმინა, საყვედური არ წარმოეთქვა ამასთან მედავითნეს* შესახებ, რომელიც მისდა უკითხავად სადღაც გამქრალიყო და მერე აჩქარებული ნაბიჯით გალავნის ჭიშკრისაკენ გასწია.

პეტრია უკვე იქ იყო ჯორიანად.

— შენ ჩემთან უნდა წამოხვიდე! — მოკლედ ესროლა მღვდელმა სიტყვა. — ეს წამოიღე შენ! — და მან ლოცვანი გაუწვდინა მას.

— კი, ბატონო! — ხალისიანად მიუგო პეტრიამ, ავეანდი* დაუწია მღვდელს და ჩამორთმეული ლოცვანი ამოიდო იღლიაში.

ზოსიმე მღვდელმა ერთი თვალი გადაავლო ნამალევად ცაცხვის ქვეშ ისევ მოლაპარაკე გროვას და გულნატკენმა, გულამღვრეულმა გასწია შეწუხებულისაკენ.

მაშ ეგრე — მამა ზოსიმე მხოლოდ მძიმე ტვირთია თავისი მრევლისა?! თვალები აქვს გამოპრაწული, რომ თავისი სულიერი შვილების* წანაგლეჯით გამოიტანოს* თავი? იმის მაცადინია,* რომ თავისი თავი სოფელს შეაპაროს და სარჩენად გაუხადოს მას თავისი ოჯახი?! ესაა, რაც დაიმსახურა მან ამ ხალხის თვალში; ეს არის ამ ხალხის შეხედულება მასზე, ამნაირი ურთიერთობაა მოძღვარსა და სამწყსოს* შუა! წაგლეჯაზე თვალებგამოპრაწული მოძღვარი!.. მძიმე ტვირთი, რომლის შორს ყოფნას რჩეობენ!* — განა ამის გაგონება გულს არ მოუკლავდა ახალგაზრდა მოძღვარს, რომელიც სულ სხვა იმედებით

მოდიოდა ამ ხალხში, რომელსაც ეგონა, ამ ხალხში შეიტანდა პატივისცემას მისი წოდებისადმი, შეაყვარებდა იმათ სახელს, ვინც მქადაგებელია სიყვარულისა მოყვასისადმი,* ვინც განმანათლებელია სულისა, გამწმენდი გულისა ყოველივე მძულვარებისა და ბოროტებისაგან.

სადაა მერე ეგ ყოველივე?! სადაა რაიმე ნიშანი კეთილგანწყობილებისა მოძღვარსა და სამწყსოს შორის?! სადაა სიყვარული, პატივისცემა, ნდობა, იმედი?! სადაა ყოველივე ის, რაზედაც იგი ოცნებობდა სემინარიაში თავის ამხანაგებთან, რომლებთან იგიც ეძახადებოდა ზომავალი მოღვაწეობისათვის?!

უბინაო, ღატაკი, ღატაკებით გარშემოხვეული, რომელთა ნაოფლარითაც თავი უნდა ერჩინა — საიდან, რა გზით უნდა დაბადებულიყო ნდობა, სიყვარული, თანაგრძნობა მათ შორის!

თვალებგამოპრაწული მოძღვარი! — ეს ისეთ ტკივილებს აგრძნობინებდა ახალგაზრდა მოძღვარს, ისეთნაირი სევდით უვსებდა გულს, რომ იგი მზად იყო ეტირა, რაღვანაც ასე უნდა ყოფილიყო სიკვდილამდის, სანამ ამ ძულებაში არ დალევდა სულს და არ გამოეთხოვებოდა ამ წუთისოფელს.

და იგი სწყევლიდა თავისთავს, რომ ეგრე უგუნურად შეეჭიდა, იტვირთა ასეთი საშინელი მოვალეობა, იდვა თავზე ასეთი მძიმე საქმე, რომ მიიღო სახელწოდება, რომლისადმი მხოლოდ სიძულვილს ავრცელებს ხალხში სრულიად თავისდაუნებურად, თავისდა გულსაკლავად.

აღელვებული მღვდელი გულდაწუხებული, რომელსაც სისხლი საშინელი სიჩქარით მიურბ-მოურბოდა ძარღვებში, მოუსვენრად სცემდა ქუსლებს პატარა ჯორს, რომელიც თანდათან უმატებდა ჩიქჩიქს* და გაჭირვებაში აგდებდა ხნიერ პეტრიასაც, რომელსაც არ უნდოდა უკან ჩამორჩენოდა თავის მოძღვარს და ამიტომაც, ლოცვანით იღლიის ქვეშ, ჩოხის კალთები ამოეკეცა და ოფლში გაწურული ჩანჩალით* მისდევდა უკან.

პეტრიამ უკვე იცოდა, რაც ამბავი მოხდა, რარიგად გააპილპილეს* ყმაწვილი მღვდელი და სწორედ მისდა გულის დასაშოშმინებლად, სიმწარის დასაამებლად ხმამაღლა გაიძახოდა ქლოშინით მამა ზოსიმეს გასაგონად:

— ნამეტანი გადასსვაფერდა ეს ხალხი... ნამეტანი გადასხვაფერდა!.. სულ გამოიცვალა! რას იზამ ადამიანი?! ნამეტანი შეუსმენელი შეიქნა... გეირყვნა ქვეყანა, ნამდვილად გეირყვნა, რომ ვუყურებ! მარა რას იზამ კაცი, რას იზამ?!

მაგრამ მამა ზოსიმეს ან არ ესმოდა ეს სიტყვები, ან და, თუ ესმოდა, ისინი სიმწარის შემმატებლად ხდებოდნენ, ალბათ, იმიტომ რომ იგი ჯორს თანდათან უფრო აჩქარებდა, თითქო პეტრიას უკან ჩამორჩენას ცდილობდა; მაგრამ ეს უკანასკნელი თავისას არ იშლიდა, თავმოძულებით, თითქმის სირბილით მისდევდა უკან მღვდელს, ხტოდა ქვებზე, როცა ტალახი შეხვდებოდა, იწურავდა ოფლს და თან თავისას გაიძახოდა, თუ როგორ გაირყვნა სოფელი, რა შეუსმენელი შეიქნა და თავიანთ სიბრიყვეში კაცის ნდობის უნარიც როგორ დაჰკარგეს.

გვარიანი გზა, აღმართ-დაღმართიანი, უკვე გაიარეს ამრიგად, როდესაც ერთ ადგილას მათკენ მომავალი მღვდელი შეხვდათ.

— მამა ზოსიმე, მამა ზოსიმე! — შემოსძახა შემხვდურმა, — მამაო, გეტყობა გულნაწყენი უნდა იყვე!.. სძლიე, სძლიე, მამაო, ჯერ ახალგაზრდა კაცი ხარ... მომავლისათვის შეინახე თავი! სძლიე სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა, ამინ! პირჯვარი გადისახე, ფუი ეშმაკსა-თქვა და გათავდა! — მხიარულად და სულდაუთქმელად* მოაყოლა ამ ხანში შესულმა ჭაღარამორეულმა მღვდელმა, რომელმაც ჯორი შეაჩერა, ქუდი უკან გადიწია და ცოტათი გამოაჩინა თავისი ბელოტი შუბლს ზევით.

— სად მიბრძანდები, მამაო მიხეილ? — შეეკითხა ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ მამა ზოსიმე.

— ქუთაისში, აგერ ეს ვაჟბატონი მიმყავს, ეგებ გვარი დაამშვენოს თავისი ჭკუითა და სწავლა-განათლებით! — და ამ სიტყვებთან მან თავი მიიბრუნა უკან პატარა, ათი-თერთმეტი წლის ბავშვისკენ, რომელიც უკან შემოჯენილი ჰყავდა ჯორზე, ძალზე მიჰკროდა მამა მიხეილს წელზე შემოხვეული ხელებით, რადგანაც საჯდომი ადგილი უნაგირს იქით ჯორის გავაზე მეტად პატარა დარჩენოდა; ისე მიჰკროდა, რომ მამის ანაფორაში* გაჰხვეოდა თავი და სახე სრულიად არ უჩანდა.

— სასულიერო სასწავლებელში, მამაო?

— დიახ, დიახ!.. ჩვენ ქე გვწუნობთ, თქვე დალოცვილებო! — სიცილითა თქვა მამა მიხეილმა... — დასაწუნიცა ვართ!.. ამ თრევაში, ამ ხალხთან ყაყანში სულ გამომელაყა თავი!.. რაც რამ იყო შიგ, სულ ერთიანად გამოიფიტა, გაფრინდა სადღაც!.. რავარც პური გაფრინდება, სწორედ რომ ისე! თუ არა ჩვენს დროზე ვითომც არც ჩვენ გვიჭირდა!.. მეც ვიცოდი რაღაც-რაღაცეები... მახსოვს, გიშპანიის ზღვას გვასწავლიდნენ, თეთრ ზღვას, პეჩორის ლავრას*... მარა დღეს სადაა ეს გიშპანიის ზღვა, ან ეს თეთრი ზღვა, ან პეჩორის ლავრა — ველარაფერი გევიგე!.. თავი მომწონდა წინათ და ახლა აბ თითის სიგრძე ბავშვმა მაჯობა... სადაა, ბიჭო, თეთრი ზღვა? არც შენ იცი, შემარცხვინე კაცი?! გიშპანია?! ხა, ხა! — გადიხარხარა ხუმარა და ენაწყლიანმა ხუცესმა.

სწორედ ამ დროს უკან ჩამორჩენილი პეტრიაც, აქლოშინებული, მოუახლოვდა ამათ და, რა დაინახა მამა მიხეილი, დაბლად თავი დაუკრა და შენდობა* სთხოვა.

— აი, პეტრიანთი, პეტრიანთი, პეტრიანთი! — მიაძახა, დაინახა თუ არა, მამა მიხეილმა. — რასა იქ, პეტრიანთი!.. კანჭიანთის* ამბავი რავაა, პეტრიანთი?.. კანჭიანთის ამბავი... მამა ზოსიმეს! ხა, ხა, ხა!.. კაი სუქანი კანჭიანთი!..

— სუქანი კანჭიანთი სადღა იქნება, შე დალოცვილო, ღორის გამოსაშობი ადგილი რომ აღარ არის... რითი გასუქდება, ყველას ბაწარზე უბია თავისი ღორი!.. სუქან კანჭიანთზე ჩვენც გვწყდება გული, მამაო, მაგრამ რას იზამ კაცი, რას იზამ?!

— რატომ მერე, რატომ, პეტრიანთო! კაი სუქანი კანჭიანთი გულს გაამხიარულებს, ხომ იცი!.. მამა ზოსიმესაც სხვანაირ გუნებაზე მოიყვანდა!.. ეგებ ახლა კიდეც მოგელოდესთ კაი ბურუხუნა კანჭიანთი, ა?.. ხა, ხა, ხა!.. კანჭიანთზე ძიხვალთ? — სიცილით შეეკითხა ხალისიანი ხუცესი.

— საზიარებელი მყავს აგერ, — მიუგო ზოსიმემ.

— საზიარებელი!.. ოჰ, აბა უკაცრავად, უკაცრავად!.. არ მეგონა, თორემ ამდენხანს არ გაგაჩერებდი ამ შარაში! უკაცრავად... მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — თავი დაუკრა ზოსიმეს, შემოჰკრა დეზი თავის თაგვის მსგავს ჯორს და მოსაუბრენი გაშორდნენ ერთმანეთს.

ახალგაზრდა მღვდელმა ვერ მოიცმინა ერთი არ მოეხედ-

ნა ამ უცნაური ღვთის მსახურისაკენ და საშინელი სევდა შემოაწვა გულზე. ნუთუ ეს მიხეილა ხუცესი მისი მომავლის გამოხატულებაა? ნუთუ მასაც მოელის ასეთი ბოლო? ნუთუ მასაც გაუხდება საკითხავად, არის თუ არა დღეს სადმე გიშპანიის ზღვა, ან სადაა პეჩორის ლავრა და სამწუხარო გაუხდება „ბურუხუნა კანჭიანთების“ მოკლება ღორების გამოსაშვები ადგილების უქონლობის წყალობით?

— ოხ, ღმერთო, ღმერთო! — უნებლიეთ ხმამაღლა წამოიძახა ზოსიმემ და სწორედ იმავე დროს უკან ჩამორჩენილ პეტრიას ძახილიც მოესმა:

— შეუხვიე, მამაო, მანდ შეუხვიე!.. მაგ ჭიშკარში!

ზოსიმემ თავი აიღო და მხოლოდ ახლა დაინახა, რომ მისულიყო ავადმყოფისას. შეიყვანა ჯორი გაღებულ ჭიშკარში და დაბალი ისლით გადახურული სახლის დერეფანთან გადმომხტარმა ჯორი შემოგებებულ ალფეზა-ბიჭს გადასცა. ამ დროს პეტრიაც გაჩნდა ეზოში.

— ჩალა უშოვე მაგას! — უთხრა პეტრიამ ბიჭს, როცა ის ჯორს ბოძთან აბამდა.

გადმოხურულში მღვდელს შემოეგება თავშეფუთვნილი მოხუცებული დედაკაცი, რომელიც მოწიწებით მივიდა ზოსიმესთან და ხელზე ემთხვია. ეს იყო ავადმყოფის დედა, მოხუცებული ანუსია.

— აბა, სადაა ავადმყოფი? — იკითხა ზოსიმემ და სახლში შევიდა. — აქა მშვიდობა! — წარმოთქვა მან.

სახლში მეტად ბნელოდა.

— ის მეორე კარიც გააღეთ!.. ამნაირ სიბნელეში შეიძლება ყოფნა?! — დაატანა მღვდელმა უკმაყოფილოდ.

ანუსია ეცა კარებს ბრძანების ასასრულებლად. შემოსულ სინათლეზე ახლა შესაძლებელი იყო ადამიანს გაერჩია იქაურობა. კედლის სიგრძეზე გაყოლებულ ვიწრო ტახტზე თავბოლოში, ქვეშაგებში ორი ადამიანი იწვა, როგორც ეტყობოდა. იქითა თავში მწოლარე, რომლის თვალებიც შემკრთალივით გამოიყურებოდნენ ცხვირამდის წახურული საბნის ქვეშიდან, ზოსიმემაც იცოდა, რომ ალფეზას და იყო, ელიზია, უკვე დიდი ხნის ავადმყოფი გასათხოვარი ქალი.

— ეს არის ალექსი? — მიუთითა მეორე ქვეშაგებზე ზოსიმემ. მწოლიარე თავიანთ იყო გაბვეული საბანში.

— ალექსი გაბლავთ! — ძლივს გასაგონი, ჩისუსტებული ხმით, რომელშიაც ცრემლები ისმოდა, უპასუხა მოხუცებულმა ანუსიამ.

— გადაბადეთ საბანი!

ანუსია თითქმის შესტა ტახტზე და მუხლებზე წაჩოქილმა ნელა დაუწყო საბნის გადაძრობა ავადმყოფს პირიდან.

— ალექსი, შვილო!.. გამოიხედე!.. მოძღვარი მოპრძანდა!

ოფლში გაწურულმა, პირზე წამოწითლებულმა ავადმყოფმა ერთი კი გამოიხედა მღვდლისაკენ და ისევ დახუჭა თვალები.

— რასა იქ, ალექსი, ა?.. რა უნდა შენთან ავადმყოფობას, შე კარგო კაცო! — შეეხუმრა ვითომ ზოსიმე ავადმყოფს.

— ვკვდები, ბატონო! — ძლივს გასაგონი ხმით წამოიფუჩუნა ავადმყოფმა.

— ნუ გეშინია, ნუ!.. ასე მალე შეგაშინა ავადმყოფობამ! ჰეი, შე გლახა! შე კარგო კაცო, ადამიანი ხარ, ხან კარგად ვარო, ხან ავად, რა ვუყოთ! — ასე ანუგეშებდა ზოსიმე ალექსის, მაგრამ ნათლად ხედავდა, რომ ვაჟკაცი კაცი განსაცდელში იმყოფებოდა.

ეს წყვდიადი, რომელიც ამ სახლში დამყარებულიყო და რომელიც ისე უსიამოვნოდ მოხვდა გულზე პირველი ფეხის შემოდგმისთანავე, ეს სიღარიბე, ეს სიღატაკე, ამ სახლის ყოველი კუთხიდან რომ გამოსჩვიოდა, ეს საწყალი ავადმყოფები, რომელთა უსაშუალობაც თვალებში ეჩხირებოდა, ეს მუმიასავით შეფუთვნილი მოხუცებული დედაკაცი, ჩუმად რომ ცრემლებს ღვრიდა, თავისი ულონობა ამათი შეწევნისათვის,—ყოველივე ეს კიდევ უფრო ნაღველს უმატებდა მის ისედაც დანაღვლიანებულ გულს, მწუხარებას უმწვავებდა, უნუგეშობაში აგდებდა, ამ ცხოვრებას ყოველსავე სინათლეს აკლებდა და ყოველსავე სასოწარკვეთილებას უკვეთავდა. სევდით მოცული გული, ამღვრეული სული, შემოწოლილი გრძნობა გამოოქმას ითხოვდა, იწვევდა საღაღადებლად, ხმაბალლა წარმოსათქმელად თავისი უნუგეშობისას, თავისი სევდიანობისას.

— ლოცვანი! — წამოიძახა მან და ათრთოლებული ხელით

დაუწყო ფურცვლა წიგნს. გადიგდო უკან შუბლზე გადმოშლილი თმა და პირჯვრის წერით განსხვავებული ხმით გაიძახოდა, ხმით, რომელშიაც მოისმოდა სიმწარე და მხურვალე ვედრება გულშეწუხებული ქმნილებისა:

— უფალო, შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე! მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა, აღხოცე უსჯულოებანი ჩემნი...

— მღვდელს „ზაკუსკა“ დასჭირდება, ხომ იცი... შორი გზა აქვს... თქვენც შეაგვიანეთ კიდევ. დილიდან უჭმელია, ხომ გაქვთ რამე? — გადულაპარაკა პეტრიამ ალფეზას.

— კი მაქვს, კი! — მიუგო ალფეზამ.

პეტრიამ მღვდლისკენ მიიწია.

ეს კი, გულდაჩაგრული, გულაჩვილებული ამ უნუგეშო სურათებით, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე თვალწინ ეშლებოდა, დამონებული ამდენი ტანჯვა-გაჭირვების მზერით, მხურვალედ ევედრებოდა ზეცას შვებას. მოწიწებით ითხოვ-

და იმედს, სიხარულსა, რათა მას მიეღო მსხვერპლად მისი შემუსვრილი* სული, გული შეწუხებული და დამდაბლებული.

— ღმერთო, ისმინე ლოცვისა ჩემისა... ყურად იხვენ* სიტყვანი პირისა ჩემისანი! — გაიძახოდა იგი მუხლმოდრეკილი.

ამ ღაღადებაში, ამ მხურვალე ლოცვაში მან იჯერა გული და თითქო რაღაც შვება იგრძნო ამ ხმამაღლა ძახილში თავისი უნუგეშობის და სასოწარკვეთილებისა; თითქო ისევ მოიპოვა მან სულის მშვიდობა.* დაკეცა ლოცვანი, გადასცა იგი პეტრიას, უბიდან ამოიღო პატარა ხატი,* გახსნა იგი და ავადმყოფს მიაწოდა წმიდა საიდუმლო*.

კუთხეში მიკრუნჩხული პატარა გოგო თაგვივით გამოიყურებოდა და გაკვირვებული თვალებით მისჩერებოდა მაღალი ტანის უცნაურ კაცს.

ზოსიმემ აზიარა* ავადმყოფი.

— ნუ შეშინდებით, ღმერთი მოწყალეა! არაფერია საშიშარი! ნუ გაფრთხილდებით! შენ რას შვები, ელიზია? — მივიდა ზოსიმე მეორე ავადმყოფთან. — ასე უნდა იწვე, შე ქალო, აღარ აპირებ ადგომას?! — უხუმრა მას.

გაყვითლებულს, ლოყებჩაცვივნულს პირისახეზე უცნაურად მბზინავი თვალის კაკლები შეთამაშდნენ და ძალზე შეთხელებული უსისხლო ტუჩები შეიშმუშნენ და მისუსტებული ხმით ნათქვამმა სიტყვებმა ძლივს მიაღწიეს ზოსიმეს ყურებამდის:

— ნეტავი ალექსის დევინახავდე ფეხზე და მე რა საკითხავი ვარ!

— ალექსის დარდი ნუ გაქვს. შენ წამოდექი და მაშინ იქნება კარგი! — ღიმილით უთხრა ზოსიმემ.

ანუსიამ ამაზე ღრმად ამოიოხრა და სიმწარის ნიშნად გააქნია თავი.

— აბა, პეტრია, ჯორი! — დაიძახა მღვდელმა.

— ერთ წამს მოგვითმინე, მამაო! გზა შორი გაქვს და მშიერი ბრძანდები! — შეაყენა კარებთან მიმავალი ზოსიმე ალფეზამ.

— არა, არა! — წამოიძახა ზოსიმემ.

— კი, ჩემო ბატონო, კი, ბატონო! — დაატანა ანუსიამაც.

— სრულიად არაა საჭირო! არაა საჭირო! — იწევდა მღვდელი.

— მოითმინე, მამაო! მშიერი ახლა სახლში წახვიდე, გზაში რა გარონიებს? ერთი სტაქანი ღვინო დალიე, ერთი ლუკმა პური მოიტეხე და წადი ისე, — ჩაერია პეტრიაც. — აბა, ნუღარ აგვიანებთ, მოიტანეთ, თუ გაქვთ რამე!

— კი, ჩემო ბატონო, კი, ახლავე იქნება! — ფუსფუსებდა ანუსია შვილთან ერთად.

ზოსიმე იძულებული იყო დარჩენილიყო საუზმეზე. სუფრა მალე გაიშალა და პეტრია ერთ წამში დაეპატრონა, რაც სუფრაზე ძოართვეს მღვდელს.

— ეს რა საბოდიშოა, შე კურთხეულის შვილო! მართალია, ნასწავლი მღვდელი ბრძანდები, მაგრამ ამ სოფლის პურ-მარილზე უარი არასოდეს არ უნდა თქვა. თუ დაგაკლდება, თვარა არაფერი შეგემატება! დიდება ღმერთსა, გაუმარჯოს მასპინძელს, ავადმყოფი მალე მოურჩინოს, ოჯახს სიკეთე და ბედნიერება! — დაილოცა მან და გამოცალა ღვინიანი სტაქანი.

მოშივებული მღვდლისათვის სწორედ სულზე მოსწრებასავით იყო ეგ საუზმე: იგი მადიანად ილუკმებოდა. არა ნაკლები მადით შეექცეოდა სუფრას პეტრიაც, რომელიც ტოლუმბაშო-



ბასაც ვითომ ეპირებოდა, რომ მღვდელი ცოტა ხნის შემდეგ არ წამომდგარიყო და წასვლა არ დაეპირებინა.

— კმარა, კმარა, გეყოფა, პეტრია! ადექი და ჯორი მომიყვანე!

— ახლავე, მამაო, ამ წუთში! — ალბათ, ენანებოდა სუფრის მიტოვება, ისე ზანტად დგებოდა.

მღვდელმა ალფეზას დარიგება მისცა ავადმყოფისათვის როგორ მოევლო და ეზოში გავიდა. ჯორი ისევ ღობესთან იყო და ჩალას ჭამდა.

— პეტრია, არ გესმის რა გითხარი! — წამოიძახა ზოსიმემ.

— ახლავე, მამაო, ახლავე! აწი რაღა გეჩქარება მაინცდამაინც! — და სახლიდან გამოსული პეტრია ჯორთან მივიდა, უნაგირზე მიბმული აბგა* მოხსნა და პურებს დაუწყო შიგ ჩალაგება.

— რას შვრები მაგას, პეტრია? — მიაძახა ზოსიმემ.

— მაცალე, მამაო, მაცალე! რა გეკითხება, თუ ღმერთი გწამს!

— ნუ სულელობ, ბიჭო!

— ერთი, შე დალოცვილო, შენც უკადრისობ კიდევ!.. სოფელში ხარ, სოფლის ჩვეულებას აჰყევი... თორემ თუ დაგაკლდება, თვარა შეძენით არაფერი შეგეძინება!.. რა დროს მორცხვობაა!.. აწი ქე უნდა მიეჩვიო, დროა, სოფლის ადათსა და ჩვეულებას!

— მე გთხოვ, ამგვარებს ამარიდო, ჩემო პეტრია! — წყენით უთხრა ზოსიმემ.

— ბატონი ბრძანდები! ახლა კი შეგიძლია შენს გზა გაუდგე! აბა შებრძანდი! — უთხრა პეტრიამ, როცა აბგას თავი მოუკრა და უნაგირს მიაკრა თასმებით. — აწი ნულარ იგვიანებ!

ზოსიმემ თავი გააქნია და თან დაატანა:

— რატომ გაქვს მაგრე გრძელი ენა, შე უბედურო!..

— რომ ბევრი ვილაპარაკო, ნამაო! — მიუგო სწრაფად პეტრიამ.

ზოსიმეს უნებლიეთ გაეცინა ამაზე და ამ სიცილით გაუდგა თავის გზას; პეტრია კი ანუსიასკენ და ალფეზისკენ წამოვიდა.

— ჯერ კიდევ ეხამუშება... ყმაწვილია! მერე, პურს კი არა, გახრეკილ ძვალსაც ჩვილაგებს ხვირჯინში და სახლში წიკვას* დოუწყებს... ბავშვებს თითო ნატეხი მაინც შეხვდებაო, — ღიმილით უთხრა მან დედასა და შვილს, გამოემშვიდობა მათ და თავისი სახლისკენ გასწია.

გვარიანი გზა ჰქონდა გასავლელი ზოსიმეს, მაგრამ იგი დღეს კიდევ უფრო გრძლად ეჩვენა; მთელი გზა სულ იმაზე ფიქრობდა, რაც დღეს მას გადახდა და რაც დღეს ნახა.

ვერაფერი საამური სურათი წარმოუდგა თვალწინ, როცა თავის ეზოშიაც შევიდა. სახლის წინ პერანგის ამარა ბავშვები ტალახში ჩამდგარიყვნენ ტიტველა ფეხებით და სრულიად გათითხნული გულმოდგინედ ზელავდნენ მას.

— თეკლე, თეკლე!.. ამ ბავშვებს გადმოხედე ერთი! ყურის გდება უნდა, შე ქალო, ხანდახან! — დაიძახა მან, როცა ჯორიდან ჩამოხტა, მიაბა იგი ბოძთან და პატარა სახლის ბალკონზე ავიდა.

დაძახილზე სახლიდან გამოვარდა ახალგაზრდა ქალი, თავსაფარწაკრული, სახელოებწაკაპიწებული.

— რა იყო? — გაფაციცებით იკითხა მან.

— რა და, შე ქალო, ამ ბავშვებს მიხედვა უნდა ხანდახან!.. შეხედე, რას ჰგვანან? რარიგად ამოთითხნილან!.. კვირა დღეა, დღეს ჩაგეცმია მაინც.

— რა ჩავაცვა, შე კაცო?.. თითო ხელი ტანისამოსი აქვთ და იმასაც გააოხრებენ და ის იქნება... მალე მეესწრებიან ახლების შეკერვას!.. ამ შენმა ძმისწულებმა მაინც სულ გააფუჭეს ეგ გასაწყვეტლები!.. გიგა, გიგა... ელინკა... არ გესმით!.. ახლავე ამოეთრიეთ... ახლავე აქ ამოეთრიეთ, თვარა სულს ამოგახთენთ ორივეს! — შეუტია ბავშვებს თეკლემ.

დამფრთხალი ბავშვები გამოიქცნენ დედისკენ. ეს კი მივიდა ჯორთან, მოხსნა აბგა, გასინჯა ხელით, უნდოდა გაეგო, თუ რა ეწყო შიგ, ამოაფარა კაბის ნაკეცს, რომ არ შეეხედვინებინა მაზლისანებისათვის,* რომელნიც იმავე სახლში ცხოვრობდნენ, და აჩქარებით შეირბინა ოთახში.

— მე რაღაც მეგონა! — უკმაყოფილოდ წარმოსთქვა მან, როცა აბგა გახსნა და პურები დაინახა.

— აბა რას ეძებდი? — ღიმილით და თან დარცხვენით

უთხრა ცოლს ზოსიმემ, რომელსაც ანაფორა გაეხადნა და ახლა ტახტზე გაწოლილიყო.

— დედა, მომეცი-ი! — ეტაკა თეკლეს უფროსი შვილი. — მაჭამე-ე-ე!

ამას მეორეც აჰყვა.

— მაჭა-მე-ე!.. მომეცი-ი... — გაიძახოდნენ წუწუნით ბავშვები.

— მოიცადეთ, მოიცადეთ!.. მერე... მერე!

— მაჭა-მე-ე!.. მომეცი-ი... — წუწუნებდნენ ბავშვები.

— შავი ჭირი თქვენ! — მიაძახა თეკლემ.

— მოუტეხე, შე ქალო, ნულარ ატირებ! — უთხრა ზოსიმემ.

— ჰა, ჰა, ცეცხლეთ, არ გასაძღომებო!.. გაგიწყდათ მიწა! გაგიწყდათ!

გადაუგდო თითო ნატეხი თეკლემ ორივეს და დანარჩენი აბგიანად კუთხეში მდგარ დაბალ კარადაში შედვა, ოთახიდან გავიდა და ბავშვებიც თან გაიყოლა.

ზოსიმემ თვალები გააყოლა თეკლეს და ტიტველა ბავშვებს, რომელნიც დედას მისდევდნენ, და მისდაუნებურად ღრმად ამოიხვნეშა.

„თვალებგადმოპრაწულ!“ — გაურბინა მას თავში და ისევ თვალწინ წარმოუდგა დღევანდელი ამბავი, ეს მისი მრევლი, მობუტბუტე გლეხკაცობა, ექვთიმეს სიტყვები, მიხეილა ხუცესი და მის გულში ისევ გაიღვიძა საშინელმა სევდამ, სასოწარკვეთილებამ. ახლა ზედ ერთვებოდა ეს შინაური სურათიც. კი, კი უნდა გამოპრაწოს თვალები, მართლა თვალებგადმოპრაწულად უნდა იყვეს, თორემ ვერც სხვას წაადგება და თავის თავსაც ავნებს! ყოველივე ოცნებაზე ხელი უნდა აიღოს, იცხოვროს ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ! დროა აწი სოფლის ადათს შეეჩვიოს, პეტრიასი არ იყოს! სხვა ყველაფერი ტყუილია და საზარალო!... და ამას რომ ეუბნებოდა თავის თავს სახელმძღვანელოდ, უეცრად ანუსიას ოჯახი მოაგონდა, საღაც ორი მომაკვდავი იწვა და თითქო ვიღაცამ წასჩურჩულა, შენი შემოსავალიაო. და ამ აზრის გაღვიძებამ, ამ აზრის მის ტვინში გაელვებამ სრულიად დაათავა ახალგაზრდა მოძღვარი. ნუ-

თუ ამგვარი ფიქრების გამაღვიძებლად გაუხდება მისი გაჭირვება, მისი სისაწყლე; ნუთუ ამგვარი აზრების დამუშავებას მიეჩვევა მისი ტვინი, მისი გონება?!. და ზოსიმე, გულდაწყვეტილი, გადაბრუნდა მეორე გვერდზე, ჩარგო ცხვირპირი მუთაქაში და იწვა გაუნძრევლად.

დიდი ხანი არ დასჭირებია, რომ მოღალულ-მოქანცულ ტვინს ძილი მიჰპარვოდა და სასურველ, სასიამო დავიწყებაში შეეყვანა ახალგაზრდა მღვდელი.

ავადმყოფ ალექსიას გამობრუნებას არა თუ პირი უჩანდა, პირიქით, იგი იმ საღამოსვე საშინელი გაჭირვებული შეიქნა. მოუსვენრად წრიალებდა ქვეშაგებში, ხანდახან წამოიძახებდა რაღაც უცნაურ სიტყვებს, ბოდავდა და წუხდა საზარლად. რეტდასხმული ანუსია თავთან უჯდა შვილს, მწუხარებისაგან გამშრალი სულელურად მისჩერებოდა შეწუხებულ ავადმყოფს. არა-რა იმედი, არც საიდანმე შველა, რამე შეწევნა!

— ღმერთო, დიდებულო!.. ღმერთო, მოწყალე! — ხანდახან წამოიძახებდა მხოლოდ ალფეზა და ანუსია შვილს დასჩერებოდა და უსიტყვოდ მუშტს ირტყამდა გულზე.

საზარელი ღამე დაუღამდათ საწყლებს. მთელი სახლი ბნელში იყო გახვეული, მხოლოდ კერაზე ცქრიალებდა მკრთალი ცეცხლი და დამყარებულ მკაცრ სიჩუმეს ავადმყოფის წამოძახება თუ დაარღვევდა, ანდა უღონო ხმა ელიზიასი, რომელიც დედას დროგამოშვებით ეკითხებოდა:

— დედი, რავაა ალექსი?

— რას იზამს, შვილო, მგონი ახლა უკეთ უნდა იყვეს! — მიუგებდა ხოლმე ანუსია და სახლში ისევ სიჩუმე ჩამოვარდებოდა.

დილაზე ავადმყოფი უარესად შეიქნა. ალფეზა სოფელში დარბოდა უთენიიდან და ხან ვინ მოჰყავდა და ხან ვინ, მაგრამ ვერავინ ვერაფერი გაიგო ამ ბიჭის ავადმყოფობისა და ვერავინ გამოჩნდა მშველელი. მთელი დღე უცნაურ გაჯახირებაში გაატარა ალექსიმ, ღამეც არა ნაკლებ მოუსვენრობაში იყო.

ანუსი, გალენჩებული მწუხარებისაგან, ისევ თავს დასჩერებოდა შვილს.

— დედა! — წამოიძახა ავადმყოფმა და თავი მაღლა წამოსწია.

— შვილო, ალექსი, აგერ ვარ!.. რა გინდა?! — მივარდა ანუსია.

— დედაუ! — გაჯავრებით და უფრო ხმამაღლა წამოიძახა ალექსიმ. — დედა, დედა, დედა-ა-ა! — დაჟინებით იძახოდა და თავს ატრიალებდა ავადმყოფი.

— ალექსი, შვილო... აგერ ვარ... შენს სულს ვენაცვალე... შვილო!

მაგრამ იმას ალბათ, არ ესმოდა დედის სიტყვები, საშინლად აბრიალებდა თვალებს, ხან ერთ სიტყვას გაიძახოდა, ხან მეორეს.

ანუსია თავზარდაცემული ეპოტინებოდა შვილს, რაღაც ს ეუბნებოდა, თვითონაც არ ესმოდა... ცრემლებმა ხმა წაართვა და თვალებიც აუხვია. აძგძიგებული პირისახე, მთრთოლავი ტუჩები სიტყვის გამოთქმას უშლიდა.

ავადმყოფი ღონივრად წამოიჯგიმა, წამოიწია, გააჭყიტა თვალები და ლოდივით დავარდა ლოგინზე.

ანუსია ქორივით დაეძგერა შვილს, გადმოაბრუნა პირალმა და საზარლად შეჰყვირა:

— ალექსი!.. შვილო!

საზარელი ხმა უცბად მიწყდა.

— დედა... დედა... რა ამბავია, დედა? — მოაძახა მას შემკრთალმა ელიზიამ, რომელიც ლოგინში წამომჯდარიყო. — რა იყო, დედა?

— არაფერი, არაფერი, შვილო! დაწევი, დაწევი!

— ტირი, დედა?..

— აბა რა დამრჩენია თქვენს შემხედვარე დედას, თქვენს ოხერ დედას! ვაიმე, ვაიმე!..

ანუსია წამოდგა, ალექსის საბანი გადააფარა, ტახტიდან ჩამოვიდა ძირს და კარებისკენ გაიძახა:

— მარიკო... მარიკო!

სახლში შემოვიდა თავგაბურძგნილი პატარა გოგო.

— დაჯექი აქ! — მიუთითა ანუსიამ ტახტიღან, სადაც ალექსი იწვა. დაჯექი აქა და უყურე!.. — თქვა ეს და სახლიდან გავიდა.

— რას შვრება, დედა, ალექსი? — შეეკითხა მომავალს ელიზია.

— ძინავს, შვილო, ძინავს.

ანუსია რომ გავიდა, სახლში სიჩუმე დამყარდა. პატარა ვოგო, დაბალ სკამზე მჯდომარე, გაუბედავად იყურებოდა ხან ელიზიასკენ, ხან კარებისაკენ, ხან კი საბანწახურულ ძმას მისჩერებოდა.

სიჩუმეში რაღაცის ხმა მოისმა გარედან. ელიზიას ყურებამდისაც მიაღწია მან. რაც ხანი გადიოდა, ხმა უფრო მკაფიოდ მოისმოდა. ვიღაცა უსათუოდ ტიროდა, მოსთქვამდა, ისე ჰგავდა.*

— მარიკო... გეიხედე... ვინცხა ტირის იქ! გეიხედე! — და ელიზია წამოჯდა საწოლში.

მარიკო ადგა, მივიდა კედელთან, მონახა ჭუჭრუტანა და კედელს მიეკრა. ტირილის ხმა ისევ მოისმა.

— ვინაა, მარიკო?

— დედა... დედა ტირის! — მიუგო ბავშვმა.

— დედა ტირის?

— ჰო!.. ალფეზა მოვიდა... ისიც ტირის!..

ელიზია შეიშმუშნა, შეინძრა, ხელებით ფათური დაიწყო, მოძებნა კაბა და თავზე გადიგდო ჩასაცმელად.

— ბიცოლა დაფინი მოვიდა... ბიძია ივანე... პუპულო! ელენიჩკაც მოდის... ტირის ელენიჩკაც!.. — ტიტინებდა პატარა მარიკო და იმას კი ვერ ხედავდა, ელიზიამ რომ კაბა გადაიცვა, წამოდგა საწოლიდან და ეს ცოცხალი ჩონჩხი ბანცალით წამოვიდა ალექსისაკენ; აცოცდა ტახტზე და თავისი ძვლიანი ხელებით გადაძრობა დაუწყო საბანს ძმის პირისახიდან.

გადახდილ საბანს ქვეშ გამოჩნდა საზარელი შესახედავი ალექსი, თვალებგადმოკუსული წინ წამოშვერილი მოკლე წვერით შემოსილი ნიკაპით, უცნაურად დაკრეჭილი კბილებით.

ელიზიამ ერთი შეჰკივლა, რაც კი შეეძლო, და ღონემიხდილი ზედ დაემხო მიცვალებულ ძმას.

მარიკომ მხოლოდ ახლა მოიხედა და რა დაინახა ალექსიზე დამხობილი ელიზია, მორთო ღრიალი.

— დედა, ელიზია ადგა... ადგა ელიზია... ალექსისთან!

ყვირილზე მოფენილ* კარებში შემოვარდა გადარეულივით ანუსია და მასთან ვინც კი წინ გადმოხურულში იყვნენ.

— მომკალით, მომკალით! შვილებო, ვაი, ვაი, ვაი! --- საზარელი ხმით შეჰყვირა მოხუცებულმა დედაკაცმა და ტახტზე შეხტა ელიზიას მოსაშორებლად.

სახლი ერთ წამში ხალხით აივსო. შეიქნა გულის შემხარავი ღრიალი, ტირილი, წივილ-კივილი.

გრძნობადაკარგული ელიზია გააშორეს მიცვალებულს და მიცვალებულის მსგავსი თავის საწოლში დააწვინეს.

საღამოზე ელიზიაც გამოეთხოვა ამ წუთისოფელს. მთელი სოფელი მოტირალი იყო საწყალ ანუსიასთან ერთად ამ ორი მიცვალებულისა.

— ღმერთო დიდებულო! ღმერთო მოწყალეო, შეგვიბრალე, შეგვიწყალე ჩვენც ცოდვილნი!* — ყოველი მხრიდან გა... ძახოდნენ თავზარდაცემული სოფლელნი. ეს ორი კუბო, რომელთა შუაც ჩამჯდარიყო საცოდავი დედა და ხან ერთს ეხვეოდა, ხან მეორეს, — ეს ორი კუბო უცნაურ შიშს ჰგვრიდა ამ გულუბრყვილო ქმნილებათ, ზედ ეტყობოდათ, რარიგად სჩაგრავდა მათ. მხოლოდ ერთადერთი ღმერთია ეგულებოდათ შემწედ და ამიტომაც ისე ვედრებით გაიძახოდნენ მის სახელს.

და ზოსიმე მღვდელი, აკანკალებული ხმით რომ წესს უგებდა* ამ საცოდავებს, ცრემლებით თვალები რომ ევსებოდა მიცვალებულთა ყურებით, თან მისი გული უფრო მეტად სწუხდა, გმინავდა, რადგანაც, თავის გარშემო ხედავდა ამ მართლადა უმწეო, ღვთის ანაბარად მირჩენილ ქმნილებათ, სულით დაჩაგრულთ, უსაშუალოთ, ყოველ მხრით საცოდავთ; და ეგ საერთო ტანჯვა, საერთო მწუხარება, საერთო გაჭირვება თან უიმედობაშიაც აგდებდა და თან არიგებდა თავის საკუთარ გაჭირვებასთან და თავის ბედთან. ცრემლები, რომელნიც თვალთაგან სცვიოდა, თან მწუხარების ცრემლებიც იყო, ცრემლები უიმედობისა და თან ბედთან შერიგებისა.

ამიტომ იყო, რომ დღეს ისეთი მადლობით გაისტუმრა თავისი მღვდელი მისმა მრევლმა, რადგანაც მან თავად გულდაწუხებულმა, თავის გულდაწუხებულ სამწყსოსთან მხურვალე ცრემლები დაღვარა, ცრემლები მწუხარებისა და უნუგეშობისა.

1898.

მიქელა

უბედურ მოხუცებულობას შეესწრო მიქელა გიორგაძე. სულ მოკლე ხნის განმავლობაში მიწას მიაბარა თავისი სამი ვაჟი, ერთი ცოლშვილიანად. მრავალრიცხოვანი ოჯახიდან მას შერჩა მხოლოდ ორი შვილიშვილი და დაქვრივებული რძალი მაია.

— მადლობა უფალს!.. ყველაფერი მისი ნებით ხდება!.. ყველა მისი ნების ქვეშ ვიმყოფებით! — ამბობდა მიქელა, როცა მწუხარება გულს მოაწვებოდა ხოლმე.

მოხუცებული ერიდებოდა რაიმე საყვედური წამოსცდენოდა ღვთაების* მიმართ. არც შავები ჩაუცვამს, არც თმა და წვერი მოუშვია; არავის ამჩნევინებდა თავის მგლოვიარობას. მორჩილებით და მოთმინებით უზენაესის* ნების წინაშე იმედოვნებდა მიქელა ღვთაების გულისშოგებას, მისგან შებრალებასა და შეწყალებას. და სწამდა კიდეც, რომ აგრე იყო. შერჩენილი, ცოცხლად მყოფი ორი შვილიშვილი ღვთისაგან საჩუქრად ჰქონდა მიჩნეული მისი მორჩილად მყოფობისა და მოთმინებისათვის. ღრმად სწამდა ეს მიქელას, მადლობას სწირავდა უფალს და მზად იყო დაევიწყნა უბედურება, რაკი ამათში ხედავდა ოჯახის მომავალ მშვიდობიანობას და თავისი გამწარებული სულის მომვლელთ მისი სიკვდილის შემდეგ.

და სწორედ მაშინ, როცა მიქელა იმედს მიეცა, ამ რწმენით დამშვიდებული იყო, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ესენი ეყოლებოდნენ მისი სულისთვის მზრუნველად, სწორედ ამ დროს, მოულოდნელად, ავად გახდა უფროსი შვილიშვილი, ოცი წლის ბიჭი, სპიდონა. მოხუცებულს თავზარი დაეცა. მაგ ამ

ხელი დაავლო თავის პატარა ნესტორას და იმავ ღღესვე, რა დღესაც ავად გახდა მისი მაზლისწული, მახლობელ სოფელში თავის სახლს გადასიზნა.

ავადმყოფი სპიდონა ღღითი ღღე უარესად ხდებოდა. ერთ ღღეს იგი ისე მოიქცა, რომ მიქელას ეგონა, მოკვდაო. გონებაარეული მოხუცი მსადებას შეუდგა, ესეც ისე გაეტანა ურმით, როგორც წინანდელი მიცვალებულები. მალე სპიდონამ, მაინდა სასიხარულოდ, ისევ ამოისუნთქა და თვალიც გაახილა, მაგრამ სიხარული მეტად ხანმოკლე იყო. შვილიშვილმა მიქელას გამოუცხადა, რომ საქიროს ვიყავიო, მაგრამ რადგან ჩემი იქ წასვლის ბორჯი* არ მოსულა, ერთი წლით გამომაბრუნესო უკან.

ახლა კი ვეღარ გაუძლო მოხუცებულმა მიქელამ ჯავრს, ყოველივე იმედი, ყოველივე რწმენა, მორჩილებით და მოთმინებით ნაპოვნი ვითომ მშვიდობიანობა, კეთილი მომავალი — გაქრა, გაქარწყლდა, მოესპო. მოხუცებული აირია, მოუსვენრობას მიეცა.

ჩუმი, ყუჩი, შეხედულებით ბუს მსგავსი მიქელა, რომლისაგან ძლივს ორ სიტყვას გაიგონებდა კაცი, რომელიც გულგრილად ეკიდებოდა ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა, გარდა სამუშაოსი, ეს მოხუცებული ახლა სრულიად გადასხვაფერდა. მასში თითქო გაიღვიძა შიგნით დამალულმა ადამიანმა — თავისი გრძნობითა და წადილებით.

მისი ოჯახის მომავალი ახლა ისეთ სუსტ ძაფზე ეკიდა, როგორიც იყო მისი უმცროსი შვილიშვილი, პატარა ათი წლის ნესტორა. ამდენი სულის მომვლელ-მპატრონებლად, როგორც ესაჭიროებოდა ოჯახის მიცვალებულთ და მიქელასაც მისი სიკვდილის შემდეგ, რჩებოდა პატარა, უსუსური ბავშვი, ნორჩი, ჯერეთ გასაზრდელი ნესტორა — სუსტი იმედი.

ამოკვეთის, ამოწყვეტის შიშმა, ოჯახის ამოვარდნის შიშმა, შიშმა, რომ ამდენ მიცვალებულთა სულის მოსამსახურედ ოღარავინ დაურჩეს ოჯახში — გაურბინა თავში მიქელას და ‹‹ხოხუცებულს უცნაურად დასცეცხლა*. იგი მოისხლიტა*, გული ვეღარაფერს საქნარს ვეღარ დაუდვა; მუშაობაზედაც ხელი აიღო. სარჩოს მოყვანა ქვრივ მაიას დააწვა კისერზე

და ჯანიანი დედაკაცი მამაკაცივით ეკიდა* თოხსა და ურემს. მიქელა კი ეზოს აღარ სცილდებოდა; მოიფთხნებოდა* რომელიმე ხის ძირში და დაღონებით იმზირებოდა გაყუჩებული, დადუმებული, ხშირად ოცნებით მოალერსე თავისი საიმედო შვილიშვილის, პატარა ნესტორასი, რომლის გამოხატულება ამისთანობაში თითქმის მუდამ თვალწინ უდგა ხოლმე მოხუცებულს; და მიქელას ხანდახან უცნაურად შეიპყრობდა სურვილი ამ პაწაწინას ცხადად დანახვის, მისი ხმის გაგონების და მასთან ახლოს ყოფნისა.

საიქიოდან დაბრუნებულ სპიდონას კი მთლად მათი კუთხის დედაკაცები შემოედვნენ. ესენი თვალცრემლიანები ეკითხებოდნენ თავიანთ მიცვალებულთა ამბავს, ეკითხებოდნენ იმათ იქაურ მყოფობაზე, კითხულობდნენ, ეგებ რამეს ითვლევიხებოდნენ — ან თუ სამსახური მეტი ეჭირვებოდათ, ან წირვა-ლოცვა* ან შესაწირი აკლდეთ, აკლდეთ აქედან ხელის წყობა და მათი სული წუხდეს და გასაჭირში იმყოფებოდეს უგუნურ და მიუხვდომელ, ამქვეყნად დარჩენილ მათ პატრონთა გამოისობით.*

ბევრი ვერავინ გაახარა სპიდონამ ჩამოტანილი ამბით; უმეტესობა გულდაწყვეტილი გაბრუნდა, რადგან სპიდონას თქმით, მოკლე ხანს იქ მყოფობაში ბევრი ვერავინ ენახა და ვინც ნახა, მასთან ლაპარაკი არ დასცალდა.

— წლის ვადით გამომაბრუნეს!.. ისევ უნდა დავბრუნდე... რასაც დამაბარებთ, რომ მივალ, გადავცემ! — ერთნაირად პირდებოდა იგი ამ მოტირალ, შავებით მოსილ დედაკაცებს.

ესენი მადლობას სწირავდნენ და დაიმედებულნი მიდიოდნენ, მაგრამ მიქელას კი თითო გამეორება სპიდონასი მის საიქიოს უკან გაბრუნებაზე ლახვარივით გულში ხვდებოდა და მწუხარებას უორკეცებდა. სწორედ ამ დროს სურვილი შორს მყოფი ნესტორას ნახვისა უფრო უცხო

დასედა ყურეში* ქვეშაგებთან მიწოლილ, სახეჩაყვითლებულ სპიდონას, გამოიტანა თავისი დაძველებული ჩოხა, შეიკონა* თავი ყაბალახით, აიღო საბიჯე გრძელი ჯოხი, გადიარა ჩამოვარდნილი წკნელის ჭიშკრის გადაღმა და დაეშვა შარაგზით.

— მაია!.. მივდივარ მე... ბავშვი უნდა ვნახო! — უთხრა მიქელამ რძალს, როცა ყანაში ჩაუარა.

მცხუნავ მზის სხივების ქვეშ გულგაღეღილმა, თავსაფრის ყურებგახსნილმა, ოფლში გაწურულმა მაიამ თოხი შეაჩერა და მამამთილს თვალი მიაპყრო.

— ბავშვთან მივალ! — გაიმეორა მიქელამ.

— რა ამბავია ეს!.. — წარმოსთქვა შიშისაგან აყვანილმა ქალმა.

— არაფერი... არა!... ისე... მინდა ვნახო!..

მაია უფრო მიაჩერდა მოხუცებულს.

— ნუ მიმალავთ!.. — მოკლედ წამოიძახა მაიამ.

— მომენატრა, შე ქალო!.. მომესურვილა ნახვა... ნესტორა ნუ მომიკვდება... გადვირბენ ერთ წამში და ამ საღამოსვე გადმოვალ ისევ!.. ყანაში ნუ დაიგვიანებ!.. საღლში იმ ბიჭის მეტი არავინაა!.. ახლავე გადმოვალ ისევ!.. — თქვა ეს მიქელამ და გაუდგა თავის გზას.

მაიამ უკან თვალი გააყოლა.

— ტანისამოსი დაგებერტყათ, ბატონო!.. არაფერი გაგყვეთ! — ძიაძახა ქალმა.

— კი, კი!.. გავიბერტყავ!.. გავიბერტყავ! — მიუგო მიქელამ, აჩქარებულის ფეხით მიმავალმა.

მოხუცებული, შვილიშვილის ნახვის სურვილით გატაცებული, თითქმის მირბოდა ამ სიცხე-პაპანაქებაში და არავითარ დაღალულობას არა გრძნობდა. მისი აზრი და გონება ბიძართული იყო იმ პატარა არსებაზე. იგი მასზე ფიქრობდა და, რაც წინ იწეოდა, ნესტორაც თითქო უახლოვდებოდა, ეგებებოდა, და ერთ ხანზე მოხუცებული კიდევ თავის გვერდით გრძნობდა მას, ემუსაიფებოდა, ეალერსებოდა და თავისებურად უცინოდა. მიქელას უხაროდა ეს, მოხუცებული ხარობდა ბავშვის ტიტინით, რომელიც მას ესმოღა, და, გამხნევებული, თითქმის მირბოდა წინ მომღიმარი სახით, სანამ რაღაც ხმა-

ურობამ იგი არ გამოაფხიზლა, გონს არ მოიყვანა. მიქელამ მიიხედ-მოიხედა იქით-აქეთ გაოცებით და რა ვერ დაინახა ეს-ეს იყო მასთან მოტიტინე ნესტორა, შეკრთა და შეშინებულმა პირჯვარი გადაისახა* ცუდ ნიშნად მიიღო ეს ამბავი მოხუცებულმა — გულჩაწყვეტილი შეჩერდა, გააფურთხა მარჯვნით და მარცხნით, ისევ გადაისახა პირჯვარი და განაგრძო გზა.

მძახლის ჭიშკართან მისულ მიქელას გაახსენდა რძლის დანაბარები — ტანისამოსის დაბერტყვა. შეჩერდა, გაიხადა ჩოხა, მოიხსნა ყაბალახი, გაიხადა ქალამნები, გაბერტყა ესენი, ჩაიცვა ხელახლა და მხოლოდ მაშინ შედგა ფეხი მოყვრის ეზოში.

რამდენიმე თითქმის ტიტველა ბავშვი, ტალახში ჩამდგარ გვერდზე გადაწეულ სალორესთან, გარს შემოხვეოდა წელში აბზუკულ,* გამხდარ ღორს, რომელიც მათ ხითხითში საცოდავად ჭყვიროდა მოგრეხილი დაშენილი წკეპლების ქვეშ. დაინახეს უცხო კაცი თუ არა ბავშვებმა, იმწამს დააგდეს წკეპლები და შიშველა ფეხების ტკაცუნით დაეშვნენ სახლისკენ. გადავარდნენ დაბალ ღობეს გადაღმა და სახლს ამოფარებულებმა დაუწყეს მზერა მოსულს.

მიქელამ ამათში შეამჩნია პატარა ნესტორა, რომელმაც, ალბათ, ვერ იცნო თავისი ბაბუა.

ბავშვების ხმაურობაზე ჯერ წყრომის ხმა მოისმა სახლიდან, მერმე კი კარებში გამოჩნდა მოხუცებული დედაკაცი, რომელმაც თავდაპირველში ვერ გაარჩია მომსვლელში თავისი მძახალი, სანამ დაკვირვებით არ მიაპყრო მას თავისი სუსტი თვალები.

— ღმერთო, მომკალი! — წამოიძახა მან და გამოემართა მიქელასაკენ. — ვეღარ ვიხედები მე უბედური!.. მობრძანდით, ჩემო ბატონო! მობრძანდით, თქვენი ჭირიმე!

დედაკაცი შეუძღვა მოხუცებულს სახლში. მიქელა ჩამოჯდა მოწოდებულ დაბალ სამფეხა სკამზე.

— ბავშვის ნახვა მომენატრა... ტუფია ჩემო!.. — ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ თქვა მიქელამ და მძიმედ ამოიხვნეშა.

— კენჭივითაა, ენაცვალა მას ბებიამისი... კენჭივითაა!.. ერთობ მაგარი ბავშვია!.. ტყვილა ფჩხილი არ წამოსტკივებია,

რაი აქ არი!* ნესტორა, ბებია! — გასძახა კარებიდან ტუფიამ ეზოში, საიდანაც ბავშვების ხმა მოისმოდა. — ნესტორა, მოდი აქ, შვილო! აქ მოდი, შენ გენაცვალე! შემოდი, ბიჭო, შემოდი! — ტუფიამ თითქმის შემოათრია კისერმოქცეული, დაგრეხილი დარცხვენილობისაგან, თავჩაქინდრული ბავშვი — მიდი, შვილო, ბაბუასთან!.. გასწორდი, შენ გენაცვალე! — და დედაკაცმა ძალით მიუთრია ბავშვი მიქელას.

ამან მოხვია შვილიშვილს ათრთოლებული ხელები, მიიწოდა,* ჩაიკრა გულში და ჩააშტერა აცრემლებული თვალები.

— რავა ხარ? ბიჭო? ა?.. შენ იცი! — სიტყვებგანცალკევებით წაულაპარაკა მიქელამ და ისევ ჩაჩუმდა. — ვწყდებით, ტუფია ჩემო! ვწყდებით! — თუ ამანაც... მიმტყუნა... ამოვწყდებით...

მოხუცებულმა სიტყვის დათავება ვერ შეიძლო, ხელახლა ჩაჩუმდა.

— უიმე!.. რატომ ნებულობთ... მტერი ამოგიწყდათ!.. — მიაძახა ტუფიამ. — ღმერთს ნუ აწყენინებთ!..

— ბა, რაა ჩემს თავზე!

— ყველა ღვთის განგების* ქვეშ ვართ, ჩემო ბატონო!.. ვინ მიუხვდება მის განკარგულებას, მის სიბრძნე-სიმართლეს!.. მოთმენა გვჭირია და მორჩილად ყოფნა, ჩემო ბატონო!

— ვითმინე... რა გამოვიდა!.. ეს მყავს კიდევ... თუ ამანაც მიღალატა... მირჩიეთ რამე!.. ბიჭო, ნესტორა... ოჯახი არ გამაცივო, ბაბუა! ა?

ცრემლებმორეულნა მიქელამ შაგრა ჩაიხუტა გულში ბავშვი; ეს კი ყოველ ღონეს ხმარობდა თავი გაეხთავისუფლებინა. რამენაირად და ხელიდან დასძრომოდა მოხუცებულს.

მიქელაც მიუხვდა, რაც სწადდა ბავშვს.

— წადი, შვილო... ითამაშე, ბაბუ! — უთხრა მან, გაუშვა იგი და სიამოვნებით გააყოლა თვალი, როცა განთავისუფლებულმა ბავშვმა მარდად დაჰკრა ფეხი მიწას, გადახტა და შეუერთდა მის მოდარაჯე* ამხანაგებს, რომელნიც ახლა ერიამულით გარს შემოეხვევნენ მას და გაიტაცეს ეზოში.

— ჯვარი სწერია ავი თვალისაგან*... და ერთობ მაგარი ბავშვია! საიმედო ბავშვია! — თქვა ტუფიამ და მოჰყვა დაწვრი-

ლებით, თუ როგორ თამაშობდა ნესტორა მეზობლის ბავშვებთან, როგორ ერთობოდა, როგორ ატარებდა ღღეს დილიდან საღამოამდის ხან სირბილში, ხან ჭიდაობაში, ხან მუშაობაშიც კი.

ამ ამბებმა და თვით ბავშვის ნახვამ მიქელას გული დაუშოშმინეს, დაუწყნარეს, დაუმშვიდეს. იგი უკან გამომგზავრებას ეპირებოდა, როცა სამუშაოდან დაბრუნებულმა მძახალშაც* მოუსწრო. მიქალა საიქიოდან დაბრუნებულ სპიდონას ამბავში იყო.

— გამოცდილი კაცი ხარ თავად, მიქელა ჩემო, მაგრამ ერთ რამეს გეტყვი! — უთხრა გაბრიელმა. — ტყვილა მიატოვე შენი წინანდელი ნამოსახლარი... კარგად იყავით იქ!.. ამ ახალ სამოსახლოზე ბევრი უბედურება გეიარე... შეიძლება სახლის გადატანაზედაც რამე მავნებლობა შეგეპარაო და დაბუდებული იყვეს შიგ... სახლის გაწმენდა გაგანთავისუფლებს... შენს ადგილზე სახლს გადავდგამდი, თუ არა გავწმენდდი მაინც... დავარღვევდი და ისე გავწმენდდი!.. უსათუოდ სახლში შეგყვებოდათ, რო გადადიოდით იმ ახალ სამოსახლოზე, რამე მავნეული... აბა რა, კუდიანი თქვენს გვარშიაც არავინ ყოფილა და ბოროტი სული... საიდანაა ამდენი ცოდვა* თქვენს თავსე?!

— კუდიანი ვინ გვყოლია!.. დაწყეველილი!.. არავინ! — წაილაპარაკა მიქელამ.

— ეგერ ჩემს სახლიკაცსაც* თედორეს ასე შენსავით ემართებოდა — მოინაცვლა სამოსახლო, გაწმინდა, გაასუფთავა სახლი — ახლა ქე არის კარგად...

— მესამე წელიწადია არავინ მოკვდომია! — დაატირა ტუფიამ.

მიქელამ ამოიოხრა.

— მეც ასე უნდა ვქნა! — წაილაპარაკა მან. — ჭკუაზე აღარ ვარ... ვეღარ მოვისაზრე!.. ასე უნდა ვქნა უსათუოდ!..

რაღაც იმედმოცემული დაბრუნდა მიქელა შინ.

— მაია, სახლი უნდა გავწმინდო და გადავდგა ძველ ნამოსახლარზე! — უთხრა მიქელამ რძალს, როცა ნესტორას ამბავი მოუთავა. — თქვენებმაც ასე მირჩიეს!

— თქვენი ნებაა, — მიუგო მაიამ. მას თავადაც უნდოდა

ამნაირი რჩევა მიეცა მამამთილისათვის, მაგრამ ვერ უბედავდა, ეშინოდა, მოხუცებულს არ სწყენოდა.

— კი, მარა... სანამ ეს ერთი წელიწადი არ გეივლის, რაცა მოხერხდება?

— ახლავე უნდა შევუდგე!.. ერთი წელიწადი რას ვუყურო! — წამოიძახა მიქელამ.

— სპიდონას რას უშვები!

— სპიდონას კარავში შევიყვან!.. კარავს გოვუკეთებ და გევიყვან შიგ!..

— სახლის გამწმენდი დაგვჭირდება, ბატონო!.. მეზობლები ახლაც არ გვეკარებიან... გასაწმენდად ვინ გამოიმეტებს თავს...

— ვიცი მე იმისთანა კაცი!.. ხვალვე გადავალ. საჩხერეში ყოფილა ჟამს* გამოვლილი ალექსი ბოჭორიძე, იმას გავაწმენდინებ!.. ეს გათავებული საქმეა! — წამოიძახა მიქელამ.

— კაი დაგემართოსთ! — დაატანა სიტყვა მაიამ.

მიქელამ მეორე დღესვე მოიარა საჩხერე, ინახულა ნანიშნი* კაცი და დაუსვენებლივ გასწია მთაში ურმით წნელის ჩამოსატანად კარვისათვის. საღამომდის ორჯერ მოიარა მიქელამ შორი მთა, ზიდა შემდეგი დღის განმავლობაშიაც და, როცა საკმაო წნელი ჩამოზიდა, შეუდგა კარვის კეთებას ღობესთან, ეზოს ყურეში. მოწნა პატარა კარავი, ზევიდან ჭოგრები* დაუდვა, ზედ ნეშოიანი* შტოები გადახლართა სახურავად, შეიტანა შიგ ორი მოკლე ფიცარი, რომელზედაც უნდა დაეწვინა სპიდონა და, რა მოაწყო მის გუნებაში* აქაურობა, შვილიშვილთან მივიდა.

— სპიდონა!.. შენ კარავში უნდა გახვიდე! — რაღაც განსხვავებულის კილოთი, გულცივად მიმართა მან ყმაწვილს. — სახლი უნდა გავწმინდო!

სპიდონამ გაოცებით მიაპყრო თავისი ჩავარდნილი თვალები მოხუცებულს.

— კარავში?!. — წაილაპარაკა მან.

— ჰო!.. ეგერ გაგიკეთე!.. ადექი!.. ადექი!.. — ისევ გულცივად ჩასძახა მიქელამ.

ავადმყოფმა წამოიწია, მოაფოთიარა გვერდით გდებული ჯოხი, წამოდგა მასზე დაწდობილი და გაჩერდა წელში მოხ-

ნელი. მიქელამ შეხვია მისი ქვეშაგებელი, ამოიდო იღლიაში და გასწია კარებისაკენ.

— გამომყევი! — უთხრა მან.

სპიდონა იდგა ისევ იმავ ადგილას; მერე უღონოდ მიატრიალ-მოატრიალა თავის გაწვრილებულ კისერზე თავი, სევდიანი თვალი შემოავლო იქაურობას და დასუსტებულის ნაბიჯით გაჰყვა ბაბუამისს; როგორც იქნა, გადიარა ეზო და მივიდა კარავთან.

მიქელამ შეიტანა კარავში ქვეშაგებელი, გაშალა გდებულ ფიცრებზე იგი და მიმართა კარავის შესასვლელზე მიყუდებულ სპიდონას:

— აჰა!.. დაწევი ამაზე!.. წყალი აგერ იქნება დოქში!.. თუ რამე დაგჭირდეს — დამიძახე და მოვალ!.. გეამის?!..

ბიჭი ხმას არ იღებდა. როცა მიქელამ მიატოვა იგი, შეფორთხიალდა იგი შიგნით კარავში და მუხლებმოკვეთილივით მოიკეცა თავის ახალ საწოლზე, სახემწუხარემ, დაღონებულმა. თავად იცოდა, რომ აღარ იყო ამა სოფლისა, მაგრამ მაინც გული ეჩაგრებოდა, რომ ეკვე ხელს იღებდნენ მასზე, რომ ოჯახიდან რიცხავდნენ. დაწვა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ წამოიწია, — სული ეუნუხდა. წამოდგა, გამოვიდა გარეთ და კარვის შესასვლელთან ჩაკეცილი, ზურგით მიენდო კარავს. ასე იყო სპიდონა საღამომდის, როცა მიქელამ ვახშმად ცოტა ლობიო და მჭადის ნატეხი მოუტანა, ორიოდე ლუკმა გადაყლაპა და, რადგან ის იყო კიდეც ჩამოღამდა — შევიდა ისევ კარავში, დაწვა ფიცრებზე და დიდი ხნის ტრიალის შემდეგ, როგორც იქნა, გაეხვია თავიან-ფეხებიანად თავის თხელ საბანში.

მიქელა ახლა ერთ მოუსვენრობაში იყო. იგი გამოცოცხლდა, გამხნევდა, მოღონიერდა, გაჭარმაგდა იმედმოცემული, რომ ამოწყვეტისაგან ოჯახის ხანა შესაძლებელი ხდებოდა. მან კიდევ ჩამოიტანა რამდენიმე ურემი წნელი და სახლს იქით ამართა მაღალი რაგვი...*

რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ეამს გამოვლილი ალექსი, სახე ნაყვავილევი, ცალთვალწამბდარი კაცი.

— მზათა მაქვს. რაც მითხარი, ალექსი! — უთხრა მიქელამ.

ალექსიმ დაათვალიერა სახლი, გარშემო შემოუარა, გაზომა გაკეთებული რაგვის სიმაღლე და ერთი კარავისკენაც გაიხედა.

— მომხმარე დამჭირდება მიქელა!

— მე მოგეხმარები! — წამოიძახა მიქელამ.

— ჰმ!.. შენ რავა შეიძლებ! — ჩაიცინა ალექსიმ. — ამ ძელების გადაზიდვა სად შეგიძლია, შე კაცო!

— კი შევიძლებ!.. რავა ვერ შევიძლებ!.. — გამხნევებულად წამოიძახა მოხუცებულმა: — შენ ოღონდ კარგად გამიწმინდე, არაფერი ჩარჩეს შიგ და ჩემი თავი ნუ გებრალება ამათ გადასაზიდავად! — გულიანად დაატანა მიქელამ.

— შენ იცი!.. სახლს კი ისე გაგიწმენდ, რაღა გითხრა!.. ხიდან ამოვფხეკ, რაც რომ გინდ შიგ იყვეს... არაფერს არ დავერიდები!.. ათას ჭირში ვარ გამოვლილი... არაფრის არ მეშინია! — დაჩემებით* წარმოსთქვა ალექსიმ. — აბა, რაკი მზად გაქვს ყორიფელი, ხვალ მოვალ და შეუდგეთ საქმეს... წყალი დაგვჭირდება ბევრი სამდუღრავად!.. ახლოს თუა?

— ახლოს არაა, მარა მე მოვიტან!.. ყორიფელი იქნება, ხელს არ შეგიშლი. შენ ოღონდ მიშველე!.. ნუღა გამიჩერებ საქმეს!

სპიდონას რომ დილას კარავში გამოეღვიძა, მან იმწამსვე იგრძნო რაღაც ხრაკის* სუნი; თვით კარავშიც რაღაც შავი ბოლივით იდგა. წამოღგა, მიეიდა გამოსავალთან და სახლისკენ გამოიხედა. ისლის სახურავგადახდილი სახლი შავ ბურუსში იყო გახვეული, შავად მოჩანდა ზედ მდგარი კაცი, რომელიც ძირს ყრიდა შავ ისლს, რომლისაგან მთელ ეზოში და ეზოს გადაღმაც ეფინებოდა დიდრონი ნაკი ჭვარტლის ნაფლეთები. მთელი იქაურობა გამურული იყო ამ შერყეული* ჭვარტლით, რომელიც უფრო გაძლიერდა, როცა ალექსი შეუდგა გადასაკიდლების აყრას. ივი რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ მიქელას არა ესმოდა რა, ისე იყო გართული მუშაობაში, როცა აწყობდა ერთ ადგილას სახლის ხეებს. დღენახევარი მოუნდა ორივე სახლის საძირკველებამდის სრულიად დარღვევას. როცა აფორაქებული ჭვარტლი ჩადგა, მომუშავეთ დაიბერტყეს, რაც გაეწყობოდათ. ტანსაცმელი და ალექსი შეუდგა ძელების წმენდას. ღარიანი შეზოიბისაგან

კაკუნაანული ცოცხით იგი სწვენდა საბრალოდ ძელს, ფხეკდა დანით, შემდეგ გადაჰქონდა რაგვს იქით, სადაც დიდ ქვაბში აცხელებდნენ წყალს, მდუღრავდა მდუღარით ამ ძელს, რის შემდეგაც მიქელა შეიგდებდა მას ზურგზე და მიაჩიქჩიქებდა* თავის ძველ ნამოსახლზე. წელში იზნიქებოდა მიქელა ამ მძიმე ტვირთის ქვეშ, მაგრამ მოხუცებული არაფრად იმჩნევდა ამას. ალექსის უნებურად ეცინებოდა მის შემხედვარეს და ერთხელ კიდევაც უთხრა ღიმილით:

— წელში გაგწყვეტს, მიქელა, შენ რომელიმე ძელი!.. ნამეტანს ეჭიდები!..

— შენ მაგ გამიწმინდე, მაგ!.. და ეს მე ვიცი! — მიუგო მიქელამ და თავდაუზოგველად განაგრძობდა, ოფლით გაღვარული, სახლის გაწმენდილი ხეების გადაზიდვას.

ამ მუშაობამ თითქმის სრულიად მიავიწყებინა მიქელას კარავში გაყვანილი შვილიშვილი. თანდათან უკლებდა მიხედვას, თვალყურის დევნას; ხშირად მშიერსაც სტოვებდა. თავდაპირველად სპიდონა ითმენდა ასეთ უპატრონობას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მეტად უჭირდა ხოლმე; იმდენად უსაჭმელობა არ აწუხებდა, რამდენადაც უსმელ-უწყლობა. ერთ დღეს მიქელამ სრულიად უწყლოდ დატოვა იგი. ბევრი უძახა კარვის კართან გაჩერებულმა სპიდონამ ბაბუამისს, მაგრამ თავისი სუსტი, ძლივს გასაგონი ხმა ვერ მიაწვდინა მოხუცებულის ყურებამდის. წყურვილისაგან მეტად შეწუხებულმა, აიღო თუნგული ხელში და ჯოხის ბიჯგებით წამოვიდა თავისი სუსტი ნაბიჯით რაგვისკენ, რომლის იქიდან მოისმოდა ალექსისა და მიქელას ხმა.

— ბაბუა! — დაუძახა სპიდონამ, რაგვს რომ მიადგა. — ბაბუა! — გაიმეორა მან.

მიქელამ, რომელსაც ის იყო მხარზე გაუწყო ალექსიმ კედლის ძელი, მოიხედა და დაინახა სპიდონა, დააგდო უცებ მიწაზე ხე და გაჯავრებით გამოექანა შვილიშვილისაკენ.

— რა გინდა შენ აქ?! — მიაძახა მას, — რა გინდა აქ?! წადი...

— წყალი აღარ მაქვს!.. — და სპიდონამ გამოაწოდა თუნგული.

— დიდიძახებდი და მე მოგიტანდი!

— ვიძახე!.. მაგრამ ვერ გაგაგონე!

— ვერ გაგაგონე!.. მოვითმენდი ერთ წამს!.. აქ რა გინდოდა! წადი... წადი!.. წადი შენთვის... მოგიტან ახლავე!.. — მან გამოგლიჯა თუნგული ხელიდან და ბუტბუტით წავიდა წყლის მოსატანად.

სპიდონა მორჩილად გაბრუნდა და წაფორთხდა თავის კარვისკენ ბანცალით.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ალექსიმ მოათავა სახლის გაწმენდა და მისი აწყობა მიქელას ნამოსახლზე. მოხუცებულმა თავისუფლად ამოისუნთქა მძიმე მუშაობის შემდეგ, მაგრამ სპიდონას ამით არა თუ მომატებია მისგან მზრუნველობა, ბერმა კაცმა უცნაური საქციელი დაიჭირა ფარღალალა კარავში მარტოდ დარჩენილ ყმაწვილთან. რაი გადადგმულ სახლში შევიდა მიქელა, მან რიდება* დაუწყო სპიდონას, ახლოს აღარ ეკარებოდა შვილიშვილს. საჭმელს რომ მიუტანდა, გადასაცემად მან გაიკეთა გრძელი ჯოხი, წამოაგებდა ზედ მჭადს, პაწია ქოთანს, რომელშიაც გადუსხამდა სხვა ქოთნით მოტანილ ლობიოს და ისე მიაწოდებდა ხოლმე; წყლის თუნგულასაც წამოაგებდა ხელით ამ ჯოხზე, ჩაუსხამდა მოტანილ წყალს შიგ და ისე გაუწვდენდა; ჯოხი ცალკე ინახებოდა ხეზე იმავე ეზოში.

თავდაპირველში ძლიერ ეოცა ყმაწვილს ასეთი საქციელი ბაბუასი, გული ეჩაგრებოდა — თითქო იგი ჭირიანი ყოფილიყო; მაგრამ მერე ამასაც მოურიგდა;* იგი მიხვდა, რომ მიქელას ეშინოდა, მისგან რამე არ გაჰყოლოდა და გაწმენდილ სახლში ცუდი რამე არ შეეტანა, და მან კიდეც გაამართლა თავის გუნებაში მოხუცი, რომელიც ასეთი შეუბრალებლობის გზას დაადგა, რომ ოჯახი ამოწყვეტისაგან ეხსნა. ყველაფერს ითმენდა სპიდონა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ წლის თავზე საიქიოს გაბრუნდებოდა, ითმენდა ყველაფერს და თან დღითი დღე დნებოდა, ქრებოდა. იგი ზეზე ზდგარ მკვდარს უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე ცოცხალს. მიქელაც ამჩნევდა ამას, მაგრამ არას წუხდა, რადგან იცოდა, ბიჭი წლის გასულს უსათუოდ საიქიოს გასაბრუნებელი იყო და ვერას უშველიდა, მისი ფიქრით.

შემოდგომა განახევრებული იყო. წვიმებმაც მოუხშირა

და სიცივეც თანდათან მატულობდა. წნელის კარავში ყოფნა მეტად ავი გასაძლისი* ხდებოდა. წვიმიანში წყალი ზევიდან თავისუფლად ჩამოდიოდა და სპიდონა ეგდო ფიცრებზე თავფეხებიანად გახვეული სველ საბანში. ღამღამობით სიცივე უმოწყალოდ უვლიდა მარტოდ კანგადაკრულ ძვლებამდის; საწყალი იკრუსჩხებოდა, იგრიხებოდა, იშმუშნებოდა სახურავის* ქვეშ, მაგრამ გათბობას მაინც ვერ ეღირსებოდა, ერთხელ მიქელამ ფიჩხი შემოუყარა, ნაგუზალიც შეუგდო, რომ ცეცხლი დაენთო, მაგრამ სპიდონამ, რამდენი არ ეწვალა, ვერ მოახერხა ცეცხლის გაღვივება, მოხუცებული კი ახლოს არ ეკარებოდა.

ავადმყოფი ძიგძიგებდა კარავში და სანდახან ცდილობდა გამოეანგარიშებინა, თუ რამდენი დრო ურჩებოდა კიდევ საიქიოს გაბრუნების ვადის მოსვლამდის.

უაშინდოდა მატულობდა. წვიმიანმა დღეებმა მოუხშირეს. წვიმაც უფრო და უფრო ღონიერი მოდიოდა. მთიან ადგილებში ამ დროს ჩვეული ნიაღვრები თანდათან მეტი ძლიერებით ჩამოდიოდა ქვევითკენ და შემატებულის ღონით ხვეტავდა წინ მდებარე ქვებს, ღობეებს, მიწას და მიაგორებდა დაბლისკენ ერთი შხუილითა და ხმაურობით.

ერთ საღამოს ნამეტანი ჩამოიღრუბლა და ერთბაშად მძლავრმა წვიმამაც დაუშვა. მაია ვახშმისათვის მჭადებს აცხობდა.

— ძალიან წვიმა მოვა ამაღამ, ეტყობა! — თქვა მან შეწუხებულის ხმით. — სპიდონას კარავში რა გააძლებინებს!..

— რა ვუყო ახლა მე!.. — წაილაპარაკა ცეცხლის პირას მჯდომმა მიქელამ. — ეგებ გადიკაროს!* — ცოტა ხნის შემდეგ დაატანა მან. — სუ რავა გოუწყრება ღმერთი... სულ წვიმა რავა იქნება!..

წვიმა კი მატულობდა, თორემ არ კლებულობდა. გარედან საშინელი ხმა ისმოდა წყლისა.

— მიქელა!.. მიქელა! — დაიძახა ვიღაცამ გარედან.

— ვინა ხარ? ეი! — მიაძახა მიქელამ წამოუდგომელად.

— მიქელა!.. ანთიმოზა ვარ, ანთიმოზა!.. იმ თქვენ კარავთან ჩამოვიარე, ეს არის და წყალი მოდის ზევიდან... ნამეტანი

დიდი წყალი აწვება გზის ნაპირს, კარვისკენ არ გადახეთქოს... მიეშველე რაცხა რიგათ!..*

ხმა შეწყდა. მიქელა გაუნძრევლად იდგა კარებთან.

— რა ვუყო ახლა მე! — წაილაპარაკა მან.

— გოუკეთეთ წყალს სავალი... მართლა არ გადვიდეს კარვისკენ! — უთხრა მორიდებით რძალმა.

— გოუკეთე!.. ქე გოვუკეთე ამას წინათ! — წაიბუტბუტა მიქელამ. მერე ამოიკაპიწა შარვლის ბოლოები, წამოიხურა თავზე ცალი ყურით ტომარა, ზედ ძველი ჩოხა, მონახა თოხი და გავიდა სახლიდან.

წვიმა საოცრად ასხამდა. ატეხილი ნიაღვრები ერთი შხუილით მიექანებოდნენ ყოველი მხრიდან. გზებში მთელი მდინარეები მოქუხავდნენ. მიქელა ძლივს იმაგრებდა ფეხს, ისე ღონივრად სცემდა მას წყალი. კარავთან, ღობის დაყოლება, თავშეყრილ ნიაღვრებს წყალსავალი გაეთხარა და ხმაურობით მომდინარეს მოეყარა ქვა, ფიჩხი, მიწის ნაგლეჯები, წაქცეული ღობის სარები და გიჟურად ეხეთქებოდა და ძალას ატანდა, რომ რამერიგად წინ გაეგორებინა ისინი და თავისუფალი გზა ეშოვნა ქვევითკენ დასაშვებად. მიქელა მიხვდა, როგორც იქნა, ბნელაში მიაგნო ამოყორებულ* ადგილს და თოხით დაუწყო ქვებს აქეთ-იქით მიყრა-მოყრა; დაგუბებული წყალი გიჟურად გაექანა ქვევით და აახრიალა თან წაღებული წვრილი ქვები.

მიქელა მივიდა ღობესთან და, რაც ხმა ჰქონდა, აქედან გასძახა:

— ბიჭო!.. სპიდონა!.. არ შეგეშინდეს, ბიჭო... არ შეგეშინდეს!.. მალე გადიკარებს... არ შეგეშინდეს, ბიჭო!..

კარვიდან არაფერი ისმოდა. სპიდონა, საბანში გახვეული, მორგვივით იდგა ფიცრებზე და ზევიდან უმოწყალოდ ესხმებოდა სახურავიდან ჩამომავალი წვიმა. მას არც კი შეეძლო გაეგონა მიქელას დაძახილი.

დასველებული მოხუცებული, სიცივისაგან მოკაკული, სახლისკენ გაემართა. შინ მისული ცეცხლს მიეცხუნა, რომ გამთბარიყო და თან სველი, გაწუწული ტანისამოსიც შეეშრო.

წვიმა უფრო ღონიერდებოდა; თითქო წარღვნას ეპირე-

ბოდა, ისეთი სხმა* იყო. შემკრთალი მაია ვახშამსაც არ მიჰ-კარებია, პირჯვარს იწერდა და თან ამბობდა:

— ღმერთო, შეგვიწყალე!.. ღმერთო, შეგვიწყალე!.. ღმერ-თო, ნუ შეგვრისხავ!..

— ბატონო, იმ ბოვშს დახედვა უნდა კიდევ... არაფერი ცოდვა დაგვედვას! — ვეღარ მოუთმინა მაიას გულმა და უთხრა მამამთილს.

— რა ცოდვა უნდა დაგვედვას?! ამ ღამის წერა ყოფილა, თუ რამ მოუვიდა და ისაა! — უკმაყოფილოდ წაიბუტბუტა მოხუცებულმა.

— წავალ მე... მე დავხედავ! — გადაწყვეტით თქვა მაიამ.

— შენ სად წახვალ?! — წამოიძახა მიქელამ. — მაცალე ერთი, თუ ღმერთი გწამს! — და ცოტა ხნის შემდეგ მიქელამ ჩამოიცო თავზე სველი ტომარა და ჩოხა და გასწია კარვისკენ.

აქ, ამ თავდაღმართში, თითქმის კარვის სწორა, უშველე-ბელი კედელი აღმართულიყო ჩამოგორებული ქვებისაგან და ჩამოტანილი მიწისაგან. ბევრს ეწვალა მიქელა თოხით იმის გარღვევას და იქით-აქეთ გადაყარა-გადმოყარა, მაგრამ ბერმა კაცმა ვერა გააწყო რა, ზევიდან ქვები თანდათან ემა-ტებოდა და უფრო ამაგრებდა ამართულ წყლის საკავს, რო-მელსაც გამძვინვარებით ეხეთქებოდა წყალი და გაგიჟებით სცემდა, რომ რამერიგად გაერღვია იგი და თავისუფლად სა-ვალი გზა ეშოვნა. დაგუბებული წყალი ირეოდა, ბობოქრობ-და და თან იბერებოდა გულმოსული. გარშემო ისმოდა მხო-ლოდ წვიმის თხლეშა, ზევიდან წყალთან მომგორავი ქვების ხმა და ჩამოხეთქილი წყლის ბრძოლა მისგანვე ამართულ ყო-რესთან.

მოღალულმა, მოქანცულმა მიქელამ რომ ვერა გააწყო რა თავისი მეცადინეობით* და წყალს სავალი ვერ მისცა, მია-ნება თავი ყორეს, მივიდა ისევ ღობესთან და გადიძახა კი-დევ:

— სპიდონა!.. ეი, ბიჭო!.. სპიდონა! არ შეგეშინდეს, ბი-ჭო!.. ახლავე მოვალ კიდევ... ახლავე, ბიჭო-ო! — გადიძახა, და თოხით მხარზე წათხლაშუნდა სახლისკენ.

წყალი კი ისე მოქროდა ზევიდან, მოთხლიშინებდა და გაგიჟებით სცემდა ყორეს, გადარევით ასკდებოდა; ზევ

ეხეთქებოდა. გულმოსულმა რომ ვერა დააკლო რა მას, ვერ გაარღვია, ვერ მოერია თავისგანვე ამართულ მოწინააღმდეგეს — ერთი იღრიალა უეცრად და ამოდენა წყალი ვაებითა და შხუილით გადაეშვა ღობისკენ. ეძგერა მას საოცარი ძალით, ჩაამტვრია იგი და მიებდღვნა კარავს; მოისმა მხოლოდ ლაწალუწი და წყლის ჩხრიალი ქვევითკენ.

კარგა გათენებული არ იყო კიდევ, მიქელა რომ მივიდა კარვის დასახედავად. კარავი აღარსად იყო; აქა-იქ ეყარა კარვის ბორჯგები,* არეული ღობის ნამტვრევებთან. ქვის კედელი ამაყად იდგა; შემწყდარი წვიმის წყალი უღონოდ ეცემოდა მას და გატეხილი ღობისკენ მოიწრიტებოდა. მოხუცებულმა შვილიშვილს დაუწყო ძებნა. სადაც კარავი იყო, იმის ქვევით რაღაც შავად დარგვალებულს მოჰკრა თვალი მიქელამ. მივიდა. ეს საბანი იყო სპიდონასი, რომელსაც მხოლოდ თავი შერჩენოდა შიგ.

— ბიჭო!.. სპიდონა!.. სპიდონა!.. ბაბუა! — ჩასძახა მიქელამ.

ხმას არავინ იღებდა.

— სპიდონა... ბაბუა!.. გესმის!.. — აკანკალებული ხმით ჩასძახა უფრო ხმამაღლა მოხუცებულმა. მაგრამ სპიდონა ეგდო გაუნძრევლად.

იგი მკვდარი იყო.

პირჯვარი გადისახა მოხუცებულმა და კარგა ხანს ადგა თავს მიცვალებულს ხმაგაკმენდილი. მერე გადააფარა სველი საბანი მკვდარს და აჩქარებით გადაიარა ნაეზოვარი.

— ი ბიჭი... სპიდონა... მომკვდარა! — უთხრა მან მაიას და ორი კურცხალი თვალთაგან გადმოუვარდა.

— მომკვდარა?! — გაოცებით შესძახა მაიამ. — წელიწადი რომ არ შესრულებულა?!

— ალბათ შემცდარი იყო... კარგად ვერ გაუგონია, რა ვადა დოუნიშნეს!..

— ღმერთო, ნუ შეგვრისხავ!.. ნუ გვიწყენ! — პირჯვრის წერით გაიძახოდა შიშს მიცემული მაია.

იმავე დღეს მეზობლებმა კუბო შეუკრეს დამსკდარი ფიცრებისაგან და მღვდელსაც შეატყობინეს ბიჭის გარდაცვალების ამბავი. მღვდელი ძლიერ შეუწყრა მიქელას შვი-

ლიშკილის დატანჯვისათვის და ემუქრებოდა პასუხისგებაში �eqas.

— თავათ ამბობდა, რომ ვადით იყო გამობრუნებული, ჩენი ჭირიმე... მაინც ეს დღე მოელოდა ამ მოკლე ხანში... ხელიდან წასული იყო... ამოწყვეტის კარზე ვარ მიყენებული — ერთი ბაღანა დამრჩა, ის უნდა იყვეს ჩემი პატრონიც და სულის მაცხონებელიც... გაუწმენდელ სახლში რავა შემომეყვანა... რა ვიცი, იმასაც რომ შემთხვეოდა რამე!.. ცხრა მთას იქით მყავს გადამალული შიშით, არაფერი გადადებოდა და ისიც არ დამკარგვიყო!.. რა ხანია, თვალით არ დამინახავს!.. შეღით ჩემს მდგომარეობაში!.. — მიუგო პასუხად მიქელამ.

წესის აგების* შემდეგ მოხუცებულმა კუბო ურემზე დაიდო და დიდი წვალებით, მარტოდმარტომ, მიაბარა მიწას სპიდონაც. სასაფლაოდან ჩამობრუნებულმა ნაეზოვარში გადააგდო კუბოს ნადგამი ურმის ზესადგარი, გამოიცვალა ახალუხი და შარვალი, დაბანა ხარები და მხოლოდ მაშინ შევიდა სახლში.

ახლა იგი უფრო მოსვენებულსა ჰგავდა, გულდამშვიდებულს. იჯდა ცეცხლის პირას და სულ თავის პაწია ნესტორაზე ჰქონდა მიმართული აზრი და ფიქრი.

— მაია! — მიმართა მან ერთხელ რძალს. — მაია! — გადმოვიყვანოთ ი ბავში... აწი აღარაფერი უჭირს!.. თვალწინ გვეყოლება.

— მოითმინეთ, ბატონო! — მიუგო მაიამ. — იყოს იქ... ამ ზამთარში ყორიფელი გეიწმინდება, გასუფთავდება... გაზაფხულზე საშიშარი აღარაფერი იქნება, ღვთის მადლით, მაშინ გადმოვიყვანოთ!.. კი, ბატონო, ასე აჯობებს!

მიქელამ ჯერ არაფერი თქვა ამაზე, მერე ღრმად ამოიოხრა და დაატანა დამძიმებული ხმით:

— იყვეს!.. იყვეს!.. ის კარგად მეყოლოს და მე მისი ჭირი წამიღია!... მისი ჭირი წამიღია!.. ჩემი სულის მაცხონებლის... იყვეს! — და მოხუცებულმა ისევ ღრმად ამოიოხრა. — მისი ჭირის სანაცვლო ვიყვე, ჩვენი სულის მაცხონებლის!..

როსტომ მანველიძე

მანველაძეები იმერეთის აზნაურთა გვარს ეკუთვნიან. იმ გარემოებით, რომ არც ერთ მანველიძეთაგანს გარდათქმული* გვარი არ რქმევია, რაც ხშირად იციან იმერეთში მომრავლებულ მოგვარეთა გასარჩევად, დიდად იწონებდნენ თავს და ამ შემთხვევას ისე ხსნიდნენ, თითქო მათთან მორიდებისა და შიშის გამო ვერ უბედავდნენ გვარის გადარქმევას.

თავიანთი გვარის წარჩინებულობაზე სიტყვა მუდამ ენაზე ეკრათ და ამ წარჩინებულობის დასასაბუთებლად მოჰყავდათ ამბავი, ვითომ ერთ მეფეს, რომელს — ბაგრატს, ფარნაოზს თუ ალექსანდრეს — ამას გვარში დაცული ზეპირგადმოცემა გარკვევით არ აღნიშნავდა, ერთი მანველიძეთაგანი კარისკაცად* ჰყოლია. ისე დაწინაურებულა, რომ მეფეს მისთვის სახლთუხუცესობაც* კი უბოძებია. თუმცა მოკლე ხნით შერჩენია ეს სიპატიო თანამდებობა, რადგან ჩვეულებრივი არეულობა მომხდარა, მეფე გადაუგდიათ, მოუკლავთ და ამასთან ერთად დაღუპულა მისი მსახური ისე, რომ მისი სახელიც კი დაკარგულა.

ამ ზღაპრული სახლთუხუცესის შემდეგ მანველიძეთა გვარი მაინცდამაინც არავის უსახელებია, თუ სათვალავში არ მივიღებთ რამოდენიმე ყმაწვილს, რომელთაც მათმა არასაკადრისმა საქციელმა ციმბირში ამოაყოფინა თავი. მაგრამ მანველიძეებს მაინც დიდად მოჰქონდათ თავი, ძვირად* თუ ვისმეს იტოლებდნენ* და სხვა აზნაურებში არჩევდნენ თავიანთ თავს.

რადგან მანველიძეთა დიდება ბენდოვანი წარსულის ამბებზე იყო დამყარებული, იგი დავიწყებასაც ადვილად ეძლეოდა და საჭირო ხდებოდა ხშირ-ხშირად ამ შორეული ამბების გახსენება და ჩაგონება ნამეტურ* იმ ვიგინდარებისათვის,* რომელთაც ამ ბოლო დროს თავი წამოჰყვეს და ტუტუცურად ტუჩს უბზუებდნენ* წარსულისაგან ნაანდერძევ დიდებულებას და დასცინოდნენ ზღაპრულ ამბებზე აშენებულ ამაყობას. ამგვარ ჩაგონებას არა ირთხელ აყალმაყალი გამოუწვევია, ბევრი უსიამოვნება შეუხვედრია მანველი-

ქეთევანის. მაგრამ ესენი მაინც თავისას არ იშლიდნენ და არავითარ შფოთს არ ერიდებოდნენ. ამგვარმა დაურიდებლობამ ამას წინათ, მაგალითად, მხიარული ქორწილი გააუგემურა და კინაღამ სისხლითაც შეღება.

ერთი მანველიძეთაგანი საკმარისად ჩამოქვეითებული თავადის ქალზე იწერდა ჯვარს*. სიძის სახლიკაცმა* სახელ-დახელო შემთხვევად მიიჩნია აეხსნა შეკრებილი საზოგადოებისათვის თუ რა ღირსშესანიშნავი ამბავი ხდებოდა, აეხსნა, რომ დიდებულ სახლთუხუცესის და სხვათა გამოჩენილ მანველიძეთა შთამომავალი ანახლებდა კავშირს მათსავით დიდებულ თავადის ოჯახთან, რომლის წინაშე ერთ დროს თრთოდა მთელი ქვემო მხარე, და ამ განახლებული კავშირით ვითომ საფუძველი ეყრებოდა ქვემო და ზემო მხარეთა აღორძინებას და აყვავებას ამ ორ გვართა გავლენის ქვეშ იმავე დიდებით, როგორც ეს წინათ ყოფილა.

რასაკვირველია, მჭევრმეტყველის განმარტება გაბვიადებული იყო, ახსნა სრულიად უსაჭირო და უმნიშვნელო — მაგივრად ზოგიერთთათვის საოხუნჯო მასალად გამოსადეგი აღმოჩნდა, რამაც გულზვიადი ორატორი ისე გააბრაზა, რომ გულმოსულმა თავი ვეღარ შეიკავა, მთელ საზოგადოებას უშვერი სიტყვებით მიმართა, და, რაც სრულიად საჭირო აღარ იყო, სიტყვას ფურთხი მიაყოლა. შეგინების მაგივრად — ერთი ყვირილი, მიწევ-მოწევა და ჩვეულებრივ ხანჯლებზე ხელის გასმა.

ამგვარი ჩხუბ-დავიდარაბით ცდილობდნენ მანველიძეები თავიანთი გვარის დიდებულებისა და წარჩინებულობის დაცვას. სხვა გზა ვერ გამოენახათ. ცხოვრება კი თავისას შვრებოდა: გვარი შეუბრალებელ კლებაში შეჰყავდა, გადაქაჩულ აზნაურებს უკან-უკან წევდა, დღედადღე გაჭირვებას უმატებდა; ყველას ხასიათი გამოუცვალა, ზოგი ისე გაამწარა, რომ ბზიკს დაამსგავსა, ზოგი ისე გაწყვიტა წელში, რომ ყველაფერზე გული გაუგრილა და თვით დიდებული სახლთუხუცესის ხსენებასაც ავიწყებინებდა.

როსტომ მანველიძე თავის დროზე თავმომწონე მანველიძე იყო. ყმაწვილობისას გული საგმირო საქმეებისათვის ჭეგერდა; სხვებსავით შემთხვევაზე იგიც გამოწყობილა თოფ-

იარაღით, შემჯდარა ცხენზე, ჯარიანობაში* მონაწილეობა მიუღია და ჩხუბსაც დასწრებია, გულადობა და ვაჟკაცობა გამოუჩენია, რისთვისაც იუნკრის* ჩინითაც* ყოფილა დაჯილდოებული. თავის დროზე იუნკრობაც ხარისხი და ჩინი იყო, მრავალთათვის სახარბიელო, სანატრელი და საძებარი, როგორც წარმატებისთვის ერთი საფეხური, მაგრამ ბედმა, ამ საფეხურს როსტომი აღარ გადააშორა. დროთა ვითარებამ კი ხარისხი ისე გაახუნა, რომ დაბოლოს როსტომს საწყენიც დაც ურჩებოდა, თუ ვინმე გაუხსენებდა მის იუნკრობას. თუ რამ შერჩა როსტომს მისი ვაჟკაცობისა და გულადობის მომაგონებლად — ეს იყო წითელკანტჩაყოლებული ლურჯი მარვალი, რომელსაც იგი ატარებდა, როგორც ცხენოსან ჯარში ნამსახური პირი.

ბატონყმობის გაყრიდან* ბედნიერად გამოვიდა როსტომი. რაღაც მისდა იღბლად შერჩა ერთი ნაყმევი, დღეს მასავით მოხუცებული დათია, რომელმაც აღარც თავისუფლება დაეძია, აღარც ცოლი, აღარც შვილი, აღარც საკუთარი ოჯახი და როსტომს შეეკედლა განუშორებლად. თავისნება* კაცი იყო დათია, მაგრამ მისგან ყველაფერი მოსათმენი იყო, რადგან როსტომის ოჯახში იგი მოურავიც* იყო, მზარეულიც, ხაბაზიც, თავიცა და ბოლოც. ძალიან უწყობდა ხელს თავის გუნებაში დათია თავის ნაბატონარს. მეტად მეცადინეობდა,* რომ იგი მანველიძეთა საკადრისი ცხოვრებით ეცხოვრებინა, მაგრამ ყოველივე ამაო ხდებოდა. შემოსწრებული ცხოვრების შეუბრალებელი პირობები თავისას შვრებოდნენ — მანველიძის ოჯახი უკან-უკან მიდიოდა, უკან-უკან მიჩოჩავდა, მუდამ დღე კლებაში იყო.

კეთილშობილება* და მასთან შეკავშირებული სხვადასხვა უფლება უკანასკნელ ხანამდის განუყრელ და განუშორებელ საკუთრებად მიაჩნდა როსტომს. კეთილშობილს, აზნაურს პატივი ედებოდა, საქვეყნო საქმეებში ხმა* ჰქონდა; არჩევნებში — მარშლებისა* იქნებოდა თუ ბანკისა* — მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა და კიდეც სარგებლობდა ამ უფლებით. მართალია, მოლაპარაკე კაცი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მეკენჭე* იყო და მის მიმხრობას ცდილობდნენ და ხშირად „პრაგონი“* სახლში მოსვლია ქუთაისში ჩასასვ-

ლელად. ბევრი პატივისცემა ახსოვს იმათგან, ვისაც მიემხრობოდა როსტომი. გასაოცარი მოსპინძლობით შეგებებიან, დიდად უსიამოვნებია და შინ დაბრუნებულს ბევრი საინტერესო ამბები მოუტანია ხოლმე ქვეყნის გასაბედნიერებლად გარდახდილი ბრძოლის შესახებ.

მავრამ ამ უკანასკნელ ხანებში, ზოგიერთ მყვირალათა წყალობით, ჯერ ბანკში მოესპო* ხმა და გავლენა, შემდეგ. თითქო კეთილშობილება ჩამორთმეოდა, მარშლების არჩევნებშიაც აღარ მიუშვეს და ქუთაისში აღარ იბარებდნენ, რასაც იგი გაფაციცებით უმალავდა დათიას. თავადაზნაურთა მიწაწყალზე შემოღებულმა გადასახადებმა ხომ სულ დაათავა ყოველგვარი დაკლება და ჩამოთლა, ისე რომ, წამოსწრებულმა არეულობამ მხოლოდ ტყუილი შიში გამოაცდევინა, თორემ ჩამოსართმევი, ჩამოსათლელი და ჩამოსაკლები ვეღარაფერი მოუნახა როსტომს.

— გაგვაგლეჯაცონ ბარემც დალოცვილებმა და ის იქნება! — წამოიძახებდა ხოლმე გულნატკენი როსტომი. — რაღა შეგვრჩენია!.. ყოველივე უფლება ჩამოგვერთვა და წაგვერთვა და ეგ არის!.. რიღათი გაირჩეს კეთილშობილი ადამიანი ამ ჩემს დათიასაგან?!.. არ ვიცი! მადლობა ღმერთს ქონდეს! მოვისვენებ მაინც!.. მეტი რაღა დაგვემართება!

ალბათ ვერ ამჩნევდა როსტომი, თორემ რაც ყველაფერზე უარესი იყო, ის ემართებოდა — მისი ოჯახი ნიავდებოდა, ცივდებოდა, ინგრეოდა.

ერთი ვაჟი ჰყავდა როსტომს და მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, ისე გადაიკარგა სადღაც. მეუღლე იყო მისი, მარიამი, და როგორც ის, ისე როსტომთან შეურცხვენელ მეუღლეობაში ნაყოლი ოთხი მისი ქალიშვილი ოჯახს სრულიად გულს არ უდებდნენ, სრულიად არ დაეძებდნენ, მუდამ საკუთარ ოჯახს გარეთ იყვნენ, გაურბოდნენ თავიანთ უხალისო ბუდეს, მისვლა-მოსვლას უნდებოდნენ: ხან ნათესავებში იყვნენ, ხან კეთილებში, ხან ნაცნობებში, თვითონაც დროს ატარებდნენ და სხვებსაც ეხმარებოდნენ დროს ტარებაში. ამაში კი ზედმიწევნით დახელოვდნენ: ზოგმა დაირა იცოდა შესანიშნავად, ზოგმა სიმღერა, ზოგმა თამაში*-ლეკური, უუნდარა, ბაღდადური და ხანდახან ახლობლებთან, კეკ-

უოკიც. ქალიშვილები თამამნი, ლამაზები და მოხდენილი შეხედულებისანი იყვნენ.

როსტომი ხმას არ იღებდა ქალებისაგან ოჯახის ამგვარ მივიწყებაზე, შეიძლება იმ მოსაზრებითაც, რომ წლიდან წლამდის მათი შინ ყოფნა უფრო გაუჭირვებდა ისედაც გაჭირვებულ ცხოვრებას. სრულიად არ ეწინააღმდეგებოდა როსტომი ქალებს ასეთ მათ წანწალზე და ესენიც შემოიხედავდნენ თუ არა ოჯახში, იქვე იმ ფიქრს და დარდს ეძლეოდნენ, თუ სად და როდის წასულიყვნენ.

ამას წინათ, რაღაც შემთხვევით, დედამაც და ქალიშვილებმაც თავი მოიყარეს ოჯახში. რამდენიმე დღის შემდეგ კი ისევ აწრიალდნენ წასასვლელად და ამისათვის მთელი დღე არბენინეს სოფლად დათია, რომ ურემი სადმე ენათხოვრებინა სადგურამდის ჩასასვლელად.

საღამო იყო, დათია რომ დაბრუნდა.

— რა ქენი, ბიჭო?.. — შემოეხვივნენ ქალიშვილები...

— ვერსად ვერ ვიშოვე!.. არავინ არ გვათხოვა! — თქვა დათიამ.

ქალიშვილებმა თავი მიანებეს ფუთების კვრას და შეზრიალდნენ.*

— მძულს აქ მოსვლა! — წამოიძახა უფროსმა ქალიშვილმა თალიკომ. — სიკვდილს უნდა ეღირსო, სანამ აქედან ფეხის გადადგმას მოახერხებდე ადამიანი! დასწყევლოს ღმერთმა აქაურობა!

— მე რომ ზეგ ქუთაისში არ ვიქნე, მომკალით და ის იქნება! — გამწარებით გაიძახოდა ლამაზი ნატალია. — ზეგ ნუციკო დღეობას იხდის... სიტყვა მივეცი, ესალამოდ ჩამოვალ-თქვა და დათიას წყალობით ყოველგვარ სიამოვნებას უნდა ჩამოვრჩე?!

— რა დაგემართათ?.. რა მოგივიდათ? არაფერი საშფოთავი არა გაქვთ! — დინჯად წარმოთქვა ქალიშვილების ახმაურებაზე ოთახში შემოსულმა მარიამმა: — თქვენ თქვენი საქმე ქენით, რაც წასაღები გაქვთ, არაფერი დაგრჩესთ... ხვალ ყველანი ერთად წავალთ!.. ბიჭო, მთელი დღე იარე და ერთი ურმის შოვნა გაგიჭირდა?.. — მიეკრუნდა იგი დათიას.

— ყოველთვის კი აღარ გვათხოვებს, შე დალოცვილო!

ყველას თავ-თავისი საქონელი საქნარისათვის* ჭირდება... ტყვილა კი არავინ ზის სახლში! — მიუგო დაღალულმა დათიამ.

— როსტომ, ეგებ შენ იშოვო სადმე ურემი! — მიმართა მარიამმა ტახტზე წამოწოლილ ქმარს.

როსტომს თითქო არ გაეგონოს ეს ნათქვამი, თავდაპირველში არც კი განძრეულა.

— ადექი... ადექი.. ნუ გეზარება! — არ ეშვებოდა მარიამი.

როსტომი ზანტად წამოდგა, მოითხოვა ჯოხი და როგორც იყო, ახალუხის ამარა, გასწია ამ შეღამებულში ურმის საძებრად.

— ტყვილა მიდიხარ... არავინ არ გათხოვებს! — გააყოლა სიტყვა დათიამ.

— გაწყვა* შენი ენა! — შეუტია მას უმცროსმა ქალიშვილმა პელომ.

— არავინ არ გათხოვებსთ! — ჯიუტად გაიმეორა დათიამ.

— რატომ, ბიჭო? — მიეჭრა მარიამი.

— იმიტომ, რომ ბევრი მიდიხართ ერთად!.. ორ წყებად წასულიყავით, გერჩიათ... თქვენთვის საქონელს არავინ დაღალავს ამისთანა საქნარიან დროს! — არ იშლიდა თავისას დათია.

— რჩევას არავინ გკითხავს! — გულმოსულად შეუტია მარიამმა და გაშორდა.

დათიას სიტყვა გამართლდა; ხარ-ურემი ვერც როსტომმა იშოვა. ქალიშვილებმა შექმნეს ერთი ალიაქოთი. ყოველივე მათი დაწყებულება* იშლებოდა. მარიამის და თალიკოს დამხვდური — დედულიდან* სადგურზე გამოგზავნილი, — უსათუოდ უკან გაბრუნდებოდა, რაკი მათ დანიშნულ დღეს ჩასულს ვერ ნახავდა; ამგვარივე საქმე მოუვიდოდა პელოსაც და კატულიასაც, რომელნიც მამიდისას მიდიოდნენ, ნატადიას ყველაზე უკეთ ჰქონდა საქმე — ერთი დდე რომ დაგვიანებოდა, ზეგ მაინც ჩავიდოდა ქუთაისში და ამხანაგის დღეობას არ დააკლდებოდა; მაგრამ რა: იმ დღის ნამგზავრს, დაღლილს, სად შეეძლო ისეთი მონაწილეობა მიეღო მოლხენაში, როგორც წინა დღით მისულს და დასვენებულს! ქალიშვილების

გამწარებას სასღვარი არ პქონდა. მარიამიც ძალიან გაჭირვებული იყო. ბევრი ჩაქცევა და ჩანგრევა უნატრეს* სოფელ ადგილებს და განსაკუთრებით თავისას. ბევრი იწრიალეს, ბევრი იქაქანეს, ბევრი იკაპასეს, დაბოლოს დედის რჩევაზე შეჩერდნენ: დილა ადრიანად ადგებოდნენ, ფუთებს დათიას აპკიდებდნენ, ფეხით იელიდნენ რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალ გზაზე მცხოვრებ პელოს ნათლიის სახლამდის, იქ გამოართმევდნენ ურემს და მატარებელს ჩაუსწრებდნენ თავის დროზე.

გადაწყვიტეს და კიდევაც ასე მოიქცნენ მეორე დღეს.

შეღამებული იყო, დათია რომ სადგურიდან დაბრუნდა. მარტოდმარტო დარჩენილი როსტომი მოწყენით უკდა ბუხარს და ნაქუჩის* ცეცხლს ეფიცხებოდა.

— ჩაიყვანე? — უხალისოდ შეეკითხა იგი დათიას და თან ჩიბუხის ტარის პირიდან გამოუღებლად, ზანტად გაიპურჭყა განზე.

— ჩავიყვანე! — მიუგო დაღლილ-დაქანცულმა დათიამ, რომელიც ბუხრის გვერდზე მიეყუდა და გაციებულ ხელებს თბობა დაუწყო.

— კარგი ქნეს, ფეხით რომ წავიდნენ, თორემ ბევრს გვარბენინებდნენ, ბიჭო, სანამ გავისტუმრებდი! — თქვა როსტომმა.

— აბა რა!.. მოგვეშვებოდნენ თუ!

ორთავე მიჩუმდა.

— ხომ არა დაუბარებია რა, ბიჭო? — რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ იკითხა როსტომმა, უფრო იმისთვის, რომ დათიასთან ლაპარაკში გაბმულიყო, თორემ მისთვის სულ ერთი იყო, დაბარებულის აღსრულებისათვის თავს არ გაიტეხდა.*

— შენთან არაფერი დოუბარებიათ, — მიუგო დათიამ.

— აბა ვისთან, ბიჭო?

— მე დამიბარა ქალბატონმა!

— რაო?

— შეიძლება დამაგვიანდესო და საბუდრები დაბწენიო* და თავის დროზე ქათმები დააჯინეო...* შეიძლება ზაფხულზე

სტუმრიანობა შეგვსვდესო... ქათმები ბლომად დაგვჭირდებაო.

— დიდხანს დამაგვიანდებაო?

— რა ვიცი!.. შეიძლება დამაგვიანდესო... დააგვიანდება უთუოდ, აბა რა!

— ჰოდა, ისე ქენი, როგორც დაგიბარა! — და როსტომმა ისევ ზანტად გააპურჭყა.

მუსაიფი შეწყდა. დათიამ მოიტანა დაბალი ხის საჯდომი და პატონიც და მოსამსახურეც ხმაამოუღებლად ეთბობოდნენ მბეუტავ ნაქუჩის ცეცხლს. მალე ორივეს ყვინთიც მოერია.

— უკანშმოდ ვრჩებით, ბიჭო?! — იკითხა რამდენიმე ხნის შემდეგ, ალბათ შიმშილისაგან გამოფხიზლებულმა როსტომმა.

— აბა, გამკეთებელი ვინ იყო?! მე მთელი დღე გზაში ვიყავი გაკრული! — მიუგო დათიამ.

— აბა, რაღას ვუყურებთ!.. დავწვეთ ბარემაც და ის იქნება!.. დილით კი, თუ კაცი ხარ, ცოტა ზაკუსკა მომიხერხე!

— კარგი! — მოკლედ მიუგო დათიამ.

როსტომი წამოდგა, გაიზმორა, ერთი კიდევ მიუშვირა ზურგი ბუხარს და, რა იგრძნო სითბო, ერთი შეხვანხვალდა, შეინძრა და მძიმე, ზანტი ნაბიჯით გასწია ტახტისაკენ, რომელზედაც დათიამ ქვეშაგებელი დაუწყო და მოსასვენებლად მიეგდო.

გდებაში ამოკლებდა უხალისოდ მიმდინარე სიცოცხლის დღეებს პატიოსანი აზნაური, დიდებული სახლთუხუცესის მანველიძის შთამომავალი. თითქმის კარგად შეეჩვია იგი ამგვარ გდებას, მაგრამ ხანდახან მაინც ისე გაიღვიძებდა მასში წინანდელი მანველიძე და მაშინ შესაბრალისად მიმართავდა თავის დათიას:

— სულ ასე ვეგდოთ, ბიჭო, აჰ?!

— აბა, რას იზამ? — მიუგებდა ერთგული მომსახურე, ერთადერთი არსება, რომელიც მისთვის ზრუნავდა და რომელსაც სულით და გულით მისთვის კეთილი სურდა.

— ჯორი შემიკაზმე, თუ კაცი ხარ!.. გვივილი ერთი სადმე!.. მეც მომეწყინა, ბიჭო!

— გეიარე მერე!.. გიშლის ვინმე თუ!

შეჯდებოდა როსტომი თავის გამხდარ, ბებერ ჯორზე, მიადგებოდა რომელიმე მახლობლად მცხოვრებ ნათესავს ან მეგობარს, რომ მწარე გულით მონდომებულს — ძველებურად მოელხინა და ყმაწვილებთან სმაში გაბმულიყო, მაგრამ მეორე-მესამე ჭიქაზე უკვე მთვრალი იყო ხოლმე, მეოთხეზე კი ძალი მოეკიდებოდა და სუფრაზე ხვრინავდა. დაბრუნდებოდა შინ და ისევ მიეგდებოდა თავის გამოყრუებულ სახლში.

ასეთ ცხოვრებას ატარებს დღეს საწყალი როსტომ მანველიძე, რომელსაც აღარც სახლთუხუცესის ჯავრი აქვს, აღარც მარშლების, აღარც ბანკისა, აღარც ოჯახისა; რომელიც აღარც ცოლის ამბავს კითხულობს, აღარც შვილებისას, — კარგად არიან, ავად არიან, სად არიან, ვისთან არიან? თხოვღებიან თუ ისევ ქალიშვილობაშივე ბერდებიან.

თუ ვინმე საქვეყნო საქმეებზე ჩამოაგდებს მასთან სიტყვას — ერთი გაჯავრებით ხელს ჩააქნევს, გესლიანად კარგად შეუკურთხებს* და ყველაზე გულგატეხილი, ყველაზე გულდაწყვეტილი — ყველასა და ყველაფერს ჯანდაბამდის* გზას დაულოცავს, მიყუჩდება და ისევ თავისებურად მიეგდება.

1910.

თავადი პეტრე

— არა, ბატონო, — გვეუბნებოდა ამაწინათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე თავადი პეტრე. — მაპატიეთ გულახდილობა და მოგახსენებთ, გულში ნურაფერს ჩამარჩენთ, გულს ნუ მატკენთ, თორემ სადაც მომიხერხდება, რითაც მომიხერხდება, როცა აზრათაც შეიძლება არ გექნეთ, მაშინ ვიყრი ჩემს გულის ჯავრს; ამოვიყრი ჩემს გულის ჯავრს უსათუოდ, თუნდაც რომ ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდეს! რა ვქნა... რომ არ მინდოდეს, ასე უნდა ვქნა, რადგან ასე გვჩვევია ძველთაგან. მოგეხსენებათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო; და რომ გვჩვევია — ამისი ათასი მაგალითია; მაგრამ ხე ერთს მოგახსენებთ, რომელიც ჩვენს გვარში მომხდარა

და ოთხელიც, [illegible]ეორეც გამიგონია, ვიღაც ფრანგ მოგზაურს [illegible]ავრეს მოგზაურობის აღწერაშიც შეუტანია თურმე...

მეფესთან — აღარ მახსოვს, სახელდობრ რომელთან — ერთხელ ყოფილა ჩვენი წინაპარი ბატონიშვილი მანუჩარ. ამავე დროს მეფეს სწვევია მეზობელ სამთავროდან მთავრის ამა [illegible]ონი, ჩვენივე ნათესავი. მეფეს მეტად გახარებია ამაური სტუმრობა და მათდა პატივსაცემად უმართია ლხინი ლხინიანი, ჰიდაობა, ნადირობა, ჯირითი, ბურთაობა და ათასი სხვა გასართობი.

ნამეტნავად შეჰხარებია* მეფე სვიმონ ბატონიშვილს. ეს პატიაიშვილი ცნობილი ყოფილა როგორც ვაჟკაცი, გულადი ბრძოლეარი, შეხედულებით* თვალსაჩინო და ენამეტყველი. მანუჩარი კი არც შეხედულობით, არც ვაჟკაცობით, არც ენაწყლიანობით არავის ყურადღებას არ იქცევდა, მაგრამ ამაური და ძლიერ თავმოყვარე ყოფილა.

მეფე თურმე გვერდიდან არ იშორებდა სვიმონს, მუდამ გატაცებით ისმენდა მის გმირულ თავგადასავალს და აღტაცებაში მოდიოდა მისი ნაამბობით. მეფესთან ერთად მუდამ მის ქვეშაში იყო მთელი სასახლე. ეს ამბავი მანუჩარს ძლიერ სწყინდა გულებაში, მაგრამ გულწყენობას გულშივე იმარხავდა და არავის ამჩნევინებდა.

ბოლოს მოთმინებამ უღალატა მანუჩარს და ერთხელ, როცა სვიმონ ბატონიშვილი თავისებურად მოუთხრობდა მეფეს იმ ცხარე შეტაკების ამბავს, უკანასკნელ ხანებში სამთავროდან თათრების განდევნის დროს რომ მოუხდა მას, მოუთხრობდა, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდა ერთხელ, მაგრამ როგორ სასწაულებრივ გადაურჩა განსაცდელს, გადაარჩინა ჯარი, თავზარი დასცა მტერსაც და ერთიანად შემუსრა იგი, რის გაგონებაზე მეფე უზომო აღტაცებაში მოვიდა, მანუჩარს გულმა ვეღარ მოუთმინა და უნებურად სახეზე ღიმილმა გადაუთამაშა. ღიმილის დასამალავად მანუჩარმა ულვაშებს ქვეშ ტუჩებზე ორი თითი გადისვა.

სვიმონმა ამას თვალი მოჰკრა. ერთიანად აინთო... შეჩერდა და მანუჩარს სიტყვა ესროლა:

— ღიმილი მოგგვარეთ, ბატონიშვილო, ჩემი მონათხრობ-

— რასა ბრძანებთ, ბატონიშვილო!.. — წამოიძახა მანუჩარმა, — განაგრძეთ!.. ღვთის გულისათვის, განაგრძეთ ამბავი!..

სვიმონი კი მიუბრუნდა მეფეს და სიცილით თქვა:

— რა ვუყოთ, ბატონო! ვისაც ვაჟკაცობისა არა სცხია-რა, სხვისიც ძნელად დაეჯერება... ეპატიება, ბატონო! — კვლავ გაიცინა სვიმონმა...

— ტყუილა ნებულობთ, ბატონიშვილო, ტყუილა ნებულობთ! — მიუგო მანუჩარმა მხოლოდ.

— მეტისმეტი ტრაბახა კაცი კია ეს ჩვენი ნათესავი ბატონიშვილი, — წაილაპარაკა მანუჩარმა, ისიც მაშინ, როცა მხოლოდ თავის მხლებლებში მოხვდა. სვიმონის დაცინვა ლახვარივით ჩაესო მას გულში.

სვიმონიც თავის გულს აჰყვა და შემთხვევას არა ჰკარგავდა, გადაკრული სიტყვით მიემართნა მანუჩარისათვის. ყველანი შეწუხდნენ სასახლეში ბატონიშვილებს შორის მომხდარ უსიამოვნების გამო და ყველანი შიშობდნენ, ცუდად არ დაბოლოვებულიყო ამათი შეტაკება.

მეფეც მეტად შეწუხდა და სვიმონს თხოვნით მიმართა:

— სვიმონ, თუ გიყვარდე, აკმარე მანუჩარს, აკმარე, თუ გიყვარდე!

მანუჩარი კი გარინდდა, ის დაიკავა თავი, თითქო არაფერი წყენოდეს სვიმონისაგან, და რამდენსამე დღის შემდეგ, ბიწისაკენ გამგზავრება რომ დააპირა, მეფეს უღრმესი მადლობა უძღვნა ბატივისცემისათვის, სვიმონს სიყვარულობით გამოეთხოვა და ისე წავიდა.

ნამდვილად კი მის გულში ცეცხლი ენთო და, რაც უფრო უახლოვდებოდა თავის სამფლობელოს, საბრძანებელს, უფრო და უფრო ემწვავებოდა სვიმონისაგან ყოველივე განაგონი, სვიმონისაგან მისი ავად ხსენება, სვიმონის დაცინვა; და როცა შან ფეხი შედგა თავის მიდამოში, სადაც ყველაფერი მისი ნების ქვეშ იყო, ყველა მისი მორჩილი იყო, სადაც მის წინ ყველანი თრთოდნენ, სიტყვის შებრუნებას ვერავინ ბედავდა და მის უბრალოდ წარბის შეხრაზე შიშს ეძლეოდნენ და თახთახებდნენ, — აქ უმეტესად ემწვავა სვიმონის დაცინვა და, შურისძიებით შეპყრობილმა, გიჟურად წამოიძახა:

— განანებიებ, თავხედო!.. თუ კაცი ვყოფილვარ, განანებიებ... განანებიებ!

დღედაღამ მანუჩარი მუდამ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ და რა გზით ამოეყარა თავის გულისჯავრი სვიმონზე.

ერთხელ სასახლეში ვიღამაც ახსენა სვიმონ ბატონიშვილის შვილის სახელი, რომელიც მახლობელ მონასტერში იზრდებოდა ბერებთან.

— მერე, — წამოიძახა მანუჩარმა, — მკრე, რატომ ერთხელ არავინ გამახსენეთ ეგ ამბავი? დაგვემდუროს ჩვენი ნათესავი, რომ გვერდით გვყოლია მისი შვილი და ერთხელაც კი არ მოგვიკითხავს და არ მოგვინახულებია?.. საყვედურს ამაცდინეთ... ერთი დღე მაინც მომგვარეთ ბავშვი... ესეც ნათესაური პატივი!..

ბავშვი მოიყვანეს სასახლეში. მანუჩარი დიდი სიხარულით მიეგება მას. დილითვე, ალიონზე, კაცი აფრინა სვიმონთან შვილის ამბის მისატანად და თან საჩუქარიც გაუგზავნა მშვენიერი პატარა კოლოფით.

დიდად გაიხარა სვიმონმა მანუჩარის ძღვნის დანახვით და მოტანილი ამბით.

— ეტყობა, ყველაფერი დავიწყებას მიუცია, — იფიქრა სვიმონმა, — ბარაქალა, მანუჩარ.

ბევრი ეხვეწნენ ყმაწვილ აზნაურს დარჩენილიყო, რათა შესაფერი პატივი ეცათ მისთვის, მაგრამ ვერაფრით ვერ დაიყოლიეს, ვერ დაარჩინეს, — ჯერ დაბარებული ჰქონდა მაშინვე გამობრუნებულიყო და მერე ძლიერ საჭირო საქმეზე სხვაგანაც იგზავნებოდა, მისი სიტყვით.

— აბა, ვნახოთ, ბატონიშვილო, — მიმართა სვიმონმა თავის მეუღლეს, — ვნახოთ, რა საჩუქარი გვიძღვნა ჩვენმა მანუჩარმა!

გახსნეს კოლოფი... მტერსაც არ ენახოს ის, რაც იმათ ნახეს: კოლოფში მათი შვილის მოჭრილი თავი იდვა.

ამის დანახვა — ერთი კივილი, წივილი, ზრიალი*, ტირილი და ვაი-ვაგლახი.

მთელად სასახლე შეინძრა*

— ვინ ხართ კაცი?.. ვის ვებრალები?.. ეის ვეცოდები?.. დღეს დამენახვეთ!.. დღეს მიშველეთ! — შესძახა სვიმონმა.

ქვეყანა ადუღდა* ბატონიშვილის საცოდაობით.

თვალის ´დახამხამებაზე მოგროვდა უთვალავი ჯარი და გამწარებული სვიმონი გამოემართა მანუჩარისკენ. მიწასთან გაასწორა მისი ავლა-დიდება: ცეცხლს მისცა მანუჩარის სამფლობელო; ვერც იმისმა მაგარმა ციხემ უბ´ლო სვიმონს.

— უგვანო!.. მხეცო!.. ჩემზე ჯავრით ჰღელავდი... უმანკოს, ნორჩ სიცოცხლეს რას ერჩოდი?.. ბოროტო!.. — და გაფთრებული სვიმონი ეძგერა ხმლით მანუჩარს.

— ხომ გაგამწარე!.. სიკვდილამდის გაგამწარე!.. სიცოცხლე აღარ მენანება! — კიდევ მოასწრო მანუჩარმა წამოეძახა სულის ამოსვლამდის...

აი, ბატონებო, ასეთი ამბავი მომხდარა და ვიმეორებ — ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, რაც გვჩვევია, იმას ვერ გადაგვაჩვევთ! — სიცილით დაათავა მან და ყველას თვალი შემოგვავლო.

1910.

მშობლის ნუგეში

იმ აუარებელ მსხვერპლთა შორის, რაც განმათავისუფლებელ ხანას შეეწირა, დიდებული მსხვერპლი შეეწირა მოხუცებული ელენესგანაც. მისი „ბიჭი" — როგორც იგი ეძახდა თავის შვილს, ახალგაზრდა მეცნიერს — სიცოცხლით სავსეს, კაცთმოყვარეობით გულადგსილი, სწორედ იმ დროს გამოსალმეს წუთისოფელს, ვით ავაზაკს ტყვიით შუბლი სწორედ იმ დროს გაუგმირეს, როცა მისი გული ღელავდა სიბრალულით იმ საცოდავთა და ბედშავთა მიმართ, რომელთაც მის თვალწინ შეუბრალებლად სრესავდნენ ქუჩაში, როგორც პირუტყვთ, და რომელთა მიშველებას იგი ლამობდა.

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა ბერიფასი შვილის დამკარგველი მოხუცებული დედა. დადუმებული, გაშტერებული, თვალებგამომშრალი მთელი დღეები მკვდარივით ესვენა საწოლში. ყველას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ უსაზღვ-

რო მწუხარებაში მყოფი მოხუცი ვერ გაუძლებდა თავზე დამტყდარ უბედურებას: ყველანი მისი აღსასრულის დღის მოლოდინში იყვნენ. მაგრამ გაიარა დღეებმა, განვლო ხანმა. მოხუცი ელენე არ მომკვდარა. თავდაპირველში განუზომელ მწუხარებისაგან დაჩლუნგებულმა, მიდუნებულმა, დასუსტებულმა გონებამ კვლავ იწყო მუშაობა, ამოძრავდა და, როცა ცოტაოდენი ძალა მოიკრიფა, დღისით და ძილგატეხილ ღამეებშიაც მხოლოდ მისი „ბიჭის" გარშემო ტრიალებდა მისი გონება, მოხუცებულის თვალწინ იშლება მისი „ბიჭის" მთელი სიცოცხლე ათასი წვრილმანებით, — მისი ბავშვობა, გაჭირვებაში გატარებული მისი სწავლის დღენი, მისი დავაჟკაცება, დაბრძენება, მეცნიერების გატაცებულ მსახურად შექმნა. თვალწინ ედგა მისი შნოიანი „ბიჭი" ადამიანის უსაზღვროდ მოსიყვარულე, რომელიც წინ დაუდგებოდა ხოლმე მას, მის საყვარელ დედას, და დაუწყებდა ტკბილ მუსაიფს თავისი საამური ხმით; ხალისიანი კილოთი უშლიდა თავის გულს, უზიარებდა თავის ოცნებებს. გატაცებით მოლაპარაკეს აღტაცებაში მოჰყავდა საყვარელი მშობელი... ეს ხმა ახლაც რომ ესმის, რომ ესმის მისი ლაპარაკი, მისი სიტყვები, მოხუცებულის გული ღელავს სიამოვნებით, ნეტარებით... მისი „ბიჭი" თითქო ცოცხალი იყოს, მაგრამ ამას შეუბრალებლად სცვლის საზარელი, თავბრუდამხვევი სურათი... ზღვა ხალხი... მისი „ბიჭის" კუბო, რომელსაც მისდევს ეს უთვალავი ადამიანთა გროვა, აღელვებული, აბობოქრებული... მისდევს გოდებით, გამწარებული... ფიცს სდებენ მის კუბოსთან... ესმის იმედებით სავსე ცხარე მიმართვა, რომ მალე, მალე გათენდება ნათელი, ბრწყინვალე დღე და რომ იმ მბრწყინავ დღეს მივლენ მასთან ყველა წამებულნი, წვალებულნი, ტანჯულნი, რომელთათვისაც მუდამ თრთოდა მისი გული; მივლენ სალამით, მივლენ და მიახარებენ სასურველი დღის გათენებას და მადლობას მიუძღვნიან მას, მათთვის თავდადებულს, მათთვის თავის შემწირველს.

როდის, როდის გათენდება ის დღე? მაშინ აღსრულდება ისიც, რაზედაც ოცნებობდა მისი ძვირფასი „ბიჭი", მაშინ ნახავს შვებას ყოველი შეწუხებული ამქვეყნად, მაშინ იხილავს მისი დამწუხრებული გული მისი „ბიჭის" დიდებულე-

ბას. იგი დღე იქნება ყველასათვის და ყველასთან ერთად მისი ბედნიერების დღეც...

და მოხუცებული მშობელი, იმედით შემოსილი*, გამხნევებული, კვლავ დაუბრუნდა ამ ქვეყანას. იგი გაფაციცებით ყურს უგდებდა ყოველივეს, რაც გარშემო ხდებოდა, გაფაციცებით თვალს ადევნებდა, რაც ქვეყნად ისმოდა. მუდამ ჩარგული* იყო გაზეთებში, რომ ამოეკითხა სანატრელ, ბრწყინვალე დღის მოახლოების ნიშნები. და როცა რაიმე არა სასიამოვნო, უნუგეშო ამბავს ყურს მოჰკრავდა, ან ამოიკითხავდა, გულამღვრეული მოხუცი აღელვებული წამოიძახებდა ხოლმე:

— ო, საზიზღრები!.. საზიზღრები!.. თავისას მაინც არ იშლიან... არ იშლიან!.. როდემდის, როდემდის?. ნუთუ საშველი არ არის?... არ არის საშველი?!

და გულშეწუხებული, აღელვებული მიაშურებდა თავის ოთახს. აქ მის საწოლთან მაგიდაზე შავ ჩარჩოში ჩასმულ თავის „ბიჭის“ სურათის წინ დადგებოდა და თვალცრემლიანი, უცნაური გამწარებით, სასოწარკვეთილებით მიმართავდა: „შვილო, რათ დამეღუპე, რათ?.. თუკი არაფერი საშველი იქნებოდა... თუკი ასე იქნებოდა... რათ გასწირე შენი სიცოცხლე?.. რათ არ მოითმინე?.. რათ დამეღუპე, შვილო?..“

და გულამომჯდარი, აქვითინებული, გამწარებული მოხუცი მშობელი დაემხობოდა ძვირფასი შვილის სურათის წინ, გარეტიანებული, მწუხარებისაგან გრძნობა დაკარგული და დიდხანს იყო ხოლმე ასე დამხობილი, სანამ, ბურანში მყოფს, ისევ მისი შვილისაგან შეცოდებულს არ გამოაფხიზლებდა მისი ხმა, რომელიც ეხვეოდა და მისებურად ტკბილად, ხალისიანად ეუბნებოდა:

„ნუ სწუხარ, დედიკო, ნუ სწუხარ! მართალია, ქვეყანაზე ადამიანი კიდევ ბევრ უბედურებას განიცდის, ბევრ სიმწარეს შეხვდება, მართალია, ადამიანი ადამიანს კიდევ მტრულად უხვდება, მაგრამ ბედნიერების დღე მაინც არ ასცდება მას, მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა... ბუნება, საკვირველებით მოცული ბუნება, ადამიანისაგან ჯერ სრულიად უცნობი, საიდუმლოებით მოცული ბუნება თავისუფალ პირობებში ამუშავებულ ადამიანის გონებას გადაუშლის მასში

დაფარულ საკვირველ ძალას და მაშინ ადამიანი უკუაგდებს სასტიკ მცნებას „ოფლითა პირისა შენისთანა სჭამდე პურსა შენსაო“, მაშინ მოისპობა ქიშპობა ადამიანთა შორის, ადამიანი იქნება განმავითარებელი მასში ჩანერგილი ნიჭი'ა და არა მისი მოვაჭრე, იქნება თვისი ნიჭის მიმდევარი, მისით დამტკბარი, მისით ბედნიერი და მის გარეშე მყოფთა მოსარგებლე... კი, დედიკო, ბედნიერება მოვა ქვეყნად, მოვა! ბნელ ღამეს შესცვლის ნათელი დღე... ეს კანონია ბუნებისა და ვერავითარი ძალა, ვერაფერი მას ვერ მოშლის, ვერ შესცვლის, და ყოველივე ცდა ამის საწინააღმდეგოდ სამწუხარო უგუნურებაა! კი, დედიკო, კი, კი!..“

მკაფიოდ ესმოდა ყოველივე ეს მოხუცებულს, და როცა სურვილი წასძლევდა, რომ ერთი თვალი მაინც შეესწრო, შეესწრო მის მანუგეშებლის, მისი ტკბილი მოსაუბრისათვის, და თავს ასწევდა თუ არა, მისი „ბიჭი“ ისევ ხმაგაკმენდილი, გაჩუმებული გამოიყურებოდა თავის შავ ჩარჩოდან. დიდხანს, დიდხანს თითქო საყვედურით მიაჩერდებოდა მას, შეუბრალებლად, დადუმებული დადუმებულს, მაგრამ მისგანვე მისი სიტყვებით გამხნევებული მოხუცი ბრუნდებოდა ოთახიდან და ისევ ბრწყინვალე დღის გათენების მოლოდინში იყო, ქვეყნად ბედნიერი დღის შესაგებებლად ემზადებოდა...

1911.

•

ბაკულას ღორები

ის იყო, შარაგზით მიმავალმა ზენათიმ გზის შესამოკლებლად ღობეზე გადარება* დააპირა და ზედ შედგა ფეხი, რომ გამწარებით წამოიძახა:

— ღმერთო, მომკალი!.. ღმერთო, მომკალი! — ჩახტა ეზოში და ქაქანით* გაენთო* ეზოს ყურეში* ყოფილ პატარა ბოსტნისაკენ.

— უიმე, უიმე!.. ღმერთო, მომკალი!.. პიტია!.. სასიკვდილე პიტია... კიკილო! კი-კი-ლო-ო! — უცნაური ხმით გაჰკიოდა და თან მირბოდა ზენათი.

ამ ყვირილზე დაბალბალკონიან სახლიდან გამოვიდა თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალიშვილი, რომელს უკან გამოსდია თმაგაბურძგვნილმა, ფეხშიშველა, პერანგის ამარა ბიჭმა.

— რა ამბავია, დედა, რა? — იკითხა ქალიშვილმა.

— რა და, თქვენი სიკვდილი!.. თქვენი არ გადარჩენა, შვილო, თქვენი არ გადარჩენა!.. თქვენ გოუწყდით თქვენს პატრონს, თქვენ!.. ვეღარ ხედავთ, თქვე გასაწყვეტლებო, რომ ამოგვაგდეს*... რომ ერთიანად ამოგვაგდეს?!.. თქვენ გაგიწყდათ მიწა... მოისპო თქვენი სახელი!.. დაგიდგათ თვალები!.. მიწა დაგეყარათ გასაწყვეტლებს, მიწა! — და ამ წყევლის წარმოთქმაზე შეჩერებული ზენათი ისევ ბოსტნისაკენ გაიქცა; უკან დაედევნა პიტიაც.

— ჰა, ტრუბია! ჰა, ტრუბია! — აყვირდა პატარა ბიჭიც და ამ ძახილზე სახლის ყურიდან გამოვარდა შავი, ბანჯგვლიანი ნაგაზი და ესეც ყეფით გავარდა ბოსტნისაკენ.

— ჰა, ტრუბია! ჰა, ტრუბია! — ყვიროდა ბავშვი და თან მისდევდა ძაღლს.

ბოსტანში მყოფმა ძალზე გამხდარმა ორმა ღორმა და ცხვარმა, ალბათ, კარგად იცოდნენ, რა დღესაც დააყენებდა მათ ტრუბია, გაფაციცებით უცმაცენებდნენ პირს პრასას, ჭლაკვს, ნიახურს, ოხრახუშს — რაც კი პირს მოხვდებოდა, — შემდეგ ეცნენ ბოსტნის დაბალ რაგვს,* ტრუბიას შიშით გაღონიერებულებმა შეამტვრიეს რაგვის ხმელი წნელი და გასაქცევად გამზადებულები სამივე შეუდგა შელმართს. ტრუბია ყეფით დაედევნა უკან, დაეწია ერთს, სწვდა გამხდარ კანჭში; ღორი აჭყვირდა, წაიქცა და კოტრიალ-კოტრიალით ჩამოგორდა ქვევით. ნაგაზი ახლა გეკიდა მეორეს, დაეწია, ამასაც ჩაასო თავისი ბასრი კბილები კანჭში და ესეც აჭყვირებული წააქცია და კოტრიალით გადმოუშვა ქვევით; დამფრთხალი ცხვარი კი საცოდავად ხან იქით მირბოდა, ხან აქეთ, შეშინებული, რომ ძაღლს არ ჩავარდნოდა საკბილავად.* ტრუბია კი ღორების წვალებით კმაყოფილდებოდა. დაბოლოს ამასაც მოსწყინდა მათი წვალება. გაანება თავი, შესდგა და თავაწეული მისჩერებოდა კანჭებდასისხლიანებულ პირუტყვებს, აღმართს რომ შეუდგნენ.

ზენათი კი ბოსტანში ჩამჯდარი დაუცხრომლად* ქაქანობდა და გაჰკიოდა რაც ხმა ჰქონდა, გულგახეთქილი, რომ ხედავდა ასე შეუბრალებლად მოსრესილს* თავის ნამუშევარს.

— ასე კაცის ამოგდება გაგონილა ქვეყანაზე?! თქვენ ამოგივარდათ თქვენი პატრონი... თქვენ ამოგივარდათ თქვენი პატრონი ძირიან-ფესვიანად, რავარც თქვენ ეს ჩემი ბოსტანი ამომიგდეთ!.. აოხრდა თქვენი პატრონი, რავარც თქვენ აქაურობა ააოხრეთ!.. მოისპო თქვენი პატრონი ისე, რავარც ეს ჩემი ნაშრომი მოსპეთ და გააქრეთ!.. ისე გაქრა თქვენი პატრონი... გაქრა ქვეყნის პირიდან!.. თქვენი პატრონი დასწყევლა ჩემმა გამჩენმა... დასწყევლა და მოსპო მამა ზეციერმა! — ყვიროდა ზენათი რაც ძალა და ღონე ჰქონდა, რომ შეღმართის წვერზე წამოსკუპულ ქოხში გაეგონათ მისი გულისწყრომა.

რასაკვირველია, იქ ესმოდათ მისი ქაქანი, მისი ლანძღვა, წყევლა, მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა და არც არავინ ჩნდებოდა. ეს კიდევ უფრო აბრაზებდა ბრაზმორეულ ადამიანს და მის ლანძღვა-გინებას დასასრული არ ეძლეოდა.

— ასე არ შეიძლება, გალაქტიონ, არ შეიძლება, მითქვამს შენთვის! — გაალმასებული* დაუხვდა ზენათი სამუშევრიდან* საღამოს შინ დაბრუნებულ ქმარს.

— არ შეიძლება, გეუბნები! რაცხა უნდა იღონო, თვარა ამოგვაგდეს და ეს არის!.. ამოგვაგდეს ერთიანად!.. ხმა უნდა ამოიღო!.. თუ არა და მითხარი და აღარ შევაკლავ თავს არც ყანას და არც ბოსტანს... ყველაფერს მივატოვებ!.. იმისთვის ვეწვალო, რომ ოხერ ბაკულას ღორებს შევაჭამო ჩემი ნაცოდვილარი?! ბაკულას ღორების გამოძღომისათვის ვიკლა თავი?! მითხარი, ბატონო, თუ არაფერი გვეშველება, მითხარი და აღარ ვიცოდვილებ! ყველაფერს თავს დავანებებ, თუ ბაკულას ღორების საოხრებლად უნდა გახდეს ჩემი ნამუშევარი!.. მივატოვებ ყველაფერს და მოსვენებულად ვიქნები!.. გულის ხეთქვას მაინც გადავრჩები! არა, რატომ, კუჭგამხმარ ბაკულას ღორებს რატომ უნდა შევაჭამო ჩემი ნაცოდვილარი?!.. გაუჩუმდი, გაუჩუმდი... ნუ გაცემ ხმას!..

— ახირებული* ხარ ერთი შენც! — წყენით მიუგო გალაქტიონმა. — ვინ გოუჩუმდა, მარა იმ ოხერთან რომ არა-

ფერი გამეწყო?!.. პირადად წავეკიდე, კაცებიც მივეგზავნე, ყველემუქრე ასე გიზამ, ისე გიზამ-თქვა, მარა სინდისდაკარ-გულთან რა გაგივა! დასწყევლოს ღმერთმა ის დღე, როცა მაგ ოხერი იმ ჯაგებში* დასახლდა!.. რა მოსვენებულად ვიყავით!..

— დასწყევლა ღმერთმა, დასწყევლა ღმერთმა ვიძახოთ!.. რაიმე საშვალება უნდა ვიხმაროთ, თვარა მარტო დასწყევლა ღმერთმას ძახილით ბევრი გაგიკეთდება... მე გეტყვი, საშველი ეაგადგება!.. ამით არაფერი გვეშველება, ადამიანო, არა, არა!

— მაცალე, ბატონო, ეგებ რამე ვიღონო... მაცალე!

— მაცალე, მაცალე — ამას კაი ხანია იძახი და საქმე თუ ხდება, თვარა საშველი არაფერი გვეძლევა!. როდემდი უნდა იყვეს ასე? ასე რავა უნდა გადაათელიო* კაცმა თავი იმ წუნწ-კლიანს!..* სულ შენი ბრალია, შენი ბრალი!.. თითქო ერიდები იმ გასაწყვეტლებს!..

— ვინ ერიდება, ერთი შენ კიდევ! — გაჯავრებით წამოი-ძახა გალაქტიონმა. — ვინ ერიდება?.. რაში უნდა მოვერიდო, მითხარი ერთი?!

— აბა რაა? სამართალი რავა ვერ ვიშოვო, თუკი კაცი მოვინდომებ!

— ჰო, სუდში ვიჩივლო?

— ვიჩივლებ, აბა!.. მივათრევ ოხერს და მუდრეგს... არაფრით არ დავზოგავ!..

— დიახ, სუდში მიათრევ და დაიმედებული იყავი, რომ სიმართლე გაგამარჯვებინებს, დიახ!.. ვიცი მე სუდის საქმე!.. უნდა გადაჰყვე საჩივარს და ბოლოს, ვინ იცის, რავა შეგიტ-რიალებენ ნათელ საქმეს!.. არა, შენ გენაცვალე, თელათ რომ ყველაფერი ამიოხროს, სუდში ფეხს ვერავინ შემადგმევინებს, ვერა! — გადაწყვეტილებით წარმოთქვა გალაქტიონმა. — ვი-ცი მე სუდის ამბავი!.. არა, საქმეს სხვა გზით უნდა შემოუა-როთ! — დაატანა მან.

— სადაა მერე ეს სხვა გზა? — ცხარობდა ზენათი.

— გეუბნები, მაცალე-თქვა... მოვიფიქრებ... ჯერ ვერ გა-მოვნახე... მაცალე და გამოვნახავ!..

— ა, ბატონო, გვიცლია და ვნახავთ! მარა ეს მითქვამს შენთვის, გალაქტიონ, თუ ასე გაგრძელდა, მე ხელს აღარა-

ფერს მოვკიდებ, იცოდე... რაზე ვიწვალო... რისთვის ვაკლა ჩემი თავი?!.. ბაკულას ღორების საძღომის მოსაყვანად ვიშრომო?..

— რაცხას ვიღონებ, შე ქალო! ვიღონებ! ოღონდ მაცალე!.. საიმედო გზას გამოვნახავ და გადავრჩები მაგ დაწყეველილ მეზობელსაც და შენს წყრომასაც! — ღიმილით დაათავა გალაქტიონმა. — კი, შენ ნუ მომიკვდები!

რამდენიმე დღის შემდეგ გალაქტიონი დაბა №-ს გაემგზავრა თავის ცოლის ნათესავთან, ალექსანდრე შარაქაძესთან, რომელიც თარჯიმნად მსახურობდა მაზრის სამმართველოში.

დილა იყო, როცა იგი ჩავიდა დაბაში და რადგან ალექსანდრე შინ აღარ დაუხვდა, სამმართველოში მივიდა მასთან.

— ოჰ, გალაქტიონს გაუმარჯოს! გაუმარჯოს გალაქტიონს! — მხიარულად შეეგება ყმაწვილი კაცი გალაქტიონს. — საიდან? რა ამბავია, რამ გაგსარჯა?.. ხომ მშვიდობით, კარგად!..

— გმადლობთ, შენი ჭირიმე!.. ვართ ღმერთით ერთგვარად, თქვენგან დავიწყებული, დაკარგული!.. ვართ, რავარც მოგეხსენება საწყალი კაცის ამბავი! — მიუგო თავის შებრალებით გალაქტიონმა.

— ზენათი ხომ კარგადაა?..

— გმადლობ... არის ისე.

— რა ხანია არ ჩინახავს!

— მერე ასე უნდა!.. ნამეტანი დაგვივიწყე, შაშა ჩემო!.. სულ აღარ გაგვიხსენე... მართალია, პატარა კაცები ვართ, მარა რაც რომ იყოს, რაც ულირსნი გყავდეთ, მაინც ნათესავები გყავართ... საწყლები ვართ, მარა ამიტომ კი არ უნდა მოგვიძულოთ თქვენისთანებმა... უფრო უნდა შეგვიბრალოთ და შეგვიწყალოთ ხოლმე!

— ღმერთმა ნუ დაგივიწყოსთ, რას ამბობ, შე კაცო!.. აბა, კარგად ხართ?

— გახლავართ!.. ვებრძვით საწყლები ვართ და ვიქნებით ჩვენს დღეში.

— რამ გაგასაწყლად, შე კაი კაცო! — მხიარულად მიაძახა ალექსანდრემ და მხარზე ხელი დაადო.

— საწყლები ვართ, შენი ჭირი შემეყაროს, უსაშვალონი,* აბა რა ვართ! ვისაც უნდა, ჩვენ გვაწუხებს და ჩვენ გვჯიბნის!.. შემფარე* არავინ გვყავს! — ნაღვლიანად წარმოთქვა გალაქტიონმა.

— ვიღაცას შეუწუხებიხართ, გალაქტიონ, გეტყობა!.. და ძალიანაც შეუწუხებიხარ, გეტყობა!

— სწორედ მასეა და იმიტომაც მოგაშურე, შენი ჭირიმე!.. აგერ მობრძანდი და მოგახსენებ ყველაფერს! — გაიწვია ოთახის თავისუფალ ყურეში ალექსანდრე.

— მართალია, უჩემოდაც ბევრი მაწუხებელი გყავს, შაშა, — დაიწყო გალაქტიონმა, როცა ორივენი დასხდნენ, ისე რომ მათ მუსაიფს ვერავინ შეუშლიდა, — მარა ჩვენთვისაც უნდა შეიწუხო თავი... ღმერთი მოიმადლიერე, ყურადღება მოგვაქციე... შეგვეწიე! არც ისე მორებლები ვართ, შენი ჭირი შემეყაროს, რომ ჩვენი გასაჭირი არაფრად მიიჩნიო!.. მე თუ არა, შენი ნათესავი ქალი, შენი სისხლ-ხორცი მაინც შეიბრალე!.. ერთობ შეწუხებულია, შაშა ჩემო, მეტისმეტად შეწუხებულია და იმიტომ მოგაშურე!

— თუკი რამე შემიძლია!..

— კი შეგიძლია!.. რავა არ შეგიძლია!.. შენ თუ არ შეგიძლია, აბა, ვიღაც შეუძლია!

— თუკი მასეა, კი ბატონო... ვინ ოხერი!.. რაშია საქმე?

— სულ უბრალო საქმე შენთვის...

— ჰო!

— ერთი კაცი უნდა შემიშინო...

— რავა?! კაცი შეგიშინო?! — შეეკითხა გაოცებული ალექსანდრე.

— დიახ!.. ერთი ოხერი, ყოველად გაფუჭებული მეზობელი გამიჩნდა, ის უნდა შემიშინო!

— რარიგად, გალაქტიონ?.. შეეშინდება ჩემი?.. — სიცილით ეკითხებოდა ალექსანდრე.

— კი შეეშინდება! და უნდა შემიშინო, შაშა!.. შენთვის ეს არაფერი იქნება, ჩვენთვის კი დიდი რამე! ერთი დღე დაკარგო ჩვენთვის — რა უნდა იყოს შენთვის... ისეც ისე, რომ იმ

დღეს ტკბილად გაატარებ და ისიამოვნებ!.. მართალია, ჩვენისთანა საწყალი ნათესავი მაწუხებელია, ჩვენზე უკეთესებს სცნობ და მათთან ხარ გართული", მარა ღმერთი შეგეწევა, ჩვენისთანა საწყალს და გაჭირვებულს რომ გადმოხედავ ხანდისხან!.. ჰოდა, იმას გთხოვ, მიკადრო შენი ღარიბი ნათესავი, მეწვიო ჩემს ღარიბ ოჯახში... ერთი დღე გაატარო ჩემს ქოხში!.. შენთვის ეს არაფერი იქნება, ჩემთვის კი დიდად ეღირება, დიდად დაფასდება. კუთხე-მეზობელი გეიგებს, რომ სულ უპატრონო არ ვყოფილვარ... რომ ჩვენც გვყოლია შემწე და მფარველი... რად ეღირება ეს ჩვენთვის, ჩემო შაშა?! ერთხელ მაინც ხომ უნდა ნახო შენი ნათესავი... მოხვალ, ისიამოვნებ, დროს გაატარებ და წამობრძანდები... მე კი ამით ძალიან შემეწევი!

— კი, ბატონო, დიდი სიამოვნებით! თუ ამაზე მეტი არაფერია, ეს რა! — სიცილით თქვა ალექსანდრემ. — სულ ადვილი საქმე ყოფილა!

— შენ არ მომიკვდე, სხვა არაფერი... მარა შენთან ერთად თქვენი სეკრეტარიც* მაწვიე, შაშა!

— ჩვენი სეკრეტარი?! — გაიკვირვა ალექსანდრემ.

— სეკრეტარი!.. უსათუოდ შენთან ერთად უნდა მაწვიო!

— რუსია, კაცო! ქართული ინჩი-ბინჩი* არ იცის!

— უსათუოდ უნდა მაწვიო! — მუდარით მიმართა გალაქტიონმა. — შენთან ისიც დეინახოს ჩემმა კუთხე-მეზობელმა ჩემს ეზო-ნიადაგზე!.. გეფიცებით, სიამოვნების მეტი არა შეგხვდებათ რა... სადილს მიირთმევთ, ისიამოვნებთ და წამობრძანდებით და ეს იქნება!

— კი მარა, აქ რაღაც ამბავია! — ვეღარ მოითმინა და ღიმილით უთხრა ალექსანდრემ. — შენ რაღაც სხვა განზრახვა გაქვს!

— არ მოგიკვდეს ჩემი თავი, თუ დამიჯერებ, არაფერი სხვა გარდა იმისა, რომ თქვენისთანა თვალსაჩინო პირებით თავი დევიფარო მაწუხებელი მეზობლისაგან!.. თქვენისთანა პირებს რომ ჩემს ქოხში დაგინახავენ, იტყვიან, რომ სულ უპატრონოდ არ ვყოფილვართ და მტერი შეშინდება, მოგვეერიდება, ისე თამამად ვეღარ მოგვბედავს!..

— ეს ჩვენი შესაშინებელი კაცი ვინ არი, გამაგებინე ერ-

თი! ეგებ ისეთი იყოს, თავად შეგვაშინოს ამას მაგივრად, რომ ჩვენ შეკაბიზოთ! — იცინოდა ალექსანდრე.

— კაცმა რომ შეხედოს, მართლადაც შეეშინდება, ისეთი შეხედულებისაა!

— ვინაა, რა კაცია, გალაქტიონ?

— მეზობელია ჩემი... ჩემი მოგვარე!.. ვიყავით ამდენი ხანი, შენ გენაცვალე, ჩემს პაწია კარ-მიდამოზე მოსვენებით... ახლა არავინ მყავდა მეზობლად... არავის ვაწუხებდი, არავინ მაწუხებდა! ვცხოვრობდი ჩემთვის... მიხაროდა!.. მოგეხსენება, რა სარიდალია ახლო მეზობელი, და თუ ნამუსს დაშორებული გაგიჩნდა, ხომ გაგიმწარდება ადამიანს სიცოცხლე და ეს არის... ასეთი უბედურება მეწია მეც!.. გამიჩნდა მეზობელი ყოვლად გაფუჭებული, სინიდისდაკარგული ადამიანი... ამიკლო, შაშა ჩემო... ამიკლო, აღარა ვარ მისგან!

— ვინაა?

— ისევ ჩემი მოგვარე!.. ამას წინათ გამოეყო ძმას... წამოიღო, რაღაც ქოხი რგებოდა, ჩადგა ჩემს ზევით ჯაგებში, ისეთ ადგილას, რავა იფიქრებდი, თუ იქ როდისმე ადამიანი დასახლდებოდა... ეგ. რასაკვირველია, მისი საქმეა, ღმერთმა მშვიდობა მისცეს, ჯანდაბაში წასულა, კისერი უტეხია, უარეს ადგილსაც გადაკარგულა — მე არ შევწუხდები ამისთვის — მარა მისმა მეზობლობამ ამომაგდო კაცი, ნამეტან ზარალს მაყენებს, შაშა!.. არა აქვს საქმელი, არა აქვს სასმელი, ყრიან საცოდავად... ოჯახში, როგორც იცი, ყავს წვრილფეხი*, მარა რომ არ ყოლებოდა, ერჩია... თავისათვის საქმელი რომ არა აქვს, პირუტყვს რარიგად შემოუაროს!.. უყრია მშიერი, შეწუხებული, შიმშილისაგან გამწარებული... ჰყავს დამწყვრეული* და ეს მშიერი პირუტყვები, კუჭი რომ ეეწვისთ ხოლმე, ისე ჭყვირდებიან და წკნავიან, რომ იქ დაბლა ჩვენ ვიწვით მათი საცოდაობით, ისეთი ხმა მოდის!.. გული შეგიწუხდება ადამიანს!.. მარა ეს რაა, უბედურება ის არის, ამ შიმშილისაგან გამწარებულებს რომ გამოუშვებენ სამწყროვიდან... მაშინ არი ჩვენი შეწუხება... თავის მახლობლად რას ნახავენ, ეკლესია და ბარძგების მეტი არაფერია... დეეშვებიან ჩვენკენ... ეზოს ყურეში პაწია გვარიანი ბოსტანი გვაქვს... ზენათის ნაკეთებია... მოაშურებენ პირდაპირ აქეთკენ უსათუოდ! მოვარ-

ღებიან და, ერთი თვალის დახამხამებაში, სულ ერთიან გადაჭაჭენ, გადასინინან, აღარაფერს დატოვებენ! კეტი რომ უბრაგუნო, ვერ მოაშორებ, ისეთი რაღაც დაწყევლილებია — ალბათ, შიმშილისაგან რომ გამწარებული არიან. ძაღლი მყავს ბედათ იმისთანა, რომ სისხლით შეღებავს ხოლმე მათ და იმისი შიში აქვთ კიდევ, თვარა ჩვენი საშველი არაფრით იქნებოდა!.. ვეხვეწე, ვემუდარე, ნუ ამომაგდებ-თქვა, ჩამომაშორე ეს შენი ღორები და ცხვრები-თქვა, კაცებიც მივუგზავნე, ეკლესიაზე ხალხში შევჩივლე, მარა არ იქნა, არაფერი არ გამოვიდა: სუდში ვერ წეველი საჩივლელად... მეშინია! ჯერ საქმეს დასასრული არ მიეცემა, მერე მოწმეების თრევა, მათი ჭმევა-სმა, ხარჯი, გაცდენა და ბოლოს შეიძლება საქმე ისე შემოგიტრიალონ, რომ ბრალი მე დამდვან, რომ პატარა ბოსტანი მქონებია და საკმარისად ვერ ძღებიან შიგ იმ ჩემი მეზობლის ღორები!

ალექსანდრემ ამაზე გულიანად გადიხარხარა.

— კი, ადვილად შესაძლებელია!.. სუდში სწორედ ვერ შევალ... ცეცხლივით მეშინია, ამიტომ მოგატანე* ახლა შენ... მეტი გზა არა მაქვს! სხვანაირად უნდა შემოვუარო საქმეს... თქვენი ერთი ფეხის დაბაკუნება ათასწილად მირჩევნია სასამართლოში თრევასა და წოწიალს!.. ერთს თვალებს გადმოუბრიალებთ, ხმამაღლა შესძახებთ ისე, რომ კანკალს დააწყებინებთ ქე რომ იცით, და საქმეც მოგვარდება... ჰოდა, იმიტომ გთხოვთ, რომ თქვენებურად შემიშინოთ ის ჩემი მაწუხებელი!

— კი მარა, რარიგად შევაშინოთ მაინც?.. უჩივი და დავიბაროთ, თუ როგორ? — იცინოდა ალექსანდრე.

— არა, შენი ჭირიმე, არა!.. მაგდენზე რავა გაგრჯით!.. თქვენ ოღონდ მობრძანდით ჩემსას, საღილი მიირთვით — დაგინახონ ჩემსას, დაგინახონ, რომ თქვენისთანა კეთილები მყავს მფარველად და სხვა არაფერი!

— შეშინდება მერე ამით ის შენი მეზობელი?

— კი შეშინდება!.. რას ბრძანებთ! — თქვენ დაგინახავსთ და სული კოჭებში არ ჩოუვა?!..* რას ბრძანებ!

— აბა, კარგი... რაკი მასეა! — სიცილით წამოიძახა ალექსანდრემ. — ეგ სულ იოლი საქმე ყოფილა!

— მომავალი კვირისათვის უნდა დამავალოთ!.. გზის ნუ შეგეშინდებათ... შორი არ არის, გზა კარგია... კრეულაზე ხიდია ჩატეხილი, მარა ახლა ყველგან მშვენიერი ფონია...* სულ არ შეწუხდებით, სულ!.. სეკრეტარი უსათუოდ უნდა მაწვიო, შენს სულს დავენაცვლე... უსათუოდ!..

— ა, ბატონო, წამობრძანდით... ვუთხრათ!

გაიარეს ხალხით გაჭედილი სამმართველოს რამდენიმე ოთახი და შევიდნენ ოთახში, სადაც განიერ მაგიდას უჯდა შუახნის გრძელწვერა, თვალებდაბერილი მოხელე. სამეზრო სამმართველოს კანცელარიის უფროსი.

— რა ამბავია? — ქართულად ჰკითხა მან ალექსანდრეს და თვალი გალაქტიონს გადაავლო.

— ვასილ ივანიჩ, ეს გაბლავთ ჩვენებური აზნაური გალაქტიონ ხოსოლიანი... გთხოვთ პატივი სცეთ და კვირას ეწვიოთ სადილად ოჯახში! — რუსულად უთხრა მას ალექსანდრემ.

ვასილ ივანიჩი გაკვირვებით მიაშტერდა ალექსანდრეს.

— ჩტო ეტო ზნაჩიტ?! — იკითხა მან.

— გთხოვთ ეწვიოთ სადილად. სხვა მეტი არაფერი! — მიუგო ალექსანდრემ.

— საიდან!.. მე მაგ თვალითაც არასოდეს არ მინახავს!.. აქ ხრიკი იქნება რაღაც!.. დაიკარგოს იქით! — წაილაპარაკა ვასილ ივანიჩმა და ისევ განაგრძო შეწყვეტილი წერა.

— არაფერი ხრიკი არაა, ვასილ ივანიჩ... მაგან უნდა, რომ ჩვენ შევუშინოთ ერთი მისი მაწუხებელი მე ისევ!

— შევუშინოთ?.. — გაოცდა სეკრეტარ

— ჰო! — სიცილით უთხრა ალექსანდრემ.

— მერე მე რა საფრთხეა მაქვს?!.. რას მიედ-მოედებით! — წამოიძახა მან.

გალაქტიონი შიშმა შეიპყრო: ეს კაცი ისე ლაპარაკობდა, რომ უარს ამბობდა, ეტყობოდა. მაგრამ ალექსანდრემ ერთი გადახედა მას და მერე თავისი მოქნილი ენით დაწვრილებით მოუყვა ვასილ ივანიჩს გალაქტიონის ამბავი იმგვარად, რომ ის კიდეც გააცინა გულიანად.

— ნუ ნაპუგავმ, ჩორტ ვოზმი, ესლი ტაკ! — სიცილით წამოიძახა მან.

გალაქტიონი შეიშმუშნა.

— რაო, შაშა... შენი ჭირიმე?! — გაუბედავად შეკითხა მან ალექსანდრეს.

— თანახმაა... მოდის! — მიუგო მან.

— ცაუდით!..* ცაუდით! — მხიარულად უთხრა ვასილ ივანიჩმაც.

გახარებულმა გალაქტიონმა დაბლად თავი დაუკრა მადლობის ნიშნად და გახალისებულმა ისევ ალექსანდრეს მიმართა:

— აბა, შაშას ჭირი შემეყაროს!.. კვირას მოგელით უსათუოდ, მიირთმევთ სადილს და წამობრძანდებით გინდ იმ საღამოსვე, გინდ დილაადრიანად... საქმე არ დაგიბრკოლდებათ! — ხვანხვალობდა გალაქტიონი.

— ნაპუგაიმ,* ნაპუგაიმ! — იცინოდა მდივანი, — ოღონდ ღვინო კარგი იქნეს, თორემ ისე ვერ შევაშინებთ!.. ხომ აქვს კარგი ღვინო?

— რაო, შენი ჭირიმე, რას ბრძანებს! — იკითხა გალაქტიონმა.

— ღვინო თუ გაქვს კარგიო?

— იცოცხლეთ!.. საუკეთესო ღვინოს მოგართმევთ!.. რომ არ მქონდეს, ვიშოვი... თქვენისთანა პირებს ჩემს ოჯახში დავინახავ და ცუდ რამეს მოგართმევთ, რავა გეკადრებათ!.. აბა, შაშა, შენი ჭირიმე, კვირას უსათუოდ!..

— კარკი, კარკი!.. მოუდის, მოუდის! — მხარზე ხელის დარტყმით უთხრა ვასილ ივანიჩმა გალაქტიონს, რამაც ის კიდევ უფრო გაახარა.

გალაქტიონმა რამოდენიმეჯერ თავი დაბლა დაუკრა, საბეგანათებული ოთახიდან გამოყვა ალექსანდრეს და ისევ მიმართა მას მუდარით:

— შენს სულს ვენაცვალე, შაშა!.. თუ ჩემი ოჯახის სიკეთე გსურს, ა, ახლა დევინახავ!.. არ გადამითქვათ დანაპირები!.. ვამსადე შენი საუკუნო მონა-მოსამსახურედ!

— კი, ბატონო, კი!.. გადაწყვეტილია... კვირას უსათუოდ შენთან ვართ.. შენსას ვქეიფობთ!

— თუ შეგხვდესთ იმისთანა ვინმე, რომ მხარი დაგიმშვენოსთ და თქვენი სასიამოვნო იყვეს, ნუ დამირიდებთ,* წამოიყვანეთ ისიც!.. ერთი სიტყვით, ისე მოდით, რომ თქვენდა

გულისაჯერად დრო გაატაროთ. მასპინძლობა კი ჩემს კისერზე იყოს!.. ისეთი დრო უნდა გაგატარებინოთ, რომ სამახსოვროდ გექნესთ!.. კი!..

— აბა ჰე, აბა ჰე!.. ჩვენც მაგისათვის მოვემზადებით! — მხიარულად უთხრა ალექსანდრემ.

— აბა, ახლა მე გავსწევ* და აქედანვე შევუდგები თადარიგს, რომ თქვენდა საკადრისად დაგიხვდეთ, როგორც თქვენისთანა პატიოსან პირებს შეეფერება!.. აბა ასე, შაშას ჭირიმე, ასე, შენ გენაცვალე! — დასასრული აღარ ეძლეოდა გალაქტიონის მუდარას და ხვეწნას. დაბოლოს, როგორც იქნა, გამოემშვიდობა ყმაწვილ კაცს და სიხარულისაგან აფრენილმა,* რომ საქმე სასურველად ეწყობოდა, გასწია შინისაკენ.

სახლში დაბრუნებული გალაქტიონი მეორე დღიდანვე შეუდგა სტუმრების მიღებისათვის თადარიგს. ოჯახში დილი-

ღან საღამომდი მხოლოდ იმის შესახებ იყო ლაპარაკი, თუ ოა მოეშზადებინათ და როგორ მოეწყოთ ყველაფერი ისე, რომ სტუმრებს სიამოვნებოდათ. არც გალაქტიონს, არც ზენათის არაფერი აკ ეშურებოდათ ამათთვის, რაკი მათგან დიდ სიკეთეს გამოელოდნენ. მეზობლებშიაც გაიგეს, რომ ხოსოლიანებისას უცხო სტუმრებს მოელოდნენ კვირისათვის და ყველა დაინტერესდა მათი დანახვით. მხოლოდ ბაკულას ღორები და ცხვარი თავისას მაინც არ იშლიდნენ და იმ კვირაში ბარე ორჯერ მოინახულეს მათი საყვარელი ზენათის ბოსტანი.

— მაცალეთ, მალე ყველას გაგიჩენთ მუხლებში კანკალს, მალე! — იმუქრებოდა გალაქტიონი. — მალე სულ სხვა გუნებაზე მეყოლებით ყველა!.. დაგიდგებათ თვალები! — დაიმედებულად ამბობდა იგი.

სანატრელი კვირაც გათენდა. ზენათის ყველაფერი დამზადებული ჰქონდა სტუმრებისათვის: ცხვარი, ინდაური, ქათმები, აუარებელი ხაჭაპური, გომიჯები,* ნაშოვნი იყო მშვენიერი წითელი ღვინო. დილიდანვე მომყოლი კაცი ააბლეს დაბაში და კიკილო გზას დააყენეს მოდარაჯედ, რომ ეცნობებია დროზე ცხენოსანი სტუმრების მოახლოება.

დღე საგანგებო კარგი გათენდა.

ჯერ ადრიანი იყო კიდევ, სტუმრები რომ გალაქტიონის ეზოში ჩამოხტნენ, სადაც მათ დიდი მოწიწებით შეეგებნენ გალაქტიონი და ზენათი თავიანთი შვილებით.

რადგან ჯერ წირვა* გამოსული არ იყო და ეკლესიაც ახლოს იყო, სტუმრებმა უარი არ თქვეს ეკლესიაში წასვლაზე, რამაც დიდად გაახარა მასპინძელი. გალაქტიონი თავად ეახლა თავის სტუმრებს და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონებია, როცა ხედავდა, თუ რა მოწიწებით აძლევდა სალამს მის სტუმრებს ნაწირვებს ეკლესიის გალავანში გამოფენილი ხალხი.

— ნუ ჩტო, პუგაიუტსია? — ღიმილით, ხმადაბლა წაულაპარაკა ვასილ ივანიჩმა ალექსანდრეს.

— ალბათ! — სიცილითვე მიუგო მან. — ჩვენი მასპინძელი ერთობ მხიარულადაა... ალბათ, ატყობს! — ეშმაკურად დაატანა მან.

ეკლესიიდან შემატებული კამპანია ჩამოვიდა გალაქტიონი-

სას, უცხო სტუმრებს მიემატა ახალგაზრდა მღვდელი და გალაქტიონის რამდენიმე მეზობელი.

რადგან დღეც ხელს უწყობდა, ეზოშიაც ფართოდ შტიგაშლილი ცაცხვი იყო, გადაწყვიტეს სუფრა ამ ცაცხვის სასიამოვნო ჩრდილში გაეშალათ.

ერთ წამში სუფრა აივსო ათასნაირი ნამზადებულობით, ღვინიანი ბოთლებით, პატარ-პატარა ნიტრებით* და ჭიქებით. პატარა საზოგადოება მხიარულად შემოუსხდა სუფრას; ამ მხიარულებას ხელს უწყობდა გალაქტიონის გულუხვობა, ზენათის თავგადადებული მსახურება და განსაკუთრებით ის მშვენიერი, მართლაც და სანაქებო ღვინო, გალაქტიონმა რომ სტუმრებს მიუტანა. სადღეგრძელო სადღეგრძელოებზე ისმეზოდა ძალდაუტანებლად, სიამოვნებით; ყველანი უსურვებდნენ მასპინძელს სიკეთეს, ბედნიერებას, მშვიდობიან ცხოვრებას, მტრის აშორებას და ყველა მათი შემაწუხებლის დამხობას.

ზენათიც და გალაქტიონიც სიხარულისაგან, რომ ასეთი შნოიანი ნადიმი ჰქონდათ, ცაში დაფრინავდნენ. სიხარულმა უფრო იმატა, როცა მეტისმეტად გამხიარულებულმა ვასილ ივანიჩმა, რომელიც უპრაგონოდ* სცლიდა სტაქანს* სტაქანზე, ზენათისთან, თუმცა ბანცალით, მაგრამ მაინც ითამაშა ლეკური და შემდეგ ჩააცივდა მის გვერდით მჯდომ მოძღვარს და საშველი არ მისცა, სანამ ზეზე არ წამოაგდო ლეკურის სათამაშოდ.

— პლიაში, პოპინა, ჩორტ ტებია პობერრი* ნუ! — იძახოდა იგი და ამასთანავე მუშტებს ურტყამდა კისერში მეორე გვერდით მჯდომარე ალექსანდრეს, ხან გულში იკრავდა და უშვერი სიტყვებით უთავაზდებოდა. მღვდელმა შეამოიკრა თავისი ანაფორის* კალთები და ერთი-ორი ჩაბუტუტა. საერთო სიცილს და მხიარულებას დასასრული არ ჰქონდა. მადლიერი გალაქტიონი მადლობის ნიშნად ხელზე ემთხვია მოძღვარს, მერმე გადაეხვია ალექსანდრეს და გულმხურვალედ გადაკოცნა.

სწორედ ამ დროს მოისმა ტრუბის გამწარებული ყეფა. ზენათი, რომელიც ალექსანდრეს ფეხთით იყო მორთხმული და ესიყვარულებოდა მას, ამის გაგონებაზე წამოვარდა ზეზე და ბოსტნისკენ გადიხედა; აქეთკენ გავარდა კიბილო და, რადა-

გან ყეფა არ წყნარდებოდა, აქეთკენვე გაიქცა პიტია, რომელსაც შეშფოთებულმა ზენათიმ გადაულაპარაკა:

— პიტია! გადიხედე, შვილო, რა ამბავია!

მაგრამ გადახედვა საჭირო აღარ იყო ამბის გასაგებად. ცხადი იყო, რაც ამბავი იყო. ბოსტნიდან ცაცხვისაკენ გიჟურად მორბოდა ორი ღორი, მათ უკან ორი ცხვარი, მორბოდნენ შურდულივით, სადაც სუფრა იყო გაშლილი, უტიფრად ეცნენ და შევარდნენ სუფრის ქვეშ და თუმცა ყოველი მხრიდან რტყმევით და ცემით უმასპინძლდებოდნენ, მაგრამ თავგამოდებით, უტიფრად არ იცვლიდნენ ფეხს და ფაცურობდნენ, რომ რაც შეიძლებოდა მეტი რამესათვის მოედვათ ტუჩი. ალბათ, საჭმელების სუნმა გააბრუა და თავდავიწყებამდის მიიყვანა დამშეული ოთხფეხი და აღარ ერიდებოდწენ აღარც ტრუბიას კბილებს, აღარც იმ ჯოხებს, რომელსაც გალაქტიონთან ერთად თავაზობდნენ* სტუმრებიც.

ამგვარი ამათი საქციელი თან აკვირვებდა ყველას, თან უზომო სიცილს იწვევდა.

ალექსანდრე იცინოდა ისე გულიანად, რომ იქაურობას აკრუებდა.

— ა, ბატონო, ა!.. შეიძლება ამისთანა ამბავი?! — იძახოდა გამწარებული გალაქტიონი. — შეიძლება ამისთანა ამბავი!.. მიშველეთ რამე... ყველას გეხვეწებით, დამიხსენით იმ კაცისაგან!.. მეზობელი კი არა, ამაოხრებელი მტერია ჩემი!.. მიხსენით იმ არაწმინდისაგან! — შესჩიოდა იგი ყველას და უმეტესად ვასილ ივანიჩს და ალექსანდრეს.

ამგვარადვე წიაქობდა* ზენათიც. ალექსანდრე კი ისევ ხითხითებდა, ხითხითებდა გულიანად.

— ვასილ ივანიჩ, სვინი* ვასილ ივანიჩ! ხა, ხა, ხა! სვინი, სვინი! — ჩასძახოდა იგი ვასილ ივანიჩს.

მაგრამ ამას აქ ქვეყნის აღარაფერი ესმოდა, ისე იყო ბოვრალი და მხოლოდ ლუღლუღებდა.

— ნუ ტებია... სამ სვინია! კ ჩორტუ!*

— მიშველეთ, ერთი ახლა შეუცუცხუნოს საკადრისად... მიშველეთ! — ეხვეწებოდა გალაქტიონი ალექსანდრეს.

— რაღას შეუცუცხუნებს, ვერ ხედავ, შე დალოცვილო, კაცი საიქიოს მიემგზავრება!* — იცინოდა ალექსანდრე.

— შენ აბა, შენ... მიქენი წყალობა!.. თუ ჩემი სიკეთე გსურს, დაუფთხე ანგელოზები იმ უსინდისოს, მაგ ნამუსდაკარგულს! შაშა, მიშველე! — ემუდარებოდა გალაქტიონი.

— გვიშველე, შენს სულს დავენაცვლე!.. აღარა ვარო, მაგისაგან... გვიშველე, შენი ჭირი შემეყაროს! — ევლებოდა თავის ნათესავს ზენათი.

— გამოფხიზლდება აგერ და მაშინ, მაშინ!.. რა ყოფილა, რა ამბავია ეს... მართლა უცნაურობა რამე არაა?!.. რა ნახეს ჩემმა თვალებმა! — შეუჩერებლივ ხითხითებდა ალექსანდრე.

ღორები ერთი ვაი-ვაგლახით გადადენეს ეზოს გადაღმა. უგრძნობლად მთვრალი ვასილ ივანიჩი იქვე ცაცხვქვეშ ნოხზე დააწვინეს მოწიწებით, იმის იმედით, რომ ტკბილი ძილის შემდეგ გამოფხიზლებული დაიბარებდა ბაკულას და ცოლ-ქმრის საჯაროთ შეტუქსავდა.

მაგრამ როცა საღამოს ვასილ ივანიჩმა გამოიღვიძა და ალექსანდრეც მოუყვა, თუ რა ამბავი დააწვიეს გალაქტიონის ეზოში ბაკულას ღორებმა, მან, ბურანში მყოფმა, ხელის გაქნევით წამოიძახა — ა ნუ იხ კ ჩორტუ! და წასვლა აიჩქარა. და რადგან დაუინებით მოითხოვდა გამგზავრებას, ცხენებიც მოართვეს და უცხო სტუმრები ისე გამოეთხოვნენ მასპინძელს, რომ მათი მაწუხებელი მეზობელი თვალითაც არ დაუნახავთ და სიტყვაც არ გაუცია მისთვის.

თუმცა ამან ცოტა არ იყოს გული დასწყვიტა ცოლ-ქმარს, მაგრამ ორივე დიდად კმაყოფილნი იყვნენ, რომ სტუმრებს სანაქებოდ დაუხვდნენ, ასიამოვნეს და იმ იმედით რჩებოდნენ, რომ დღევანდელი დღე თავის გავლენას იქონიებდა წინათ დაურიდებელ მეზობლებზე.

ამის გამო, თუ სხვა მიზეზით, მართლადაც ერთ ხანზე ზენათის ბოსტანს შეღავათი მიეცა, შიგ ბაკულას ღორებს ფეხი აღარ შეუდგამთ, შესწყდა წინანდელი ზენათის ქაქანი, ტრუბიას ყეფა, ლანძღვა, გინება, რაც ბოსტნიდან მაღლა სერზე მცხოვრებთ ეგზავნებოდათ. თითქო სასურველი მშვიდობიანობა ჩამოვარდა, იმედი გამართლებულიყოს და ნახმარ საშუალებას გაეკრას, ისე ჰგავდა.

ცოლ-ქმარი ხოსოლიანები დიდად მოხარულნი იყვნენ. მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ორიოდე კვირის შემ-

დეგ ღორებმა ისევ განაახლეს თავისი ჩვეულება, ისევ იწყეს ზენათის ბოსტნის აწიოკება და რაც ხანი გადიოდა, თითქო ჯინაზე მეტსა და მეტს ზარალს აყენებდნენ, მეტად და მეტად ჯიჯგნიდნენ იქაურობას.

გამწარებულმა გალაქტიონმა თავის მფარველებს მიაშურა.

— რას შვება შენი მეზობლის ღორები? — სიცილით ჰკითხა ალექსანდრემ, გალაქტიონი რომ დაინახა. — შეშინებულია თუ არა?.. კაცო, რა ღორები ჰყოლია... რა ჯიშისაა თუ ღმერთი გწამს?!.. ხა, ხა, ხა!

— იცოცხლე, იმას თავისი მოუვიდა... და აქამდისინ თქვენი წყალობით ერთობ მოსვენებული ვიყავით... მარა ახლა ისევ...

— ჰო!

— ისევ წინანდებურად დეიწყეს... ამომიგდეს ნაოფლარი! ვერასგზით ვერ მოვიშორე! ნამეტან ზარალს მაყენებენ, შაშა ჩემო!

— გადუარა შიშმა აბა! — გაიცინა ალექსანდრემ.

— უნდა მიშველოთ, შაშა!.. მარა ისე უნდა შემეწიოთ, რომ სამიდღემჩიოდ ჩამომშორდეს... მაგისთანას სხვანაირად უნდა მოექცეთ... რომ გონება დეებნას!

— აბა კიდევ შევაშინოთ... მარა უფრო მაგრად!

ამ დროს ოთახში ვასილ ივანიჩიც შემოვიდა.

— ნუ ჩტო, — მიმართა მან გალაქტიონს, — ისპუგალის?

— გადუვლია შიშს! — რუსულად მიუგო ალექსანდრემ.

— აბა არ შენაგვძლებია შეშინება! — გაიცინა ვასილ ივანიჩმა.

— ახლა უნდა, რომ სხვანაირად, უფრო მაგრად შევაშინოთ!.. უფრო კარგი ღვინით!..

— აბა, მაგის მეტი საქმე აღარ გვქონია... მაგის მეზობლები ვაშინოთ! — წაილაპარაკა ვასილ ივანიჩმა და გაშორდა.

მეტად გულდაწყვეტილი დაბრუნდა გალაქტიონი შინ, რომ არაფრად მიიჩნიეს მისი შეწუხება მისმა საიმედო პირებმა.

— აბა, იმისთვის გავწიეთ ამდენი ხარჯი, რომ მარტო შეესვათ, შეეთხვლიპათ ყველაფერი და არაფერში გამოგვდგომოდნენ?.. — წამოიძახა ზენათიმ, როცა გალაქტიონი მოუყვა, თუ როგორ შეხვდნენ მას დაბაში. — იმისათვის გაგვა-

წევიეს ამდენი ხარჯი, რომ ოხერ ბაკულასაგან ვერ დაგვიფარონ?!.. აბა, რაღა შეუძლიათ მაგათთანა ოხრებს?!

გალაქტიონი კიდევ იმედით იყო მათზე და ორჯერ-სამჯერ კიდევ მოიარა დაბა და ინახულა ვასილ ივანიჩიც და ალექსანდრეც; მაგრამ მისთვის არავის სცალოდა, მისთვის თავს არავინ იწუხებდა და, როგორც ეტყობოდა, მისი პურ-მარილიც დავიწყებას ეძლეოდა.

ახლა ბაკულასთან ერთად ამათზედაც გული ჯავრით ევსებოდა გალაქტიონსაც და ზენათისაც.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, თუ მაგათზე, მაგ უნამუსოებზე ჯავრი არ ვიყარე! რამე არ დავმართე! — გულმოსულად წამოიძახა გალაქტიონმა ერთ დღეს ზენათისთან.

— რა უნდა დამართო, ერთი შენ! — შეუტია ზენათიმ.

— იმ ჩემ პურ-მარილს წავამწარებ! წავამწარებ ორივეს, თუ კაცი ვყოფილვარ!.. მეგონა კაცები იყვნენ!

— არაფერი ისულელო კიდო... არაფერში გეეხვიო, თუ ღმერთი გწამს!.. კმარა ისიც, რაც ჩვენ თავზედაა! — უთხრა ზენათიმ.

— ჩემ პურ-მარილს წავამწარებ! — დაჟინებით განმეორა გალაქტიონმა. — კი!

გულნატკენმა გალაქტიონმა უკანასკნელ ხანებში რამოდენიმეჯერ მოიარა დაბა და ერთ დღეს მაზრის სამმართველოშიაც მივიდა ალექსანდრესთან.

— რავა მშვიდობით ბრძანდები, ნანა? — მიმართა გალაქტიონმა მას.

— ვართ, შენი ჭირიმე!

— ბატონი ვასილ ივანიჩი? ხომ კარგად არის?

— კარგად არი... მარა, გალაქტიონ, გირჩევნია ნუ დაენახვები! — ღიმილით მიუგო ალექსანდრემ.

— რატომ, შენი ჭირიმე?.. საწყენი ჩემგან რა შეხვდა?

— შენგან არა, პირადად... მარა შენი გამოისობით კი!

— რავა, რავა, შენი ჭირიმე?.. გამაგებინე, შენ გენაცვალე! ღმერთო, მომკალი! — შეწუხდა გალაქტიონი. — გამაგებინე, შენ გენაცვალე... რა იყო, რის თაობაზე?..

— რის თაობაზე, და, შენსას რომ ვიყავით, ვიღაცას დანისი* მოუწერია მაზრის უფროსისათვის... უწერია უცნაუ-

რად, თუ როგორ დავთვერით, ნამეტურ ვასილ ივანიჩი, როგორ დაგვერია ღორები, ეკირიეთ ღორებში... რომ მთელი სოფლის სასაცილო გავხდით ვითომ... რომ უგრძნობლად ჩამოათრიეს სახლში, რა ვიცი, რამდენი რამე ამისთანები... ერთი სიტყვით, რაც იყო, რაც არა... ათასი სისაძაგლე. გადარეული იყო მაზრის უფროსი, დეიბარა ვასილ ივანიჩი და ისეთი დღე დააყენა, რომ შენი მოწონებული... სამსახურიდან დათხოვას დაემუქრა, თუ კიდევ ამგვარი რამე განმეორდებაო... აბა!

— ღმერთო, მომკალი! ღმერთო, მომკალი! — გულში მუშტის ცემით ამბობდა გალაქტიონი.

— ჰოდა, ეს მოხდა შენი მეზობლის შეშინებისათვის! მარა ის კი არ შეგვიშინებია, ჩვენ შეგვაშინეს უფრო, შენ გენაცვალე! — სიცილით თქვა ალექსანდრემ. — სამსახურიდან კაცი დაგითხოვონ, ეხუმრები შენ?..

— ღმერთო, მომკალი! — წუხდა გალაქტიონი. — რა ხალხი ვართ, რა ხალხი ვართ!.. ყველგან შური!.. ახლა რაი და ამისთანა კეთილები გოუჩნდაო და აღარაფერს ერიდებიან, რომ თქვენი თავი დამაკარგვინონ!.. ჰმ! რა უნდა ქნა კაცმა, რაობით* უნდა იცხოვრო?! ვიცი, ვისიც ნამოქმედარია ეს საქმე. რაობით დაუმტკიცებ, თვარა რაღა ლაპარაკი უნდა, რომ იმ ვაჟბატონის, ჩემი მეზობლის, ბაკულას ეშმაკობაა... რა ლაპარაკი უნდა! მეტი ვინ იზამდა... ვის რა ენაღვლებოდა, თქვენ მყოლებოდით! ქვეყანაზე მეორე არ მოიძებნება იმდაგვარი ყოვლად წამხდარი, გაფუჭებული, ზნედაცემული ადამიანი! თავს დავდებ, თუ ეს მისი შტუკა* არ არის!.. რაი და, ჩემს ჯინაზე ვითომ!.. ღმერთო მომკალი, თქვენ რატომ შეგხვდათ ჩემი გულისათვის ასეთი უსიამოვნება, თვარა ის რა კაცია, კი ვიცი!.. შაშა, ვნახავ ერთი ვასილ ივანიჩს!

— რათ გინდა?

— ბოდიშს მაინც მოვიხდი, რომ ჩემი გულისათვის ასეთი უსიამოვნება შეუხვედრებიათ!

— აჰ, თავი დაანებე! ის ისეთი გაჯავრებულია, რომ ყველა ჩვენებურს უშვერი სიტყვებით იხსენიებს!.. შენც უცნაურს რაცხას გეტყვის, ტყვილა გაალანძღვინებ თავს!.. ამ ერთ ხანზე მაინც ეერიდე! — ურჩია ალექსანდრემ.

— ღმერთო, მომკალი! — შეწუხებული იმეორებდა გალაქტიონი. — ღმერთო, მომკალი!.. რა ვქნა!.. მომსპო იმ კაცმა ყოველნაირად და ეს არის!.. ნეტავი კაცი მაინც იყოს!

ამ დროს ოთახში ვასილ ივანიჩიც შემოვიდა ქაღალდებით ხელში და რაღაც საქმე მოსთხოვა ალექსანდრეს. გალაქტიონმა მოწიწებით თავი დაბლა დაუკრა, მაგრამ ვასილ ივანიჩს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და როცა, მიუხედავად ამისა, გალაქტიონმა მაინც მშვიდობა და კარგად ყოფნა უსურვა, მან წარბშეკვრით წაილაპარაკა:

— ნუ ვას ვსეხ კ ჩორტუ!.. — და რაკი მოთხოვნილი საქმეც მიიღო, ოთახიდან გავიდა.

გალაქტიონმა მას თვალები გააყოლა და ისევ ალექსანდრეს მიმართა:

— შაშა, ოხერი კაცის გულისათვის ნუ გამრისხავთ, თქვენი ჭირიმე!.. ყოველგვარად ნუ დააჯაბნიებთ ჩემს თავს, ჩემს ოჯახს იმ არაწმინდას!.. ამომიგდო, ამომიგდო ნამუშევარი, მადლობა ღმერთს ქონდეს, გოუძლებთ კიდევ, მარა ეს წუეულის წყალობით თქვენისთანა კეთილები რაეა უნდა შეკარგებოდეს!.. თქვენი იმედით ვიყავი გაღონიერებული და მედგა სული!.. ნუ გამიმეტებთ, შაშა, ნუ დამღუპავთ, ნუ გამაგდებთ განზე უპატრონოდ!.. გაფიცებთ ყველაფერს!

და ამას ისეთი კილოთი ეუბნებოდა გალაქტიონი, რომ ალექსანდრესაც კი შეეცოდა იგი და არწმუნებდა, თავისი მხიარული სიტყვით ანუგეშებდა, რომ იგი კვლავაც მისი შემწე და დამხმარე იქნებოდა, სადაც კი გაუვიდოდა.

საღამოს შინ დაბრუნებული გალაქტიონი კი სიამოვნებით ეუბნებოდა ზენათის:

— იცოცხლე, ორთავეს სიმწრის დღე მიჰყენებიათ!..* კი!.. ის რუსი კიღამ სამსახურიდანაც დაუთხოვიათ... გამწარალია,* ხმას არ იღებს... იმ შენს ნათესავსაც ეტყობა კარგად მოხვედრია... არ ამხელს თელათ თუ არა! იცოცხლე!.. ამით მაინც ვიჯერე გული!.. არ შეარგოთ ჩემი პურ-მარილი ჩემმა გამჩენმა!.. ხომ წავამწარე!

— არ გაგიგონ, შე უბედურო, თვარა წამწარებას მაშინ იტყვი შენ! — უთხრა ზენათიმ.

— გამიგონ, აბა?! იმათმა სიცოცხლემ! საიდან გამიგებენ?

ოვის დამწერი ამ ნაადგილე აღარ არის — ისეთი კაცი ვიშოვე... ნეტავი მეტი რამე შეიძლებოდეს, მე ისინი არ დავზოგო და ვერც გამიგებდნენ ვერაფერს!.. ოხრები, ქვეყნის მძარცველები, თავისი თავის მეტი არავინ ახსოვთ, არავის ჯავრი, აქვთ! დასწყევლა ღმერთმა ყველა. არავისაგან საშველი არ არის! ყველა გამღლეტია, ყველა მძარცველია! — გამწარებით ამბობდა გალაქტიონი. — ამათზე ხომ ვიყარე გულის ჯავრი... შოუხდებათ!.. ერთ დღესაც გაწყვეტილან ყველა, ვისაც არ ვებრალებით! ყველა ერთ დღესაც გაწყვეტილან!

1912.



ᲕᲘᲔᲚᲔᲑᲘ

ირინეს გედნიერება

ურათი სოფლის ცხოვრებიდან ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი

სამსონ სალამთაძე, შეძლებული მემამულე.
ეკა, ცოლი ამისი.
აბესალო, შვილი ამათი 28 წ.
ფილიპე ბარბაქაძე.
ირინე, მისი ქალიშვილი.
ვიქტორ, ყმაწვილი 28-30 წ.
პავლე როდამიშვილი, 25-26 წ.
სოლომონ, ნათესავი ირინესი.
სოგრატ, ნესტორ } ამხანაგები აბესალოსი.
ნიკოია, ბიჭი.
სტუმრები: ყმაწვილი კაცები და ქალები

მოქმედება პირველი

სცენა წარმოადგენს ბარბაქაძის ეზოს. მარჯვნით მოჩანს დიდი, ოდის აივანი. მარცხნით ნიგვზის ხის ქვეშ გაშლილია სუფრა — სხედან აბესალო, ვიქტორ, სოგრატ, ნესტორ და სხვა ყმაწვილები. ცეკვა-თამაშია. იქით ღობეა და მოჩანს მეზობლის სახლები, დღეობაა ბარბაქაძისას. მოისმის დაირის ხმა. სცენაზე ლეკურის თამაშია. უკრავენ სალამურსაც. სტუმრები: ყმაწვილი კაცები და ქალიშვილები.

ფ ი ლ ი პ ე

(მოარპენინებს ცალ ხელში შამფურით მწვადს, მეორე ხელში თეფშს ცხელი ღომით). მიირთვით... მიირთვით, თქვენი ჭირიმე!..

უ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი

ფილიპეს გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს ფილიპეს! (აწოდებენ ყანწით ღვინოს).

ფ ი ლ ი პ ე

თქვენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა ათას წელიწადს!.. ჩემი თავიც გამსახუროსთ!.. ჩემი საწყალი ოჯახი არ შეგძულებოდესთ... იცოცხლეთ მხიარულად, კეთილად და ბედნიერად! (დაიწყებს იმერულ მრავალჟამიერს, უმაწვილებიც აჰყვებიან).

ა ბ ე ს ა ლ ო

(როცა ფილიპე ყანწს გამოცლის). ბატონო ფილიპე, შენი სულის ჭირიმე, ერთი ლეკური, ლეკური, თუ გიყვარდე! ტაში, ტაში, უმაწვილებო!

ფ ი ლ ი პ ე

კი, შენი ჭირიმე! კი, ჩემო ბატონო! (ფილიპე ცეკვავს, შემდეგ ირინეს გადასძახებს) ბოშო!* (ორივე მამა-შვილი განაგრძობენ ცეკვას, მერე ირინე სახლისკენ გაეშურება, თანვე გაჰყვება საერთო ყიჟინი. აბესალო ყვირის).

ა ბ ე ს ა ლ ო

ბატონო ირინე!.. ბატონო ირინე!.. მიგვატოვა?! სოგრატ! ნესტორ! ახლავე აქ მოიყვანეთ! ახლავე მოიყვანეთ აქ! (უმაწვილები წამოვარდებიან და გავლენ) უირინეობა შეუძლებელია!.. ბატონო ირინე!

ვ ი ქ ტ ო რ

კარგია,* აბესალო, კმარა, ყმაწვილო!.. ნამდვილი არაფერი არ ვარგა!..

ა ბ ე ს ა ლ ო

ვიქტორ, ახლავე აქ მოიყვანე ირინე, აქვე დამიჯერე ამ სუფრაზე, ჩემს გვერდით!.. ახლავე, ვიქტორ, გესმის!..

ვ ი ქ ტ ო რ

ყმაწვილო, ღმერთმანი, სხვანაირად მიიღებენ მაგ შენს საქციელს... მაგ შენს ხუმრობას რამე კუდს გამოაბამენ და, ვიცი, უსიამოვნებით გათავდება. სხვა არაფერი იქნება... ხომ იცი, სოფლის ამბავი!..

ა ბ ე ს ა ლ ო

თუ ძმა ხარ, შენი დარიგება შენთვის შეინახე და ახლა ის ამისრულე, რასაც გთხოვ... ირინე მომიყვანე და გვერდით მომისვი!..

ვ ი ქ ტ ო რ

თუ ჩემი ძმობა გწამს, თავი დაანებე იმ ბავშვს, აბესალო!.. თუ ჩემი ძმობა გწამს!.. შეხუმრებასაც თავისი საზღვარი აქვს!..

ა ბ ე ს ა ლ ო

სიდოუბრი შეხუმრებაა?! კაცს გონება მეშლება, თვალები ეს არის წამომცვივდება მისი მზერით და ეს შეხუმრებაზე მელაპარაკება!.. ნუ ამაყენებ, ვიქტორ, მომიყვანე ირინე...

ვ ი ქ ტ ო რ

ხა, ხა, ხა! გასაკვირველია შენი დღევანდელი ამბავი!.. კაცმა დაგიჯეროს, რომ მართლა ასე აგიტაცა ამ საწყალმა ირინემ?!

ა ბ ე ს ა ლ ო

უნდა დამიჯერო, რომ გეუბნები!

ვ ი ქ ტ ო რ

კარგია, თუ კაცი ხარ!

ა ბ ე ს ა ლ ო

არ მოიყვანე?

ვ ი ქ ტ ო რ

თითქოს პირველად გენახოს დღეს მაგი ქალი!..

ა ბ ე ს ა ლ ო

არ დავკვირვებივარ დღემდის და იმიტომ არაფრად მიმაჩნდა. დღეს ამეხილა თვალები და გეფიცები, ვიქტორ, უმაგისოდ ერთ წუთას გაძლება არ შემიძლია!... მომაჯადოვა, მომაჯადოვა მაგ დაწყევლილმა!

ვ ი ქ ტ ო რ

მოგაჯადოვა კი არა! გინდა თავის გასართობად გაისადო და იმას კი აღარ ატან თვალს,* რა ბოლო შეიძლება მოჰყვეს მაგ შენს გართობას!..

ა ბ ე ს ა ლ ო

გარწმუნებ, მე სრულიად არ ვხუმრობ, და ისევ გთხოვ, ირინე აქ მოიყვანო!..

ვ ი ქ ტ ო რ

გარწმუნებ, რომ თუ კიდევ განაგრძე ირინესთან შენი საქციელი, დღევანდელი დღე უსიამოვნებით გათავდება და ის იქნება... გინდა, მოწადინებული ხარ, ჩვეულებისამებრ, უსათუოდ შფოთი ატეხო, სხვა არაფერი!

ა ბ ე ს ა ლ ო

მე მინდა, ირინე აქ მომიყვანო, სხვა არაფერი!

ვ ი ქ ტ ო რ

უსათუოდ გინდა, როდამიშვილი გაახელო და შფოთში ჩაითრიო რამეფრად... უამისოდ მოწყენილი ხარ...

ა ბ ე ს ა ლ ო

როდამიშვილი ვინ ოხერია?!

ვ ი ქ ტ ო რ

ვინაა და, როგორც წელან გითხარი, ირინეს საქმროა... ჯერ ოღონდ გამოუცხადებლად აქვთ პირობა მიცემული ერთმანეთისთვის...

ა ბ ე ს ა ლ ო

ჩემი რა საქმეა... მე რას დავეძებ მერე? ახირებულია!

ვ ი ქ ტ ო რ

შენი საქმე ისაა, რომ ამ ქალიშვილთან უფრო მეტი თავდაჭერილობა გმართებს.

ა ბ ე ს ა ლ ო

როდამიშვილის გამო?

ვ ი ქ ტ ო რ

ჰო!

ა ბ ე ს ა ლ ო

ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა! ძალიანია,* შენ სუ მომიკვდები, ძალიანია! ვილაცა ჩანჩურა* როდამიშვილის გულისთვის ყოველიფე სიამოვნება უნდა მოვიკლოთ... აბა კაცი ის ყოფილა — ჩვენ არაფერი!

ვ ი ქ ტ ო რ

ვაჟკაცს არ შეშვენის, აბესალო, ამნაირი სიტყვა.

ა ბ ე ს ა ლ ო

არც ის შეშვენის, თავი მოიხაროს ყოველივე მაჰასჩალას* წინაშე... როდამიშვილის გულის ამბავი რაში მეკითხება, როცა აქ გენია* ტრიალობს და ჩაქრობას ითხოვს... როდამიშვილი რა ჩემი ფეხებია!.. მაშ არ გინდა თხოვნა ამისრულო — ირინე

აქ მომიყვანო?! შენ გგონია, უშენოდაც არ მოხერხდება ეგ საქმე? (წასვლას აპირებს).

ვ ი ქ ტ ო რ

(დაიჭერს). აბესალო, თუ რაიმე პატივისცემა გაქვს ჩემი, თავი დაანებე ირინეს!.. თუ ძმა ხარ!

ა ბ ე ს ა ლ ო

თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, ვიქტორ!.. თუ ძმა ხარ!.. სად მიმემალა ჩემი მზე, ჩემი მთვარე? უნდა მოვნახო ახლავე... შენი სულისა! (მიდის სახლისკენ).

გამოსვლა მეორე

ვ ი ქ ტ ო რ, მერე რ ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

ვ ი ქ ტ ო რ

ეს შეჩვენებული მანამდი არ მოისვენებს, სანამ ერთ აყალმაყალს და დავიდარაბას არ ასტეხავს, ისეა ატეხილი! ნეტავი მაგ არ მოთრეულიყო დღეს აქ და არაფერი მინდოდა!

რ ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

(აღელვებული). ვიქტორ!

ვ ი ქ ტ ო რ

რა იყო, პაველ?

რ ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

ვიქტორ, უთხარი, ყმაწვილო, იმ შენს ნათლიისშვილს, უთხარი ცოტაოდენი მორიდება მაინც იქონიოს... მართალია, ჩვენზე უკეთეს საზოგადოებაში ნამყოფია, მაგრამ არაფერი "აკადრისია ყველასა ასეთი ჩაუგდებლობა".

ვ ი ქ ტ ო რ

რა იყო, რა ქნა ამისთანა, პავლე ჩემო?

ر ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

განა თვითონ არ შეგიმჩნევია?! ბატონო, რა არის, ამ ყმაწვილ ქალს რომ ჩასცივებია, მოსვენებას არ აძლევს, წამოავლებს ხელს და აკირკვალებს,* თითქოს სათამაშო იყოს მისი... უთხარი...

ვ ი ქ ტ ო რ

რა ვუთხრა, ყმაწვილო, გალეშილია. არაფერი ესმის ამ ქვეყნის.

ر ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

შენც არ მომიკვდე, ის იმდენად მთვრალი არ იყოს!.. და ამას კი გეტყვი, ვიქტორ, თუ მაგან ირინეს თავი არ დაანება, ღმერთმანი, მეტს აღარავინ მოუთმენს და ყველასათვის უსიამოვნებით გათავდება დღევანდელი დღესასწაული... ძმობას გფიცავარ, ვიქტორ!

ვ ი ქ ტ ო რ

შენგან არ მიკვირს, პავლე, ამნაირი სიტყვა რომ მ

ر ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

მაგ ვაკბატონი იმ იმედით ბრძანდება, რომ ვერავინ გამიბედავს ჩამესო და თავისუფლად გრძნობს თავის თავს... როგორც სინდისიერ ყმაწვილ კაცს გთხოვ, ვიქტორ, უსიამოვნება აცვაშორო...

ვ ი ქ ტ ო რ

თუ ძმა ხარ, დაწყნარდი, ნე მიიღებ საწყენად მის საქციელს. შე კაცო, რომ იცოდეს თქვენი ამბავი, ირინეს სულაც არ გაცემდა ხმას...

ر ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

დიახ!.. მაგისთანა ვაკბატონია სწორე!.. მაშინ ჯობია ეარეს ჩაიდენდა!.. შეხედე, შეხედე, ვიქტორ! შეხედე, რავა მოაპოწიალებს*... შეხედე ირინ! და შენ მიდგანები — მოითმინეო?!

იგინივე, ა ბ ე ს ა ლ ო, ი რ ი ნ ე და ს ტ უ მ რ ე ბ ი

ა ბ ე ს ა ლ ო

(შემოჰყავს ირინე ხელი-ხელ გაყრილი). არსად თქვენი წასვლა აწი აღარ შეიძლება, არსად!.. არასფრის გულისათვის!..

ი რ ი ნ ე

ახლავე გიახლებით... საქმე მაქვს. ახლავე გიახლებით!..

ა ბ ე ს ა ლ ო

ყოვლად შეუძლებელია..; ვეღარსად ვერ გაგიშვებთ! ვეღარსად..; აბა სალამურის!.; ტაში!.; ბატონო ირინე, უმორჩილესად გთხოვთ!.; ვასიკო! (გამოვარდება და ლეკურის საცეკვაოდ თავს დაუკრავს ირინეს).

ი რ ი ნ ე

კატო ითამაშებს* ჩემს მოსვლამდის!.; კატო, შენი ჭირიმე!

ა ბ ე ს ა ლ ო

(გზას გადაუღობავს). არ ვიცი მე არც კატო, არც ქატო... ტაში, უმაწვილებო!..

რ ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

ყოჩაღ, ბიჭო!.. ზრდილობაც ამას ჰქვია!

ვ ი ქ ტ ო რ

ჩუ, უმაწვილო!

ა ბ ე ს ა ლ ო

ტაში, ტაში! (ირინე ცეკვავს) შენი გულისა შენი... (ირინე ცეკვას გაათავებს, თავს დაუკრავს, შემოტრიალდება და წასვლას დააპირებს. აბესალო ხელს სტაცებს და შეაჩერებს) ასე მალე, ასე მალე, ბატონო ირინე?

ი რ ი ნ ე

დავიღალე, ღმერთმანი.

ა ბ ე ს ა ლ ო

ასე ცოტათი გინდათ დაგვაჯეროთ? თქვენ არ მომიკვდეთ... ამას გახელება ჰქვია, სხვა არაფერი...: გახელება!

ი რ ი ნ ე

დავიღალე, ბატონო აბესალო... მეტი აღარ შემიძლია.

ა ბ ე ს ა ლ ო

აბა, თუ დაიღალეთ, აგერ დაბრძანდით და დაისვენეთ... აბა, ყმაწვილებო „სულიკო", ისე ტკბილად, ნაზად, ისე რომ ყველას გვიამოს...: დასხედით, დასხედით!.. ჩვენსკენაა ლხინი წამოსული... (ყმაწვილები „სულიკოს" მღერიან).

ი რ ი ნ ე

ბატონო აბესალო, გთხოვთ, ნება მიბოძოთ...

ა ბ ე ს ა ლ ო

არ შეიძლება... თქვენთან ერთად ლხინიც გაგვშორდება...

ი რ ი ნ ე

რა ვქნა, ღმერთმანი!

ა ბ ე ს ა ლ ო

ვიქტორ!

ვ ი ქ ტ ო რ

რა გინდა?

ა ბ ე ს ა ლ ო

თხოვე იმ ყმაწვილს, ასე მწყარალად რომ გვიყურებს, შემოგვჩერებია, ეგერ დაბრძანდეს სუფრის ბოლოში...: ეგებ გული გაუკეთდეს...* (ირინე უკმაყოფილოდ გადახედავს აბესალოს).

ვ ი ქ ტ ო რ

ვერაფერი ოხუნჯობაა, შენ არ მომიკვდე!.. შფოთი გინდა ატეხო, ყმაწვილო?!

ა ბ ე ს ა ლ ო

ა.ხოვე!.. ნუ იბღვირება-კი!

ვ ი ქ ტ ო რ

სუ. ყმაწვილო!

რ ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

გიჯობთ თავი შეიკავოთ და წინდახედულად ილაპარაკოთ!

ა ბ ე ს ა ლ ო

ბიჭოს!.. ხა, ხა, ხა!.. ძალიან გულზე* არ ყოფილა! ერთი ახლოს დამანახვეთ, ვინ ბრძანდება ეს გულ უშიშარი რაინდი! (დგება და როდამიშვილისაკენ მიდის. ვიქტორი არ უშვებს).

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო, რა არის ახლა ეს?.. რა არის?..

რ ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

ტყუილა იქაჩებით... თქვენი არავის არ ეშინია, ამაზე დარწმუნებული ბრძანდებოდეთ!

ვ ი ქ ტ ო რ

ბავლე, არ გრცხვენია! (ყველანი აირევიან) სირცხვილია, ყმაწვილებო, სირცხვილია, სხვა არაფერი!

ა ბ ე ს ა ლ ო

(იწევს). ბატონო, შემახედვიეთ მხოლოდ... ახლოს შემახედვიეთ ამ უცნაური კაცისათვის... მეტს არაფერს გთხოვთ... ვიცნო ერთი მაინც!

ر ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

შეეჩეჩვინე შენთან დამარიდებელი!..

ვ ი ქ ტ ო რ

(იქით მიექაჩება როდამიშვილს. აბესალო სხვა ყმაწვილებშია. ყველანი შეწუხებულნი არიან). პავლე, ჭკუაზე მოდი! ყმაწვილო, ამას მოველით შენგან?

რ ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

შემაშინა მაგისმა შეხედვამ, თუ რა ჰგონია?! (ვიქტორს გაჰყავს).

ა ბ ე ს ა ლ ო

ძალიან არ იქაჩებოდა!.. მიყვარს გულადი კაცი! სიცოცხლეა!

ი რ ი ნ ე

არ გეკადრებათ, ბატონო აბესალო!.. თქვენგან ამას არ მოველოდი!..

ა ბ ე ს ა ლ ო

(ბოტრიალდება). უკაცრავად... თქვენთან უკაცრავად, ბატონო ირინე!.. ღმერთო მომკალი!.. გაწყენინეთ განა!.. ნიავს მივცეთ ქარს გავაყოლოთ ყოველივე უსიამოვნება!.. ყმაწვილებო, ტაში, ტაში!.. (თვითონ იწყებს ცეკვას და იწვევს ირინეს. პირველი უარის შემდეგ ირინე გაჰყვება).

ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი

ბრავო, ბრავო, აბესალო! ბრავო, ბრავო!..

ე რ თ ი ყ მ ა წ ვ ი ლ თ ა გ ა ნ ი მ ე-2-ს

როდამიშვილის ჯინაზე თამაშობს.

მ ე-2 ყ მ ა წ ვ ი ლ ი

კი, ახელებს მას... შეატყო, რომ პავლეს სწყინსო ირინესთან შეხუმრება და განგებ ახელებს...

1-ლი ყმაწვილი

უნდა უსათუოდ ჩხუბში ჩაითრიოს...

ა ბ ე ს ა ლ ო

(ცეკვის გათავების ქემდეგ ხელზე აკოცებს ირინეს). გმადლობთ, გმადლობთ, ბატონო ირინე! (სახლიდან მოისმის სიმღერა და დაირის ხმა, ყველანი იქით გაეშურებიან).

გამოსვლა მეოთხე

ი რ ი ნ ე დ ა ა ბ ე ს ა ლ ო

ა ბ ე ს ა ლ ო

(უკან მისდევს ირინეს). გინდოდათ გამქცეოდით?! ხომ დაგიჭირეთ!.. ხომ ვერ დამემალეთ!.. სად უნდა დამემალოთ?! სად უნდა წამიხვიდეთ?.. გარწმუნებთ, რომ ვერსად... ვერსად!

ი რ ი ნ ე

რა გნებავთ, ყმაწვილო?

ა ბ ე ს ა ლ ო

ეგრე მწყრალად?!.. ეგრე კუშტად?!.. ნუ, ნუ, თუ ღმერთი გწამთ... თუ კაცის სიბრალული გაქვთ! მაგ ქილოთი ყოველ გაბედულობას მიკარგავთ... მხდალად მხდით...

ი რ ი ნ ე

(ვიქტორს დაინახავს). ვიქტორ... ვიქტორ!

ვ ი ქ ტ ო რ

ბატონო!

ა ბ ე ს ა ლ ო

ნეტავ შენ ყველგან მიმსწრები არ იყვე, ათასწილად აჯობებდა, ძმობას ვფიცავარ!

ვ ი ქ ტ ო რ

უკაცრავად შენთან, მაგრამ ხომ გაიგონე, რომ მიხმეს...

ა ბ ე ს ა ლ ო

ა, ხომ ხედავ, ყველანი მშვიდობით ვართ და შენც შეგიძლია თავისუფლად განაგრძო შენი გზა...

ვ ი ქ ტ ო რ

თუ ირინე მიბრძანებს...

ი რ ი ნ ე

არა, არა, მე გთხოვთ, აქ იყვეთ...

ა ბ ე ს ა ლ ო

ღმერთო მომკალი! თუ არა და ამდენად გეწინიანთ ჩემთან მარტოდ დარჩენა?..

ვ ი ქ ტ ო რ

რაებს ლაპარაკობ, ყმაწვილო?

ა ბ ე ს ა ლ ო

შენ რომ აქ არ იყვე, სწორედ უფრო წესიერად ვილაპარაკებდი და იმას ვიტყოდი, რისი თქმა მსურს!..

ი რ ი ნ ე

ვიქტორთან მე საიდუმლო არაფერი მაქვს... შეგიძლიათ თქვენი სათქმელი მაგასთანაც თქვათ...

ა ბ ე ს ა ლ ო

უშენოთ რომ არაფერი გაკეთდება, რომ არაფერი ითქმება... ყველას მესაიდუმლე რომ ხარ!... გასაკვირველია!.. ვიქტორ, თუ ძმა ხარ, ერთხელ მაინც დათმე... გთხოვ ძმურად!

ვ ი ქ ტ ო რ

არ გესმის, ყმაწვილო, თუ დაყრუვდი დღეს?.. არ გესმის ამ ქალის ნათქვამი?..

ა ბ ე ს ა ლ ო

შენ რომ გხედავ აქ, ყურთასმენაც მაკლდება...

ვ ი ქ ტ ო რ

როგორც გეტყობა, ჩემო კეთილო, ძალზე მოგრეგია ღვინო და მოსვენება გჭირია, რომ გამოფხიზლდე...

ა ბ ე ს ა ლ ო

ოჰ, ეგ კი მართალია... ეგ კი მართალია! და, თუ ძმა ხარ, მომასვენე!..

ი რ ი ნ ე

უკაცრავად ვარ, ბატონო აბესალო, ამდენ სტუმარს სამსახური :ჭირვება...

ა ბ ე ს ა ლ ო

კისერი უტეხია ყველას!.. ვის რას დავეძებ! მათზე ისიც ბევრია, რაც ემსახურეთ... ყველამ თავის თავს მოუაროს!.. თქვენი წასვლა აქედან ყოვლად შეუძლებელია!.. ვერსად ვერ გაგიშვებთ!..

ი რ ი ნ ე

რა უნდა გავაკეთოთ აქ?..

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო, ჭკუაზე მოდი... რავა გადარეულივით ლაპარაკობ!..

ა ბ ე ს ა ლ ო

გადარეული ვარ, აბა, ვერ მატყობ?! ვერ მატყობ, რომ გადარეული ვარ?! და გევედრები, შენ ნუ მრევ კიდევ, შენ ნუ შემშლი უარესად... რა გინდა ჩემგან, კაცო?! ბატონო ირინე, უმორჩილესად გთხოვთ, ორი წამი მითავაზოთ, მაგრამ ეგ ოაფლი კაცი, ეგ ქვეყნის მესაიდუმლე თავიდან მომაშორეთ...

ი რ ი ნ ე

რა უნდა მითხრათ იმისთანა, რომ ვიქტორს არ გაეგონებოდეს? რა უნდა იყოს იმისთანა?

ა ბ ე ს ა ლ ო

გთხოვთ!

ი რ ი ნ ე

გთხოვთ, ამასთან მითხრათ...

ა ბ ე ს ა ლ ო

თქვენ რომ იცოდეთ ჩემი გულის ამბავი, ასე მკაცრად, ასე უნდობლად არ მომეპყრობოდით... არც მაძლევთ საშუალებას, გამოვთქვა ჩემი გულის ნადები და ამით მხოლოდ სულს მიხეთაქეო, სიცოცხლეს მიმწარებთ...

ი რ ი ნ ე

არ ეეკადრებათ, ბატონო აბესალო. მაგნაირი ლაპარაკი...

ა ბ ე ს ა ლ ო

ვიყავ შეჩვენებული, თუ ჭეშმარიტებას არ მოგახსენებდეთ... თუ სრულს ჭეშმარიტებას არ მოგახსენებდეთ... და გთხოვთ, რომ თქვენის მხრითაც გავიგონო... (ირინე წასვლას აპირებს) სად მიხვალთ? ვერსად ვერ წამიხვალთ, სანამ არ მომცემთ პასუხს, სანამ სიტყვას არ მომცემთ...

ი რ ი ნ ე

გთხოვთ გამათავისუფლოთ, ბატონო აბესალო!

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო, ყმაწვილო!

ა ბ ე ს ა ლ ო

პასუხი მინდა გავიგონო თქვენგან, თუ...

ი რ ი ნ ე

ე [illegible] ლაპარაკოთ, ბატონო, მერე... ახლა [illegible]

ა ბ ე ს ა ლ ო

[illegible]ლა? როდისლა მერე? მე ახლავე [illegible] ბასუხი!.. [illegible]ა რაღა საჭიროა!.. ახლავე უნდა მითხრა ი...

ი რ ი ნ ე

არა! ახლა მე თქვენთან ლაპარაკი არ შემიძ[illegible]ა! ([illegible] [illegible]ბა და გაიქცევა).

გამოსვლა მეხუთე

ა ბ ე ს ა ლ ო დ ა ვ ი ქ ტ ო რ

ა ბ ე ს ა ლ ო

სად წამიხვალ, სად?.. სად წამიხვალ?!

ვ ი ქ ტ ო რ

რას ჩადიხარ, ყმაწვილო?! რა ამბავში ხარ?!

ა ბ ე ს ა ლ ო

ცევედრები თავი დამანებო!.. ხომ ხედავ...

ვ ი ქ ტ ო რ

რომ შენს ჭკუაზე არა ხარ...

ა ბ ე ს ა ლ ო

ჰო, ჰო! სწორედ ჩემს ჭკუაზე არა ვარ!.. და თავი დამანებ[illegible] თორემ გაწყენიებ და დამემდურები!..

ვ ი ქ ტ ო რ

ყმაწვილო, თავი როგორ დაგანებო, როცა ვხედავ, რომ ირინესთან შენს საქციელს შეუძლია ერთი აყალ-მაყალი ატეხოს... [illegible]ბნები, იმ ქალს ამორჩეული ჰყავს საქმრო, ის კაცი თავს [illegible]ოდიბს [illegible]...

ა ბ ე ს ა ლ ო

ჯანდაბას მისი თავი და ტანი!.. გთხოვ, ჩემთან მას ნუ ახსენებ..; ირინესთან იმას ხელი* აღარა აქვს დღეიდან, არა, ასე მოაზსენე..

ვ ი ქ ტ ო რ

როგორ თუ ხელი აღარ აქვს? რა გინდა ამით თქვა?

ა ბ ე ს ა ლ ო

ის, რომ ირინეს საუკუნოდ გამოეთხოვოს..

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო!

ა ბ ე ს ა ლ ო

ჰო, აბესალო, აბა ვინა ვარ?

ვ ი ქ ტ ო რ

შენ რაღაც უცნაურობას აპირობ, აბესალო...

ა ბ ე ს ა ლ ო

რასაც ვაპირობ, კიდევაც ავასრულებ...

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო, თუ შენ ფიქრობ როდამიშვილის და ირინეს დაშორებას, ჯერედ ეგ ვერაფერი ვაჟკაცური საქციელია, და მერე ამასაც გეტყვი, რომ შენი მეცადინეობა* ტყვილა ჩაივლის..; არაფერი საკადრისია ამნაირი საქმე!

ა ბ ე ს ა ლ ო

მე შენ გთხოვ, ვიქტორ, იმ როდამიშვილს მოახსენო, ირინესი სახელიც კი დაივიწყოს სამიდღემჩიოდ...*

ვ ი ქ ტ ო რ

შენ ხუმრობ?..

ა ბ ე ს ა ლ ო

სულაც არ მეხუმრება...

ვ ი ქ ტ ო რ

ეჰ?

ა ბ ე ს ა ლ ო

ეგა ის არის, რომ ირინე მე მინდა... მე მინდა!

ვ ი ქ ტ ო რ

ა?

ა ბ ე ს ა ლ ო

მე მინდა-მეთქი და არავინ როდამიშვილი არ ვიცი...

ვ ი ქ ტ ო რ

შენ გინდა?!

ა ბ ე ს ა ლ ო

მე!

ვ ი ქ ტ ო რ

თუ მართლა გულში მაგისთანა რამ განიზრახე, გარწმუნებ, აბესალო, როგორც გითხარი, შენი ქინი ასე იოლად არ აგისრულდება...

ა ბ ე ს ა ლ ო

რატომ!.. როდამიშვილი მჯობია? როდამიშვილს მარჩევენ?*

ვ ი ქ ტ ო რ

არა, მაგრამ გეიგონე კაცის, იმათ სიტყვა აქვთ ერთმანეთისათვის მიცემული...

ა ბ ე ს ა ლ ო

თუ გინდ ჯვარდასაწერად წამდგარნი იყვნენ... მე რომ ვთქვა, უარს მეტყვიან?

ვ ი ქ ტ ო რ

ყმაწვილო, ახლა რაღა დროსაა.

ა ბ ე ს ა ლ ო

დრო ყოველთვისაა.

ვ ი ქ ტ ო რ

გარწმუნებ, ქალი არასფრის გულისთვის არ გადათქვამს თავის სიტყვას... არასფრის გულისთვის...

ა ბ ე ს ა ლ ო

არ გადათქვამს?

ვ ი ქ ტ ო რ

გარწმუნებ, რომ არა... აბა რისთვის გაგექცა — მიგიხვდა რაზედაც გინდოდა ჩამოგეგდო ლაპარაკი და გაგშორდა...

ა ბ ე ს ა ლ ო

ეგ ტყვილია... ტყვილია, ჩემო ვიქტორ ბატონო! და აგერ ახლავე დაგანახვებ ამას... და ესეც გახსოვდეს, მითქვამს: შემირცხვეს ვაჟკაცობა, თუ მაგ ქალი მე ვისმეს დავუთმო!... ამისთვის კი მოვნახავ მე გზას.

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო, ძმობას გაფიცებ, წუთის გულისთქმას* ნუ აჰყვები, შენი ვაჟკაცობა ამაში უფრო გამოჩნდება... უკადრისი საქციელით ვაჟკაცობას ვერ დაამტკიცებ, ჩემო ძმაო.

ა ბ ე ს ა ლ ო

უკადრისობაზე ლაპარაკი თქვენთვის მომინდვია. მე ჩემი სურვილი უნდა ავისრულო... თქვენს ტარტალს* რას დავეძებ! (მიდის).

ვიქტორ და როდამიშვილი

ვიქტორ

(უკან მისდევს). აბესალო, გაფიცებ დედ-მამას, უცნაურ საქმეს თავი დაანებო! აბესალო! (შეჩერდება) აღარასფერი ესმის... რა თვალით შეხედა ამ წყეულმა ამ ქალიშვილს, რომ ასე უცნაურად გადირია!?.. ფეხი მომტეხოდა და მასთან ერთად არ მოვსულიყავი დღეს აქ!.. რავა დევიჯერო, მართლა უნდოდეს გულით ირინეს ცოლად შერთვა?.. ჟინმა წამოუარა,* მეტი არაფერია... უსათუოდ რაღაც უცნაურობას კი მოახდენს... სად წავიდა ახლა?.. საით წაეთრია ოხერი?..

როდამიშვილი

(შეხვდება მიმავალ ვიქტორს) ვიქტორ!.. შენთან ერთი სათხოვარი საქმე მაქვს... ვიცი შენი კეთილი გული, უარს არ მეტყვი...

ვიქტორ

თუკი შემიძლია რამე, ბატონი ბრძანდები... რა იყო?

როდამიშვილი

ამ ოხერმა შენმა ნათლიისშვილმა მომკლა, უნდა გამოგიტყდე, ჩემო ძმაო, გამათავა კაცი!.. ისე ვარ, თითქოს ირინეს ვინმე მართლა მართმევდეს და მე კი ძალაც არ მაქვს, ნებაც არ მაქვს დავიცვა...

ვიქტორ

კარგი ერთი შენც!.. არ გრცხვენია?..

როდამიშვილი

რა ვქნა, ჩემო კეთილო, ასე კია და! აი ამიტომ გადავსწყვიტე გთხოვო, მიმეგზავნო ფილიპესთან და შენებურად მოუყვე ჩემს გარემოებას...* მართალია, ჯერ ისე მოწყობილი არა ვარ ჯვა-

რი დევიწერო, მაგრამ მოსვენებულად მაინც ვიქნები, ჩემად რომ ვიგულებ ირინეს... შენი ჭირიმე, გეისარჯე და დამავალე, ჩემო ვიქტორ!..

ვ ი ქ ტ ო რ

ბატონი ბრძანდები. დიდის სიამოვნებით. ამწამსვე!

რ ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

შენი ჭირიმე!.. უთხარი, რომ, მართალია, ღარიბი კაცის შვილია, მარა შენს ქალიშვილს გვრიტივით შეინახავს-თქვა..;

ვ ი ქ ტ ო რ

კარგი, კარგი! (მიდის).

რ ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

შენს სულს დავენაცვლე! საუკუნო მოსამსახურედ გამიხადე!.; დროს ნულარ დაჰკარგავ, შენ დაგენაცვლე!..

ვ ი ქ ტ ო რ

ა, მივდივარ. ეს არის!.; ახლავე მოვნახავ და ახლავე ვეტყვი (მარჯვნით გავლენ).

გ ა ბ ო ს ვ ლ ა ბ ე შ ვ ი ჯ ე

ფ ი ლ ი პ ე და ი რ ი ნ ე

ფ ი ლ ი პ ე

დღევანდელი დღე, შვილო, თურმე ორნაირად სასიხარულო ყოფილა ჩვენთვის...

ი რ ი ნ ე

რავა, მამა?

ფ ი ლ ი პ ე

ამ კაი დღესთან იმისთანა კაი ამბავი უნდა გამოგიცხადო, რომ უკეთესი არ შეიძლება...

ი რ ი ნ ე

რა ამბავია, მამა?

ფ ი ლ ი პ ე

შენი გაბედნიერების ამბავი, შვილო!.. დიახ, იმისთანა ჩინებული ყმაწვილი მთხოვს შენს თავს, რომ შენ ვერც-კი წარმოიდგენ! აბა, აბა!

ი რ ი ნ ე

(აღელვებული). ვინ, მამა?.. ვინ?..

ფ ი ლ ი პ ე

აბა თუ მიხვდები?.. აბა თუ მიხვდები?.. აბესალო სალამთაძე!..

ი რ ი ნ ე

აბესალო?!

ფ ი ლ ი პ ე

აბა, აბა! შენ ვინ გეგონა?.. აბა, ტყვილა მყავხარ კარგი გოგონა, რომ უბრალო ვინმემ გამიბედოს შენი თავის თხოვა?! კი, შვილო! ეს არის თვითონ მოვიდა ჩემთან, გამიხმო და ასეასეო, იმედი მაქვს, სიძედ არ დამიწუნებო და შენი ქალიშვილის მთხოვნელი ვარ... მწარე* გულით ვარ მოწადინებულიო, შვილად მიმიღე ან და ჩემი თავი უნდა მოვიკლაო... ასე თქვა, შენ ნუ მომიკვდები: ჩემი თავი უნდა მოვიკლაო. პასუხი მინდა ახლავეო... აბა!

ი რ ი ნ ე

(გაფითრებული ყურს უგდებდა, მერე აღელვებით). მერე რა უთხარი შენ?..

ფ ი ლ ი პ ე

რას ვეტყოდი, შვილო... რა უნდა მეთქვა! ჩემის მხრით — კი, ბატონო-თქვა, ოღონდ, თუ უკაცრავად არ ვიქნები-თქვა, პასუხს ახლავე მოგახსენებთ-თქვა... ჩემს შვილს გავაგებიებ და, რასაკვირველია, წინააღმდეგი არც ის იქნება-თქვა...

ი რ ი ნ ე

არა, მამა, არა!

ფ ი ლ ი პ ე

რასაკვირველია, რასაკვირველია!.. ეგ მეც ვიცოდი, რომ აბესალოს შენ ვერ დეიწუნებდი... მე შენ გეტყვი, ვინმე აჯობებს!..

ი რ ი ნ ე

არა, მამა, აბესალოს მე ვერ წავყვები...

ფ ი ლ ი პ ე

ა?!

ი რ ი ნ ე

აბესალოს ვერ წავყვები, მამა.

ფ ი ლ ი პ ე

აბესალოს ვერ წავყვებიო?.. გადირიე, შვილო?!

ი რ ი ნ ე

ვერა... ჩემო მამა, ჩემო!

ფ ი ლ ი პ ე

ღმერთო, ნუ შემშლი! რა მესმის ეს და ვისგან?! გესმის შენ შენი სიტყვები, გესმის თუ არა?!

ი რ ი ნ ე

შენ გენაცვალე, ჩემო მამა, ჩემო კარგო მამა, შენს სულს ვენაცვალე, მაგაზე ნუღარაფერს მეტყვი!

ფ ი ლ ი პ ე

რა ამბავია ეს?! აბესალოს უნდობლობა?!.. ჰმ! რა ამბავია ეს, რა ამბავია?! აბა ვიღას უნდა წაყვე?! აბა ვიღა გინდა, ამისთანა ვაჟკაცს რომ არ ნდომულობ*, რა ოჯახის შვილს, რა გვარის შვილს?.. წუნობ თუ? აბა ვის უნდა წაყვე?! ვის?

ი რ ი ნ ე

შენი ჭირიმე, შენი, ჩემო მამა, ჩემო!

ფ ი ლ ი პ ე

უარი ვუთხრა აბა?

ი რ ი ნ ე

უარი, მამა!

ფ ი ლ ი პ ე

რა მიზეზიაო?

ი რ ი ნ ე

უთხარი... უთხარი, რომ...

ფ ი ლ ი პ ე

ჰო, ჰო... რა უთხარიო, რა უთხარიო, რომ სათქმელი არაფერია... რას გაჩუმებულხარ?.. მასწავლე, რა ვუთხრა მიზეზად?

ი რ ი ნ ე

მამა, მე აბესალოს არ წავყვები... ვერ წავყვები!

ფ ი ლ ი პ ე

რა ამბავია შენს თავზე, ირინე, დღეს?.. სხვიმის* როდის გალაპარაკნია ასე სულელურად? რა წამოგიარა დღეს? ასეთი უცნაური გაჯიუტება!.. ასეთი საქციელი შენი!.. მითხარი ერთი, რითი ავხსნა, რას მივაწერო?! ბედნიერება კარზე მოგდგომოდეს კაცს და უარს ამბობდე?! ჰმ! ღმერთო, შენ დასწყევლე ყოველი მავნე და ბოროტი სული!.. რამ გადამირია ეს აქამდისინ უწყინარი და მორჩილი შვილი!.. შვილო, ჭკუაზე მოდი, ირინე! ის კაცი მოუთმენლად ელის პასუხს... სული უწუხს, სანამ გეიგონებდეს შენგან თანხმობის სიტყვას...

ი რ ი ნ ე

ჩემო მამა, ჩემო ძვირფასო მამა, გევედრები, ნულარ ჩამაცივდები...

ფ ი ლ ი პ ე

რატომ, შე შეჩვენებულო, რატომ?.. ერთი მიზეზი მაინც გამაგებინე! მთელ ამ მხარეზე ბადალი არავინ ჰყავს... შემდარე* არავინ ჰყავს... ყმაწვილკაცობის თვალად ითვლება... შნოა მთელად ყმაწვილკაცობის და შენ სდებ წუნს, შენ? მითხარი ერთი... მითხარი, ბატონო, მითხარი ერთი, გამაგებინე!.. მიზეზი გამაგებინე ერთი... ჰო...

ი რ ი ნ ე

არ მიყვარს...

ფ ი ლ ი პ ე

(მოკლე პაუზის შემდეგ). არ გიყვარს?.. სხვა არაფერი?.. სხვა არაფერია?

ი რ ი ნ ე

არ მიყვარს...

ფ ი ლ ი პ ე

ჩუ, აბა, ჩუ!.. ხმა არ ამოიღო!.. დიახ, მანამდი ნუ გათხოვდები, სანამ ვინმე არ შეიყვარო და კისერზე არ მოეხვიო ისე მაგრად, რომ ვერსად გაგექცეს... დიახ, შენმა სიცოცხლემ! არ მიყვარსო?! არ გიყვარს, მერე შეგიყვარდება — მანამდე რომელი თავმოყვარე ქალიშვილი დეიწყებს შენსავით ასე მოურიდებლად სიყვარულზე ტარტალს!?.. ამას მოველოდი შენგან?.. ამის იმედი მქონდა მე შენი?.. მარა სულელი და უჭკუო მე ვარ, ამდენი ლაპარაკის ნებას რომ გაძლევ... შენი უჭკუობისათვის ამნაირ ბედნიერებას რავა დაგაკარგვინებ?!.. მერე მადლობასაც კი მეტყვი!

ი რ ი ნ ე

მამა, მამა!.. (ამ დროს სცენაზე გამოიფინებიან ყმაწვილი ქალები და კაცები სალამურით, დაირით და ხმაურობით: „აგერ ყოფილა!“ მისცვივდებიან ირინეს).

იგინივე, ქალიშვილები და უმაწვილები.

ქალიშვილი 1

ჩამორებული ლეკურია, ირინე... შენ დაგვრჩი მარტო...

ქალიშვილი 2

შენ უნდა ჩამოიარო ერთი... ვინც იცის და არ იცის, ყველამ ითამაშა.

ირინე

მეტისმეტად დაღალული ვარ, გენაცვალე, მერე ვიცეკვებ...

ქალიშვილები

ახლა, ახლა უნდა იცეკვო!..

ირინე

სხვამ იცეკვოს ჯერ...

ქალიშვილები

ყველამ იცეკვა, შენ დაგვრჩი, მხოლოდ... შენს გარდა ყველამ ვიცეკვეთ...

უმაწვილები

თქვენ დაგვრჩით მხოლოდ... კავალერი თქვენ ამოირჩიეთ...

აბესალო

(გამოხტება საცეკვაოდ). აგერ გახლავართ! ტაში, უმაწვილებო! (ირიწე გაკვირვებით ერთს გადახედავს და გაჰყვება ცეკვაში, ერთს შემოუვლის და გაჩერდება. საერთო „ბრავო").

როდამიშვილი

(ვიქტორს) ვიქტორ, აგერ არის ფილიპე, ნუღარ გადადებ.

ვ ი ქ ტ ო რ

ახლავე, ა! (ხმაურობით ისევ გავლენ სტუმრები და ირინეს თან გაიყოლებენ).

გამოსვლა მეცხრე

ფ ი ლ ი პ ე და ვ ი ქ ტ ო რ

ვ ი ქ ტ ო რ

(შეაჩერებს მიმავალ ფილიპეს). თქვენთან, ბატონო ფილიპე, ცოტა საქმე მაქვს.

ფ ი ლ ი პ ე

ოჰ, კაი დაგემართოს! მეც შენი ნახვა მინდოდა სწორედ... უმაწვილო, შენ რაღა დაგიმალო, შვილივით გიყურებ, შენთან რა მაქვს დასამალავი... შვილი გადამერია, სასიკეთო შვილი!.. ჩემი ირინე!

ვ ი ქ ტ ო რ

ჰო!

ფ ი ლ ი პ ე

მომკლა კაცი, გამათავა!.. ვიღაცამ შემიცდინა... ვიღაცამ გამისულელა! წარმოიდგინე შენმა ნათლიისშვილმა, აბესალომ, იმისთანა პატივი დამსდვა, რომ ჩემი ღარიბი ოჯახიდან ჩემი შვილის ცოლად შერთვა ისურვა, და ეს შეჩვენებული უარზე მიდგება!.. მერე თვითონ მოვიდა და ისე მთხოვა ჩემი ირინე! ვინ გამიბრიყვა, ვინ გამისულელა?.. არ მიყვარსო, დოუჯინია!.. ჰმ, არ მიყვარსო! მოდი და ელაპარაკე ამ ქალბატონს!.. აბა, უნდა ვუყურო, სანამ ვისმეს არ შეიყვარებს და სირცხვილს არ მაჭმევს?..

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო თვითონ მოვიდა შენთან და გთხოვა ირინე?

ფ ი ლ ი პ ე

აბა, აბა! ახლა პასუხს უცდის.

ვ ი ქ ტ ო რ

ჰმ!.. რა პასუხი უნდა მისცეთ?

ფ ი ლ ი პ ე

უარის თქმა რავა შემიძლია!. უარი რავა მეთქმება, მარა ამ ბოვშის საქმეც მაწუხებს და ამას გეხვეწები, ვიქტორ ჩემო... შენ ძმასავით გიყურებ და მიქენი სიკეთე, ჩააგონე, რომ იმ ყმაწვილს არ შეამჩნევინოს თავისი უჭკუობა და სისულელე... არ აწყენიოს. ხუმრობაა?! თვითონ იცი, რა ოჯახის შვილია, რა გვარის შვილი!.. ამნაირ ბედს ვინ არ ნატრულობს და მე უარი ვთქვა?! იმე!* შენ დაგენაცვლე, შენი ჭირი შემეყაროს, რას ემგვანება ეს? ჰმ!.. რას მივაწერო, რითი ავხსნა ამ ბოვშის ამნაირი ახირება?!

ვ ი ქ ტ ო რ

აბა, მართალი მოგახსენოთ, ბატონო ფილიპე, თქვენი ქალიშვილი მშვენივრად სჯის, როცა უარს ამბობს აბესალოს წაყოლაზე...

ფ ი ლ ი პ ე

ა?.. შენგან მესმის ეგ?! შენ მეუბნები ამას?

ვ ი ქ ტ ო რ

სწორედ! და დარწმუნებული ვარ, იმათ არ მიიღებ ამას, ვითომ და ირინეს უღირსად ვუყურებდე აბესალოს საცოლოდ... დამწყევლოს მაშინ ღმერთმა!.. არა, ბატონო ფილიპე, აბესალო არ არის ირინეს ღირსი და თუ თქვენ თქვენი ქალიშვილის ბედნიერება გსურთ, თუ არ გინდათ სიცოცხლე გაუმწაროთ, იმ ჩემს ნათლიისშვილს უსათუოდ უარი უნდა უთხრათ.

ფ ი ლ ი პ ე

რატომ, ვიქტორ, რატომ?.. რომ არ მესმის მე ეგ ლაპარაკი? რითია დასაწუნარი იმისთანა შესანიშნავი ახალგაზრდა? შეხედულებას დაუწუნებ კაცი, გვარიშვილობას, ოჯახს, ვაჟკაცობას, თუ რას, მითხარით ერთი?

ვ ი ქ ტ ო რ

არც ერთს ამას, მაგრამ თვითონ პირადად არ არის საოჯახო კაცი... მაგას სრულიად არა აქვს იმისი თავი, რომ ოჯახს მოეკიდოს, არა თუ მოეკიდოს, მეტს გეტყვით, იგუოს* ოჯახი. დღეს თუ ირინეს გთხოვს და იმისთვის ირევა, ეგ იმიტომ კი არა, რომ მართლა მისი სიყვარული ჰქონდეს გულში, მართლა ცოლად ირჩევდეს მას... არა, მერწმუნეთ ამაში, ბატონო ფილიპე, არასოდეს! მაგ კაცი გატაცებულია ასე უცაბედად, აღძრული სურვილით და არაფერს ერიდება რამე გზით კოხტა ქალი დაისაკუთროს. მერმისზე ის სრულიად არა ფიქრობს... მერე რა იქნება, ამისი დარდი არაფრად აწუხებს, იმიტომ რომ ცოლსა და ოჯახს არასოდეს თავის თავს არ შეაწუხებინებს. აბესალოსთანა ხასიათის ყმაწვილები საოჯახოდ არ გაუჩენია ღმერთს და როცა შემცდარან და შემთხვევით მოჰკიდებიან ოჯახს, იქ სიკეთე ჯერ არავის უნახავს... საუბედუროდ, ამის მაგალითები საკმაოა ჩვენში... თუ ვინმე გაძლებს მაგათთან, ისევ იმგვარივე ხასიათის ქალი, თორემ მეოჯახე, მშვიდობიანი, ღვთისნიერი* ქმნილება მაგათ სიახლოვეს უკიდურესად გაწვალებულია და წამებული. დამიჯერე, ფილიპე, რომ შენ ირინესაც ამგვარ მომავალს გაუმზადებ, თუ უარი არ მიუგე აბესალოს.

ფ ი ლ ი პ ე

აბა ვის უნდა მივცე, შვილო?

ვ ი ქ ტ ო რ

ცოტა არიან იმისთანა ყმაწვილები, რომლებსაც მართლა გულით წადიანთ ოჯახს მოეკიდონ და საიმედონი არიან, რომ მუყაითად* გოუძღვებიან ოჯახს?

ფ ი ლ ი პ ე

და აბესალოს ვუთხრა, ქალს ვერ მოგცემ-თქვა?

ვ ი ქ ტ ო რ

უთხარი, სასიძო ამორჩეული მყავს-თქვა და, რომ ასე არ ყოფილიყო, ბედნიერი ვიქნებოდი თქვენთან დამოყვრებით-თქვა...

ფ ი ლ ი პ ე

არ ჩამკითხავს მერე? მომასვენებს, სანამ არ გეიგებს, ვინ არისო!?..

ვ ი ქ ტ ო რ

უთხარი, უთხარი პირდაპირ...

ფ ი ლ ი პ ე

ასე ტყვილა ვინ შევასახელო...* გამოძიებაში* არ შევა, შენ გგონია?

ვ ი ქ ტ ო რ

ტყვილა შესახელება რათ გინდათ... სწორედ იმისათვის გეძებდით ახლა, რომ შეგატყობინოთ თქვენი ქალიშვილის გულის ნადები და ერთი ჩინებული ყმაწვილი კაცის თხოვნა... და, იმედია, რომ, როგორც შვილის მოსიყვარულე მამა, არც ერთს არ დაურღვევთ ბედნიერებას თქვენი წინააღმდეგობით... სწორედ მაშვლად* ვარ მოსული, ბატონო ფილიპე.

ფ ი ლ ი პ ე

ვისგან?

ვ ი ქ ტ ო რ

კი, მართალია, მდიდარი ოჯახის შვილი არაა, მარა ღმერთმაც იცის და კაცმაც, რომ პავლე როდამიშვილი ჩინებული ახალგაზრდაა, მუყაითი, პატიოსანი...

ფ ი ლ ი პ ე

და იმას მივცე ირინე?!

ვ ი ქ ტ ო რ

სწორედ! მით უფრო, რომ ქალსაც და კაცსაც ერთმანეთი უყვართ და მართლა ბედნიერი იქნებიან...

ფ ი ლ ი პ ე

ერთმანეთი უყვართ?.. ამისთვის დაეთრეოდა ის წუნწკლიანი* ჩემს ოჯახში?! ამისთვის დაძვრებოდა, რომ სიყვარულზე ემართა მუსაიფი იმ უტიფართან?!* ღმერთო მომკალი!.. რა მესმის ეს, რას მოვესწარი — ქალიშვილი ასე ურცხვად, ასე მოურიდებლად მელაპარაკება, ეს მიყვარს, ეს არ მიყვარს, ეს ასეთია, ეს ისეთიაო!.. და შენც, ვიქტორ, კვერს უკრავ ამაზე და მირჩევ, ავყვე ბღარტს, რომ მერე სასაცილოდ გავიხადო ჩემი თავი!?.. შენგან არ მიკვირს, ამისთანა რჩევას რომ მაძლევ!.. მე სულ სხვა კაცად გიყურებდი... სულ სხვა იმედით ვიყავი შენზე.

ვ ი ქ ტ ო რ

ისე მე ვიცოცხლო, თქვენ არ დაგიფიცავთ, რავარც მე წრფელის გულით გირჩევდეთ, რაც ახლა მოგახსენეთ...

ფ ი ლ ი პ ე

აბესალო უარით გავისტუმრო და როდამიშვილს ქალი მივცე?

ვ ი ქ ტ ო რ

დიახ... თუ თქვენი შვილის გაბედნიერება გსურთ, ასე უნდა ქნათ.

ფ ი ლ ი პ ე

უკაცრავად ვარ... სწორედ უკაცრავად, და თქვენს რჩევას მე ვერასფრის გზით ვერ მივიღებ... ჰმ, სალამოაძეს უარი ვტეიცო ვიღაცა როდამიშვილის გულისათვის!.. კაი ამბავი თუ გინ-

დათ, ეგ იქნება... არა, ჩემო ბიძია... ღმერთს მაგდენად ჩემთვის კიდევ ჭკუა არ წოურთმევია, რომ საქმეს და მდგომარეობას ვერ მივხვდე... ვიღაცა ბარბაქაძეს სალამთაძე ხელს გიწვდიდეს, შენთან დამოყვრებას ნატრულობდეს და უარს ეუბნებოდე! კაია, შენი ჭირიმე! ქვეყანა არ მოკვდება სიცილით?! სულელად არ მიგიღებენ კაცს?!..

ვ ი ქ ტ ო რ

ბატონო ფილიპე!..

ფ ი ლ ი პ ე

კაი, კაი, შენი ჭირიმე! კაი, შენი ჭირიმე! უმორჩილესად გთხოვ, ამაზე სიტყვას ნულარ ვხარჯავთ!..*

ვ ი ქ ტ ო რ

ნუ ჩქარობთ, ბატონო ფილიპე... გამიგონეთ... ერთი სიტყვა მაინც მათქმევინეთ და...

ფ ი ლ ი პ ე

არც ნახევარი... არც ნახევარი! აბესალოს მხრით პატივია ჩემს ოჯახზე მისი სურვილი, სწორედ პატივი! და ბანჯგვლიანი როდამიშვილისათვის ჩემს შვილს მისი უჭკუობით ბედს ვერ დავაკარგვინებ. ვერა, ვერა!.. თუ მარტო ამაში იყო საქმე, იმ პატიოსან ყმაწვილს, ღმერთო მომკალი, ამდენ ხანს რავა მოვკლავდი ლოდინით!.. (მიდის).

ვ ი ქ ტ ო რ

მოითმინეთ, ბატონო ფილიპე! მოითმინეთ ერთ წუთს!

ფ ი ლ ი პ ე

მერე, მერე!.. (იქით მიმავალი). გაეშმაკებულია ყოველი კაცი! უნდა აბესალო დააშოროს ირინეს! კი მიგიხვდი!

გამოსვლა მეათე

იგივე, როდამიშვილი და ირინე

ر ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

ვიქტორ... რაო?..

ვ ი ქ ტ ო რ

მხეცია!.. მხეცი, ჩემო ძმაო! ახლოსაც არ გეიკარა ჩემი სიტყვა! პატივისცემად მიაჩნია აბესალოსაგან... ირინეს რომ სთხოვს... უარს ვერ გოვუბედავო...

ი რ ი ნ ე

ვიქტორ... მიშველე!.. მიშველე, ძმობას გაფიცებ!

ვ ი ქ ტ ო რ

რაღა გიშველო, საყვარელო დაო! რაღათი გიშველო!.. აღბათ არ ყოფილხართ ერთმანეთის ბედი!

ი რ ი ნ ე

თავს მოვიკლავ და აბესალოს კი არ წავყვები! თავს მოვიკლავ და არ წავყვები!

ვ ი ქ ტ ო რ

ჩუ, ნუ ტირი! აგერ მამაშენიც მოდის!.. პავლე, მოშორდი, თუ ძმა ხარ!.. აქ აღარაფერი გაგეწყობა,* ტყვილი იქნება ყოველივე მეცადინეობა. (როდამიშვილი გადის).

გამოსვლა მეთერთმეტე

იგინივე და ფ ი ლ ი პ ე

ფ ი ლ ი პ ე

სად ხარ, ყმაწვილო, მე შენ დაგეძებ?! ეს რაა?.. ცრემლები?.. რა გატირებს, რა ღმერთი გიწყრება! რა ეშმაკი გრევს?! ახლავე თვალები ამოიწმიდე! ჩუ, ჩუ!

ი რ ი ნ ე

მამა. ჩემო მამა... ჩემო კარგო მამა!..

ფ ი ლ ი პ ე

ნუ სულელობ, გეუბნები!.. ნუ მჭრი თავს* ქვეყანაში!.. ამას მოველოდი შენგან?! შე სულელო, შენ არც კი გესმის, რა ბედნიერებას ეყრები!.. ჩუ, ხმა არ ამოიღო!

ი რ ი ნ ე

მამა, შენს სულს დავენაცვლე! ჩემო მამა!..

ფ ი ლ ი პ ე

რა დროს ლაპარაკია... ის ყმაწვილი გვიცდის... ახლავე უნდა გამოაცხადოს... წამოდი, შვილო, წამოდი-თქვა! (მიჰყავს) ვიქტორ, შენც!.. და იმ საძაგელს უთხარი, ხმა არ ამოიღოს, კრინტი არ დასძრას... თორემ!

გამოსვლა მეთორმეტე

იგინივე, ა ბ ე ს ა ლ ო და მერე რ ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

ა ბ ე ს ა ლ ო

რომ ველარ მოვესწარი... რა იქნა, ფილიპე ჩემო!

ფ ი ლ ი პ ე

აჰ, ბატონო ჩემო, ეს-ეს არის გიახლებოდით.

ი რ ი ნ ე

ბატონო-აბესალო!

ა ბ ე ს ა ლ ო

თკითონ ბატონო და ხელმწიფავ!..

ი რ ი ნ ე

წეხან მე ვერ მოვასწარი პასუხი მომეხსენებია თქვენთვის...

ა ბ ე ს ა ლ ო

მოუთმენლად მოველი თქვენგანაც გავიგონო იგი... თქვენგანაც...

ფ ი ლ ი პ ე

კი, ბატონო, კი, ბატონო!

ი რ ი ნ ე

დიდად მადლობელი ვარ თქვენი ჩემდამი გრძნობისათვის... მეც სიტყვას გაძლევთ, მოგიგოთ ნამდვილი დაძმური სიყვარულით...

ა ბ ე ს ა ლ ო

დაძმური?.. არა, არა... მე თქვენს თავს ვერავინ წამართმევს... ვერა, ვერა!

ფ ი ლ ი პ ე

ვინაა წამრთმევი, შენი ჭირიმე, ვინ?.. რას ბრძანებთ!..

ა ბ ე ს ა ლ ო

და ჩემი ბედნიერება ახლავე მთელ ქვეყანას უნდა გავაგებინო, ახლავე!

ფ ი ლ ი პ ე

კი, ბატონო, კი, შენი ჭირიმე!.. წამობრძანდით... სახლში წამობრძანდით! (მიჰყავს თავჩაკიდებული ირინე).

ა ბ ე ს ა ლ ო

ვიქტორ, ვიქტორ... მოდი, კაცო! (სასლისკენ მიდიან).

ფ ი ლ ი პ ე

ვიქტორ, მობრძანდი!

ვ ი ქ ტ ო რ

გიახლებით!.. (როცა ყველანი გავლენ, მარცხნით გაიხედავს და როდამიშვილს იხმობს) პავლე! (შემოდის როდამიშვილი შე-

წუსებული) პაელე, გაფიცებ ყმაწვილკაცობას შეიმაგრო თავი, არავის შეამჩნევიო შენი მწუხარება... ირინეს გულისათვის მოიქეცი აგრე... რას იზამ, ძმაო, ჯერ კიდევ მხეცობაში გვიდგია ფეხი!.. ისე შეახედვიე ყველას, თითქოს თქვენს შორის ნამდვილ არაფერი ყოფილიყოს, თუ ძმა ხარ!.. შენ მაინც შეიბრალე საწყალი ირინე! წამოდი! (რომ დააპირებენ სახლისკენ წასვლას, ამ დროს მოისმის „ვაშას“ ძახილი და მრავალჟამიერ).

ر ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

გადაგიწყდა ყოველივე სიხარული, აბესალო სალამთაძევ! გადაგიწყდა!

(ფ ა რ დ ა)

მოქმედება მეორე

სალამთაძის სახლი

გამოსვლა პირველი

ე კ ა (აბესალოს დედა) და ვ ი ქ ტ ო რ ი

ე კ ა

ისე შენს დამაწყევარს მოაკლდა, შვილო, ყოველივე სიხარული, როგორადაც ნათლიიშენის გული მოკლებული შეიქმნა ყოველივე სიამოვნებას, ჩემს შვილებს რომ ამნაირად ვუმზერ... ისე ეიგორა* გული, ისე უცნაურად გამოიცვალა მასთან ხასიათი ჩემმა აბესალომ, რომ აღარავისათვის დამალული აღარაა მათი ამბავი... რა მოუხდათ,* რაზე ჩამოუვარდათ ამნაირი ამბავი, ვერაფერი გევიგე, შენ დაგენაცვლე!.. ემდურის რამეს, აწყენია იმ საცოდავმა რამე?.. ვერაფერი გევიგე!.. აბესალოს, რა ვქნა, კითხვა ვერ გოვუბედე, შვილო, და ის ქალია და ქე მეცოდება, გამოკითხვით ვაი თუ შეწუხდეს, როცა გაიგებს, ჩვენთვის დაფარული რომ აღარ არი მათი ამბავი!.. ვარ ასე და ვასკდები ჩემს გულს... უნდა ვიმწუხარო... უნდა ვიჟივლო და ვიტირო ჩუმად მაგათ შემხედვარემ...

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო სად არის ახლა, ნათლია?

ე კ ა

რა ვიცი, შვილო! წავა, გადაიკარგება სადღაც... მოვა, ერთ-ორ დღეს გაათევს სახლში... ისიც სულ ოღრინება, გაბუტულია, მერე ადგება და ისევ წავა თავისათვის... კითხვას ვინ გაუბედავს, შენ გენაცვალე!.. მამამისია და ისიც ვეღარ უსწორებს მის ნებას... დაბრუნდება თუ არა და იმწამსვე იმის კითხვაშია, ვინ იყო მომსვლელი ან წამსვლელი... სულ გამოიცვალა, ვიქტორ ჩემო, სულ! ვეღარ იცნობ ჩემს აბესალოს. სხვაგან არ ვიცი რავაა და სახლში რომ ვუყურებ — გული მიკვდება და უფრო ის მკლავს, რომ არ ვიცი, რა ვქნა, რა გზას დავადგე!

ვ ი ქ ტ ო რ

ირინე როგორაა, ნათლია?

ე კ ა

როგორ იქნება, შვილო!.. გულში რა ცეცხლი უტრიალებს, რას გოუგებ — თვითონ არას ამბობს... რომ უყურო, ვითომ და არაფერიაო. ქმართან ისე მორჩილებითაა, თვალებში შეჰყურებს, რა უნდაო, რა იამებაო... მეტ* სიტყვას არ ამოიღებს მასთან... დაფუსფუსებს ოჯახში.. მუდამ საქნარშია.. ძვირფასი მეოჯახე ქალია, შვილო, ძვირფასი მეოჯახე ქალი! ეს უფრო მიკლავს გულს... ამისთანა რამეს რავა არ უნდა აფასებდეს ადამიანი!.. მარა რა ვქნა!.. რა ვქნა! რატომ ეიგორა გული მასზე ჩემმა შვილმა, აღარ ვიცი, შენ დაგენაცვლე... ვერ გამიგია... ეგებ ჩვენთან არ აჩენდეს თავის ხასიათს... რასაკვირველია, ქმარს უფრო ეცოდინება ცოლის ამბავი... შეიძლება რამე მიზეზიც ქე მიეცეს მაგ უბედურს ჩემი აბესალოსათვის... აბა ისე ტყუილუბრალოდ!..

ვ ი ქ ტ ო რ

არა, ნათლია ჩემო!.. მართალი გითხრათ, ეგ რომ მაგრე იქნებოდა, მე თავიდანვე ვიცოდი და ამიტომაც მინდოდა ხელი

შემეშალა აბესალოსათვის იმ დღეს... ირინესათვის რომ გადირია, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე...

ეკა

ნეტავი შენი კარგა ყოფნით, აგეცილებია მაგისათვის მაშინ.

ვიქტორ

რამდენადაც მე გავიგე... აბესალო იმ ყმაწვილთან ეჭვობს ირინეს, ქე რომ წაართვა... წართმევა იყო, აბა რა იყო!.. იმასთან ეჭვობსო... ასე მითხრეს...

ეკა

უი, უი! ცოდვაა, შვილო, ცოდვაა!.. ცოდვაა, რომ კაცმა მაგისთანა რამ დააბრალოს მაგ უბედურს, მაგ საწყალს!

ვიქტორ

ასე კი გევიგონე...

ეკა

ტყვილია, ტყვილია, შვილო!.. ამ დასამიწებელ თვალებს დღე და ღამ არ ვაშორებ... თვითონაც რა ხანია, რომ ეზოს გადაღმა არსად ფეხი არ გადუდგამს... ცოდვაა მაგნაირი რამეს დაბრალება!.. ალბათ, მისიანებსაც ასე აქვთ გაგონილი და აღარავინ გეიჭაჭანა მის სანახავად...

ვიქტორ

უნდა მიახვედროთ, ნათლია, რომ აბესალო შემცდარია...

ეკა

რანაირად, შვილო, რანაირად?

ვიქტორ

რომ უსაფუძვლოა მისი ეჭვები... ტყვილა თავის სახელსაც ირცხვენს და ცოლსაც თავს სჭრის ქვეყანაში...

ეკა

ისევ შენ..., ისევ შენ... შენ დაგენაცვლება ნათლიაშენი!.. ჩამოუგდე სიტყვა შენებურად... მოელაპარაკე... შეაჯერე...* შენი ჭირი შემეყრება!.. შენ შეგვეწიე... შენებურად მოელაპარაკე აბესალოს... ეგებ შენი გეიგონოს, ეგებ ჩაუკვირდეს თავის საქმეს და გონზე მოვიდეს... რა ვქნათ, შვილო, ჩვენ, მობუცებულებმა, რანაირად ვუთხრათ, რანაირად გოვუბედოთ!.. და შენ ძმასავით ურჩიე, ოუხსენი ყველაფერი...

ვიქტორ

მეც სწორედ მაგისათვის მოვედი დღეს, გამოტეხილი* უნდა გითხრათ. მინდოდა მენახა და მეთქვა ერთი-ორი სიტყვა, თორემ ნამეტანი მითქმა-მოთქმაა და უარესი ის არის, რომ აბესალოსაგან ეძლევათ სალაპარაკო... უნდა მოისპოს ეს უცნაური და უხეირო ლაპარაკი! აბესალო კია დანაშაული ყველაფერში.

ეკა

აბა, ჩემო ვიქტორ, შენ თუ რამეთი გამიხარებ ამ დათუთქულ და დამწუხრებულ გულს... ღმერთი, შვილო, მაგიერს მოგიძღვნის...

გამოსვლა მეორე

იგინივე და ირინე

ირინე

(თავსაფარწაკრული). დედა, კიდევ ორი ჭუკი არ დაკარგულა?! (ვიქტორს შენიშნავს) უი, ვიქტორი მოსულა! კი ვერ შევხედე...

ვიქტორ

გეტყობა, ძალიან გწყენია ჭუკების დაკარგვა...

ეკა

რაცხა უბედურებაა, არ იქნება ისეთი დღე, თითო-ოროლა არ დაიკარგოს... რა ამბავია, ვერაფერი გევიგეთ... გაგვიწყალა სულ, რაც ინდოური გვყავდა...

ირინე

სად დაგვეკარგე, ვიქტორ?.. რაცა ხანია, თვალით არ გვეჩვენე... დედა ძალიან გემდურის, იცოდე... წინედ ყოველ კვირა იცოდა მოსვლაო.

ვიქტორი

რა ვქნა, შემხვდა ასე.

ირინე

თუ მე ცუდი ფეხით მოვედი აქ და მას აქეთ აღარავინ ეკარებით აქაურობას?

ეკა

რატომ, შვილო, რატომ ამბობ მაგას?..

ვიქტორ

(სიცილით), შეიძლება მაგრეთაც იყოს.

ირინე

არა თუ? (ფანჯრიდან დაინახავს). ოჰ, აბესალო მოვიდა.

ეკა

(წამოვარდება და ფანჯარასთან მივა). აბესალო მოვიდა?..

ვიქტორ

კი, აბესალოა.

ეკა

ესენი ვინ არიან? ვეღარ ვიცანი...

ვ ი ქ ტ ო რ

ერთი სოგრატა პურაშვილია და მეორე ნესტორა ტაბიძე.

ე კ ა

მართლა... მართლა. კი ველარ ვიცანი! სად შეხვდნენ ერთმანეთს?

ვ ი ქ ტ ო რ

მაგენი კი მოსძებნიან ყოველთვის ერთმანეთს... ნაქეიფარი მოდიან საცხაიდან* უსათუოდ.

ე კ ა

(ირინეს). გადი, შვილო, შეეგებე ქმარსა და სტუმრებსაც.. აივანზე შეეგებე... მეც ახლავე გამოვალ.

ი რ ი ნ ე

კი, ბატონო! (გავა).

ე კ ა

ე, თვალი მიაყოლე, ვიქტორ ჩემო, რარიგად სახე მოეღუშება ჩემს აბესალოს... არ შეიძლება წარბი გახსნას ირინეს შემხედვარემ... რა ვქნა, რა ვუყო, მაგათ ამნაირ ამბავს რომ ვუყურებ... ნეტავი დროს მაინც გაევლო, რაც მაგათ ჯვარი დაიწერესს..

გ ა ბ ო ლ ვ ლ ა ე ვ ლ ა ბ ე

იგინივე, ი რ ი ნ ე, ა ბ ე ს ა ლ ო, ნ ე ს ტ ო რ და ს ო გ რ ა ტ

ა ბ ე ს ა ლ ო

ოჰ, ვიქტორ!.. სად გადაიკარგე, ყმაწვილო?..

ვ ი ქ ტ ო რ

სხვაგან ვიყავი— საქმე მქონდა.

ეკა

დაბრძანდით, ბატონო!

ყმაწვილები

გახლავართ!

აბესალო

ლეკურები* აიძვრეთ... მამა შინ არის, დედა?

ეკა

სახლშია, შვილო... ცოტა უქეიფოთაა* და წამოწოლილია თავის ოთახში...

აბესალო

არაფერია... გვაცალე, ახლავე ფეხზე წამოვახტუნებთ... ისევ ჯანზე დავაყენებთ! შენ ოღონდ ხელათ* ისეთი სადილი შეგვიმზადე, აი ჩვენისთანა ყმაწვილებს რომ ეკადრება... დროზე, თორემ ცდაც.არ შეგვიძლია!

ეკა

ახლავე, შვილო! ირინე ჩემო! (ირინე გავა).

სოგრატ

ბატონო ეკა, თუ გებრალებით, ღვინოს ნუ დაგვანახვებთ!

ნესტორ

აბესალო, თუ ღმერთი გწამს, ნურაფერს გამოიგონებ!.. არაფერი არაა საჭირო... ჯერ რომ ბატონი სამსონი უქეიფოდ ბრძანებულა და მერე კიდევ, თქვენ ნუ მომიკვდებით, ბატონო ეკა, ეს მეოთხე დღეა სწორედ, რომ ღვინოში დავცურავთ... რა იყო, რა იყო! ჩემო ბატონო! ცოცხლები რაობით* გადეურჩით!

ვიქტორ

თქვენ კი არაფერი გეტყობათ და!

ს ო გ რ ა ტ

არ გვეტყობა კი არა...

ა ბ ე ს ა ლ ო

კარგი, კარგი!.. მაგაზე რაღა ლაპარაკია საჭირო! მოდი, სამსონი ვნახოთ... ქეიფზე* მოვიყვანოთ მოხუცებული... მოდი, ნესტორ! დედა, აბა შენ იცი!..

ე კ ა

კი, შვილო, კი! ყველაფერი ახლავე იქნება; მიბრძანდით, თქვენი ჭირიმე... მიბრძანდით! (თვითონ გავა. უკან ჩამორჩებიან ვიქტორ და სოგრატ, რომელნიც წინათ ერთად ისხდნენ და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ ჩუმად).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო თ ხ ე

ვ ი ქ ტ ო რ და ს ო გ რ ა ტ

ს ო გ რ ა ტ

ერთ ბეწვზე გადავრჩით საშინელ უბედურებას... ჩააცივდა კოლა ბეჟანეიშვილს, აღარ მისცა საშველი... არ მისცა საშველი... ამოიჩემა ასე ტყუილუბრალოდ! ბევრი უთმინა და რომ გამოვიდა მოთმინებიდან, ასე ამ ხალხში მიაძახა: ჩემზე რომ ასე თვალი გიჭირავს, უკეთესი იქნებოდა, ცოლისათვის გედინა აგრე მარჯვედ თვალიო!..

ვ ი ქ ტ ო რ

თუ ძმა ხარ!?*

ს ო გ რ ა ტ

ძმობას გეფიცები, მთელ ხალხში მიაძახა ასე! იმე, რა ნახეს, კაცო, ჩემმა თვალებმა, რა ნახეს?! ლომი რომ გინახავს გაძვინვარებული, ერთი ისკუპა იმხელაზე და დაახტა კოლას, გვეგონა, გაათავა ეს არის-თქვა... მაგრამ იქით-აქეთ ვეცით... ვიღამ შეაკავა... ძლივს დავაშორეთ ერთმანეთი... კბილებს აკრაჭუნებდა, კაცო, ისე, რომ აქ გეიგონებდი!

ვ ი ქ ტ ო რ

შეურცხვა მაგას ყმაწვილკაცობა! გამოაჭიანა* ქალი ასე ტყუილ-უბრალოდ! ყველამ გაიგო, ყველა მიახვედრა, რომ ცოლს ეწამება*... ნეტავი, საწყალი რამეში მაინც იყვეს დამნაშავე!..

ს ო გ რ ა ტ

ალბათ არის, კაცო, აბა რატომ შეიძულა ასე უცნაურად და ისეთ გუნებაზეა, რომ მზადაა, მგონია, სიცოცხლეს გამოასალმოს!

ვ ი ქ ტ ო რ

იცის ღმერთმა, რომ ირინე არაფერ მაგისთანაში დანაშაული არ არის!.. იცის ღმერთმა!

ს ო გ რ ა ტ

ყველას კი სჯერა...

ვ ი ქ ტ ო რ

თვითონ რომ არწმუნებს ყველას თავისი საქციელით, აბა სხვა რა იქნება!

ს ო გ რ ა ტ

პალიკო ცისკარიშვილის პირით შეუთვალა როდამიშვილს, რომ აქედან სადაც გინდა გადაიკარგეო, ამ მხარიდან ეიყარეო, ანდა ამ მოკლე ხანში, სადაც მიგისწრებ, იქ აგკუწავ ნაჭერ-ნაჭერო. ასე შეუთვალა გუშინწინ. გუშინ ისე დათვრა სიპიტაძისას, ისე დათვრა, რომ ბევრ სმაში მინახავს მაგი, მარა გუშინდელსავით გაგიჟებული კი ჩემს დღეში არა ჯერეთ... ახლა ჩაგვაცივდა, აღარ გაგვიშვა და, მე ვიცი, ჩაგვკლავს დღეს მაგ დალოცვილი.

ეჰ, კაი თუ გიყვარდე!.. მაგ ისეა, ეტყობა, ატროვებული*, რომ კაცი უნდა ერიდოს, თვარა ერთ უბედურებაში გაგხვევს;

იგინივე და ა ბ ე ს ა ლ ო, მერე ი რ ი ნ ე

ა ბ ე ს ა ლ ო

სამსონი გკითხულობსთ, ყმაწვილებო, რა მუსაიფში გაბმულხართ!

ო რ ი ვ ე

ახლავე მოვდივართ.

ს ო გ რ ა ტ

სიტყვა მინდა* დიდი ხნიდან ვიქტორთან... ძლივს ხელში ვიგდე.

ა ბ ე ს ა ლ ო

მიდით-მეთქი, მიდით! (ორივე სამსონის ოთახში შევლენ).

ი რ ი ნ ე

დედამ რომელი ღვინო ამოვაღებინოო?..

ა ბ ე ს ა ლ ო

ნაქაჩი!* ან და წყალ-მაჭარა*!.. ეგეც საკითხავია?.. (კარებში) ბიჭო ნიკოია, მაგ ცხენებს უნაგირები მოხადე და თივა ბლომად დაუყარე!..

ი რ ი ნ ე

რა პასუხია ეგ, ყმაწვილო?.. (აბესალო ეზოში იყურება) ადამიანმა ერთხელ მაინც წესიერად ნათქვამი სიტყვა ვეღარ გაიგონოს!.. (უცბად მოტრიალდება და აჩქარებული ნაბიჯით გავა ოთახიდან) გაჭირდა, ღმერთმანი, სიცოცხლე!..

ა ბ ე ს ა ლ ო

(კარებიდან გამობრუნდება). ჯერ სად ბრძანდები! გაჭირვებული სიცოცხლე რანაირი უნდა, აწი განახვებ, ქალბატონო!

(ფანჯარაში იყურება და უცბად მოშორდება. გაჯავრებით კარებში) ნიკოია, ნიკოია, ბიჭო!.. არ გესმის?

ნ ი კ ო ი ა

(შემოვარდება). რა გნებავთ, ბატონო?

ა ბ ე ს ა ლ ო

რომ დაგიძახებენ, მეორე დღეს უნდა გაიგონო, შენ ოხრიშვილო? გასწი ახლავე, ეგერ ცხენოსანი რომ ეზოში ჩამოვიდა, მიდი და უთხარი, არავის არ ღებულობენ-თქვა... გასწი, რას დაგიღია პირი!

ნ ი კ ო ი ა

დიდი ქალბატონი ეგებება, ბატონო...

ა ბ ე ს ა ლ ო

დიდი ქალბატონი!.. პირი დაგიფჩენია ვირიშვილს! გეეთრიე, მუდრეგო, დამეკარგე იქით!.. ამოვარდა თქვენი სახსენებელი!.. (მეორე კარებისაკენ მიმავალი) ახლავე გავაბუზურებ* მაგ ვაჟბატონს!.. ა, თქვენი რჯული, თქვენი, თქვენი!

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ე ქ ვ ს ე

იგინიეე და ე კ ა (რომელიც სამსონის ოთახიდან გამოვა).

მ ე რ ე ვ ი ქ ტ ო რ

ა ბ ე ს ა ლ ო

რა უყავი ის ვაჟბატონი?

ე კ ა

ვინა, შვილო?

ა ბ ე ს ა ლ ო

ახლა რომ მოეთრია?

ეკა

ჩემი ირინეს ბიძაშვილი, სოლომონი იყო, შვილო. სამსონთან შევიყვანე.

აბესალო

ახლავე აქედან წაეთრიოს!.. ახლავე მოჰკურცხლოს თავისით, ჩემს თვალებს არ დაენახოს!.. გესმის?

ეკა

შვილო, შვილო აბესალო!.. შენი ჭირი შეეყაროს დედაშენს, მაგას რას ამბობ, შვილო?.. რას ამბობ, შვილო?!

აბესალო

ეგ მე ვიცი, რასაც ვამბობ, მე ვიცი!.. ბერიკაშვილი კი ახლავე მომაშორეთ, თუ არ გინდათ, რომ ბიჭებს გავაბუნძურებინო!.. (გავა).

ეკა

(გაშტერებული). ღმერთო, რატომ არ მომკლავ!.. რას მოვესწარი ამას! რას მოვესწარი!.. (შემოსულ ვიქტორს) ვიქტორ, შვილო ვიქტორ, მიშველე, რაცხა უცნაურ ამბავს აპირობს ჩემი აბესალო!..

ვიქტორ

რა იყო?..

ეკა

ირევა ირინეს ბიძაშვილის მოსვლისათვის... სახლიდან დეითხოვეთო, თვარა ბიჭებს გავაგდებიებო!.. მიშველე, შენ გენაცვალოს შენი ნათლია, ამაშორე სირცხვილსა და გამოჭიანებას!.. შენს სულს ვენაცვალე!.. აგერ მოდის და, შენი ჭირიმე... შენი! (საჩქაროდ გავა).

ვიქტორ და აბესალო

აბესალო

დედაჩემი იყო აქ, ვიქტორ, სად წავიდა, თუ იცი?

ვიქტორ

ეს არის ახლა გავიდა, მკვდარია ქალი!.. აბესალო, კარგია; თუ ძმა ხარ, ამ შენს სახლში მაინც ნუ იზამ იმისთანა საქმეს, რომ შემდეგ ქვეყნის სალაპარაკო გახდეს. თუ კაცი ხარ, ქვეყანას ნუ ააყაყანებ!

აბესალო

ქვეყანაში მე კარგა ხანია სახელიც გამიფუჭეს და ვაჟკაცობაც შემირცხვინეს, რომ მორიდება მჭირდებოდეს კიდევ! კმარა, რაც თავსლაფი დამასხეს და აწი მე მიყურონ... მე მიყურონ!..

ვიქტორ

მერე რაც გინდა ის ქენი, დღეს, თუ ძმა ხარ, ამ ბერიკაშვილს თავი დაანებე, ნურაფერს ნუ შეამთხვევ... ეკა ჯავრით აღარ არის, მართლა ჰგონია... გავაგდებო, გითქვამს... იკლავს თავს საწყალი...

აბესალო

გავაგდებ, მაშ არა?.. ვხუმრობ, თქვენ გგონიათ?.. თუ თავათ ახლავე არ წათრეულა, შერცხვენილი დამიძახეთ, თუ არ გავაბუნძურო!..

ვიქტორ

ყმაწვილო, რას ერჩი ამ კაცს, რა დაგიშავა, რა გიყო საიმისო?..

აბესალო

ეგ მე ვიცი!

ვ ი ქ ტ ო რ

კაი დაგემართოს, ბებო რომ იცი, მაგრამ ამ ოჯახში, შე კაცო, შენ გარდა დედაა, მამაა შენი!.. ჯერ ამ ოჯახს მათი სახელი ჰქვია... შენ არ მომიკვდე, არავინ არ მოგიწონოს ასეთი აბირება.

ა ბ ე ს ა ლ ო

ჰმ, ახირება!.. ახირება!.. დასანახავად შემძულდნენ მაგ ლაწირაკები... მაგ უწმინდურები!.. ყველაფერი მაგათ გადამკიდეს, რაც დღეს დამემართა! ვიცი, რაზე დაწანწალებს მაგ წრიფი, მაგ მათხოვარა!.. მაგათი წყალობით მომეჭრა თავი და მაგათ უნდათ ტალახში ამოსვარონ ჩემი თავმოყვარეობა!.. არ მოასწრებს მაგათ ღმერთი ამას!

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო, რას ამბობ, ყმაწვილო, დაუგდე შენს ლაპარაკს ყური, თუ ძმა ხარ!

ა ბ ე ს ა ლ ო

ყველაფერი კარგად მესმის!

ვ ი ქ ტ ო რ

შენს თავმოყვარეობას რარიგად უნდა შეეხოს?.. რისთვის, რანაირად?.. რას ამბობ, კაცო?!

ა ბ ე ს ა ლ ო

ვიქტორ, ძმობით გევედრებით ყველას, ნუ მიხვევთ თვალებს! თვალებს ნუ მიხვევთ!.. ვიცი ყველაფერი, ვიცი, ყველაფერს ვხედავ და ყველანი ნუ ცდილობთ ბრიყვად გამომიყვანოთ! კმარა, კმარა რა ცეცხლშიც ვტრიალებ, თქვენ მაინც ნეღარ მიხეთქავთ უფრო გულს!

ვ ი ქ ტ ო რ

რითი, ყმაწვილო? რითი, თუ ძმა ხარ?

ა ბ ე ს ა ლ ო

მაგ წუნწკლიანის შვილი, ნეხვიდან ამოვათრიე* და დღეს ყოველნაირად გამაცადინებულია სირცხვილი მაჭამოს, თავსლაფი დამასხას, სასაცილოდ გახადოს ჩემი სახელი?!

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო, აბესალო, ირინეზე ლაპარაკობ შენ მაგეებს? მტყუანი ხარ, შენ ნუ მომიკვდები!

ა ბ ე ს ა ლ ო

ჰმ, მტყუანი ვარ, დიახ, დიახ!

ვ ი ქ ტ ო რ

შენს ქმობას ვფიცავარ, ირინე ანგელოზია...

ა ბ ე ს ა ლ ო

შენ არ იცი მაგ ანგელოზის ამბავი, არა, არა! არ იცი!

ვ ი ქ ტ ო რ

ვიცი და ამიტომ გეუბნები ამას!

ა ბ ე ს ა ლ ო

მე ვაჩვენებ მაგ ანგელოზს, რისი დირსიც ბრძანდება!..

ვ ი ქ ტ ო რ

რა დაგიშავა, ყმაწვილო, საამისო? ამას წინათ თავს იკლავდი, სანამ ჯვარს დაიწერდი, და ახლა კი...

ა ბ ე ს ა ლ ო

უწმინდურია, უწმინდურია ოხრისშვილი! წუპაკია!*

ვ ი ქ ტ ო რ

მე მგონია, აბესალო, ამნაირი შენი სიტყვა და საქციელი შენვე გამტყუნებს.

ა ბ ე ს ა ლ ო

(მიაჩერდება და მერე უცბად). ეგრე იყოს! ეგრე იყოს, ოღონდ ბერიკაშვილი მომაშორეთ თავიდან, ახლავე მომაშორეთ!

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო, ამით იმის მეტი არაფერი იქნება, რომ შეურაცხყოფას მიაყენებ შენს ოჯახსაც და შენს ცოლსაც განსაკუთრებით... სხვა არაფერი!

ა ბ ე ს ა ლ ო

რას დავეძებ, მეც ეგ მინდა!

ვ ი ქ ტ ო რ

კარგია, თუ ღმერთი გწამს!

ა ბ ე ს ა ლ ო

მე ნაკლებ ვარ მაგისაგან შეურაცხყოფილი? რაში მოვერიდები!

ვ ი ქ ტ ო რ

რითი, ყმაწვილო, რითი?

ა ბ ე ს ა ლ ო

ოხ, ღმერთო ჩემო, ოხ, ღმერთო ჩემო! რას მალაპარაკებთ კიდევ, როცა ყველამ იცით!.. ყველამ რომ იცით, რას მალაპარაკებთ კიდევ!.. როცა ქვეყანამ იცის ეს...: ო, ღმერთო! აბა რაა, რომ ტალახში მისვრის ვაჟკაცობას, სიყმაწვილეს, სახელს!.. ვისი გულისათვის მერე? ვისი გულისათვის?..

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო, ვიყვე ღვთისაგან შეჩვენებული, თუ შენ ამაში არ ცდებოდე!.: თუ შენ შემცდარი არ იყვე ამაში! რას ამბობ ამას, ყმაწვილო?!..

ა ბ ე ს ა ლ ო

ნუ მიხვევთ თვალებს, ნუ მიხვევთ თვალებს-მეთქი! გესმით!

ვ ი ქ ტ ო რ

ახირებულია, შენ ნუ მომიკვდე, ასე ტყუილუბრალოდ ადამიანის გამტყუნება!.. ბრალი მოდე ასე უსაბუთოდ!

ა ბ ე ს ა ლ ო

უსაბუთოდ?!

ვ ი ქ ტ ო რ

უსაბუთოდ, სწორედ!.. ყოველს ჩემს კეთილს შეახვედროს ღმერთმა მაგისთანა ოჯახის მოყვარული...

ა ბ ე ს ა ლ ო

საბუთი არაა, აბა რაღა ჯანდაბა გინდათ კიდევ!.. რა გინდათ კიდევ!.. რა გინდათ კიდევ, მეტი, რა?! გულში, გულში ჩახედეთ მაგ თქვენს ოჯახის მოყვარულს... მის პილწ გულში ჩაიხედეთ და მერე ილაპარაკეთ!.. ვძულდე, ვეძაგებოდე, ყოველგვარი სისაძაგლით აივსოს ჩემზე გული, ოღონდ სხვას, სხვას ნუ შეამჩნევინებს, სხვას ნუ ახვედრებს ამაში, თორემ მაგისი სიყვარული სრულიად არ მეჭირვება მე!.. სრულიადაც არ მეჭირვება!.. რა ჯანდაბად მინდა — ოღონდ ქვეყანაში ვაჟკაცობის სახელს ნუ მისვრის ტალახში და სასაცილოდ ნუ მიხდის!.. ეს მიკლავს გულს, ეს მიხუთავს სულს!.. ამის მოთმენა არ შემიძლია!.. ამას ვერ შევაწევ, ვერა! ვერა!.. ნუ მსვრის ტალახში ვიღაც ლაწირაკისათვის!..

ვ ი ქ ტ ო რ

ეგ ტყვილა შეწამებაა, აბესალო!.. ვითომ ირინეს როდამიშვილთან...

ა ბ ე ს ა ლ ო

ქვეყანამ იცის!.. ქვეყანამ იცის!..

ვ ი ქ ტ ო რ

ეგ შენი ბრალია, თუ გინდა მართალი გაიგო...

ა ბ ე ს ა ლ ო

ჰმ, ჩემი ბრალია, ჩემი!

ვ ი ქ ტ ო რ

შენი ბრალია!.. მე თავიდანვე ვიცოდი, რომ შენ მალე აგიგორდებოდა გული მაგ უბედურზე და როდამიშვილის მოგონება უკმაყოფილებას გამოიწვევდა შენის მხრით... და კიდეც ამაშია მთელი ამბავი! და ამ ცრუ წარმოდგენას აყოლიხარ და შენც იმწარებ სიცოცხლეს და ყველა მახლობელსაც!.. შენ არ მომიკვდე, სხვა არაფერი იყვეს და ამაშია შენი გამტყუვნება!.. შენი ცოლის უსაფუძვლო სიძულვილი!

ა ბ ე ს ა ლ ო

კარგი, კარგი! ეგრე იყვეს... ეგრე იყვეს, მაგრამ ბერიკაშვილი კი მაინც ახლავე თავიდან მომაშორეთ!.. ამ საათში, თორემ, თუ იმ შეჩვენებულთან დალაპარაკებული დავინახე, იქვე გავათავებ!

ვ ი ქ ტ ო რ

მოითმინე, ყმაწვილო!

ა ბ ე ს ა ლ ო

რა მოვითმინო?!

გამოსვლა მერვე

იგინიეე და ი რ ი ნ ე

(აბესალოს). მამას ოთახში გავშალოთ სუფრა თუ ზალაში? აბესალო! (აბესალო ხმას არ სცემს).

ა ბ ე ს ა ლ ო

ჯერ ეგ შენი მოამბე რომ მოგიბრძანდა, უკან გააბრუნე... მერე იკითხე სადილის ამბავი!

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო, აბესალო!

ი რ ი ნ ე

(გაშტერებული). რამ გიკბინა დღეს, ყმაწვილო? რას ირევი დღევანდელი დღე?!

ა ბ ე ს ა ლ ო

გადარეული როგორიც უნდა, მე განახვებ შენ, თუ ახლავე ეგ ვაებატონი, შენი ბერიკაშვილია თუ ვირიშვილი, სახლიდან არ გაგიგდია!.. ახლავე თუ არ წათრეულა, საიდანაც მოეთრია!.. მოგიტანა ამბავი? გაგიხარა ვითომ გული? ახლავე წაეთრიოს, თორემ მოტანილი ამბებიანათ სულ ერთიანად შიგნეულობას გარეთ გადმოვაყრეინებ! გესმის თუ არა?!

ი რ ი ნ ე

მესმის, მესმის!

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო! რას სჩადიხარ, ყმაწვილო!?

ი რ ი ნ ე

ეს გაკლდა! (ცრემლებმორეული უცბად გაბრუნდება და გავა).

ა ბ ე ს ა ლ ო

ახლავე, გესმის თუ არა!

ვ ი ქ ტ ო რ

შერცხვენილი ვიყვე, თუ ეს ამბავი რამეს ჰგავდეს!.. შე დალოცვილო, სხვა არა იყოს-რა, შენი ცოლის სახელი მაინც ჰქვია მაგ ქალს!..

ა ბ ე ს ა ლ ო

ცოლის სახელი!.. ცოლის სახელი!

ვ ი ქ ტ ო რ

ნეტავი ჩემთან არ გექნა ეგ ამბავი და არაფერი მინდოდა!..

ა ბ ე ს ა ლ ო

ჯერ სად ბრძანდება! ამით გადამირჩება მაგი ქალბატონი?!

გამოსვლა მეცხრე

ა ბ ე ს ა ლ ო, ვ ი ქ ტ ო რ ი და ე კ ა

ე კ ა

(გაფაციცებული). შვილო, აბესალო!.. აბესალო, შენი ჭირი შეეყარა შენს დედას!.. აბესალო, შვილო, ამ უცხო პირებთან ნუ!.. ამათთან ნურაფერს იზამ, შენ დაგენაცვლე!.. შენი სულის ჭირიმე!.. შენი!..

ა ბ ე ს ა ლ ო

დედა, თავი დამანებე! დამანებე თავი!

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო, თუ ძმა ხარ, დაწყნარდი!.. თუ ძმა ხარ!

ა ბ ე ს ა ლ ო

მაშინ დავწყნარდები, როცა ეგ შიკრიკი წაეთრევა, გესმის თუ არა!.. თუ არ გესმით, აბა მე მიყურეთ!.. (აღელვებული მიდის მამის ოთახისკენ) მიყურეთ, თუ აქ გამიჩერდება!

ე კ ა

(ვიქტორი წინ გადაეღობება). შვილო, რას აპირობ?.. აბესალო!

ა ბ ე ს ა ლ ო

მაცალეთ! მაცალეთ!.. გამიშვით!

ვ ი ქ ტ ო რ

აბესალო, ეს მოხუცებული დედაშენი მაინც შეიბრალე!.. ეგ მაინც შეიბრალე!

ა ბ ე ს ა ლ ო

გამიშვით!

ე კ ა

ღმერთო, რა დღეს შევესწარი!.. ღმერთო, რა დღეს შევესწარი!.. აბესალო, შვილო!

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ა თ ე

იგინივე, ს ა მ ს ო ნ, ს ო გ რ ა ტ, ნ ე ს ტ ო რ და ს ო ლ ო მ ო ნ

ს ა მ ს ო ნ

(სამსონის დანახვაზე აბესალო შედგება, მაგრამ მხეცურად უყურებს სოლომონს. სამსონს ჯოხი აქვს ხელში, ჩოხა გახსნილი და დაბალი ბოხოხი თავზე) სადილი ცოტა დავიცადოთ აბესალო... შენს სიმამრს მოსვლა უთქვამს — ეგებ ამ ცოტა ხანში კიდეც მოვიდეს... კარგა ხანია მე და ფილიპეს ერთმანეთის სადღეგრძელო არ დაგვილევია! მზახლებს* ასე არ შეშვენისთ!.. არა, სოლომონ ჩემო?

ს ო ლ ო მ ო ნ

მართალი ბრძანებაა, ბატონო!

ს ა მ ს ო ნ

ჰო და დღეს მაინც გამოვასწოროთ ეგ ჩვენი დანაკლისი.

ს ო გ რ ა ტ

გიახლათ კიდეც!..

ნ ე ს ტ ო რ და ს ო ლ ო მ ო ნ

(ფანჯარასთან). კი, ფილიპე!.. (ვიქტორი არ შორდება აბესალოს).

ს ა მ ს ო ნ

მართლა?.. ბრავო, ბრავო მზახალო!.. (მიდის ფანჯარასთან)

ბრავო მზახალო!.. (სოლომონი და ყმაწვილები გადიან შესაგებებლად). ეგ ყმაწვილი ვინ არის, ვერ ვიცანი? ა, ვიქტორ ჩემო?

ვ ი ქ ტ ო რ

როდამიშვილი გახლავს.

ს ა მ ს ო ნ

როდამიშვილი?

ვ ი ქ ტ ო რ

დიახ!

ა ბ ე ს ა ლ ო

(აცახცახებული). მამა, გთხოვ ნება მომცე, ეგ ყმაწვილი სახლში არ შემოუშვა!..

ს ა მ ს ო ნ

რატომ, შვილო?..

ა ბ ე ს ა ლ ო

გთხოვ, მამა!.. არ შემიძლია მაგას ფეხი აქ შემოვადგმევინო!..

ს ა მ ს ო ნ

შვილო, თუ რამ ანგარიში გაქვთ, სხვა დროისთვის გადადევი!.. შენს სიმამრს დასდევი პატივი — განა ფილიპეს გალანძღვა არ იქნება მაგის დათხოვა? ანგარიშის გასწორება, შვილო, ვაჟკაცურად ვიცოდით ჩვენს დროში!

გაგოსვლა მეთერთმეტე

იგინივე, ფ ი ლ ი პ ე და დანარჩენი ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი

ს ა მ ს ო ნ

ბატონ ფილიპეს დღეგრძელობა და სიცოცხლე! ბატონ ფილიპეს! მზახალო, შეიძლება ასეთი დავიწყება?

ფ ი ლ ი პ ე

ღმერთმა მიცოცხლოს თქვენი თავიც, ბატონო სამსონ!.. რა ვქნათ.. შეგვხვდა აგრე!..

ს ა მ ს ო ნ

დაბრძანდით, დაბრძანდით, ყმაწვილებო! თქვენი მომყოლი ყმაწვილი რა მიყავით, ბატონო ფილიპე?

ფ ი ლ ი პ ე

უკაცრავად ვარ თქვენთანაც, ბატონო სამსონ, და ჩემს სიძესთან მაგის მოყვანაზე... მაგრამ იმედი მაქვს, ერთი წუთით მისცემთ ნებას ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ... და მეც გევედრებით ორივე მამა-შვილს, იმდენი თავაზი გამიწიოთ...

ს ა მ ს ო ნ

თხოვეთ, თხოვეთ, მობრძანდეს, რა საჭიროა მაგდენი ლაპარაკი. ვიქტორ ჩემო, თხოვე!

ვ ი ქ ტ ო რ

კი, ბატონო! (გადის).

ს ა მ ს ო ნ

სხვებრ ხომ მშვიდობით, ჩემო მზახალო!

ფ ი ლ ი პ ე

რაღა საკითხავია ჩემი მშვიდობა, ჩემო ბატონო! რაღა საკითხავია! ღმერთმა ამ დღეს რატომ შემასწრო, თორემ ჩემს მშვიდობით ყოფნას თქვენი ჭირი წაუღია!

ს ა მ ს ო ნ

რაღაც უცნაური ამბავია, მზახალო ჩემო!

ფ ი ლ ი პ ე

არის... და არა, სამსონ ჩემო?! ამან არ მომარბენია ასე გამწარებული?! (აბესალო წასვლას დააპირებს) აბესალო ჩემო, მოითმინე... ერთ წამს მოითმინე... ერთ წამს მოითმინე და იმ-

დენი სულგრძელობა გამოიჩინე, ორიოდე სიტყვა გეიგონე ჩვენი! (შემოვა როდამიშვილი).

გამოსვლა მეთორმეტე

იგინივე, რ ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი და ვ ი ქ ტ ო რ

ს ა მ ს ო ნ

(შეეგებება). სამსონ სალამთაძე გახლავართ!

რ ო დ ა მ ი შ ვ ი ლ ი

როდამიშვილი! (საერთო თავის დაკვრა).

ს ა მ ს ო ნ

დაბრძანდით!..

ფ ი ლ ი პ ე

ბატონო სამსონ! თითონ იცით, მშობლის გულის ამბავი რანაირია, და თუ ამწამად ასე ელაპარაკობ, გამწარება მალაპარაკებს, ჩემო ბატონო სამსონ! ვისღა დავემალოთ? ვისღა დავერიდოთ, როცა, ვაი ჩემს მოსწრებას, ვაი ჩემს სირცხვილს და ქვეყანაში გამოჭიანებას, ყველას სალაპარაკოდ გამხდარა, ყველას სატიტინოდ!.. ეს ერთი ხანია მესმოდა ეგ უცნაური ამბავი, მაგრამ დღეს კი აღარ შემიძლია მეტის მოთმენა! ღმერთმა რავა შემიძულა ისე, რომ თქვენი ოჯახიც ილანძღება და ჩემიც ჩემი შვილისაგან!.. რა ვქნა, ვეღარ გავჩუმებულვარ მეტი!.. სწორედ უნდა გამოვთქვა ჩემი უკიდურესი მწუხარება თქვენთანაც, ამ ჩემს სიძესთანაც და ყველასთან, ყველასთან! ამ ჩემი სიძის გულითად მეგობრებთანაც!

ს ა მ ს ო ნ

რა ამბავია, ფილიპე ჩემო?! რა ამბავია, ღვთის გულისათვის?! მე რატომ არაფერი ვიცი?

ფ ი ლ ი პ ე

აბესალო, გაფიცებ ამ შენს ძვირფას, პატიოსან მამას... გაფიცებ შენს საყვარელს დედ-მამას, მითხარი, თუ მართლა ასე

გაუწყრა ღმერთი იმ ჩემს შვილს, რომ სრულიად დაივიწყა პატიოსნებაც, თავმოყვარეობაც, ნამუსი, აღარ მოერიდა უწმინდურობას, დაჰკარგა ოჯახის პატივისცემა — ქმრის სიყვარული და შიში, რომ იძულებულს გხდის ათასი საწყენი და გულსაკლავი სიტყვა გაიგონოს ყოველმა თავხედმა და ლაწირაკმა!.. მითხარი, შვილო, თუ მართლა თავის უნამუსობით გიჩაგრავს შენს სასიქადულო ვაჟკაცობას!.. მითხარი, ნუ მიმალავ!.. მოკვდა გული გაგონილითა და უცნაური ამბებით!

სამსონ

ჩემს რძალს ედება მაგგვარი რამ ბრალი? ირინეს?!

ფილიპე

მოვკვდი კაცი, სამსონ ჩემო! მოვკვდი! მომეჭრა თავი და გაგილანძღე ოჯახი, თუ ეს მართალია!.. აბესალო, შვილო?!

აბესალო

დამანებეთ თავი!.. თავი დამანებეთ!.. რა თქვენი საქმეა?.. რა გინდათ? რას სულელობთ! ახლავე შესწყვიტეთ ეგ ლაპარაკი!

სამსონ

აბესალო!

ფილიპე

რა გამაჩუმებს, ჩემო კეთილო?! რარიგათ გავჩუმდე, სანამ შენგან არ გავიგებ ჭეშმარიტს!..

როდამი შვილი

უკაცრავად ვარ, ბატონო სამსონ, ვწუხვარ, რომ ამნაირ შემთხვევამ შემომადგმევია ფეხი თქვენს ოჯახში... მაგრამ ისეა მოწყობილი საქმე, ჩემი აქ მოსვლა სრულიად შიშის ნიშანი არ არის თქვენი შვილის დამუქრების წინაშე, რომ ცოცხალს არ მარონიებს დედამიწაზე... ამისი შიში არ მამოქმედებს მე ამ წამში, სინდისი მეუბნება, და ამაში არ უნდა ვიყვე შემცდარი, რომ ჩემი გაჩუმება, სხვანაირად მოქცევა, გარემოების

წაყრუება — შეფერებად მიიღება და ამით მე მართლა და საბუთს მივცემ დააკეშმარიტოს ის, რაშიაც ბრალს მდებს თქვენი შვილი. ბატონო სამსონ! მითქვამს თქვენს წინაშე და ყველა აქ მყოფთან, ვიყავ ღვთისაგან შეჩვენებული, ვიყავ წყეული, მთელ ჩემს სიცოცხლეს გაუხარებელი, დაწყევლილი ყოველი ჩემი კეთილისაგან, მამა ზეციერმა ნუ შემასწროს ნურაფერ სიკეთეს, თუ მე რამე დანაშაულობა მიმიძღოდეს თქვენი შვილის, თქვენი ოჯახის წინაშე, რაშიაც ბრალს მდებს თქვენი შვილი...

სამსონ

რაები მესმის ეს!.. რატომ მე არაფერი გამიგია დღემდის?!

ფილიპე

ა, შვილო, ა, შვილო, ხომ გეიგონე!.. შემოგფიცათ და ტყვილა ბრალს რატომ... რატომ დებ!..

აბესალო

(რომელსაც არა ერთხელ უნდოდა წასვლა, მაგრამ მამის ნიშნებით* რჩებოდა იქვე). შემოგფიცათ!..

ფილიპე

მეტი რაღა გინდა, შვილო?!

აბესალო

თქვენ სისულელეს მეტი რა უნდა?!

ფილიპე

არა, ტყუილუბრალოდ...

აბესალო

(გაანჩხლებული). ტყუილუბრალოდ! ტყუილუბრალოდ! გულში ჩახედე იმ შენ წუპაკა ქალბატონს, გულში ჩახედე და მაშინ... მაშინ... თქვი... მაშინ!

იგინივე, ეკა და ირინე, რომელიც ღია კარებიდან ყურს უგდებდა

ირინე

თვითონ ჩაიხედე, ვაჟბატონო, შენს გულში, თვითონ ჩაიხედე, შე მართლა წუპაკო! მართლა წუპაკო! თუ არა და, ეგ გაღრინებდა, ვაჟბატონო?

ფილიპე

ირინე, შვილო!

ეკა

ირინე, დედაშვილობას, ჩუ! დედაშვილობას!

ირინე

თუ არა და, მთელ ქვეყანაში მოდევი ჩემი უნამუსობის ამბავი! მე გამოველ გარყვნილი და შენ კი პატიოსანი! შენ კი პატიოსანი! შენი უწმინდურობა ჩემზე გადმოიტანე, შე გლახა, გლახა?

აბესალო

ხმა ჩაიწყვიტე ახლავე!

ირინე

მე მწამებ უპატიოსნობას!! თვითონ რა კაცი ბრძანდები?

ვიქტორ და ეკა

ირინე, დაწყნარდი, ღვთის გულისათვის!

ფილიპე

ირინე, თავი შეიკავე, თავი შეიკავე!

ირინე

რაში დაგეტყო პატიოსნება, ვაჟკაცო? ფუი შენს კაცობას! ფუი!

ა ბ ე ს ა ლ ო

გაჩუმდი, თვარა გაგათავებ ამ წამში! ხმა არ ამოიღო!

ს ა მ ს ო ნ

აბესალო, შეჩერდი, მითქვამს შენთვის!

ი რ ი ნ ე

უწმინდურო, ჩემს გულში რა უნდა ნახო შენ? შენსავით ბილწი გგონია ყველა?! პატიოსნობა თვითონ რომ არ გაქვს, სხვაში რაფერ დაგანახებს შენი გაფუჭებულობა, შენი სიგლახე?..

ა ბ ე ს ა ლ ო

ხმა, თორემ მოგკალი ეს არის! (მიიწევს ირინესკენ, ყველანი შეაჩერებენ).

ფ ი ლ ი პ ე

ირინე, კარგი, შვილო!

ი რ ი ნ ე

გლახაკი მეტს რას იზამ! მეტი რა შეუძლია?! გლახაკო, გაფუჭებულო!

ა ბ ე ს ა ლ ო

ოოჰ!.. შენი სული! შენი სული! შენი! (ნახევრად იძრობს ხანჯალს და ეძგერება ირინეს. საერთო კივილი. ყმაწვილები მივარდებიან აბესალოს და გააშორებენ).

ს ა მ ს ო ნ

რა ქენი, შე უბედურო, რა ქენი ეს?! ქალი მოჰკალი განა?!

ე კ ა

უიმე, უიმე! ირინე! შვილო! ირინე!

ფ ი ლ ი პ ე

მიშველეთ, მიშველეთ! მომიკლეს შვილი! ირინე, შვილო, შვილო!..

ი რ ი ნ ე

ნეტავი მართლა და მოვეკალი.. მაინც ამით არ გათავდება?.. აი, ჩემი ბედნიერება, მამა!.. ხომ ხედავ?.. ხომ ბედნიერი ვარ!.. ხომ ბედნიერი ვარ, ჩემო მამა ა?!

ფ ი ლ ი პ ე

შვილო, ნუ გეშინია! ნუ გეშინია, შენი ჭირიმე!

ი რ ი ნ ე

შემახედეთ ამ ვაჟკაცისათვის, შემახედეთ ერთი!.. ყოჩაღ! ყოჩაღ! ვიშ, რა ვაჟკაცობა გამოიჩინა, ვიშ!.. მამა! მამა!.. (მტირალი ჩაეკვრება გულში მამას).

ფ ა რ დ ა

დარისპანის გასაჭირი

სურათი ერთ მოქმედებად

მოქმედნი პირნი

მ ა რ თ ა ქ ვ ი ტ ი რ ი ძ ი ს ა.
პ ე ლ ა გ ი ა ს ა ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა.
ნ ა ტ ა ლ ი ა, პ ე ლ ა გ ი ა ს ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი.
დ ა რ ი ს პ ა ნ ქ ა რ ს ი ძ ე.
კ ა რ ო ჟ ნ ა, დ ა რ ი ს პ ა ნ ი ს ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი.
ო ნ ი ს ი მ ე მ ა თ ა რ ა ძ ე.
ო ს ი კ ო ხ ა რ ე ბ ა ძ ე.

გამოსვლა პირველი

უბრალოდ მორთული ოჯახი მართას სახლ.

მ ა რ თ ა და პ ე ლ ა გ ი ა

მ ა რ თ ა

ახლავე აქ მომიყვანე ჩემი ნათლული, პელაგია ჩემო!.. ამ საღამოს მესტუმრება ონისიმე მათარაძის ბიძაშვილის ედუ-

კიას — ხარებაძეს რომ ჰყავს, შვილი... ეგებ ღმერთი შეგვეწიოს და ჩემი ნატალიას ბედმა გასჭრას!..

პ ე ლ ა გ ი ა

მიშველე, ჩემო ბატონო, ჩემო მწყალობელო!.. იცხონე სულ... მოისხი ჩემი შვილების მადლი!.. ერთი, ერთი ვინმე... რას დავეძებ, ვინ იქნება, სახლში სიძედ შემომაყვანიე და გაჭირვებისაგან გიხსნივარ... ერთი ვინმე პირველი მაშოვნინე და ძერე მე ვიცი... საშველს არ ვაღირსებ, სანამ თითო სიძე თითო ცოლის დას არ გამათხოვებინებს... შენ არ მომიკვდე!..

მ ა რ თ ა (იცინის)

ეგ ძალიან მოგიფიქრებია, პელაგია!.. ხა, ხა, ხა!

პ ე ლ ა გ ი ა

უიმე, რას არ მოვიფიქრებ, შენ გენაცვალე, როცა ჩემისთანა ოხერ-გაჭირვებულს სამი გასათხოვარი სახლში მიზის და მთხოვნელი კაცი არსად ჩანს!..

მ ა რ თ ა

კაი ოჯახის პატრონია, იცი!..

პ ე ლ ა გ ი ა

არ დავეძებ, შენ გენაცვალე!.. ცოდვისაგან მიხსნას, ქალიშვილობაში შვილი არ დამაბერებინოს და მის სიმდიდრეს რას დავეძებ!..

მ ა რ თ ა

მერე თუ ღმერთმა ქნა და უმაწვილმა სხვანაირი თვალით დეინახა ჩემი ნატალია — ეგებ არც კი დაგვჭირდეს რამე! ვინ იცის, რა თვალით შეხედავს!.. თუ არა და ერთი ათი, თხუთმეტი თუმნით მოვიტყუოთ (პელაგია ამოიოხრებს). აბა, შე ქალო, რას იზამ!.. ყოველისფერს ბედი უნდა...

პ ე ლ ა გ ი ა

ბედი უნდა... ბედი უნდა, ჩემო მაცხონებელო... ბედი უნდა...

მ ა რ თ ა

რასაკვირველია!.. მერე, ნათლიდედა, ნატალიას უთხარი... მე ვეტყვი, მარა შენც უთხარი — ქე რომ გადაპრანჭვა და ტუჩის აბზუკვა* იცის, თავი დაანებოს, თვარა გლახა საქმეს უზამს თავის თავსაც და დებსაც..: თავადაც ჩარჩება, ჩაბერდება ქალიშვილობაში და იმათაც ჩაბერებს!.: ნუღა იგვიანებ, პელაგია ჩემო!.. გასწი და ამწამსვე მოდით ორივე!.:

პ ე ლ ა გ ი ა

ორივე დედა-შვილი აქ გავჩნდებით..: რავა დევიგვიანებთ, შენ დაგენაცვლე! ცხონებას მპირდები!.. (მიიჩქარის კარებისაკენ, გამობრუნდება) შენ დაგენაცვლე, კაბა რომელი ჩავაცვა? შენ სინათლიან თვალებში რომელი უფრო მოუხდება?.: შავი, შენი ჭირი შემეყაროს, თუ..: ყველა შენი ნაჩუქარი აქვს!..

მ ა რ თ ა

ნატალია თავად ამოირჩევს!.:

პ ე ლ ა გ ი ა (კარებთან მისული გამობრუნდება)

პიჩოჩკა გეიკეთოს თუ დეიმწნას? ბედად წუხელი თავიც დეიბანა!..

მ ა რ თ ა

პიჩესკა... პიჩესკა გეიკეთოს!

პ ე ლ ა გ ი ა

კი, ჩემო სინათლევ, ჩემო მაცხონებელო!.. მე უბედურს ამისთანების რა გამეგება? ნაცარში ამოგლიგნილ დედაბერს!..(გაექანება კარებისაკენ, უცებ გამობრუნდება და მორიდებით დაიწყებს) ერთი რამ მინდა მოგახსენო, ჩემო ღმერთო, ჩემო ყორისფელო..: მარა ნუ შემრისხავ ჩემი ჭკუამოკლეობისათვის... ჩემს გამოჩერჩეტებულობისაგან ნურას მიწყენ, შენი ჭირი შემეყაროს!..

მ ა რ თ ა

რაა?

პ ე ლ ა გ ი ა

ნუ გეწყინება ჩემი უგუნურობა და სისულელე!..

მ ა რ თ ა

კაია, თქვი რა არის? რა გინდა?

პ ე ლ ა გ ი ა

ყველაფრის მეშინია... მე უბედურს...

მ ა რ თ ა

მომკალი, პელაგია, და ეს არის!.. თქვი, შე ქალო, რა გინდა?

პ ე ლ ა გ ი ა

რომ დამიწუნოს!.. სალაპარაკოდ შექმნიან... უარესად გაჭირდება, შენ გენაცვალე, კაცის შოვნა... დაწუნებული ქალიშვილის ამბავი თავად იცი, ჩემო ცხონებავ...

მ ა რ თ ა

აბა მიდღემჩი სხვასთან ვერაფერი გითქვამს შენი ქალიშვილებისათვის და ეგ არის!.. მე რაღაც მეგონა! დაწუნებაზე სიტყვა ნუ იქნება, თვარა ისეთ დასაწუნს გამოვუნახავ მთქმელს, რომ ვაი-ვუი იძახოს!.. შენ, ბატონო, ისე ქენი, რაც მე გითხარი... ჩემი ნათლული მომიყვანე აქ!..

პ ე ლ ა გ ი ა

შიში მალაპარაკებს მე უტვინოს! ყველასი მეშინია! შვილების შიშიც კი მაქვს!.. რომ რამე საწყენი შეხვდეთ, უნდა მომკლან, ისე შეუბრალებლად მეკიდებიან!..

მ ა რ თ ა

ეგ მე და ჩემმა ნათლულმა ვიცით... წადი, წადი, ნუღარ იგვიანებ!..

პ ე ლ ა გ ი ა

მივდივარ, მივდივარ, ჩემო სიცოცხლევ!.. არაფერი გეწყინოს, ჯვარი დაგწერე!.. ახლავე აქ გავჩნდებითო!.. (აჩქარებით გავა).



გამოსვლა მეორე

მართა, შემდეგ დარისპანი და კაროლინა

მართა (შემობრუნდება, მივა ფანჯარასთან)

ეს ვინაა?! ჩვენსა ჩამოუხვია!.. უიმე! დარისპანი თავისი ქალიშვილით!.. დასწყევლა ღმერთმა, საიდან გაჩნდა?! საიდან მოეთრევა?!.. (გავა), მობრძანდით, მობრძანდით, დარისპან ჩემო!..

დარისპან (რომ შემოვა)

აქა მშვიდობა!..

მართა

უი, შენ დაგენაცვალა მამიდაშენი... რამხელა გაზრდილა!.. რავა დამშვენებულა!.. პირველად რომ შემოგხედეთ, ვერც კი ეცანი... დაბრძანდი, დარისპან ჩემო!.. რავა მშვიდობით, შენ გენაცვალე?..

დარისპან

გახლავართ, მართა ჩემო!..

მ ა რ თ ა

ჩემი რძალი ხომ კარგადაა?

დ ა რ ი ს პ ა ნ

მადლობელი ვარ!.. ვართ ისე, მართა ჩემო!.. რავარც მოგეხსენება ჩვენისთანების ამბავი!.. შენ რაღა დაგიმალო, მართა ჩემო, ჩემი სისხლ-ხორცი ხარ — აგერას წელში გავწყდებით, მართა ჩემო!.. ნამეტან გაჭირვებაში ვიმყოფებოდით — მარა ამ ქალიშვილებისაგან უფრო გვემატება გასაჭირი, შენ გენაცვალე!.. შენ გაშორა ღმერთმა ეს დღე, ჩვენ რომ გვადგია... ერთი გყავდა და ქე მოახერხე მისი გათხოვება — ჩვენ კი ერთობ გაწვალებული შევიქენით, მართა ჩემო!.. ოჯახს ვერ ნახავ, რომ სამი და ოთხი ქალიშვილი არ ჰყავდეს გასათხოვარი და მთხოვნელი კი არსადაა, შენი ჭირი შემეყაროს!.. არსად არის! რაღაც უბედურებამ გული შეუცვალა ახლანდელ ყმაწვილებს... აღარ ეკიდებიან ოჯახობას!.. ე გოგოები კი გვიყრიან სახლში და გვაბერდებიან საცოდავად ხელში... ამას წინათ მაშვლით* მაინც მოახერხებდი კაცი საქმეს — ახლა იმათაც მიანებეს თავი, მაშვლობას აღარ ჰკიდებენ ხელს — ვერასფერი გამოსარჩენი ხვდებათ და ტყვილა წანწალით როდიღა იწუხებენ თავს!.. სხვა გზა აღარ გრჩება გასათხოვარის პატრონს — ისევ შენ თავად გამოძებნო და მონახო სადმე სასიძო!.. არ დაგიმალავ, ჩემი სისხლ-ხორცი ხარ, შეხვალ ჩემს გასაჭირში — დავათრევ ამ ჩემს ქალბატონს ყოველგან — ნათესავებში, კეთილებში, დღეობებში, — ეგებ ვისმეს ან მოეწონოს, ან ვინმემ სხვანაირ გუნებაზე თვალი გადაავლოს და გამანთავისუფლოს ამბისაგან!.. სად არ ვყოფილვარ, ცის კიდე* მაქვს მორებული*, მართა ჩემო — არაფერი იქნა!.. ახლა აგერ ერთმა, ჩემი ცოლის ნათესავმა, შემომითვალა, მომიყვანეო... ვიღაც ყმაწვილი ყოლია სახეში* — ვაჩვენებო!.. მიმყავს იქ!.. აბა რა ვქნა, შენი ჭირი შემეყაროს?!.. უწინ თავად მოდიოდნენ სანახავად, ახლა შენ უნდა მიუყვანო!.. რას იზამ?!.. წანწალმა მომკლა, მართა ჩემო!.. ეგებ ერთი კი გავათხოვო, მარა რა, მადლი აღარ აქვს ამისთანა გათხოვებას!.. შენთან შემოვუხვიე, ეგებ ცოტა დევისვენო და შენც კარგა ხანია, აღარ მინახავხარ!..

მ ა რ თ ა

ბედია, დარისპან ჩემო!.. ყველაფერში ბედი მუშაობს!.. სანამ თავის ბედს არ შეეყრება, არაფერი არ იქნება... თავისით მოვა!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

შე დალოცვილო, სანამ თავისით მიაგნებდეს, ე შვილი კიდეც დამიბერდა, დამიუშნოვდა... დამახინჯებულსა და დაგლახავებულს რომ შეხვდა საბედო, კი აღარ მოჰკიდა ხელი, ქე დეიწუნა!..

მ ა რ თ ა

ამისთანა კარგ გოგუნის ვერ დეიწუნებს, რას ამბობ, შე კაცო?!.. ყოველთვის მოიწონებენ!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

მოიწონებენ კი არა!.. სისხლი გამიშრო მე მაგან, მართა ჩემო, სისხლი გამიშრო!.. ამ გზაში სულ იმას ჩავჩიჩინებ — ი, ბოშო,* სხვას რომ დეინახავ, თამამად იყავი, ხმა ამოიღე, ენა მუცელში ნუ ჩაგივარდება, დაანახვე, რომ მუნჯი არა ხარ... შენც არ მომიკვდე, ვერაფერი შევასმინე! — რავარც ვინმე გარეშეს თვალს მოჰკრავს, ქეც* დამუნჯდება, ქეც დაყრუვდება, ქეც დაკუტდება... დაჯდომა თუ ერთი მოასწრო, ააყენებ ზეზე? — ისე დეეკოსება* ერთ ადგილას, რომ ვერას გზით ვერ ააგლეჯ ზევით!.. მომკლა მე მაგან!.. ვინ უნდა მოიწონოს?.. სახლში კი, მართა ჩემო, ოთხივე რომ ლაქლაქს მოჰყეებიან, ზედ შენი რძალიც დეერთვის — ჰმ, ყურთასმენაა წაღებული, მართა ჩემო!..

მ ა რ თ ა

კი, მამიდა — თამამად უნდა იყვე ყველასთან!.. ხმაც უნდა ამოიღო... დეელაპარაკო კიდეც!.. თუ ყმაწვილი შეგხვდა — უნდა გაუსრიალ-გამოუსრიალო თვალწინ!.. ვინ იცის, რა თვალით შემოგხედავს!.. თავი უნდა მოაწონო... უფრო მალე გათხოვდები, მამიდა!

დ ა რ ი ს პ ა ნ

სხვებრ, იცოცხლე, მართა ჩემო, ერთობ მარჯვე არიან: ნამდვილ საოჯახო ქალები დარჩებიან!.. ხელსაქნარი, მე შენ

გეტყვი, არ ემარჯვებათ და არ იციან!. წვრილფეხის მოვლა, ფრინველის მოშენება! რამდენი ფრთა ქათამი გყავდა წრეულს, ბოშო?

კ ა რ ო ჟ ნ ა

ორასი გამოტეხა*... მარა ჭირმა გაგვიწყვიტა...

დ ა რ ი ს პ ა ნ

აბა, აბა!.. ერთობ დაგვაზარალა, მართა ჩემო, ჭირმა!..

მ ა რ თ ა

არაფერია... გაისად უფრო მეტს მოაშენებს!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

არ მინდა, შენ გენაცვალე... ქათამს და ბატს სამიდღემჩიოდ დავთმობ, ოღონდ კი მაგას პატრონს მოვუნახავდე!..

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

ი გ ი ნ ი ვ ე, პ ე ლ ა გ ი ა და ნ ა ტ ა ლ ი ა

პ ე ლ ა გ ი ა (მართას ჩუმად)

ხომ არ დამგვიანებია, შენ გენაცვალე?

მ ა რ თ ა

არა, არა!. დარისპან ქარსიძე... მათი ქალიშვილი... ღმერთო, მომკალი, ფუი ჩემს მახსოვრობას!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

კაროჟნა, მართა ჩემო, კაროჟნა!..

მ ა რ თ ა

დავბერდი მე უბედური... გულმავიწყი შევიქენი!.. კაროჟნა ჩემი... ნათლიდედა პელაგია საბელაშვილისა... ჩემი ნათლული, მათი ქალიშვილი.

დ ა რ ი ს პ ა ნ

დიდად სასიამოვნოა!.. დიდად სასიამოვნოა!.. (ისევ დაჯდება).

მ ა რ თ ა

ნატალია ჩემო... მოდი, შენ გენაცვალე, შენთან ცოტა საქმე მაქვს! (გავლენ).

გამოსვლა მეოთხე

პ ე ლ ა გ ი ა, დ ა რ ი ს პ ა ნ ი და კ ა რ ო ჟ ნ ა

დ ა რ ი ს პ ა ნ (მოკლე სიჩუმის შემდეგ)

აქაური მცხოვრები ბრძანდებით?..

პ ე ლ ა გ ი ა

აქაური, ჩემო ბატონო!.. თითქმის მეზობელი ჩემი მართასი!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

კაი დაგემართოს!.. (მოკლე სიჩუმის შემდეგ) ერთობ მარჯვე ქალია ეს ჩემი ნათესავი ქალი, ჩვენი მართა.

პ ე ლ ა გ ი ა

ნუღა ბრძანებთ!.. მაგით გვიდგია მთელ ამ კუთხეს სული!.. მაგაა ჩვენი შემხედვარე, ჩვენი შემბრალებელი, დამრიგებელი, რჩევის მომცემი და მწყალობელი!.. უმაგისოდ რა გვეშველებოდა, ჩემო ბატონო?!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

ჰმ, საკვირველია!.. სადაც კი ფეხი ჩადგეს ჩვენი გვარის ქალებმა ყველგან სასახელოდ უჭირავთ საქმე!. დიდი ღვთის წყალობაა, თქვენ ნუ მომიკვდებით, ასეთი ამბავი... ასეთი სიკეთე გვაროვნობით რომ დაჩემდება!.. სახელს უკეთებს გასათხოვრებსაც!..

პ ე ლ ა გ ი ა

კაი ოჯახი კაი შვილს გაზრდის, ჩემო ბატონო, რაღა ლაპარაკი უნდა!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

ჰეშმარიტი ბრძანებაა!.. სწორედ ასეა!.. უკაცრავად, ვერ გევიგონე კარგად თქვენი სახელი...

პ ე ლ ა გ ი ა

პელაგია, ბატონო ჩემო!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

ჭეშმარიტი ბრძანებაა, ბატონო პელაგია!.. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ კაი ოჯახები გვაქვს გვარში!.. თუ ყველას არა... ზოგიერთებს მაინც!.. ჩემს თავზე მოგახსენებთ — რომ მობრძანდეთ ჩემს ოჯახში, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვერაფერს დამიწუნებთ!.. თქვენ არ მომიკვდეთ!.. ერთობ გაწყობილი ოჯახი მაქვს!..

პ ე ლ ა გ ი ა

ღმერთმა მოგცეთ, ჩემო ბატონო!

დ ა რ ი ს პ ა ნ

შვილებიც ისეთები დამეზარდნენ, რომ თამამად შემიძლია ვთქვა, ვის ოჯახშიც შევლენ — ოჯახს გაანათლებენ, ისეთი ქალიშვილები მყავს, ბატონო პელაგია!.. მამა ვარ და ვერ ვარჩევ, რომელი რომელს სჯობია!.. რა არ იციან?! ერთი თვალი რომ რამეს მოჰკრან, მეტი არ უნდათ!.. ამას წინათ სადღაც ენახათ... კარხმალს* რომ ახლა უშვებიან... რას ურევთ, ბოშო, ამას წინათ რომ მაყიდვინეთ... შაურის იყო?

კ ა რ ო ჟ ნ ა

ბურია!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

დიახ, დიახ, ბურია!.. ისე აპრიალებენ, კარხმალიანი თუ რამე შეხვდათ, რომ რომელი ქალაქის პაჭკა* მოაბერხებს!..

პ ე ლ ა გ ი ა

დიდი ღვთის წყალობაა, ჩემო ბატონო!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

ისე არიან გადამკვდარი საქნარზე, რომ გარეშე მოსამსახურე არც ბიჭი და არც გოგო ახლოს არ გეიკარეს... სახლში არ შემომაყვანიეს... თავის ხელით უნდათ აკეთონ ყველაფერი!..

ღვთის წყალობაა ქალიშვილი ოჯახში!.. თქვენ რამდენი გყავთ, ბატონო პელაგია, ქალიშვილი?

პ ე ლ ა გ ი ა

სამი, ბატონო! თქვენ?

დ ა რ ი ს პ ა ნ

მე... ამიანათ ოთხი!.. დიახ, ოთხი!.. მარა გათხოვება მეძნელება.

პ ე ლ ა გ ი ა

ჭირს, ბატონო... ერთობ ჭირს!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

არა... მენანება მოშორება!.. კაი ოჯახში ნამყოფი, კარგად შენახული..; თუ ისევ ხეირიან ოჯახში არ ჩააგდე, ცოდვაა..; ამიტომ უფრო არ ვეჩქარი მაგათ დათხოვებას..; თვარა მთხოვნელები ბევრი დამიდიან!..

პ ე ლ ა გ ი ა

ვისაც შეუძლია ქალიშვილის შენახვა რა შეაწუხებს..;

დ ა რ ი ს პ ა ნ

ვწუხვარ კი არა..; ჰმ, ჩემისთანა მოლხენილი კაცი არ მეგულება!.. არაფერი არ მაწუხებს!.. მივდი-მოვდივარ ამ ჩემს ნათესავებში, კეთილებში, ნაცნობებში..; ყველგან კარი ღიად მხვდება, ყველგან უხარიათ ჩემი ნახვა..;

პ ე ლ ა გ ი ა

ღმერთმა კეთილად გარონიოთ, ჩემო ბატონო!.. (ამოიხვნეშავს) ღმერთმა სიკეთე გმატოსთ..; მოგახსენებენ, ბედნიერი ადამიანის დანახვით გაჭირვებულს გული გეეხსნებაო!..;

გამოსვლა მეხუთე

იგინივე, მ ა რ თ ა და ნ ა ტ ა ლ ი ა

მ ა რ თ ა

მოდი, მამიდა, რიგიანად ხმა გამეცი.

დ ა რ ი ს პ ა ნ

ძიდი, ბოშო!.. (ხმადაბლა) მართა ჩემო, გზაში ცოტა გეგილა-ხე... წინ კიდევ გვარიანი გზა მაქვს გასარები... ერთი თუ თა-ვი არ წავდევი, თვალი არ მოვხუჭე — მოვკვდები კაცი!.. ავ-დგები მერე და გავუდგები ჩემს გზას, მეშინია არ დამაგვიან-დეს იქ მისვლა... ეგებ მეშველოს რამე!..

მ ა რ თ ა

კი, შენი ჭირიმე... წამობრძანდი! (მიუძღვება ოთახში).

დ ა რ ი ს პ ა ნ

ბოშო, წამო შენც, ლაფჩინს* გამხდი! (გავლენ).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ე ქ ვ ს ე

პ ე ლ ა გ ი ა, ნ ა ტ ა ლ ი ა დ ა შ ემ დ ე გ მ ა რ თ ა

ნ ა ტ ა ლ ი ა

ვინ არიან ესენი?! (ეცინება)

პ ე ლ ა გ ი ა

კაია, კაი!.. ყველას შენ უნდა გაცინო!.. გოულანძღე წათლია-შენს ნათესავი — აამებ ძალიან.. უი, თქვენს ჩვეულებას!..

ნ ა ტ ა ლ ი ა

დამამუნჯე ახლა!.. ხმას ნუ ამომაღებინებ, ჰო!

პ ე ლ ა გ ი ა

გაჩუმდი, გეუბნები!.. რჩება აქ, შენ გენაცვალე?

მ ა რ თ ა

წეიძინებს... ადგება და წავა თავისთვის!..

პ ე ლ ა გ ი ა

ვაი თუ ის ყმაწვილი მაგის წასვლამდის მოვიდეს!..

მ ა რ თ ა

მერე რა? (ნატალია ვითომდა ყურს არ უგდებს, ფანჯარაში იყურება).

პ ე ლ ა გ ი ა

ოთხი ქალიშვილი ჰყოლია!.. თუ ყმაწვილი მოეწონება, ეგებ ქე შეაძლიოს ქალიშვილი... გადიყოლიებს... შეძლებული ყოფილა!..

მ ა რ თ ა

ვინ? დარისპანი? საიდან გეიგე მაგ, პელაგია... ვინ გითხრა, თუ კიყვარდე?

პ ე ლ ა გ ი ა

თავად, შენ გენაცვალე!.. თავად გადმომიშალა თელაღ თავისი ოჯახის ამბავი!

მ ა რ თ ა

შეძლებული ვარო!.. უი მაგ უბედური, რომ არ შეუძლია გარეშესთან არ მორთოს თავის ტრაბახობა!.. შენთან მაინც რაღა ატრაბახებდა?! რა ჩვეულება სჭირს მაგ უბედურს!..

პ ე ლ ა გ ი ა

მე კი გადამრია, ისეთები მომიყვა!.. (იცინის) გაქცევა ვიფიქრე, შენ ნუ მომიკვდები... თუ ყმაწვილი მოეწონა-თქვა!.. მაგასთან მე ვიღა დამიწყებს ლაპარაკს-თქვა!..

მ ა რ თ ა

თუ გინდა მართლა მდიდარი ყოფილიყო, მერე ამისთანა გვრიტუნიას გავაქცევდი მის ქალიშვილთან, ღმერთო, მომკალი?! (ნატალიას) კარგი ხარ, შვილო... ყოველისფრით კარგი ხარ, ჭარა ერთი რამ მაინც უნდა გითხრა... დრო მოვიდა, შვილო, ისეთი რომ ყველა წუხს, ყველას ნამეტანი გასაჭირი ადგია... ყმაწვილები ისე შეშინდნენ, რომ ოჯახის მოკიდებას ერიდებიან, ქალიშვილებს ხელს აღარ ჰკიდებენ!..* ამისთანაში, შვილო, ჩხრეკა-ძიება და რჩევა თუ აზარალებს ქალიშვილ ქალს, თვარა სიკეთეს არ დააყრის!.. თუკი ვინმე გამოჩნდეს ღვთისნიერი, ცოლად წაყვანა მოგინდომოს, ნუღარც კი კითხულობ რამეს... ორივე ხელებით ჩეებღაუჭე, — არსად წაგივიდეს!.. მადლობაც უთხარი, რომ სხვას შენი თავი არჩია!.. თვარა ეგ შენი სილამაზე გაგიქრება, ხანიც გადაგივა და მერე აღარც კი

შემოგხედავს ვინმე — ჩაბერდები ქალიშვილობაში, შვილო!.. ისეთი დრო მოვიდა, რომ ქალიშვილის გათხოვება ყველასათვის ნამეტანი გაჭირდა, შვილო!.. თუკი კაცი გამოჩნდა, რომ შენი ჭმევა, სმევა, ჩაცმა-დახურვა იკისროს — ნურც კი კითხულობ ბევრს მისას...

პ ე ლ ა გ ი ა

ყური უდგე, ყური უგდე, შვილო!.. ოქროდ უნდა გიღირდეს თითო ამისთანა დარიგების სიტყვა!.. ამ შენი ნათლია-ბატონის მაინც შეისმინეთ რამე!.. ჩემი სიტყვა ახლოსაც ხომ არ გეიკარეთ!.. რა გიყოთ მე უბედურმა!.. სამი მყავხართ... სამივე გასათხოვრები... სხვისი მაინც გაიგეთ, თუ ჩემი არ გესმით!..

ნ ა ტ ა ლ ი ა

მესმის, ბატონო, მესმის!.. ყრუ ხომ არა ვარ, დედა...

პ ე ლ ა გ ი ა

შებზიალდი, შებზიალდი შენებურად! ნათლიაშენსაც ნუ დაერიდები!

მ ა რ თ ა

კაია, პელაგია, კაია! ესმის, აბა არ ესმის!..

პ ე ლ ა გ ი ა

სიცოცხლე მაქვს მაგათგან გამწარებული, ჩემო შემწყალებელო!..

მ ა რ თ ა

დაწყნარდი... დამშვიდდი... ეგებ ამ საღამოს ღმერთმა გაგვახაროს!..

პ ე ლ ა გ ი ა

ვინ მოესწრება მაგას, შენ სულს ვენაცვალე!.. გული მაქვს გატეხილი, კი აღარაფერი მჯერა!..

მ ა რ თ ა

მხნედ იყავ, პელაგია!.. აბა, შვილო, რავარც გითხარი... ყორიფელი თავთავის დროზე, შენებურად კოხტად შემოიტანე ყველაფერი...

ნ ა ტ ა ლ ი ა

კი, ბატონო!

მ ა რ თ ა

შემოგხედოს, რა ჩიტუნია გვყავხარ!.. ეგებ ისეთი თვალი გადაგავლოს, რომ თავად შემოიხვეწოს შენი თავის მიცემას!.. შენისთანა ლამაზი და კოხტა ქალიშვილი ხანდახან ერთი თვალის დახამხამებაში გააგიჟებს ხოლმე ზოგიერთ უმაწვილს!.. თვალია ყოველისფერი!.. ამიტომ უნდა ეცადო, სხვანაირად დაანახვო შენი თავი, ქალიშვილმა ქალმა!

პ ე ლ ა გ ი ა (რომელიც ხშირად ფანჯარაში იმზირებოდა) მოდის, მართა ჩემო!.. მოდის!.. მოდის!.. ნატალია!.. შვილო!.. (მივარდება კაბის გასასწორებლად) თმა, თმა გეისწორე!..

მ ა რ თ ა (გადაიხედავს)

კი, ის არის... აბა, შევეგებოთ, ნატალია ჩემო! (მიდის).

პ ე ლ ა გ ი ა

მართა ჩემო... შენი ჭირი შემეყაროს... ერთი თვალი გადაავლე... ურიგოდ არაფერი ჰქონდეს! (ნატალია წყრომით გადმოხედავს).

ნ ა ტ ა ლ ი ა

თავი დამანებე, ბატონო...

მ ა რ თ ა

არაფერი არ უნდა, პელაგია!.. გვაცალე, ბატონო!.. (გავლენ).

პ ე ლ ა გ ი ა

ღმერთო, შემეწიე!.. ღმერთო, შემიბრალე!.. ღმერთო, მოხედე ჩემს გაჭირვებულ ქვრივ-ოხრობას!.. (იხედება გარეთ) ღმერთო, აღირსე ბედი ჩემს ნატალიას!.. ღმერთო, ბედნიერი და კეთილი თვალით შეახედვინე ჩემი შვილისათვის! (ისწორებს კაბას და თავსაფარს).

მ ა რ თ ა, პ ე ლ ა გ ი ა, ნ ა ტ ა ლ ი ა, ო ს ი კ ო და ო ნ ი ს ი მ ე

მ ა რ თ ა

მობრძანდით, თქვენი ჭირიმეთ... მობრძანდით!..

ო ნ ი ს ი მ ე

აქა მშვიდობა!.. ოხ, ბატონ პელაგიას ვახლავართ!..

მ ა რ თ ა (აცნობს ოსიკოს)

ჩემი ნათლიდედა გახლავსთ, პელაგია საბელაშვილისა... დაბრძანდით, ჩემო ბატონო!.. ღმერთო ჩემო, რავა შეუმჩნევლად ვბერდებით!.. გუშინ ბაღანა მახსოვს... ახლა რას ვხედავ?! დაწვერულვაშიანებული ვაჟკაცი და რა ვაჟკაცი კაცი! შენ გენაცვალე!.. რა ბედნიერი ქალია ჩემი ივლიტა, ხომ კარგადაა, შენ გენაცვალე?

ო ს ი კ ო

გმადლობთ, კარგად გახლავსთ!..

ო ნ ი ს ი მ ე

დიდი მეოჯახე ქალია... დიდი მეოჯახე!..

მ ა რ თ ა

არ ვიცი?!.. აი, ბეჩა*, რა მეგობრობა გვქონდა ჩვენს დროზედ!.. უერთმანეთოდ სულს არ დავბერავდით!..* ბედნიერი ქალია!..

ო ნ ი ს ი მ ე

კიდევ უფრო ბედნიერი იქნებოდა, რომ მისი უფროსი ვაჟის შვილი დეენახა... ერთობ წუხს, რომ რძალი სუსტი ქალი გამოადგა შვილოსნობაში...

მ ა რ თ ა

მის ადგილზე სულაც არ ვიჯავრებ მაგაზე!.. ერთს არა ჰყავს — მეორეს ეყოლება!.. სხვის ხელში ხომ არ გადავა მამული!..

აკერ, ჩემს ოსიკოს არ შეეძინება?! მზითვიან ქალს მზითევით თავს აღარ მოატყუებინებს... მზითევი, თუ კაცი მართალს იტყვის, ქალის ნაკლებულობის შესავსებია, ღმერთმანი!.. ოსიკო ჩემი სხვებსავით ვაკრობას არ იკადრებს... შეხვდება სადმე ერთ ლამაზ, კოხტა ქალიშვილს და თავადაც გულს გეიხარებს და დედასაც გაახარებს მისი შერთვით!.. ასე არაა, ოსიკო ჩემო? (ოსიკო იცინის).

პ ე ლ ა გ ი ა (თავისთვის)

შენ გენაცვალე მაგ მოქარგულ ენაში!..

მ ა რ თ ა

რასაკვირველია... რასაკვირველია!..

ო ნ ი ს ი მ ე

მზითევი მაინც არაა დასაკარგავი ყმაწვილებისაგან, ჩემო მართა!..

პ ე ლ ა გ ი ა (თავისთვის)

გაგიხმა ენა!..

ო ნ ი ს ი მ ე

ჩემს რძალს რომ მზითევი არ მოჰყოლოდა, სწორედ არ შემოვუშვებდი შვილს სახლში... ყმაწვილმა თავი უნდა დეიფასოს!..

მ ა რ თ ა

ჩვენ ძველებურად ვირჯებით, ბატონო ონისიმე!.. ახლანდელი ყმაწვილები მოწონებას უყურებენ მარტო... მოწონებით იციან საქმის გათავება... არა, ოსიკო ჩემო? ი შენი კაი დედა ნუ მოგიკვდება!

ო ს ი კ ო (ღიმილით)

კი, ბატონო!

ო ნ ი ს ი მ ე

მამა გიცხონდება!..

მ ა რ თ ა

რასაკვირველია!.. ჭკვიანი, დინჯი, გაგებული ახლანდელი ყმაწ-

ვილი კაცი მზითვის გულისათვის არ დაჰკარგავს კარგს, ლამაზს, კაი ხასიათის და საოჯახოდ გამოსადეგ ქალს!.. არა, ბატონო ონისიმე?! ტყუილს ვამბობ, ოსიკო ჩემო, შენ გენაცვალე?

ონისიმე

კი, ბატონო მართა...

მართა

გვაცალეთ, ბატონო!.. (ოსიკო იცინის, შემოდის კაროენა). დარისპან ქარსიძის ქალიშვილი გახლავსთ! (კაროენა ხელს ჩამოართმევს და დაჯდება თავისთვის) მართალს ვამბობ, თუ ვტყუი, ოსიკო ჩემო?

ოსიკო

მართალია!..

მართა

აბა რა!..

ონისიმე

თქვენ ნუ მომიკვდებით, თქვენმა შვილმა რომ უმხითვო მოგაყენოსთ კარზე...

მართა

შემობრძანდი-თქვა, ვეტყვი და პირველ ადგილზე დავსვამ, თუ კი იმისთანა ქალი დამანახვა, რომ თვალსაც იამა და გულსაც... ისე მე ვიცოცხლო, ასე ვქნა!.. კი, ბატონო ონისიმე!.. მარა მარტო ეს მუსაიფი ხომ არ გვეყოფა, ეს ღმერთმაც იცის და კაცმაც!.. (სიცილით გავა, მას მიჰყვება ნატალია, მერე პელაგია. ამათ შემდეგ კაროენაც შებრუნდება ოთახში, სადაც მამამისი წევს).

გამოსვლა მეოთხე

ოსიკო და ონისიმე

ონისიმე (ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ)

ეს ჩვენი მასპინძელი რაღაც კრიმანჭულებით გველაპარაკება!.. მგონი, იმ თავისი ნათლულის თავი უნდა რომ მოგაწონოს...: უკან რომ გეიყოლია — მიფრინია-მოფრინია!..

ოსიკო

აქვს რამე?

ონისიმე

ამ აბზეკილი ცხვირისა, წვრილი ტანისა, შეღებილი წარბებისა და მარდი ფეხების — რასაც ხედავ — მეტი არაფერი, ბიძიკო.

გამოსვლა მეცხრე

იგინივე, დარისპანი, შემდეგ კაროჟნა

დარისპან

აზნაური დარისპან ქარსიძე!..

ონისიმე

ველარ მიცანით, ბატონო დარისპან!.. ჩემი ბიძაშვილის შვილი ოსიკო ხარებაძე!..

დარისპან

ოჰ, ღმერთო, მომკალი!.. მაპატიეთ, ბატონო ონისიმე, ხშირად ამ ბოლო დროს გზაში ვარ ხოლმე გაკრული*... ერთობ ვილახები და იმის გამო... ეს ბავშვიც კი გამელახა ნამეტანი... რას იზამ, ბატონო ონისიმე, — ოჯახის პატრონი კაცი ვერ დაკარგავ ვერც ნათესავს, ვერც კეთილს, ვერც მოყვარეს... ამას კი დიდი მისვლა-მოსვლა სჭირდება!..

ონისიმე

მართალი ბრძანებაა!.. დიდი ხანია აღარ გვინახავს ერთმანეთი!..

დარისპან

კარგა ხანია, ბატონო ონისიმე!.. ოჯახს ვუსდები... დიდი სამძიმო საქმეა ოჯახი, ბატონო ონისიმე... თელად* კაცს მოგინდომებს...* ნამეტურ,* როცა შენდა გუნებისად* გაქვს მოწყობილი...

ონისიმე

მართალია... მართალია!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

როცა ოჯახში გეგულება რამე!.. უნდა მოგახსენოთ, წინათვე ურიგო ოჯახი არ გვქონია... მარა ჩემი მეცადინეობით,* — თამამად შემიძლია მოგახსენო, – სწორედ რომ კარგად მოვაწყე ამ ბოლო დროს. გიამბათ, რომ შემობრძანდეთ, ბატონო ონისიმე, თქვენ ნუ მომიკვდებით!.. პურით, ღვინით, სასმელ-საჭმელით!.. ერთობ შევმატე, ონისიმე ჩემო!.. ნამყოფ კაცსაც იამება... გადავყევი კი!..

ო ნ ი ს ი მ ე

დიდი ამბავია კაი ოჯახი, ბატონო დარისპან!.. დიდი შეღავათია!.. იმით მაქვს გული გახსნილი, ოჯახი რომ საავსე მეგულება!.. თქვენ ნუ მომიკვდებით, დარისპან, ჩემი თეთრი ღვინო რომ გამახსენდება, — ერთი ხუთი საპანე მისხია, — გულს იმწამსვე ყოველივე დარდი გადამეყრება!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

კმაყოფილად რომ მიყურებენ, თქვენ ნუ მომიკვდებით, ისეთი პირები მსტუმრობენ, რომ ზოგიერთ თავადიშვილს არ იკადრებენ... ჩემს ოჯახში კი მოუხარიათ!.. (სიამოვნებით იცინია) დიდ პატივისცემაში ჰყავთ ამ უცხო და განათლებულ პირებს ჩემი ცოლ-შვილიც...

ო ნ ი ს ი მ ე

დიდი განძია კაი ოჯახი!.. დიდი განძია, დარისპან ჩემო!.. მარა დიდი სადავიდარაბოც. — კარი მუდამ ღია უნდა გქონდეს... სტუმრიანობასა და მისვლა-მოსვლას დიდი ამბავი სჭირდება!.. ვისაც არაფერი აქვს, უფრო თავისუფლადაა, თქვენ ნუ მომიკვდებით... ჩვენ ნამეტანიც გვემართება ხშირად!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

უნდა გავუძლოთ!.. (ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ) ქალიშვილები რამდენი გყავთ, ონისიმე ჩემო?

ო ნ ი ს ი მ ე

სამი!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

ისევმც კაი დაგემართოსთ!..

ო ნ ი ს ი მ ე

კაი არაა, მარა რა ვუყოთ!.. თავთავისი ყველას გადადებული აქვს... ვისაც ამოირჩევენ და მოიწონებენ, იმას გავატან, თუ არა და, იყვნენ... ჩავაცმევ, დავახურავ, ფეხშიშველს არ გავარონიებ და...

დ ა რ ი ს პ ა ნ

დიდი ღვთის წყალობაა!.. სანამ კარგ ყმაწვილს არ შეხვდება, არც კარგი მშობელი და არც გონიერი გასათხოვარი, რასაკვირველია, საქმეს არ გადასწყვეტს... იცოცხლეთ, მთხოვნელები ბევრი დამიდიოდეს... მარა, სანამ კარგად არ შევხედავ, რაზე გავაგდო ჩემი მასიამოვნებელი ქალი ოჯახიდან?!

ო ნ ი ს ი მ ე

ნამდვილია... ნამდვილია!..

გამოსვლა მეათე

იგინივე, მ ა რ თ ა, პ ე ლ ა გ ი ა და ნ ა ტ ა ლ ი ა

(ნატალია აწყობს სუფრას)

მ ა რ თ ა

ნურას უკაცრავად, ბატონებო!.. ასე მიგატოვეთ! ჩემი მარტოხელობის ბრალია!.. (ოსიკოს) ასე აწვალებთ ახლანდელი ყმაწვილები მოხუცებულ დედებს დროზე შემფარავის მოუყვანლობით!.. კაია, რომ კიდევ ამისთანა მარჯვე ნათლული მყავს!..

ო ნ ი ს ი მ ე

აგერ ძველი ნაცნობობა განვაახლეთ, ბატონო მართა, მე და ბატონმა დარისპანმა და საგულისხმიერო მუსაიფში გავაბით!..

მ ა რ თ ა

კაი დაგემართოსთ!.. მაგას რაღა სჯობია! (ოსიკო ონისიმესკენ გადადის).

დ ა რ ი ს პ ა ნ

კაროლნა, ბოშო, შენ რავა გაჩერებულხარ? დატრიალდი შენებურად!.. მამიდაშენს მოეხმარე!

მ ა რ თ ა

რაზე მიწუხებ, დარისპან?

დ ა რ ი ს პ ა ნ

რა შეაწუხებს?.. მე შენ გეტყვი, არ ემარჯვება მაგისთანები!..

მ ა რ თ ა

იყავი, მამიდა!.. მყავს ამისთვის აგერ ჩემი ნათლული!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

მუხლებს მაინც გეიმართავს... ზეზე არ ამდგარა რა ხანია!.. ჰო, მიდი, ბოშო!.. (კაროლნა ხან რას შემოიტანს, ხან ისე დაჰყვება ნატალიას. დარისპანი ხმადაბლა მართას) მართა ჩემო, ეს ყმაწვილი ცოლსათხოვი უნდა იყვეს, ვატყობ, ისე გამოიყურება!..

მ ა რ თ ა

არ ვიცოდე, შენ არ მომიკვდე!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

კი, ასე უნდა იყვეს!.. უნდა მომეხმარო, შენ გენაცვალე!..

მ ა რ თ ა

რაში?

დ ა რ ი ს პ ა ნ

კაროლნა უნდა შევაძლიო!.. ბიძამისს შემიძლია მივმართო, — ერთობ პატივისმცემელია ჩემი, — სიხარულით კინაღამ გადაირია, რომ დამინახა, — მარა შენი სიტყვა მირჩევნია, მართა ჩემო!.. ახლავე უნდა გადამიწყვიტოს!..

მ ა რ თ ა

დარისპან, ასე რავა დავეტაკო... ჯერ ფეხიც არ შემოუდგამს სახლში!.. სამერმისოდ გადავდვათ!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

ხეორად არ შემიძლია!.. მერე სადღა ვსდიო მაგას — აგერ მყავს და ბარემაც ახლავე გავიგებ ყორისფელს!

მ ა რ თ ა

დარისპან, რომ დამკლა, არ შემიძლია ახლა მაგაზე დავიწყო ლაპარაკი!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

უკაცრავად შეწუხებისათვის!.. (განშორდება უკმაყოფილოდ) დასწყევლოს ღმერთმა, შენი სისხლ-ხორციც ორგული გიხდება დღეს!..

პ ე ლ ა გ ი ა

(მართასთან მივა. ხმადაბლა)

რას გებეწებოდა, შენი ჭირი შემეყაროს?

მ ა რ თ ა

სისულელე მაგისი!..

პ ე ლ ა გ ი ა

შემეწია... ღვთის გულისათვის შემეწია... ღმერთი თავად შეგეწევა!

მ ა რ თ ა

ჰი, კაი, კაი!.. (მიიწვევს ჩაიზე) ბატონო ონისიმე, ოსიკო ჩემო! დარისპან! უკაცრავად ვარ ასე მცირედისათვის, მარა რაც გაგვეწყობოდეს!..

ო ნ ი ს ი მ ე

გმადლობთ... ახლავე გიახლებით! (ისევ დარისპანს ელაპარაკება).

მ ა რ თ ა

შენ მაინც მობრძანდი, ოსიკო ჩემო! იმათ ისაიდუმლონ! (მიაწვდის სტაქან ჩაის) ეს სტაქანი უსათუოდ საგულდაგულოდ შენთვის დაუსხამს ამ ქალიშვილს!.. იმწამსვე შევატყვე, რა-

ვარც შევხედე!.. უსათუოდ გემოსაც სხვანაირს ჩაატანდა!.. აბა ნახე, თუ ასე არაა!.. (მიაწვდის).

ოსიკო (ილიმება)

გმადლობთ!..

მართა

კაროლინა, რავა ზიხარ მარტოდ, შენ გენაცვალე?!

კაროლინა

რა მიჭირს, ბატონო?.. (ადგება და გასდევს ნატალიას, რომელიც ხშირად მიდი-მოდის. შემდეგ პელაგია მოისვამს გვერდით და მუსაიფში შეყოლას ცდილობს).

მართა

იმათ იმუსაიფონ იქ, ჩვენ არაფერი დაგვაკლდება! ეს ჩემი ნათლული, როგორც ეტყობა, თავს გვეკვება! არაფერი არ ეზოგება, რაც კი სახლში მონახა, აგერ გვიწყობს წინ!.. (ნატალიამ მურაბა დადგა) ეს მურაბა ამ ყმაწვილს? ნამეტანს უშვები, შენ გენაცვალე!.. ასე უცბად მოგაწონათ თავი ამ ბედნიერმა კაცმა? (ნატალია გრეხით გაშორდება) ცუდი ნათლული მყავს, ოსიკო ჩემო? ა? ხომ კოხტა გოგონაა, ი? შენი კაი დედა ნუ მოგიკვდება, ა? ხომ კარგია?

ოსიკო (ლიმილით)

კი, ბატონო!

მართა

ჰო, მცოდნია მე ყმაწვილი კაცების გემოვნების ამბავი, მცოდნია! (იცინის) ყველგან კი ვერ შეხვდები ამისთანას!.. შენც არ მომიკვდე!..

დარისპან

კაროლინა, ბოშო!.. აქ მოართვი ჩაი ბატონ ონისიმეს!.. (ნატალია გადახედავს პელაგიას და ნელა იცინის. კაროლინა წამოდგება, აიღებს სუფრიდან ჩაის და მიაქვს).

მ ა რ თ ა

გაგვიდექით, გაგვიდექით განზე, განა?!.. (კაროჟნას გაუვარდება ფინჯანი და გაუტყდება).

დ ა რ ი ს პ ა ნ (წამოვარდება)

რა ეშმაკებმა დაგირბინეს მაგ ხელებში, შე უხეირო?! (კაროჟნა ბოჭავს ნატეხებს და ნატალიაც ეხმარება).

მ ა რ თ ა

არაფერია, არაფერი!.. რა ვუყოთ!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

ძალიან არ დამიმოწმა თავის სიმარჯვე!.. არა, გამოუბრუნებლად რავა გაგლახა მგზავრობამ, შე შერცხვენილო!..

მ ა რ თ ა

რაზე კლავ მა ბოვშს, დარისპან, ერთი ჭიქის გულისთვის!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

არა... თავის დღეში რომ არაფერი გატეხია ხელში... რაღა ახლა აქ მოუვიდა მარცხი!.. თელად ოჯახი მაგის კისერზედაა, მაგაა ჩემი ამშენებელი... თავის დღეში ოჯახისათვის არაფერი უზარალებია!..

ო ნ ი ს ი მ ე

აქ მობრძანდი, დარისპან!.. საჯავრებელი სხვაც ბევრი გვაქვს!.. ერთ ფინჯანს ამისთანა სუფრას რავა გადააყოლებს ადამიანი... (დარისპანი მივა სუფრასთან) დაბრძანდით... დაბრძანდით...

მ ა რ თ ა

მომითმინეთ, ახლავე ყველას გაგვამხიარულებენ ეს ყმაწვილები... ესენი თუ ერთი არ ვათამაშე, რავა შემიძლია ისე!.. რას იტყვით ამაზე, ბატონო ონისიმე?

ო ნ ი ს ი მ ე

(ითლის და ილუკმება)

ძალიან მოუხდება ამ სუფრას, ღმერთმანი!..

მ ა რ თ ა

შენ უნდა იცოდე, კაროჟნა ჩემო, პუზიკა*?

კ ა რ ო ჟ ნ ა

კი, ბატონო!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

რავი არ იცის!

მ ა რ თ ა

აბა, ნატალია ჩემო, წამოდი ჩემთან!.. მომანახვინე, საცხა მაქვს შენახული!.. (გავლენ).

დ ა რ ი ს პ ა ნ

არა, ამ ჩემმა ქალბატონმა რომ თავი გამოიჩინა, ჰმ! თავის დღეში არაფერი გაუტეხია, უცნაური მარჯვეა...

პ ე ლ ა გ ი ა

რა ვუყოთ, ჩემო ბატონო... შეხვდომაა...

დ ა რ ი ს პ ა ნ

ჰმ, რავა რა ვუყოთ? შე დალოცვილო, ვინც ამბავი არ იცის, სხვანაირად იფიქრებს!..

ო ნ ი ს ი მ ე (ოსიკოს)

ერთობ მოწადინებულია, ქალიშვილი მოგათხოვოს...

ო ს ი კ ო

აქვს რამე?

ო ნ ი ს ი მ ე

გევიგებ!.. ძალიან კი იჩარჩება!..*

გაბიკვლა მეთერთმეტე

იგინივე, მ ა რ თ ა და ნ ა ტ ა ლ ი ა გარმონიკით

მ ა რ თ ა

აბა, მამიდა, დაუკარი, შენ გენაცვალე!..

პ ე ლ ა გ ი ა (მართას ხმადაბლა)

ჰოილაპარაკეს, მართა ჩემო!..

მ ა რ თ ა

ნატალია, აბა შენებურად ჩამოგვიქროლე!.. (ნატალია იგრიალებს).

პ ე ლ ა გ ი ა

არ გესმის? (კაროლინა უკრავს გარმონიკას, ნატალია თამაშობს)

მ ა რ თ ა

(გვერდით მიადგება ოსიკოს)

მარგალიტია, მარგალიტი!.. შენ არ მომიკვდე, მეორე ამისთანა ძვირად* სადმე შეგხვდეს!.. სული ნუ წამიწყდება, რომელ ოჯახშიც შევა — სწორედ გაანათლებს იმ ოჯახს!.. სული ნუ წამიწყდება!... (ნატალიამ გაათავა თამაში) ახლა ორივემ, ორივემ!..

ო ს ი კ ო

არ ვიცი თამაში, ბატონო მართა.

მ ა რ თ ა

კაია, დედა ნუ მოგიკვდება!.. ორივემ, ორივემ!.. ერთი შემახედვინეთ რავა დაშვენდებით ერთმანეთს! (იცინის).

ო ს ი კ ო

ღმერთმანი, კაი ხანია არ მითამაშნია!..

მ ა რ თ ა

თავი დაუკარი, ყმაწვილო!.. არ შეიძლება, უსათუოდ უნდა ითამაშოთ ორივემ ერთად! დაუკარი, შენ გენაცვალე!.. ნატალია, თხოვე. თხოვე! (ნატალია თავს უკრავს, თამაშობენ).

პ ე ლ ა გ ი ა

ისინი კიდევ ჩურჩულობენ, მართა ჩემო!

მ ა რ თ ა

ჰელაგია, მაცალე, თუ გიყვარდე!.. ბრავო!.. ბრავო!.. ონისიმე ჩემო, ამათ შეხედეთ... რავა შვენით! (ოსიკო გაათავებს, იქით წავა, იწმენდს ოფლს).

ო ნ ი ს ი მ ე

კაი მოგცეთ ღმერთმა... ორივე კარგები არიან, სწორედ!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

(მივა კაროლინასთან. ონისიმე მართასაკენ მიიწევს და ელაპარაკება)

აბა ახლა, ბოშო, შენ, კაროლინა, გამოდი!..

ჰ ე ლ ა გ ი ა

ჩემმა ნატალიამ რომ არ იცის ბუზიკა, ჩემო ბატონო!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

არაფერია!.. ბოშო, ქე რომ იცი... ქეც დაუკარი, ქეც ითამაშე!..

მ ა რ თ ა

ცარიელი ენაა მაგ საწყალი!.. ტრაბახობასაა გადაყოლილი!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

რას უყურებ, ბოშო? ჰე? (კაროლინა ააჩიჩყინებს გარმონიკას).

მ ა რ თ ა

ნუღარ სწუხდები, შენ გენაცვალე! ნუღარ სწუხდები!.. (ონისიმე და ოსიკო ბალკონზე გაელენ).

დ ა რ ი ს პ ა ნ

ჩამოუაროს ამანაც!.. რა უჭირს, მართა ჩემო!.. ისიამოვნონ!..

მ ა რ თ ა

ვიღამ? ისინი, ე, ბალკონზე? გევიდნენ!.. (ჯერ ნაცალია გავა, უკან კაროლინაც გაჰყვება. ჰელაგია გულმოსული განზე დგას).

მ ა რ თ ა, პ ე ლ ა გ ი ა და დ ა რ ი ს პ ა ნ ი

მ ა რ თ ა

ვადამეტებული არაფერი ვარგა, დარისპან!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

მაკვირვებ, მართა ჩემო!.. ჩემი სისხლ-ხორცი ხარ... უნდა მეწეოდე*... შენ კი პირში გეტყვი, უკან მიყენებ შვილს!

მ ა რ თ ა

ახირებული თუ გინდათ, ეს არის!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

ბრმა კი არა ვარ, შენ გენაცვალე!.. კარგად ვხედავ ყველაფერს!..

მ ა რ თ ა

გინდა მაწყენიო, სხვა არაფერი, დარისპან!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

რა ვქნა!.. რაღაზე მიმალავ — ცხადია, შენს სისხლ-ხორცს ივიწყებ და სხვისთვის ფიქრობ!.. პირში გეუბნები რა...

პ ე ლ ა გ ი ა

(გაჯავრებით წინ წამოიჭრება)

ძალიან უკაცრავად ბრძანდებით, ჩემო ბატონო! ჩემს შვილს, გთხოვთ, თავი დაანებოთ!.. არავისაგან წარამარა სახსენებელი არ გახლავსთ... არა!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

არც უხსენებია ვისმეს!...

პ ე ლ ა გ ი ა

თქვენ თუ ხვდებით რამეს, ჩვენც სულ გამოტვინებული და სმენა მოკლებული ტყვილა გგონივართ!.. თქვენ საქმეს ვერ ახერხებთ — ჩემი შვილი რა ხელწამოსაკრავია...

მ ა რ თ ა

კარგია, პელაგია!.. არავინ გაგვიგონოსთ, ღმერთო, მომკალი!.. სირცხვილია!..

პ ე ლ ა გ ი ა

არავინ ხელის შემშლელი არ გყავთ, ჩემო ბატონო!.. არავინ არ გეცილებათ მაგ ყმაწვილში...

დ ა რ ი ს პ ა ნ

სულაც არ ვწუხვარ მაგაზე!.. თუკი საქმე მოვინდომე, თქვენი შეცილებით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვერაფერს დამაკლებთ!.. თქვენ არ მომიკვდეთ, თუკი საქმე მოვინდომე!..

პ ე ლ ა გ ი ა

მონდომებული ხართ და ეს არის!.. ვერ ვხედავთ თუ?..

დ ა რ ი ს პ ა ნ

თუ გინდ ესეც იყოს — მერე რა?.. რა მერე?

მ ა რ თ ა

სირცხვილში ნუ მაგდებთ, ღმერთო, მომკალი! ეს რა ამბავია?! პელაგია, გაშორდი, თუ ღმერთი გწამს!..

პ ე ლ ა გ ი ა

გავშორდები, ბატონო, გავშორდები!.. თავიან-ფეხებიანად მიირთვან მათგან მოწონებული ყმაწვილი... ოღონდ ჩემს შვილს თავი დაანებონ!.. ტყვილაუბრალოდ ნუ მიხსენებენ!.. ნუ, ნუ მიხსენებენ! (გავა გაჯავრებული).

დ ა რ ი ს პ ა ნ

გასაკვირველია, ღმერთმანი, ზოგიერთის საქმე!..

მ ა რ თ ა

(გასაკვირველია შენი საქციელი, დარისპან!.. ჩხუბითა და დავით (დარაბით რა უნდა გეიტანო?

დ ა რ ი ს პ ა ნ

ბატონო, შემოგეხვეწე დახმარებას — უარი მითხარი... მე ჩემით ვარიგებ საქმეს!.. რა იქნა ამისთანა? შე დალოცვილო, ვცდი, ეგებ ჩემი შვილის ბედი იყვეს.. რას ვშვრები ამისთანას, გზას რომ მიკრავთ ყოველი მხრიდან?..

მ ა რ თ ა

ვინ გიკრავს გზას, ყმაწვილო?

დ ა რ ი ს პ ა ნ

თქვენ!.. შენ და ეს შენი ნათლიდედა!..

მ ა რ თ ა

ჰმ, ახირებული თუ გინდათ ეს არის!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

შემოტანაზე ხელი არაფერს მოაკიდებინეთ ბოვშს.. თამაში არაა საჭირო... ამისთანა დროს რაღაც წამოიძახეთ, რომ ჭურჭელი თავზე გადაამსხვრევინეთ იმ უცხოებისათვის!.. მეტი ხელის შეშლა იქნება? შენ გინდა მოაწონო შენი ნათლული... ბატონო, შეხედოს ჩემს შვილსაც, რომლის ბედიც გასჭრის, ის იქნება და ის... რა საწყენია ახლა ეს?

მ ა რ თ ა

არავის არ წყინს... არავის... არა!.. ოღონდ ჩხუბს თავი დაანებე. თუ ღმერთი გწამს!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

მართალია, შენს სალში ვარ, მარა, უფროც რომ გეწყინოს, უკაწ ვერავინ ვერ დამახევინებს, მართა!.. შენც არ მომიკვდე!.. უფრო მეტნიც რომ დამესიოთ... გზა შემიკრათ — ჩემი უნდა ვქნა! მე შენ გეტყვი. ყოველ ნაბიჯზე გხვდებოდეს ისეთი ყმაწვილი, ცოლის თხოვნას რომ ეპირებოდეს!..

მ ა რ თ ა

ბატონო, რაც გინდა, ის ქენი, ოღონდ ჩხუბსა და ღავიდარაბას ამაშორე!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი

ჰმ, იმ გამჭკნარ ნათლიდედას თუ აგრე სული უწუხს სამი ქალიშვილის სახლში ჯდომით... მე, შე დალოცვილო, ოთხი მყავს... ოთხი მყავს!.. ყოფილიყავი ჩემს ადგილას, გნახავდი, რაც ამბავში იქნებოდი! კი!.. (გადის ბალკონზე გაჯავრებული).

მ ა რ თ ა

ჰმ, წინდაწინ ვიცოდი, ამისთანა ამბავს დამაწევდა მაგ შეჩვენებული!.. ტყვილა კი არ დამცეცხლა, ეზოში რომ ფეხი შემოდგა!.. შენმა სიცოცხლემ, შენ მე გზა გადამიარო! (მიდის ბალკონის კარებთან). ოსიკო ჩემო, არ დაგგრილოს, შენ გენაცვალე, ნათამაშები ხარ!.. გაოფლიანებული ხარ!.. აქ შემობრძანდი, შენი ჭირიმე... არ გაცივდე!..

ო ს ი კ ო

არა, ბატონო! (შემოვა).

გამოსვლა მეცამეტე

მ ა რ თ ა დ ა ო ს ი კ ო

მ ა რ თ ა

აგერ დაბრძანდი, შენ გენაცვალე!.. (ღიმილით და ეშმაკურად) შენთან ერთი საიდუმლო მაქვს!.. კი ნუ იეცხოვებ ჩემს სიტყვას... დედაშვილობამ, ჩემი ივლიტეს სიყვარულობა მალაპარაკებს — თავად ის მოგიყვება, თუ რა სიყვარულობა გვქონია ერთმანეთში!.. მწარე გულით მონდომებული ვარ, მისი ჭირი შემეყაროს, რომელიმე უსინდისო ბის კაი ოჯახში ფეხი არ შედგას — ახლა ყველა აჩრის ყმაწვილებს ქალს, ადვილად შეაცდენენ კიდეც გამოუცდელ ყმაწვილს — ძვირფასი მისი სიცოცხლე და მისი კეთილი და საყვარელი გული დამეჩაგროს!.. დროა აწი შენთვისაც, დედაშვილობამ, ოჯახს მოეკიდო, ის შენი კაი დედის გულიც გაახარო შენი ბედის დანახვით!.. თქვენი ოჯახის სიკეთე რომ მსურს სულითა და გულით, იმიტომ გეთამამები და ასე პირდაპირ გეუბნები, თვარა სხვისათვის ენასაც არ გავანძრევ!.. არ მომიკვდეს შენი თავი!.. ე ჩემს ნათლულს

რომ უყურებ, შეხედულობით ხომ არი და არი — უკეთესობა რაღა მოეთხოვება ქალიშვილ ქალს... თავად ხედავ, შენ გენაცვალე, ამასთან რა ძვირფასი ხასიათი, საოჯახო საქმის მცოდნე, მოხერხებული სიტყვა-პასუხი... გამოგაჩენს კაცთან!.. ოჯახს გაანათლებს, დედაშვილობამ, ოჯახს გაანათლებს!.. გარდამეტებული ერთგული ოჯახისა და ქმრისა — მეორე ძნელად თუ გამოვიდეს მაგისთანა!.. მზითევზე თუ იტყვის კაცი — შენისთანა ყმაწვილი არც კი უნდა გამოეკიდოს მზითევს!.. დედაშვილობამ, ძვირფასი ცოლი გეყოლება ყოველნაირად!.. ნუ დაჰკარგავ ამისთანა ძვირფასს ქალს!.. ენდვე ჩემს სინდისს, სასარგებლო და საბედნიერო საქმეს გირჩევდე!..

ოსიკო

მადლობას მოგახსენებთ... მარა...

მართა

რა მარა, შე კაცო!.. მერწმუნე, შესადარს ვერსად ნახავ...

ოსიკო

დანიშნული მყავს, თვარა თქვენს რჩევას...

მართა

დანიშნული გყავს?! მომკალი და აქამდისინ არ გამახარე?! გაგაბედნიეროს, შვილო, ისე, რავარც შენ გუნებას ენატრებოდეს... ერთობ გამხარებია, შენ ნუ მომიკვდები!.. ერთობ გამხარებია!.. რატომ მიმალავდი მერე, შე კაი კაცო?..

ოსიკო

არა, ბატონო! . შემთხვევა არ მქონებია მეთქვა!

გამოსვლა მეთოთხმეტე

იგივენი, ონისიმე და დარისპანი

ონისიმე

ბიძიკო, აღარ შეგიდეთ აწი? გაგიტკბა, მვონი, აქ ყოფნა!..

მ ა რ თ ა

თქვენ მაინც რატომ არ გამაგებინეთ, ბატონო ონისიმე, რომ ჩემს ოსიკოს დანიშნული ყოლია, ა?

დ ა რ ი ს პ ა ნ (გაოცებით)

დანიშნული ყოლია?!

ო ნ ი ს ი მ ე

მეც ახლა გავიგე, თქვენ ნუ მომიკვდებით! აგერ, ამ თქვენს ბალკონზე რჩევას ვაძლევდი, ერთ-ერთი ამ ჩვენს ქალიშვილებში ამოერჩია... უკეთესს სადღა ნახავს, — საქმე გაეთავებინა, და მაშინ გამომიცხადა თავისი ამბავი, და მართალი უნდა მოგახსენოთ, კილოზედ* შევატყვე* რომ შენანებულია*, ამ ქალიშვილების დანახვის შემდეგ, რომ ცოტა აჩქარებულა მაგ ჩემი ნათესავი კაცი და სხვაგან გაუთავებია საქმე!..

მ ა რ თ ა

სანანებლად ღმერთმა ნუ გაუხადოს!.. თვარა დროით სჯობია შეცდომის გასწორება!.. სანამ კიდევ მოეხერხება!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

რასაკვირველია, რასაკვირველია!..

ო ს ი კ ო

მშვიდობით ბრძანდებოდეთ!...

მ ა რ თ ა

დიდად მესიამოვნებოდა, რომ არ აჩქარებულიყავით!..

ო ს ი კ ო

გმადლობთ... ხვალ ადრე უნდა გიახლოთ...

ო ნ ი ს ი მ ე

დილით აპირობს გაბრუნებას, სწორედ!.. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

(პელაგია, ნატალია და კაროლინა ამის წინათ შემოვიდნენ; გამოეთხოვებიან, გაჰყვება მართა).

დ ა რ ი ს პ ა ნ

წამო, ბოშო, შენ აქ!.. (კაროლინა მიჰყვება იმ ოთახში, სადაც დარისპანს ეძინა).

ბამოსვლა ბეთხუთმეტე

პ ე ლ ა გ ი ა და ნ ა ტ ა ლ ი ა

პ ე ლ ა გ ი ა

დანიშნული ჰყოლია ძაგ ოსეოს!

ნ ა ტ ა ლ ი ა

რა იყო ახლა... რას გამორჩით, რომ მაიმუნივით მაჩანჩალეთ ვიღაც ოხრის წინ? რას გამორჩით?

პ ე ლ ა გ ი ა

დეწყე... დეიწყე შენებურად!.. მოგეცა მიზეზი!..

ნ ა ტ ა ლ ი ა

სიკვდილი სჯობია თქვენს ხელში ყოფნას, სიკვდილი!.. არც კი გესმით, რას ჩადიხართ!.. დეინახავთ ვიღაც ოხერს თუ არა...

პ ე ლ ა გ ი ა

აბა რა ვქნა, შე დაწყეველილო, რა ვქნა, რა? მასწავლე ერთი!.. ღმერთმანი, აღარ ვიცი, რა ძაგ წყალში გადავვარდე!.. შე უკულმართო, თუ კაცს შენი თავი არ დაანახვე, შენი ღირსება არ აჩვენე, ისე რომელი სულელი მოგკიდებს ხელს? რომელი გადარეული გეცემა, ცოლად გამომყევიო?!

ნ ა ტ ა ლ ი ა

გადარეულებიც და სულელებიც თქვენვე ხართ...

პ ე ლ ა გ ი ა

გაგიხმა ძაგ მწარე ენა, შვილო!.. ძაგ მწარე ენა გაგიხმათ!.. რატომ გაუჩნდით თქვენს დედას საწვალებლად, რატომ, რატომ?

ნ ა ტ ა ლ ი ა

არავინ არ გაწვალებთ... თქვენ იწვალებთ თავს... თქვენვე!.. თავი დაგვანებე, ათასჯერ მითქვამს...

პ ე ლ ა გ ი ა

ათასნაირად ვეწვალები, თავს ვაკლავ — კაცმა ხელი არ მოგკიდათ... თავი რომ გაგანებოთ, ვიღა შემოგხედავთ, თქვე შაე დღეზე გაჩენილებო, ვიღა?.. უნდა ჩაბერდეთ თქვენს ნაცარში, თქვე უბედურებო?!

ნ ა ტ ა ლ ი ა

ჩაებერდებით — ჩავბერდებით!.. რა ვქნათ ახლა?

პ ე ლ ა გ ი ა

უმადურებო, უმადურებო!.. ჩემი შრომის მაგიერია!.. ვაი დედითქვენის ბრალი... ვაი დედითქვენის ბრალი თქვენს ხელში!.. (გულდაწყვეტილი გადის, ნატალიაც უკან გაჰყვება, შემოსულ დარისპანს რომ დაინახავს).

გამოსვლა მეთექვსმეტე

დ ა რ ი ს პ ა ნ ი დ ა კ ა რ ო ჟ ნ ა

დ ა რ ი ს პ ა ნ

ხომ არაფერი დაგვიწყებია, ბოშო?

კ ა რ ო ჟ ნ ა

ყაბალახი რა უყავი?

დ ა რ ი ს პ ა ნ (დაიხედავს)

ჰმ! დაძებნე, იქ ეგდება სადმე!.. ყაბალახი კი არა, რატომ ჩემი თავი არ მავიწყდება, რაც შენი გულისათვის მე უსიამოვნება მხვდება!.. რა ვქნა, რა გაპირდა ერთი ქალიშვილის გათხოვება! ჩამრჩენია ხელში და ეს არის!..

კ ა რ ო ჟ ნ ა (ყაბალახს გამოიტანს და ბეჭებზე მოახვევს)

მიაგდებ ყოველთვის სადმე!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

შენ მიგაგდებდე სადმე, შვილო, რამერიგად და ამისთანა ყაბალახს, თუ გინდა, ათასს ჭირი მოუჭამია!

იგინივე და მ ა რ თ ა

მ ა რ თ ა

მიემგზავრები, დარისპან?

დ ა რ ი ს პ ა ნ

გოვუდგები გზას, შენი ჭირიმე... რაღას შევაჩერდე აწი... ნეტავი ადრეც გამედგა ფეხი... ერთი წამით შემოვიარე და უსიამოვნების მეტი რა მოგაყენე?. ჭურჭელი დაგიმტვრიე, კიღამ ჩხუბი აგიტეხე...

მ ა რ თ ა

კაი, თუ გიყვარდე!.. რა იყო ამ გლახაკმა წასვლისას რომ დაგვახალა, დანიშნული მყავსო... დიდი ამბავი არ გამოგვიცხადა?! ჰმ... ორ სიტყვას ძლივს უყრის თავს და რავა მოაქვს თავი!.. დავასხი ლაფი!.. დედამისის პატივისცემით, თვარა სულაც სახლში შემოსაშვები არ იყო!.. დედამისივით იპრანჭება და იგრიხება! მაგისთანა ყმაწვილისათვის რავა ავწრიალდები!.. აჩქარებული კაცი ხარ, დარისპანი ნუ მომიკვდება!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

ჰმ!.. ნუ აჩქარდები, შენ გენაცვალე... ამას გარდა სახლში სამი ამხელა მიზის კიდევ!.. სამი ეგერ შენს ნათლიდედას ჰყავს... სამი იმ დიდ ბატონ ონისიმეს... რომელ ოჯახს ნახავ, ასე არ იყოს!.. ნუ აჩქარდები, როცა ამდენ ქალიშვილებზე ძლივს ერთ-ორ ცოლის მთხოვნელ ყმაწვილს ხვდები მხოლოდ!.. ნუ აჩქარდები — ყველა ჩაგაბერდება ხელში!.. მოვკვდი, მართა ჩემო, მოვკვდი, ისეთი ცეცხლი მადგა ამათთაგან!.. ნამეტანი გავწვალდი!.. აღარა ვარ კაცი... თუ ხვალაც ვერაფერი გავარიგე იმ ჩემი ცოლის ნათესავისას — უნდა გავანებო თავი ყოველივე მაცადინობას. აღარ შემიძლია მეტი. გაგიძღვეს, შვილო, აწი დედაშენი... იარეთ ხან ფეხით, ხან ურმით, თუ კიდევ ვინმემ გათხოვათ — ცხენითაც... ეძიეთ აწი თქვენი სასიძო კაცი!.. მე აღარ შემიძლია მეტი... აწი დედაშენმაც გამოსცადოს, რაც მე ამ შენს პროწიალში გამოვცადე!..

კ ა რ ო ჟ ნ ა

ჩემი რა ბრალია, ბატონო... ყოველთვის რომ ასე მომსდგებია?

მ ა რ თ ა

უი, შენ გენაცვალე! შენი რა ბრალია, შვილო!

დ ა რ ი ს პ ა ნ

აბა, ვისი გულისთვის ვეწვალები ასე, ბოშო?

კ ა რ ო ჟ ნ ა

მე არ გთხოვ გათხოვებას... ვიქნები ჩემთვის!

დ ა რ ი ს პ ა ნ

იქნება მისთვის!.. ჰმ! შენახვა არ გინდა, ქალბატონო? ვერ შეგინახეთ ყველა, ბოშო, ვერა!.. მინდა პატრონს ჩაგაბარო... რომ ვერსად შევხვდი იმ სულწაწყმედილს!.. მარა ვაი თუ ღმერთს არც კი გეეჩინოს თქვენი ბედი და იღბალი!.. ვაი თუ კენტებად ჰყავხართ გაჩენილები?! მშვიდობით, მშვიდობით, შენი ჭირიმე! გამოეთხოვე, ბოშო!

მ ა რ თ ა (კოცნის კაროჟნას)

მშვიდობით, მამიდა!.. ნუ გეშინია, კი ეყოლება ღმერთს შენთვის შენი ბედი... კი ეყოლება!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოს! ჰმ!.. ბატონ პელაგიას გამოუმშვიდობებლად მივდივარ!..

მ ა რ თ ა (ეძახის კარებში)

პელაგია!.. დარისპანს გამოგემშვიდობოს უნდა!

გამოსვლა მეთვრამეტე

ი გ ი ნ ი ვ ე, პ ე ლ ა გ ი ა და ნ ა ტ ა ლ ი ა

დ ა რ ი ს პ ა ნ

ბატონო პელაგია, მგონი რაღაც გეწყინათ ჩემგან!.. გეფიცე-

ბით, ტყვილა იფიქრეთ, ვითომ იმ მუნჯ ბიჭზე რამე მეფიქრებინას!.. იმედია, ახლა აღარ მიწყრებით!..

პ ე ლ ა გ ი ა

არა, ჩემო ბატონო... რატომ ნებულობთ!

მ ა რ თ ა

საწყენი რა შეხვდომია?.. ერთმანეთის ვერ გეიგეთ, სხვა არაფერი!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

რასაკვირველია!.. იმისთანა ბიჭის გულისათვის რავა წევეკიდებით ჩვენისთანა ქალიშვილების პატრონები!.. იმისთანების რა გვცოდნია, ა? არა, ბატონო პელაგია?!

მ ა რ თ ა

რასაკვირველია!.. დავასხი იმას თავსლაფი!..

დ ა რ ი ს პ ა ნ

ასე, ბატონო პელაგია, იმედია დეივიწყებთ ყოველივე უსიამოვნებას და როცა ჩემი მართა აგერ ამ მოკლე ხანში ჩემი ქალიშვილის ქორწილში მესტუმრება, თქვენც მცემთ პატივს და ოჯახს გამინათლებთ თქვენი წვევით!.. პატივისცემა ჩემს კისერზე იყვეს... ჩვენც მოვილხენოთ ერთი, ოღონდ ბედი გამოუჩნდეს ამ ქალბატონს!

მ ა რ თ ა

გამოჩნდება... გამოჩნდება, დარისპან!

დ ა რ ი ს პ ა ნ

აბა რავა იქნება, შენი ჭირიმე!.. თუ მაგის იმედიც მოგვესპო, დევიღუპებით და ის იქნება... წმინდად დევიღუპებით... უკაცრავად, უკაცრავად! შეგაწუხეთ მეტის ლაპარაკით, მგონი!.. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!.. (კარებთან) ღმერთო, კეთილად დააბოლოვე ჩვენი მგზავრობა!

ფ ა რ დ ა

1903.

უბედურება

სურათი ერთ მოქმედებად

მოქმედნი პირნი

მაია	სერაფიონი
ტუფია	სეფე
ნატალია	ილია
პავლია	ნიკო
ამირანა	პატარა ბიჭი
ლომინა	ანტონა
ვასილა	გლეხები: მამაკაცები და
რომანოზა	დედაკაცები

გამოსვლა პირველი

ანტონას ეზო. მარცხნით, ცალით დახურულ სახლის წინ, სილრმეში დიდი ხე, რომლის ძირთან დასაჯდომი ქვებია. მარცხნით ყორე და წნელის ჭიშკარი, ყორეს გვადაღმა — სოფლის გზა.

ილია და მაია

მაია

(სახლის წინ ფოთიარობს*. დაინახავს რა ჭიშკართან მომდგარ ილიას, გაექანება ჭიშკრის გასაღებად) ჩემო ბატონო... ჩემო

სინათლევ! რა კაი დღე გამთენებია!.. მობრძანდი, ჩემო ბატონო! მობრძანდი, შენი ჭირიმე!

ი ლ ი ა (ყავარჯნებით)

გაგაკვირვე, მაია?..

მ ა ი ა

უფრო გამახარე, ჩემო ბატონო, უფრო გამახარე!.. შენ იხარე ათას წელიწადს!..

ი ლ ი ა (ჯდება ხის ძირას)

არა მკითხავ, მაია, რამ გამომარონია* ფეხებდამტვრეულ კაცს ამოდენა გზა?..

მ ა ი ა

რაკი კარგად მყოფს გხედავ, ამბავიც კარგი იქნება, ჩემო ბატონო!

ი ლ ი ა

გული მიწუხს, მაია... გული მიწუხს!..

მ ა ი ა

გული შენს მტერს შეუწუხდა ჩემო ბატონო!.. რატომ, რატომ, ჩემო სინათლევ?..

ი ლ ი ა

მა რა იქნება, როცა ყოველი მხრიდან მარტო მწუხარება გესმის!.. ყველასაგან მარტო ჩივილს თუ გაიგონებ თავის უსაშველობაზე, თავის გაჭირვებაზე... თავის გამწარებული ცხოვრების ამბავს თუ მოგიყვება, თორემ მხიარულ სიტყვას იშვიათად თუ ვისმესაგან გაიგონებ... ყველა წუხს, ყველა დაღონებულია, ბედის მომჩივანია... ასე მეჩვენება, თითქოს ქვეყანაზე მწუხარების მეტი არა იყოს-რა... ყველაფერი უხალისო, უფერული, ჩამობნელებული მეხატება!..

მ ა ი ა

რატომ, ჩემო ბატონო, რატომ, ჩემო სინათლევ?..

ი ლ ი ა

ასეა, ესე, ჩემო მაია!.. შევწუხდი, ველარ გავძელი სახლში... ვიფიქრე, რაც რომ გამიჭირდეს, ეზოს გადაღმა გადავალ-მეთქი... ეგებ ჩემს ეზოს გადაღმა არც ისე უხალისო და შეწუხებული მეჩვენოს ყველაფერი... ეგებ გული გამიხსნას ხალხის დანახვამ... ამან ამაღებინა ხელში ეს ყავარჯნები, გამომარონია ამხელა გზა და მომიყვანა ჩემს მკურნალთან.

მ ა ი ა

ეჰ, ჩემო ბატონო, მწუხარება და გაჭირვება არავის გვაკლია, მაგრამ გულმაგრად უნდა ვიყვნეთ მაინც!.. თუ ვიმწუხარეთ, თუ ვიჯავრეთ მარტო, სულ წავხდებით... თქვენ უფრო მეტი გულმაგრობა გმართებთ: ნამყოფი და განათლებული ბრძანდებით... ჩემზე მეტ გამწარებაში და გაჭირვებაში იქნება ვინმე?! მარა, ასე თუ ისე, ვუძლებ.. ვუძლებ, ჩემო სინათლევ!..

ი ლ ი ა

ნეტავი თქვენ!.. მე კი ეს არის, ყოველი იმედის დამკარგველი შევიქნე! უკეთეს ცხოვრებას ვეძებდი და ეს შევიძინე! (ყავარჯნებზე).

მ ა ი ა

იმედდაკარგული მტერი გიმყოფოს, ჩემო ბატონო, მტერი!.. იმედით ვართ, შენი ჭირიმე, იმედით, თვარა რა გაგვაძლებინებდა!

ი ლ ი ა

იმედი... იმედი...

მ ა ი ა

კი, ჩემო ბატონო, კი!.. იმედი და მასთან მოთმინებაც, შენი ჭირი შემეყაროს!

ი ლ ი ა

იმედი და მასთან მოთმინებაც, აჰ?..

მ ა ი ა

კი, ბატონო, კი! ამით ვუძლებთ ჩვენს ცხოვრებას... სხვა რა

საშვალება მოგვენახება... და გვშველის... შენც ასე მოიქეცი!.. ბევრი მოგითმენია, კიდევ მოითმინე და ღმერთი და შენი სალოცავი კარგად გამყოფებს!..

ი ლ ი ა

მაშ ასე, მაია — მოთმინება და იმედი... მოთმინება და იმედიანად ყოფნა, ა?..

მ ა ი ა

სწორედ!.. რაც გაგვეწყოს, მოვითმინოთ... ვინ იცის, საწინაოდ* რა მოგველის!.. დღეს ვწუხვარ, ხვალ ეგებ მხიარული დღე გვითენდება... ვინ იცის, ყველაფერი მოსალოდნელია... გულს ნუ ვევიტეხავთ... იმედს ნუ დავკარგავთ!..

ი ლ ი ა

ეჰ, კარგია, ვისაც ეგ შეუძლია, ჩემო მაია!..

მ ა ი ა

უნდა შევძლოთ, ჩემო სინათლევ!..

ი ლ ი ა

კაი დაგემართოს, მარა ეს შენი იმედები კარგა ხანია მესმის, ჩემო მაია; იმედიც დიდი მქონია, მოთმინებაც არ დამიკლია, მაგრამ, ა, ისევ ამ ჯოხებით დავდივარ!..

მ ა ი ა

კიდევ მოთმინება, ჩემო სინათლევ!.. კიდევ მოთმინება!..

ი ლ ი ა

ჰოო!..

მ ა ი ა

ცუდი გაზაფხული გვქონდა, შენ გენაცვალე... ვერაფერმა ნაყოფმა ვერ იხეირა, ძალა ვერ გამოიტანა დედამიწიდან... თვარა ჩემი ბალახებით რამდენი და რანაირი ავადმყოფი არ მომირჩენია!.. დღეის ამბავი ქე მოვითმინოთ, ხვალინდელ დღეზე იმედით ვიყვეთ... ღმერთი უკეთეს გაზაფხულს შეგვასწ-

რებს და ყველას შუბლი გაგვეხსნება... ყველას გვესაშველება და შენც, ჩემო ბატონო, ჩემო სინათლევ!.. ღმერთი ისე არ დაგვტოვებს მისგან გაჩენილს!..

ი ლ ი ა

მოვესწრებით კი კაი გაზაფხულს?

მ ა ი ა

კი მოვესწრებით!.. ღმერთი ყველაფერს მოგვასწრებს — ავსაც და კარგსაც, ჩემო ბატონო!..

ი ლ ი ა

ოღონდ იმედით ვიყოთ?!

მ ა ი ა

ოღონდ იმედით ვიყოთ.

ი ლ ი ა

ასე რომ, მაია ჩემო, პირველი წამალი იმედი და მოთმინება ყოფილა, ა?

მ ა ი ა

სწორედ!.. სწორედ!..

ი ლ ი ა

სწორედ რომ ნამდვილი მკურნალი ხარ, მაია!.. თუ შენი ბალახებით ვერ არჩენ, შენი ე მაგ სიტყვით... შენი ე მაგ ნათქვამის კილოთი, უნდა გითხრა, სწორედ კურნავ ჩემისთანა გულდამწუხრებულს და აი ამიტომაც მიყვარს შენთან მუსაიფი და ამიტომაც არ შევმცდარვარ, როცა შენსკენ გამოვსწიე გულშეწუხებულმა... რომ გამეგონა შენი ეს საუცხოო მოთმინება და იმედი!.. იცოცხლე, იცოცხლე, მაია! შენი ეგ სიტყვები, მე და ჩემმა ღმერთმა, ნამდვილი წამალია!.. მაშ ასე, ჩემო კარგო მაია, მოთმინება და იმედი!.. მოთმინება და იმედი!..

მ ა ი ა

კი, ბატონო, კი! კი, შენი ჭირი შემეყაროს!

გაგიცვლა მეორე

იგინივე, ტუფია და ნატალია

ტ უ ფ ი ა (ჭიშკართან მომდგარი ფიჩხით მხარზე)

ნატალია, ნატალია, შე დაწყევლილო!.. შე შეჩვენებულო!.. გამომხედე, გამომხედე, შე თვალდამდგარო!.. მოვკვდი, აღარ ვარ მეტი! გააღე ეს დასაწვავი!..

მ ა ი ა (სახლისკენ)

ნატალია, გახედე, შვილო!.. დედაშენია ჭიშკართან! (ნატალია გამოვარდება და მიირბენს ჭიშკართან გასაღებად).

ტ უ ფ ი ა

ჩაიკეტებით, სასიკვდილე!.. რა გაქვთ ჩასაკეტავი?.. გავწყდი წელში... მოგესპოთ სიცოცხლე!

ნ ა ტ ა ლ ი ა

სტუმარია, დედა!

ტ უ ფ ი ა (გადმოხურულში დაჰყრის ფიჩხს)

უიმე!.. მაპატიეთ უზრდელობა..; ასე მხეცურად მოვვარდი..; ვერ დაგინახეთ!..

ი ლ ი ა

რა ბოდიშს იხდი, ტუფია?

ტ უ ფ ი ა

თავს ვეღარ ვერევი, ჩემო ბატონო!.. სულ მწუხარებაში, სულ უბედურებაში ყოფნამ გული დაასუსტა, ჩემო ბატონო, და ჭკუაც!..

ი ლ ი ა

რატომ, შე ქალო, მერე?.. დედამთილი აგერ გვერდით გყავს, რომელმაც მაგის საწინააღმდეგო მშვენიერი წამალი იცის!..

ტ უ ფ ი ა

რა წამალი, ბატონო? რა წამალი?

ი ლ ი ა

რა და, მოთმინება და... მოთმინება და იმედით ყოფნა! ასე არაა, მაია?.. ა?

მ ა ი ა (რომელიც ფიჩხს ალაგებდა)

კი, ბატონო, კი, მაგრამ მას ვერ ვასწავლე ეს და ვერ დავაჯერე!..

ი ლ ი ა

რატომ, რატომ, ტუფია?

ტ უ ფ ი ა

ვაი, ჩემო ბატონო!.. მაგის დასწავლა არ გაგვიძნელდება. ჩვენდა უნებურად სულ მოთმინებაში არა ვართ, ბატონო? მაგრამ რო არაფერი გამოდის!.. მოთმინებაც გვეკარგება, ჩემო ბატონო...

ი ლ ი ა

იმედი ხომ გრჩება?

ტ უ ფ ი ა

რისი იმედი, რისი იმედი, ჩემო ბატონო? რისი იმედი მქონდეს?.. ეჰ, მეტსაც მოვითმენ, ოღონდ კაცი მყავდეა კარგად!

ი ლ ი ა

როგორ, ავადაა ანტონა თუ?

ტ უ ფ ი ა

ავადაა, ბატონო, ავად! აღარა ვარ ჯავრით! ეს ერთი ხანია ცუდად გრძნობს თავს... ჩემ გონებაზე აღარ ვარ. რომ რამე უარესი შეემთხვას, რომ დაგვივარდეს, რა გვეშველება. რამ დაგვარჩინოს?! უამისოდ სისაწყლეში ვყრივართ!.. ვინ იქნება ჩვენი გამკითხავი, ჩვენი შემხედვარე, ჩვენი შემწყალე, ჩვენი შემბრალე?!

მ ა ი ა

რატომ ვინ იქნება?.. ღმერთი, შვილო, ღმერთი!..

ტ უ ფ ი ა

ღმერთს ჩვენთვის, ეტყობა, არ ცალია...

მ ა ი ა

ჩვენთვისაც მოიცლის... მოიცლის, შვილო!..

ი ლ ი ა

სად არის ახლა ანტონა?

ტ უ ფ ი ა

სად იქნება, ჩემო ბატონო? ყანაშია... სამუშაოზე...

ი ლ ი ა

ავადმყოფ კაცს ყანაში რად უშვებთ, თქვე დალოცვილებო?.. უნდა დაასვენოთ!..

ტ უ ფ ი ა

უიმე, ჩემო ბატონო, ჩვენთვის დასვენება ვის გაუგონია!.. მიწას მივებარებით — აჰ, მაშინ იქნება ჩვენთვის დასვენება!.. სანამ ცოცხალი ვართ, რა დაგვასვენებს!.. ამდენი სამუშაოა, ამდენი საქმარი... სად შეგვიძლია დასვენებაზე ვიფიქროთ!.. წელზე ფეხს ვიდგამთ, მაინც გაჯახირებაში ვართ, დასვენებაზე ფიქრს რომ მივეცეთ, სულ არ ამოვწყდებით? ჩემი დასვენება მიწაში იქნება, ჩემო ბატონო, მიწაში!..

გამოსვლა მესამე

იგინივე და ა მ ი რ ა ნ ა

ტ უ ფ ი ა (ამირანას)

უიმე, ეს ახლა მოდის!!

ა მ ი რ ა ნ ა

(მოხუცებული, ჯოხით ხელში, წალდი წელში აქვს გარჭობილი)

დილა მშვიდობისა... დილა მშვიდობისა, ბატონო ილია! დილა მშვიდობისა, ტუფია!

ი ლ ი ა

ამირანას გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს ამირანას!

ტ უ ფ ი ა

შე კაცო, მე ყანაში მეგონე ანტონასთან, შენ კი...

ა მ ი რ ა ნ ა

აბა, აბა!.. მოსმარებას შევპირდი, მარა ამ დილას ამბავი მო-მიტანეს — მთაში პაწა ყანა მაქვს — საქონელს გადაუჭამიაო... წეველი დასახედავად... ნეტავი არ მენახა! ყანა სულ გოუოხრე-ბია ვიღაც სულწაწყმენდილის საქონელს!.. ვერ გევიგე, ვისი ყოფილა... გევიგებ კი... უნდა გევიგო!.. აბა, კაცის ასე ამოგ-დება შეიძლება?! რამ უნდა დამარჩინოს?.. ის იყო ჩემი იმე-დი, ჩემი საცხოვრებელი!.. თვარა უსათუოდ მოვეხმარებოდი, უსათუოდ!..

ტ უ ფ ი ა

როდი შეგაწუხებდი, ამირანა, მარა რა ვქნა: კაცი უღონო-თაა, ვისაც ვთხოვე — არ გვცალიაო... სამარგლავი კი დაგვი-გვიანდა... ველარაფერი გავაწყვეთ!..

ა მ ი რ ა ნ ა

უსათუოდ, უსათუოდ მოვეხმარები!.. კარგად ვერც მე ვარ, მარა... რა ვქნა!.. უსათუოდ მოვეხმარები!..

ტ უ ფ ი ა

ძალიან დაგიმადლი, ამირანა, მეტი აღარ შეიძლება!..

ი ლ ი ა

ტუფია, თუ ქალი ხარ, მე ნუ მომერიდები, შენს საქნარს მი-ხედე!.. მე რომ აქ ასე ვზივარ, ესეც დიდად სასიამოვნოა ჩემ-თვის... მერე კიდევ, აგერ მე და ამირანაც წევიმუსაიფებთ...

ტ უ ფ ი ა

უკაცრავად, ჩემო ბატონო, უკაცრავად!.. (შედის სახლში).

ი ლ ი ა

აბა, კიდევ ყოჩაღად ყოფილხარ, ამირანა... შენს სამუშევარსაც ასწრებ და სხვასაც ეხმარები!..

ა მ ი რ ა ნ ა

თავს ვეძალები, შენი ჭირი შემეყაროს! თავს ვეძალები, თვარა ჩემი ხნის ადამიანს რაღა მუშაობა უნდა შემეძლოს!.. თავს ვეძალები!

ი ლ ი ა

რამდენი წლისა იქნები, ამირანა?

ა მ ი რ ა ნ ა

მე?.. თუ მეტისა არა, ოთხმოცის უსათუოდ ვარ, შენი ჭირი შემეყაროს!..

ი ლ ი ა

და მუშაობ კიდევ?

ა მ ი რ ა ნ ა

აბა, რა ვქნა?! ვინაა შემხედვარე? ვინაა გამკითხავი, შენი ჭირი შემეყაროს!..

ი ლ ი ა

ბედნიერი კაცი ხარ, ამირანა!

ა მ ი რ ა ნ ა

რითი, შენი ჭირი შემეყაროს?.. ა?! რითი უნდა ვიყო ბედნიერი?

ი ლ ი ა

ასე ყოჩაღად ხარ...

ა მ ი რ ა ნ ა

ყოჩაღად. შენი ჭირი შემეყაროს?! აჰ!.. ერთობ მომერია, ჩემო ბატონო, ხნოვანებაც... ღონემაც მისუსტა და ამასთან დიდ, დიდ შევიწროებაში ვიმყოფები... რამდენჯერ დავაპირე შენთან მოსვლა... რჩევა მეკითხა შენთვის... გზაზე დაგეყენებიე...

ი ლ ი ა

მერე?

ა მ ი რ ა ნ ა

ვერ მოვბედე... ვერ შეგაწუხე, შენი ჭირი შემეყაროს!

ი ლ ი ა

ეჰ, ამირანა, არა გრცხვენია?

ა მ ი რ ა ნ ა

ახლა კი აგერ ბრძანდები და ახლა კი მოგახსენებ და უნდა დამარიგო... უნდა მირჩიო... რა ვქნა? როგორ მოვიქცე?

ი ლ ი ა

რა ამბავია? რაშია საქმე?

ა მ ი რ ა ნ ა

რაშია და, შვილებმა რომ ასე მომიძულეს და ასე მიმატოვეს და მიმივიწყეს... ასე საცოდავად რომ მიმაყრუეს... შეიძლება ასე?! შენ ბრძანებ, რომ ბედნიერი კაცი ხარო... ბედნიერი კი არა, ჩემისთანა საცოდავად თუა კიდევ ვინმე, არ ვიცი, შენი ჭირი შემეყაროს!.. ამ ხნის ადამიანი ასე საცოდავად მიმატოვეს, ჩემსას აღარაფერს კითხულობენ!.. გადავარდნენ ასე უგზოუკვლოდ!.. აღარც ოჯახი აგონდებათ, აღარც მე... ცოცხალი ვარ, მკვდარი ვარ, სულ რომ არ კითხულობენ, შეიძლება ასეთი ამბავი? აქვთ ამის ნება, შენი ჭირი შემეყაროს? გამაგებიე, ჩემო ბატონო, არის ასეთი კანონი, ნებას აძლევდეს მათ, ასე მომექცნენ? ასე მიმივიწყონ ამ ხნის კაცი?.. რა უნდა ვქნა, შენი ჭირი შემეყაროს, ჩემი ხნის ადამიანმა, რა? აძლევს კანონი ამის ნებას, ასე შეუბრალებლად მომექცნენ? ეს გამაგებიე, შენი ჭირი შემეყაროს! ასე რომ დაცანცალობენ, ვინ იცის სად, და მე კი უკანასკნელ გაჭირვებაში ვყოვარ...

ი ლ ი ა

რას აპირებ მერე, ამირან?

ა მ ი რ ა ნ ა

რა და, უნდა ვეახლო მთავრობას. მთავრობამ მომიდგენოს შვილები ჩემს ოჯახში და იყვნენ ჩემს სიკვდილამდე, მერე კი რა-

ვარც უნდათ, ისე ქნან! სიკვდილამდინ კი მომხედონ. აბა რა ვქნა, შენი ჭირი შემეყაროს, რა ვქნა, ჩემი ხნის ადამიანმა? შენ უნდა დამარიგო, რარიგად მოვიქცე, რა გზას დავადგე, რომ მთავრობას ისინი აქ მოვაყვანიო, მთავრობამ რომ ერთი კარგად შეუცაცხანოს და ფეთება მისცეს, რომ ასე უგულოდ ეკიდებიან ჩემი ხნის ადამიანს! კი, ასე მინდა ვქნა და შენ უნდა დამაყენო გზაზე, შენი ჭირი შემეყაროს! ჰმ, გოუტკბათ ქალაქის ცხოვრება... თეთრ პურზე ბრძანდებიან და მე კი ცხელი ჭადი სანატრელი მაქვს, შენი ჭირი შემეყაროს! უნდა მოვიყვანო, აბა, რა ვქნა, შენი ჭირი შემეყაროს, ჩემი ხნის ადამიანმა?

ი ლ ი ა

ეჰ, ამირანა, დამიჯერე, თეთრ პურზე უსათუოდ არ არიან შენი შვილები ქალაქში. ვაი თუ ისინი შენზე უფრო მეტ გაჭირვებაში იყვნენ! დარწმუნებულიც ვარ, უსათუოდ ასე იქნება! თეთრი პურის კი არა, შავი პურის ლუკმის შოვნა ქალაქ ადგილას, შენ არც კი იცი, რა ძნელი საშოვარია, ჩემო ამირანა!.. აი, ჩემიანებსაც შენსავით ეგონათ, მეც ბევრი საყვედურები გამიგონია მათგან იმ დროს, როცა მე გაჭირვებულ ცხოვრებას ვებრძოდი... მინდოდა, ჩემთვისაც და სხვებისთვისაც უკეთესები შემეძინა, მაგრამ, ა, ხომ ხედავ, რა შევიძინე: დამტვრეული გულსაკლავად. ყველას შესაწუხებლად ვაგდივარ ყმაწვილი კაცი და, ვინ იცის, რა ხანს ვეგდები კიდევ ასე!.. გაჭირვება თან სდევს, ჩემო ამირანა, ყველას, გაჭირვებამ გადააგდო შენი შვილები თავიანთ ეზოს გადაღმა. დამერწმუნე, ისინი შენზე მეტ გამწარებაში თუ არიან, თორემ დალხინებასთან კარგა დაშორებული იქნებიან უსათუოდ! ნუ უსაყვედურებ შენს შვილებს, ჩემო ამირანა; იმათ ის გაჭირვება დააწანწალებთ ქალაქის ქუჩებში ლუკმაპურის საძებნელად... კი, ჩემო ამირანა, კი!..

ა მ ი რ ა ნ ა

აბა, მე რა ვქნა, შენი ჭირი შემეყაროს? რა ვქნა? ასე ვიყო?

ი ლ ი ა

რას იზამ, ჩემო ამირანა! გეუბნები, ყველა გაჭირვებაში ვართ,

ყველას თავთავის გაჭირვება თან გვახლავს და, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერჯერობით ჩვენს გაჭირვებას ჩვენ ჩვენი ძალ-ღონით უნდა ვეჭიდოთ, ჩვენი საკუთარი ძალ-ღონით ვებრძოლოთ!

ა მ ი რ ა ნ ა

თუ აღარ შემიძლია, შენი ჭირი შემეყაროს, მაშინ? აღარა მაქვს არც ღონე და აღარც ძალა, მაშინ? მაშინ რა ვქნა, შენი ჭირი შემეყაროს, რა ვქნა ჩემი ხნის ადამიანმა, ა?.. თუ არ შემიძლია? არავინ უნდა მომხედოს? ყველამ უნდა წამიყრუოს?

ი ლ ი ა

ოჰ, ეგ კარგ კითხვას იძლევი, ჩემო ამირანა, კარგსა და მაგარ კითხვას იძლევი, ამირანა!

ა მ ი რ ა ნ ა

ჰო, რა ვქნა, რა... როცა აღარც ღონეა და აღარც ძალა მაქვს... ა? (იცინის) ა, მაგარ კითხვას ვიძლევი, შენი ჭირი შემეყაროს?!

ი ლ ი ა

სწორედ, კარგ და მაგარ კითხვას იძლევი... ყველასთვის საგულისხმიერო კითხვას იძლევი, ჩემო ამირან!

ა მ ი რ ა ნ ა

მერე, რა პასუხს მომცემ, შენი ჭირი შემეყაროს, ა?.. რა პასუხს მომცემ, ა?

გამოსვლა მეოთხე

იგინივე და პ ა ტ ა რ ა ბ ი ჭ ი, ღობეზე გადმომდგარი, მერე

ნ ა ტ ა ლ ი ა

პ ა ტ ა რ ა ბ ი ჭ ი (იძახის)

ნატალია!.. ნატალია!..

ი ლ ი ა

ვიღაცა იძახის!

ა მ ი რ ა ნ ა

ვინ ხარ, ბაბუ, ვინ?

ბ ი ჭ ი

ნატალია! ნატალია!

ი ლ ი ა

რაღაც ამბავი უნდა იყოს, ისეთნაირად იძახის ეს ბოვში!

ა მ ი რ ა ნ ა (კარებისკენ მიდის)

ნატალია, ვიღაც ბოვში იძახის, გამეიხედე!

ნ ა ტ ა ლ ი ა (გამოდის სახლიდან)

ვინ არი?

ა მ ი რ ა ნ ა

ბოვშია ვიღაცა... (ნატალია მიდის ჭიშკართან, ილიას) ა, მაგარ კითხვას ვიძლევი, ა, შენი ჭირი შემეყაროს?!

ნ ა ტ ა ლ ი ა (შეჰკივლებს)

უიმე! უიმე! (გავარდება ჭიშკარში და გარბის კივილით).

ი ლ ი ა

რა ამბავია? რა იყო?

ა მ ი რ ა ნ ა (მიიჩქარის ჭიშკრისაკენ)

რა ამბავია? რა იყო, ბოშო? ნატალია, რა იყო?

გამოსვლა მეხუთე

იგინივე, ტ უ ფ ი ა, შემდეგ მ ა ი ა

ტ უ ფ ი ა (კარებთან მომდგარი)

რა ამბავია, ამირანა? რა იყო? ნატალია რა იქნა?

ა მ ი რ ა ნ ა

ბოვში იყო ვიღაცისი... რაღაც ამბავი მეიტანა უთუოდ. ნატალიამ ერთი იკივლა და გავარდა იქით, ქვეითკენ!

მ ა ი ა (გამოვარდება შეშინებული)

ქვეითკენ გადავარდაო?

ტ უ ფ ი ა

მიშველეთ! ჩვენს თავზე ალბათ უბედურებაა! უსათუოდ საწყალ კაცს რაღაც შეემთხვა! (მაიას) მიხედეთ იქაურობას; ჩვენ თავზე რაღაც უბედურებაა! მიშველეთ! (გარბის გაშწარებული).

მ ა ი ა

რა ამბავია? რა არის? რა მოხდა, რა?

ი ლ ი ა

ველარაფერი გევიგე!.. ვიღაცას ბოვში იყო, რაღაც ამბავი მოიტანა, ალბათ ანტონას შესახებ.

მ ა ი ა

უიმე! მიშველეთ! მიშველეთ!.. იმ გაჭირვებულს უთუოდ რაღაც მოუვიდა... მომკალით!

ა მ ი რ ა ნ ა

ბოვში მოადგა ღობეზე... ვერ გევიგე, ნატალიას უთხრა რაღაცა...

მ ა ი ა

ჩვენს თავზე უბედურებაა! უბედურებაა უსათუოდ! (გარბის ჭიშკრისკენ).

ტ უ ფ ი ა (ისმის ხმა)

მიშველეთ, მიშველეთ!

იგივეე, ა ნ ტ ო ნ ა (რამდენსამე კაცს საკაცით შემოაქვს).

ტ უ ფ ი ა, პ ა ვ ლ ი ა, ნ ა ტ ა ლ ი ა, ვ ა ს ი ლ ა,
ლ ო მ ი ნ ა, ს ი მ ო ნ ა, რ ო მ ა ნ ო ზ ა, თ ე ბ რ ო ლ ე

მ ა ი ა (რა დაინახავს მოსულს)

მომკალით! მომკალით! გამათავეთ ახლავე! შვილო, შვილო... რას ხედავს ჩემი დასამიწებელი თვალები, რას, რას?

ტ უ ფ ი ა (უკან მოსდევს)

მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!

პ ა ვ ლ ი ა

მოითმინეთ, მოითმინეთ, ბატონო... რო არაფერი უჭირს საამისო! მოითმინეთ!

ტ უ ფ ი ა

მიშველეთ!

მ ა ი ა

მომკალით, მომკალით ყველამ! შვილო, შვილო ანტონა! (ნატალია ტირილით მოსდევს უკან. ავადმყოფი შეაქვთ სახლში).

ა მ ი რ ა ნ ა

ოჰ, ჩემო ანტონა... ჩემო ანტონა! ოჰ, ოჰ, ოჰ,

(ეზოში ყოველმხრიდან შემორბიან გლეხები, მამაკაცები და დედაკაცები. ზოგი სახლში შედის, ზოგი იქვე ეზოში ჯგუფებშია, ყველანი გაფაციცებით კითხულობენ: „მოკვდა, მოკვდა?“).

ა მ ი რ ა ნ ა

ოჰ, ჩემო ანტონა!

პ ა ვ ლ ი ა

(გამოდის სახლიდან. სახლის წინ კარებთან შეჯგუფულ გლეხებს)

ნუ მოიყრით ასე თავს... უტიეთ,* ჰაერი შევიდეს სახლში... ნუ მოგუდავთ, უიმისოთაც უჭირს საწყალს!

ა მ ი რ ა ნ ა (პავლიას)

უჭირს ვითომ, შენი ჭირი შემეყაროს? ა?

პ ა ვ ლ ი ა

უჭირს და არა, შე დალოცვილო! კაცი სიკვდილზეა მიმდგარი...

ა მ ი რ ა ნ ა

ოჰ, ჩემო ანტონა... ჩემო ანტონა!

ი ლ ი ა

რა იყო? რა დეემართა, პავლია?

პ ა ვ ლ ი ა (გარს ახვევია გლეხები)

ჩემს გვერდით პატარა ყანა რო აქვს მაგას, იქ მუშაობდა: ქე ვიცოდი, რომ კარგად ვერ იყო... გუშინაც ავადმყოფობას ჩიოდა... თვალი მისკენ მეჭირა, არ ვიცი, რატომ. გეეიხედე ერთი და ის იყო... ე კაციც უცბათ, თითქო ბალახი მოცელესო, წეიქცა. მივაყვირე, ხმას არ იძლევა. მაშინათვე გადავვარდი, მივვარდი, რას ნახავ: მკვდარია, მკვდარი კაცი აგდია! გადუძახე, იქვე ბიჭები მუშაობდნენ, მოვარდნენ. ავსწიეთ და წამეევიღეთ ცოცხალ-მკვდარი ადამიანი...

ვ ა ს ი ლ ა (გამოდის სახლიდან)

ნამეტნავად ცუდადაა საწყალი! არ ვიცი, რავა იქნება მაგის საქმე!

ა მ ი რ ა ნ ა

ოჰ, ჩემო ანტონა!

ლ ო მ ი ნ ა (სახლიდან გამოსული)

ბატონო ილია, შემობრძანდით... ერთი დახედეთ... ეგებ რჩევა რამე მისცეთ... არავინ იცის, რა ქნას, ყველა დაბნეულია... საწყალი კაცი არ შემოაკვდეთ მაგ უბედურებს... შებრძანდით! შებრძანდით ერთი!

პ ა ვ ლ ი ა

შებრძანდით, შებრძანდით! ეგებ რამე ურჩიოთ, თვარა მარტო მაგათი ქაქანით საცოდავს რა უნდა ეშველოს! შებრძანდით, ბატონო!

(ილია შედის სახლში)

ტ უ ფ ი ა ს ხ მ ა

მიშველეთ!.. მიშველეთ!.. მიშველეთ!..

ვ ა ს ი ლ ა

რა ეშველება მაგ საცოდავს... რა ეშველება?

ა მ ი რ ა ნ ა

ოჰ, ჩემო ანტონა! ჩემო ანტონა!

პ ა ვ ლ ი ა

ბატონო, თუ ყველამ მარტო ვიძახეთ, რა ეშველება, რა ეშველებაო და ლაპარაკით გავათავეთ საქმე — მართლა რომ აღარაფერი ეშველება და ეს კაციც შემოგვაკვდება ხელში და ის იქნება! ასე გაჩერება არ შეიძლება... ექიმი ჩვენთვის არაა და ფერშალი... ჩვენვე უნდა შეეცადოთ... ვისაც რა შეუძლია... სიმონია, გადირბინე, ბიჭო, გადირბინე ერთი ხელათ ნიკოსთან! გააგებინე ამბავი... გთხოვენ, გადმობრძანდეთ-თქვა... განათლებული და ნაყურები* ადამიანია — ეგებ რამენაირად უშველოს საწყალს!..

ვ ა ს ი ლ ა

ის თვითონ გაჩნდება აქ, რავარც კი გეიგებს ამბავს... თვითონ გაჩნდება!..

პ ა ვ ლ ი ა

კი, მარა... დაჩქარება ჯობია! მალე, მალე, თუ კაცი ხარ!..

ს ი მ ო ნ ა

ახლავე, ახლავე! (გარბის)

ლ ო მ ი ნ ა

ე ქალები რომ გაჩერებულან, სეირს უყურებენ დალოცვილები, თუ რავაა... გამოულოცონ მაინც, ვინ ბცის, ეგებ ქე ეშველოს, ეშელავათოს!

რ ო მ ა ნ ო ზ ა

მართალია!.. მართალია!.. ყოველნაირი საშვალება უნდა იხმაროთ, რავა შეიძლება! დროით უნდა მიშველება!

ლ ო მ ი ნ ა (მივა კარებთან)

თებროლე, თებროლე, გამობრძანდი აქეთ!

თ ე ბ რ ო ლ ე (ხნიერი დედაკაცი გამოდის სახლიდან)

რა გნებავთ?

პ ა ვ ლ ი ა

თქვე დალოცვილებო, რომ შემორტყმიხართ ამ საცოდავ კაცს, სეირს უყურებთ თუ?

თ ე ბ რ ო ლ ე

რა ვქნათ, ბატონო, დაგვარიგე, შენი ჭირიმე!

პ ა ვ ლ ი ა

რავა რა ქნათ, შე ქალო? ასე რავა დეიბენით ყველა: გამოულოცეთ, შე დალოცვილო, ეგებ ეშველოს რამე! ნუ, ნუ გაჩერებულხართ, თუ ღმერთი გწამთ!

თ ე ბ რ ო ლ ე

კი, ბატონო! კი, ბატონო! თუკი ინებებენ, ახლავე გამოულოცავთ, ჩემო ბატონო!

პ ა ვ ლ ი ა

იმათ რაღას ეკითხებით... ეს თქვენ უნდა ქნათ და აბა ჰე!.. აბა ჰე!.. დროს ნუღა კარგავთ!.. შეუდექით, შეუდექით, ეგებ ეშელავათოს საწყალს! აბა, ჰე, აბა ჰე!

თ ე ბ რ ო ლ ე

ახლავე, ჩემო ბატონო! (შედის სახლში).

გამოსვლა მეშვიდე

იგინივე და ნიკო

ლ ო მ ი ნ ა

ნიკოც აგერ ბრძანდება!

ვ ა ს ი ლ ა

აკი ვთქვი, უსათუოდ აქ გაჩნდება ახლავე-თქვა!

ნ ი კ ო

გამარჯობათ! გამარჯობათ თქვენი!

პ ა ვ ლ ი ა

შენ გადღეგრძელა ღმერთმა, შენ რომ ჩვენისთანა საწყალი კაცი გებრალება და გეცოდება! შენ გადღეგრძელა უფალმა!

ნ ი კ ო

ეს რა მოუვიდა საწყალ ანტონას? როგორ არის ახლა?

ლ ო მ ი ნ ა

თქვენი ბტევრი იქნა ისე, ის რომ არის! მკვდარივით აგდია საცოდავი!

ტ უ ფ ი ა ს ხ მ ა

მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!

გამოსვლა მერვე

იგინივე, სერაპიონ და ილია გამოდიან სახლიდან,

ს ე რ ა პ ი ო ნ (სახლიდან გამოდის, ნიკოს)

მოითმინეთ, ბატონო! ცოტათი მოითმინეთ!.. გამოლოცვას გააათავებენ ახლავე დედაკაცები.

ნ ი კ ო (შეჩერდება)

კეთილი, კეთილი.

პ ა ვ ლ ი ა (სახლიდან გამომავალ ილიას)

რავა ატყობთ, ბატონო ილია, ა?

ი ლ ი ა

ცუდათაა საწყალი... ცუდათაა.

ა მ ი რ ა ნ ა

ოჰ, ჩემო ანტონა! ჩემო ანტონა!

ნ ი კ ო

საწყალი კაცი, რა მოუვიდა ასეთი უბედურს?

ვ ა ს ი ლ ა

ანტონა ანტონაა და ამდენ სულს რა ეშველება? მუშა კაცის ასეთ დროს წაქცევა... ამდენი სამუშაოვარი, ამდენი საქნარი, ყველაფერი უნდა გაოხრდეს, ეს ოჯახის ამოგდებაა ნამდვილი!

პ ა ვ ლ ი ა

რატომ, შე კაცო, რატომ უნდა გაოხრდეს? ნუ გავაოხრებთ, ბრმები ხომ არა ვართ, ხომ ყველა ვხედავთ, რა ყოფაში ჩავარდა ჩვენი მეზობელი? ყველა წევეხმარებით, ყველა შევუდგებით და შევეწევით!.. სიკვდილით ღმერთმა ნურაფერი გაუჭიროთ და სხვებრ ყველა ხელს შევუწყობთ. რატომ გავაოხრებინებთ! ჩვენს თავზეც უნდა .ვიფიქროთ. დღეს ანტონას ასე მოუვიდა, ხვალ შეიძლება მეც ასე შემემთხვეს, შენც, ერთმანეთს უნდა მივხედოთ და კიდეც მივხედავთ, კი, კი!

ნ ი კ ო

უსათუოდ, უსათუოდ!

ი ლ ი ა

კარგი დაგემართოს, პავლია, თუკი ასე მოიქცევით... კარგი დაგემართოს!

ხმები

რასაკვირველია, რასაკვირველია, ყველა წავეხმარებით!

ამირანა

კი, კი! ყველა, ყველა!

ლომინა

ამ წუთისოფლის გაჭირვებას, ბატონო, ჩვენც ვხვდებით, რომ ერთმანეთს თუ გევიტანთ, თვარა ისე სხვებრ ვერას გავხდებით.

ნიკო

რასაკვირველია, რასაკვირველია, ლომინა ჩემო, ეგ ნამდვილი სიტყვაა...

ილია

რომელიც საქმედ უნდა იქცეს, საქმედ იქცეს!..

სერაპიონ (ნიკოს)

მობრძანდით, ბატონო! (ნიკო შედის სახლში).

პავლია

ყველამ უნდა გევიზიაროთ ჩვენი მეზობლის გასაჭირი... ყველამ!

ხმები

კი, კი!

ამირანა

ყველამ, ყველამ!

ილია

შენ, ამირანა?

ამირანა

მეც... მეც, შენი ჭირი შემეყაროს, მეც, მეც!

ილია (იცინის)

ყოჩაღ, ყოჩაღ, ამირანა!

ამირანა

აბა, რავა ვქნა, შენი ჭირი შემეყაროს? სანამ ცოცხალი ვარ, ვერ ჩამოვშორდები ჩემს მეზობლებს ვერც ჭირში და ვერც ლხინში. ვერა, შენი ჭირი შემეყაროს, ვერ ჩამოვშორდები!

ვასილა

ჩამოგვშორდები — ჩვენც ჩამოგშორდებით.

ამირანა

ვერა, ვერ ჩამოვშორდებით, ვერა, თქვენი ჭირი შეგვეყაროს!

ხმები

ასე უნდა, ამირანა, ასე ასე! (იცინიან).

პავლია

ბატონო ილია, რატომ გეეპვებათ ჩვენი ნათქვამი, რომ ამ ჩვენი მეზობლის გასაჭირს გევიზიარებთ და შევეფარებით?

ილია

რატომ? მიტომ, ჩემო პავლია, რომ ხშირად სიტყვა რჩება და საქმედ არა თუ არ იქცევა, სულ სხვანაირადაც მიიმართება.

პავლია

არა, ბატონო ილია, არა! აგერ ყველა ვამბობთ და ყველა კიდეც ავასრულებთ ჩვენს ნათქვამს, ყველა შევეფარებით ანტონას, ყველა გევიზიარებთ ჩვენი მეზობლის ოჯახის გასაჭირს! ჭკუა ჩვენც უნდა ვისწავლოთ, ბატონო, დროა!

ხმები

კი, კი, კი!

ილია

ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას!

პავლია

ა, ნახავთ თუ ასე არ იქნება!

ი ლ ი ა

ვნახავთ, ჩემო პავლია, ვნახავთ. ყოველ კეთილს შევსწრებოდეთ!

გამოსვლა მეცხრე

იგინივე და სერაპიონი
ლომინა

(სერაპიონი, რომელიც ის იყო სახლიდან გამოვიდა და რამდენიმე გლეხს გადმოხურულში ელაპარაკებოდა)

რაო, რას აპირებენო?

სერაპიონ

გადალოცვას* აპირებენ.

პ ა ვ ლ ი ა

რას აპირებენო? გადალოცვას?

სერაპიონ

ჰო, გაზალოცვას.

პ ა ვ ლ ი ა

ვინ?

სერაპიონ

ვინა და ტუფია...

გ ლ ე ხ ე ბ ი (მოშორებით რომ იდგნენ)

გადალოცვას აპირებენ?

სერაპიონ

ჰო, ტუფია აპირებს გადალოცვას.

ვ ა ს ი ლ ა

მართლა გადალოცვას აპირებენ, ბატონო?

ნ ი კ ო

ჰო... ისე, როგორც ეს იცით ხოლმე... ტუფიაც აპირებს გადალოცვას.

ლ ო მ ი ნ ა

სით ულოცავს?

ხ მ ე ბ ი

სით ულოცავს?

ს ე რ ა პ ი ო ნ

სით გოდოულოცავს? ზევით ხომ არ შეუდგება იმ შელმართს? ქვეითკენ წავა, აბა, სით უნდა წავიდეს?.

პ ა ვ ლ ი ა

ქვეითკენ?

ს ე რ ა პ ი ო ნ

ჰო, ქვეითკენ.

პ ა ვ ლ ი ა

რატომ ქვეითკენ უსათუოდ?

ს ე ფ ე (გაცბარებით)

რატომ და, იქით წასვლა უფრო მოსახერხებელიცაა... და ამონაყოლიც იქიდანაა...

ლ ო მ ი ნ ა

ზევითკენ წევიდეს!

ვ ა ს ი ლ ა

კი, ზევითკენ წევიდეს!

რ ო მ ა ნ ო ზ ა

უთქვამს იმ ადამიანს, სით უნდა გოდოულოცოს და კიდეც იქით გოდოულოცავს, თქვენ არ გეკითხებიან! რომ დაობთ, დოუშლით ახლა იქით წასვლას, სითაც უნდა, თუ?

პ ა ვ ლ ი ა

დოუშლი, აბა, არ დოუშლი?

რ ო მ ა ნ ო ზ ა

რავა დოუშლი!.. ერთი შენ კიდევ!

პ ა ვ ლ ი ა

რავა და, კარგად!

რ ო მ ა ნ ო ზ ა

რა ძალა გაქვს ამისთანა, შე კაცო?

პ ა ვ ლ ი ა

ეს მე ვიცი!

ლ ო მ ი ნ ა (რომანოზას)

თქვენკენ რომ არ მოდის, იმიტომ იჩაჩება მაგგვარად... აგერ გეუბნებით, ქვეითკენ ვერ გოდოულოცავს.

პ ა ვ ლ ი ა

ვერა, ვერა!

ს ე რ ა პ ი ო ნ

რატომ ვითომ, რატომ? მიზეზი რა არი?

პ ა ვ ლ ი ა

რაში დაგჭირდათ ახლა ეს გადალოცვა? არ გვეყოფა, რაც ჩვენ ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ სიმწარე და ჭირი გვხვდება? რაღა ჩვენკენ დენიან კიდე თავიანთ უბედურებას... რაღა ჩვენკენ გზას ულოცავენ?.. ჩვენი მწუხარება არ გვეყოფა თუ? ქვეითკენ არ გოუშვებ გადასალოცავად!.. არა, არა, ტყვილი იმედია!

ა მ ი რ ა ნ ა

კი, კი, გვეყოფა ჩვენი უბედურება! ჩვენკენ არ გადავალოცვიებთ!..

ლ ო მ ი ნ ა

ქვეითკენ ვერ წამოვა... არ გოუშვებთ!

ხ მ ე ბ ი

არ გოუშვებთ, არა, არა!

ნიკო

პავლია, ლომინა, ნურც თქვენ ღელავთ, ნურც სხვებს აღელვებთ. სითაც ურჩევნიათ, იქით გოდოულოცონ. თქვენ იმით არაფერი დაგიშავდებათ, გულშეწუხებულ ჭირისუფალთ კი გულზე მოეშვებათ... დამშვიდდით, დამშვიდდით, დაწყნარდით, თუ ქაცი ხართ!

პავლია

ორა, არა, ქვეითკენ ვერ გოდოულოცავენ, ვერა! ეს ნათქვამია და გათავებული!

ლომინა

ვერა, ვერა!

ამირანა

ორ გოუშვებთ!

ხმები

არ გოუშვებთ!

ილია (პავლიას)

თქვე ქაი ქაცებო, ახლა არ იყო, თავს იკლავდით, შეწუხებული იყავით ამ ქაცის მდგომარეობით, ყველა ერთად აცხადებდით, ოჯახის გაჭირვებას გვეზიარებთო... ახლა წინააღმდეგი უხდებით, გადასალოცავად გზას უკრავთ. რა მოხდა ამისთანა, რა იქნა? თქვენი სიტყვა სადღაა?

პავლია

შეეწევით, წევეხმარებით... თავის უბედურებას ჩვენსკენ ნუ მოდენიან, ჩვენსკენ გზას ნუ ულოცავენ, ნუ!

ქვეითელები

არ შეიძლება, არა, არა! არ გოუშვებთ!

ამირანა

არ გოუშვებთ, არა, არა!

სეფე

თქვენ არავინ გეკითხებათ, გოუშვებთ თუ არა! არა, არავინ გეკითხებათ!

ს ე რ ა პ ი ო ნ

ვნახავთ, რავა არ გოუშვებთ!

ი ლ ი ა (ნიკოს)

თქვენ ნახავთ, თუ აქ ერთი უცნაურობა არ დატრიალდეს.

პ ა ვ ლ ი ა

ფეხი ქვეითკენ არავინ გადმოდგას გადმოსალოცავად, გეიგონეთ ყველამ! (გადადიან ჭიშკარს გადაღმა და ეწყობიან გზაში).

ხ მ ე ბ ი

არავინ, არავინ!

ს ე რ ა პ ი ო ნ

ესენი, ეტყობათ, მართლაც არ ხუმრობენ... რას სულელობთ, რას, რას სულელობთ თქვენ, ეი!

პ ა ვ ლ ი ა (გაჯავრებული ჭიშკრისკენ მიდის)

ფეხი არავინ გადმოდგას ქვეითკენ!.. ფეხი, ფეხი, თუ არა...

ს ე რ ა პ ი ო ნ

თუ არა, რა? თუ არა, რა, ბიჭო? რას იმუქრები, შე უსინდისო, შენ?

პ ა ვ ლ ი ა

უსინდისოც ხარ და უარესიც!

ი ლ ი ა

სირცხვილია, პავლია, სირცხვილი, რას ჩადიხარ... არ გრცხვენია?

პ ა ვ ლ ი ა

თავი დამანებე... თავი დამანებე, თვარა ხელახლა მიგამტვრევ მაგ დამტვრეულ ფეხებს! თავი დამანებე, შენ შემეწევი, შენმა სიცოცხლემ, რომ გამიჭირდეს... დიახ!..

ს ე ფ ე

რას ელაპარაკებით მაგ ჭკუა გადამცდართ! რას ელაპარაკებით ამ გადარეულებს!

ლ ო მ ი ნ ა

აბა, გადმოდგით ფეხი, აბა, მაშინ ნახავთ, გადარეული რავარი უნდა!

გამოსვლა მეათე

იგინივე და მ ა ი ა

მ ა ი ა

პავლია, შვილო, რატომ ნებულობ? რატომ ნებულობ, შვილო? ლომინა, ამირანა!

პ ა ვ ლ ი ა

არ შეიძლება, არ შეიძლება, არა, არა! ქვეითკენ არა, გესმის!..

მ ა ი ა (ნიკოს და ილიას)

მიშველეთ, მიშველეთ, განათლებულებო!

ა მ ი რ ა ნ ა

არ შეიძლება, არ შეიძლება!

ლ ო მ ი ნ ა

არ შეიძლება!

ვ ა ს ი ლ ა

არ შეიძლება!

ხ მ ე ბ ი

არა, არა!

ს ე რ ა პ ი ო ნ

რას ელაპარაკებით ამ გამოტვინებულთ, რას ელაპარაკებით!

რ ა მ დ ე ნ ი მ ე გ ლ ე ხ ი

რაღას ელაპარაკებით, რაღას ელაპარაკებით?

ს ე ფ ე

ტუფია, წამოდი, წამოდი, ტუფია, ვნახავთ, რავა არ გაგიშვებენ!..

პ ა ვ ლ ი ა

ფეხი არ გადმოდგა, ფეხი, ჰეი!

ს ე რ ა პ ი ო ნ

ვნახავთ, რას გაბედავენ, ვნახავთ! (სახლთან) ტუფია, წამოდი, წამოდი, ტუფია!

ს ე ფ ე

წამოდი, წამოდი, ტუფია, წამოდი!

პ ა ვ ლ ი ა და ქ ვ ე ი თ ე ლ ე ბ ი

ფეხი არავინ გადმოდგათ, ფეხი არ გადმოდგათ!

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე თ ი რ თ მ ე ტ ე

იგინივე და ტ უ ფ ი ა წმინდა სანთლებით თითებზე, გადასალოცავად გამზადებული. უკან მისდევენ ნ ა ტ ა ლ ი ა, მ ა ი ა და რამდენიმე დ ე დ ა კ ა ც ი

ტ უ ფ ი ა (ღაღადით)

ჩემზე მომდგარ უბედურებას გზა დაგელოცა, კვალმა შენმა იხარა..: შენმა სავალმა..: იკმარე ჩემი სიმწარე..: იკმარე ჩემი გაჭირვება!..

პ ა ვ ლ ი ა (ყვირის)

ტუფია, აქეთ ნუ მოდიხარ!

ტ უ ფ ი ა

შემიბრალე... შემიწყალე... შემიცოდე!..:

ლ ო მ ი ნ ა

აქეთ არ წამოხვიდე!

ა მ ი რ ა ნ ა

არ წამოხვიდე, არ წამოხვიდე! (ყვირიან სხვებიც).

ს ე რ ა პ ი ო ნ (უძღვება წინ ტუფიას)

მოდი, მოდი!

ი ლ ი ა

ნახავთ, აქ ერთი უბედურება დატრიალდება!

ნ ი კ ო

დაწყნარდით, დამშვიდდით, რას ჩადიხართ, გონს მოდით!

ს ე ფ ე

მოდი! აბა გაბედონ რამე, გაბედონ რამე!

პ ა ვ ლ ი ა (ლობიდან კეტს მოგლეჯს)

ფეხი არ გადმოდგათ, ამ კეტით გაგიპობ თავს, თავს გაგიპობ, იცოდე! (ყვირიან)

ქ ვ ე ი თ ე ლ ე ბ ი

არ გაგიშობთ, არ გაგიშობთ, არა, არა!

ს ე რ ა პ ი ო ნ (ეძგერება პავლიას)

იქით, იქით, შე გამოტვინებულო! იქით-მეთქი!

ლ ო მ ი ნ ა

დაჰკარით მაგ მამაძაღლს კეტი, მაგ მამაძაღლს კეტი!..

ს ე ფ ე და რ ა მ დ ე ნ ი მ ე გ ლ ე ხ ი

დაჰკარით ამ ვირებს! დაჰკარით გამოტვინებულებს! (საერთო ყვირილი, ორივე ჯგუფის შეჯახება).

პ ა ვ ლ ი ა

კეტი... კეტი... კეტი მაგათ!

ნ ი კ ო

რას ჩადიხართ? რას ჩადიხართ?! შეჩერდით, შეჩერდით! ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია! შეჩერდით, თუ გწამთ ღმერთი!

ი ლ ი ა

გეიზიარეს მეზობლის გაჭირვება, გეიზიარეს!

ს ე რ ა პ ი ო ნ

(რომელსაც მოხვდა პავლიასაგან მოქნეული კეტი)

მიშველეთ, მიშველეთ!..

ხ მ ე ბ ი

კაცი მოჰკლეს!.. მოჰკლეს კაცი!.. დაჰკარით, დაჰკარით მაგ შეჩვენებულებს!.. დაჰკარით მაგ არაწმინდებს. დაჰკარით, დაჰ-კარით!

(საერთო ყვირილი, წივილი, შეტაკება, ჯოხებით ცემა).

ნიკო

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა ამბავია ეს, რა ამბავია? რა ამბავია?.. რა საშინელებაა!

ფარდა

1914.



მეძუძრები



ჩემი ცხოვრების გზაზე

ავტორისაგან

ეს მოგონებები იწერება იმ [illegible]ებით, რომ რომელიმე მკვლევარმა ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატავად შეიძლება ამ სტრიქონებშიაც იპოვოს გამოსადეგი რამ მასალა. თუ ეს ასე იქნა, მაშინ ამის დაწერაც გამართლებული იქნება და დამწერიც დიდად დაკმაყოფილებული.

ნაშრომს კი ეუძღვნი მათ ხსოვნას, ვინც გული სიყვარულით გამითბო, მასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა. მოკლე მონაგონებში არაფერი შეფერადებული არ იქნება, მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში.

დ. კლდიაშვილი

1925 წ.

თავი პირველი

დედული ჩემი არის პატარა სოფელი ხომული, რომელიც მდებარეობს ქუთაისიდან წყალტუბოსკენ მიმავალ გზაზე. ქუთაისიდან ამ სოფლამდე ექვსი ვერსია. დედაჩემი, კესარია, იყო

ხომულელი შეძლებული აზნაურის ნიკო ღოღობერიძის ერთადერთი ქალიშვილი. ბაბუაჩემი (დედის მამა) თავის შესახედაობით ქვემოიმერელი აზნაურის ტიპიური წარმომადგენელი იყო: მაღალი, წვრილი, ხმელი სახით, მუდამ ფაფანაკით* თავზე, შავი ჩოხით, ხანჯლით შავ ქამარზე, გადაკიდებულ ხმლით, გვერდზე ჩამოკიდებულ ნაქარგი ქისით, რომელშიც თუთუნი და მოკლე ჩიბუხი ეწყო. ამასთან დინჯი, დარბაისელი, განსხვავებული მოლაპარაკე, თუმცა ენა ებორძიკებოდა. შნოიანი კაცი იყო მოხუცებული, მაგრამ არ იცოდა წერა, არც კითხვა და არც ეხერხებოდა ქაღალდის ფულის დათვლა.

დიდი, ფართოდ გაშლილი ეზოს ერთ მხარეს იდგა დიდი ორსართულიანი სახლი. ქვედა სართული — ქვითკირის, ზედა კი ფართო აივნიანი, ხის. მოშორებით იდგა დიდი, გრძელი, ისლით დახურული სამზარეულო, მის გვერდით საქონლის სადგომი, შემდეგ თავლა, სახარჯო სიმინდისათვის პატარა ხულა. ამას მიყვებოდა საქათმე, საბატე, საღორე; იქით თორნე, მარანი და სანადირო ძაღლების სახლი; განაპირზე იდგა ორ-ორ სართულიანი ხულა, მუდამ სავსე სიმინდით, ღომით, პურით და ფეტვით; ეზოს შორეულ კუნჭულში მოზრდილი შენობა — კამეჩების სადგომი. ეზოს გადაღმა, მოკრულ წაბლარში — სათხებო და ცხვრის ფარეხი. აქაურობა პირდაპირ ბაზარს ჰგავდა. ყოველ ამას, აქ მოთავსებულ ქონებას, რასაკვირველია, ბევრი მომვლელი ხელი ეჭირვებოდა და ასედაც იყო — სამზარეულოში აუარებელი მოსამსახურე ხალხი ფუსფუსებდა და ტრიალებდა; ამათთან ტრიალებდნენ ორივე ოჯახის შვილებიც, ჩემი ბიძები. სხვანაირი მოხერხება და თავაზიანობა იყო საჭირო ოჯახის საქმის გასაძღოლად და, რადგან ბებიაჩემი სუსტი ქალი იყო ჯანით, ეს დაკისრებული ჰქონდა ბიცოლაჩემს; მას ჰქონდა ჩაბარებული ოჯახის შინაურული საქმის ხელმძღვანელობა და იგიც საოცარი მოხერხებით და მარჯვედ უძღვებოდა მას. ჩემი, მოკლედ ლაპარაკს ჩვეული, უბრალოდ ჩაცმული, მოძრავი, იგი დილიდან შუაღამემდი საქნარში იყო ჩაბმული, თითქო დაღალვა მისთვის არ არსებობდა. ყველაფერი ოჯახის საქმე მას ეკითხებოდა და მის უკითხავად არაფერი გაიცემოდა, არაფერი განათხოვრდებოდა.

— ჩიქოვანის ქალმა იცის! — უამისოდ ვერავინ ხელს ვერ

ასლებდა ოჯახის ქონებას. ქმარიც და მაზლიც დიდი მორიდებით იყვნენ მასთან, ბაბუაჩემი განსხვავებული პატივისცემით ეპყრობოდა მას. ჩვენ, ბავშვებს, თან გვეშინოდა ბიცოლა ელისაბედის, თან გვიყვარდა ღრმა სიყვარულით; მან წერა-კითხვაც იცოდა და ყველა მის შვილს ნასწავლი ჰქონდათ წიგნი. ბიძაჩემებმა, როგორც უფროსმა, ისე უმცროსმა, წერა-კითხვა არ იცოდნენ. წერა-კითხვის გარდა ბიცოლა თავის ქალიშვილებს ასწავლიდა მეოჯახეობას, მუდამ საქნარში ჰყავდა ისინი ჩაბმული და იხმარებდა ოჯახის მოვლაში. მისი უფროსობა არ შეზღუდულა არც მაშინ, როცა მეორე ჩემმა ბიძამ ცოლი შეირთო, ლორთქიფანიძის ქალი; ახალი ოჯახის რძალი, ხალისიანი, თავდაბალი, ტკბილი შემხვდომი ადამიანი იყო; მასთან ყველა უფრო თამამად და გაბედულად იყო და ყველას ძლიერ უყვარდა. ამასაც დიდი მორიდება ჰქონდა უფროსი რძლის და მორჩილი, მიმყოლი ამხანაგი იყო მისი. წვრილმანი საქმე ოჯახის უფროსის დაუკითხავად წყდებოდა უმეტეს ნაწილად, ხოლო უფრო რთული კი მოხსენდებოდა ნების დასართავად.

საცხოვრებლად ბაბუას განსაკუთრებული კუნჭული ჰქონდა. ეს იყო ზედა სართულში ამყვან კიბის მახლობლად, დაბლა სართულის — პალატის ოთახი. პატარა, ბუხრიან ოთახში ერთ კედელთან საწოლი იდგა, მეორე კედელს კი ჩაყოლებული ჰქონდა ვიწრო ჩამოსაჯდომი ტახტი; სინათლე შემოდიოდა პატარა, მაღლად დატანებულ ფანჯრიდან. ამ ოთახში ცხოვრობდა მოხუცებული და მის ნებადაურთავად შიგ ვერავინ შევიდოდა. შვილებიც კი კარზე მიდგომით ელაპარაკებოდნენ მეტ შემთხვევაში. ამ ოთახში ჭამდა სადილს მოხუცებული, რაზედაც უნდა შეკითხოდნენ წინდაწინ. ვახშამსაც აქ გაშლიდ-ნენ, ესეც მისი დაკითხვით და ნებადართვით. დაბალ, ვიწრო სუფრაზე, სადილ-ვახშამზე, მოსხდებოდნენ მხოლოდ უფროსები. ბავშვებს აქ ადგილი არ ჰქონდათ; მხოლოდ მე ვიყავი გამონაკლისი, — მე ყოველთვის ამათთან ვსადილ-ვვახშმობდი ბაბუას მახლობლად მჯდომი, სადაც სინათლე იყო მხოლოდ ვახშმობაზე; ინთებოდა ქონის სანთელი, რადგან მაშინ ნავთი სმარებაში არ იყო და ლამპა არ იცოდნენ. თუ მოსარიდებელი იქნებოდა ვინმე ვახშამზე, მოუკიდებდნენ ქონის სანთლის მა-

გივრად კარტოფილის სანთელს, სხვა დროს ოთახი ნათდებოდა ბუხარში ანთებული ცეცხლის ალით[...]

საყვარელი სამყოფი ჩემთვისაც და სხვა ბავშვებისათვის იყო სამზარეულო სახლი, სადაც, როგორც ვთქვი, აუარებელი ხალხი ფუსფუსებდა. მიყვარდა აქ ყოფნა, აქ შუაცეცხლის პირას მოყაყანე ხალხში გარევა. რა ზღაპარს, რა არაკს, რა ამბავს, ხუმრობას არ გაიგონებდი ხოლმე! ვუჯექი მუხლებზე ხან ერთს, ხან მეორეს და ვუსმენდი ამათ დაუთავებელ ლაპარაკს. განსაკუთრებით დიდძალი ხალხი მოიყრიდა თავს სამზარეულოში, როცა ღვეზილებს* აცხობდნენ ან მჭადის-მჭადს.* ამ დღეს სოფლიდანაც ბევრი მოდიოდა...

განსხვავებულად მიყვარდა ბაბუას ოჯახში გაზრდილი გლეხი შოშიელა კინწრიაშვილი. ჯანით სუსტი, იგი ვერ ეწეოდა საჭირო მუშაობას და ღარიბი ოჯახის პატრონი იყო. ბაბუას ოჯახიდან დიდი ხელისწყობა ჰქონდა მას, მაგრამ იგი მაინც საწყალად იყო. დედაჩემი რომ მივიდოდა თავის სახლს — უსათუოდ შემოივლიდა ფანცხავებს, პაპავებს და შოშიელასათვის მიჰქონდა საჩუქრები; ყველას გვიყვარდა წყნარი შოშიელა, ყველას გვეცოდებოდა, მაგრამ დედაჩემს განსაკუთრებით, რადგან პატარაობისას ერთად იზრდებოდნენ. შოშიელას უფროსი ძმა სესელია, მოურავად ჰყავდა ბაბუაჩემს. კაცი ეშმაკი, გაიძვერა, მოქარგული ენით მოლაპარაკე, რისი წყალობითაც მისი რჩევის გამგონი და დამჯერი მოხუცებული ხელში ჰყავდა ჩაჭერილი. ვერც შვილები და ვერც რძლები ვერას ეუბნებოდნენ მოხუცებულს ხათრით, რადგან იცოდნენ, რომ ეს საწყენად დაურჩებოდა მას; ცუღლუტი, მოხერხებული მოურავი კი ამით სარგებლობდა, სტყუებდა ბატონს, რაც ეპრიანებოდა. ამ გამონაცინცლავით დაბოლოს მან იყიდა წყალტუბოს მახლობლად მშვენიერი მაღლობი ადგილი, ამართა ზედ სამი სახლი და გააჩაღა მდიდრული ოჯახი. მოხუცებაში იგი ისე ირჯებოდა, როგორც მისი ნაბატონარი — იჯდა გრძელტარიანი ჩიბუხით ხელში და იმსახურებდა შვილებსა და რძლებს[...]

* * *

მეორე ბაბუაჩემი სოფელ სიმონეთში მცხოვრები ღარიბი აზნაური იყო. ღარიბმა მაინც მოახერხა თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვა, დაათხოვა ყველა ქალიშვილი და ორ

უფროს ვაჟს ცოტაოდენი სწავლაც მიაღებინა ქუთაისში. მოხუცებულს ურჩებოდა უმცროსი ვაჟი სამსონი, მამაჩემი, — და რომ მამის სიკვდილის შემდეგ პატარას ჰყოლებოდა გულითადი მომვლელ-მზრუნველი, ბაბუამ მიიწვია მეზობელი გლეხი დათიკა გიორგაძე თავისი ცოლით, მამობილად მოჰკიდა შვილს და მისი ბედ-იღბალი იმათ ჩააბარა. ამათაც სავსებით გაამართლეს მოხუცებულის იმედი და ნამდვილი დედმამობა გაუწიეს შვილობილს. ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ადრე ობლად დარჩენილს, შეაძლებინეს ესწავლა და, ორკლასიანი სასწავლებელი გაათავებინეს ქუთაისში; დაეხმარნენ სამსახური ეშოვნა და კიდეც იშოვა — სამაზრო სამმართველოში შევიდა გადამწერად. იცოდა ლამაზი როგორც ქართული, ისე რუსული წერა. მუყაითი, მოხერხებული, კარგად გაუძღვა თავის სამსახურს, და ცოცხალმა, ლამაზმა, კოლეგსკი რეგისტრატორის* ჩინით დაჯილდოებულმა ყმაწვილმა იმედი მოახერხა, რომ თავი მოაწონა მდიდარ მებატონეს და შეირთო მისი ერთადერთი ქალიშვილი ცოლად. დედობილ-მამობილმა მცირე მიწის მქონებელ შვილობილს ცოლის მოყვანაზე საჩუქრად თავს გადააგდეს* ოთხი ქცევამდე მიწა, სამოსახლო და საყანე; მზითვად აღებული ფულის ნაწილით აყიდვინეს ადგილი, აყიდვინეს სახლი, მოუტანეს და დაუდგეს ნაჩუქარ ადგილში; მოუწყვეს ხულა, ბეღელი, სამზარეულო, საბძელი — ერთი სიტყვით, ყველაფრით გაუმართეს ოჯახი და ძმისგან გამოყოფილი გადმოიყვანეს ახალ სამოსახლოზე.

ერთ დღეს მამობილმა ძროხა მოუყვანა დედაჩემს.

— კესა, ძროხა არ გყავთ, ეს კაი მოდგმის ძროხაა, გყიდეთ თქვენ; მოუარე და საქონელი მოაშენეთ, — უთხრა დათიკამ და დაულოცა ნაჩუქარი. ძროხა მართლაცდა მშვენიერი გამოდგა და შემდეგში დიდძალი საქონელი მოშენდა მისგან.

დღე არ გაივლიდა ისე, რომ მამობილს თვალი არ გადაევლო შვილობილის ოჯახისაკენ, რომელიც ქუთაისში განაგრძობდა მსახურობას. დათიკა იყო ჩვენი ოჯახის მეთვალყურე, მოჯამაგირეების დამრიგებელი და ხელმძღვანელი. მასთან ერთად ხშირად ამაში მონაწილეობას ღებულობდა

მისი უმცროსი ძმაც, ივანე, ესეც დათიკასავით კეთილი გულით განწყობილი ჩვენი ოჯახისადმი. უშვილო დათიკამ ნამდვილ შვილად მიიჩნია თავისი შვილობილი და სამაგალითოდ პატიოსნად აუსრულა ბაბუაჩემს იმედი, რომ უმცროსი შვილი უპატრონოდ არ დარჩებოდა დათიკას ხელში. სიკვდილამდე იგი მომვლელი იყო ჩვენი ოჯახის. ეს დალოცვილი ბუნების ადამიანი მარტო ჩვენთან არ იყო ასეთი გულკეთილობით — იგი იყო ნამდვილი კაცთმოყვარე ადამიანი, რომ იტყვიან; მზა ყოველი გაჭირვებულის შესაწევად და მომხმარედ. და ამის გამო დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული სოფლელებისაგან; ყველას უყვარდა იგი და დიდ პატივს სცემდა მის ოჯახს. იგი ნამდვილი მშვენება იყო სოფლის; მშვენიერი იყო თავისი სულიერი განწყობილებითაც და გარეგნობითაც; მაღალი, ფართო მხარბეჭიანი, ტანწვრილი, სასიამოვნო სახით, მოგრძო გათეთრებული თმით, მოძრავი, რიხიანი ხმით მოლაპარაკე, მხიარული ადამიანი, ქეიფის მოყვარული. გაკვირვებას ვარ ახლა, რომ მახსენდება ის ვეებერთელა ხის კათხები, იგი რომ სცლიდა ხოლმე ერთი აღებით ხელში და არავის ახსოვდა, რომ იმ სუფრაზე, სადაც დათიკა იჯდა, აყალმაყალი მომხდარიყო, რაც რომ გადარეული სმა ყოფილიყო...

ქეიფიც უყვარდათ ორივე ძმებს და მუშაობაც. ორივენი სამაგალითო მუშები იყვნენ და ამიტომაც ოჯახიც ყველაფრით იყო სავსე, რის გამოც თავადაც კარგად ცხოვრობდნენ და შეძლება ჰქონდათ სავსებით გამოეჩინათ თავიანთი გულკეთილობა და ყოველი გაჭირვებულისათვის შესაწევად მზადყოფნა. ამ დროს უფრო ნადით იცოდნენ ყანების დამუშავება და დათიკა, მართლა სანახავი იყო ნადის თავში ჩამდგარი, თოხით, ბის გვერდით ყოველთვის მისი ძმა ივანე და მათი გუგუნი ნადურის თქმაში. ვიმეორებ, ქეიფიც იცოდნენ ორივე ძმებმა, მუშაობაც და ადამიანის მიხედვაც, რამაც შეაყვარა მათი თავი და მათი ოჯახი არა თუ მეზობლებს, სოფლის გადაღმადაც. ამ ადამიანმა ისე გაატარა თავისი გრძელი სიცოცხლე — იგი მოკვდა ღრმა მოხუცებული — ისე რომ სასამართლოში ფეხი არ შეუდგამს, არც მომჩივნად, არც მოწმედ, — გადამეტებით ეჯავრებოდა ყო-

ველგვარი შფოთი და არევ-დარევა. ერთხელ ბიძაჩემს და მამაჩემს დავა აუტყდათ. ბიძაჩემმა უთხრა დათიკას, მოწმედ უნდა დაგასახელოო.

— შენს სულს დაენაცვლოს დათიკა გიორგაძე... რაც გნებავს, ის მიყავი და მაგას ნუ მიზამ! — შეევედრა დათიკა. — დაანებეთ თავი საჩივარს, სასამართლოში სიარულს, ჩვენ მოვაგვარებთ საქმეს, ჩვენ მოვსპობთ თქვენ შორის შფოთს და უსიამოვნობას!

ცოლიც თავისი შესაფერისი ჰყავდა დათიკას. მელანა ჩიხლაძის ქალი (როგორც მას უწოდებდნენ) დიდი პატივისცემით იხსენიებოდა სოფელში. დინჯი, დარბაისელი, იგი ცნობილი იყო როგორც ექიმი ქალი და მისი წამლებით მრავალი კაცი სარგებლობდა და დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი.

ჩვენს ახალ მოსახლეობას დიდი და ერთგული მეთვალყურე და მზრუნველი ჩვენს გადიაშიაც ჰყავდა. იგი დარჩა ბიძაჩემთან, არ მოშორდა ძველ სამოსახლოს. იგი იყო გურული ქალი, ბაბუაჩემისაგან გურიაში ნაყიდი. დროთა ვანმავლობაში იგი ისე შეეთვისა და შეუერთდა ახალ ოჯახს, რომ, როცა ერთხელ ძმები მოუვიდა გურიიდან და უთხრეს სამშობლოში დაბრუნება, მან მტკიცე უარი განაცხადა და არ მოშორდა თავის გაზრდილებს — ბიძაჩემს და მამაჩემს და ჩვენ — პატარებს. დღე არ გაივლიდა, რომ ჩვენი ახალი ოჯახი უნახავი დარჩენოდა. თუ რამე არ მოეწონებოდა, დედაჩემისათვის დარიგება მზად იყო და მისგან შეწყრომასაც არა ერთხელ ჰქონებია ადგილი. პატივისცემა და მორიდება მისი ისეთი იყო, რომ როცა ბიძაჩემი ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად, გადიას ხათრით სახლი ვერ გაყიდა სოფელში, გადიას უქირავა მოსამსახურე გოგო და ყველაფერი, ისე იყო, როგორც წინათ. მოხუცებული (სანდომისა ერქვა სახელად) ჩვენ ყველას განსხვავებული სიყვარულით გვიყვარდა და მასაც ღრმად, სავსე გულით ვუყვარდით. ამ სიყვარულმა მოუსპო კიდევაც მას სიცოცხლე: — ბიძაჩემს მოუკვდა ოცი წლის ვაჟი; მშობლებზე არა ნაკლებ იჯავრა და იმწუხრა მან ყმაწვილის დაკარგვა, გაზრდილის გარდაცვალება და მოხუცებულმა მოკლე ხანში დალია სული.

ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა ჩვენთან შემოთვისებული მოხუცი, რომლის ხსოვნას დავიწყებას ვერ მივცემ. ეს იყო ჩვენი ნაყმევი — სიმონა აშოლტია. სიმონას ვაჟი არ ჰყოლია, ჰყავდა სამი ქალიშვილი, სამივე გათხოვილი იყო. ამაყმა მოხუცებულმა ვერ გასძლო ვერც ერთთან; მოვიდა ჩვენთან და დედაჩემს სთხოვა მიეღო ოჯახში და მიეცა მისთვის საცხოვრებელი ბინა. არც დედამ და არც მამამ უარი არ უთხრეს მოხუცებულს. მუშაობა აღარ შეეძლო სიმონას, მაგრამ ხეხილის მყნა კარგად რომ იცოდა — ამას არ იშლიდა და მთლად ეზო-გარემო აავსო დამყნილ-დარგული ხეხილით. დიდი გამოცდილების, ფხიზელი გონების პატრონი, ჭკვიანი, მშვენიერი მოლაპარაკე, ყოველთვის სუფთად ჩაცმული — ივი უნებლიეთ მისდამი პატივისცემას იწვევდა მის მცნობში. მას ჰქონდა მიჩენილი თავისი კუთხე; ზამთარში იჯდა ყალიონით პალატის ბუხრის პირას, მისგან ნაგულებ ადგილას, რომელს არავინ არ დაიკავებდა მისი ხათრით. სიმონამ აუარებელი ლექსი იცოდა, ზღაპრის შნოიანი მომყოლი იყო, იცოდა ათასი სხვადასხვა არაკი, ნათქვამები, ძველი ამბები; იცოდა ვახტანგ მეფის კანონების მრავალი მუხლი და შესაფერ ლაპარაკში მოჰყავდა ხოლმე. ყოველთვის ბავშვობაშიც და მაშინაც, როცა წამოვიზარდე, მიყვარდა მისი ლექსის, არაკის და ამბების თქმა. მისგან გაგონილი რამდენიმე ლექსი, — სოლოღას ლექსი, ივანე კავთელის, კუნძულელის, — ერთხელ კიდეც ჩავიწერე და შემდეგ გაზეთ „ივერიაში" გავგზავნე დასაბეჭდად. ოცდახუთი წელიწადი იცხოვრა მან ჩვენს ოჯახში, დიდ პატივისცემაში ყოფილა დედაჩემისაგან. მოკვდა ღრმა მოხუცებული, ოთხმოცდაათი წლის, სიკვდილამდე ორი წლის წინ დაბრმავებული.

დიდი ნაწვალები ჰყავდა საწყალი სიმონა ბაბუაჩემს. სამივე მისი ქალიშვილი გატანებული ჰყავდა მზითვად თავის ქალიშვილებისათვის. ვერ მოითმინა ამაყმა სიმონამ ასეთი შეუბრალებლობა და, რადგან ახლოს ვერ ეღირსა შებრალებას, — გასწია მეფის მოადგილესთან საჩივლელად. იმდენი ახერხა მან, რომ ბორჯომში მყოფ ვორონცოვს ჩაუვარდა ფეხებში და მოუყვა თავის გამწარებას. ვორონცოვმა შეიბრალა სიმონა და ბრძანება გამოუგზავნა ქუთაისის

გუბერნატორს სიმონასათვის დაებრუნებინა მისი ქალიშვილები. ქალიშვილები კი დაუბრუნეს, მაგრამ უფროსები ძალიან შემოუწყრნენ..,

შემოთვისებული გვყავდა მამაჩემის შვილობილი ქალიშვილი მართა, ჩვენთან მდგარი მოჯამაგირე გლახუა პაპიძის და; საოცარი ტკბილი, მშვიდობიანი, მოსაქმე ადამიანი. დაძმა უქონებო გლეხები იყვნენ. კარგა ხანს იყო შვილივით მიღებული მართა ჩვენს ოჯახში და როცა ჩვენებმა გაათხოვეს, იგი ხშირად მოდიოდა ხოლმე, როგორც თავის სახლს; ამგვარადვე სიკვდილამდე ჩვენთან კავშირი არ შეუწყვეტია არც ძმას, როცა იგი დაესიძა მეზობელ გლეხს და მოჯამაგირეობას გაანება თავი.

მოჯამაგირეებად გვყავდნენ ჩვენი მეზობლის, ლევანა გიორგაძის შვილები. ექვსი ვაჟი ჰყავდა ამ ლევანას და ყველანი რიგრიგობით ჩვენთან იდგნენ, — სიცოცხლით სავსე ბიჭები, მუყაითი მუშები, ოჯახის ერთგულნი. დრომ გაიარა, ჟამმა, მაგრამ ჩვენი სიყვარულიანი ურთიერთობა დღესაც არ დარღვეულა და მე, მათ ხელში გაზრდილი, დღეს მოხუცი, ისინი ღრმად მოხუცებულები, მაგრამ ჭარმაგები, ისევ თბილი სიყვარულით ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს.

ჩვენს ახლოს მეზობლად ცხოვრობდა „საიქიოს ნამყოფი“ გლეხი — ლევანა სირბილაძე — შესამჩნევი პიროვნება. ღარიბი, ნაკლები მუშა ლევანა, რომ იტყვიან, რიხიანი ყაზახი* იყო; ფაფანაკი თავზე, — ბოხოხს არ იხურავდა, არც ყაბალახს იკეთებდა, — რამდენიმე მედლით მაღალ მკერდზე, გვერდზე სათუთუნე ქისით, გრძელი ჯოხით ხელში, რიხიანი ხმით მოლაპარაკე — არ შეიძლებოდა, რაც დიდი შეყრილობა* ყოფილიყო, ის არ შეგემჩნიათ, მასზე ყურადღება არ მიგექციათ. უყვარდა ლაპარაკი და ლაპარაკობდა, როგორც ნამდვილი ორატორი. მოხერხებული სიტყვის პატრონი იყო. ბევრი ამბავი იცოდა ლევანამ. დიდი ნამყოფი* გლეხი იყო. ხშირად იტყოდა — დიდი ხნის სიცოცხლე მაქვსო, რადგან საიქიო მაქვს მონარებიო*. „საიქიოს ყოფნის“ ამბავი არაერთხელ მომიყოლინებია ლევანასათვის და მისგან ეს ნაამბობი თითქმის სიტყვასიტყვით შეტანილი მაქვს ჩემს მოთხრობა „მსხვერპლში“.

მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა ღარიბ ლევანას, მაგრამ იგი უდარდელად იყო; არაფერ საზოგადო საქმეს არ აკლდებოდა. ქეიფიც კარგი იცოდა და კარგი მომღერალიც იყო. ვაჟი ერთი ჰყავდა ლევანას; ოსმალეთთან ომის დროს მთავრობამ რომ ქართული დრუჟინები* გამოიწვია, ლევანამ თავისი ერთგულების დასამტკიცებლად, ეს ერთადერთი თავისი ვაჟი ჩხუბში* გაგზავნა. ღარიბ ოჯახს თავი გამოჰქონდა ქალიშვილების, — განსაკუთრებით ორი უფროსის — წყალობით. სიცოცხლით სავსეთ ყველაფერი ემარჯვებოდათ, ხელსაქნარის მცოდნენი იყვნენ, ქსოვდნენ მშვენიერ ნოხებს, შალებს და ამგვარებს; წერა-კითხვაც კარგად იცოდნენ და ლექსის გამოთქმა, რასაც არაერთხელ უსიამოვნებაში გაუბამს ცქრიალა ქალიშვილები. უფროსი და, ეკა, ჩემი გამზრდელი იყო. ახლაც მახსოვს მისგან ოსტატურად ნაამბობი ზღაპრები.

საზოგადოდ მეზობლები ძალიან შემოკრებილი ჰყავდა დედაჩემს, ჩვენი სახლის უკანა ბივანზე ხშირად იცოდნენ მეზობლის ქალებმა თავმოყრა. მოდიოდნენ თავიანთ ხელსაქნარით და საღამომდი იყვნენ ხელსაქნარში და მუსაიფში გაბმულნი. ზაფხულობით კვირა-უქმე დღეს თითქმის ყველა მეზობელი გლეხი ჩვენს ეზოში იყო თავშეყრილი; დასხდებოდნენ ან ნიგვზის ჩრდილში, ან კვინცხის* ქვეშ და იყვნენ ერთ სიცილში, ოხუნჯობაში და ხან საქმიან ლაპარაკში. შობა-ახალწელიწადს* ზალა სავსე იყო ხალხით, მეზობელ სტუმრებით. განსაკუთრებით მრავლად იყრიდნენ თავს ნათლიღებას, — დედას ჰყავდა დიდძალი ნათლულები და ნათლიმამები. მრავლად მოდიოდნენ ძღვენით. რასაკვირველია, დედაც

უხვდებოდა მათ შესაფერისად; მათთვის იშლებოდა უხვი სუფრა; იყო ხოლმე ტკბილი მოლხენა მთელი დღის განმავლობაში. ზამთრობით ზალის ბუხრის ცეცხლის პირას მრავლად ისხდნენ და შეექცეოდნენ ჩაის, ეკლესიაზე წასვლამდი. ნაჩაიებს ამათი თანხლებით დედაჩემი და მე მივდიოდით ეკლესიაზე. თავისი კეთილი გულის გამო, ადამიანის მოსიყვარულე გულის პატრონმა დედამ, ახლო მეზობლების გარდა, სხვაც ბევრი მოკეთე, მოსიყვარულე და პატივისმცემელი მოუპოვა ჩვენს ოჯახს. მამაც, რომელიც სამსახურში იყო ქუთაისში, გულითადი მომხრე იყო, როცა ვინმე სოფლიდან საქმეზე მიმართავდა მას. ამან შეაყვარა ჩემი თავი ჩვენს მეზობლებს და ტკბილ სიყვარულობაში გამატარებინა ჩემი ბავშვობა. მე რომ ეზოდან ფეხს გადავდგამდი — სახლში პირდაპირ დატვირთული მოვდიოდი ხოლმე, მე და ჩვენსა გოგოდ* მდგომი ელისაბედი: — არ იქნებოდა, რომ ჩემს დამნახველს ან ქოჩორა ვარიკა არ ეჩუქნა, ან ვაშლი, ბია, ჩურჩხელა, ტკბილიკვერი და ამგვარები; ამ სიყვარულიანობის წყალობით ჩემი გულიც ადამიანის სიყვარულს ეჩვეოდა და სწავლობდა.

თავი მეორე

პირველი სწავლა დედაჩემმა დამაწყებინა. შემდეგ, რაკი საჭირო იყო რუსული ენის ცოდნა, მამაჩემმა მიმიყვანა ერთ რუსის ოჯახში რუსულის სასწავლებლად. ცოლ-ქმარი იყო და ჰყავდათ ჩემი ტოლი პატარა ქალიშვილი; კაცი „ლეკარი" იყო, ექიმი; ცოლი გარუსებული ლეკის ქალი. ამის მამობილს, პოლკის კომანდირს*, ლეკებთან ჩხუბის დროს აყრილ სოფელში ენახა ბავშვი. წამოეყვანა, ეშვილა და თავის ოჯახში გაეზარდა; შემდეგ მიეთხოვებინა ამ მკურნალისათვის, იაკობ ივანიჩ ივანოვისათვის.

კარგად მიმიღო ორივემ, დიდად მომეფერნენ, მაგრამ მე მაინც ჩემი ვქენი — მეორე დღეს დილით ადრე გაპარვას დავადექი და კარს კიდევაც გადავაბიჯე ფეხი, მაგრამ კიბეზე მტაცეს ხელი და დამაბრუნეს მტირალი.

ვერავითარმა მოფერებამ ვერა გაწყო-რა ჩემთან; ქალმა ქართული იცოდა და ქართულადაც მესიყვარულებოდა, მე

მაინც მწარედ მოვთქვამდი; მოვიდა მამაჩემიც, მაგრამ ვერც ამან დამაწყნარა. გამაბრუნეს სოფელში რამდენიმე ხნით. შემდეგ ჩამოსვლაზე დედაც გამომყვა და, როგორც იქნა, დამამაგრეს ამ ახალ ოჯახში. ორივე ცოლ-ქმარი დიდი სიყვარულით მეპყრობოდნენ და სულ მოკლე ხანში მიმიჩვიეს. ოჯახის უფროსი ხალისიანი კაცი იყო; მუდამ გვათამაშებდა ბავშვებს და ისე შემიტყუეს, რომ ჩემი საკუთარი ოჯახი თითქმის დამავიწყეებინეს. დიდი ამაგი დამდვეს ამ ივანოვმა და მ. სმა ცოლმა, ვარვარა ნაუმოვნამ — მათ სულ მოკლე ხანში შემასწავლეს ენაც, წერა და კითხვაც. დამაჯენდა ხოლმე იაკობ ივანიჩი საკითხავად და გვერდით მომჯდარი ხან მეხუმრებოდა, ხან მაცინებდა და მაყვარებდა სწავლას. ამის გამო არასოდეს სწავლაზე დაჯდომა არ შემზარებია — ის კი არა — მეხალისებოდა კიდეც.

იმ ბინაზე, სადაც მამაჩემი იდგა, და სადაც მე ხანდახან მივდიოდი და ვრჩებოდი ხოლმე რამდენიმე დღე, ვხვდებოდი გიმნაზიის მოსწავლე ყმაწვილს, გვარად ჩიქოვანს. ლეჩხუმელი იყო. ამ ყმაწვილმა მშვენიერი ქართული კითხვა იცოდა და მახსოვს, ერთხელ ძლიერ დამაინტერესა წანაკითხით — ეს იყო ილია ჭავჭავაძის პოემა „კაკო". ამან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ როგორც კი შევხვდებოდი ამ ყმაწვილს, არ მოვეშვებოდი, სანამ ან ისევ კაკოს ამბავს, ან სხვა რამეს არ წავაკითხებდი. გულდასაწყვეტად ის მქონდა, რომ საინტერესო ადგილას წყდებოდა კაკოს ამბავი და მისი გაგრძელება არ იყო.

როცა ერთრიგად მოვმაგრდი სწავლაში, მამაჩემმა მიმაბარა მრევლოვის მოსამზადებელ სასწავლებელში. აქ ამზადებდნენ ბავშვებს გიმნაზიაში შესასვლელად. სასწავლებელი იყო ორგანყოფილებიანი. თვით სასწავლებლის გამგე, ანდრეი ივანიჩ მრევლოვი, მშვენიერი, ტკბილი, ბავშვების მოსიკეთე ადამიანი იყო. ჩვენც ძლიერ გვიყვარდა იგი. მასწავლებლებში თავზარს გვცემდა სამღვთო სჯულის* მასწავლებელი მღვდელი გვარად ზებედოვი. ვაი შემშლელ მოწაფეს, — მღვდელი აყვირდებოდა, მოერეოდა ბრაზი და უმოწყალოდ უთხლაშუნებდა სახაზავს გამოწვდილ ხელისგულზე აბნეულ ბავშვს. ხანდახან, ბრაზმორეულს, მარცხენა

ხელით ეკავა მარჯვენა ხელის განიერი სახელო და ამ მარ-
ჯვენა ხელით, განურჩევლად, ყურის ძირებს დაუსიებდა
ცემით ხოლმე წინა პარტაზე მჯდომ მოწაფეებს. მცოდნეს,
არამცოდნეს ერთნაირად ხვდებოდა — ბრაზმორეულმა გარ-
ჩევა არ იცოდა. ჩემდა ბედად მე მოშორებით ვიჯექი და
მოძღვრის სახაზავი და არც მისი მძლავრი მარჯვენა არ გან-
მიცდია.

ერთ დღეს მამამ გამომიცხადა, რომ რუსეთში წასასვლე-
ლად გამოცდაზე უნდა წაგყოლოდი. ყოველ წლობით მთავ-
რობას მიჰყავდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიებიდან
თავად-აზნაურთა ორმოც-ორმოცი ბავშვი სამხედრო სას-
წავლებლებში, კორპუსებში. მიჰყავდა ისინი იმ მიზნით, რომ
გაერუსებინათ და კიდევაც მიზანს აღწევდა ხოლმე, რადგან
რუსეთში, სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვი, ივიწყებდა ქარ-
თულ ენას, ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვარით, მაგრამ
ერთიანად, თავიდან ფეხებამდე გარუსებული. თავადაზნაუ-
რობა დიდი ხალისით აძლევდა ბავშვებს მთავრობას, რად-
გან ის ზრდიდა თავის ხარჯზე და მშობლებს ანთავისუფლებდა
ყოველი ხარჯისაგან შვილის აღსაზრდელად.

მე კარგად ვიყავი მომზადებული და გამოცდაც კარგად
დავიჭირე. ამასთანავე მამაჩემს ძლიერ ეხმარებოდა მაზრის
უფროსი,* რომელს მეტად უყვარდა მშრომელი, დაუღალა-
ვი, ცოცხალი მოხელე; ეხმარებოდა, რომ მოვხვედრილიყავი
რუსეთში გასაგზავნ ბავშვებში. მიზანს კიდევაც მიაღწიეს
და ცხრა წლის ბავშვი, 1872 წლის კვირიკობისთვეში* კი-
დეც გაგვამგზავრეს. თბილისიდან ჩამოყვანილ ბავშვებს
მიგვამატეს ქუთაისლები და ორმოცდაორი ბავშვი ჩაგვაბა-
რეს წასაყვანად ვიღაც შეხნიერებულ მაიორს. ჩაგვიყვანეს
ფოთში, რომ ზღვით წავეყვანეთ რუსეთში. მე მამაჩემი
არ მომშორებია, თან მიმყვებოდა და მპირდებოდა სოხუ-
მამდი მიგყვებიო. ეძნელებოდა ერთადერთი ვაჟიშვილის მო-
ცილება. მაგრამ დასძლია თავს და ფოთში ჩამომშორდა
ჩემთვის გაუგებრად. ჩვენი პარტია იმ წელიწადს იყო და-
ნიშნული კიევის სამხედრო გიმნაზიისათვის. კორპუსი, ძვე-
ლი, სალდათური კორპუსი, ის იყო მოშალეს, გადააკეთეს
სხვანაირად, დაარქვეს სამხედრო გიმნაზია: ჩამოაცილეს ყო-

ველი მხედრული,* გარდა ტანისამოსის ფორმისა; სწავლა იყო რეალურ სასწავლებლის პროგრამის, შვიდკლასიანი, ახალი ენებით, ნაცვლად ლათინურისა და ბერძნულისა. აღმზრდელები უმეტეს ნაწილად „შტაცკები“* იყვნენ, უმაღლეს სწავლა-მიღებულნი. მასწავლებელთა შორის იყვნენ კიევის უნივერსიტეტის პროფესორებიც. ეს იყო ცნობილი, ეგრეთ წოდებული „მილიუტინის სამხედრო გიმნაზია“.

როცა ჩვენ მიგვიყვანეს, დირექტორად იყო ახალგაზრდა კაცი, ოცდათორმეტი წლის, გვარდიის არტილერიის პოლკოვნიკი, აკადემიადამთავრებული, გვარად იუშენოვი.

მაიორმა მიგვიყვანა გიმნაზიაში. აქ დანიშნული იყო ხელახალი გამოცდა. უზარმაზარ დარბაზში დაგვაყენეს და საწერი მოგვცეს. ორმოცდაორი ბავშვიდან დაგვტოვეს ოცდახუთი; სხვები გადააგზავნეს პროგიმნაზიებში.* დარჩენილები გაგვანაწილეს განყოფილებებში და აღმზრდელებს ჩაგვაბარეს. მე შემხვდა აღმზრდელად ვინმე მიხაილ სტეპანიჩ ესიკორსკი. ეს კაცი ნამდვილი მამა აღმოჩნდა მისადმი მიბარებულ ბავშვებისათვის, განსაკუთრებით ჩვენთვის, ქართველებისათვის. არ ვიცი, თუ იმაზე მეტი სიყვარულობა და გულითადი მოპყრობა შეიძლება, ის რომ გვეპყრობოდა და გვექცეოდა. ვეცოდებოდით შორიდან მოყვანილი ბავშვები და რომ არ მოგვეწყინა, ყოველდღე ნასადილევს ორ-ორი მივყავდით თავის ოჯახში და საღამომდი ვყავდით გართობილი. ცოლ-ქმარი იყო, შვილი არ ჰყოლიათ და შვილებად ჩვენ ვყავდით. გულისფანცქალით ველოდებოდით, როცა მოვიდოდა წაყვანის რიგი და ტკბილ მოფერება-სიყვარულში გასატარებელი დღე. მისი სიტყვა-დარიგება ჩვენთვის უძლიერესი კანონი იყო. ამას ბრღვევდა მხოლოდ ორი ბავშვი, ბეგთაბეგოვი და მიტკევიჩი — დაუწყნარებელი, გადარეული ცელქები. მოთმინებიდან გამოსულმა აღმზრდელმა გამოგვიცხადა, რომ განყოფილებას ვტოვებო და სხვაგან გადავდივარო. აღარ მოგვეკარა. ჩვენ ერთი დღე კი მოვითმინეთ, მეორე დღეს შეიქმნა ერთი ტირილ-ყივილი; აღარავინ გაკვეთილებს არ ამზადებდა; განყოფილება სრულიად აირია და ვერასგზით ვერ დააწყნარეს, სანამ მესამე დღეს არ მოიყვანეს ესიკორსკი. გახარებული ბავშვები შემოვეხ-

ვიეთ გარშემო, კოცნით კინაღამ მოვკალით და ცელქებს დავემუქრეთ, თუ რომ არ დაწყნარდებით, ცემა-ტყეპით დაგაწყნარებთ-თქო.

სხვანაირად გვექცეოდა მეორე აღმზრდელი კურბატოვი. ამან ამოგვიჯინა და ყოველ დანახვაზე გვეძახოდა ტატარჩუკებს.* თავდაპირველში გვეოცა ეს, მერე კი გვეწყინა. კურბატოვი თავისას არ იშლიდა და ძალზე გვაბრაზებდა ამ შემოძახილით; ვიღაცამ თქვა, რომ ჩვენ რუსებზე უწინ გვაქვს მიღებული ქრისტიანობა — ტატარჩუკები საიდან ვიქნებითო. დავიწყეთ ამის გამოძიება. დავეკითხეთ უფროს კლასებში მყოფ ქართველებს — ამათ ამის შესახებ პასუხი ვერ მოგვცეს; ბავშვები არ დაწყნარდნენ და ერთ დღეს მაინც გავიგეთ, რომ ჩვენ, ქართველებს, გაცილებით ადრე მიგვიღია ქრისტიანობა რუსებზე. და რადგან კურბატოვი თავისას არ იშლიდა, ავდექით და მივედით ჩვენს აღმზრდელებთან და ვუჩივლეთ კურბატოვს. კურბატოვი მოგვაშორეს, მაგრამ ჩვენი მწუხარება სხვა რამ იყო. ეს იყო — ჩვენ ვატყობდით ჩვენს თავს, თუ როგორ გვავიწყდებოდა მშობლიური ენა, გვიძნელდებოდა ქართული ლაპარაკი. ამით შეწუხებულნი, ამის ასაცილებლად მოვიყრიდით ხოლმე თავს ერთად და ხან ზღაპრების მოყოლით, ხან წაკითხვით ვვარჯიშობდით, მაგრამ დროს თავისი მიჰქონდა და ჩვენ უფრო და უფრო გვიძნელდებოდა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. წლის ბოლოს თითქმის გადავეჩვიეთ ქართულ ლაპარაკს. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მეორე წელიწადს თითქმის გაგვანახევრეს — რადგან ბევრი გადაიყვანეს პროგიმნაზიაში — ისინი, რომელთაც უჭირდათ სწავლა და რუსული კარგად არ ეხერხებოდათ. რამდენიმე ავად გახდა და გარდაიცვალა. მე ორი წლის განმავლობაში ძლიერ სუსტად ვიყავი, მაგრამ ილბლად გადავრჩი სიკვდილს.

სამი წელიწადი ვიყავი ისე, რომ მშობლები არ მინახავს. სამი წლის შემდეგ გაზაფხულზე მომივიდა ფული და ეგზამენების შემდეგ, არდადეგებზე გამოვსწიე სახლისაკენ. ქართული უკვე დავიწყებული მქონდა. ორი კვირა ქუთაისში დავრჩი და რადგან დედაჩემმა რუსული არ იცოდა და მე ქართული — ამიტომ წავიყვანე თარჯიმნად ჩემი თანატოლი ბიძაშვილი და წავედი სოფელში დედასთან.

საღაძო იყო, ჩვეი რომ მივედით. მთლად ეზო და ბალკონი სავსე იყო თავშეყრილი მეზობლებით. სიხარულის ტირილით შემხვდა დედა, რომელიც მეტად დაავადმყოფებულიყო ჯავრისაგან ამ სამი წლის განმავლობაში. სათითაოდ გულში მიხუტებდნენ ქალები და დედაჩემი მახსენებდა: ეს ბებია მელანიაა, შენ გენაცვალე, ეს მარია, ეს ელენე, ეს მაია, ეს დაჯია და ასე. ყველა თვალცრემლიანი, სიყვარულით მეხვეოდა და მეალერსებოდა. დიდი გასაჭირი ადგა საწყალ ჩემს ბიძაშვილს: მრავლად თავშეყრილი ქაცები იძლეოდნენ ათას კითხვას და ყველასათვის პასუხი იყო საჭირო. ერთმა იოხუნჯა, რომ ბავშვს დასამუნჯებლად ბარემ აქვე დავამწყვდევდი ოთახში, რაღა რუსეთში აგზავნიდით, თქვე დალოცვილებო.

ამ ზაფხულში გვარიანად გავიხსენე ენა და როცა გავბრუნდი გიმნაზიაში, თან წავიღე პატარ-პატარა წიგნები. შემდეგ ყოველ წლობით საზაფხულო არდადეგებზე ვბრუნდებოდი სახლში, თანდათან უფრო ვახერხებდი ქართულ ლაპარაკს და ისე აღარ დამვიწყნია, როგორც ზოგიერთ ჩემს ამხანაგს, რომელთა მშობლებს, რაღაც მიზეზის გამო, არ მიჰყავდათ შვი-

ლები გიმნაზიიდან. ამათ მშობლიური არა ახსოვდათ რა.

მეხუთე კლასში ვიყავი, მახსოვს, იმდროის მასწავლებელმა, გვარად ბერენშლაბმა, მკითხა: მეინტერესება თუ არა ქართული ისტორია და შემპირდა ამის შესახებ წიგნს, რომელიც მისი ფიქრით მის წიგნებს შორის უნდა ჰქონებოდა. ამასთანავე უცაბედად წავაწყდი იმდროინდელ ენციკლოპედიურ სიტყვარში, ტოლის სიტყვარი იყო, ცნობებს საქართველოს შესახებ. სიტყვარი შემდეგ ხელიდან არ გამიგდია, — რაც რამ იყო საქართველოს შესახებ, ცალკე რვეულში ამოვწერე და ამრიგად შევადგინე, ჩემთვის მოულოდნელად, საქართველოს მოკლე ისტორია. ეს ისტორია ერთ-ორ ამხანაგს ვაჩვენე, მაგრამ მაინცდამაინც ვერ დავაინტერესე და გულგრილად შემხვდნენ; მე კი აღმეძრა სურვილი უფრო მეტი რამ გამეგო ჩემი ქვეყნის შესახებ.

ერთ დრომდის ამის დამაკმაყოფილებელი არავინ აღმოჩნდა. შემდეგ კი ბედმა გამიღიმა. ამ ხანებში კიევის უნივერსიტეტში სწავლობდა მხოლოდ ორი ქართველი სტუდენტი — ერთი საექიმო ფაკულტეტზე ხონელი პოლიკარპე ჩხიკვიშვილი, მეორე — ფარმაცევტი კოწია ლორთქიფანიძე. ამისათვის ეთხოვათ, ვენახე გიმნაზიაში. ლორთქიფანიძემ მეც მნახა და კიევის სასულიერო აკადემიაში მოსწავლე სტუდენტებს: ნიკო ლომაურს,* მიხეილ ილურიძეს და ივანე გაფრინდაშვილსაც (პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის მამა) აცნობა სამხედრო გიმნაზიაში ჩემი ყოფნა. ერთ დღეს სამივე მოვიდა გიმნაზიაში ჩემ სანახავად. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ამათ გაცნობის გამო. განსხვავებულად მომესიყვარულნენ, გამომკითხეს მდგომარეობის ამბავი და წასვლისას დამპირდნენ, შემდეგ კვირისათვის აკადემიაში წაყვანას. დაპირება შეასრულეს და შემდეგ უკან გიმნაზიაში მომიყვანეს ისევ სამთავემ. ტკბილმა, ალერსიანმა ლაპარაკის კილომ, ლომაურის დამახასიათებელი თვისება რომ იყო, პირდაპირ მომხიბლა და შემაყვარა უზომოდ ეს ადამიანი. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე გატაცებით მოლაპარაკე ილურიძემ. მომიყვანეს გიმნაზიაში და თან წამომიღეს საკითხავად კვირეული გაზეთ „ივერიის“ მთელი წლის ნომრები, რომელ-

შიაც იყო დაბეჭდილი ილიას „დიმიტრი თავდადებული“. ლომაურმა ამიხსნა ეს პოემა, მომიყვა დიმიტრის ისტორია და გახელებული სიხარულით დამტოვეს. იმ ღამეს არ დამძინებია; თავქვეშ მედვა გაზეთის ნომრები და ხვალისათვის წასაკითხი „დიმიტრი თავდადებული“. მეძნელებოდა კითხვა, მაგრამ ჩემს თავს ძალას ვატანდი და ისე ვერეოდი საკითხავს. მშველოდა და მიადვილებდა საქმეს ის, რომ ჩემი კეთილისმყოფელნი მუდამ კვირას ჩემთან იყვნენ და მიხსნიდნენ წაკითხულს, ხშირად მეც დავდიოდი აკადემიაში და აქ თავის ოთახში ლომაური გვიკითხავდა თავის ახლად დაწერილ ლექსებს; ერთხელ, მახსოვს, თავისი ტკბილი ხმით წაგვიკითხა მოთხრობა „ალი“, რამაც აუწერელი სიხარული გამოიწვია ჩვენში. ლომაურს არა თუ მისი ორი ამხანაგი ესიყვარულებოდა და პატივს სცემდა, არამედ დიდ პატივს სცემდნენ აკადემიის რუსი სტუდენტებიც.

შემდეგ წელიწადს ქართველ სტუდენტთა რიცხვმა იმატა აკადემიაში. მოვიდნენ გიორგი საძაგლიშვილი (შემდეგ კათალიკოსი კირიონი) და დავით ალადაშვილი (შემდეგ ეპისკოპოსი გიორგი). იმ ოთახში, სადაც საძაგლიშვილი იმყოფებოდა, მუდამ ყვირილი და ჩხუბი იყო. თურმე სტუდენტებს საძაგლიშვილი ედავებოდა ქართული კულტურის შესახებ — მაღლა აყენებდა მას; რუს სტუდენტებს კი ეს არ სჯეროდათ და უარსყოფდნენ. 1879-ში აკადემია დაასრულეს. ლომაურმა, გაფრინდაშვილმა და ილურიძემ; ასე რომ, კიევის უმაღლეს სასწავლებლებში იმ დროს იყო მხოლოდ ოთხი ქართველი სტუდენტი. 1880-ში მეც დავამთავრე სწავლა გიმნაზიაში და გადავედი მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში.

კარგ დროს მოვხვდი ჩემდა ილბლად კიევის გიმნაზიაში; ყველაფერი ლიბერალურ გეგმაზე იყო მომართული; სამხედრო მინისტრმა მილიუტინმა სულ გადაასხვაფერა წინანდელი კორპუსები, სწავლა მაღლა დააყენა და კაზარმობა გამოდენა. ჩვენი გიმნაზია განსაკუთრებით კარგად იყო დაყენებული. ახალგაზრდა დირექტორი უცოლშვილო, დიდად განათლებული პიროვნება, მთელ თავის ძალ-ღონეს იმას ახმარდა, რომ მინდობილი სასწავლებელი კარგად დაეყენებინა, კარგი მასწავლებლები შეერჩია გიმნაზიისათვის; და ეს კიდეც მოა-

ხერხა. ჩვენ მასწავლებლები კიევის საუკეთესო პედაგოგები, მოწინავე ჯგუფისა, ბევრი მათგანი პროფესორებიც იყვნენ უნივერსიტეტიდან, — მათი მოწვევაც კი მოახერხა გიმნაზიის გამგემ. ჩვენ ვიცოდით, რომ ესენი მოწინავე პარტიის წევრები იყვნენ, ვიცოდით, რომ ყოველი ახალი მასწავლებელი ამათი მიმართულებისა იყო, რადგან თუ პედაგოგიური საბჭოს თანხმობა არ იქნებოდა, ისე არავის მიიღებდნენ მასწავლებლად ან აღმზრდელად. ამიტომ მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის დიდი ნდობა და კეთილი განწყობილება სუფევდა. ბავშვებს გვასწავლიდნენ: მუსიკას, დურგლობას, წიგნის აკინძვას, ყდის კეთებას, ხარატობას, ჩუქურთმას. ყოველ კლასს ჰქონდა თავისი სიმებიანი ორკესტრი — და ვუკრავდით სხვადასხვა ოპერებიდან. მასწავლებლად იყვნენ ორი პოლონელი მუსიკოსი, მამა და შვილი. ბევრი მშვენიერი დამკვრელები ჩნდებოდა მოსწავლეთა შორის. მოქცევა-მოპყრობა ნამდვილი კეთილშობილური იყო. არავითარ შეურაცხყოფას მოსწავლისას ადგილი არ ჰქონია; ყველაფერი მიმართული იყო იმისკენ, რომ ბავშვს მიეღო ნამდვილი განვითარება. ამ გიმნაზიებმა დიდხანს ვერ გასტანეს. ალექსანდრე მესამის მეფობის მესამე წელიწადსვე ისევ გადააკეთეს ძველებურ ყაიდაზე, კორპუსებად; შემოიღეს სამხედრო წყობილება, არამხედრობაში მოსამსახურეს ადგილი არ ჰქონდა, ბავშვები იყვნენ ეფრეიტორები*, უნტერ-ოფიცრები*, ფელდფებელები და ამგვარები. თხუთმეტი წელიწადი არსებობდა „მილიუტინის სამხედრო გიმნაზიები“, მაგრამ თავისი კვალი ძლიერ დააჩინა რუსეთის სამხედრო ოფიცერთა შემადგენლობას. რაც მოწინავე და ლიბერალური შეხედულების ოფიცრობა იყო—ეს ამ გიმნაზიებიდან გამოსულნი იყვნენ.

ამ ორმოცდაორ ბავშვში, ერთად რომ წაგვიყვანეს, გიმნაზია მხოლოდ ექვსმა დავამთავრეთ. სამმა სრულიად ქართული აღარ იცოდა, ერთი ძლივს ახერხებდა და ლაპარაკი, რომ იტყვიან ჩიქორთული, ორს შეგვეძლო. სწავლის გასაგრძელებლად მე მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი ვირჩიე, რადგან პეტერბურგის ჰავის მეშინოდა. სამხედრო სასწავლებელში პირველი ხარისხით გიმნაზია დამთავრებულები ვიგზავნებოდით სახელმწიფო ხარჯით.

1880 წლის მარიამობისთვის დამლევს ჩვენ უკვე მოსკოვში ვიყავით. ახლა კი იწყება სამხედრო სწავლა და სამსახურიც. მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი შედარებით კარგი იმითაც იყო, რომ აქ შენელებული დისციპლინა და სამხედრო მოთხოვნილება იყო, მაგრამ მისვლის პირველ დღიდანვე ვიგრძენით განსხვავებულობა. და მეტად არ გვეჭაშნიკა, განსაკუთრებით ჩვენ, კიეველებს. სასწავლებლის სათავეში იდგა თავისი სასტიკობით განთქმული გენერალი სამოხვალოვი. ტანდაბალი, მომსხო, თავმაღლა აწეული, მოკუმული ტუჩებით — იგი მეტისმეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა თავის შეხედულებითაც და ამას აუარესებდა რაღაც უცნაურ კილოზე სიტყვების სროლით. ლაპარაკი გაბმული არ იცოდა და არც ეხერხებოდა. ჩვენი, კიეველების, დანახვაზე ნამეტანი გაიბზიკა და ზურგშემოქცევით უსიამოვნოდ ისროდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად შეკითხვის სიტყვებს. თურმე კიევის გიმნაზიაში ნამყოფნი ათვალისწუნებული ჰყავდა, ძალზე ეზარებოდა, როგორც „ლიბერალები“*; უწოდებდა „ოტრიცატელნაია როჟა“-ს* და თავისი სასტიკი მოპყრობით ლამობდა მორჯულებას და მისებურად გამოსწორებას.

მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა სასწავლებელმა პირველ დღიდანვე და გულშეწუხებულმა ავიღე რვეული და გული ვიჯერე მიღებულ შთაბეჭდილებათა აღწერით. გულადუღებულმა ავავსე მოზრდილი რვეული და ვაპირებდი დროგამოშვებით მეწერა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობის ამბავი. მაგრამ ერთ დღეს გამოგვიცხადეს, რომ რაც წიგნები და რვეულები გვაქვს, უნდა გვეჩვენებინა ნების დასართველად გუნდის უფროსისათვის. ავიღე ჩემი რვეული და მივუტანე ჩვენი გუნდის განყოფილების გამგე ოფიცერს; ეს მეტად რიგიანი ახალგაზრდა გვარდიის ოფიცერი კარგად მიყურებდა და თავადაც სანდო ადამიანი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ მან სიცილით მითხრა: — ეს რა გიწერიათ?.. გინდათ, თავი დაიღუპოთ? მე იმ რვეულს თქვენ არ დაგიბრუნებთ არაფრისათვის, დაწყნარდით, დამშვიდდით და ისწავლეთ!..

სასწავლებლის მედიდური უფროსი არავის უყვარდა, სძულდათ კიდეც და თან ყველას ეშინოდა მისი. „ეპიშკა“, როგორც მას უძახოდნენ, ნამდვილი სულთამხუთავი იყო. მი-

სი ღირსება ის იყო, რომ მასწავლებელს მოსწავლისათვის გამოცდაზე ცუდ ნიშანს არ დააწერინებდა და ისიც რატომ? — ჩემი სასწავლებლის მოსწავლემ არ შეიძლება არაფერი იცოდესო.

როცა მოსწავლე კითხვაზე პასუხს ვერ მიუგებდა, ასე იტყოდა: — საჭიროა ისე კითხოთ, რომ მოსწავლემ შეიძლოს პასუხის მიცემაო! ახირებული არსება იყო გადაყინჩული გენერალი. მე გული იმითაც ვიჯერე, რომ სამასხარო ლექსი გამოვუთქვი, რომელსაც ხმა შეურჩია ერთმა ჩვენმა ამხანაგმა და დიდ მოწონებაში იყო. ამ ლექსს მღეროდნენ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. მეორე ამხანაგმა მთელი პიესა დასწერა „ეპიშკაზე“ და თავად თამაშობდა „ეპიშკას“ მოხდენილად. სასწავლებელში დიდი ალიაქოთი იყო ამ პიესის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ვერ იპოვეს; ისე კი სასწავლებელი კარგად იყო დაყენებული; მასწავლებლები თვალსაჩინო გვყავდა. მაგალითად, ისტორიას გვიკითხავდა ცნობილი ისტორიკოსი კლიუჩევსკი, რომლის ლექციაზე აუდიტორიაში უსათუოდ იყო ხოლმე თვით გენერალი, ინსპექტორი და მორიგე ოფიცერი; ეს იმისათვის, რომ კლიუჩევსკის არაფერი წამოცდენოდა მსმენელთა წინაშე; მაგრამ პროფესორი თავისებურად კითხულობდა ლექციას. მათემატიკას გვიკითხავდა ცნობილი პრეევალსკი: რუსულ სიტყვიერებას — გილიაროვ-პლატონოვი; საეკლესიო ისტორიას — ივანოვ-პლატონოვი, ცნობილი ღვთისმეტყველების მაგისტრი.* გილიაროვ-პლატონოვს და „ეპიშკას“ ჩხუბი მოუვიდათ; გენერალი გაჯავრდა იმაზე, რომ გილიაროვი თხზულებების საწერად იძლეოდა ისეთ თემებს, როგორიცაა პუგაჩოვი, სტეპკა რაზინი და ამგვარები. გენერალმა ამაში დაინახა არასასურველი მიმართულება და მოინდომა მისი აღმოფხვრა.

— ჩტო ეტო ვსიო ბუნტოვჩიკი და ბუნტოვშჩიკი! ხოროშიხ ლიუდეი ნეტ რაზვე?! — გულისობდა იგი და გილიაროვი დაითხოვა სასწავლებლიდან[...]

ორი წლის სულთამხუთავი რეჟიმის შემდეგ 1882 წლის აგვისტოს დავათავე სამხედრო სასწავლებელი და გამოვსწიე ნარჩევ ადგილს სამსახურისათვის ბათუმისკენ, რომელიც ამ დროს პორტო-ფრანკო* იყო.

1882 წ. სექტემბრის დამლევს პირველად ჩავედი ბათუმში. იქ იყო ის სამხედრო ნაწილი, რომელიც მე ვირჩიე სამსახურისათვის. ბათუმი მაშინ პორტო-ფრანკო იყო; პატარა ქალაქი, ოთხი ათასი მცხოვრებით[...]

დუნედ მიმავალ ცხოვრებას ასიცოცხლებდნენ ხანდახან ჩამომსვლელი ქართველი არტისტები. ისინი ჩამოდიოდნენ უფრო ზაფხულობით. თეატრი არ იყო მაშინ ბათუმში; წარმოდგენები იმართებოდა სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში მდგარ ერთ პატარა შენობაში, სადაც იყო მოწყობილი სცენა. ასიოდე მაყურებელი თუ დაეტეოდა, მეტი არ იყო დარბაზი. სხვა უკეთესი ბინა წარმოდგენებისათვის არსად მოიძებნებოდა და ამით კმაყოფილდებოდა საზოგადოება. ცოტაოდენი გამოჩენა იმისაგან ჰქონდა დასს, რომ ბინა და შესანახი მუქთი ჰქონდათ, რაშიც ძლიერ ეხმარებოდა ჟურულის ოჯახი და პეტრე ღლონტის ოჯახი.

ამ დასის ერთ-ერთ ჩამოსვლაზე მე გავეცანი ქართველ არტისტებს: მარიამ საფაროვა-აბაშიძისას,* ქეთო ანდრონიკაშვილისას, ვასო აბაშიძეს,* სანდრო ყაზბეგს* და ლადო მესხიშვილს*. ჩემს სიხარულს, ამათი გაცნობის გამო, საზღვარი არ ჰქონდა. ერთხელ სცენაზეც კი გამოვედი მათთან, როცა მოთამაშე დააკლდათ. დადგეს დავ. ერისთავის „სამშობლო“ და მათამაშეს გოგია დიაკვანი. ახლა წარმომიდგენია, რა გოგია ვიქნებოდი ქართულის უხეირო მოლაპარაკე, შიშით შეპყრობილი, სცენაზე გამოუცდელი ყმაწვილი! სანდრო ყაზბეგი თამაშობდა სიმონ ლეონიძეს. მესამე მოქმედებაში გატაცებით რომ მიმართავდა მეტეხის ციხეში თავმოყრილ შეთქმულებს, მე შიშისაგან დაბნეულმა წამოვავლე ხელი ბაირაღს და გავედი სცენაზე და სანდროს მივაჩხირე ბაირაღი. გაოცებულმა სანდრომ სათქმელი არ შეწყვიტა, გამომართვა ბაირაღი, გაიტანა გარეთ, მეც უკან გავყევი დარცხვენილი, რომ ასე უდროო დროს შემოვიჭერი სცენაზე და ასეთი სიბრიყვე ჩავიდინე. ეს იყო და ამის შემდეგ არტისტებთან აღარ გამოვსულვარ სცენაზე არასოდეს — ისე დამარცხვინა ამ შემთხვევამ. წარ-

მოდგენებს ქართველი საზოგადოება დიდი ხალისით ესწრებოდა — რაც გასაკვირი არ იყო, რადგან თამაშობდნენ ისეთი მსახიობები, როგორიც მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე და ლადო მესხიშვილი. მესხიშვილს საოცარი ლამაზი, ტკბილი ხმა ჰქონდა — ბარიტონი — და მის მღერას დიდ აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი. მშვენიერი წკრიალა ხმა ჰქონდა საფაროვა-აბაშიძისასაც და როცა ამათთან ჩამოვიდოდა ხოლმე ნატო გაბუნიაც, მაშინ ესენი თამაშის გარდა საზოგადოებას ხიბლავდნენ თავიანთი სიმღერებით. ძლიერ იზიდავდა საზოგადოებას აგრეთვე ქეთო ანდრონიკაშვილის ლეკური; ლეკურს ანდრონიკაშვილისა განსხვავებული მოხდენილობით თამაშობდა, ხანჯლებით ლეკურის პირდაპირ გიჟური მოთამაშე იყო სანდრო ყაზბეგი. სცენაზე ნიჭიერი — მწყობრი თამაშით, საუცხოო ცეკვით, სიმღერით ქართველი მსახიობები იზიდავდნენ ქართველ საზოგადოებას თეატრში და ხიბლავდნენ მაყურებელთ, რომელთა რიცხვი თანდათან მატულობდა[...]

როგორც ზემოთ ვთქვი, დასის ერთ-ერთი ჩამოსვლისას გავიცანით მსახიობად მყოფი სანდრო ყაზბეგი. მაღალი, გამხდარი, ბეჭებში ცოტათი მოხრილი, მოკლე ჩოხით, იგი ვერაფერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი გარეგნობით; ამასთანავე თვალშიც კარგად ვერ იხედებოდა — ეს ერთ დროს თურმე შნოიანი, ლამაზი, კოხტა ყმაწვილი, ამ ხანებში სულ გამოცვლილიყო. არ დაიჯერებდით მისი მნახველი, რომ ეს იყო „ელგუჯას“ და „მამის მკვლელის“ ავტორი. ლაპარაკიც კი შნოიანი არ იცოდა და სიტყვის წარმოთქმა სრულიად არ ეხერხებოდა. მახსოვს, ერთხელ ექიმ გიგო გაბაშვილის ოჯახში. სუფრაზე საზოგადოებაში სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ ისეთნაირად, რომ მისმა მოსიყვარულე ექიმმა უთხრა:

— სანდრო, თუ გიყვარდე, შენებურად ჩუმად წერე და ხმამაღლა ლაპარაკს თავი დაანებე!

ალბათ, ამ გარემოებამ, რომ გარეგნული შეხედულება არ შეეფერებოდა მის მომხიბლავ ნაწერებს, იპოვა დამჯერნი, რომ სანდრო არ იყო ავტორი, დამწერი იმ ნაწარმოებთა, რომელთ დაამშვენეს ქართული ლიტერატურა. ბევრი სიმწარე უნახავს სანდროს, ბევრთაგან დიდი მწუხარება შეხვედ-

რია, ბევრს ცხარე ცრემლით უტირებია, და სიკვდილის შემდეგ ისიც კი დააბრალეს, რომ სხვისი ნაშრომი თავისი სახელით გამოაქვეყნაო. სანდროს ახლო მცნობისათვის სრულიად მიუღებელია ის აზრი, რომ მას არ შეეძლო ისეთი საუცხოო მოთხრობების დაწერა, როგორიც არის: „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“ და სხვ. პირიქით, სანდროს ახლო მცნობი იუცხოვებს ამ აზრს, რადგან, როცა მაღალი ცეცხლით აინთებოდა სანდრო, იგი უცნაური სანახავიც იყო და გატაცებული, აღელვებული მოლაპარაკე და ამ დროს მისი მნახველი და მსმენელი ჩახვდებოდა მის დიდ ნიჭსა და ტალანტს. განსხვავებული ბუნების კაცი იყო და წერაც განსხვავებული იცოდა. მოვიყვან მის „ელგუჯას“ დაწერის ამბავს, რაც თვით სანდროსაგან გამიგონია და რაც ამას წინათ დაადასტურა ასოთამწყობმა მოხუცმა რუსიშვილმა. „ელგუჯა“ თავდაპირველად თავდებოდა ახლანდელი პირველი თავის ბოლოში, ელგუჯას სიკვდილით. სტამბაში ასოთამწყობებმა განაცხადეს, რომ ფელეტონს არ ამოვაწყობთ, თუ გმირი ვაჟკაცის ელგუჯას ამბავი არ განაგრძო სანდრომო; ამისთანა ვაჟკაცს ასე ადრე არ მოვაკვლევინებთო. გაუგზავნეს რედაქციაში სანდროს მეტრანპაჟი* დიომიდე კილაძე და ორი ასოთამწყობი; სთხოვეს, რომ ელგუჯა არ მოეკლა და მისი ამბავი გაეგრძელებინა.

„ელგუჯას ასე ადრე ვერ მოგაკვლევინებთო! მითხრეს, — გადმომცა სანდრომ. — თან მეტისმეტად მიამა ასეთი მომართვაო, — თქვა სანდრომ, — თან კი გასაჭირში მაგდებდაო. ცოტა ყოყმანის შემდეგ, რაკი არ მეშვებოდნენ, იქვე გადავაკეთე ფელეტონის ბოლო და ქვეშ მოვაწერე „გაგრძელება იქნება“. მძიმედ დაჭრილი ელგუჯა წაიყვანეს მოსარჩენად ვითომც გადალმა სოფელში. რამდენიმე დღის შემდეგ მოთხრობის გაგრძელებაც მზად მქონდა და პატარა მოთხრობის მაგიერ დიომიდე კილაძემ და სტამბის ასოთამწყობებმა დამაწერინეს დიდი მოთხრობა“. — სიამოვნებით, სიცილით მითხრა სანდრომ. და ეს მისი სიცილი, მისი შეხედულება მშვენიერი რამ იყო ამ დროს. მე ჩემი თვალით მინახავს, როგორ წერდა იგი თავის დრამას „ქეთევან დედოფალს“, როცა ბათუმის სასტუმრო „ევროპის“ ნომერ-

ში ცხოვრობდა. ბევრი უსამართლოდ ექცეოდა სანდროს და ხანდახან ცხარე ცრემლითაც ატირებდნენ მას. ერთხელ „დროებაში“ საოცარი ენით გალანძღა იგი, მიწასთან გაასწორა, რომ იტყვიან, როგორც პიროვნება, როგორც მწერალი, ილია ხონელმა.* ძლივს დავაწყნარეთ საწყალი სანდრო, როცა ტირილი აუვარდა ფელეტონის წაკითხვის შემდეგ.

— ალბათ ვანო მაჩაბელი* არ არის თბილისში, — ის არ მისცემდა ნებას ამრიგად გაველანძღე ხონელს. დღეს მლანძღავენ, მიწასთან მასწორებენ ზოგიერთნი, მაგრამ მე მწამს, რომ მოვა დრო, როცა ჩემს სახელს სხვანაირად ახსენებენ! — თქვა სანდრომ.

ეს იყო მისი ღრმა რწმენა და მით ნუგეშობდა იგი.

აღტაცებულმა მისი მოთხრობის „განკიცხული“-ს წაკითხვით, მე მივწერე წერილი* და სანდროსაგან მივიღე მაგიერი*, რომელშიც იგი მწერდა: ნეტავი შენისთანა თანამგრძნობი შემატებულად მყავდესო, ბევრი ისე მექცევა, თითქო არც კი ღირდეს ჩემი ნაწერის წაკითხვაო. რასაკვირველია, თბილისში ისეთებიც ჰყავდა სანდროს, რომლებიც დიდად აფასებდნენ და ხელს უწყობდნენ მას ღატაკ ცხოვრებაში. დიდად ემადლიერებოდა ვანო მაჩაბელს, დიდი სიყვარულით იხსენიებდა ილია ჭავჭავაძეს.* ვანო მაჩაბელს დიდი ლაპარაკი მოუვიდა ხონელთან სანდროს გაზეთში გალანძღვისათვის, რის შემდეგ ხონელმა მიატოვა რედაქცია და შესწყვიტა გაზეთში მუშაობა. ილია ჭავჭავაძემ ხელის მოსამართავად სანდროს მისცა „ივერიაში“ დაბეჭდილი „განკიცხულის“ ამონაბეჭდი; ამგვარადვე მისცა რამდენიმე ასი ამონაბეჭდი „მოძღვარი“-სა. ეს მოთხრობა უცნაურად უყვარდა სანდროს და განსხვავებული აღელვებით ალაპარაკებდა ხოლმე, როცა მოთხრობის შესახებ სიტყვა ჩამოვარდებოდა. საყვარელმა ნაწარმოებმა დიდი მწუხარებაც გამოარონია სანდროს. ამონაბეჭდზე ილიამ ფასად მანეთი დააწერა.

— გერგებაო! — ეთქვა მას სანდროსათვის.

იონა მეუნარგიამ* გაზეთში მოათავსა მოთხრობის გარჩევა; წერდა, რომ ნაწარმოები სუსტიაო და უკიჟინებდა ავტორს, რომ ასეთი დიდი ფასი დაადო ასეთ სუსტ ნაწარმოებსო; და ვგონებ, ნათქვამიც ჰქონდა, რომ ეს მწერალს, ალბათ,

სიხარბით მოსვლიაო. კარგად მახსოვს, რა გამწარებული იყო ამ წერილით სანდრო; გულამომჯდარი ტიროდა ამის გახსენებაზე. ამის შესახებ მან მეუნარგიას საუცხოო საპასუხო წერილი მისწერა.

— რა უნდათ ჩემგან?.. რა ვქენი ისეთი ცუდი, რომ ყოველგვარ სისაძაგლეს თავზე მახვევენ? — ამბობდა იგი გამწარებით.

გაგიჟებით უყვარდა სანდროს სცენა, მაგრამ, საუბედუროდ, ძლიერ სუსტი მსახიობი იყო. სამაგიეროდ, ლეკურის გასაოცარი მოთამაშე იყო. უცნაური, ლამაზი რამ იყო მისი თამაში ორი ხანჯლით, მაყურებელს თან ხიბლავდა მისი სიმარდე, თან შიშს ჰგვრიდა.

— სანდრო, თუ კაცი ხარ, თავი გაანებე მაგ ხანჯლებით თამაშს. ფეხებს დაიჭრი ერთ დღეს და ეს იქნება! — ვეუბნებოდით ხოლმე, რაზეც იგი მხოლოდ სიამოვნებით იცინოდა.

მეტად შევიწროებულ ცხოვრებაში იყო საწყალი სანდრო, მაგრამ წერას თავს არ ანებებდა. დაბოლოს, დასნეულებული, იგი მოათავსეს მიხეილის საავადმყოფოში. ამ დროს კიდევ გამოიცა მისი მოთხრობები სამ ტომად. გამოცემული წიგნები მიუტანეს ავადმყოფს, მან გადაშალა, დააჩერდა თავის პორტრეტს, მერე ამოხია იგი, წიგნის ფურცლებიც მიხიმოხია და გადაყარა იქით. მოკვდა სანდრო ისე, რომ გონებაზე არ მოსულა. მისი წიგნები საოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა და აყვარებდა ხალხს მ.ის დამწერს.

თავი მეექვსე

[...] მეტად საჭირო იყო ჩამოსახლებულთათვის სასწავლებლის მიწვდენა მათი შვილებისათვის; სასწავლებელი უფასო, ვინაიდან პატრონები უსაღსრონი იყვნენ უმეტეს წილად. ბათუმში არსებობდა წერა-კითხვის საზოგადოების სკოლა, მაგრამ იგი მეტად ღარიბი იყო და მოუწყობელი, ძლივს ღაფავდა სულს. მას ინახავდა წერა-კითხვის საზოგადოება და ხანდახან ადგილობრივ იმართებოდა სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენა, მაგრამ აქედან ისე ცოტა შემოუდიოდა სასწავლებლებს, რომ ერთ მასწავლებელსაც ძლივძლი-

ვობით ისტუმრებდა. ამის დასაძლევად და სკოლის გასაღონიერებლად ვოლსკიმ* და მესხმა* გადაწყვიტეს ყოველწლიურად თოთხმეტ იანვარს, ნინოობას, სასწავლებლის სასარგებლოდ განსხვავებული საღამოს მართვა. პირველი საღამო არაჩვეულებრივი რამ იყო ბათუმისათვის. თითქმის სამი თვე დასჭირდა მის მოწყობას, მაგრამ შრომას ტყუილა არ ჩაუვლია და საღამომ დიდებულად ჩაიარა. ეეებერთელა საზოგადო საკრებულოს დარბაზი ზღაპრულად იყო მორთული; ელექტრონი, რაც იმ დროში იშვიათი იყო, — უხვად ანათებდა მთელ საკრებულოს; საკონცერტო განყოფილება, რომელიც წინ უძღოდა საღამოს, შესამჩნევად იყო შემდგარი თბილისიდან მოწვეული ძალებით; ცალკე იყო მოწყობილი აზიური დარბაზი, სადაც უკრავდა თარს განთქმული მეთარე აბდულ-ბალი თავისი ამხანაგებით. საღამოზე მოწვეული იყო საყვარელი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელსაც სადგურზე დაუხვდა მთლად ქართველობა და რომელსაც, გამოჩნდა თუ არა ვაგონის კარებში, აუარებელმა ხალხმა აღტაცებით შესძახა მქუხარე ვაშა და დიდის ამბით მიაცილა ეტლამდის. აკაკიმ საღამოზე წაიკითხა თავისი ლექსები და, რაღა თქმა უნდა, დიდად აღაფრთოვანა ხალხით გაჭედილი დარბაზი. ლამაზი, შნოიანი, წარმოსადეგი პოეტი, თავისი ტკბილი ხმით, მომღიმარი სახით, მომხიბლავი შეხედულებით მართლადა საყვარელი იყო და ყველას თავი მოგვაწონა მისით იმ ტაცხოელებთან, რომლებიც მრავლად დაესწრნენ საღამოს.

საღამომ დიდი ფული შემოიტანა — სამი ათასზე მეტი, — და დიდი შთაბეჭდილებაც დასტოვა. თოთხმეტი იანვრის საღამო, ნინოობა, მაცოცხლებელ წყაროდ შეიქნა სასწავლებლისათვის — გაჭირვებიდან გამოიყვანა და ფეხი მოიმაგრებინა. მაგრამ ამაზე არ შეაჩერეს საქმე და სასწავლებლისათვის საკუთარი შენობის აგებას შეეჭიდნენ[...]

თავი მეშვიდე

[...]ერთხელ ქუჩაში შემხვდა (გრ. ვოლსკი. — გ. ბ.), თავისებურად მიჩაკუნობდა (ფეხი ჰქონდა წამხდარი და კოჭლობდა) აჩქარებული. მითხრა, რომ ნინოშვილი* ჩამოიყვანეს

ძლიერ ავადმყოფი და შემოეთვალა მისთვის, ენახა ავადმყოფი. მითხრა წამოდიო, მაგრამ მე საქმე მქონდა და ვეღარ წავუევი.

— ხვალ წავიდეთ! ხვალ ვინახულებ! — ვუთხარი.

მეორე დღეს მიველ ვოლსკისთან ნინოშვილთან წასასვლელად.

— რა კარგი ქენი, რომ არ წამოდი ნინოშვილის სანახავად, გული მომიკვდა მისი ნახვით. ახალგაზრდა კაცი უკანასკნელ დღეშია. თვითონაც გრძნობს ამას და ცხარე ცრემლით ტირის. მიშველეთო!.. რითი უშველოს კაცმა — ჭლექი მორეულია მთელი სიძლიერით. ვინ ოხერი არ დააკვდება ზედ, რომ გადარჩენა შესაძლებელი ყოფილიყო. ტირის, რომ ბევრი რამ მირჩება განზრახული დაუმთავრებელი, დაუბოლოვებელი... სიკვდილი კი არა, მუშაობა მწადია, მუშაობა!.. და ამას ისეთნაირად ამბობს, რომ გული მოგეხარშება! ბევრი ვამშვიდე, მაგრამ ვერ დავამშვიდე ვერასგზით!

ვოლსკიმ გადადო საქმეები გვერდზე და გავეშურეთ სასტუმროსაკენ, სადაც იწვა ნინოშვილი. მივედი სასტუმროში, მაგრამ ნინოშვილი იქ აღარ დაგვიხვდა, უკანასკნელი მატარებლით სილიბისტრო ჯიბლაძეს* წაეყვანა ბათუმიდან სოფელ ჩიბათში, რადგან აღარავითარი იმედი აღარ იყო მისი სიცოცხლის გაგრძელებისა.

შეწუხებულნი უკან გამოვბრუნდით.

— დაიღუპა ყმაწვილი კაცი... დაიღუპა ნიჭი, საჭირო ნიჭი! — განსხვავებული სიმწარით ამბობს გრიგოლი.

მისმა გრძნობიერმა გულმა ღრმად განიცადა საწყალი ევატეს ტანჯვა და უზომოდ შეწუხებული ხშირად იგონებდა სიკვდილის წინ მის გაწამებას[...]

[...] 1894 წელს ნინოშვილის საფლავზე, მისი გასვენების დღეს სილიბისტრო ჯიბლაძემ წაიკითხა დეკლარაცია* იმ პარტიისა, რომელსაც შემდეგ დაერქვა სახელად მესამე დასი. დეკლარაცია დაიბეჭდა „კვალში“ და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაში. დაახლოებით ამგვარი რამ თორმეტი წლის წინათ იყო ქართულ პრესაში: — ეს იყო გ. მაიაშვილის* წერილი საზოგადო მოღვაწეთა მიმართ, დაბეჭდილი ჟურნალ „ივერიაში“. წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ

მკითხველთა წრე იმ ხანებში მეტად ვიწრო იყო და ამიტომ ფართო გავრცელება არ ჰქონია ამ ყოვლად შესანიშნავ წერილს, რომელიც წარმოადგენდა საოცრად შედგენილ პროგრამას ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განსავითარებლად.

თორმეტი წლის შემდეგ, მსგავსმა დეკლარაციამ კი აუარებელი მსმენელი იპოვა, იგი შეიჭრა ხალხში, არ დარჩენილა მხოლოდ ინტელიგენციის კუთვნილებად, მოიპოვა მრავალი მსმენელი ახლად გაღვიძებულ წრეებში და დიდ გავლენას ახდენდა მათზე.

ბათუმის ქუჩებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდი სხვანაირი სიმარდით მოსიარულეს, გატაცებულ კილოზე მოლაპარაკე ყმაწვილობას „კვალით" ხელში[...]

თავი მეცხრე

[...]ჩემი მისვლის რამდენიმე დღის შემდეგ პეტერბურგში, საზოგადოების „პალმას" დარბაზში ქართული წარმოდგენა იყო გამოცხადებული. რასაკვირველია, მე გავექანე აქეთ. დიდი დარბაზი სავსე იყო ხალხით. აქ თავი მოეყარა პეტერბურგის ქართულ კოლონიას. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. აქ შევხვდი ბევრ ნაცნობს და მრავალი ახალი გავიცანი, რომლებსაც შემდეგში ძლიერ დავუახლოვდი. ამათში იყო ერთი ახალგაზრდა ქართველი ტექნიკი — გრიგოლ რევიშვილი, რომლის ბინაზე თავს იყრიდა ხშირად ქართველობა; ივანე ჯავახიშვილი"; ექიმი ობუხოვის საავადმყოფოსი, დღეს ქართული უნივერსიტეტის პროფესორი სპირიდონ ვირსალაძე; გურევიჩის გიმნაზიის მასწავლებელი ბიქტორ კანდელაკი, სიმონ ჟორჟოლაძე, ნიკო თავდგირიძე; ხანდახან მოდიოდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი,* მაშინ ახალგაზრდა ვექილი; ის იყო ჩვენი ინფორმატორი მთავრობის შესახებ, პლევეს* შესახებ, რომლის წინაშე ამ დროს თრთოდა მთელი რუსეთი.

ერთ საღამოს ნიკო თავდგირიძემ, — მაშინ იგი ოზურგეთის ქალაქის თავი იყო და პეტერბურგში იყო მოსული, ნებართვა გამოეტანა ნატანებიდან ოზურგეთამდი რკინიგზის გამოყვანაზე, — მითხრა: პრივატ-დოცენტი* ივანე ჯავახიშვილი აქ-ხდ არის და წავიდეთ, ვნახოთო. მე არ ვიცნობდი მაშინ პირადად ჯავახიშვილს, მაგრამ დავუჯერე ნიკოს, რომ იმას იამება

ჩვენი ნახვაო და წავედით მასთან. იგი მართლაც ავადმყოფი დაგვიხვდა, მაგრამ ხეზე იყო. პატარა ოთახი, რომელშიც იგი ცხოვრობდა, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. სასიამოვნო იყო ჩვენი მასპინძლის ტკბილი ლაპარაკი. მალე მან მიივიწყა თავისი ავადმყოფობა და გაგვაცნო თავისი უკანასკნელი ნაშრომი გიორგი მთაწმინდელის შესახებ. მოხიბლული ახალგაზრდა მეცნიერით, კარგა ხანს დავრჩით ჯავახიშვილთან. შემდეგში ხშირად ვხვდებოდით მას რევიშვილთან, ხშირად, კვირა დღეებში გამოვდიოდით ხოლმე სასეირნოდ ნევის პროსპექტზე და ვსიამოვნობდით, მის ლაპარაკს რომ ყურს ვუგდებდით. თავისებური, ტკბილი ენით იგი ამ დროს ყვებოდა სინას მთაზე* მოგზაურობის ამბავს, იმ მდიდარ ქართულ მანუსკრიპტებზე*, იქ რომ აღმოჩნდა; ამ დროს პირველად გავიგონე და გაფაციცებით ყურს ვუგდებდი გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერიდან სხვადასხვა ადგილების გადმოცემას. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს ტკბილი წამები: ღრმა სიყვარულით გამსჭვალეს ჩემი გული ძვირფას ივანესადმი; უნებლიეთ გიზიდავდა მისი სინაზე, მისი გულწრფელი სიტყვა, აზრი — ალბათ, ამ თვისებების გამო შემდეგში შეძლო უდიდესი საქმის მოგვარება — ქართული უნივერსიტეტის დაარსება, მშვენებით მისი გაძღოლა — რამაც საქართველო დაამშვენა და თვით ივანე ჯავახიშვილი საერთო სიყვარულით შემოსა[...]

ბათუმიდან დაბრუნებულ ანდრონიკაშვილს დაევალა მოხსენება გაეკეთებინა ბათუმის შეტაკების შესახებ და აგრეთვე გურიის ამბების შესახებ — გურიაში იმ ხანებში დიდი მოძრაობა წარმოებდა. ეს მოძრაობა მეტად აინტერესებდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებას: ლევ ტოლსტოიმ* ამის გასაცნობად თბილისიდან დაიბარა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე მიშო ყიფიანი,* რომელმაც კარგა ხანი დაჰყო ტოლსტოისთან იასნაია პოლიანაში*. მიშო ყიფიანის გარდა გურიის მოძრაობის შესახებ ინფორმაციას აძლევდა ტოლსტოის აგრეთვე ტოლსტოის ცნობილი მიმდევარი ილია ნაკაშიძე.*

როგორც ვთქვი, ანდრონიკაშვილს დაევალა მოხსენება მოწინავე ჟურნალისტების, ლიტერატორების და პოლიტიკური მოღვაწეების წარმომადგენლების წინაშე. კრება იყო საიდუ-

მლო, ბასეინის ქუჩაზე, ჟურნალ „პრავო“-ს რედაქტორ პოლ-ეწოვის ბინაზე. კრებაზე დასწრება შეიძლებოდა საგანგებო რეკომენდაციით. ანდრონიკაშვილს ნება დართეს, როგორც მომხსენებელს, თავის სახელზე მიეყვანა ხუთი კაცი და ამ ხუ-თში მოეხვედით ივანე ჯავახიშვილი, მე და კუჭიკო გელოვანი (იმ დროს ბეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი). სამი დიდი ოთახი სავსე იყო ხალხით. ანდრონიკაშვილის ვრცელმა მოხსენებამ, მისმა ნაამბობმა ბათუმში მომხდარ გამოსვლებზე და გურიის უკანასკნელ ამბებზე დიდი შთაბეჭდილება მოახ-დინა მსმენელებზე. გიორგი ზდანოვიჩს,* რომელიც დაესწრო ამ კრებას, და რომელსაც განსხვავებული პატივისცემით მიე-გებნენ, როცა იგი შემოვიდა, სთხოვეს დაემატებინა რამე გუ-რიის ამბებიდან. ზდანოვიჩმა თქვა, რომ ანდრონიკაშვილის მოხსენება ისეთი იყო, რომ დასამტკიცებელი აღარა რჩება რაო. კრება თავდებოდა, როცა ანდრონიკაშვილმა საზოგადოებას მიმართა:

— ბატონებო! ჩვენ შორის იმყოფება პირი, რომელიც იმ უბედურ დღეს, ბათუმში რომ ჰქონდა ადგილი, თავისი გუნ-დით* პუნქტზე იყო, მაგრამ ერთი ტყვია არ გაუსროლია და რომლის შესახებ აღტაცებით გველაპარაკებოდნენ ვექილებს ბათუმის მუშები!.. ეგერ ბრძანდება ის პირი!..

ბავშრი, თავს რეტი დამესხა. გარშემო ტაშისცემა, ხმა-ურობა. ზეზე წამომდგარი თავს ვუკრავ, მაგრამ აუწერელ მდგომარეობაში ვიმყოფები. გაეჩუმდე, არა ვთქვა რა, შევი-ფერო ნათქვამი — ეგ თავისთავად რაღაც გმირად გამოსახვას დაემსგავსებოდა — ეგ ყოვლად შეუძლებელი იყო, ხმა არ ამო-მეღო! საჭირო იყო მოხდენილი, შესაფერისი სიტყვა, — ილაპარაკე ამ წარჩინებულ წრეში ისე, რომ შერცხვენილი არ დარჩე!.. ქართული ანდაზაა — გაჭირვება მაჩვენე, გაქცევას დაგანახვებო. გაჭირვებაში მყოფმა მოვუჭირე მუხრუჭი ჩემს ტვინს და, ჩემდა ილბლად, სანამ ტაშისცემა შეწყდებოდა, შე-ვადგინე საპასუხო სიტყვა.

გულწრფელად ვთქვი, რომ მე არავითარი გმირობა არ გა-მოჩიჩენია, რომ მე ბედისაგან შებრალებული აღმოვჩნდი, ბე-დწიერი იმათთან, რომლებიც უნებურად ხდებიან საშინელი დამნაშავენი ხალხის წინაშე, რომ ბედმა ამარიდა საშინელებას

და არ გამიხადა სატირლად ჩემი ცხოვრება, რაც ბევრს ხვდება ამ ხანში სამხედრო სამსახურში მყოფთ. მოკლედ ავწერე, თუ როგორი განწყობილებით მივდიოდით პუნქტზე, რა საშინელება გადიშალა ჩვენს თვალწინ და რა მადლობელი ვართ ბედის, რომ გადაგვარჩინა ხიფათს და ჩვენი ბედი საწყევლად არ გაგვიხადა, როგორც ეს დღეს ხვდება ბევრ სამხედრო პირს.

დიახ, მე გულწრფელად ვამბობდი, რომ ბედნიერმა შემთხვევამ შემიბრალა, არ დამღუპა.

ჩემმა გულწრფელმა თქმამ მეტი მხურვალე ტაში გამოიწვია. როცა აიშალნენ, ჩემთან მოვიდა იმ დროს ცნობილი ახალგაზრდა ვექილი ვოლკენშტეინი და მითხრა, რომ მე მართალი არა ვარ, როცა ვამბობ, რომ ბევრია სამხედრო წრეში ასეთი პირი, რომელიც უნებურად ჩადის საზარელ დანაშაულობას ხალხის წინაშე და იტანჯება თავისი მდგომარეობისაგან. მე მოვუყვანე მრავალი ამის მაგალითი; ისიც ერთრიგად მეთანხმებოდა და ამბობდა: ეს არაა საკმარისი, ეს უფრო ძლიერი და ფართო უნდა იყოსო. მეკითხებოდნენ ჩვენი ჯარისკაცების სულიერ განწყობილებაზე, მათ მდგომარეობაზე, თუ როგორ ვზრდით მათ, თუ ვუხსნით, როგორ ვუხსნით დღევანდელ ამბებს და ამგვარები.

რამდენიმე დღის შემდეგ ანდრონიკაშვილმა მითხრა, რომ ჩემს ახლოს თურმე მსხდარან ცნობილი პუბლიცისტები ანენსკი და პროკოპოვიჩი და ორივეს დიდი აღტაცება გამოეთქვათ ჩემი ნათქვამის გამო. ბედი ახლაც შემეწია — ამ კრებაზე ჩემი ყოფნა გაუგებელი დარჩა. თორემ, კარგად მომცხებდნენ, რასაკვირველია.

პეტერბურგში ჩემი ყოფნის დროს გარდაიცვალა ვილიეს კლინიკაში მოთავსებული ავადმყოფი ახალგაზრდა ჩვენი მგოსანი გრიშა აბაშიძე. საწყალი უკანასკნელ ხანებში ვეღარ ცნობილობდა თურმე ვერავის, როგორც ეს გვითხრა ექიმმა ვირსალაძემ, რომელიც ხშირად ნახულობდა აბაშიძეს. მთელად ქართველობამ მოვიყარეთ თავი გასვენებაზე; მიცვალებული დასაფლავებული იქნა ვოლკოვის სასაფლაოზე, ეგრეთ წოდებულ ლიტერატორთა კიბეზე („ლიტერატორსკიე მოსტკი") ბელინსკის და პისარევის საფლავის მახლობლად[...]

თავი მეათე

[...]როგორც ზემოთ ვთქვი, მონასტერი ირეოდა, ირეოდა დღე-დღეზე უფრო და უფრო. დაჭერა უფრო და უფრო ვრცელდებოდა, მაგრამ მუშებს ეს არ აშინებდა, თითქმის უფრო ათამაშებდა კიდეც. ქუთაისში ლადო მესხიშვილმა დადვა მონტის პიესა „კაი გრაკხი“*. პიესამ დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში. ბათუმის მუშებმა საგანგებოდ მიიწვიეს ლადო თავისი დასით, რომ ეთამაშნა ეს პიესა ბათუმის მუშაობის წინაშე. საკვირველი იყო, როგორ გააპარეს ცენზურას* ეს რევოლუციური ნაწარმოები. მახსოვს მისი წარმოდგენა ბათუმში ლადოს დასის მიერ. ეგრეთ წოდებული „რკინის თეატრი“ გაჭედილი იყო ხალხით. ყოველი ცხარე სიტყვა კა- გრაკხის, რომელს ასრულებდა ლადო მისებური შნოით, იწვევდა ტაშისცემას და გრიალს, აღტაცება თანდათან მატულობდა და წარმოდგენის დასასრულს უმწვერვალეს წერტილამდე მივიდა. მღელვარე ხალხმა თეატრშივე დასძახა მარსელიეზა*. ხალხი გუგუნით გამოვიდა თეატრიდან და რკინიგზის ლიანდაგით გაემართა ბარცხანასა და გოროდოკისაკენ. გადმოქართულებულ მარსელიეზას სიტყვები მკაფიოდ ისმოდა ღამეში[...]

სიაში მესამერმეტე

[...]დაიწყო უფერული ცხოვრება. თან ჩემი ავადმყოფობისაგან შეწუხებული, თან ახალ უჩვეულო სამსახურთან დაახლოება — ამაში მიმდინარეობდა ცხოვრება. როცა კარგად ვიყავი — თეატრი და ხანდახან ლექციებზე სიარული. ამ ხანებში იყო ქუთაისში პირველი გამოსვლები საჯარო ლექციებით გრიგოლ რობაქიძის*. გრიგოლი ამ ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზე. ხალხი უზომო ესწრებოდა. დიდად ვწუხდი, რომ ლექტორი ერიდებოდა ქართულად გამოსვლას და ვნატრობდით მოვსწრებოდით ქართულ ენაზე წარმოთქმულ ლექციას. ბევრი ამართლებდა ლექტორს, ქართულად არ შეიძლება ამის ლექციების გადმოცემაო. ასე ეუცხოვებოდათ ამ ახლო წარსულშიაც ქართულად სიტყვის წარმოთქმა. საჯაროდ ქართულად მოლაპარაკე ათასში ერთი თუ გაბედავდა გამოსვლას;

ჩვეულებად იყო ხოლმე ბოდიშის მოხდა — ქართული არ მეხერხებაო, ნება მიბოძეთ რუსულად ვთქვა ჩემი სათქმელიო.

ამგვარი იყო მდგომარეობა, როცა გრიგოლ რობაქიძემ იწყო გამოსვლა საჯარო ლექციებით. როგორც ვთქვი, თავდაპირველად იგი ამ ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზე. ხალხი თბილისშიც და ქუთაისშიც აუარებელი ესწრებოდა. გული გვტკიოდა, რომ ამ ხალხს ქართველი ლექტორი ქართულ სიტყვას არ აგონებდა, ქართულ სიტყვას არიდებდა. გულდაწყვეტილებმა, ვარლამ ბურჯანაძის და გიორგი თუთბერიძის პირით (რომლებთან იდგა გრიგოლი) შევუთვალეთ — ლექციები ქართულად ეკითხნა. მე მაშინ გრიგოლს არ ვიცნობდი პირადად. მან შემოგვითვალა, რომ მალე ქართულად ვიწყებ ლექციებსო, და მოკლე ხანში კიდეც აასრულა თავისი დანაპირები. მახსოვს პირველი მისი საჯარო ქართულად წაკითხული ლექცია. ლექცია იყო ბარათაშვილზე*.

საზოგადოება განსხვავებულ აღტაცებაში მოიყვანა ამ ლექციამ. გაზეთებში დიადი ქებით იხსენიებდნენ ლექციის შინაარსს, ლექტორის ცოდნას და განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ლექტორის საუცხოო ქართულს. ბარათაშვილზე ლექციას მოყვა ლექცია ვაჟა-ფშაველას* „გველის მჭამელზე", შემდეგ აკაკიზე.* საზოგადოების აღტაცება თანდათან მატულობდა, ლექტორის არაჩვეულებრივი ლამაზი ქართულის გამგონე მსურველთა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა. უსმენდნენ ლექტორს სულგანაბულნი და თავის ყურებს არ უჯერებდნენ, თუ ასეთი შნოიანი ქართულით შესაძლებელი იყო ლექციების კითხვა. ლექტორის საოცარი ლამაზი ქართული უსაზომოდ ხიბლავდა და იტაცებდა მსმენელს.

ქუთაისში ცხოვრობდა იმ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწე პავლე თუმანიშვილი, კაცი დიდად განვითარებული, ქართულის კარგი მცოდნე. მოხუცი უსაზღვრო აღტაცებით მელაპარაკებოდა და გადმომცემდა იმ შთაბეჭდილებას, ლექციებმა მასზე რომ მოახდინეს. მოხუცი კაცი პირდაპირ აფრენილი იყო სიხარულით.

— აი, ჩვენი ლამაზი ქართული, ლამაზი ქართული, რომელსაც ვივიწყებთ და ფასს არ ვსდებთ. — გატაცებით ამბობდა მოხუცი.

ასეთ აღტაცებას განიცდიდა მთელი საზოგადოება.

— ხად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული?! — გაიძახოდა აღტაცებული კოტე ბაქრაძე,* ქუთაისში ცნობილი საზოგადო მოღვაწე. — გხიბლავს კაცს ამ შეჩვენებულის ენა. ვიძახით, არ მეხერხება ქართულიო! უხეირო რომ იქნები, ვერაფერს ვერ მოახერხებ!.. ვაჟა-ფშაველაზე კი, რაღაც, მგონი გადააჭარბა!.. ნამეტანი მაღლა ასწია... თუმცა ესეცაა — არ ვიცნობთ არც ჩვენ ლიტერატურას, არც ენას, არც ჩვენს თავს! გადაგვარებაზე ვართ მისული! ჩვენი თავის აღარაფერი გვჯერა! ამისთანა ახალგაზრდები თუ მომრავლდნენ, ეგებ გამოცოცხლდეს ხალხი!

თამამად ვამბობ, რომ გრიგოლ რობაქიძემ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა; თავისი საჯარო ლექციებით ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ქართული ენა შვენებით სავსეა, რომ მისით მშვენიერად გამოითქმება ადამიანის ყოველნაირი სულისკვეთება, გამოიხატება მისი აზროვნება. ლექტორმა დაანახა ქართულ საზოგადოებას, გადაგვარების გზაზე შემდგარს, ქართულის სიმშვენიერე, სიმძლავრე, — დაანახა და გაიტაცა. მან დიდად დაავალა ქართველი საზოგადოება, მას ვერ დაუვიწყებს ქართველობა ამ დიდ ნამოღვაწარს.

დღეს ეს ზღაპრად გვეჩვენება. ასე კი იყო; დღეს ზღაპრად გვეჩვენება, როცა ჩვენ გვაქვს მშვენიერი უნივერსიტეტი, სამაგალითო მეცნიერ-მუშაკებით სავსე; გუშინ კი გვეცინებოდა, როცა ივანე ჯავახიშვილი სიტყვას ჩამოგვიგდებდა, ქართულ უნივერსიტეტზე; მისგან რომ უნივერსიტეტის გეგმა მუშავდებოდა, ფანტაზიად მიგვაჩნდა და თვით ჯავახიშვილს ფანტაზიორს ვეძახდით. თავისი თავის არა გვჯეროდა. თავისი რწმენა გვეკარგებოდა. ნიკო ცხვედაძემ* რომ ახლანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა დაიწყო, მრავალი მკილავი გამოუჩნდა: — გიჟიაო, ამბობდნენ ნიკოლოზ ზებედეს ძეზე, ხიფათს გადაგვკიდებს, ფულს ტყუილად მიახარჯავს და ვიღაცას ტყუილუბრალოდ ჩაუვარდება ხელში ამოდენა შენობაო. „ფანტაზიორი", საქმის ფანატიკოსი კი გაჯიუტებით გაიძახოდა: - მოვათავებთ, მოვათავებთ და უნივერსიტეტსაც მოვათავებთ შიგ! გამოგვადგებაო, ჩვენ გამოგვადგებაო! და აკი გამართლდა ფანტაზია. რწმენა ჰქონდა ქართველი ხალხის

ცხოველმყოფლობისა, ამან შეაძლებინა დიდებული საქმე გაეკეთებინა.

მახსოვს მეორე ფანატიკოსმა იაკობ გოგებაშვილმა* ჟურნალ „ივერიაში“ დაბეჭდა წერილი სათაურით — „რანი ვიყავით გუშინ“. წერილში აღწერილი იყო საქართველოს კულტურული სახე XVIII საუკუნეში. „ფანტაზიას ეძლევაო, ნამეტანს აჭარბებსო, — ისმოდა მკითხველთა შორის. — მაგგვარი რამ რომ გვქონებოდა, წარჩინებული ხალხი ვიქნებოდით; ვინ გვაღირსა ჩვენ მაგგვარი კულტურაო!“ არ გვწამდა ჩვენი თავის, არ გვჯეროდა ჩვენი შემძლებლობის. იაკობს კი ეს რწმენა ღრმად ჰქონდა გამჯდარი და ამიტომ შეძლო იმ დიადი მოღვაწეობის გაწევა, მან რომ გასწია იანოვსკის, ზავადსკის, ლევიცკის და ამათგვარის ხანაში.

ერთი ამ ფანატიკოსთაგანი, რასაკვირველია, უფრო მცირე მასშტაბით ამათთან შედარებით, გვყავდა ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის ინიციატორი, ქუთაისში ქართული გიმნაზიის მასწავლებელი ალექსანდრე გარსევანიშვილი. ქართული გიმნაზია თავისი გამგიდან — დაუვიწყარ იოსებ ოცხელიდან* დაწყებული უკანასკნელ მასწავლებლამდის — შეგროვება იყო ერთგვარი ფანატიკოსებისა, ერთგვარი იდეით გატაცებულებით, რომელნი განსხვავებული გატაცებით მუშაობდნენ მომავალი თაობის აღსაზრდელად. ერთი ამათგანი იყო გარსევანიშვილი. მან თავგადადებით განიზრახა ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის დაარსება. ვინც გაითვალისწინებს იმ დროს, გაკვირვებას მიეცემა უნებლიეთ, თუ როგორ, რა შეუდრეკელი დაჟინებით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული ამის შემსრულებელი ადამიანი. მე დღესაც მიკვირს, როგორ გამოსტყუა გარსევანიშვილმა მთავრობას სახალხო უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა; როგორ მოიპოვა საშუალება ფართო მასასთან მისასვლელად! მთავრობა, ალბათ, ფიქრობდა — არაფერი გამოვაო და ნებასაც ამიტომ რთავდა. თუ ასე იყო, შეცდა კი ძალზე, მეტად. თავდაპირველში ჩვენც ძლიერ გვეეჭვებოდა ამ საქმის მოგვარება. მატერიალური საშუალება კიდევ მოიძებნებოდა უნივერსიტეტის მოწყობისათვის — ღიმილით, უნდობელი ღიმილით წვლილის გამოღებაზე უარს არავინ ამბობდა, — მაგრამ საჭირო იყო ლექტორთა, ქართულ

ენაზე ლექციათა ჯგუფის შედგენა. როგორც მოგახსენებდით, საზოგადოდ ეძნელებოდათ საჯაროდ ქართული ენით გამოსვლა, — სხვადასხვა საგნების კითხვა ხომ უარესი საძნელო გასაბედავი უნდა ყოფილიყო. ასედაც იყო, მაგრამ გარსევანიშვილმა არ მოუსვენა ლექტორებად განზრახულ მისაწვევ პირებს, ალი აღანთო მათში გაჩაღებული ცეცხლის და... შესაძლებელი გახდა ქუთაისში გახსნილიყო სახალხო უნივერსიტეტი[...]

ქართველობამ, დიდმა და პატარამ, იცის თავისი მოამაგის დაფასება, ყველასი, და ზოგიერთის მაინც. ასეთი რამ იყო ის დღეები, როცა ქართველობა დღესასწაულობდა თავისი საყვარელი აკაკის მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის შესრულებას. თბილისი საგანგებოდ მიეგება ამ დღეს დიდებულ მგოსანს; ახლა ქუთაისი შეუდგა მზადებას პოეტის დღესასწაულისათვის; ქუთაისი ეპირებოდა განსხვავებულად მიგებებოდა თავის მოჭირნახულეს და ამიტომაც ადრიანად შეუდგა მზადებას. დღესასწაულის მომწყობი კომიტეტის თავმჯდომარედ ამორჩეული იქნა მოსე ქიქოძე; მის ამხანაგად*, ჩემდა საბედნიეროდ, მე. კომიტეტში მონაწილეობას ღებულობდა მრავალი მანდილოსანი და მამაკაცი. ყველა გულით მონდომებული იყო, რომ დღესასწაული ბრწყინვალედ ჩატარებულიყო და ყოფილიყო ნამდვილი და სათანადო იმ სიყვარულისა, რომელს გულში ატარებდა დიდებული მგოსნისადმი ყოველი ქართველი; და ამის გამო დღესასწაულმაც ბრწყინვალედ ჩაიარა.

პირველად აკაკი ათას რვაას ოთხმოცში ვნახე. ამ წელიწადს კიევში გავათავე გიმნაზია, არდადეგებზე სახლში ვიყავი და აგვისტოში ისევ ვბრუნდებოდი კიევში, რომ იქიდან წავსულიყავი მოსკოვში სამხედრო სასწავლებელში. რიონის სადგურზე ჩემი თავი ჩააბარეს ვინმე ანდრია კაპანაძეს, თბილისში მიმავალს. ეს ის ანდრია კაპანაძე იყო, აკაკის დიდი პატივისმცემელი და მეგობარი, რომელიც აკაკისთან ერთად იმ დროს ეფათურებოდა აკაკის მიერ ჭიათურაში აღმოჩენილი შავიქვის მოწესრიგების საქმეს. კაპანაძე, საოცარი ტკბილი ადამიანი, გზაში, უმეტესწილად, აკაკის შესახებ ლაპარაკობდა; ეტყობოდა ნათლად რომ მას აკაკი უსაზღვროდ უყვარდა და ამიტომაც ხელს უმართავდა თავისი შეძლებით, თავისი ქონე-

ბით. ქუთაისში აკაკი უნდა ჩამოსულიყო საჩხერიდან, მაგრამ არ ჩამოსულა და კაპანაძე თბილისში გაბრუნდა. მე თავის სახლში მიმიყვანა, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ (აქვე იყო მისი სახელოსნო. თერძი იყო). მეორე დღეს საღამოს აკაკიც ჩამოვიდა. მე გულისფანცქალით შევყურებდი მაღალ, რაღაც განსხვავებული ტკბილი ხმით მოლაპარაკე ადამიანს. თავად კაპანაძე, მისი მეუღლე, მოსამსახურეც, ყველანი განსხვავებული პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. აკაკი მეტად ხალისიანად იყო და ხალისიანად ელაპარაკებოდა ყველას, ჩემს სიხარულს სასღვარი არ ჰქონდა მისი დანახვით; მე უკვე კარგად ვიცნობდი მის ლექსებს. სხვებთან მეც გამომელაპარაკა, მკითხა, თუ სად ვსწავლობ, საით მივდივარ და ამგვარები... მე ვუთხარი, რომ კიევში ვსწავლობდი და ახლა მოსკოვში მივდივარ სამხედრო სასწავლებელში.

— გარუსების დასათავებლად?! — მხიარული სიცილით მითხრა აკაკიმ.

— არა, მე არ გავრუსდები! — მივუგე.

— ვნახოთ... ვნახოთ! — ისევ სიცილით მითხრა მან.

შემდეგ აკაკის ხშირად ვხვდებოდი ბათუმში.

აკაკის დღესასწაულის მოწყობისათვის თავს როგორ დავიზოგავდი. მუშაობაც მართლა სამძიმო იყო, თავის გასართმევი. ყოველი დაწესებულება, ყოველი ჯგუფი მოწადინებული იყო შესაფერისად გამოსულიყო დიდებული ადამიანის წინაშე და შესაფერისად, შნოთი გამოესახა თავისი ის პატივისცემა და სიყვარული საყვარელი მგოსნისადმი, რომელიც გულში უღვივოდათ. თითქმის ყოველ საღამოს იმართებოდა ამა თუ იმ ჯგუფის კრებები, გამოსარკვევად, თუ რა სახით უნდა მიეღო ამა თუ იმ ჯგუფს მონაწილეობა. ადმინისტრაციამ ხელი არ შეგვიშალა ამ კრებების ნებადართვაში; შევატყობინებდით მხოლოდ, რომ კრება იქნება ამა და ამ დღეს, ამა და ამ ადგილას. კრებები მუდამ საინტერესო იყო; აქ გაისმოდა ერთგვარი სიტყვა, იხატებოდა ის გულწრფელი, ღრმა სიყვარული, რომელს ხალხი ატარებდა საყვარელი მგოსნის მიმართ თავის გულში. მახსოვს, ნოქართა ერთი ჯგუფის კრებაზე რამდენიმე ნოქარი ცხარე საყვედურით გამოვიდა, რომ განზრახვა არისო, საზეიმო ეტლში აკაკის ქალები ჩაუჯინონო; ჩვენ

პროტესტს ვაცხადებთ ამგვარ სანახაობაზე და მგოსნის დამამცირებლად მიგვაჩნია ამგვარი რამ თანხლებაო. — ავუხსენით მათ, რომ ეს ქალები გამოსახავენ მუზებს და საჭირო შეიქნა იმის განმარტებაც, თუ რა არის ნუზა. პროტესტანტებმა თქვეს, რომ ჩვენ არ ვიცოდით ამ მუზებზე არაფერიო, გვწადდა მგოსნის ზნეობა არ შელახულიყოო.

დღესასწაულის დანიშნული დღე ახლოვდებოდა. რამდენიმე დღით წინ აკაკიც ჩამოვიდა ქუთაისში[...]

საოცარ სურათს წარმოადგენდა ქალაქის გამგეობის დიდი დარბაზი დღესასწაულის წინა საღამოს. იქ იყო დანიშნული ადგილი, სადაც უნდა გამოცხადებულიყვნენ დღესასწაულის მომლოცველთა დელეგატები. ვეება დარბაზი აივსო დელეგატებით; ვისგან არ იყო, საიდან არ იყო წარმომადგენელი! ძლივს, როგორც იქნა, წესრიგი შევიტანეთ დელეგატთა სიის შედგენაში.

მეორე დღეს ის ქუჩები, რომლით უნდა გაეტარებინათ მგოსანი თეატრამდი, დილიდანვე გაჭედილი იყო ხალხით. თითქმის შუადღე იყო, როცა საგანგებოდ მორთული ეტლით აკაკი წამოიყვანეს სობოროსკენ*. ლანდო*, მგოსნის წამოსაყვანად, თავაზიანად გუბერნატორმა გამოგვიგზავნა; მეეტლედ იყო ქუთაისში ცნობილი მეეტლე, ამხანად მოხუცი, მელია, ის მელია, რომელს მამია გურიელმა უთხრა ერთხელ: „შენ რომ ელი, მელიაო, ძალზე შემომელიაო“. მოხუცმა მეეტლემ მტკიცედ გამოგვიცხადა, რომ აკაკი დღეს მე უნდა ვატარო და რომ ამას ვერავის დავუთმობო. ერთიანად თეთრში გამოწყობილი, ეტლში თეთრი ცხენებით, თეთრი მოწყობილობით, თავისი გრძელი, თეთრი წვერით — მელია და მისი ეტლი მშვენიერი სანახავი იყო. ეტლის საფეხურებზე იდგნენ ქალაქის თავი დავით ლორთქიფანიძე და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე მოსე ქიქოძე. ქუჩების ნაპირები ხალხით იყო შემოსილი; ფანჯრები, აივნები, სახურავები სავსე იყო ხალხით. ხმაური, მისალმება, ვაშას ძახილი, ყვავილების სროლა შეუწყვეტელი. აქ იყო მოტანილი გულწრფელი, ღრმა სიყვარული მოხუცი მგოსნისადმი. ამგვარივე გულწრფელი, უაღრესი სიყვარულობით იყო გაჟღენთილი ყოველი სიტყვა, რომლით დელეგატები მიმართავდნენ საყვარელ მგოსანს. მრავა-

ლი მშვენიერი ნათქვამი სიტყვა იყო, მაგრამ ამათში რაღაც განსხვავებული რამ იყო მგონი, ბაღდათელმა გლეხმა რომ მიმართა. მაღალი, განიერ მხარბეჭიანი, შუახნის, სასიამოვნო კილოზე მოლაპარაკემ აკაკის უთხრა:

— წიგნის უცოდინარი კაცი გახლავარ, ბატონო, მიწის მუშა. ბავშვები კი დამიდიან სასწავლებელში. სამუშევრიდან დაღლილი რომ ვბრუნდები სახლში, ხანდახან ბავშვები იქვე წიგნს კითხულობენ ხოლმე ხმამაღლა; ხშირად კაი რაღაც მომესმება, გულს იამება და როცა მიკითხავს ბავშვებისათვის თუ რა წაიკითხეს, ისე კარგი რომ იყო, პასუხად მიმიღია, — აკაკის ლექსიაო. ტკბილია ის თქვენი ნათქვამი, გულს ხვდება ძალიან; გლოცავთ საწყალი ხალხი თქვენი კაი თქმისათვის და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, არც შემდეგ შეგძულებოდეს ჩვენისთანა საწყალი ხალხი!

ეს ისეთი მშვენიერი თქვა ამ კაცმა, რომ აკაკი უცნაურად ააღელვა, თვალები ცრემლებით აუვსო; აღელვებული მხურვალედ გადაეხვია და გადაკოცნა იგი.

მეორე დღეს მე და ივანე პურადაშვილმა ვინახულეთ აკაკი. იგი მეტად კარგ გუნებაზე იყო[...]

ქუთაისმა სათანადოდ სცა პატივი თავის ძვირფას მგოსანს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქუთაისის საზოგადოებას შეძლება მიეცა ესიამოვნებინა მეორე დიდებული მგოსნის პირადი გაცნობით და მისგან წარმოთქმული მისალმებით დამტკბარიყო. ეს იყო ვაჟა-ფშაველას პირველი სტუმრობა დასავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოში ერთ ხანაზე ძლიერ ნაკლებად იცნობდნენ ვაჟას. ერთხელ ბათუმში ექიმ გრიგოლ ელიავას ოჯახში საგანგებოდ საღამო გამართეს, ვაჟა რომ გაგვეცნო საზოგადოებისათვის. წაკითხული იყო ვაჟას „გოგოთურ და აფშინა". პოემამ ვერ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. უმეტესობას ეუცხოვებოდა მისი ენა. პირველად, საფუძვლიანად, დასავლეთ საქართველომ ვაჟა გაიცნო ქუთაისის თეატრში აუარებელი ხალხის წინაშე წაკითხული ლექციით, ვაჟას შემოქმედების შესახებ და განსაკუთრებით „გველის მჭამელის" შესახებ. მშვენიერმა ლექციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ბევრს უკვირდა და კითხულობდნენ — ხომ არ

აზვიადებს ლექტორი, ასეთ შემოქმედად რომ სახავს ვაჟასო. ამის შემდეგ ბევრი დაინტერესდა და შეუდგა ვაჟას პოეზიის გაცნობას.

დიდებული მგოსანი კი დაფლეთილი ჩოხით მიწას ხნავდა მთაში და თითო კაპიკს ღებულობდა თითო სტრიქონში — ამასაც არა ყოველთვის.

ქუთაისში ყოველ წლობით იმართებოდა საღამო ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს. ერთხელ საღამოს გამმართველმა კომიტეტმა გადაწყვიტა, საღამოს მონაწილეთა შორის მოეწვია ვაჟაც და ამით საზოგადოებისათვის გაეცნო იგი. საკითხი დაისვა — რარიგად მოქცეულიყო კომიტეტი, რადგან ვაჟას რიგიანი ჩოხა-ახალუხი არ აქვსო და ჩამოფლეთილი როგორ დავანახოთ საზოგადოებასო. გადაწყდა ასი მანეთი გაგზავნოდა ვაჟას, რომ შეეკერა ახალი ჩოხა-ახალუხი, ეყიდნა ახალი ფეხსაცმელები ამ ფულით და ისე ჩამოსულიყო.

დანიშნულ დღეს ვაჟა ეწვია ქუთაისს და გამოწყობილი მივიდა პეტრე ყიფიანთან.

— ძალიან გამოჩისტულხარ, ვაჟას ჭირიმე! ახლა კი ვაჩვენებთ შენს თავს ქუთაისს! — მისებური ხარხარით შეხვდა პეტრე ყიფიანი ვაჟას. ვაჟა კი ოდნავ იღიმებოდა.

საღამოზე სული ამოართვეს პოეტს, იმდენი ლექსი ათქმევინეს... ვაჟაც თავაზიანად ლექსს ლექსზე ამბობდა და აღტაცებაში მოჰყავდა ხალხით გატენილი თეატრის დარბაზი. საღამოს შემდეგ გაიმართა ვაჟას საპატივსაცემო ბანკეტი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. ყველა ქება-დიდებას ასხამდა ვაჟას, მაგრამ ვერასგზით ვერ ააღელვეს იგი. მადლობას უძღვნიდა მის მადიდებელთ და იყო ისე თავდაჭერილი, ყუჩი, განდიდებას აშორებული ვაჟა. რაც მას ამშვენებდა და საყვარელ ადამიანად ხდიდა.

მეორე დღეს მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ ვაჟას ქუთაისში ყოფნის სამახსოვროდ გადაიღო სურათი. საღამოს მივაცილეთ სადგურამდი და გავისტუმრეთ თბილისში. სადგურისაკენ მიმავალმა, სხვათა შორის, მითხრა:

— ახირებული ადამიანია ეს ჩვენი აკაკი! დამიწერა „ენას გიწუნებ, ფშაველოო“. კაცო, მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც

დასაწუნია, მაშ აღარაფერი ყოფილა და ბარემც ასე თქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე! — ამას საოცარი გულისტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა.

საოცარი იყო ეს ადამიანი: იმდენი ქება-დიდება, მოწონება ესმოდა, მაგრამ იგი ისევ უბრალო, თავმდაბალი ვაჟა იყო; საყვარელი ვაჟა, გაჭირვებაში მყოფი, ვაჟკაცურად მებრძოლი ამ გაჭირვებასთან, რომელშიაც კიდევაც დალია თავისი კურთხეული სული[...]

[...]დაუვიწყარი და შესანიშნავი პიროვნება იყო კიტა აბაშიძე*. ძვირად მინახავს ისეთი სულით მაღალი, ნაზი გრძნობით აღვსილი, ადამიანის მოყვარული, თავდადებული მუშაკი საზოგადო ასპარეზზე, როგორიც იყო კიტა. განსხვავებული გულწრფელი ყოველ თავის სიტყვაში, თავის მოქმედებაში. ახლოს უნდა მისულიყავით მასთან, რომ გაგეგოთ და გაგეცნოთ მისი განსხვავებული ბუნება, მისი ღრმა, ნაზი გრძნობიერება.

აკაკიმ შავიქვის მრეწველთა ყრილობას სთხოვა დაენიშნათ მისთვის პენსია, როგორც შავიქვის აღმომჩენისათვის. ყრილობამ აკაკის უარი უთხრა. უარი უთხრა იმიტომ, რომ მთავრობისაგან აღკრძალული ჰქონდა პენსიების დანიშვნა. აკაკის დასაკმაყოფილებლად საბჭომ სხვა გზა გამონახა ყრილობის მინდობილობით. აკაკის წინადადება მიეცა დაეწერა ისტორია შავიქვის აღმოჩენის შესახებ. ნაწილ-ნაწილ წარდგენილი წერილებისათვის აკაკი მიიღებდა ყოველ წლობით ექვსას-ექვსას მანეთს. აკაკიმ იწყინა ეს და რაღაც მოსაზრებით კიტას დაბრალა, რომ მან ვითომ არ მოინდომა მისთვის პენსიის დანიშვნა, ხელი შეუშალა და ზდანოვიჩიც მიიმხრო ამაშიო. ბევრი არწმუნეს აკაკი, რომ კიტას არაფერი დანაშაული არ მიუძღვის მის წინაშე, რომ იგი მისი უმაღლესი მოსიყვარულე და მოთაყვანეა, მაგრამ აკაკი არა თუ ვერ შეაჯერეს — გაცხარებულმა წამოიძახა, რომ კიტა მისი მოთაყვანე კი არა, მისი შეურიგებელი მტერია, რომელსაც მისი მოკვლა სწადია. უნდა გენახათ ამის გამგონი კიტა! მის მწუხარებას, მის ტანჯვას საზღვარი არ ჰქონდა; საოცარი სანახავი იყო კიტა იმ ხანებში. თვალებზე მომდგარი ცრემლებით ის გულდაჩაგრული გვეუბნებოდა ხოლმე, როცა ვეხვეწებოდით ყურადღება არ მიექცია აკაკის ნათქვამისათვის — გულმოკლული გვეუბნებოდა:

— მე, აკაკის მკვლელი?! რამ ათქმევინა ასეთი რამ? რამ აფიქრებინა? მე, აკაკის მკვლელი?!

ხალისიანი კიტა დაკარგული შეიქმნა. ვამშვიდებდით, ვაწყნარებდით. მაგრამ დიდხანს ისევ მოუსვენარი იყო, აღშფოთებული. მას ტანჯავდა გაცხარებაში წამონასროლი დაბრალება. დაბრალება, რომ მას სწამდა მოკვლა თავისი საყვარელი სამშობლოს მშვენებისა, ყველასთან ერთად, მისთვისაც უძვირფასესი, სათაყვანებელი არსებისა.

იშვიათი გულწრფელი, ღრმა გრძნობის მქონე ადამიანი იყო იგი — და ეს აყვარებდა მას მის მცნობთ; ამასთანავე თავმდაბალი.

— კიტა, რა კარგი იყავი, სიტყვას რომ ამბობდი! — ვეტყოდით ხოლმე. იგი, სიამოვნების ღიმილით სახეზე, გვიპასუხებდა:

— მათამამებთ, მასულელებთ! რა საქებარია!.. ძლივს მოგუყარე თავი ორიოდე სიტყვას!

კიტა მეტად ლამაზი იყო მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, რომელით მან მიმართა მრავლად შეკრებილ საზოგადოებას კაფე „სამოთხეში", როცა პირველად აქ გამოვიდნენ დემონსტრაციით ახალგაზრდა პოეტები — „ცისფერყანწელები"*. ბევრს არ მოეწონა ახალგაზრდობის მედიდური დეკლარაცია, ლექსები მათ მიერ წაკითხული, მათი განმარტება თავიანთ ზრახვათა. შეიქნა კამათი, შემდეგ ცხარე დაობა, დაბოლოს თავშეუკავებელი მიმართვა ზოგიერთ დამსწრეთაგან და ამ აღელვებულ საზოგადოებაში საოცარი ლამაზი იყო კიტა, მის მიერ ნათქვამი სიტყვით, მის მიერ სიმპათიის გამოსახვით ახალი ძალებისადმი. მან დაამშვიდა აღელვებული შეკრებილობა და სასურადღებოდ გახადა ამ ახალგაზრდათა მისწრაფება და სურვილი, მას ღრმად ახარებდა ახალი ძალების გამოჩენა, გამოსვლა და ამუშავება.

დაუღალავი მუშა, იგი თავის თავზე იმდენს არ ფიქრობდა, რამდენსაც საზოგადო საქმეზე. თავის დაზოგვა მუშაობაში მისთვის გაუგებარი რამ იყო, სრულიად არ ეგუებოდა მის ბუნებას და ამან კიდეც მოუსწრაფა სიცოცხლის დღენი — ავად შექმნილი იგი ჩარგული იყო დაუთავებელ სამუშაოში.

— ქალბატონო თეკლე, ნუ გამოახედებთ გარეთ კიტას, —

ვეხვეწებოდით მის მეუღლეს, — ნუ გამოახედებთ გარეთ, სანამ არ მომჯობინდება!.. არ შეიძლება ასეთი თავდაუზოგველობა!

ამ თავდაუზოგველობამ, შეუწყვეტელმა მუშაობამ, თავისი ქნა — უდროოდ მოუსპო სიცოცხლის დღენი ჯერ კიდევ ახალგაზდას, ენერგიით სავსეს, ცოდნით აღჭურვილ თვალსაჩინო მოღვაწეს[...]

თავი მეცამეტე

[...]ცხრაას თხუთმეტის დასაწყისში სამწუხარო ამბავი მოეფინა საქართველოს — მიიცვალა დიდებული აკაკი. მეც მომეცა საშუალება დავსწრებოდი დიდებული მგოსნის ჩასვენებას თბილისში. სადგურ შორაპნიდან დანიშნული იყო საგანგებო მატარებელი. სადგურებზე აუარებელი ხალხი ხვდებოდა მიცვალებულს, ყველგან — ღრმა მწუხარება, გულითადი პატივისცემა.

მატარებელში ამ შემთხვევამ თავი მოუყარა მრავალ ჩვენს საზოგადო მოღვაწეს. ჩამოვარდა სიტყვა ომის მიმდინარეობის შესახებ. აქედან მალე სიტყვა გადავიდა საკითხებზე, თუ რის მომლოდინე უნდა ყოფილიყო საქართველო, რა ბედი ეწეოდა ამა თუ იმ მხარის გამარჯვება-დამარცხებისაგან. გაიმართა ნამდვილი თათბირი. მონაწილეობას ღებულობდნენ: ნიკო ნიკოლაძე*, ნიკო თავდგირიძე, გიორგი ლასხიშვილი*, კიტა აბაშიძე, ევგენი გეგეჭკორი* და ბევრი კიდევ სხვა. ნიკო ნიკოლაძე გამოთქვამდა იმ აზრს, რომ ჩვენი მდგომარეობა უნუგეშოა, ეს გაიმარჯვებს თუ ის, ჩვენ მაინც უყურადღებოდ ვიქნებით დატოვებული, რადგან ჩვენ არ გვაქვს არაფერი ისეთი, რომ ჩვენით დავაინტერესოთ რომელიმე მხარე, და ჩვენი ლამაზი თვალებისათვის თავს არავინ გამოიდებსო. უმეტესობა ამ აზრს ემხრობოდა და გამოთქვამდა თავიანთ უნუგეშობას. მსჯელობაში მონაწილეობას ღებულობდნენ თითქმის ყველა მაშინდელი პარტიების მთავარი წარმომადგენლები, რის გამოც ვაგონი გატენილი იყო ხალხით, რომელიც გაფაციცებით ყურს უგდებდა ისევ არაჩვეულებრივ შეკრებილობაზე ნათქვამს. მოულოდნელად გამართული თათბირი გაგრძელდა თითქმის თბილისამდი. ეს იყო პირველი მშვიდობიანი თათ-

ბირი პარტიათა წარმომადგენლებისა მწვავე საკითხზე — რა მოელის საქართველოს ომის დამთავრების შემდეგ, რისი იმედით და ვისი იმედით უნდა ყოფილიყო იგი.

საღამო იყო, მიცვალებული მგოსანი რომ ქაშვეთის* ეკლესიაში მივასვენეთ. მეორე დღეს უამრავი დეპუტაციების* და ხალხის თანდასწრებით გამოასვენეს დასაკრძალავად მთაწმინდაზე*. ერევნის მოედანზე ამართული იყო ტრიბუნა სიტყვის წარმომთქმელთათვის. პირველი სიტყვა აქ წარმოთქვა ნიკო ნიკოლაძემ, რომელმაც თქვა, რომ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა დაბეჯითებით მოითხოვს შეიქნას შტაბი, რომელიც განაგებს და უხელმძღვანელებს ამ გართულებულ მდგომარეობაში მყოფ ერს, როგორშიც დღეს ჩვენ ვართო[...]

თავი მეთოთხმეტე

ლიტერატურულ გზაზე განცდილის შესახებ ცოტაოდენი რამ უნდა დავუმატო.

წერა ძალიან ადრე დავიწყე. მეორე კლასში ვიყავი, მოთხრობა რომ დავწერე რუსულად, რადგან ქართული დავიწყებული მქონდა. რამ დამაწერია, სრულიად აღარ მახსოვს, მახსოვს კი, რომ მოთხრობის გმირი სისხლში ცურავდა, მარჯვნით და მარცხნით ჰკლავდა ყოველ შემხვდურს. ნაწარმოები ხელში ჩაუვარდა აღმზრდელს (კლასის დამრიგებელს), რომელმაც წაიკითხა და სიცილით მითხრა:

— ძალიან გეტყობა აზიელობა! ამდენი სისხლის დაღვრა გაგიგონია?! დაანებე თავი, სისულელეა!

შევისმინე აღმზრდელის დარიგება და მივატოვე წერა. სამაგიეროდ თავი მივეცი კითხვას. აღმზრდელიც ასეთი გვყავდა, რომელსაც დიდად უყვარდა ლიტერატურა და ჩვენც გვაყვარებდა და გვაცნობდა მას. ხშირად დავყავდი თეატრში — იმ დროს კიევში მშვენიერი ოპერა იყო ყოველ წლობით. რუსული მწერლობის გაცნობიდან ინტერესი დამებადა ქართული მწერლობისადმი და, თუმცა გაჭირვებით, ძლივს ვკითხულობდი ქართულს, მაგრამ ქართულ წიგნს არ ვეშვებოდი, საქმე გამიადვილდა ნიკო ლომაურის და მისი ამხანაგების გაცნობის

შემდეგ. ამათი წყალობით მუდამ მქონდა ქართული წიგნი და მათგან ვეცნობოდი ქართულ მწერლობას და ისტორიას.

მოსკოვში, სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დროს, გიმნაზიის გათავების შემდეგ, გადავთარგმნე ლომაურის მოთხრობა „ალი". მივიტანე ჟურნალ „რუსსკი ვესტნიკ"-ის რედაქციაში. რედაქციამ რამდენიმე ხნის შემდეგ გამომიცხადა, რომ თარგმანი არ დაიბეჭდებაო, რადგან მოთხრობა მეტად დაუჯერებელ ამბავს მოგვითხრობსო. დარჩა დაუბეჭდელი თარგმანი.

სასწავლებელში ცხოვრება დიდ მასალას იძლეოდა და ამის გამო რამდენიმე ამხანაგის თანამშრომლობით ვცემდი პატარა ჟურნალს, რომელსაც ბლომად ჰყავდა მკითხველი. რუსეთიდან დაბრუნებული შევუდექი ქართულის შესწავლას. ამაში დიდად ხელი შემიწყო იმ გარემოებამ, რაც ზევით მქონდა მოყვანილი. ბათუმში დამხვდა ისეთი ოჯახი, როგორიც იყო დურმიშხან და ქეთევან ჟურულის ოჯახი; დავუახლოვდი აგრეთვე ბათუმში ხშირად ჩამომავალ ჩვენს არტისტებს. თან ვიწაფებოდი წერაში — ვთარგმნიდი ხან გერმანულიდან, ხან ფრანგულიდან. პირველი თარგმანი, ჩემი სახელი და გვარით ხელმოწერილი, დაიბეჭდა ვასო აბაშიძის ჟურნალ „თეატრში" 1885 წელს.

წადილი დიდი მქონდა ჩვენი ცხოვრებიდან რაიმე დამეწერა, მაგრამ ვერ ვბედავდი.

ერთხელ გრიგოლ ვოლსკიმ მე და ალექსანდე აბაზაძეს გვითხრა, ყოველ შაბათობით ერთმანეთისათვის წაგვეკითხნა, რასაც დავწერდით. ერთ ამისთანა შაბათს მეც მივიტანე ერთი პატარა სურათი. შევუდექი კითხვას: ვამჩნევ, რომ ჩემი ნაწერი ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. შევჩერდი.

— დათიკო! — მითხრა ღიმილით ვოლსკიმ. — შენ კორესპონდენციას წერ თუ მოთხრობას? — მეგობრული სიცილით გაიცინა.

უეცრად დავკეცე რვეული და უბეში ვიტუცე.

— რას შვები, კაცო? წაიკითხე, განაგრძე — შემომძახა ორივემ, მაგრამ მე უარზე ვიყავი. ნაწარმოები წავიღე და მაგრად ჩავკეტე.

გაიარა თითქმის ორმა წელიწადმა და ამ უშნო, კორეს-

ბონდენციის მაგვარ ნაწერიდან გამოკეთდა ორი მოთხრობა: „შერისხვა“ და „მსხვერპლი“.

„მსხვერპლის“ შესახებ ჟურნალ „მოამბის“ რედაქტორ ალექსანდრე ჭყონიასაგან ბარათი მომივიდა: მოთხრობისათვის დიდ მადლობას იწერებოდა და თან იმასაც მწერდა, რომ აწერილი სურათი მეტად შავ-ბნელიაო, მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებსო და თან უმატებდა: ნუთუ მართლა ასეთი სიბნელით არის მოცული სოფლის ცხოვრებაო; საჭიროა უფრო შენელება სურათის. ეს რჩევა მიუღებელი დარჩა ჩემგან; ის კი არა, ვნანობდი, რომ ბევრი რამ გამომრჩა აჩქარების გამო.

წაქეზებულმა, რომ ნაშრომი კარგად იქნა მიღებული, შევუდექი მესამე მოთხრობის წერას — „სოლომან მორწელაძე“-ს. მოთხრობა დაიწერა სულ მოკლე ხანში და ისეთი გატაცებით, რომ თავად გაკვირვებას ვიყავი, რომ ისე იოლად მოვერიე და მალე დავამთავრე. სამაგიეროდ მეტად დიდი გასაჭირი მომაყენა შემდეგმა მოთხრობამ — „წრფელი ვული“ რომა აქვს სათაურად. ჩამოყალიბებულ, ჩამოსხმულ მოთხრობას ვერ მოვუნახე პირველი სტრიქონი. ჩემთვის ეს პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მომცემი იყო; ამ პირველი სტრიქონიდან, ასე ვთქვათ, გასრიალდებოდა მოთხრობა. იგი ტონს აძლევდა მოთხრობას. დიდხანს ვარჩევდი, თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვებით შევდგომოდი წერას, — საჯეროს* ვერ ვნახულობდი. ერთხელ მე და გრიგოლ ვოლსკი ბათუმის ბულვარში ვართ: ზღვის ნაპირას ვზიავართ. ვოლსკიმ თქვა, — ერთი ჩვენი კარგი ნაცნობისას წავიდეთო. დავეთანხმე, გამოვდივართ ბულვარიდან. გზაში ჩემი მოთხრობა გამახსენდა, ჩემი გმირები ალაპარაკდნენ; ვოლსკი რაღაცას მეუბნება — მე არ მესმის. უცებ ჩემ თვალწინ თითქო ჩამოფარებული ფარდა გადიწია და ჩემი მოთხრობა, თავიდან ბოლომდი ერთ წუთში გადამეშალა... დასაწყისიც აგერ არის, ნაძებარი დასაწყისი, რომელსაც გაყვა, გაყვა რაღაც გატაცებით სიტყვა, წინადადება, სურათი... სურათები ბოლომდი...

— მე არ მოვდივარ, გრიშა! — ვუთხარი და გავეშურე ბანაკისაკენ, სადაც ამხანაგად ვიყავი.

— რა იყო, რა მოგივიდა? — მეკითხება გაკვირვებული ვოლსკი, მე კი აჩქარებული ნაბიჯით მივდივარ, მივედი ბანაკ-

ში, შევედი ჩემს კარავში, ჩამოვუშვი შესავალი კალთა, გადმოვიღე ქაღალდი და გატაცებით ვიწყე წერა, წერა გაცხარებული.

ეს მუშაობა კი არ იყო, იყო უმაღლესი სიამოვნება.

ამგვარივე გატაცებით ნაწერია „სამანიშვილის დედინაცვალი". ამ მოთხრობას ბედი ეწია ჩემი ძვირფასი მეგობრის ეკიმ კონდრატი მხეიძის წყალობით. კონდრატი მხეიძე, ალექსანდრე შატილოვი და ალექსანდრე ლორთქიფანიძე (ნიკო ლორთქიფანიძის უფროსი ძმა) იყვნენ ის პირები, რომელთ ვუყვებოდი ყოველი განზრახული მოთხრობის შინაარსს, სურათებს, წვრილმანებს. განსხვავებული ხალისით შევუდგებოდი ხოლმე მათ მომართვას.

— აბა, მოყევი! — და მეც მოვყვებოდი, მოთხრობა ამ მოყოლაში შენდებოდა, მუშავდებოდა იოლად, ხალისიანად.

„მოამბე"-ს რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია წერილს წერილზე მიგზავნიდა, ჟურნალისთვის უსათუოდ რაიმე გამომიგზავნეო. იმხანად მქონდა პატარა ნაწყვეტი, რაც „სამანიშვილის დედინაცვალშია"—პლატონის სიზმარი. ვუთხარი მხეიძეს: როგორ მირჩევ, გავუგზავნო თუ არა ეს პატარა „სიზმარი?.."

— ნუ სულელობ! — შემომიტია მან. — შენ ისეთ რამეს ყვები, რომ თუ არ აჩქარდები, მშვენიერი მოთხრობა იქნება! არ გაგზავნო, იცოდე!

დავუჯერე მეგობარს და მოკლე ხანში პატარა სიზმრის მაგივრად დაიწერა მოზრდილი მოთხრობა. კვანძი, ძარღვი მოთხრობის მოცემულია იმ საუბრებით, რომელიც მქონდა ხოლმე ჩემს სიმამრთან — პავლე მაჭავარიანთან. ჩემთვის ძვირფასი პიროვნება იყო იგი. კარგი შეძლების კაცი, გამოცდილი, შეგნებული, ცხოვრებაში ჩახედული, ჭკვიანი, ენამახვილი. იგი საყვარელი ადამიანი იყო თავის კუთხეში. მისი ოჯახი მუდამ სავსე იყო სტუმრებით; მოხუცი, ახალგაზრდა, ყმაწვილობა თავს იყრიდნენ მის ოჯახში. ვის არ ნახავდი აქ, რას არ გაიგონებდი! ცხოვრების გასაცნობად საკმარისი იყო აქ მოქცეულიყავი რამდენიმე ხნით. გლეხობა დიდ პატივს ცემდა მას და მის ოჯახს, რომელიც ყოველი გაჭირვებულის გამკითხავი იყო, დამხმარე და დამრიგებელი. თვით ოჯახის უფროსი ცოლიან-

შვილებიანად გაბმული იყვნენ მუშაობაში, რაც საშუალებას აძლევდა ქმაყოფილი ცხოვრებისათვის. მიყვარდა აქ ყოფნა, მიყვარდა მოხუცთან საუბარი, მიყვარდა და მაინტერესებდა მის ოჯახში მოსიარულეთა თვალის დევნა. აქ შემეწყო ხელი ჩემს ლიტერატურულ მუშაობაში.

— ვერა ხარ კარგი კაცი. ამ მოთხრობაზე უნდა მიგეწერა: „მოთხრობა დავით კლდიაშვილის და პავლე მაჭავარიანის!“ — ხუმრობით მეუბნებოდა მოთხრობით ნასიამოვნები მოხუცი.

მოთხრობამ დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია „მოამბე“-ს რედაქციაშიც. ჯყონიამ ვრცელი წერილი გამოგზავნა განსხვავებული სითბოთი დაწერილი, სიხარულით, რჩევით, დარიგებით სავსე. ბედს ვერ დავემდურები — ჩემს ნაშრომებს მუდამ ხვდებოდა ასეთი თბილი მიღება, რაც მე მხდიდა მეტ ფხიზელ მომუშავედ.

როცა „სამანიშვილის დედინაცვალი“-ს ბეჭდვა დასრულდა ჟურნალში, პეტრე უმიკაშვილი* შემხვდა ბათუმის ბულვარში; მასთან იყო არტურ ლეისტი*.

— მე შენ ხმას არ გცემ! — შემომიტია პეტრემ. — რიგიანი კაცი მეგონე, თურმე კი ზარმაცი, ამჩატებული, უხეირო ყოფილხარ.

— რატომ, ბატონო პეტრე, რატომ? — შევეკითხე.

— რატომ და იმიტომ, — ასე მალე დაათავე სამანიშვილის მოგზაურობა!.. გადმოვიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში — რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა! შენ კი ასე მალე მოანახვიე დედინაცვალი!

— არ ვიცნობ ქართლსა და კახეთს.

— გაიცნობდი, გაიცნობდი, შე ზარმაცო, ზარმაცო დათიკო! — თან წყრებოდა, თან ხითხითებდა გულიანად. — შეწი ჭირიმე, რა ლაზათიანად გაქვს დაწერილი! — და შეუჩერებელი სიცილით მოუყვა ჩვენს საერთო ძვირფას მეგობარს ლეისტს მოთხრობის შინაარსი.

— ნუ ჩქარობ, თუ გიყვარდე! ყურს ნუ უგდებ ჟურნალს... გაჩქარებენ, ახალ-ახალი მასალა სჭირიათ და გიშლიან მუშაობას! თუ გიყვარდე, ნუ აჩქარდები ხოლმე... შენ რომ სურათი მომეცი, იმას ეჭირვება დამუშავება, შიგ არა გაქვს შეტანილი ზოგიერთი რამ, მე რომ მიამბე; თუ გიყვარდე, წუ აჩქარდები!

ეს იყო სურათი „მრევლში“.. მთელი ერთი წელიწადი მქონდა იგი გაუგზავნელი და ამ ხანში შესამჩნევად გადამუშავდა.

ვიმეორებ — ბედი მწყალობდა. სიყვარულიანი, თბილი, ენერგიის გამაღვიძებელი სიტყვა ზედმეტადაც მხვდებოდა. კიტა აბაშიძე, ივ. გომართელი*, ილ. ნაკაშიძე, ხომლელი* („აკაკის კრებულში“); საშა წულუკიძე* („ნოვოე ობოზრენიეში*“), თავიანთი თანაგრძნობით პირდაპირ მაქეზებდნენ და მიწვევდნენ სამუშაოდ; განსაკუთრებით პირველი ორი.

ამგვარივე მოსიყვარულე პირები შეხვდა სცენაზე ჩემს პატარა პიესებსაც. პირველად თბილისში დაიდგა „ირინეს ბედნიერება“. პიესა, რომ იტყვიან, ჩაფლავდა. ჩაფლავდა უცნაურად; თბილისელები სრულიად ვერ მიუდგნენ პიესას; ვყურობ და ვკვირობ — ჩემი სახეები სად გაქრნენ, სად გადასხვაფერდნენ?!. გათავდა წარმოდგენა ულაზათოდ, უშნოდ. ვწუხვარ.

— დათიკო, ნუ შეწუხდები! — მითხრა წარმოდგენაზე მყოფმა, ქუთაისიდან ჩამოსულმა ლადო მესხიშვილმა, შეწუხებული რომ დამინახა. — ნუ შეწუხდები, მე ვაჩვენებ, როგორ უნდა ითამაშებოდეს მაგ პიესა; ამ დღეებში ჩავბრუნდები ქუთაისში, ერთ თვეში მიიღებ დეპეშას, და უსათუოდ ამოდი და დაესწარი წარმოდგენას. ახლა ნუ სწუხარ! — თბილად, სიყვარულიანად მანუგეშა ლადომ.

მეორე დღეს „ტიფლისსკი ლისტოკ“-ში რეცენზენტმა პირდაპირ ბდღვირი* ამადინა.

გავბრუნდი ბათუმში გულდაჩაგრული, ლადოს დანაპირებით შემაგრებული.

არ გაუვლია თვეს, ლადოსგან დეპეშა მივიღე — პიესა მიდისო და ამოდიო. გავეშურე ქუთაისისკენ გულაძგერებული. დილით რეპეტიციაა.

— დათიკო, დაჯექ და უყურე, მერე მითხარი, თუ რამ აკლდეს! — მითხრა ლადომ.

დაიწყო რეპეტიცია. ყველა ხალისიანადაა; ხალისიანად იწყება; აბესალოს თამაშობს შალვა დადიანი* — ჩინებულია; აგერ შემოფაფხურდა ფილიპე — ვასო ბალანჩივაძე*, ჩემი ფილიპე, ნამდვილი ფილიპე; ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ

აქვს; როდამიშვილი — გიორგი თუთბერიძე*, ირინე — გვეტაძის* ქალი. სიხარულისაგან გაბრუებული ვარ.

— გაქვს რამე სათქმელი? — ღიმილით მითხრა ლადომ, პირველი მოქმედების რეპეტიცია რომ დათავდა.

— არაფერი, შენ გენაცვალე! — მივუგე.

— ასე იქნება მეორეც! ახლა წადი სახლში, დაისვენე და დროზე მოდი. დღეს ჩვენ გავიმარჯვებთ! — ხალისიანად წამოიძახა ლადომ.

მივედი სახლში. ძლივს სადილი ვჭამე — ვღელავ, შიშში ვარ. აღელვებულს ძილი ისე მომრევია ნასადილევს, რომ ძლივს გამაღვიძეს. მივდივარ თეატრში — თითქო ეგზამენზე მიმავალი ვყოფილიყავი.

ლადომ დამარონია სცენა, მორთულობა მანახა და მითხრა:

— მე ვიცი და შენმა პიესამ!.. მე აგერ ვიქნები, შენ ლოჟიდან უყურე!

აიხადა ფარდა. ამის აწერას, თუ როგორ დაიწყო პიესა, როგორ მიდიოდა, როგორ ჩატარდა, ამას არ მოვყვები, — ეს იყო გრძლად გაბმული სიხარულის წამები, დაუვიწყარი წამები. ახმაურებული, აგუგუნებული ხალხი გამოეფინა თეატრის დარბაზიდან; ბნელ ქუჩებში ისმის მხიარული ლაპარაკი, სიცილი, ხითხითი. მივდივარ სადგურისაკენ, რადგან უნდა გავბრუნებულიყავი ბათუმში, მივდივარ და გარშემო მესმის — რაც გულს სიხარულით ავსებს.

ძვირფასმა ლადომ მაჩუქა ის დაუვიწყარი წუთები. ერთ კვირაზე ვასო ბალანჩივაძე მიწვეული იქნა თბილისში და თავისი თამაშით აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და პიესას სიცოცხლე დაუბრუნა.

„დარისპანის გასაჭირი"-ც ბედნიერი გახდა. დარისპანმა იპოვა თავისი მოსიყვარულე, განსხვავებული მოსიყვარულე გამომსახველი — ვალერიან შალიკაშვილი*.

დარისპანი კაროენას დაათრევდა, მე კი ორივეს; მინდოდა რიგიანი რამ ყოფილიყო. ნატო გაბუნიამ* მთხოვა პიესა მის საბენეფისოდ*. შევთავაზე „დარისპანის გასაჭირი". პიესა წაკითხული იქნა პართენ გოთუასას*, მოწონებულიც. მაგრამ ნატომ არ დადგა, არ მოეწონა მართა. ამით ისარგებლა შალიკაშვილმა და თავის ბენეფისზე დარისპანის როლით გამოვიდა.

ეს იყო ნამდვილი სიყვარულიანი დრამა, სიყვარულიანი მხატვრობა, ავტორის გადაუხდელი დაჯილდოება. ასეთივე შეღავათიანი მიღება შეხვდა „უბედურება“-საც, შალიკაშვილის და კონს. ანდრონიკაშვილის* მხრივ. განსაკუთრებული სიყვარულით გამითბო ჩემი პიესები, გამიცოცხლა და გამიშუქა აკაკი ფაღავამ*,

ეს სითბო, ეს სიყვარულიანობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასოდეს არ დაკლებია იგი და ამიტომაც ჩემი გავლილი ლიტერატურული გზა ბედნიერად გავლილ გზად მიმაჩნია.

1925.



მიმოწერა



დ. კლდიაშვილის წერილები

ალექსანდრე ყაზბეგისადმი

დიდად პატივცემულო

ალექსანდრე მიხეილის ძევ!*

მოგესალმებით მთელი გულით. თქვენი „განკიცხული“ მშვენიერებაა, რომელიც ყველას ჩვენ, ქართველებს, უფლებას გვაძლევს კმაყოფილებით ვთქვათ: „ყველაფერი არ მომკვდარა ჩვენში, ჩვენ კიდევ ვცოცხლობთ და დიდხანს ვიცოცხლებთ!“ აღგზნებული სიხარბით წავიკითხე მე ეს საუცხოო ფურცლები. რამდენი ნაცნობი სოფიო წარმოდგა ჩემს თვალწინ! რამდენი საცოდავი, გაწვალებული მარი გაცოცხლდა მეხსიერებაში!

თქვენი მარი, თუმცა, უფრო ბედნიერია მის მსგავსთა შორის. ბევრი მათგანი გადაიქცევა ხოლმე დამონებულ არსებად, ტირანების უაზრო და აუტანელი ავტორიტეტის მორჩილ იარაღად. თქვენი მარი ძლიერია სულით, ის იბრძვის, რამდენადაც ძალა შესწევს, თუმც ყველა ბრძოლაში მარცხდება. მაგრამ მასში არის სული ძლიერი, შეურიგებელი, ვერ დამტევი იმ

ვიწრო ჩარჩოში, რომელშიაც სურთ მოამწყვდიონ ის. დიახ, ქართველ ქალს, განსაკუთრებით ახალი თაობისას, არ შეეძლო გამხდარიყო მონა ეგოისტი სოფიოსი. ეს უგულო, უზნეო დედაკაცი ვერ დაიმორჩილებს თავის დღეში ვერც ერთ მარის, როდესაც ამ უკანასკნელს იმისთანა მომხრე ჰყავს, როგორც ლევანი; პატიოსანი, ჭკვიანი, პრინციპის კაცი ლევანი ყოველთვის იქნება მარის მფარველი. მე ვგონებ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ძალიან დავალებული იქნება მწერლისაგან, რომელმაც დახატა ასეთი ტიპები, როგორც ლევანი და მარი. ღმერთმა ქნას, რომ ეს ვალი კიდევ გადიდდეს, ყოველ წლივ გვემატებოდეს მაგნაირი ვალები! დაე გულზე გასკდნენ სოფიო და პორფირუშკა, რომ მათი ვინაობა დაუფარავად გამოააშკარავეს, რომ პირველის უკიდურესი, უსაზღვრო ეგოიზმი, გარყვნილება, უზნეობა, უგულობა ისე ცხადი შეიქნა. მეორემ თავისი დღე ინანოს, რომ ქვეყანამ შეიტყო (ამისი ხომ ეშინოდა) მისი უხასიათობა, მისი სიმდაბლე, მისი ტვინთხელობა. მე გამახსენდა ან. ფურცელაძის* „ვაი მართალთა“. მას რაღაც ისევე თემა აქვს, რაც „განკიცხულს“. მაგრამ ხელობა, ხელობა, ხელობა... სად „ვაი მართალთა“, სად „განკიცხული“! ნაძალადეობამ, დაჭიმულობამ, არაბუნებრივობამ გააფუჭა ყველაფერი „ვაი მართალთაში“!.. დიახ, მხატვრულობა, ხასიათის სისწორით ასახვა — აი რის გარეშე არაფრად არ ვარგა ლიტერატურული ნაწარმოები. და აი ამ მხატვრულობით და ტიპიურობით გვიტაცებს „განკიცხული“. გაუმარჯოს „განკიცხულს“, გაუმარჯოს მის დამწერს, მრავალ ჟამიერ! მრავალ ჟამიერ!

ალექსანდრე მიხეილის ძევ, გთხოვთ უარს ნუ მეტყვით და მაცნობეთ ორი გამოტოვებული თავის შინაარსი*. იმედი მაქვს უარს არ მეტყვით. იმედი მაქვს, რომ ნათაძის სახელზე ან პირდაპირ ჩემს სახელზე მოვა წერილი, რომელიც დააბოლავებს იმ აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ჩემზე და სხვებზე აქაურებზე „განკიცხულმა“. თუ არ გეწყინებათ, იმასაც მოგახსენებთ, რომ თქვენს ნაწერებში, რომლებიც მე წაკითხული მაქვს, ერთი ვერ აჯობებს „განკიცხულს“. „განკიცხული“ ჭეშმარიტი უნაკლო ნაწარმოებია, შესრულებული მაღალი მხატვრულობით, ნიმუში უზადო ხელოვნებისა. ღმერთმა ქნას, რომ ამისთანა თხზულებები ხშირად ჩნდებოდნენ ჩვენს ლიტერატურაში.

უფალმა გააძლიეროს ყოველი მარჯვენა, რომელიც ესრე ისაჩუქრებს თავის ქვეყანას.

თუ თხოვნას ამისრულებთ და ისრე დამავალებთ, რომ შემატყობინებთ იმ ორ გამოშვებული თავების შინაარსს, ძლიერ მადლობელი ვიქნები. ჩემი ადრესი „ივერიის" რედაქციაშია, შეგიძლიათ დაწერილი წერილი ჩადოთ „ივერიის" ჩემს ნომერში და ისრე გაგზავნოთ. სულით და გულით ველი და დარწმუნებული ვარ, რომ უარს არ მივიღებ.

ვშთები თქვენ მარადის პატივისმცემელი,

დავით კლდიაშვილი
14 აპრილს 1884 წ. ბათუმი.

ფეულლისადმი

მ ა შ ი კ ო!

...მხატვარია, მაშიკო, კოტე ქავთარაძე, საზოგადო მოღვაწეების სურათებს ხატავს გამოსაცემათ. დამხატა, მაგრამ რა მშვენიერათ ვერ წარმოიდგენ, საუცხოოა. ბარნოვმა* მითხრა: სიხარულით კილამ გადავკოცნეო ქავთარაძეო, როცა მანახაო.

20. I. 27.

მ ა შ ი კ ო.

...ნამეტანი ცუდათ ვიყავი. მიეცათ ყველას სიკეთე — ყველა ჩემი გულითადი მომვლელი შეიქმნენ; ჩვენებმა რუსებს ალბათ გააგებინეს ვინ იყო პატარა მოხუცი და მრავალი განსხვავებული პატივისცემით მექცევიან; ერთმა უკრაინელმა ვარდი მომაწოდა და თან დაატანა — უკრაინისაგანო. ჩვენებზედ რაღა გითხრა, ყველა ჩემი მეთვალყურეა. რომ მოვედი პირველი შემხვდა კიტა აბაშიძის* ვაჟი, რომელიც აქ მსახურობს. გამეხარდა უცნაურათ. იმასაც ძრიელ გაეხარდა; დამაბინავა, მომიარა; მითხრა: ჩემი დაც აქ მსახურობსო. ისიც ძრიელ გახარებულიაო — ეტლით მოსული რომ დაგინახაო; უფროსი ექიმი დემურია, მშვენიერი ექიმია; მეო, მითხრა, შეიძლება იცნობდით, მარია ივანოვნას შვილი ვარ; მარია ივანოვნა დემურია* წარჩინებული ქართველი ქალი იყო თავის დროზედ (ახლა მკვდარია). მე ვუთხარი: როგორ, ვიცნობდი-

თქო; დიასახლისათ კოტე მაყაშვილის* რძალია; ისეთი მადლობელი ვარ მისი, რომ მეტი არ შეიძლება; არიან მეორე სანატორიუმიდან გადმოყვანილი მოსამსახურეები; ერთი ქუთაისის ცხრაწლედის მოსწავლეა დამლაგებლათ, მშვენიერი ქალიშვილი. თქვენ დავითი ბრძანდებითო? — მკითხა, ავათ რომ ვიწევი და საჭმელი შემომიტანა; საოცრად მემსახურება. ერთ დღეს ერთმა მოსამსახურე ქალმა მითხრა: ორი ბავშვი დილიდან თქვენ გიცდიანო, თქვენი უნახავი არ მიდიანო; მივედი — მოსწავლე პატარა ქალიშვილები. მესამეს დოუძახეს — დავითიაო. მელაპარაკნენ ჩემს მოთხრობებზედ, კლასში რომ ასწავლიან. ასეა, ჩემო მაშუნია. რამდენი კიდევ, ყველაფერი სად მოგწერო, ეს ავადმყოფობა რომ არ არღვევდეს ჩემს ბედნიერებას. არაფერი, ეგებ გოუძლოთ[...]

მეოთხე გვერდზე შემდეგი მინაწერია:

ბავშებო, რომლებიც ხართ მად. მარიობის* მეოთხე დღეს შესრულდება 35 წელიწადი, რაც დედა თქვენმა ჩვენს ოჯახში შემოადგა ფეხი და გვემსახურება; ვაპატიოთ მისი სისულელე, რომ თავისი თავი დავიწყებული ყავდა ყოველთვის და თელი ეს დრო იმაში გაატარა, რომ ჩვენ გვაკვდებოდა და დღესაც გვაკვდება. გავალებთ ამ დღეს, ე. ი. მარიობას (ძველი სტილით) გაუმართოთ შინაური იუბილე, რომელს მე ვერ დავესწრები, მაგრამ ჩვენი მომვლელის გვერდით იყოს ჩემი პრიბორი; იმ დღეს ჩემი სული, გული და გონება თქვენთან იქნება; აბა თქვენ იცით, თუ თავს არ შეირცხვენთ და ამ დღეს მაინც ხელს არ გაანძრევიებთ დედა თქვენს და მიესიყვარულებით ისე, როგორც მას დოუმსახურებია.

სოსიკო!* (თუ მად ხარ) მეთაურობა შენია, თუ არა და ნუცა*, ქეთო* და გოგია*, თქვენ გევალებათ ყველაფერი. აბესალოც არ დეიკლოთ შვილებში და სხვები გეყოლებათ, თქვენ იცით.

თქვენი მამა დავით კლდიაშვილი

და კიდევ მინაწერი:

დოდუნო, ბუჭუნჭულა და რუსიამ* სიმღერით მიულოცეთ მაშო ბებიას.

თქვენი ბაბუა

12. VIII. 27.

მ ა შ ი კ ო!

მიილებდი, რასაკვირველია, ჩემს წერილს; ახლა კიდევ გწერ მეორე წერილს. ვარ, მაშიკო, ისე, რომ ყველას ვაკვირვებ; ამ ათ დღეში ისე გამოვკეთდი, რომ მეტი არ შეიძლება, ბრუ ძვირათ მემართება, წონაში უკვე შვიდი გირვანქა მოვიმატე, ტანმჩატეთ ვგრძნობ თავს და მადა გამეხსნა გასაოცარი. მიეცათ სიკეთე ყველას, ყველას განსხვავებულ პატივისცემაში ვყავარ[...]

ქეთო იყო ჩემთან; შუა ღამეზე ჩემს ოთახში შემოვიდა, მე მეძინა, — მამა, მამა! გავახილე თვალი — ჩემი ქეთუნია. იყო ცოტა ხანს, მერმე წავიდა სასტუმროში. შალვა ნუცუბიძეს საოცრათ მოუვლია მისთვის, გზაში შეხვედრია; სასტუმროში დოუბინავებია, მოუწყვია. მეორე დღეს ქეთო აბასთუმანში გავისტუმრე; ნუცუბიძეს, რასაკვირველია, მერე დიდი მადლობა ვუთხარი[...]

მაშიკო! 28-ს ვერ დაგესწრებით, მაგრამ ისე იყავით, თითქოს მე თქვენთან ვყოფილიყვე. მად რომ ვყოფილიყავი ერთ „ერეს“ მეც მოგახსენებდი ჩემს 35-ი წლის ამხანაგს, ძვირფას ამხანაგს, ჩვენი შვილების კარგ დედას რომ ეკადრება, ჩემო მაშუნია[...]

23. VIII. 27.

მ ა შ ი კ ო!

...უშველათ ღმერთმა, მწერალთა კავშირმა 1500 მანეთი თავისით, უთხოვნელათ მომცა საექიმოთ; წერა-კითხვის საზოგადოებამ კიდევ ხუთი ათასი, იმის ანგარიშში, რაც მერგება, ბეჭდვას იმ კვირაში შეუდგებიან. ამას გარდა კიდევ მექნება ერთი ხუთი ათასი მისაღები. იუბილე უნდა მოვაწყოთ თბილისში, ქუთაისში და ბათუმში — დიდ ზეიმს ეპირებიან, — ვნახოთ [...].

ჩემი ექიმობა გვარიანათ მიდის. სხვათა შორის ორი ნემსი გამიკეთა შიგ თვალის თეთრში. თუ გოვუძლებდი არ მეგონა, სულ ამიშალა ნერვები, მაგრამ მეტად მომიხდა და ახლა საოცარ უკეთესობას ვამჩნევ. დავდივარ ყოველ დღე.

სამსახურის შესახებ საქმე მხედველობაშია. ყველა ამბობს, ვისაც შეეხება, რომ უსათუოთ ექნებაო. მეც ვსდევ, სანამ არ დააბოლავებენ [...]

10. X. 19.

სერგო კლდიაშვილისადმი

შვილო ს ე რ გ ო!

[...]წამოიღე რაიმე კარგი წიგნები. აქ მაქვს შენი თეოდორ დრაიზერი, და, მართალი გითხრა, ჯერ ვერ დაგანებებ — დიდებული რამ არი[...].

11. VII. 25.

ილია აგლაძისადმი

დიდათ პატივცემულო ბატ. ი ლ ი ა!*

თქვენი წერილი მივიღე ქუთაისში, როცა თბილისისაკენ მივემგზავრებოდი და ამიტომ დაიგვიანა ამ პასუხმა. ეს პირველი წერილია, რაც მე მივიღე. „იმერეთი"-ს რედაქციისაგან კი არ მიმიღია. თქვენი წერილი, რასაკვირველია, ჩემთვის დიდათ სასიამოვნოა და ყურადღებისათვის მადლობას მოვახსენებ საღამოს გამმართველთ; თანახმად თქვენი სურვილისა, გიახლებით 24-ისათვის. ამ წერილის მიღების შემდეგ გთხოვთ მაცნობოთ გადაწყვეტით თუ 24-ს გექნებათ საღამო, — მაშინ მე გამოვემგზავრები ქუთაისიდან ისე, რომ ვიქნე ბაქოში ან 23 ან თავათ 24-ს, წამოვალ იმ მატარებლით, რომელიც მიდის ბაქოში ნაშვადღევის ორ საათზედ. მხოლოდ გთხოვთ შემატყობინოთ გადაწყვეტით — იქნება საღამო 24-ს თუ არა. 24-ი ნოემბერი ჩემთვისაც უფრო მოსახერხებელი იქნება, ვიდრე იქით რომელიმე კვირა[...].

დავშთები თქვენი ერთგული დავით კლდიაშვილი.

უთარიღო.

დიდათ პატივცემულო ბატ. ი ლ ი ა!

თბილისიდან ამას წინად წერილი გამოგიგზავნეთ პასუხათ იმ წერილისა, რომელიც თქვენგან მივიღე და რომელშიც მწერ-

დით შესახებ მად ჩამოსვლისა. ამ წერილს იმიტომ გწერთ, რომ შესაძლებელია ის წერილი დაიკარგოს და ამით მაინც გაცნობებთ ჩემს პასუხს. გახსენებისათვის დიდათ გმადლობთ. თანახმად თქვენი სურვილისა, გიახლებით; ნოემბრის 24-ი ჩემთვისაც ადვილი მოსახერხებელი იქნება, მერმე კი დრო აღარ მექნება იანვრამდინ. გთხოვთ მაცნობოთ გადაწყვეტით — როდის გექნებათ საღამო. თუ 24-ს იქნება, მაცნობეთ დროით, კარგი იქნება დებეშით, რომ დროით გამოვემგზავრო და დროზედ ჩამოვიდე. თუ 24-ს გექნებათ, მე ჩამოვალ 23-ს, მად რომ ნაშუადღევის 2 საათზედ ჩამოდის იმ მატარებლით. ველი თქვენგან ცნობას, რომ თქვენც არ ჩაგაგდოთ და მეც არ ჩავვარდე უხერხულ მდგომარეობაში.

თქვენი ერთგული დავ. კლდიაშვილი.

16. XI. 13.

დიდათ პატივცემულო ბატ. ი ლ ი ა!

მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით — არ დაიზაროთ და შემწეობა მისცეთ ამ წერილის მომტანს ყმაწვილს. იგია ვალერიან დუგლაძე. მოსწავლე სამზღვარ-გარეთელი, ჟენევაში. უსახსრობამ დროებით უკან დააბრუნა და ახლა ცთილობს სადმე დროებით, ე. ი. სამოსწავლო წლის დასაწყისამდე სამუშაოვარი იშოვოს და ტყვილა არ გაცთეს. მეც გულით მოწადინებული ვარ, რამე რიგათ ხელი შევუწყოთ და ამიტომ გადავწყვიტე შეგაწუხოთ თხოვნით, რომ შუამდგომლობა გაუწიოთ რომელიმე კანტორაში დაბინავდეს. მან იცის ფრანგული, ცოტაოდნათ ნემეცურიც და ამიტომ უფრო ვბედავ ჩემი სათხოვრით მომართვას.

დამავალეთ ბატ. ილია, უყურადღებოთ ნუ დატოვებთ ამ ჩემ თხოვნას და რამდენათაც შესაძლებელი იქნეს, თქვენი დახმარება არ მოაკლოთ. იმედი მაქვს, რომ იგი არც თავს შეირცხვენს მუშაობაში და არც იმათ შეარცხვენს, ვინც ხელს მოუმართავს. ძვირფასო ბატ. ილია, მითხოვეთ აგრეთვე სიმონ კვიტაიშვილთანაც, რომ თავისი მფარველობა არ მოაკლოს ამ ყმაწვილს.

კვლავ გთხოვთ მაპატიოთ შეწუხება, მაგრამ თან იმ იმედითაც ვრჩები, რომ, რამდენათაც შეიძლება, ჩემს თხოვნას სულ უყურადღებოთ არ დატოვებთ.

თქვენი ერთგული დავ. კლდიაშვილი.

24. III. 14.

სილიბისტრო თოდრიასადმი

დიდათ პატივცემულო ბატ. ს ი ლ ი ა!*

დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ გაწუხებთ ქვემორე თხოვნით. თხოვნა ჩემი — მოუსმინოთ ჩემს შვილს და ყურადღება მიაქციოთ მის თხოვნას. დარწმუნებული იყავით, რომ არ მოგმართავდით ამ თხოვნით, რომ ამ თხოვნაში რაიმე უკეულმართობა იყოს ნათხოვნი. სრული იმედი მაქვს, რომ არ გამაწბილებთ და ყურადღებას მიაქცევთ.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი დავ. კლდიაშვილი.

2. IX. 25.

დ. კლდიაშვილის ხელნაწერებიდან

„ივერიის“ რედაქციას

იმ წელიწადში მე გამოვაგზავნე „ივერიის“ რედაქციაში ხუთი ხალხური ლექსები, ზოგიერთნი მათგანი დიდათ საინტერესო არიან, — ესენი — ისტორიული ლექსები. მე იგინი დავწერე (უნდა იყოს — ჩავწერე. — გ. ბ.) შარშან, კვირიკობის თვეში, როდეს ვიყავი სახლში, სოფელ სიმონეთში, ცხრა ვერსზე ქუთაისიდან. დიდათ გეხვეწებით შემატყობინეთ, დაიბეჭდნენ იგინი თუ არა „ივერიაში“, თუ იგენი გამოსადეგნი გახდნენ, მე კიდევ მაქვს ოთხი ხალხური ლექსი იმავე ადგილას დაწერილი ანუ მოგროული. კიდევ ერთი თხოვნა — შემატყობინეთ, გამოდის ქუთაისში გაზეთი „რიონი“ ან ჟურნალი „იმედი“ თუ არა.

ეს ყოველი თუ თქვენთვის დიდი გასაჭირი არ იქნება, მო-

მწერეთ ნაწყვეთ ქალალდზედ და ჩადებთ რომელიმე წიგნში, გამოგზავნით წიგნებს შემდეგი ადრესით (მიწერილია კიევის სამხედრო გიმნაზიის მისამართი. — გ. ბ.).

დავით კლდიაშვილი.

1880 წლის 12 თებერვალს.

ხელნერილი

ამით ვაცხადებ, რომ ჩემს შვილს სერგო კლდიაშვილს ვაძლევ ავტორის სრულ უფლებას ჩემს მოთხრობაზე „სამანიშვილის დედინაცვალზე" —

დავ. კლდიაშვილი.

1. VI. [25].

გალაკტიონ ტაბიძის შესახებ

[...]ბედმა მას (გალაკტიონს. — გ. ბ.) დააკისრა ყოფილიყო გამომსახველი, გამომთქმელი იმ ადამიანების სულისკვეთების, რომელთ შორის იგი იყო; და ადამიანებმა შეიყვარეს მათი სულიერი ცხოვრების გამომსახველი და მუდამ სიყვარულით შემოსილს იყოლიებს. ეს ბუნების ჯილდოა. ცოტას ხვდება ასეთი ბედნიერება; და ამათ შორის ჩვენს საყვარელ გალაკტიონ ტაბიძეს*, ქართული ლირიულ პოეზიის შვენებას და სიამაყეს. დიახ, გალაკტიონის განცდანი მხოლოდ მას კი არ ეკუთვნის — იგი ჩვენია და ამიტომ გვიყვარს მგოსანი.

უთარიღო.

ჩანაწერი ალბომში

ქართველი ერის თავისუფლება მითი მახარებს, რომ მას ეძლევა საღსარი განავითაროს ის მშვენიერი სული, მასში რომ არის ჩანერგილი და მწამს, რომ ამით ქართველი ერი შეგა სანატრელ მოძმეთ დანარჩენ კაცობრიობაში.

დიდება ქართველი ერის დიად სულს!

21 ივლისი, 1918 წ. ქ. ქუთაისი.

წერილები და საიუბილეო მილოცვები
დ. კლდიაშვილისადმი

* * *

...ნუთუ არ იცი, რომ შენთვის არას დავიშურებთ. იქნება პირში კიდევაც გაწყენიებთ, კიდევაც გაგაჯავრებთ[...] ჩემო [...]კარგო დათიკო, მაგრამ შენ რომ კაცს არ უყვარდე არ შეიძლება და არა მარტო შენი დიდის ნიჭის გამო, რომელიც ყველა ჩვენ მიერ თაყვანსცემელია, მაგრამ ერთიორად უფრო შენის კეთილის და კარგის გულის გამო, შენის მაღალის სულის, შენის მგრძნობიერის არსების გამო. ის, რაც შენ განსხვავებს ჩვეულებრივ ადამიანთაგან, შენი ნიჭის გარეშე და ჩვენზედ მაღლა სდგას — იმის თაყვანისცემისა და დაფასების სფერო სხვაა, მაგრამ ადამიანთა განწყობილება, გრძნობათა სფერა, სფერა გულისა კიდევ სხვაა. ეს შენი ძალა და მეუფეობა აქაც გვიმორჩილებს და გვიმონებს. იყავი კარგად, ჩემო დათიკო[...].

მარად შენი კიტა [აბაშიძე].

[1941 წ.]

* * *

სამშობლოს გააუბედურებდნენ გადაგვარებულნი, შენისთანა ჭირისუფლები რომ არა ყოლოდა. გეამბორები, იცოცხლე მრავალ ჟამიერ.

ია ეკალაძე

14. II. 20. ჩოხატაური.

ძვირფასო დავით!

ავადმყოფობა მაიძულებს, მხოლოდ წერილით მოგილოცო ეს დღე, როცა მადლი და მადლობა შენის და ქართველი საზოგადოების სახით ერთხელ კიდევ ასე ღირსეულად ხვდებიან ერთმანეთს. დღევანდელს დღესასწაულს კიდევ უფრო ასხივოსნებს ის გარემოება, რომ დღეს თავისუფალი საქართველო უკვე ყველასგან ცნობილია და მხოლოდ ერთი პატარა ჩრდილი ჰბურავს მას; სახელდობრ, რომ საქართველოს განთავის-

უფლებასთან მისი გაერთიანებაც არ არის განხორციელებული და მის საზღვრებში არ შემოდიან არამც თუ ლაზისტანი, თვით აჭარა ქობულეთიც კი ბათუმით, რომელიც ისე საყვარელია ყოველი ქართველისათვის და მით უმეტეს შენთვის, რადგან უკეთესი შენი ცხოვრების დრო იქ გაგიტარებია. ამიტომ საერთო სურვილს, რომ შენი შემოქმედება კიდევ უფრო ნაყოფიერი ყოფილიყოს, დავძენ, რომ დღევანდელი დღესასწაულის განმეორება ჩვენს ბათუმში მომხდარიყოს მის საქართველოს საზღვრებში დაბრუნების დღესასწაულთან ერთად[...].

შენი მარადის **დუტუ მეგრელი.**

15. II. 20Წ

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო მხურვალედ მიესალმება მხცოვან იუბილარს და უსურვებს მას დღეგრძელობას ქართული მწერლობის დასამშვენებლად.

რექტორი, პროფესორი **ივანე ჯავახიშვილი.***

ძვირფასო ძმაო დავით!

ხალხთა დიდება გამოისახება მათ სულიერ კულტურაში და პირველი ნიშანი ყოველი ხალხის ამ დიდების გამომსახველი არის ერის მწერლობა. საქართველო როგორც ძველსა, ისე ახალ დროში თავის მწერლობით ყოველთვის ითვლებოდა მოწინავე ერთა რიგში. თქვენ, დიდად პატივცემულო მოდღესასწაულევ, იყავით ყოველთვის ერთი იმ რჩეულთაგანი, რომელსაც სამშობლო ენის და ლიტერატურის დევნის დროს მაღლა ეჭირათ დროშა თქვენი ხალხის სულიერი ძლიერებისა. დიდი ბედნიერებაა თქვენთვის, რომ დღეს თავისუფალი თქვენი სამშობლო ეამბორება თქვენს მაღალ შემოქმედ შუბლს და კურთხევით იხსენიებს თავის ღირსეული შვილის ძვირფას ნაშრომს. საქართველოს ყოველ დღესასწაულს მხურვალე თანაგრძნობით ეგებება სომხის ერი. ქართველი მწერლის გამარჯვების დღე არის იმავე დროს სომხის მწერლის გამარჯვება-

ის დღეც. აი ამ გრძნობით გამსჭვალული, ძმაო დავით, მეც, როგორც თავმჯდომარე სომხის მწერალთა საზოგადოებისა, აღტაცებით გილოცავთ საზოგადოების სახელით და პირადადაც თქვენი ოცდაათის წლის სამწერლო მოღვაწეობის დღეს, გისურვებთ სამწერლო მოღვაწეობის განგრძობას, რომ თქვენის პირით კიდევ დიდ ხანს ღაღადებდეს კეთილშობილი ქართველი ხალხის წრფელი გულისნადები საქართველოს სადიდებლად და ხალხთა შორის ძმობა-ერთობის განსამტკიცებლად. ვაშა ძვირფას ქართველი ერის მწერლობას! ვაშა ჩვენს მოძმეს ქართველ მწერალს დავით კლდიაშვილს!

თქვენი პატივისმცემელი

ჰოვანეს თუმანიანი*.

15.II.20.

* * *

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია გილოცავთ 30 წლის მოღვაწეობას, როგორც უდიდეს მწერალს და მაღალ პატრიოტს. თქვენი სახელით დიდხანს იამაყებს ქართული მწერლობა და საქართველო.

ლელი ჯაფარიძე.

ძვირფასო დავით!

შენი მაღალი, თავისებური და განუმეორებელი შემოქმედების უდიდესმა პატივისმცემელმა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირმა დამავალა მონაწილეობა მიმეღო შენს დღესასწაულში და გულითადი სალამი მეძღვნა შენთვის, მაღალ ნიჭიერო მწერალო და საყვარელო ადამიანო!

ჩემდა სამწუხაროდ, უღონობის გამო საშუალება არა მაქვს პირადად მოგესალმო.

დღეს, როდესაც ნიშნად პატივისცემისა და გულწრფელი მადლობისა შენი მხატვრული ნაწარმოებით დამტკბარნი ღირ-

სეულად დააფასებენ შენს მადლიანს მოღვაწეობას, მიიღე უგულითადესი სალამი და მადლობა საქართველოს მასწავლებელთა კავშირისაგან.

დავალებით ალ. წერეთელი.

* * *

წერა-კითხვის საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, ძვირფასო დავით, და გილოცავთ ოცდაათი წლის სამწერლო მოღვაწეობას. თქვენი შეუდრეკელი კალამი კიდევ დიდხანს ავსებდეს ძვირფასი მარგალიტებით მკვდრეთით ამდგარ შენი ერის მშობლიურ ლიტერატურას.

გამგეობის თავმჯდომარე

გრიგოლ ბურჭულაძე.

* * *

ტფილისის ვაჟთა მეექვსე გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია,* მოსწავლე ახალგაზრდობა აღფრთოვანებით ულოცავს ეროვნულ დღესასწაულს მხცოვან ნიჭიერ მხატვარ-ბელეტრისტს საყვარელ დავით კლდიაშვილს, რომელმაც ნაყოფიერი შრომით მხატვრულ ფორმებში ჩამოასხა, წარმტაც ფერადებით განავითარა ის, რაც ეროვნულ სულის სიდიადეს, სიღრმეს და საფასურს შეადგენს და მით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ერის შემოქმედებით მუშაობას. ვუსურვებთ ძვირფას იუბილარს ხანგრძლივ სიცოცხლეს თავისუფალი საქართველოს სასიქადულოდ.

* * *

სენაკის სამაზრო ერობის სახელით მხურვალედ მოგესალმებით და აღფრთოვანებით გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს. სავსე გულით გისურვებთ დღეგრძელ და ბედნიერ

სიცოცხლეს ჩვენს მშობლიურ მწერლობის დამამშვენებელს — გთხოვთ მიიღოთ ჩვენგან მწირე წვლილი ხუთი ათასი მანეთი.

ერობის გამგეობა.

* * *

ჭიათურის ქალაქის მუშათა პირველი თეატრის მუშა-მოსამსახურენი და დირექცია მხურვალე სალამს გიძღვნის შავკლდეთა შორიდან, ძვირფასო მამა მწერალო. ჭიათურის თეატრის კედლებს შორის არა ერთხელ და ორჯერ დაუტკბია ჭიათურის პროლეტარიატი თქვენი უკვდავი ტიპების ნახვით. თქვენ თქვენის მახვილი კალმით იმერელი გლეხის ტრაგედია განასახიერეთ კომედიის ჩარჩოებში, ამ სიცილ-ტირილში ქართულ სცენას შეუქმენით უკვდავი დარისპანი, კაროჟნა და სხვა მრავალი. ვიდრე ქართული სცენა იარსებებს, მის კედლებში არ მოისპობა შენი იუმორი.

მინდობილობით ფრანგიშვილი.

მხცოვან მწერალს დავით კლდიაშვილს

ნაფიც ვექილთა* საბჭო გილოცავთ თქვენ 30 წლის ბრწყინვალე მოღვაწეობას.

მთელი თქვენი მოღვაწეობა იყო სამსახური სიმართლისადმი, რომელსაც თქვენ მიუდგომლათ ღიმილით და ცრემლით ააშკარავებდით.

ამისთვის მადლობას გიძღვნით თქვენ ქართველი ერი და მის ხმას ჩვენც ვუერთდებით: „ვაშა მხცოვან დავითს, დღეგრძელობა თქვენ კალამს, მკვეთრ სიტყვას და თბილ გრძნობას!“

ნაფიც ვექილთა საბჭოს თავმჯდომარე

გრ. გიორგაძე

ირაკლი გუნცაძე

15 თებერვალი, 20 წელი.

ტფილისი.

* * *

ქართული მწერლობის სიამაყეს, აზნაურთა წოდების ოსტატ გამკიცხველს, ძვირფას დავითს მხურვალე სალამი.

სერგო ამაღლობელი.*

* * *

გთხოვთ გადასცეთ ძვირფას იუბილარს ჩემი გულითადი და მხურვალე სალამი და უდიდესი პატივისცემა. ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო მოკლებული ვარ სიამოვნებას პირადად მივესალმო ქართული თეატრის აღორძინების ძველ მოწმეს და მოამაგეს და პირად უგულითადეს მეგობარს. ვუსურვებ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს ქართული ლიტერატურის სანუგეშებლად და საამაყოდ.

სახალხო არტისტი **მარიამ საფაროვა-აბაშიძისა***,

* * *

მოგილოცავთ 30 წლის დაუღალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობის დღესასწაულს. გისურვებთ კიდევ დიდხანს არ მოკლებოდეს ჩვენს თავისუფალ სამშობლო სცენას თქვენი მაღალი ნიჭით ნაწარმოები.

ეფემია მესხი*.

* * *

ჩვენი ხელოვნების ერთ-ერთ დედაბოძს, ჩვენი სოფლის ჭირ-ვარამის მომღიმარე მღაღადებელს! მოწიწებით ვეამბორები შენს ჭირნახულ და მეტყველ ჭაღარას, ვისურვებ შენ მიერ ანდერძად გადმოცემული განძი ფრთხილად შეინახოს და გაანაყოფიეროს ახალმა თაობამ.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ნინო ჩხეიძე**

1920.

დავით კლდიაშვილს

ხალხის საყვარელო მწერალო დავით! მოგილოცავ შენი დიდების დღეს. ავადობამ ნება არ მომცა პირად მომელოცნა და გადამეკოცნე.

შენ რომ მთელი ცხოვრება იღვაწე ხალხის სიკეთისათვის, ხალხმაც დღეს მოგიძღვნა სიყვარულის თაიგული.

ვასილ ბარნოვი*.

ივნისის 29, 1930 წელი. ქ. ტფილისი.

ქართველი ერის სასიქადულო მწერალო, ღრმად პატივცემულო ბატონო დავით!

გულით გილოცავთ მე და ჩემი მეუღლე 40 წლის ქებულ მოღვაწეობის იუბილეს სამწერლო ასპარეზზე და სახალხო მწერლის ღირსეულ ხარისხის მიღებას.

საუკუნენი გაირბენენ ვითარცა წუთნი, მოხდება ბევრი რამ ქვეყანაზე, ხოლო ჩვენი შორეული შთამომავლობა კვლავ უშრეტი სიამოვნებით განაგრძობს თქვენი უკვდავი ნაწერების კითხვას. ბეკინა და პლატონ სამანიშვილები, სოლომან მორბელაძე, დარისპანი თავის მარად გასათხოვარ კაროჟნათი და სხვა მრავალი ტიპები, თქვენი მადლიანი ნიჭით და კალმით შექმნილნი, კვლავ გამოიწვევენ იმ შორეულ მკითხველში შებრალებასთან ერთად ჰომირისებურ ხარხარს[...].

დიდათ ვწუხვარ, რომ ავადმყოფობამ არ მომცა საშუალება დავსწრებოდი თქვენს ზეიმს ოპერის თეატრში და გადმომეცა პირადათ ჩემი მხურვალე მოლოცვა.

გისურვებთ ცოლ-შვილით ჯანსაღს და ბედნიერ სიცოცხლეს მრავალჟამიერ[...]

თქვენი მარად პატივისმცემელი

ს. ქვარიანი*.

1. VII. 30 წ., ტფილისი.

* * *

საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორია ულოცავს 40 წლის სახელოვან ლიტერატურულ მოღვაწეობას დიდად ნიჭიერს ბელეტრისტს დავით კლდიაშვილს. უსურვებს მას ჯანმრთელობას და კიდევ დიდხანს ნაყოფიერ სიცოცხლეს.

სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორი

ზაქარია ფალიაშვილი*.

საქართველოს ძვირფასო და სახელოვანო შვილო,
ბატონო დავით!

30 წელიწადია მას შემდეგ, რაც თქვენ დაისახეთ საუკეთესო მიზანი — სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობა. ამ ხნის განმავლობაში თქვენ დაუღალავად და პირნათლად ემსახურებოდით ქართველი ხალხის კულტურულ ინტერესებს.

ის შესანიშნავი მოთხრობები, რომლებითაც თქვენ საუცხოოდ დახატეთ იმერეთის ცხოვრება და ის იუმორი, რომელიც ანათებს შემოქმედების ცეცხლით და სთესს სიყვარულს — დიდ ღირსებას წარმოადგენს არა მარტო ქართველი ხალხისთვის, არამედ მისი მოძმე ერებისათვისაც.

30 წლის შრომა, შრომა კალმით ხალხის საკეთილდღეოდ, — ეს ისეთი დამსახურებაა კაცობრიობის წინაშე, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება მწერლობის ისტორიაში.

აი სწორედ ეს არის მიზეზი იმის, რომ დღეს აქ — იმერეთის შუა გულ ქალაქში, ისე როგორც სამი თვის წინეთ საქართველოს დედა-ქალაქში, ქართველი საზოგადოება სამადლობელ ზეიმს უხდის თავის ღირსეულ და დამსახურებულ მოღვაწეს.

ყველას არ ხვდება წილად ის ბედნიერება, რომელიც თქვენ გარგუნათ ბედმა[...]

ადგილობრივ სომეხთა საზოგადოება, რომელიც მუდამ ქართველ ერთან იყო როგორც ჭირში, ისე ლხინში, იგივე აღტაცებით ეგებება თქვენს იუბილეს, როგორითაც ეგებება ქართველი საზოგადოება.

თქვენ უკვდავ „ირინეს ბედნიერებას“ და „დარისპანის

გასაჭირს“ არა ერთჯერ და ორჯერ დაუმშვენებია ჩვენი პატარა სცენაც და ცხოვრების სარკის სამსახური გაუწევია სომხის საზოგადოებისთვისაც.

უკანასკნელი გულწრფელ სალამს გიძღვნით, სახელოვანო მწერალო, და გისურვებთ ნაყოფიერ მოღვაწეობას თქვენს მიერ ამორჩეულ ასპარეზზე კიდევ მრავალ წელს. ამასთანავე ერთად აღნიშნული საზოგადოება გთხოვთ მიიღოთ მისგან მცირე წვლილი.

ქუთაისის სომეხთა საზოგადოების მონდობილობით
ინჟინერი **მამაჯანოვი**, პროვიზორი **ხოჯაშვილი.**

1920.

ლადო ბზვანელის* საიუბილეო სიტყვა

ქუთაისის მასწავლებელთა სახლის სახელით

[...]დღეს შენი მოთხრობის უკვდავი გმირები — კაცია საგუნაშვილი, სოლომან მორბელაძე, ბეკინა და პლატონ სამანიშვილები, კირილე მიმინოშვილი, ფილიპე ბარბაქაძე, აბესალო სალამთაძე, დარისპანი, ოტია და სხვანი ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას უნერგავენ გულში სიბრალულს ამგვარი პირებისადმი, ამასთანავე, უკარნახებენ, რომ საჭიროა ცოდნით შეიარაღება. დღევანდელი დღე ბედნიერია განვლილ შენს სიცოცხლეში, რადგან ყველა — დიდი და პატარა — აფასებს შენს ნაშრომს, პატივს სცემს შენს ნიჭს[...].

1920, მაისის 23. ქუთაისი.

* * *

ქუთაისის მადლიერი საზოგადოება თქვენთვის მოწყობილ საზეიმო დღეს აღტაცებით მოგესალმება; მის აღტაცებას და მხიარულებას მთელი ქართველი ერიც უერთდება. ჩვენც — გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზიის მოწაფენი მთელი ერის მხიარულებას ვუერთებთ თქვენდამი ღრმა პატივისცემას

და გულწრფელ სიყვარულს, რის გამომხატველიც იყოს ეს ცოცხალი ყვავილების თაიგული.

გაბრიელის სახელობის ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მოწაფენი.

23. V. 20. ქუთაისი.

ია ეკალაძის* სიტყვიდან

დ. კლდიაშვილის გარდაცვალების გამო

[...] აღსრულდა წესი ბუნებისა. ერთი დიდი ჰირისუფალი კიდევ მოაკლდა ქართულ მწერლობას, ერთი დედაბოძი კიდევ გამოეცალა ქართველ მწერალთა ოჯახს: მოკვდა დავით კლდიაშვილი — საქართველოს გოგოლი. ამიერიდან კარგა ხანს შესწყდება მწარე სიცილი ქართულ ლიტერატურაში. ამიერიდან ხანგრძლივად გაჰქრება ტკბილ-მწარე ღიმილი ჩვენი მწერლობიდან, ვინაიდგან დავით კლდიაშვილის ღირსეულ მემკვიდრეს ჯერ ჩვენ ვერავისა ვხედავთ ჩვენს ახალ მწერლობაში![...].

1931.

* * *

როდესაც ხელთ ვიღებ დავით კლდიაშვილის წიგნს, არ შეიძლება არ გავიფიქრო: აი, კლდიაშვილი, განუმეორებლად მეტყველი, თავისებური კოლორიტით მწერალი (არ დაგავიწყდეთ: პირველი ქართველი სახალხო მწერალი). არ შეიძლება არ გაგახსენდეს პაოლო იაშვილის სტრიქონები: „და გადაიქცა ეს იმერეთი არნახულ ზღაპრის დაბოლოებად“. რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა მსოფლიო ლიტერატურაში სოლომან მორბელაძე. ვერც ერთი მწერალი ვერ მოისაზრებდა გამოესახა ბეკინა, და ერთადერთი მთელ

შავიზღვისპირზე დარისპანი, რომელიც მოგზაურობს თავისი ურყევი მიზნით. მოგზაურობს იგი თავისი ლაფჩინებით, ხურჯინით და „იმე-იმე“-თი. რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა კაროჟნა, მშვენიერზე მშვენიერი კაროჟნა, ნამდვილი სახე რევოლუციამდელი[...].

გალაკტიონ ტაბიძე*.

1954 წ., 17 დეკემბერი. ქ. მოსკოვი.



ეროვნებებიდან
დ. ჭოლიაშვილზე



თედო სახოკია

* * *

1905 წელია. ჰაერში რევოლუციის სუნი ტრიალებს — საქართველოს სხვადასხვა საპოლიტიკო პარტიები აშკარად რახმავენ ხალხს ნიკოლოზის ტახტისათვის ძირის გამოსათხრელად. ქართულ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ბათომის კომიტეტი დიდს მზადებაშია: თადარიგს ვიჭერდით დასახვედრად და დასაბინავებლად იმ თოფ-იარაღისა, რომელიც საზღვარგარედ (შვეიცარიაში) შეიძინა ხსენებულ პარტიის პარიზის კომიტეტის თავმჯდომარემ ინჟინერმა გიორგი დეკანოზიშვილმა. ამ იარაღით დატვირთული პარტიის მიერ საკუთრად შეძენილი გემი სირიუსი რამდენსამე თვეში უნდა მოადგეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, ფოთს ახლო.

თიბათვის გასულია. ტფილისიდან ბათომში ჩამოდის განსვენებული ალექსანდრე ჯაბადარი* ცნობების შესავსებად, თუ ადგილობრივი გარნიზონი რა როლს იკისრებს აჯანყებული ხალხის გამოსვლისას, და ამისთვის უნდა დავკავშირებოდით ბათომში დაბანაკებულ ჯარის ოფიცრებს. ამ ოფიცრობაში სანდო ადამიანად ითვლებოდა განსვენებული დავით კლდიაშვილი, რომელიც ცოლშვილიანად ცხოვრობდა ეგრედ წოდებულ გოროდოკში.

დ. კლდიაშვილს ჟურნალ „მოამბის"* საშუალებით უკვე ნიჭიერად საპატიო მწერლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. გარდა ამის, ქართველ მგოსანს გრ. ვოლსკისა* და მისთა თანამოსაგრეთა* მხარს უმშვენებდა საქალაქო საქმეთათვის შავრაზმელებთან ბრძოლაში და ქართველ მოსახლეთა ინტერესთა დაცვის საქმეში. ხოლო როგორც სამხედრო, დ. კლდიაშვილი ცნობილი იყო, როგორც მატარებელი იმ დროის მოწინავე აზრებისა, პირდაპირი, თავის პრინციპების განხორციელებისათვის თავდაუზოგველი. თავის ხელქვევით მყოფ სალდათებთან მოპყრობის საკითხში თვალსაჩინოდ განირჩეოდა შავრაზმელ კოლეგებისაგან, რომელნიც სალდათებს ისე უყურებდნენ, როგორც ცხვრის ფარას. დავითი არაჩვეულებრივი სიყვარულით ეკიდებოდა ამ ყველასგან დაჩაგრულთ და ხელმწიფის ტახტის გამაგრებისათვის საჭირო ბრმა იარაღს. სალდათებიც ჭვრძნობდნენ ამას, განსაკუთრებულის პატივისცემით ეკიდებოდნენ თავიანთ უფროსს და მზად იყვნენ მის ადამიანობისათვის ყოველგვარი მსხვერპლი შეეწირათ.

აი, ამ მეტად საფრთხილო და საჭოჭმანო* წუთში ეტლით მივემართებოდით ალ. ჯაბადარი და მე დავით კლდიაშვილის გოროდოკისაკენ, იმედეულნი, რომ მისგან მივიღებდით ყოველმხრივს დახმარებას, რაც კი რამ ხელიდან გამოუვიდოდა.

შინ დაგვიხვდა. მეტად გაეხარდა თავის საყვარელ ჟურნალ „მოამბის" და გაზეთ „სახალხო ფურცლის"* რედაქტორ-გამომცემლის* და ჩემი, როგორც ორისავ ორგანოს თანამშრომლის, ნახვა, გაგვაცნო მეუღლე, შვილები, რომლებიც (სერგო და მისი დაია) გიმნაზისტების ფორმის ტანისამოსს ატარებდნენ და ასე პირველ და მეორე კლასში უნდა ყოფილიყვნენ. მა-

შინაოვე განკარგულება გასცა ძვირფას სტუმრების გასამასპინძლებლად.

სანამ სადილი მზადდებოდა, გავაცანით ჩვენის ვიზიტის მიზანი და ვსთხოვეთ ეთქვა, თუ რაში უნდა გამოხატულიყო ამ გაჭირების დროს მისი ხელისშეწყობა სარევოლუციო მოძრაობისათვის.

საოცარი აღფრთოვანებით მოგვისმინა სათქმელი განსვენებულმა. ცოცხალი თვალები უმეტესად გაუცოცხლდა. ისედაც მოძრავი სხეული აუტოკდა და თითქო ერთ ალაგას გაჩერებული ადგილს ვერა ჰპოულობდა.

— მადლობელი ვარ თქვენი, რომ გამახარეთ, — გვითხრა პასუხად დავითმა, — და გულს იმედი ჩამისახეთ, — იქნება მოვესწრო დაემხოს ნიკოლოზის ტახტი და ჩვენს ქვეყანას, ჩვენს გაწამებულ ხალხს ეღირსოს რუსეთის ორთავიან არწივის კლანჭებს თავი დააღწიოს და საკუთარის, დამოუკიდებელ ცხოვრებით იცხოვროს, სხვა ერებს გვერდთ ამოუდგეს, როგორც სწორი სწორს. ეს ჩემი ოცნების საგანია და ამისთვის თავიც არ მეზოგება. მაგრამ... მაგრამ... მარტო ვარ, მარტო, ჩემო ალექსანდრე, გარშემო სულ შავრაზმელები მახვევია. ჩემი როტა რომ გამომყვეს, სხვები გამომყვებიან? ამისათვის აქ მუშაობა არავის გაუწევია, არავინ ცდილა გაეღვიძებინა გონებაბნელი და ჩამორჩენილი სალდათი რუსისა. სარევოლუციო პროპაგანდა მიმართული იყო, აქაურ ნავთის საწმენდ ქარხანაში მომუშავეებისაკენ. ესენი ჩვენი ხალხია, მკვირცხლი, მიხვედრილი. საკმარისია ერთი კი მოჰკრას ყური მისთვის და მის ქვეყნისათვის სასიკეთო აზრს, რომ მაშინვე მიხვდეს ყველაფერს და მხარში ამოგიდგეს. აქაურ ჯარის მიერ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება მაშინღაა მოსალოდნელი, როდესაც ხალხი, უმრავლესობა, გამარჯვებული იქნება, წითელ დროშას დაიჭერს ხელში და გაუძღვება წინ მოელის მოძრაობის საქმეს. ჯერ-ჯერობით მათს შესახებ ვერაფერს გეტყვით. მერე ვნახოთ. პირადად მე ჩვენის ქვეყნის ჭირის სანაცვლო ვიყო! როგორც ერთი ვიცი, მომიხმარეთ, რაც გენებოსთ, ის დამავალეთ. რაც ჩემს ძალ-ღონეს მოეთხოვება, მზათა ვარ რევოლუციის სამსხვერპლოზე ზვარაკად მივიტანო ჩემი სიცოცხლე...

გამოგვკითხა იარაღის შემოტანის დრო, მისი გასანაწილებელი პუნქტების მდებარეობა; საერთოდ გაეცნო გეგმას სამხედრო კაცის თვალსაზრისით. მოგვისმინა. რამდენიმე მოსაღოდნელი დაბრკოლება გაგვითვალისწინა და დავასრულეთ კ-დეცა ჩვენი ამ ტემაზე ბაასი. გადავედით ლიტერატურასა და ლიტერატორებზე.

ამას მოჰყვა სადილი. დიასახლისობდა დავითის მეუღლე, ‘შვენიერი და პატივცემული მარიამი[...].

ტფილისს გარეთ მეორეჯელ საყვარელი მწერალი და ადამიანი ვნახევი საკუთარ სახლში, სოფ. სვიმონეთში.

1930 წლის შემოდგომაა. ენკენისთვეა. დავით კლდიაშვილი მძიმე ავადმყოფი, თავის სამშობლო სოფელ სვიმონეთშია. ავადმყოფობას ისე დაურევია ხელი, რომ იმედი აღარავითარია სიკვდილს თავი დააღწიოს. ავადმყოფს უვლის მისი სამარის კარამდე ერთგული და მისთვის თავდადებული მეუღლე, აწ განსვენებული მარიამი. საჭიროა, აუცილებლად საჭიროა ავადმყოფის დაწვენა საავადმყოფოში; მხოლოდ და მხოლოდ საავადმყოფოს რეჟიმში შეიძლება მისი გაჩერება და ყურისგდება.

მწერალთა კავშირში მოილაპარაკეს სოფლიდან დავ. კლდიაშვილის წამოყვანის შესახებ. ეს საპატიო როლი დაგვაკისრეს მე და დავითის უფროსს შვილს და მამის მიერ გაკვალულ გზის ღირსეულ გამგრძნობს სერგო კლდიაშვილს. ტფილისიდან წამოსულები ჩამოვხტით სვირის სადგურზე. აქედან ფეხით შევუდექით გზას. ჯერ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გზა ვაკეზე მიდის, მერე, სოფელში შესვლისას, ზევით აუხვევს. აქ თავდება აჯამეთის ჭაობების ნაწილი და იწყება ზეგანი იმერეთი თავის საღის ჰაერითა და ბუნების სიკეკლუცითა. კიდევ ორი კილომეტრი სიარულისა და მივადექით მწერლის ხშირ ძელქვებში* ჩადგმულ ფიცრულ ოთხთვალა სახლს.

დავითი მწოლიარე დაგვიხვდა. გადავკოცნეთ ერთმანეთი. უზომოდ გაიხარა ჩვენს მისვლაზე. ხელად გვათქმევინა ტფილისის ამბები, მწერლების როგორმყოფობა, მათი მუშაობა. შემოგვჩივლა: ძალიან ვიტანჯვი და მაწუხებს: ცალკე ავადმყოფობა და ცალკე კიდენ — ტფილისისა და მეგობრების მოშორება.

— აი, სწორედ ამიტომ გეახელით, ჩემო დავით! — ვუთხარი მე. — დაგვავალეს ტფილისში წაგიყვანოთ და საავადმყოფოში მოგათავსოთ. საუკეთესო ექიმები დაგადგებიან თავზე. ეცდებიან მალე ფეხზე დაგაყენონ იმდენად, რომ წერაც კი შეიძლო. — გაუხარდა. დაგვეთანხმა: ჩემი საწყალი მეუღლე მეტად დაიღალა ჩემს მოვლაშიო, დაისვენებსო...

მეუღლემ განკარგულება მოახდინა: მეზობლებს სთხოვა: პატივი ეცათ და დავითი სვირის სადგურამდე საკაცით წაეყვანათ. დასთანხმდნენ. ყველანი მზადებას შეუდგნენ მეორე დღისათვის.

მე კიდენ მეორე დილას დავათვალიერე სოფელი. ავედი ზედმოკრულ გორაკზე. ზედ პატარა ეკლესიაა წამოდგმული. საუცხოვო სურათი გადაგეშლებათ თვალწინ ყვირილასა და რიონის სანაპირო ადგილებისა, აჯამეთის ტყისა. თვალწარმტაცი საყურებელი იყო მთელი ტყე ძელქვებისა*, საქართველოს ამ ძვირფას და საარქეოლოგიო ხეებისა.

ამ სურათების ნახვის შემდეგ-ღა შევიგენ, თუ რად უყვარდა დავითს ასე უსაზღვროდ თავის სამშობლო სოფელი, საცა უცვლელ მასალას ჰპოულობდა თავის მოთხრობების უკვდავ ტიპების ჩამოსაქანდაკებლად![...].

სწორედ იმ წუთს, რა წუთსაც უნდა გამოვსულიყავით სვიმონეთიდან, ავადმყოფმა ერთბაშად გადაიფიქრა. მოეჩვენა, — ალბად სასიკვდილოდ მივყევართ ტფილისშიო. მისი ოთახიდან მოგვესმა დაუწყნარებელი სასოწარკვეთილების ყვირილი: არ მინდა ტფილისში წასვლა... არ მინდა... იქ მომკლავენ... თუ სიკვდილია, ისევ ჩემს მაშოს ხელში მოვკვდეს ჩემსავე სახლშიო...

ძლივს დავამშვიდეთ: თუ არ გნებავსთ, თქვენი ჭირიმეთ, ჩვენ თქვენის ნების გადასულს აბა როგორ ვიზამთ-მეთქი!

გამოვემშვიდობეთ...

ეს ჩემი უკანასკნელი გამომშვიდობება იყო მასთან და მისი უკანასკნელივე ნახვა ცოცხლისა...

1946, თიბათვის 16 დღ.

ვასო გორგაძე

მოკვაკვდავი ნოდების მხატვარი

დ. კლდიაშვილი იყო ტიპი მწერლის, რომლისთვისაც ცხოვრება და მხატვრული შემოქმედება განუყრელ სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენდა.

რა არის მთავარი, რაც იწვევს მკითხველის — განსაკუთრებით საბჭოთა მკითხველის — ყურადღებას დავითის ნაწერებში?

მისი შემოქმედება უმთავრესად ეკუთვნის წარსულს, — თუმცა არც ისე შორეულს.

ჩვენ ყველამ ვიცით ეს წარსული. ქალაქად: რეაქციის სუსხი, თვითმპყრობელობის ბრჭყალებში მგმინავი მუშათა კლასი; სოფლად: გლეხკაცობა ბატონყმობის უღლის ქვეშ გაწამებული. მეფის მოხელეებისა და სამღვდელოების თვითნებობა, რელიგიური ფანატიზმი, მშრომელი ხალხის უკულტურობა, წერა-კითხვის უცოდინარობა და სხვ.

აი, ამ ფონზეა გაშლილი დავითის მხატვრული ტილოები. ამ ტილოებიდან პირველ ადგილზე დგას „სოლომან მორბელაძე“ — ნაწარმოები, თავისი კონკრეტულობით იშვიათი რამ მთელს ჩვენს ლიტერატურაში[...].

სასაცილოა თავის პატარა კარ-მიდამოსთვის შიშით აცახცახებული აზნაური პლატონ სამანიშვილი („სამანიშვილის დედინაცვალი“), რომელიც სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მოხუცი მამის ცოლის შერთვის განზრახვამ. ვაი, თუ, გაწყრეს „ღმერთი“, მოხუცს შვილი ეყოლოს და ჩემს მიწა-წყალზე მეტოქე* გამომიჩნდესო [...].

დ. კლდიაშვილი მხატვრული სიტყვის მთელი სიმახვილით იბრძვის ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, როგორიცაა: ხატზე გადაცემა („შერისხვა“), ცრუ შეხედულება, რომლის მიხედვით სახლი, სადაც იმყოფება ავადმყოფი გადამდები სენით, უნდა დაირღვეს, თვითეული ფიცარი გაიწმინდოს და მერე ისევ თავის ადგილას დაიდგას („მიქელა“).

მწერლის მახვილ მზერას არ გამოპარვია სამღვდელოების პარაზიტობაც: მღვდელი მიხეილი, ხარბი და გაუმაძღარი მე-

დავითნე პეტრე-დამშეულ გლეხკაცობას რომ ართმევს უკანასკნელ სანოვაგეს და ხურჯინით ეზიდებიან შინისკენ („მრევლში“).

მხატვრის შეგნება ვერ ურიგდება ქალთა სოციალურ უთანასწორობას („ირინეს ბედნიერება“), ოჯახურ უკულტურობასა და დესპოტიზმს („მსხვერპლი“).

ასეთია მოკლედ დ. კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედების გზა. გზა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი. დავითმა — მეცხრამეტე საუკუნის იმერეთის არც იმდენად მხიარულ ფონზე გაშალა თავისი პერსონაჟების ერთობ უფერული და უგემური ცხოვრება. როგორც დიდმა მხატვარმა დაჰგმო იგი (ეს ცხოვრება).

ხეშმარიტი შეგოქმედი

ქართული მწერლობის ბაღში მრავალი ყვავილი ხარობს. ამ ყვავილებს შორის თავისებური ფერითა და სურნელებით გამოირჩევა დავით კლდიაშვილის შემოქმედება.

იგი ბავშვობიდანვე დამკვიდრდა ჩვენს სამყაროში. ნ. ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას ლექსებთან ერთად ვითვისებდით ჩვენ მის პოეტურ პროზას.

დავითის ნაწარმოებს პირველად სკოლის მერხზე, სახელმძღვანელოში, გავეცანი. ეს იყო ცნობილი მოთხრობა „სოლომან მორბელაძე“.

მოთხრობის კითხვამ თავიდანვე ისე გამიტაცა, რომ თითქმის ყოველდღე გადავიკითხავდი ხოლმე მას და მთელი აბზაცები ზეპირადაც ვისწავლე.

როდესაც წამოვიზარდე და სასულიერო სემინარიის მოწაფე გავხდი, იგი პიესად გადავაკეთე და ჩემს ძმასთან ერთად, მშობლიურ სოფელში წარმოვადგინეთ.

არ ვიცი, როგორი მსახიობები ვიყავით მე და ჩემი ძმა, მხოლოდ ის კი მახსოვს, რომ ცოტად თუ ბევრად, შევძელით ნაწარმოების შინაარსის მიტანა მაყურებელთა გულამდე.

ეს იქიდანაც ჩანდა, რომ პიესის წარმოდგენა გაგვამეორებინეს მეზობელ სოფლებშიაც.

დავითის ნახვა პატარაობიდანვე ჩემს სანუკვარ ოცნებას

წარმოადგენდა. ნატვრა მხოლოდ ოციან წლებში შემისრულდა, როცა, დროებით საცხოვრებლად ქუთაისში გადავედი.

რამდენადაც მახსოვს, იმ ხანებში დავითი სიმონეთში ცხოვრობდა. იგი ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში. შუაგულ ქალაქში, ბაღთან, გამოვლილ დავითს ავედევნებოდით ხოლმე მე და სანდრო ცირეკიძე* და გავაბამდით მასთან ტკბილ საუბარს. რაოდენ ახლობელი და მშობლიური იყო ჩვენთვის მასთან შეხვედრა.

კიდევ უფრო ხშირად ვხვდებოდი დავითს თბილისში, როცა „მნათობის“* რედაქციაში დავიწყე მუშაობა. დავითმა ჟურნალში მოსათავსებლად მოიტანა თავისი საუცხოო მემუარები. „მნათობს“ მაშინ აგენტების* საშუალებით ვავრცელებდით. ჟურნალის ტირაჟი მაინც და მაინც დიდი არ იყო.

მემუარების პირველი თავების დაბეჭდის შემდეგ კი მკითხველთა ინტერესი „მნათობისადმი“ დიდად გაიზარდა და ხელისმომწერთა რიცხვმაც იმატა — ხუთი ათასს გადააჭარბა.

1927 წლის ზაფხულზე ვალერიან გაფრინდაშვილსა* და რაჟდენ გვეტაძესთან* ერთად ქვიშხეთიდან ბორჯომს ჩავედით. ვიცოდით, დავითი სანატორიუმში ისვენებდა. საღამოს სანატორიუმში შევიარეთ — საყვარელი მწერლის სანახავად. დავითი შინ არ დაგვხვდა. კონცერტზე იყო წასული პარკში. როცა მივედით, მწერალს ჩვენი ნახვა ძალიან გაეხარდა. იგი მოხიბლული იყო კონცერტით, განსაკუთრებით ახალგაზრდა მსახიობთა სიმღერებით. ჩვენც დაგვტოვა იმ საღამოს კონცერტზე.

* * *

დავით კლდიაშვილმა პირველ მოთხრობის გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება. მწერალი დღემდე სარგებლობს დიდი პოპულარობით და ჩვენი ხალხის ღრმა სიყვარულით.

ცხადია, ამ სიყვარულის სათავე თვით მწერლის შემოქმედებასა და პიროვნებაში უნდა ვეძებოთ.

არ არსებობს დიდი ლიტერატურა მაღალი იდეებისა და დიდი ჰუმანიზმის გარეშე. თვითონ დავითი ამბობდა: თუ

მწერალი განყენებულია, ის ჩემთვის არ არსებობს, ტყუილ ის, კუდაბზიკა აზნაურივით იქაჩება. კაცი იმას არ უყვარს, ადამიანის უკეთესობისათვის არ ფიქრობს. სიძულვილით შორს ვერ წახვალ, გავა დრო, სკოლა გაჰქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანის სიყვარულით არის სავსე.

დავითმა სწორედ ადამიანის სიყვარული დაუდვა საფუძვლად თავის შემოქმედებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას.

მან მოგვცა ჩვენი ცხოვრების ღრმაშინაარსიანი, მართალი და მწვავედ მამხილებელი სურათი, განამტკიცა და განავითარა რეალისტური მიმართულება ჩვენს მწერლობაში.

მან უფრო მჭიდროდ დაუკავშირა ლიტერატურა ცხოვრებას, განაგრძო ქართული მოწინავე მწერლობის საუკეთესო ტრადიციები.

დავითის პროზას ახასიათებს თავისებური რიტმი. მისი ფრაზა, უმეტეს შემთხვევაში, მუსიკალურია, განსაკუთრებით დიალოგები.

ზოგიერთი ადგილი დავითის მოთხრობებიდან, ლექსებივით, ზეპირად განახსოვრდებათ. ცნობილია, რომ დავითს ხელოვნების დარგებიდან ყველაზე მეტად უყვარდა მუსიკა. მზად იყო მთელი დღე ესმინა მუსიკალური ნაწარმოები. დახუჭავდა თვალს და უსმენდა. ტკივილებსაც, ავადმყოფობის დროს, მუსიკით უყუჩებდნენ. კიდევ მეტიც. ვფიქრობთ, მთელი მისი შემოქმედება მუსიკის ძირებიდან მოდის, მისი სუნთქვით არის გაცხოველებული, როგორც ჰეშმარიტი პოეტური შემოქმედება.

აქ თითქოს იშლება ზღვარი პოეზიასა და პროზას შორის. ორივეს საფუძველი მუსიკაა. მაგონდება ჩვენი პოეზიის გოლიათები: აკაკი და ვაჟა. განა აკაკი არ ამბობდა — ლექსს ვერ ვწერდი უსიმღეროდო? როგორც ვიცით, ლექსის დაწერის წინ იგი აუცილებლად წაიღიღინებდა რაიმე მოტივს. შემდეგ შეუდგებოდა წერას.

ასევე — ვაჟაც. ვაჟაც, თითქოს პოეტური განწყობილების შესაქმნელად, ჯერ ფანდურს ჩამოჰკრავდა თითებს, შემდეგ, საკრავს გადადებდა გვერდზე, და შეუდგებოდა წერას. აქედან,

ადვილი გასაგებია, ვაჟას ლირიკული ლექსების უმეტესობას რატომ აქვს საერთო სახელწოდება „სიმღერა“.

ასევე ნამდვილი პოეტური შთაგონებით არის დაწერილი დავითის საუკეთესო მოთხრობები.

ჯერ დავითის და შემდეგ სერგო კლდიაშვილის საინტერესო მემუარებიდან ვიცით, რომ ასე დაიწერა „სოლომან მორბელაძე“ და „წრფელი გული“.

დავითისთვის პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მიმცემი იყო. იგი, ეს სტრიქონი, მწერლისთვის იგივე იყო, რაც — მომღერლისათვის — კამერტონი [...].

საზოგადო სარბიელსე მწერალი როდი იფარგლებოდა მარტო მხატვრული შემოქმედებით.

იგი მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ჟურნალ-გაზეთები, თეატრი, სკოლა — შეადგენდა მწერლის ყოველ-დღიური ზრუნვის საგანს.

1912 წლის სიმშილის დროს, როგორ იტანჯებოდა მწერალი დამშეულთა გაჭირვებით, რამდენი ადამიანი გადაარჩინა მან სიკვდილს სიმშილისგან!

დავითს თავდადებით უყვარდა ხალხი და ხალხმაც იგი შეიყვარა. სიყვარული უკვდავია!

სერგო კლდიაშვილი

დავით კლდიაშვილი

I

1930 წლის ივნისის ოცდაცხრას თბილისში დავით კლდიაშვილის იუბილე იმართებოდა. ამის შესახებ გაზეთებში ადრევე იბეჭდებოდა ცნობები, ჟურნალებში თავსდებოდა წერილები. დედა და მამა იმხანად სიმონეთში ცხოვრობდნენ. თუმცა სოფელში გაზეთები მოსდიოდათ და იქიდანაც შეეძლოთ ყველაფერი გაეგოთ, მე მაინც ხშირად ვწერდი მათ მომავალი იუბილეს სამზადისზე. უმთავრესად მაინტერესებდა

დედის პასუხი, — რა შთაბეჭდილებას ახდენდა ეს ამბავი დავითზე, რას განიცდიდა? დედის ყოველი წერილი თითქმის ერთი და იგივე შინაარსის იყო: დავითი სუსტად არის და იუბილეზე წასასვლელად უარს ამბობს.

გადავწყვიტე სოფელში ჩასვლა იმ მიზნით, რომ, ასე ვთქვათ, მამა ხასიათზე მოვიყვანა, შემემზადებია მომავალი დღესასწაულისათვის[...].

მამა სიხარულით შემხვდა.

ივნისის დასაწყისია, გარეთ მზეა, დავითის ოთახის ბუხარში კი ცეცხლი ანთია.

დავითი ლოგინში წევს. სკამზე გვერდით ჩაის დაცლილი ჭიქა დევს. ჩაი ყველაფერია დავითისათვის. მხოლოდ ამაზე არ შეუძლია უარი თქვას. ამასთანავე, ჩაი ძალიან ცხელი უნდა იყოს. თუ ახლად ადუღებული ჩაიდნიდან არ იქნა წყალი გადმოსხმული, ისე არ დალევს. ბუხართან მუდამ დგას ჩაიდანი. ყოველ წუთში მოსალოდნელია დავითმა ჩაი მოითხოვოს.

რა საოცრად შეცვლილა რაღაც ორ თვეში!

რატომღაც მეჩვენა, რომ მის სახეს სიკვდილის ფერი აჩნდა. ვცდილობდი მომეშორებია ეს ფიქრი, მაგრამ ამაოდ.

ვცდილობდი მხიარული ვყოფილიყავ, თუმცა გულს სულაც არ უხაროდა.

— მაშ მე და შენ მალე წავალთ თბილისში! — ვეუბნები ნაძალადევი ხალისით.

დავითი ამღვრეული თვალით ხანგრძლივად მომაჩერდა:

— თბილისში! რატომ? ახლა ზაფხულია. აქ ყოფნას რა სჯობია. თუ მაინცდამაინც უნდა წამოვიდე, მაშინ შემოდგომაზე...

— მაშ იუბილეზე წასვლას არ აპირებ?

— რა იუბილე?

— აღარც ახსოვს, თუმცა წუხელ კიდევ შეეახსენე, — ჩამჩურჩულა დედამ.

ისევ უნდა ვუამბო ყველაფერი. დავითი მისმენს მშვიდად და როცა სიტყვას ვათავებ, უეცრად მისი ხმა მესმის:

— არაფერი საჭიროა!

ხმის კილოზე ვამჩნევ, რატომღაც გაბრაზდა.

— არაფერი საჭიროა! — უფრო ხმამაღლა იმეორებს. — ვის რად აინტერესებს ჩემი იუბილე! არაფერი საჭიროა. არაფერი საჭირო. არაფერი მითხრა იუბილეზე. იცოდე, არ მინდა და არ წავალ! [...].

— სოფელში მე ორი მეგობარი მყავს, — იღიმება დავითი, — დედაშენი და ეს ჩაიდანი.

ისევ იუბილეზე ვიწყებ ლაპარაკს. ამოვიღე გაზეთები, ჟურნალები.

— წამიკითხე, წამიკითხე! — გახალისდა დავითი.

წავუკითხე ქრონიკები, მერე ჟურნალები გადავფურცლე. ჟურნალ „ქართულ მწერლობაში"* მოთავსებული წერილი უმთავრესად „სამანიშვილის დედინაცვალს" ეხება. მოყვანილია ადგილები მოთხრობიდან. წავიკითხე ერთი გვერდი, ორი, სამი.

ვკითხულობ:

— „...ვძებნოთ, პლატონ, ვძებნოთ! ხა! ხა! ხა! ჩემს დღეში ამგვარ უცხო საქმეზე არ მივლია და აქედან ვიცი, რომ ბევრი გასართობი მოგველის! რამდენ დედაბერს სანატრელად გავუხდით უშვილოდ ყოფნას"!..

აქამდე დავითი ჩუმად მისმენდა, თვალდახუჭული. უეცრად მისი სიცილი მომესმა:

— ეგ საინტერესოა რაღაც!

გაკვირვებით ვუცქერი.

კითხვას განვაგრძობ:

„— ასე დაგეწყო, შე დალოცვილო, თავიდანვე... ტყვილა გამალანძღვიე ნათესავი კაცი"...

ისევ დავითის სიცილი მესმის:

— რა არის ეგ, რას კითხულობ? რაღაც საინტერესოა!

— ეს ხომ „სამანიშვილის დედინაცვალია!".

— ჰა?

— შენი მოთხრობა... „სამანიშვილის დედინაცვალის" ადგილებია.

— არ ვიცი, — გაკვირვებულია დავითი. — რა ჩემი მოთხრობა, რა სამანიშვილი!..

— აღარ ახსოვს! — ჩუმად და მწუხარებით მეუბნება დედა.

მაშინ მე წიგნი მოვძებნე, ვიპოვე მოთხრობა.

— გინდა თვით ეს მოთხრობა წაგიკითხო?

— ძალიან კარგს იზამ... ეგ რაღაც საინტერესო უნდ-იყოს! — წახალისებულია მამა.

დავიწყე კითხვა.

დავითი იცინის.

დედის თვალებზე ცრემლებს ვხედავ.

კითხვას განვაგრძობ. ყურადღებით მისმენს. მხოლოდ ხან-დახან იტყვის:

— მდა, უცნაური ამბავია!

თითქმის მოთხრობის მეოთხედი მაქვს წაკითხული.

უეცრად დავითის გულისწყრომით სავსე ხმა მესმის:

— ეგ ხომ ჩემი მოთხრობაა! რად მიკითხავ?

ვკეცავ წიგნს.

მოაგონდა... მაშ კიდევ არის იმედი, იქნებ შევძლო მისი გამობრუნება... არსებობს ამის ერთადერთი წამალი:

ეს არის დავითთან ლაპარაკი, მისი გართობა, საუბარი...

[...]სამი დღის შემდეგ უკეთ შეიქნა.

მე მგონია, დავითი მეტ ხანს იცოცხლებდა, რომ არ სცოდ-ნოდა საოცარი მოწყენა... მარტოობას ვერ იტანდა.

დავითს მაღალი, ძლიერი ხმა ჰქონდა. როცა მარტოობის გრძნობა მოერეოდა, ისეთი ხმით სწუხდა, რომ ამოოხვრა გუგუნის მსგავსად ისმოდა. როცა ერთხელ ვკითხე, რატომ სწუხარ და გუგუნებ ასე უცნაურად-მეთქი, გულაჩუყებით მითხრა:

— მარტო ვარ! [...].

II

საიდან მოდის დავითის გვარი

ჩემი ახალგაზრდობის წლებში სიმონეთში ცხოვრობდა გლეხი ოქრუა ლიკლიკაძე. ღრმად მოხუცი იყო. ძველი ამბე-ბის მოყოლა უყვარდა. მრავალი ხალხური ლექსი იცოდა ზე-პირად. მისგან არა ერთი ზღაპარი და თქმულება გამიგონია. ერთხელ მან მითხრა:

— თქვენ, კლდიაშვილები, მესხეთიდან გადმოსული ხართ. წინანდელი თქვენი გვარი შალიკაშვილი იყო. როცა თურქებმა მესხეთი დაიპყრეს, მაშინდელი ჩვენი მეფე იმერეთში გადმოვიდა. მესხეთიდან თან გადმოჰყვა თქვენი წინაპარი კლდია შალიკაშვილი და აქ, სიმონეთში, დასახლდა. ახლა აქ რომ ფანჩულიძეები, სულამანიძეები, საპანაძეები, გიორგაძეები და ლიკლიკაძეები სახლობენ, ესენიც მესხეთიდან გადმოსული არიან. ჩემი წინანდელი გვარი ლიკლიკაძე კი არა, ლაკლაკიძე ყოფილა...

ოქრუა ცოცხალი აღარ იყო, როცა ერთხელ ეს ამბავი დავითთან გავიხსენე და ვკითხე: გაგონილი ხომ არ ჰქონდა წინათ?

— როგორ არა, გაგონილი მაქვს, — თქვა დავითმა და მერე ღიმილით დაუმატა: — გადმოცემა იქნება რაღაც, თქმულება. ოქრუას ძველი ამბების მოყოლა უყვარდა. ბევრ რაიმეს გაიგონებდა მისგან კაცი, მაგრამ სიმართლესთან ახლოა თუ არა, ეს ღმერთმა იცის...

დავიწყებას მიეცა ოქრუასაგან თქმული. ჩვენი ოქრუა, ცოტა არ იყოს, ფანტაზიორი იყო და იქნებ იმიტომაც შეთხზა ეს ლეგენდა, რომ ჩვენი სოფლიდან ძალიან კარგად ჩანან მესხეთის მოსაზღვრე მთები და მოხუცს ყოველთვის თვალწინ ედგა ისინი.

მაგრამ გავიდა წლები და, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, დამტკიცდა მოხუც ოქრუას მონაყოლის სიმართლე. ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წინა წლებში ისტორიკოსმა სარგის კაკაბაძემ ერთხელ საუბარში მითხრა: — შემხვდაო საბუთი იმის შესახებ, რომ კლდიაშვილები მესხეთიდან იმერეთში გადმოსული არიან მეთექვსმეტე საუკუნეში და პირველი მათი გვარი შალიკაშვილი იყოო...

1959 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტმა გამოსცა „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა“, რომელშიაც ის ჩემთვის საინტერესო საბუთიც შემხვდა [...].

IV

ბეკინა და პლატონი, როსტომ მანველიძე, არისტო, კირილე — სინთეტური სახეებია იმ ადამიანებისა, რომლებიც დავითს უნახავს ან მათ შესახებ სიმამრის ოჯახში გაუგონია.

„სამანიშვილის დედინაცვლის“ ის მომენტი, რომ ჭარმაგმა მოხუცმა ბეკინამ მეორე ცოლის მოყვანა განიზრახა, სინამდვილიდან არის აღებული. ამბავი გადახდა ბაბუა პავლესთან* დაახლოებულ ერთ აზნაურს.

მე კარგად მახსოვს ბეკინას პროტოტიპი* — მაღალი, გამხდარი, ლხინის დიდი მოყვარული, შესანიშნავი მოსიმღერე, საოცარი ენამახვილი აზნაური ივანე ავ-ლი. იგი პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული.

ბეკინა სამანიშვილსა და მის პროტოტიპს შორის არის გაწსხვავებაც. ივანე ავ-ლი შეძლებული იყო და მეორე ცოლის ხელში ჰყავდა რამდენიმე ვაჟი, რომელთა დავაჟკაცებას მოესწრო და რომლებთან თავის მოხუცებულობას მოლხენაში ატარებდა.

პავლე მაჭავარიანს ნაამბობი აქვს დავითისათვის მხოლოდ ის ამბავი, თუ რა მიზეზით გამოეყო ივანეს თავისი უფროსი ვაჟი. სწორედ ეს ამბავი დაამუშავა დავითმა პირველ ვარიანტში, რომელსაც ეწოდება „ძილი მოსვენებაა“.

ჩემს ხელთ იყო კიდევ მეორე ვარიანტი სახელწოდებით „სიზმარი“, რომელსაც იხსენიებს ავტორი თავის მემუარებში. ეს „სიზმარი“ ოდნავ შესწორებული შინაარსით და გავრცობილი, თითქმის არ განსხვავდებოდა პირველი ვარიანტისაგან. გადაწერილი იყო თეთრად და, როგორც ჩანს, დავითს განზრახული ჰქონდა ჟურნალ „მოამბეში“ გაეგზავნა დასაბეჭდად.

„ძილი მოსვენებაა“ დათარიღებულია 1895 წლის 17 ივნისით, ხოლო „სიზმარი“ აღნიშნული იყო 1896 წლით. „სამანიშვილის დედინაცვალი-ს“ საბოლოო ვარიანტი, რომელსაც დღეს ჩვენ ვიცნობთ — დაიბეჭდა „მოამბეში“ 1897 წლის იანვრის ნომერში. მაშასადამე, ავტორს რამდენიმე თვის გან-

მავლობაში დაუწერია და საბოლოოდ დაუმუშავებია ნაწარმოები [...].

„სამანიშვილის დედინაცვალის“ არც ერთი გმირი კონკრეტულად არ ჩანს ვარიანტებში. სახელიც და გვარიც სხვა აქვთ. მაგალითად, ვარიანტში ბეკინას ეწოდება ბეჟან სანებლიძე, — პლატონს — არჩილი, დარიკოს — ქრისტინე. კირილე მიმინოშვილი სულაც არ არის დასახელებული. მხოლოდ გაკვრით ამბობს ქრისტინე (შემდეგში დარიკო), რომ მისი ქმარი „ერთი კვირაა, საცხა დადის, კაცმა არ იცის“. საბოლოო რედაქციაში ვარიანტებიდან გადმოსულია მხოლოდ ერთი გვარი, სახელდობრ „ბრეგაძის ნაცოლები“ [...].

* * *

ალბათ, დიდად საინტერესო და სასარგებლო იქნება, ამა თუ იმ მწერლის ბიოგრაფიასთან ერთად მისი ნაწარმოებების ბიოგრაფიებიც რომ მოგვეპოვებოდეს.

მსოფლიო ლიტერატურის ყველა თვალსაჩინო ნიმუში, ყველა შედევრი ცხოვრების მიერ არის ნაკარნახევი. მწერლის ნაწარმოებთა ბიოგრაფიების გაცნობისას დავინახავთ, რომ მათ ხშირად სარჩულად უდევს სინამდვილიდან აღებული ამბავი. მაგრამ მხოლოდ სარჩულად. ხოლო ის, რაც ნაწარმოებს დიდ სასიცოცხლო ძალას ანიჭებს, სინამდვილიდან ნასესხები სიუჟეტი კი არაა, არამედ შემოქმედის ტალანტი და უნარი მხატვრულ ფორმაში იმ სინამდვილის გარდასახვისა, ძალა მწერლის მხატვრული აზროვნებისა.

ერთმა ნაცნობმა დავითს ჰკითხა:

— ძალიან ცოცხლად გყავთ დახატული კირილე მიმინოშვილი. ვინ გყავთ სახეში*, ვინ იყო მისი პროტოტიპი?

დავითს უჭირს ამაზე პასუხის გაცემა. შემკითხველის გულუბრყვილობას გრძნობს, მაგრამ არ უნდა აწყენინოს და ღიმილით ეუბნება:

— პროტოტიპი? ცხოვრებაა... განა ერთი და ორია კირილეს მსგავსი?...

* * *

ერთხელ დავითს ეუთხარი:

— შენი „როსტომ მანველიძე", თავისი საოცარი სევდით, არ ვიცი რატომ, კიმოთეს* მაგონებს ხოლმე...

— არა, კიმოთე მხედველობაში არ მყოლია, — თქვა დავითმა, — მაგრამ შესაძლებელია, რომ კიმოთეს სახემ და სევდამ როგორღაც თავისი გავლენა იქონია და გამოხმაურება ჰპოვა „როსტომ მანველიძეში".

* * *

„...ერთი, ორი შეპატიჟებით რავა დარჩებოდა, შე ქალო!.. გადამთიელი ხომ არ არის, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს. შეეპატიჟე, ვალი მოვიხადე. ისე ხომ არ გავუშვებდი".

— მამა, ეს გაიგონე და ჩაიწერე, თუ?.. მშვენივრად არის გადმოცემული ჩვენებური მოპატიჟების ბუნება.

— ვითომ?

— ძალიან კარგია.

— შეიძლება... სიმართლე გითხრა, ასეთებზე თავი არ მიტეხია. ვწერდი, როგორც იწერებოდა. კიტა აბაშიძემ* თავის კრიტიკულ წერილში ეგ წინადადება აღნიშნა. მე იმ წერილიდან გავიგე მხოლოდ, რომ ასეთი ფრაზა მქონია.

* * *

საიდან წარმოდგა გვარი „მორბელაძე":

„— სოფელში ჩავედი დედაჩემის სანახავად, — მიამბობს მამა, — ოთახში ვზივარ, მესმის, დედა აივნიდან ვიღაცას ელაპარაკება. მეც გავედი. ეზოში, აივნის წინ, შუა ხნის მამაკაცს ვხედავ. ცხენზე ორი მორჩილი ტომარა შემოუკრავს და თითონაც ჯდება — ვინ იყო? — ვკითხე დედას, როცა უცნობი წავიდა. „სიმინდი ითხოვა, შვილო. მორბედაძეა, დაბლა კუთხიდან"... მოთხრობა მოფიქრებული და ნათლად წარმოდგენილი მქონდა, ოღონდ გვარი ვერ გამოვძებნე და ეს მაწვალებდა, წერას მიშლიდა. ეს გვარი მეოცა რატომღაც, „მორ-

ბედაძე“ შევცვალე „მორბელაძედ“, გვარმა სახელიც მოათრია და ამის შემდეგ მოთხრობაც ადვილად დაიწერა, მუშაობა კი არა, უდიდესი სიამოვნება იყო!“ [...].

• • •

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში დავითი ისევ ჯარში გაიწვიეს. ფრონტზე წასვლამდე თავის ჯარის ნაწილით რამდენიმე თვე ახალსენაკში იდგა.

ჩავედი სანახავად.

— ეს პიესა დავამთავრე, — მეუბნება მეორე დღეს, — შენი ჭირიმე გადამიწერე. გაზეთი მთხოვს. უნდა გავგზავნო.

მინდოდა ცხენით მეჯირითა, მამის თხოვნამ კი ოთახში ჩამაკეტა.

უხალისოდ შევუდექი გადაწერას. განსაკუთრებით მომეწონა „უბედურების“ დასასრულში ის ადგილი, როცა ქოხიდან ქალი გადასალოცავად* გამოდის.

გადაწერილი გადავიკითხეთ ერთად.

დავითმა უეცრად ხელნაწერი გამომართვა და შეინახა.

— იყოს ჯერ, არ გავგზავნი... ჩემი პირველი მოთხრობა* ანთებული სანთლებით დავიწყე, ოცდახუთი წლის შემდეგ კი ეს უკანასკნელი პიესა ანთებული სანთლებით თავდება. ისეა, თითქოს გათავდა ჩვენთვის ყველაფერი... იყოს, ჯერ არ გავგზავნი...

• • •

[...] ცოტა რამ „მიქელას“ შესახებ.

მოთხრობის სიუჟეტი დაახლოებით სინამდვილეში მომხდარ ფაქტზეა აგებული. ეს ტრაგიკული ამბავი — ტუბერკულოზისაგან ოჯახის ამოწყვეტა და კარავში შვილის დაღუპვა ნიაღვრისაგან — გადახდა ჩვენს ახლო მცხოვრებ ერთ კლდიაშვილს. დავითის დის კეკელას გადმოცემით, ნიაღვარი, რომელმაც დაღუპა სახლიდან ცალკე გაყვანილი და კარავში მოთავსებული სპიდონა, მოსულა „მარიამობის“* წინა ღამეს, 14 აგვისტოს.

მიქელას მიერ ოჯახიდან გახიზნული პატარა „ნესტორა“ ამჟამად ცოცხალია. მას საკმაოდ დიდი ოჯახი ჰყავს, ცხოვრობს სოფელ ზედასიმონეთში და ახალ ადგილზე უდგას საცხოვრებელი ოდა. დავითმა ერთხელ თვითონ მაჩვენა ფერდობზე ის ადგილი, სადაც იმ კლდიაშვილს, მოთხრობაში მიქელა გიორგაძეს, ედგა წინათ სახლი.

„ქამუშაძის გაჭირვების“ ხელნაწერი არ შენახულა. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ფურცელი, რომელთა მიხედვით ძნელია წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რა ცვლილებები განუცდია მოთხრობას, როგორ უმუშავნია ავტორს. მაგრამ ეს ფურცლებიც ადასტურებენ, რომ მოთხრობის რამდენიმე ვარიანტი არსებულა. მაგალითად, ერთ ხელნაწერში მომავალ ეკვირინეს ჰქვია „ეფემია“, მეორეში „ბარბალე“, ხოლო ოტიას გვარია არა ქამუშაძე, არამედ „ქამუშაშვილი“. ნაწარმოებს პირველ სათაურად ჰქონია: „გამოსაცვლელი ცხოვრება“.

დავითს განზრახული ჰქონია დაეწერა „ქამუშაძის გაჭირვების“ მეორე ნაწილი: ოტია ქალაქში გადასვლის შემდეგ. რამდენიმე წელიწადს მუშაობდა ამ გაგრძელებაზე. კონკრეტულად ქალაქი არ ჰქონდა დასახელებული, მაგრამ, როგორც ვიცი, ამბავი ვითარდებოდა ბათუმში, სახელდობრ ბათუმის იმ უბანში, რომელსაც „ბარცხანა“ ეწოდება. უმთავრესად აქ, წინათ, ამ ჭაობიან ადგილზე, პატარა ქოხმახებს აშენებდნენ და სახლდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა სოფლებიდან აყრილნი და გადმოსახლებულნი. ბარცხანის მოსახლეთა დიდ უმრავლესობას, რომელთა შორის ს-მონეთელი კლდიაშვილიც იყო, ახლო იცნობდა დავითი და მათთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

„ქამუშაძის გაჭირვების“ მეორე ნაწილის ხელნაწერი დაიკარგა 1919 წელს. ბათუმიდან გადმოსვლის შემდეგ ჩვენი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა. ზაფხულში სააგარაკოდ სოფელში წასვლისას დედაჩემმა ხელნაწერი ჩადო რკინით შემოვლებულ საშუალო ზომის სკივრში, რომელშიაც შენახუ-

ლი ჰქონდა დავითის მიწერ-მოწერა და ხელნაწერების დიდი ნაწილი. ბინაში დავტოვეთ ერთი ჩვენი ნაცნობი ქალი. სწორედ ეს სკივრი აღარ დაგვხვდა სოფლიდან დაბრუნებისას. „მომპარესო“, — ამბობდა ბინის დარაჯად და მომვლელად დატოვებული ქალი. წამღებს, ალბათ იქ რაიმე ძვირფასი ნივთები ეგულებოდა. ცხადია, სკივრის წამღები უკმაყოფილოდ ჩაიქნევდა ხელს, როცა შიგ მხოლოდ ხელნაწერებს და მიწერ-მოწერას დაინახავდა. ჩვენთვის კი სწორედ ეს ფურცლები იყო ყველა ნივთზე უფრო ძვირფასი.

სხვათა შორის, სკივრთან ერთად დაიკარგა ალ. ყაზბეგის პასუხი იმ წერილზე, რომელიც ჯერ კიდევ არამწერალმა ახალგაზრდა დავითმა გაუგზავნა სახელგანთქმულ ბელეტრისტს*.

[...] რამდენჯერ მინახავს, რამდენჯერ ხელში მჭერია შეყვითლებულ ფურცლებზე გაკრული ხელით დაწერილი ყაზბეგის პასუხი! რა მოწონებით, რა სათუთად ინახავდა მას დედაჩემი! მახსოვს ცრემლები მის თვალებზე, როცა სკივრის დაკარგვის ამბავი უთხრა დედაკაცმა. რამდენი ხელნაწერი და საყურადღებო წერილი სამუდამოდ დაიკარგა სკივრთან ერთად! დედა დარწმუნებული იყო, რომ სკივრი თვითონ იმ დედაკაცმა წაიღო, პირდაპირ უთხრა და არათუ პატიებას, საჩუქარსაც დაპირდა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ვერ იქნა და ვერ გასტეხა დედაკაცი.

ყაზბეგისადმი გაგზავნილი დავითის წერილიც დაკარგული მეგონა. რამდენიმე წლის წინათ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში ალ. ყაზბეგის არქივს ვათვალიერებდი და როგორ დიდი იყო ჩემი სიხარული, როცა სრულიად მოულოდნელად დავითის მიერ გაგზავნილი წერილი აღმოვაჩინე![...].

* * *

სოფელში აივანზე დავითი „ბაკულას ღორების“ ხელნაწერს გვიკითხავს დედაჩემს და მე. უბრალოდ, მაგრამ შთამაგონებლად კითხვა იცოდა.

კმაყოფილია, რომ მოთხრობას ხალისიანად ვუსმენთ.

უეცრად კითხვა შეწყვიტა და ფანქარს დაწვდა.

— რა იყო? — ეკითხება დედა.

— მგონი ზედმეტია ეს ადგილი... ასეა ვითომ? რას მატებს მოთხრობას ბუნების ეს სურათი?

დაეჭვებულმა, რამდენჯერმე ჩაიკითხა გვერდი, დაფიქრებული დასცქერის და, ბოლოს, გადაწყვეტილად ამბობს:

— არაფერს! ამოვშლი და რიგზე იქნება ყველაფერი. ჰო, ასე აჯობებს!

* * *

[...] მოხუცებს წარსულის მოგონება უყვართ.

მაგრამ დავითისათვის წარსულის გახსენება უბრალო მოგონება არ არის. მას აწვალებს წარსულის სურათები და სახეები. ისინი გამორჩნენ ლიტერატურულ გზაზე და ახლა ეპოტინებიან. ასეთ წუთებში დავითის სახე კიდევ უფრო შთაგონებული ჩანს. გარდასულ დროს იგონებს. ცეცხლს მისჩერებია და ისე ლაპარაკობს, თითქოს ყურს უგდებს მხოლოდ თავის ხმას... გადაიშლება წარსული საოცარი, ხან მშვიდი, ხან მღელვარე, ხან აღმაშფოთი, ხან ტკბილად მოსაგონარი.

ასეთი საღამო არა ერთხელ განმიცდია, მაგრამ პირველად ვბედავ და ვაძლევ შეკითხვას: დაწეროს მემუარები.

— გისთვის იქნება ეს საინტერესო? რა იყო ისეთი ჩემი ცხოვრება, ჩემს თავზე ვილაპარაკო? ეს ხომ ტრაბახი გამოვა...

ვახსენებ რამდენიმე თვალსაჩინო ფაქტს მისი წარსულიდან.

— მასე რომ გავუვეთ, ყოველი ადამიანის ცხოვრება საინტერესოა და ყურადღების ღირსია! — ჯიუტობს დავითი. — რამდენ კაცს ჩემზე უფრო საინტერესო წარსული ჰქონია!..

ამაზე ვეთანხმები და მაინც ვთხოვ დასწეროს. უკანასკნელად ვცდილობ დავითანხმო და ვეუბნები:

— შენ ზოვალე ხარ დავიწყებას არ მიეცენ ისინი, ვისაც შენსავით მხატვრული შრომები არ დაუტოვებია, მაგრამ რომელთა ცხოვრება იმის ღირსია, რომ დავიწყებული არ იქნან!

ზეთანხმება.

— მართლაცდა, რა ხალხი იყო... ჰაი, ბეჩა! რა ხალხი იყო!

იმედი მეძლევა. თუმცა ისიც ვიცი, მრავალი დღე გაივლის, სანამ დავრწმუნდებოდე, რომ მემუარების წერას შეუდგება, ბოლოს და ბოლოს უნდა გავათავისუფლო, უნდა განეტვირთო წარსულისაგან, მოგონებებისაგან. ისინი მომწიფდნენ და აწვალებენ. ეს ტვირთი უნდა ჩამოიხსნას. ამას კი მხოლოდ დაწერა უშველის.

სოფლიდან დაბრუნდი არა სავსებით დაჯერებული რომ წერას დაიწყებდა.

პირველსავე ბარათში, რომელიც მისგან მივიღე, მწერდა: დაიწყებს მუშაობას, თუ დარწმუნდება, რომ მემუარებს საზოგადოებრივი და ლიტერატურული მნიშვნელობა ექნება.

წერილის მიღების დღეს ფული მქონდა. ვიცოდი, სოფელში ფული სჭირდებოდათ. მეც არა ნაკლებად, მაგრამ მაინც გავუგზავნე. თან ვწერდი, თითქოს ამას „მნათობი" ავანსად უგზავნიდა განზრახულ მემუარებში. ერთი კვირის შემდეგ დავითი თბილისში ჩამოვიდა და ჟურნალისათვის გადასაცემად მემუარების დასაწყისი ჩამოიტანა.

— ნამუსზე შემაგდეთ, რაღა უნდა მექნა. ფულმა კი სულზე მოგვისწრო... ეს სულ შენი ხრიკებია! — მეუბნება სიცილით. — ახირებული ჩაციება იცი, სერგო ჩემო! აჰა, მოგიტანე... მაგრამ ერთის პირობით: გადაიკითხე და მითხარი, ივარგებს ასე თუ არა?

რად სჭირდება დავით კლდიაშვილს ჩემი დასტური!

წავიკითხე და დავრწმუნდი: არ შევმცდარვარ „ახირებული ჩაციებით". დავითმა უბრალო მემუარები კი არა, თავისი საუკეთესო მოთხრობების თანასწორი დასწერა.

* * *

დავითის საიუბილეო საღამოს თავმჯდომარემ თავის შესავალ სიტყვაში, სხვათა შორის, თქვა: „მწერალი თავის მოთხრობებში დაუნდობლად ამათრახებდა და დასცინოდა ხელმოკლე ინტელიგენტებსო".

ამის გაგონებაზე დავითი ნერვიულად შეირხა, შუბლი მოჭმუხნა და ვიდრე მისალმებები და მილოცვები დამთავრდებოდა, დაღვრემილი, თითქოს გულმოსული, იჯდა სავარძელში.

დამთავრდა ორატორების გამოსვლა. საბოლოო სიტყვა იუბილარს უნდა წარმოეთქვა. დავითს მღელვარება ემჩნეოდა, მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და თქვა:

— არა, მე არავინ არ გამიმათრახებია, არ დავცინოდი იმ უბედურ ადამიანებს. მე ისინი მეცოდებოდნენ, მებრალებოდა ადამიანი, რომელიც მახინჯმა ცხოვრებამ გააუბედურა და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა. მე მიყვარდა ჩემი ხალხი, ცრემლებს ვღვრიდი, მის გამწარებულ ცხოვრებას რომ ვხედავდი და ამ გულისტკივილით, მათდამი სიბრალულით სავსე ვწერდი. ასე რომ არ ყოფილიყო, მე ახლავე უარს ვიტყოდი ჩემს ნაწერებზე. მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე წინ მიმიძღოდა მხოლოდ ადამიანისადმი სიყვარული.

* * *

[...] 1927 წ. ზაფხული ბორჯომის სანატორიუმში გაატარა.

ექიმები საყვედურს ამბობენ დავითზე:

— რეჟიმს არ იცავს. იმის მაგიერ, რომ დროით დაიძინოს, კონცერტებზე ღამეებს ათენებს, ვერაფრით ვერ გავაჩერეთ!

— ახირებული ხალხია! — პირიქით ექიმებზე საყვედურობდა დავითი, — პარკში ჩინებული კონცერტებია, მე კი ძილს მაიძულებენ. რა დამაძინებს!

კონცერტები უფრო იმიტომ იზიდავს, რომ მას ახალგაზრდობა მართავს.

— სულ ჩვენი ახალგაზრდობაა! ტუსკია*, კილაძე*, ბალანჩივაძე*... აგერ კიდევ ქუმსიაშვილი*, ანდღულაძე*, ნინო თოიძე*...

საღამო ხანს კონცერტზე პირველთაგანი მიდის.

— რა საიმედო ძალა გვყავს! — ბრუნდება აღტაცებული[...].

* * *

— მართალი უნდა გითხრა, სერგო, ლიტერატურულ სკოლებში არასდროს მიფოთირებია. ჩემთვის მთავარია, რას და როგორ სწერ. თუ ნაწარმოები განყენებულია, ის ჩემთვის არ არსებობს. აი, შენ რომ ერთ დროს პშიბიშევსკით* გატაცებული იყავი, მე ის არ მომწონს, ტყუის, კუდაბზიკა აზნაურივით იქაჩება, რაღაცას იბერება, რაღაც ბრძნული უნდა ვითომ თქვას და ტყუის, კაცი იმას არ უყვარს, ადამიანის უკეთესობისათვის არ ფიქრობს. გულგრილობით შორს ვერ წახვალ, გავა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე. გადახედე, თუ ასე არაა!

* * *

[...] დავითი გრძნობდა, რომ სიცოცხლის დღეები დათვლილი ჰქონდა. დიდი ტანჯვა იყო იმის წარმოდგენა, რომ მალე ცოცხალი აღარ იქნებოდა.

ერთხელ ღმერთზე დავუწყე ლაპარაკი. ვიცოდი, წინათ ურწმუნო იყო. იქნებ ახლა ირწმუნა? თუ სწამდა, იმ შემთხვევაში მისთვის რაღაც იმედი კიდევ დარჩენილა... მაწუხებდა, რომ სიცოცხლის დასასრულს მისტიროდა.

ჩემს კითხვაზე, არსებობს თუ არა ღმერთი, დავითმა თქვა:

— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ როგორ აზროვნებს.

ეს კიდევ სრული პასუხი არ იყო. ლაპარაკი განვაგრძე. ბოლოს, თითქოს მიმიხვდა, რატომ ვეკითხებოდი და ხშირი წარბებით დაჩრდილული თვალები მომაჩერა:

— რატომ მეკითხები მაგას? რას ჩამაცივდი მაგ ღმერთით? მაგითი გინდა მანუგეშო?

მის სახეზე მწარე ღიმილი დავინახე, რომელშიაც ძლიერი ტკივილი იგრძნობოდა.

* *

[...] ვასილ ბარნოვს* მამა სიმონეთში ეპატიჟება. ვასილს კი შორი გზა, საერთოდ მგზავრობა აშინებს:

— იქნებ შევძლო, ვნახოთ! — შეპირებას ვერ ბედავს.

— ეგ უკვე უარია, ჩემო ვასილ. უსათუოდ ჩამოდი, მგზავრობის ნუ გეშინია. თბილისიდან სვირამდე მატარებელი მხოლოდ რვა საათს უნდება. სვირში ცხენს დაგახვედრებ, გინდ ურემს. სადგურიდან სოფლამდე სულ რაღაც ათი ვერსია და... ვერც კი გაიგებ ისე მოხვალ.

ჩვენი იმერეთიც ნახე! ხან სოფელში ვიაროთ, ხან ალვანზე დავისვენოთ. ჩემი აიკნიდან ისეთი სურათი იშლება, რომ თვალს მოგჭრის ბუნების სილამაზე...

— ჩემი მოხუცი თვალებით? — დაეჭვებულია ბარნოვი.

— დაინახავ, უსათუოდ დაინახავ! ისეთი მთები, ისეთი ადგილები მოჩანს, შეუძლებელია, ვერ დაინახო!

ორი ღრმად მოხუცი ბჭერალი, დავითი და ბარნოვი, რუსთაველის პროსპექტზე ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. მიაბიჯებენ ისე, თითქოს ერთმანეთს შველიან. ტანმორჩილი დავითი მკლავში ჩააფრინდება ვასილს, თითქოს ჩამოეკიდა ზედ და თითქოს კიდეც ეხმარება ნაბიჯის გადადგმაში ფრთხილად მიმავალ უფროს მეგობარს.

დავითი ყოველთვის შეძახილებით მიეგებება. ვასილის სიხარული კი ჩუმია. ოდნავ ასწევს ცილინდრს და გაუღიმებს დასიზმრული თვალებით. ის თითქოს სულ წარსულშია, ხმაც ისეთი აქვს, თითქოს შორიდან ლაპარაკობდეს.

დავითსა და ვასილს ერთმანეთთან ყოფნა და საუბარი უყვართ, მაგრამ კიდევ უფრო — ახალგაზრდებში ჩარევა. ოპერის თეატრის პირდაპირ, სახელგამის* წინ, დღით ყოველთვის თავმოყრილი არიან მწერლები. ვასილს უფრო განმარტოებით საუბარი უყვარს, თითქოს საიდუმლოს განდობდეს. დავითი სხვაა. დავითი მწერლების წრეში შეიჭრება, მისვლისთანავე ჩაერევა ლაპარაკში, ერთ წუთში გადაშლის გულს და

თვითონაც გადააშლევინებს სხვებს. სირცხვილიცაა ჭასთან ითაღლითო... დავითის მოტყუება სულ ადვილია — თვითონ რომ ტყუილი არასოდეს უთქვამს, სიცრუე არც სხვისგან წარმოუდგენია.

ბოლო ხანებში, როცა დავითი სოფელში იყო მწოლიარე, ვასილ ბარნოვი ქუჩაში შემხვდება თუ არა, აუცილებლად გამაჩერებს და დავითის ამბავს მკითხავს.

— ცუდად არის, ბატონო, სულ წევს...

— მისწერე ჩემგან სალამი! — ნაღვლიანად იტყვის და გზას განაგრძობს.

დამშვიდობებისას ბარნოვი ხელს ღონივრად ჩამომართმევს. ასე მგონია, ეშინია, რომ მასზე ახალგაზრდა დავითი ლოგინად ჩავარდა, ხელის ჩამორთმევით ძალას ისინჯავს და თავს ინუგეშებს: „მე კი ჯერ ღონივრად ვარ!“

V

[...] დედა წარბშეუხრელად იტანდა ყოველგვარ გასაჭირს. დავითის ოჯახს თავიდანვე აფორიაქებულ პირობებში უხდებოდა ცხოვრება. საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმულ, დაუდეგარ დავითს ყოველ წუთს ხიფათი* მოელის: დუელი რეაქციული გაზეთის რედაქტორთან*, გადასახლება დიშლაგარში*, დევნა. ამასთანავე დავითის უცნაურობანი და კაპრიზები*. კაპრიზი კი დავითს უამრავი აქვს. მაგრამ მარიამმაც იცის ქმრის ფასი და უსაყვედუროდ იტანს ყოველივეს.

ახალგაზრდობის ენერგია დედას არც ხანში შესვლისას დაჰკარგვია. როცა სიმონეთში საცხოვრებლად გადავიდნენ, სოფელში სახლი გაჩანაგებული იყო. სულ მალე დედამ ოჯახი ფეხზე წამოაყენა. პირველ ხანებში დავითი სოფელმა დააფრთხო და გაქცევას აპირებდა. საოჯახო საქმეში, კეთილმოწყობაში ის უმწეო იყო. ხოლო როცა მდგომარეობა გამოსწორდა, ქალაქს სოფელი არჩია.

— უცნაური ქალია დედაშენი, — მეუბნებოდა დავითი, — ყველაფერში ვამართლებ ერთის გარდა: მუდამ ახალი გეგმები უტრიალებს თავში, სულ რაღაც იდეები აქვს, რაღაც ცვლილებებს აპირებს აქ. მგონი, შენც მისი მომხმარე ხარ. რაც გინ-

დათ, ის ქენით, ოღონდ სახლი და ეზო უცვლელი დატოვეთ. როგორც არის, ისე იყოს. აი, იმ ბრეკზე*, ქუხნასთან* რომ ორი დიდი ქვაა, იქ დედაჩემს,—ჰაი, ბეჩა*, რა ქალი იყო!—და დათიკა გიორგაძეს უყვარდათ დაჯდომა და ბაასი. თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდა დათიკა... რა კაცი იყო! რა ჯობდა მათი საუბრის მოსმენას... იმ კოპიტ'თან* სიმონა აშოლტიამ* იცოდა ცხენის მიბმა. ეზოს ბოლოში ნიგვზის ხე ირაკლიას დარგულია. საწყალი ირაკლია, რა ბიჭი შეიწირა ომმა! ვენახის ზევით სერზე წინათ მეტი ხე იყო. ნამდვილი ტყე იყო. გათლილ ქვასთან რომ კვინცხა* იყო, ხომ გახსოვს? ბავშვობაში იმ ხეს ცოყვივით ვევლებოდი... რა უცბად გაიარა დრომ, თითქოს ერთი წაძინების ამბავი იყოს. სანამ ცოცხალი ვარ, იყოს ყველაფერი ისე, როგორც არის. ნუ შეცვლით, ნუ ჩაიდენთ ბარბაროსობას!"



ბ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ნ ი

1. მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი

„შერისხვა“:

დაიწერა 1893, ხოლო დაიბეჭდა 1894 წელს ჟურნალ „მოამბეში“. გადმობეჭდილია 1961 და 1955 (გვ. 3-15) წლების გამოცემიდან. მის შესახებ ზოგიერთ ცნობას გვაწვდის თვით ავტორი თავის მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ (იხ. ამავე წიგნში).

წ ი რ ვ ა ც გ ა თ ა ვ დ ა — დღისით შესრულებული მთავარი ქრისტიანული საეკლესიო მღვდელმსახურება (ლიტურგია) დამთავრდა.

წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ზ ე გ ა დ ა გ ც ა (ხ ა ტ ზ ე გ ა დ ა ც ე მ ა) — წმინდა გიორგის ხატზე (წმინდა გიორგის სახელით) დაგწყევლა, შეგიჩვენა, შეგრისხა); წმინდა გიორგის ხატთან გიჩივლა და წმინდა გიორგი პასუხს მოგთხოვს (სასტიკად გაგასამართლებს, დაგსჯის); წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი — პირველმოწამე, ძლევამოსილი ქრისტიანი წმინდანი კაპადოკიიდან, რომელიც მეტად პოპულარულია საქართველოში; წ მ ი ნ დ ა, წ მ ი ნ დ ა ნ ი — ღვთის მსახური, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიიჩნევენ მორწმუნეთა მფარველად; ხ ა ტ ი — ქრისტიანულ რელიგიაში: ქრისტეს, ღვთისმშობლის, მოციქულების ან წმინდანების ფერწერული თუ რელიეფური გამოსახულება (სურათი); კ ა პ ა დ ო კ ი ა — მცირე აზიის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი ოლქი.

მ ო ა მ ბ ე — მოსაუბრე (ამბის მომყოლი, მთქმელი, მაუწყებელი, მაცნე).

ბ ო ხ ო ხ ი — ერთგვარი ქუდი ცხვრის ტყავისა.

ა რ ა ფ ე რ ი ს ა ქ მ ე გ ა მ ე წ ყ ო თ ქ ვ ე ნ თ ა ნ — არაფერი გამივიდა (გავაწყვე) თქვენთან.

ა ნ დ რ ი ა ს თ ა ვ ზ ე ღ ვ თ ი ს რ ი ს ხ ვ ა ს მ ო ი ყ ვ ა ნ დ ა — ღვთის რისხვას (აღშფოთებას, გაჯავრებას, მძიმე განსაცდელს, საშინელებას, რისხვას, უბედურებას) დაატეხდა თავს (მოუელენდა); ღმერთს განარისხებდა ანდრიაზე.

ბ ა თ მ ა ნ ი — მარცელეულის, ფქვილისა და სხვათა საწყაო და წონის ერთეული, ხის ჭურჭელი დაახლოებით ნახევარი ფუთის ტევადობისა.

ა ქ ა მ დ ი ს ა ს ე ი ო ლ ა დ რ ჩ ე ბ ო დ ი ა მ ა დ გ ი ლ ი თ — აქამდის ასე იოლად გადიოდი (თავს ირჩენდი) ამ ადგილით (მიწით).

მ ი ო ი ო ი ს უ დ ში ვ ი ჩ ი ვ ლ ე ბ — (რუს.) მომრიგებელ მოსამართლესთან ვიჩივლებ. მ ო მ რ ი გ ე ბ ე ლ ი მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე — მეფის რუსეთის მოსამართლე, რომელიც წვრილ-წვრილ საქმეებს არჩევდა.

ოკრუენოი სუდშიაც გიახლებით — საოლქო სასამართლოშიც მივალ (საჩივლელად).

ნამეტურ შენ — ნამეტნავად (განსაკუთრებით, მეტადრე) შენ.

შენ შეგაწევ ჩემს დაჯაბნებასს — შენ შეგარჩენ ჩემს დაჩაგვრას?

გამოძიებაი ეკითვება — გამოძიება (გამორკვევა) სურდება (უნდა).

მუხლთ მოიყარეთო — მუხლებზე დადექითო.

დითრგუნე ავი და შთანერგე შიში და სიხოებაი — მოსპე (გაანადგურე, ჩააბრე) ბოროტი (ეშმაკი, კედანი, მავნე, ცუდი) არსება და ჩაუნერგე შიში და იმედი.

უკუნითი უკუნისამდე — სამუდამოდ, სამარადისოდ.

ეედრების სიტყვაი — მუდარა (თხოვნა, ხვეწნა).

შე შეჩვენებულო — შე დაწყეველილო (შერისხულო).

სად ჯანდაბაში მიყავხარ ეშმაკს — სად მოუსაულეთში (ჯოჯოხეთში) მიყავხარ მავნე (ავ, ბოროტ) სულს (არსებას); ჯოჯოხეთი — ცრურწმენის მიხედვით: ადგილი საიქიოში, სადაც ცეცხლში იტანჯებიან ცოდვილ ადამიანთა სულები.

ჩოხა — მამაკაცის ზედა ტანსაცმელი შალისა, რომელიც ძირითადად სამი სახისაა (ხევსურული, ქართლ-კახური, ზოგადკავკასიური). წელში გამოყეანილია და ღრმად გულამოჭრილი. აქვს განიერი ბოლო, ნოკიანი კალთები და სამასრეები. იცმევენ აბალეს ზემოდან. ახალუხი — ბაბის, მაუდის, აბრეშუმის, ხავერდისა და სხვა ქსოვილისაგან დამზადებული ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი ქართული ხალხური კოსტიუმის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი.

ცოდვაი — მორწმუნეთა აზრით: ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაული.

მღვდელმა გადასახა ჯვარი — მღვდელმა ჯვრით (ჯვრის გამოსახვით) დალოცა.

დითმენაი — მოთმენა.

უზიარებელი არ მოკვდეს — ზიარებამიუღებელი არ გარდაიცვალოს. ზიარებაი — ქრისტიანული ეკლესიის წესის თანახმად: ნაკურთხი ღვინის შესმა და სეფისკვერის ნაწილის შეჭმა (მიღება), მაგალითად, გარდაცვალების წინ.

სულიც დალაი — მოკვდა (გარდაიცვალა) კიდეც.

„მსხვერპლი“:

დაიბეჭდა 1894 წელს ჟურნალ „მოამბეში“. გადმობეჭდილია 1955 (გვ. 17-57) და 1980 (ტ. I, გვ. 5-40) წლების გამოცემებიდან. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ალეტორი (იხ. მეშუარები „ჩემი ცხოვრების გზაზე“) და მისი ვაჟიშვილი, მწერალი სერგო კლდიაშვილი. აი რას წერს ალეტორი:

„ამ მოთხრობის ბიოგრაფიისათვის და აგრეთვე იმის წარმოსადგენად,

თუ როგორი იყო რეალისტი მხატვრის დამოკიდებულება თავისი ნაწარმოების გმირებისადმი და საერთოდ რა მიაჩნდა თავის, როგორც მწერლის, მოვალეობად, საინტერესო მასალას იძლევა ერთი კერძო წერილი, გაგზავნილი ვინმე „მერისათვის“.

მოთხრობის მთავარი გმირი მოხუცი ფეფენა, ერთი შეხედვით, ბოროტი ადამიანია, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი შენიშნავს იმ გარემოებას, რომ ავტორი არსად არ ცდილობს შეგვაზაროს ის და ერთგვარად კიდევაც ეცოდება. მსხვერპლი მარტო ახალგაზრდა მარინე კი არ არის, არამედ, დავითის აზრით, მოთხრობის ყველა გმირია. მარინეზე ადრე ფეფენა გახდა „შავბნელი ცხოვრების მსხვერპლი“.

სადღაც პიესად გადაუკეთებიათ მოთხრობა „მსხვერპლი“ და გადამკეთებელი „მერი“ ითხოვს რჩევა-დარიგებას, რაზედაც დავითი პასუხად შემდეგს სწერს:

— „... პიესის გამოგზავნა ამ ხანად საჭირო არ არის, როგორც გაქვთ გაკეთებული, ისე ითამაშეთ... მიიღეთ მხოლოდ რამდენიმე რჩევა: ერიდეთ გრძელ მონოლოგებს. ამასთანავე ალაპარაკეთ, მაგალითად, ფეფენა არა როგორც მტარვალი, არამედ როგორც თვითონ მსხვერპლი, ბნელი, გაწვალებული ცხოვრების მსხვერპლი, დატანჯული, გაკაჟებული. ერთი სიტყვით, იმის მთხოვნელი ვიქნები, რომ მჩაგვრელი სიბნელე იქნეს გამოსახული და ის, რომ მსხვერპლად ეწირება ადამიანი. გაბარებთ ფეფენას — უდიდეს მსხვერპლს ამ სიბნელისას. იგი გაკაჟებულია, გულგაქვავებულია ცხოვრებისაგან და არასდროს ცუდი ადამიანი არაა... გაწვრთვინით მის გამომსახველი (არტისტი — ს. კ.) ისე, რომ ეს დაანახოს იმ სცენაში, როცა იგი მიდის ავადმყოფ მარინეს სანახავად. ერიდეთ, ერთი სიტყვით, გამოსახოთ ზოგნი მსხვერპლად, ზოგნი ბტარვალად; ყველანი მსხვერპლად ეწირებიან შავბნელ ცხოვრებას, რომლის გაშუქების, განათების განკარგულებისათვის უნდა ვმუშაობდეთ. ეს იქნება ჩემი რჩევა და იმედი მაქვს არ მიწყენთ ამ დარიგებას...“

პ ა რ ა ს კ ე ვ ო ბ ა — პარასკეობით გამართული ბაზრობა (პარასკეობა).

გ ა რ ო ზ ი — იგივე გარუსი (პოლ.) ძატყლის ნახევრად უხეში ნართი, ამგვარი ნართის ქსოვილი.

ბ ა ღ დ ა დ ი — აქ: ებრეშუმის ოთხკუთხედი სახეებიანი მანდილი.

ფ ო ჩ ვ ი ა ნ ი — აქ: ფოჩიანი (გარშემო მოვლებული ან ფუნჯად დაკიდულ-ძაფებიანი) ბაღდადი.

ფ უ ლ ე ბ ი ა რ გ ე ტ ე ვ ა თ ზ ა ნ დ უ კ ე ბ შ ი — ფული არ გეტევათ სკივრებში; ს კ ი ვ რ ი — თუნუქით შეკეთილი სახურავიანი ხის უთი სიოჯახო ნივთების შესანახად; აქ: ბევრი ფული (ქონება) გაქვთ (მდიდრები ხართ).

ფ უ ლ ი თ ე ლ ა თ მ ო ბ ტ ა ნ ე — ფული მთლიანად (სრულად, უკლებლივ) მოიტანე (შინ).

ა რ შ ე ბ ფ ე რ ი ს ე ბ ც უ ნ დ რ უ ბ ა დ ა ბ ა ბ ბ ა ბ ი — არ შეგფერის (არ გიხდება) ეგ უგვანოდ (უმსგავსოდ) ბტუნვა (მსუბუქი ქცევა) და სიცქვიტე (აჩქარებულობა).

ერთ გუნებაზე...: არ დაგზოგავდა — ცუდ გუნებაზე (ხასიათზე), გაბრაზებისას არ დაგზოგავდა.

კუდიანი — მორწმუნეთა აზრით: ავი სული, ეშმაკი.

დალახვრათ ჩემმა გამჩენმა — ლახვარი ჩასცა (განგმირა, მოკლა) ღმერთმა; ლახვარი — გრძელტარიანი და ბასრწვერიანი საბრძოლო იარაღი; გადატ. წამოძახილი, რომელიც გამოხატავს გაკვირვებას (გაკვირებას, უკმაყოფილებას).

სულს ამოვახდენ — სულს ამოვხდი (ამოვართმევ, მოვკლავ, დაკხოცავ).

აბა, ფეხქვეშ გეევეშალო, ა? — აბა, ფეხქვეშ გაეგო (გაეთელვინო, დაემორჩილდე, ქედი მოვუხარო), ა?

კუდიანობას ეწამებოდნენ — კუდიანობას (იხ. ზემოთ) სწამებდნენ.

ადამიანი ვერ გიგუებიათ — ადამიანი ვერ შეგიგუებიათ (ავიტანიათ, შეგითვისებიათ).

ადუკანტობა დეიწყე? — ვექილობა დაიწყე (ვექილობას მიჰყავი ხელი)?

შემწე ვინ მყოლებია? — დამხმარე (მშველელი) ვინ მყოლია?

ჩარქი ოჯახისათვის არ მიმიცხია — აქ: ოჯახი არ შემირცხვენია.

ხამის ლურჯი კაბითაც კარგად გამიტარებია..., წუთისოფელი — უბრალო, შინ დართული ძაფისგან ნაქსოვი ლურჯი კაბითაც გამიტარებია... ცხოვრება (იოლად გავსულვარ).

უტიფარნი შეიქმნენ — ურცხვები (თავხედები, მოურიდებლები, უზრდელები) გახდნენ.

გახრეკილი — აქ: ღარიბი (ჯიბეცარიელი).

ტყუილად ეწამება იგი მარინეს? — აქ: ტყუილ-უბრალოდ სწამებს (აბრალებს) იგი მარინეს?

პილწი — ბილწი (საზიზღარი, საძაგელი, უწმინდური).

მწვირიანი ყაზახის გომბიო — ჭუჭყიანი (მყრალი) გლეხის გოგო.

გადმოგიყვლეპინებია მაგ დასაფსები თვალები — გადმოგიქაჩავს ეგ დასავსები (ამოსაგდები, დასაქცევი, დასაშრეტი) თვალები.

ღვთის გლახა — მათხოვარი (ლაჩარი, მხდალი).

როსკიპი — მეძავი (გარყვნილი, თავისი სხეულით მოვაჭრე, მსუბუქი ყოფაქცევის) ქალი.

ძვირად ვისმე გამოელაპარაკებოდა — იშვიათად გაესაუბრებოდა ვისმეს.

მარინესაც დაუწყეს რიდება — მარინესაც ერიდებოდნენ (მასთან კონტაქტს, ურთიერთობას არ ამყარებდნენ).

წვრილფეხობა არ ეზრდებიო — აქ: ბავშვები (შვილები) არ ეზრდებიანო (ეღუპებიანო).

ჯ ი ლ ა ბ ობ ი გ ა ე ქ ვ ი რ ვ ე ბ ი ნ ა — ოჯახი (ოჯახის წევრები) განეცვიფრებინა.

ქ ა ღ ა ლ დ ი დ ა ნ ა მ ო ე კ ი თ ხ ა — ბანქოს ქაღალდიდან (კარტიდან) ამოეცნო.

უ ს ი ა შ ვ ე ლ ო ნ — საშველი მისცენ (დააყენონ), უშველონ.

მ უ ხ ი ს მ ო ბ ე ლ ვ ა მ ი თ ხ რ ი ა — მუხის ტოტების გადასხეპა (დაკაფვა) დამავალა.

ა ნ გ ე ლ ო ზ ი — მორწმუნეთა აზრით: ღვთის ზეციური მსახური; ადამიანის სახის მქონე უკვდავი ფრთოსანი არსება, რომელიც შეამავალია ღმერთსა და ადამიანს შორის, ცხოვრობს „უხილავ ქვეყანაში“.

პ ა ს უ ხ ა დ უ გ ე ბ დ ა — პასუხად მიუგებდა (ეუბნებოდა); უპასუხებდა.

თ ვ ა ლ ე ბ ი ა რ ა მ ბ ბ ი ა — თვალები ახვეული არა მაქვს (კარგად ეხედავ ყველაფერს).

უ ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ა გ ა მ ო მ ა რ ო ნ ი ა — უსიამოვნება გამომატარა.

ქ ა ლ ა ჩ უ ნ ა — ლაჩარი (მხდალი) მამაკაცი.

ნ ი გ ვ ზ ი ს ქ ვ ე შ ი ჯ დ ა — კაკლის ხის ძირში იჯდა.

მ უ მ ი ა — გაბრწნისაგან ხელოვნურად დაცული ადამიანის გვამი.

ე შ მ ა კ ებ ს მ ი ჰ კ ე რ ძ ო დ ე — ეშმაკებს (ავ სულებს) მიმხრობოდე.

ხ ე ლ ებ ბ დ ა კ ი ს ე რ მ ო ტ ე ხ ი ლ ი მ ი ი ლ უ შ ა ე ს მ ა ს კ ა ლ თ ა შ ი — აქ: მოთენთილმა (მოშვებულმა, ძალაგამოლეულმა) თავი ჩადო (უღონოდ) ესმას კალთაში.

ს უ ლ ი რ ო მ ა რ წ ა ა წ ყ მ ე დ ი ნ ე ს — სული რომ არ გააფრთხობინეს (არ დაღუპეს, არ მოკლეს).

გ ა მ ო ტ ე ხ ი ლ ი — ვინც გამოტყდა (გულახდილად, დაუფარავად აღიარა, თქვა).

უ გ ო ნ ო — უ გ უ ნ უ რ ი (უაზრო, უტკუო).

ბ ო შ ო — შინაურებისადმი მიმართვის ფორმა (ქ. ძოწენიძე).

„წრფელი გული“:

დაიბეჭდა 1894 წელს ჟურნალ „მოამბეში“. გადმობეჭდილია 1961 წლის გამოცემიდან (გვ. 323-354). მის შესახებ ავტორი ცნობებს გვაწვდის თავის მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ (იხ. ამავე წიგნში). გვაქვს აგრეთვე სერგო კლდიაშვილის საინტერესო მოგონებები (იხ. 1952 წლის გამოცემა, ტ. I, გვ. 372).

გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ ებ ულ ი ს ა ქ ც ი ე ლ ი ს ა — საქვეყნოდ გამოტანილი (გამომქღავნებული) საქციელისა.

პ ლ ა ტ ო ნ ი უ რ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი — პლატონური (მხოლოდ სულიერ მისწრაფებაზე დამყარებული) სიყვარული.

მ ა ხ ვ ი ლ ს ი ტ ყ ვ ა თ ა ს რ ო ლ ა — აქ: მახვილსიტყვაობა.

მეგობართა ზორის სახედა — მეგობრად მიიჩნევდა (თელიდა).

სიცილმა აიტაცა — სიცილი აუტყდა.

ეკუცკუცება — ეფარისეველება (ელაქუცება).

წუხელში იყო ახლა წასული — ძლიერ დამწუხრებული ყოფილ.

საოხუნჯო სიგნად აიღეს — საოხუნჯოდ (სახუმროდ) გაიბადეს (აქციეს).

ასე უნდა იმასხრო შენი წუთისოფელი? — აქ: ასე უნდა ისუმრო მთელი შენი ცხოვრების მანძილზე?

„სტოლონაჩალნიკობამ" წარბები შეგიკრა — აქ: მაგიდის უფროსის თანამდებობამ დაგასერიოზულა; სტოლონაჩალნიკი (მაგიდის უფროსი) — მოხელე რევოლუციამდელ რუსეთში, რომელიც დაწესებულებაში განაგებდა ამა თუ იმ სპეციალურ საქმეს.

წვრილფეხობამ — აქ: უბრალო (დაბალი თანამდებობის) ხალხმა.

მოხსნა ბოხჩის თავი — მოხსნა გუდას თავი. აქ: დაიწყო გრძელი (ვრცელი) ამბის მოყოლა; ბოხჩა (ფუთა) — ქსოვილის ოთხკუთხედი ნაჭერი, რომელშიც რამეს გამოკრავენ (შეასვევენ).

სოფლის „ზავედენიას" — სოფლის დაწესებულებას (იგულისხმება სკოლა).

ნამეტურ „კლასწი დამებს" — ნამეტნავად (განსაკუთრებით) კლასის ზედამხედველ ქალებს;

„კლასნაია დამა" — ქალთა სასწავლო დაწესებულების ზედამხედველი რევოლუციამდე.

უსაშუალობა — საშუალების უქონლობა (გაჭირვება).

მიილუშა — იხ. განმარტება „მსხვერპლში"; ხელებ და კისერმოტეხილი მიილუშა.

ერთ წყვეტებაში ჩავარდა — მოუსვენრობდა (ბორგავდა, შფოთავდა).

ბურჟეს რომანია „სიცრუენი" — პოლ შარლ ჟოზეფ ბურჟე (1852-1935) ფრანგი მწერალია. აღნიშნული რომანი ცნობილია აგრეთვე სათაურით „სიცრუის ბადეში".

საშიშარი და სარიდალი შეიქნა — საშიში და მოსარიდებელი (საფრთხილო, სახიფათო) გახდა.

საფეთქლებშიც სცემდა კვერცვით — საფეთქლებშიც სცემდა პატარა ჩაქუჩივით; თავი სტკიოდა.

ვითხოვ „ოტპუსკს" — ვითხოვ (ავიღებ) შვებულებას.

ასე უცნაური ყოფით — ასე უცნაური (საკვირველი) ყოფნით (არსებობით, ცხოვრებით).

ბულვარში — ფართო ხეივანში (სასეირნო ადგილია).

მიხჩერებოდა თავის მონადირეს — აქ: შესცქეროდა თავის მოთვალთვალეს.

საცოდავი შეხედულებით — საცოდავი (საბრალო, შესაბრალისი) შესახედაობით (გარეგნობით).

ერთის გულით — ერთი მხრივ.

წარბებშეკრული — მოღუშული (გაბრაზებული, ნაწყენი).

ამათთანა მაწანწალებისაგან არის — ამათნაირი (მსგავსი) მოხეტიალე (დაღლარა, მოყიალე) ადამიანებისგან არის. აქ: ცუდი (ბოროტი) ადამიანი.

სინდისის სუსტი ქალები ათასნაირ... საქციელს ადგანან — უსინდისო (მსუბუქი ყოფაქცევის, უნამუსო) ქალები ათასნაირ... საქციელს სჩადიან.

ტორტმანით გაეშურა — ბარბაცით (წონასწორობის დაუცველად) გაემართა.

ცუდადაა მოქცეული — აქ: ცუდად გამოიყურება.

გულის საჯეროდ — გულის საჯეროდ (მოსაჯერებლად); დაწვრილებით.

მძლეველი დარჩება — გამარჯვებული დარჩება (გაიმარჯვებს).

ოფრქვევდა მდუღარებას — მდუღარე ცრემლები სდიოდა.

სუზანას დაუწია რენემ — სუზანას დაწია (შეამთხვია, ცუდ დღეში ჩააგდო) რენემ.

სატუალეტო მაგიდა — საპირფარეშო მაგიდა; სარკიანი მაგიდა, რომლის წინაც იცმევენ, ირთვებიან (უპირატესად ქალები).

წყალი პირზე შეასხურა — წყალი შეასხა სახეზე (გულწასულს გონზე მოსასვლელად).

დატკბობით — ტკბილად (ლმობიერად).

ხალასიანი სიტყვა-პასუხით — ხალასი (გულითადი, უეშმაკო) საუბრით.

შენით ოყო ყოველივე — შენით (შენგან, შენი დახმარებით, მონაწილეობით) იყო (მოხდა) ყველაფერი.

სიხარულით ცას დაწეულ ბაბოს — აქ: ძალზე გახარებულ ბაბოს.

„მრეველში“:

დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ 1898 წელს. გადმობეჭდილია 1980 წლის გამოცემიდან (ტ. I, გვ. 151-167). მოთხრობის პირველი რედაქცია დათარიღებულია 1895 წლით. მის შესახებ ცნობებს ვპოულობთ დავით და სერგო კლდიაშვილების მოგონებებში. კერძოდ, სერგო წერს: „ეს მოთხრობა პირველად აღნიშნა და მაღალი შეფასება მისცა ალექსანდრე წულუკიძემ თავის კრიტიკულ ნარკვევში.

1900 წ. „მრეველში“ ელ. წერეთლისამ რუსულად თარგმნა და დაბეჭდა „კავკაზსკი ვესტნიკში“, № 12. დავითის ნაწერებიდან პირველად რუსულ ენაზე ეს მოთხრობა გადაითარგმნა“ (1952, ტ. I, გვ. 374).

ნაწირვები ოყო — წირვა გამოსული (დამთავრებული) ოყო. წირვა — იხ. „შერისხვის“ პირველი შენიშვნა.

მოკლებული ხართ მღვდელმსახურებას — გაკლიათ მღვდლის სამსახური (საეკლესიო წესების, წირვა-ლოცვის შესრულება).

ვერ ვიშოვე საქირავოდ სადგომი — ვერ ვიშოვე ბინა დასაქირავებლად.

ვარ გაბმული ამ გზაში — სულ გზაში ვარ (განუწყვეტლივ დავდივარ).

მრევლი — მორწმუნე მოსახლეობა, რომელსაც ერთი ეკლესია ემსახურება.

მოძღვარი — აქ: მღვდელი (ხუცესი). საერთოდ: აღმზრდელი, დამრიგებელი, მასწავლებელი.

წირვა გამოვიყვანე — წირვა დავამთავრე.

შესმენილი — ვინც შეისმინა (გაგებული, მიხვედრილი, მცოდნე, შეგნებული).

ყრუალა — ყრუ; აქ: გამოჩერჩეტებული (გამოთაყვანებული, გაუნათლებელი).

სამიდღემჩიოთ თავისუფალი — სამედამოდ თავისუფალი (განთავისუფლებული).

ხახედაბნეული იდგა — აქ: საქციელწამხდარი იდგა.

სწორად მიმხვდარი ბრძანდები — სწორად გაგიგიათ (მიხვედრილხართ).

თვალებიმაქვს გამოპრაწული — აქ: თვალი მიპირავს თქვენს ქონებაზე.

კუშტად მიმართა — მკაცრად (უკმეხად) მიმართა.

ლოცვანს გამოვიტან — ლოცვების კრებულს (წიგნს) გამოვიტან.

მნათე — ეკლესიის მსახური, რომელსაც ევალება სანთლების ანთება, ზარების რეკვა და სხვ.

მედავითნე — ეკლესიის მსახური, რომელსაც ევალება დავითნის კითხვა. დავითნი — საეკლესიო საგალობლების (ფსალმუნების) კრებული.

ავეანდი დაუწია მღვდელს — აქ: ჯორზე შეჯდომისას პატივისცემის ნიშნად ავეანდი დაუპირა მღვდელს წონასწორობის დასაცავად და უნაგირის დასამაგრებლად. ავეანდი — უზანგი (ფეხის შესადგმელად განკუთვნილი უნაგირის ნაწილი რკალის ფორმისა).

სულიერი შვილების წანაგლეჯით გამოიტანოს თავი — აქ: მრევლის ხარჯზე (მრევლისთვის წართმეულით) იცხოვროს.

იმისი მაცადინია — იმას ცდილობს (იმის ცდაშია).

სამწყსო — იგივეა, რაც მრევლი (ერთი სამრევლოს მორწმუნენი).

შორს ყოფნას რჩებენ — შორს ყოფნას არჩევენ (ამჯობინებენ).

მოყვასი — მახლობელი (მეგობარი, მოძმე).

უმატებდა ჩიქჩიქს — უმატებდა ჩაქჩაქს (რკვევით სიარულს).

ჩანჩალით მისდევდა — ფეხის ათრევით (ელონოდ) მისდევდა.

რარიგად გაიპილპილეს — როგორ გაბრაზეს (გაცეცხლეს, გაწიწმატეს).

ხ ულ დ ა უ თ ქ მ ე ლ ა დ — სულმოუთქმელად (სხაპასხუპით).

ა ნ ა ფ ო რ ა — მღვდლის ფართო და გრძელი ზედა ტანსაცმელი.

ლ ა ვ რ ა — დიდი მამათა მონასტერი. მ ო ნ ა ს ტ ე რ ი — ბერ-მონაზონთა საეკლესიო და საადგილმამულო ორგანიზაცია, თემი, რომელსაც გააჩნია საკუთარი მეურნეობა; ამ თემის ეკლესია და საცხოვრებელი ნაგებობანი.

შ ე ნ დ ო ბ ა ს თ ხ ო ვ ა — შეწყალება (პატიება) სთხოვა.

კ ა ნ ჭ ი ა ნ თ ი ს ა მ ბ ა ვ ი — აქ: მღვდლის პატივსაცემად გამართული პურ-მარილი, რომლზედაც წვრილფეხა საქონლის კანჭიც იქნებოდა.

მ უ მ ი ა ს ა ვ ი თ შ ე ფ უ თ ვ ნ ი ლ ი — მუმიასავით შეხვეული. მ უ მ ი ა — იხ. „მსხვერპლის“ განმარტებაში.

შ ე მ უ ს ვ რ ი ლ ი ხ უ ლ ი — შემუსრული (განადგურებული) სული;

ყ უ რ ა დ ი ხ ვ ე ნ — აქ: შეისმინე (ყურად იღე).

ს უ ლ ი ს მ შ ვ ი დ ო ბ ა — აქ: სიმშვიდე.

ხ ა ტ ი — იხ. „შერისხვის“ მეორე განმარტება.

წ მ ი ნ დ ა ს ა ი დ უ მ ლ ო — აქ: ზიარება (იხ. მომდევნო განმარტება). ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით: სასწაულმოქმედი წეს-ჩვეულება, რომელთა შორის არის ზიარებაც.

ა ზ ი ა რ ა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ი — იხ. „შერისხვის“ განმარტებაში: უზიარებელი არ მოეკვდე.

ა ბ გ ა — ერთგვარი ჩანთა, მხარზე გადასაკიდებელი.

ს ა ხ ლ შ ი წ ი კ ვ ა ს დ ო უ წ ყ ე ბ ს — შინ ზიდვას დაუწყებს (შინ წაიღებს).

მ ა ზ ლ ი ს ა ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს — აქ: მაზლის ოჯახის წევრებისთვის.

მ ა ზ ლ ი — ქმრის ძმა.

ი ს ე ჰ გ ა ვ დ ა — ასე ჩანდა (თითქოს).

მ ო ფ ე ნ ი ლ კ ა რ ე ბ შ ი — აქ: ფართოდ გაღებულ კარებში.

შ ე გ ვ ი წ ყ ა ლ ე ჩ ვ ე ნ ც ო დ ვ ი ლ ნ ი — შეგვინდე ჩვენც ცოდვილნი; ც ო დ ვ ი ლ ი — მორწმუნეთა აზრით: ცოდვის ჩამდენი ადამიანი; ც ო დ ვ ა — მორწმუნეთა აზრით: ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაული, რომელსაც შენდობა, შეწყალება სჭირდება.

წ ე ს ს უ გ ე ბ დ ა — იგივე, რაც ანდერძს უგებდა (მიცვალებულს უსრულებდა სათანადო მღვდელმსახურებას).

„მიქელა“:

დაიბეჭდა 1904 წელს ჟურნალ „მოამბეში“, ხოლო პირველი ვარიანტი დათარიღებულია 1897 წლის 20 ივლისით. გადმობეჭდილია 1980 წლის გამოცემიდან (ტ.I, გვ. 288-303).

ს. კლდიაშვილის ცნობით, მოთხრობის მთავარ გმირს პირველად ერქვა ნიკოლოზა ბაკურაძე, შემდეგ — გლახუა, მერე მალაქია გიორგაძე და ბოლოს მიქელა.

სიუჟეტი დაახლოებით სინამდვილიდან არის აღებული. ეს ტრაგიკული ამბავი — ტუბერკულოზისაგან ოჯახის ამოწყვეტა და კარავში შვილის და-

ღუპვა ნიღვრისაგან — გადახდა ჩვენს მეზობლად მცხოვრებ ერთ-ერთ კლდიაშვილს. დავითის დის კეკელას გადმოცემით, ნიღვარი, რომელმაც დაღუპა სახლიდან ცალკე გაყვანილი და კარაეში მოთავსებული სპიდონა, მოსულა „მარიამობის წინა ღამეს“, 14 აგვისტოს ღამით. მიქელას მიერ ოჯახიდან გახიზნული პატარა ნესტორა ამჟამად ცოცხალია, მას საკმაოდ დიდი ოჯახიც აქვს, ცხოვრობს სოფელ სიმონეთში და ახალ ადგილზე უდგას სახლი. დავითმა ერთხელ თვითონ მაჩვენა ის ადგილი, სადაც ამ კლდიაშვილს, მოთხრობაში მიქელა გიორგაძეს, ედგა წინათ სახლი.

ღ ვ თ ა ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ — ღმერთის მიმართ.

უ ზ ე ნ ა ე ს ი — ღვთის ეპითეტი.

წ ა ს ე ლ ი ს ბ ო რ ჯ ი ა რ მ ო ს უ ლ ა — წასელის დრო (ჟამი) არ დამდგარა.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ს უ ც ნ ა უ რ ა დ დ ა ს ც ე ც ხ ლ ა — მოხუცებულს უცნაურად წაეკიდა ცეცხლი (ქრეანტელმა დაეარა შიშის გამო), შეეშინდა.

ი გ ი მ ო ი ს ხ ლ ი ტ ა — მოეშვა (მოითენთა, მოწყდა).

მ ა მ ა კ ა ც ი ვ ი თ ე კ ი დ ა თ ო ხ ს ა დ ა ურ ე მ ს — მამაკაცივით იტვირთა თოხისა და ურმის მოხმარება (მძიმე ფიზიკურ შრომას მოეკიდა).

მ ო ი ფ თ ხ ნ ე ბ ო დ ა რ ო მ ე ლ ი მ ე ხ ი ს ძ ი რ ს ი — მოკალთდებოდა რომელიმე ხის ძირას.

ა ნ წ ი რ ვ ა - ლ ო ც ვ ა, ა ნ შ ე ს ა წ ი რ ი ა კ ლ დ ა თ — წირვა (იხ. „შერისხვის“ პირველი განმარტება) და ლოცვა აკლდეთ. შ ე ს ა წ ი რ ი — იგივეა, რაც შესაწირავი (რასაც ღმერთს შესწირავენ გარდაცვლილის სულის საცხონებლად,

პ ა ტ რ ო ნ თ ა გ ა მ ო ი ს ო ბ ი თ — პატრონთა გამო (მიზეზით).

ი გ ი ე რ თ ნ ა ი რ ა დ შ ე ი ნ ძ რ ა — იგი ერთიანად შესძრა (სურვილმა).

ყ უ რ ე ს ი — აქ: კუნჭულში (კუთხეში, განაპირას).

შ ე ი კ ო ნ ა თ ა ვ ი ყ ა ბ ა ლ ა ხ ი თ — ყაბალახი შემოიხვია თავზე.

პ ი რ ჯ ვ ა რ ი გ ა დ ა ი ს ა ხ ა — იგივეა, რაც პირჯვარი გადაიწერა. პ ი რ ჯ ვ ა რ ი — მორწმუნის მიერ ჯვრის გამოსახვა შუბლზე, მკერდსა და მხრებზე თითების მიდებით.

წ ე ლ ს ი ა ბ ზ უ კ უ ლ ი — ზურგამობერცული (ამოკუზული).

რ ა ი ა ქ ა რ ი — რაც აქ არის (რაც აქ იმყოფება, ცხოვრობს).

მ ი ი წ ო დ ა — მიიხუტა გულზე (გულში ჩაიკრა).

ყ ვ ე ლ ა ღ ვ თ ი ს გ ა ნ გ ე ბ ი ს ქ ვ ე შ ვ ა რ თ — ყველანი ღვთის (ღმერთის, უზენაესი არსების) მოქმედების (ბედისწერის) ქვეშ ვართ.

მ ი ს მ ო დ ა რ ა ჯ ე ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ს — აქ: მის მომლოდინე ამხანაგებს.

ჯ ვ ა რ ი ს წ ე რ ი ა ა ვ ი თ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ — დაიფაროს ღმერთმა ავი თვალისგან (ავის, ცუდის მომტანი შეხედვისგან).

გ ა მ ო მ ბ ზ ა ვ რ ე ბ ა ს ე პ ი რ ე ბ ო დ ა — უკან (შინ) დაბრუნებას აპირებდა (დასაბრუნებლად ემზადებოდა).

მ ძ ა ხ ა ლ ი ი — ცოლისა და ქმრის მშობლები ერთმანეთის მიმართ.

ც ო დ ვ ა — იხ. ბოლოსწინა განმარტება მოთხრობიხა „მრეველში“: შეგვიწყალე ჩვენც ცოდვილნი.

ს ა ხ ლ ი კ ა ც ი — ძმა (ბიძაშვილი, მოგვარე), მამაკაცი, რომელიც ეკუთვნის იმავე ოჯახს ან გვარს.

ე ა მ ს გ ა მ ო ვ ლ ი ლ ი — შავ ჭირს გადარჩენილი (აეადმყოფობაგადატანილი).

ნ ა ნ ი შ ნ ი კ ა ც ი — მინიშნებული (მითითებული, მისწავლებული) კაცი, ე. ი. მოთხრობის პერსონაჟი ალექსი ბოკორიძე.

ჭ ო გ რ ე ბ ი დ ა უ დ ვ ა, ზ ე დ ნ ე შ ო ი ა ნ ი შ ტ ო ე ბ ი გ ა დ ა ხ ლ ა რ თ ა — ჭოკები (წვრილი და გრძელი ჯოხები) დაადო, ზედ ფოთლებიანი ტოტები გადახლართა (გადააწნა).

მ ო ა წ ყ ო მ ი ს გ უ ნ ე ბ ა შ ი — მოაწყო მისი აზრით.

მ ა ღ ა ლ ი რ ა გ ვ ი — მაღალი წნული ღობე (შემორაგული, შემოღობილი).

დ ა ჩ ე მ ე ბ ი თ წ ა რ მ ო ს თ ქ ვ ა — დაჟინებით თქვა.

ხ რ ა კ ი ს ს უ ნ ი — დამწვრის (დახრაკულის) სუნი.

შ ე რ ყ ე უ ლ ი ჭ ვ ა რ ტ ლ ი თ — აქ: შექანებული (ადგილს მოწყვეტილი) ჭვარტლით.

მ ი ა ჩ ი ქ ჩ ი ქ ე ბ დ ა — აქ: მიათრევდა.

რ ი დ ე ბ ა დ ა უ წ ყ ო — თავს არიდებდა.

მ ო უ რ ი გ დ ა — აქ: შეურიგდა.

ა ვ ი გ ა ს ა ძ ლ ი ს ი ხ დ ე ბ ო დ ა — ძნელად გასაძლები (აუტანელი) იყო.

ი შ მ უ შ ნ ე ბ ო დ ა ს ა ხ უ რ ა ვ ი ს ქ ვ ე შ — იშმუშნებოდა მოსახურის (აქ: საბნის) ქვეშ.

ე გ ე ბ გ ა დ ი კ ა რ ო ს — იქნებ გადაიღოს (წვიმამ).

მ ი ე შ ვ ე ლ ე რ ა ც ხ ა რ ი გ ა თ — მიეშველე (დაეხმარე, უშველე) როგორმე.

მ ი ა გ ნ ო ა მ ო ყ ო რ ე ბ უ ლ ა დ გ ი ლ ს — მიაგნო ამოყორილ (ქვებით ამოვსებულ) ადგილს.

ი ს ე თ ი ს ხ ვ ა ი ყ ო — ისეთი თავსხვა (თქეში, ძლიერი წვიმა) იყო.

მ ე ც ა დ ი ნ ე ო ბ ი თ — აქ: მონდომებით.

კ ა რ ვ ი ს ბ ო რ ჯ გ ე ბ ი — კარვის ბოძკინტები (გაუთლელი ხის მცირე ზომის სვეტები).

წ ე ს ი ს ა გ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ — იხ. უკანასკნელი განმარტება მოთხრობისა „მრეველში“.

„როსტომ მანველიძე“:

დაიბეჭდა 1910 წელს გაზეთ „დროებაში“. გადმობეჭდილია 1980 წლის გამოცემიდან (ტ. I, გვ. 304-312).

გ ა რ დ ა თ ქ მ უ ლ ი გ ვ ა რ ი — გადარქმეული (გადაკეთებული, შეცვლილი) გვარი.

კარისკაცი — მეფისა და მასთან დაკავშირებული პირების (კარის) მსახური (თანამდებობის პირი მეფის კარზე).

სახლთუხუცესი — თანამდებობა მეფის კარზე ან თავადის სამფლობელოში (სახლის გამგე, მმართველი).

ძვირად თუ ვისმეს იტოლებდნენ — იშვიათად თუ ვისმეს გაიტოლებდნენ (თავიანთ ტოლად მიიჩნევდნენ, თავს გაუყადრებდნენ).

ნამეტურ იმ ვიგინდარებისათვის — განსაკუთრებით იმ უმაქნისებისთვის (ოხრებისთვის).

ტუჩს უბზუებდნენ — უკადრისობდნენ.

თავადის ქალზე იწერდა ჯვარს — თავადის ქალს ირთავდა.

სახლიკაცი — იხ. „მიქელას" განმარტებებში.

ჯარიანობა — ადამიანთა დიდი ჯგუფის შეკრებელობა გართობის მიზნით.

იუნკრის ჩინითაც ყოფილა დაჯილდოებული — იუნკრის ხარისხი ჰქონია ჯილდოდ; იუნკერი — აქ: დაბალი ჩინის სამხედრო პირი აზნაურთაგან.

ბატონყმობის გაყრიდან — ბატონყმობის გაუქმებიდან.

თავისნება კაცი — იგივეა, რაც თავნება (ტერპი, ჯიუტი).

მოურავი — მემამულის ქონების გამგებელი (მმართველი).

მეტად მეცადინეობდა — ძალიან (მეტისმეტად) ცდილობდა.

კეთილშობილება — აქ: აზნაურობა. საერთოდ: კეთილშობილური თვისება.

საქვეყნო საქმეებში ხმა ჰქონდა; არჩევნებში — მარშლებისა იქნებოდა თუ ბანკისა — მონაწილეობის უფლება ჰქონდა — საზოგადოებრივ საქმიანობაში ხმოსანი იყო (ხმის მიცემის უფლება ჰქონდა); თავადაზნაურთა მარშლებისა და ბანკის მესვეურთა არჩევა შეეძლო.

მეკენჭე — კენჭის (ხმის) მიმცემი (ამომრჩეველი).

„პრაგონი" — პროგონი (სამგზავრო ხარჯი).

ბანკში მოესპო ხმა — ბანკში ჩამოერთვა ხმა (ხმის მიცემის უფლება).

თამაში — აქ: ცეკვა.

შეზრიალდნენ — შეშფოთებით აბზეანდნენ (აღაბარაკდნენ).

საქონელი საქნარისათვის ჰირდება — საქონელი (პირუტყვი) საქმისთვის (სამუშაოდ) სვირდება.

გაწყვა შენიენა — აქ: ენა გაგიხმა.

დაწყებულება იშლებოდა — წამოწყება (მოფიქრებელობა) ირღვეოდა.

დედული — დედის სამშობლო ადგილი.

ჩანგრევი უნატრეს — ჩანგრევა უსურვეს (დაწყევლეს).

ნაქუჩის ცეცხლს ეფიცხებოდა — ნაქუჩის (მარცვალგაცლილი სიმინდის ტაროს) ცეცხლზე თბებოდა.

თავს არ გაიტეხდა — აქ: თავს არ შეიწუხებდა.

ს ა ბ უ დ რ ე ბ ი დ ა ბ წ ე ნ ი ო დ ა თ ა ვ ი ს დ რ ო ზ ე ქ ა თ მ ე ბ ი დ ა ა ჯ ი ნ ე ო — საბუდრები შეღობე ქათმისთვის და კრუხები დროზე დასვიო კვერცხებზე (წიწილების გამოსაჩეკად).

·გ ზ ა ში ვ ი ყ ა ვ ი გ ა კ რ უ ლ ი — აქ: არ მეცალა (გზაში ვიყავი).

ზ ა კ უ ს კ ა მ ო მ ი ხ ე რ ხ ე — საუზმე მომიმზადე.

შ ე უ კ ე რ თ ხ ე ბ ს — შეაგინებს (სალანძღავ სიტყვებს ეტყვის).

ჯ ა ნ დ ა ბ ა მ დ ი ს გ ზ ა ს დ ა უ ლ ო ც ა ვ ს — აქ: დაწყევლის, ჯ ა ნ დ ა ბ ა — ჯოჯოხეთი (მოუსაველეთი, უბედურება).

„თავადი პეტრე“:

დაიბეჭდა 1910 წელს ალმანახ „გრდემლში“. გადმობეჭდილია 1961 წლის გამოცემიდან (გვ. 574-577).

ნ ა მ ე ტ ნ ა ვ ა დ შ ე ჰ ხ ა რ ე ბ ი ა მ ე ფ ე — განსაკუთრებული სიხარულით შეხვედრია მეფე.

შ ე ხ ე დ ულ ე ბ ი თ თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო — შესახედაად (გარეგნობით) მიმზიდველი.

ზ რ ი ა ლ ი — იხ. განმარტება „როსტომ მანველიძეში“: შეზრიალდნენ.

მ თ ლ ა დ ს ა ს ა ხ ლ ე შ ე ი ნ ძ რ ა — მთელი სასახლე აფორიაქდა (ამოქმედდა, ამოძრავდა, ახმაურდა).

ქ ვ ე ყ ა ნ ა ა დ უ ღ დ ა — ქვეყანა (დედამიწა) აფორიაქდა.

„მშობლის ნუგეში“:

დაიწერა 1911, ხოლო დაიბეჭდა 1920 წელს დ. კლდიაშვილის თხზულებათა კრებულში, რომელიც გამოსცა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. გადმობეჭდილია 1961 წლის გამოცემიდან (გვ. 586-588). ს. კლდიაშვილის ცნობით, „ხელნაწერში ის („მშობლის ნუგეში“. — გ. ბ.) პირველად წაიკითხა ავტორმა ქუთაისში 1911 წ. გამართულ ლიტერატურულ საღამოზე.

ნაწარმოები წარმოადგენს ესკიზს იმ მოთხრობისას, რომელიც განზრახული ჰქონდა მწერალს. ესკიზის უსახელო გმირი — „მეცნიერებით გატაცებული ახალგაზრდა“, რომელიც „განმათავისუფლებელ ხანას შეეწირა“, არის ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ალექსანდრე (საბა) გრიგოლის ძე კლდიაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის ამშენებლის არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილის ძმა. ებრაელთა დარბევის დროს ოდესაში საბა მიეშველა ებრაელებს და ამ დროს მოკლულ იქნა შავრაზმელი მონარქისტების გამხეცებული ბრბოს მიერ.

ესკიზის მეორე გმირი „მოხუცი ელენე“ არის საბას დედა ეფრო კლდიაშვილისა, თავის დროზე ცნობილი მოღვაწე, მსახიობი და ევროპელ მწერალთა მთარგმნელი“ (1952, ტ. I, გვ. 375).

ი მ ე დ ი თ შ ე მ ო ს ი ლ ი — იმედიანი.

მ უ დ ა მ ჩ ა რ გ უ ლ ი ი ყ ო გ ა ზ ე თ ე ბ შ ი — მუდამ თავი ჰქონდა ჩარგული გაზეთებში (კითხულობდა).

„ბაკულას ღორები“:

დაიბეჭდა 1920 წელს ჟურნალ „ცისარტყელაში“. გადმობეჭდილია 1980 წლის გამოცემიდან (ტ. I, გვ. 313-330). ს. კლდიაშვილის ცნობით, „მოთხრობას ხელნაწერში ეწოდება „გალაქტიონ ხოსოლიანი“ და ავტორის მიერ დათარიღებულია 1912 წლის 20 აპრილით. რვა წლის შემდეგ დაბეჭდილ მოთხრობაში ტექსტი უცვლელი დარჩა, შეცვლილია მხოლოდ სათაური“ (1952, ტ. I, გვ. 375).

ღ ო ბ ე ზ ე გ ა დ ა რ ე ბ ა — ღობეზე გადაბიჯება (გადასვლა).

ქ ა ქ ა ნ ი თ გ ა ე ნ თ ო ე ზ ო ს ყ უ რ ე შ ი — გაბმული ხმამაღალი ლაპარაკით გაექანა ეზოს კუთხისკენ (კუნჭულისკენ).

ა მ ო გ ვ ა გ დ ე ს — გაგვანადგურეს (დაგვღუპეს, მოგვსპეს).

დ ა ბ ა ლ რ ა გ ვ ს — დაბალ ღობეს.

ს ა კ ბ ი ლ ა ვ ა დ — საკბენად.

დ ა უ ც ხ რ ო მ ლ ა დ — გაუნელებლად (განუწყვეტლივ, დაუღალავად).

მ ო ს რ ე ს ი ლ ს — აქ: განადგურებულს.

გ ა ა ლ მ ა ს ე ბ უ ლ ი დ ა უ ხ ვ დ ა.. ს ა მ უ შ ე ვ რ ი დ ა ნ... დ ა ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ქ მ ა რ ს — ძალზე გაბრაზებული (გაავებული) დაუხვდა საშუშაოდან დაბრუნებულ ქმარს.

ა ხ ი რ ე ბ უ ლ ი — უცნაური (საოცარი).

წ ა ვ ე კ ი დ ე — წაეჩხუბე.

ჯ ა გ ე ბ შ ი დ ა ს ა ხ ლ დ ა — ჯაგიან (ეკლიანი ბუჩქებით დაფარულ) ადგილას დასახლდა.

რ ა ვ ა უ ნ დ ა გ ა დ ა ა თ ე ლ ი ო თ ა ვ ი ი მ წ უ ნ წ კ ლ ი ა ნ ს — როგორ უნდა დააჩაგვრინო თავი მაგ მწვირიანს. მ წ ვ ი რ ე — შარდისა და განავლის ჭუჭყი.

უ ს ი შ ვ ე ლ ო — აქ: გაჭირვებული.

შ ე მ ფ ა რ ე — შემფარებელი (მზრუნველი, მფარველი).

გ ა რ თ უ ლ ი — აქ: მათთან გაქვს ურთიერთობა.

ს ე კ რ ე ტ ა რ ი ც მ ა წ ვ ი ე — მდივანიც დამიპატიჟე (მომიწვიე).

ქ ა რ თ უ ლ ი ი ნ ჩ ი-ბ ი ნ ჩ ი ა რ ი ც ი ს — ქართულისა არაფერი ესმის (გაეგება).

ნ ა მ უ ს ს დ ა შ ო რ ე ბ უ ლ ი — უნამუსო.

წ ვ რ ი ლ ფ ე ხ ი — აქ: წვრილფეხა საქონელი (ღორი, ცხვარი, თხა..).

დ ა მ წ ყ ვ რ ე უ ლ ი — დამწყვდეული.

ა მ ი ტ ო მ მ ო გ ა ტ ა ნ ე — აქ: ამიტომ მოვედი შენთან (ამიტომ მოგაკითხე).

ს უ ლ ი კ ო ჭ ე ბ შ ი ჩ ო უ ვ ა — ძალიან შეეშინდება.

ფ ო ნ ი — მდინარეში გადასაველელი თხელწყლიანი ადგილი.

ც ა უ დ ი თ — ალბათ, წადით.

ნ ა პ უ გ ა ი მ — ნაპუგაემ (შევაშინებთ).

ნ უ დ ა მ ი რ ი დ ე ბ თ — ნუ მოგერიდებათ (ჩემი).

ა ხ ლ ა მ ე გ ა ვ ს წ ე ვ — ახლა მე წავალ.

ს ი ხ ა რ უ ლ ი ს ა გ ა ნ ა ფ რ ე ნ ი ლ მ ა — სიხარულისგან აღტაცებულ-მა (გახარებულმა).

გ ო მ ი ჯ ე ბ ი — ნაღვერდალში გამომცხვარი უსაფუვრო და უმარილო პურები.

წ ი რ ვ ა — იხ. „შერისხვის“ პირველი განმარტება.

ნ ი ტ რ ე ბ ი — იგივეა, რაც ლიტრები; ლ ი ტ რ ა — თიხისგან დამზადებული ვიწროყელიანი ჭურჭელი.

უ პ რ ა გ ო ნ ო დ ს ც ლ ი დ ა ს ტ ა ქ ა ნ ს — აქ: უაზროდ (ზედიზედ) სცლიდა (ღვინით სავსე) ჭიქას ჭიქაზე.

პ ლ ი ა ში, პ ო პ ი ნ ა, ჩ ო რ ტ ტ ე ბ ი ა პ ო ბ ე რ ი — იცეკვე, მღვდელო, ეშმაკმა წაგიღოს.

ა ნ ა ფ ო რ ა — იხ. განმარტება მოთხრობისა „მრეველში“.

თ ა ვ ა ზ ო ბ დ ნ ე ნ — აქ: ურტყამდნენ.

წ ი ა ქ ო ბ ა — წივილი (წიოკობა).

ვ ა ს ი ლ ი ვ ა ნ ი ჩ, ს ვ ი ნ ი — ვასილ ივანეს ძე, ღორები.

ნ უ ტ ე ბ ი ა... ს ა ბ ს ვ ი ნ ი ა! კ ჩ ო რ ტ უ! — ერთი შენც... თვითონ ხარ ღორი! ეშმაკსაც წაუღიხარ!

ხ ა ი ქ ი ო ს მ ი ე მ გ ზ ა ვ რ ე ბ ა — იმქვეყნად მიდის (კვდება).

დ ა უ ფ რ თ ხ ე ა ნ გ ე ლ ო ზ ე ბ ი — აქ: შეაშინე.

დ ა ნ ო ს ი მ ო უ წ ე რ ი ა — დონოსი მოუწერია (დაუბეზღებია, დაუსმენია, უჩივლია).

რ ა ო ბ ი თ უ ნ დ ა ი ც ხ ო ვ რ ო — როგორ (რარიგად) უნდა იცხოვრო.

მ ი ს ი შ ტ უ კ ა — მისი ეშმაკობა (ნაეშმაკევი).

ო რ თ ა ვ ე ს ს ი მ წ რ ი ს დ ღ ე მ ი ჯ ე ნ ე ბ ი ა თ — ორივეს მწარე დღე დადგომია (ორივე გამწარებულა).

გ ა მ შ რ ა ლ ი ა — გაოგნებულია.

II. პ ი ე ს ე ბ ი

„ირინეს ბედნიერება“:

დაიბეჭდა 1897 წელს ჟურნალ „მოამბეში“. გადმობეჭდილია 1952 წლის გამოცემიდან (ტ. II, გვ. 7-57).

ბ ო შ ო — იხ. „მსხვერპლის“ ბოლო განმარტება.

კ ა რ გ ი ა, ა ბ ე ს ა ლ ო, კ მ ა რ ა — კარგი რა (კარგი ერთი), აბესალო, საკმარისია.

ი მ ა ს კ ი ა ღ ა რ ა ტ ა ნ თ ვ ა ლ ს — იმას კი არ აკვირდები.

ძ ა ლ ი ა ნ ი ი, შ ე ნ ნ უ მ ო მ ი კ ვ დ ე ბ ი — ძალიან კარგია (ირონიითაა ნათქვამი), შენ ნუ მომიკვდები.

ჩ ა ნ ჩ უ რ ა — უგერგილო (ულაზათო, უშნო).

თ ა ვ ი მ ო ი ხ ა რ ო ს ყ ო ვ ე ლ ი ვ ე მ ა ჩ ა ნ ჩ ა ლ ა ს წ ი ნ ა შ ე — თავი დაიმცროს ყოველი ჩამორჩენილი (კაცის) წინაშე.

გენია ტრიალობს — ჯოჯოხეთის ცეცხლი ტრიალებს (მიყიდია); აქ: უსაზღვროდ შეყვარებული ვარ.

ყველასი ასეთი ჩაუგდებლობა — ყველასი ასე არაფრად ჩაგდება.

აჯირგალებს — ათრევს (მოსვენებას არ აძლევს).

მოაპოწიალებს — მოათრევს (მოაწოწიალებს).

კატო ითამაშებს — აქ: კატო იცეკვებს.

ეგებ გული გაუკეთდეს — ეგებ (იქნებ) გენება გაუუმჯობესდეს (იქნებ ხასიათზე მოვიდეს).

ძალიან გულზეარ ყოფილა — ძალ გულზე ყოფილა.

შევარცხვინე შენთან დამარიდებელი — აქ: შევარცხვინე, ვინც შენ მოგერიდოს (შეგიშინდეს).

ირინესთან იმას ხელი აღარა აქვს — ირინესთან მას არაფერი ესაქმება (არაფერი საერთო არა აქვს).

შენი მეცადინეობა ტყვილა ჩაიელის — შენი მონდომება უქმად (ამაოდ) ჩაიელის.

სამიდღემჩიოდ — იხ. განმარტება მოთხრობისა „მრეველში": სამიდღემჩიოთ თავისუფალი.

როდამიშვილს მარჩევენ? — როდამიშვილი უჩევნიათ ჩემს თავს?

წეთის გულისთქმას ნუ აჰყვები — წეთიერ გულისწადილს (გრძნობას) ნუ დაემორჩილები.

თქვენს ტარტალს რას დაეძებ — თქვენს ეგოიზმს (ლაქლაქს) ყურადღებას არ ვაქცევ (ანგარიშს არ ვუწევ).

ეინმა წამოუარა — სურვილმა (წადილმა) მოეარა.

შენებურად მოუყვე ჩემს გარემოებას — შენებურად მოუყვე ჩემი მდგომარეობა.

მწარე გულით ვარ მოწადინებულიო — მთელი გულით (ძალიან) ვარ მონდომებულიო.

არ ნდომულობ — აქ: იწუნებ.

სხვიმის — სხვა დროს.

შემდარე არავინ ჰყავს — ვერავინ შეედრება.

იმე — შორისდებული, რომელიც გამოხატავს გაკვირვება-გაოცებას.

იგუოს ოჯახი — შეიგუოს (შეითვისოს) ოჯახი.

ღვთისნიერი — კეთილი (მოწყალე).

მუყაითად გოუძღვებიან ოჯახს — გულმოდგინედ (ბეჯითად) გაუძღვებიან (უხელმძღვანელებენ, წარმართავენ) ოჯახს.

ასე ტყვილად ვინ შევასახელო... გამოძიებაში არ შევა? — ასე ტყუილა (განგებ, უსაფუძვლოდ) ვის დავაკისრო... არ გამოიძიებს (არ გამოიკითხავს)?

მაშვალი — მაჭანკალი (შუამავალი). **მაჭანკალი** — ქალსა და ვაჟს შორის საქმის მომგვარებელი მათს დასაქორწინებლად (შესაუღლებლად).

წ უ ნ წ კ ლ ი ა ნ ი — იხ. „ბაკულას ღორების“ განმარტებებში: რაცა უნდა გაათელიო თავი იმ წუნწკლიანს.

რ ო მ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ზ ე ე მ ა რ თ ა მ უ ს ა ი ფ ი ი მ უ ტ ი ფ ა რ თ ა ნ — რომ სიყვარულზე გაემართა საუბარი იმ უზრდელთან (თავხედთან).

ა მ ა ზ ე ს ი ტ ყ ვ ა ს ნ უ ღ ა რ ე ხ ა რ ჯ ა ვ თ — ამაზე ხმას ნუ ამოვიღებთ (მოვრჩეთ ლაპარაკს).

ა ქ ა ღ ა რ ა ფ ე რ ი გ ა გ ე წ ყ ო ბ ა — აქ ვერაფერს გააწყობ (აქ ვერაფერი გაგიცა).

ნ უ მ ჭ რ ი თ ა ვ ს — ნუ მარცხვენ.

ე ი გ ო რ ა გ უ ლ ი — აქ: გული აიცრუა.

რ ა მ ო უ ხ დ ა თ — რა მოუვიდათ (შეემთხვათ).

მ ე ტ ს ი ტ ყ ვ ა ს ა რ ა მ ო ი ღ ებ ს — ზედმეტ სიტყვას არ იტყვის.

შ ე ა ჯ ე რ ე — დააჯერე (დაარწმუნე).

გ ა მ ო ტ ე ხ ი ლ ი უ ნ დ ა გ ი თ ხ რ ა თ — სიმართლე უნდა გითხრათ (უნდა გამოგიტყდეთ).

შ ე მ ხ ვ დ ა ა ს ე — ასე მომიხდა (მოგვიდა).

მ ო დ ი ა ნ ს ა ც ხ ა ი დ ა ნ — მოდიან საიდანლაც.

ლ ე კ უ რ ე ბ ი ა ი ძ ვ რ ე თ — ლეკურები (უვადო ხმლები) მოიხსენით,

უ ქ ე ი ფ ო თ ა ა — უქეიფოდ, შეუძლოდაა.

ხ ე ლ ა თ — ხელდახელ.

რ ა ო ბ ი თ — იხ. „ბაკულას ღორების“ განმარტებანი: რაობით უნდა იცხოვრო.

ქ ე ი ფ ზ ე მ ო ვ ი ყ ვ ა ნ ო თ — აქ: ხასიათზე (გუნებაზე) მოვიყვანოთ.

თ უ ძ მ ა ხ ა რ!? — რას მელაპარაკები!? (გაკვირვების ნიშნად).

გ ა მ ო ა ჭ ი ა ნ ა ქ ა ლ ი — გამოაჭენა (საქვეყნოდ თავი მოსჭრა, სახელი გაუტეხა, შეარცხვინა).

ც ო ლ ს ე წ ა მ ე ბ ა — ცოლს სწამებს.

ა ტ რ ო ვ ე ბ უ ლ ი — ატეხილი.

ს ი ტ ყ ვ ა მ ი ნ დ ა... ვ ი ქ ტ ო რ თ ა ნ — აქ: სალაპარაკო მაქვს ვიქტორთან.

ნ ა ქ ა ჩ ი (ღვინო), წ ყ ა ლ-მ ა ჭ ა რ ა (ღვინო) — სახარჯო ღვინო, რომელიც მიიღება ჭაჭაზე წყლის დასხმით. წ ყ ა ლ-მ ა ჭ ა რ ა — დაუწურავი ყურძნისაგან მიღებული წყალნარევი ღვინო.

ა ხ ლ ა ვ ე გ ა ვ ა ბ უ ზ უ რ ე ბ — ახლავე გავაგდებ (გავაძევებ).

წ რ ი ფ ი — ფიზიკურად სუსტი (გამხდარი).

ნ ე ხ ვ ი დ ა ნ ა მ ო ვ ა თ რ ი ე — აქ: სიღარიბიდან (ცუდი ცხოვრებიდან) დაეხსენი.

წ უ ბ ა კ ი — უწმინდური (ბინძური) ადამიანი.

მ ზ ა ხ ა ლ ი — მძახალი. იხ. „მიქელას“ განმარტება.

მ ა მ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი თ რ ჩ ე ბ ო დ ა — მამა აძლევდა ნიშანს და აჩერებდა.

„დარისპანის გასაჭირი“:

დაიბეჭდა 1903 წელს ჟურნალ „მოამბეში“. მისი პირველი ვარიანტის სათაურია „გაცემული“. გადმობეჭდილია 1931 წლის გამოცემიდან (ტ. II, გვ. 7-44).

ტუჩის აბზუკეი ეცის — აქ: უკადრისობა (ცუდაბზეკობა) ეცის.

მაშვალი — იხ. „ირანეს ბედნიერების“ განმარტებანი.

ცის კიდე მაქვს მორებული — აქ: ცა და დედამიწა მაქვს მოელილი (ყველგან ეყოფილვარ).

ეიღაც ყმაწვილი ყოლია სახეში — კიღაც ყმაწვილი (ახალგაზრდა) ყოლია მხედველობაში.

ბოშო — იხ. „მსხვერპლის“ ბოლო განმარტება.

ქეც დამუნჯდება — კიდეც დამუნჯდება.

ისე დეეკოსება — აქ: ისე უშნოდ დაჯდება (დაერჭობა).

გამოტეხა — აქ: გამოჩეკა.

კარხმალი — სახამებელი.

ქალაქის პაჭკა — ქალაქის მრეცხავი (რუს. — პრაჩკა).

ლაფჩინს გამხდი — აქ: ჩექმას გამხდი. ლაფჩინი ჰქვია ოგრეთი წაღას — ტყავის უქუსლო ფეხსაცმელს.

ხელს აღარ ჰკიდებდნენ — აქ: არ თხოულობენ (ცოლად არ ირთავენ, ჯვარს არ იწერენ).

ბეჩა — გაკვირვების, თანაგრძნობის, სიბრალულის გამომხატველი შორისდებული (იხმარება სიტყვის მასალადაც).

უერთმანეთოდ სულს არ დაგბერავდით — აქ: უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით.

გზაში ვარ ხოლმე გაკრული — სულ გზაში ვარ (ხშირად დავდივარ).

თელად კაცს მოგანდომებს... ნამეტურ, როცა შენდა გუნებისად გაქვს მოწყობილი — მთლიანად დაგასაქმებს (დაგისაჭიროებს)... ნამეტნავად, როცა შენს გემოზე (სასურველად) გაქვს მოწყობილი.

მარა ჩემი მეცადინეობით — მაგრამ ჩემი მონდომებით.

ბუზიკა — მუსიკა; აქ: დაკვრა.

ძალიან კი იჩარჩენა — ძალიან კი იქმიმება (იქაჩება).

ძვირად სადმე შეგხვდეს — იშვიათად შეგხვდება.

ბალკონზე — ივანზე.

უნდა მეწეოდე — უნდა მეხმარებოდე.

ქილოზედ შევატყვე — ლაპარაკის მანერაზე შევატყვე.

შენანებულია — ნანობს.

„უბედურება“:

დაიწერა 1913, ხოლო დაიბეჭდა 1915 წელს „სახალხო გაზეთის“ ყოველკვირეულ დამატებაში. ს. კლდიაშვილის ცნობით, მწერალმა საბოლოო

რედაქცია გაუკეთა ფრონტზე ყოფნის დროს (ე. ი. 1914 წელს). ამიტომ დაწერის თარიღად ვარჩიე 1914 წელი. გადმობეჭდილია 1981 წლის გამოცემიდან (ტ. II, გვ. 45-74).

ფ ო თ ი ა რ ო ბ ს — ფუსფუსებს.

გ ა მ ო მ ა რ ო ნ ი ა — გამომატარა.

ნ ა მ ყ ო ფ ი — აქ: ქვეყანამოვლილი (გამოცდილი, ნავალი).

ს ა წ ი ნ ა ო დ რ ა მ ო გ ვ ე ლ ი ს — წინ (მომავალში) რა მოგველის.

უ ტ ი ე თ — აქ: მოეშვით (გზა მიეცით, დაიშალეთ).

ნ ა ყ უ რ ე ბ ი — იგივეა, რაც ნამყოფი (იხ. აქვე).

გ ა დ ა ლ ო ცვ ა ს ა პ ი რ ე ბ ე ნ — მორწუნეთა აზრით: ავადმყოფობის სხვაგან გადატანა სახლიდან გასტუმრების მიზნით. ამ რიტუალის შესრულებას აპირებენ.

III. მ ე მ უ ა რ ე ბ ი

„ჩემი ცხოვრების გზაზე“:

დაიწერა 1925 წელს. იმავე წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“. კრებულში შეტანილია ნაწყვეტები I, II, III, VI, VII, IX, X, XII, XIII თავებიდან, XIV კი მთლიანადაა წარმოდგენილი. გადმობეჭდილია 1932 და 1981 (ტ. II, გვ 77-326). წლების გამოცემებიდან.

ფ ა ფ ა ნ ა კ ი — მამაკაცის ერთგვარი თავსახური მომრგვალო და ბრტყელი ფორმისა.

ღ ვ ე ზ ე ლ ი — იგივეა, რაც ღვეზელი — ერთგვარი ხაჭაპური (ნამცხვარი), რომელსაც აქვს ხორცის, ყველის, კვერცხის და სხვ. გული.

მ ჭ ა დ ი ს-მ ჭ ა დ ი — იგივეა, რაც ჭადისშადი (ფეტვის ნამცხვარი).

კ ო ლ ე ე ს ი კ ი რ ე გ ი ს ტ რ ა ტ ო რ ი — კოლეგიის რეგისტრატორი (რეგისტრაციის მომხდენი პირი); დაბალი სამოქალაქო ჩინი (თანამდებობა) რევოლუციამდელ რუსეთში.

თ ა ვ ს გ ა დ ა ა გ დ ე ს — აქ: საჩუქრად მისცეს.

რ ი ხ ი ა ნ ი ყ ა ზ ა ხ ი ი ყ ო — თამამი (გამბედავი, ომახიანი) გლეხი იყო.

რ ა ც დ ი დ ი შ ე ყ რ ი ლ ო ბ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო — რაც უნდა დიდი თავშეყრა (ბლომად თავშეყრილი ხალხი) არ უნდა ყოფილიყო.

დ ი დ ი ნ ა მ ყ ო ფ ი გ ლ ე ხ ი ი ყ ო — ძალიან გამოცდილი (ნავალი, ქვეყანამოვლილი) გლეხი იყო.

ს ა ი ქ ი ო მ ა ქ ვ ს მ ო ნ ა რ ე ბ ი ო — საიქიო (მორწმუნეთა აზრით: იმქვეყნიური ქვეყანა, სადაც ვითომ სული აგრძელებს სიცოცხლეს ადამიანის სიკვდილის შემდეგ) მაქვს მოვლილიო.

ქ ა რ თ უ ლ ი დ რ უ ე ი ნ ე ბ ი გ ა მ ო ი წ ვ ი ა — ქართული რაზმები (ჯარის ნაწილები) გამოიხმო (უკან მოაბრუნა).

ვ ა ე ი ჩ ხ უ ბ ში გ ა გ ზ ა ვ ნ ა — აქ: ვაეი ომში (საომრად) გაუშვა.

კ ვ ი ნ ც ხ ი — ჯაგრცხილა.

 შობა-ახალ წელიწადს — შობა — იესო ქრისტეს შობის (დაბ-
დების) დღე. ძველი სტილით 25 დეკემბერს, ახლით — 7 იანვარს.

ნათლიღება — იგივეა, რაც ნათლისღება (ქრისტეს მონათვლის დღე). აღინიშნება ახალი წლის შეექვსე დღეს.

ჩვენსა გოგოდ მდგომი — ჩვენთან (ჩვენს ოჯახში) მოსამსა-ხურედ (შინაყმად, ხელზე მოსამსახურედ) მყოფი.

პოლკის კომანდირს — პოლკის (სამხედრო ნაწილის, ლეგიო-ნის) მეთაურს.

სამღვთო სჯულის მასწავლებელი — საღმრთო სჯულის (ქრისტიანული რელიგიის მოძღვრების) მასწავლებელი.

მაზრის უფროსი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (უეზდის) უფროსი რევოლუციამდელ რუსეთში.

კვირიკობისთვე — ივლისი.

ჩამოაცილეს ყოველი მხედრული — აქ: მოამორეს ყველა-ფერი სამხედრო.

„შტაცკი" — შტატსკი (არასამხედრო, სამოქალაქო).

პროგიმნაზია — ზოგადსაგანმანათლებლო არასრული საშუალო სას-წავლებელი რევოლუციამდე (იყო 4-6-კლასიანი).

გვეძახოდა ტატარჩუკებს — აქ: თათრებს გვეძახოდა.

ნიკო ლომაური — შემდგომში ცნობილი ხალხსანი მწერალი, პე-დაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ლომოური (1852-1915).

ეფრეიტორი — რიგითი ჯარისკაცის შემდგომი სამხედრო წოდება.

უნტერ-ოფიცერი — ჯარისკაცთაგან გამოსულ უმცროს მეთაურ-თა წოდება რევოლუციამდე.

„ლიბერალები" — აქ: თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები.

„ოტრიცატელნაია როლა" — უარყოფითი სიფათი (სახე).

ღვთისმეტყველების მაგისტრი — სამეცნიერო ხარისხი.

ღვთისმეტყველება — საეკლესიო მოძღვრება.

პორტო-ფრანკო — იტალიურად ნიშნავს თავისუფალ პორტს (ნავ-სადგურს), სადაც ნებადართულია საქონლის შეტანა-გატანა ბაჟის გადაუხ-დელად.

მარია საფაროვა-აბაშიძისა — მარიამ (მაკო) მიხეილის ასუ-ლი (1860-1940), გამოჩენილი მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არ-ტისტი.

ვასო აბაშიძე — ვასო (ვასილ) ალექსანდრეს ძე (1854-1926), გა-მოჩენილი მსახიობი, საქართველოს სსრ პირველი სახალხო არტისტი, ქარ-თული რეალისტური აქტიორული სკოლის ერთ-ერთი ფუძემუნველი, დაკრ-ძალულია თბილისში, მთაწმინდაზე.

სანდრო ყაზბეგი — ალექსანდრე მიხეილის ძე (1849-1893), ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, ბელეტრისტი, დრამატურგი; ქარ-თული თეატრის მსახიობი; ჟურნალისტი. დაკრძალულია ყაზბეგში.

ლადო მესხიშვილი — ელადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშ-ვილი (1857-1920), გამოჩენილი მსახიობი და რეჟისორი, საქართველოს სსრ

სახალხო არტისტი. ქართული და რუსული თეატრების, კინოს მოღვაწე.

მ ე ტ რ ა ნ პ ა ე ი — დამკაბადონებელი (სტამბის მუშა, რომელიც გაზეთის, ჟურნალის, წიგნის გვერდებად კრავს ანაწყობს).

ი ლ ი ა ხ ო ნ ე ლ ი — ილია ლუკას ძე ბახტაძე (1859-1900), პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი. რუსულიდან და უცხოურიდან თარგმნა მ. სალტიკოვ-შჩედრინის, ა. ბუვიეს, ე. ზოლას, ა. დოდეს და სხვათა ნაწარმოებები.

ვ ა ნ ო მ ა ჩ ა ბ ე ლ ი — ივანე გიორგის ძე (1854-1898), მწერალი, გამოჩენილი მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. ერთ-ერთი ფუძემდებელი ახალი ქართული ლიტერატურისა. ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი. განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის უ. შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალედ თარგმანში ქართულ ენაზე. უგზოუკვლოდ დაიკარგა 1898 წლის 26 ივნისს.

მ ე მ ი ვ წ ე რ ე წ ე რ ი ლ ი დ ა ს ა ნ დ რ ო ს ა გ ა ნ მ ი ვ ი ღ ე მ ა გ ი ე რ ი — დ. კლდიაშვილის წერილი იხილე აქვე, განყოფილებაში „მიმოწერა". ალ ყაზბეგის პასუხი დაკარგულია. მის შესახებ ამავე წიგნში იხილე ს. კლდიაშვილის მოგონება მამამისზე (განყოფილება „მოგონებებიდან დ. კლდიაშვილზე").

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე — ილია გრიგოლის ძე (1837-1907), დიდი კლასიკოსი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი), მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე და სულისჩამდგმელი, „სამოციანელთა" ბელადი. კრიტიკული რეალიზმის განმავითარებელი და გამაღრმავებელი, ქართული ენის რეფორმატორი და კანონმდებელი. ვერაგულად მოკლეს წიწამურთან 1907 წელს, დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდაზე. 1987 წელს განსაკუთრებული პატივისცემითა და ზეიმით აღინიშნა მისი დაბადების 150 წლისთავი.

ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა — იონა მიხეილის ძე (1852-1919), მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. განსაკუთრებული ღვაწლი დასდო XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიულ შესწავლას.

ვ ო ლ ს კ ი — გრიგოლ იოსების ძე (1860-1909), ქართველი პუბლიცისტი, პოეტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. ავტორი პოპულარული სიმღერის „შენ გეტრფი მარად" ტექსტისა. ქართულად თარგმნა ა. ჩეხოვის მოთხრობები, ჰ. კ. ანდერსენის ზღაპრები. რუსულად თარგმნა ი. ჭავჭავაძის, შ. არაგვისპირელის, ე. გაბაშვილის და სხვათა მოთხრობები. ჰქონდა ფსევდონიმი „უმწიფარიძე". დასაფლავებულია ბათუმში.

მ ე ს ხ ი — ივანე სიმონის ძე (1849-1931), ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. 1888 წლიდან იყო ბათუმის ქალაქის მმართველობის მდივანი. თარგმნა ნ. გოგოლის, ნ. დობროლიუბოვის, ნ. ნეკრასოვისა და სხვათა თხზულებები.

ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი — ეგნატე თომას ძე (1859-1894). ნამდვილი გვარი — ინგოროყვა. გამოჩენილი მწერალი, პუბლიცისტი. „მესამე დასის" ხელმძღვანელი. განავითარა ქართული კლასიკური პროზა, სათავე დაუდო თავისი

წაუკუნის ქართულ დემოკრატიულ მწერლობას. როგორც პუბლიცისტმა პირველმა გასწია მარქსისტული პროპაგანდა ჩვენში.

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო ჯ ი ბ ლ ა ძ ე — სილიბისტრო ბესარიონის ძე (1859-1922), პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მისი ფსევდონიმებია „სილვა", „ს". იყო ორგანიზატორი ავადსახსენებელი გენერალ გრიაზნოვის მოკვლისა.

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა — ოფიციალური ან საზეიმო განცხადება მთავრობისა თუ პარტიის სახელით.

გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი — იგივე გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი (იხ. ქვემოთ).

ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — ივანე ალექსანდრეს ძე (1876-1940), დიდი საბჭოთა ისტორიკოსი, მეცნიერი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი. შექმნა ფუძემდებლური ნაშრომები ისტორია-ფილოლოგიის სხვადასხვა დარგში. მისი თხზულებები მოიცავს თორმეტ დიდ ტომს. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ლექტორი და რექტორი. დაკრძალულია ამავე უნივერსიტეტის ბაღში.

ლ უ ა რ ს ა ბ ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი — ლუარსაბ ნიკოლოზის ძე (1872-1939), ცნობილი მეცნიერი იურისტი და საზოგადო მოღვაწე.

პ ლ ე ვ ე — ვიაჩესლავ კონსტანტინეს ძე (1846-1904), რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა შეფი.

ბ რ ი ვ ა ტ-დ ო ც ე ნ ტ ი — უმაღლესი სასწავლებლის შტატგარეშე მასწავლებლის წოდება რევოლუციამდე.

ს ი ნ ა ს მ თ ა — იგივე ს ი ნ ი ს მ თ ა — ძველი ქართული მწიგნობრობის კერა სინის ნახევარკუნძულზე.

ს ა ნ უ ს კ რ ი პ ტ ი — ძველი ხელნაწერი.

ლ ე ვ ტ ო ლ ს ტ ო ი — ლევ ნიკოლოზის ძე (1828-1910), დიდი რუსი მწერალი, რომლის თხზულებათა კრებული შეადგენს 90 ტომს, რომელიც 30 წლის განმავლობაში (1928-1959) იცემოდა. იყო საქართველოში. თბილისში დაწერა პირველი მოთხრობა „ბავშვობა". მას ქართულ მასალებს აწვდიდნენ ი. ნაკაშიძე, ს. ესაძე და სხვ. დაკრძალულია თავის სოფელ იასნაია პოლიანაში.

— მ ი შ ო ყ ი ფ ი ა ნ ი — მიხეილ ქაიხოსროს ძე (1846-1916), რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მსახიობი, რეჟისორი, მწერალი, მთარგმნელი. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლ. ტოლსტოისთან. ქართულად თარგმნა ჯ. გ. ბაირონის ნაწარმოებები. დაამუშავა ქართული გრამატიკისა და ეტიმოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები.

ი ა ს ნ ა ი ა პ ო ლ ი ა ნ ა — ლევ ტოლსტოის მშობლიური სოფელი ტულის ოლქში.

ი ლ ი ა ნ ა კ ა შ ი ძ ე — ილია პეტრეს ძე (1866-1923), მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. მიწერ-მოწერა ჰქონდა ლ. ტოლსტოისთან. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტში. იგი ავტორია კრიტიკული წერილებისა ვაჟა-ფშაველაზე, დ. კლდიაშვილზე, შ. ირაგვისპირელზე, ლ. ტოლსტოიზე, გი დე მოპასანზე და ა. შ.

გ ი ო რ გ ი ზ დ ა ნ ო ვ ი ჩ ი — გიორგი ფელიქსის ძე (1854-1917), ფსევდონიმი „მაიაშვილი", ქართველი პუბლიცისტი, ეკონომისტი, რევოლუციონერ-ხალხოსანი; კარგად იცნობდა კ. მარქსის ეკონომიკურ მოძღვრებას.

თ ა ვ ი ს ი გ უ ნ დ ი თ — აქ: სამხედრო რაზმით (ჯარის ნაწილით).

„კ ი ი გ რ ა კ ი" — იტალიელი მწერლის — ვინჩენცო მონტის (1754-1828) ცნობილი პიესა „გაიუს გრაკქუსი".

ც ე ნ ზ უ რ ა — სახელმწიფო მეთვალყურეობა ბეჭდვით სიტყვასა და საჯარო გამოსვლაზე. უმკაცრესი იყო რევოლუციამდელ რუსეთში.

მ ა რ ს ე ლ ი ე ზ ი — ფრანგული რევოლუციური სიმღერა. ამჟამად საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი. სიტყვებისა და მუსიკის ავტორია კლოდ ჟოზეფ რუეე დე ლილი (1760-1836), დაიწერა 1792 წელს. მარსელიეზი ქართულად თარგმნა ირ. ევდოშვილმა.

გ რ ი გ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ე — გრიგოლ ტიტეს ძე (1884-1962), გამოჩენილი მწერალი. გარდაიცვალა ემიგრაციაში.

ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი — ნიკოლოზ (ტატო) მელიტონის ძე (1817-1845), დიდი რომანტიკოსი პოეტი. თავად არ მოსწრებია დაბეჭდილ საკუთარ ნაწარმოებებს. მისი ლექსები პირველად დაიბეჭდა 1852 და 1858 წელს ჟურნალ „ცისკარში", პირველი კრებული კი გამოვიდა პოეტის გარდაცვალებიდან 31 წლის შემდეგ (1876). დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდაზე.

ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა — ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი (1861-1915), დიდი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი), პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ქართული კრიტიკული რეალიზმის უმაღლესი მწვერვალი. 1961 წელს მთელ მსოფლიოში აღინიშნა ვაჟას დაბადების 100 წლისთავი. დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდაზე.

ა კ ა კ ი — აკაკი როსტომის ძე წერეთელი (1840-1915), დიდი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი), პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური ილია ჭავჭავაძესთან ერთად. დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდაზე.

კ ო ტ ე ბ ა ქ რ ა ძ ე — კოტე სპირიდონის ძე (1898-1970), საბჭოთა ფილოსოფოსი, აკადემიკოსი, სსრ კავშირში პირველმა გამოაქვეყნა ლოგიკის ორიგინალური სახელმძღვანელო.

ნ ი კ ო ც ხ ვ ე დ ა ძ ე — ნიკოლოზ ზებედეს ძე (1845-1911), პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი თავმჯდომარის მოადგილე. ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის აგებას, თვითონვე შეაგროვა მისი ასაშენებელი თანხა.

ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი — იაკობ სიმონის ძე (1940-1912), დიდი პედაგოგი, საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და უანგარო მსახური; ქართული მეცნიერული პედაგოგი-

კის მამამთავარი. მისი პედაგოგიკა აგებულია ხელოვნურობის პრინციპზე, რომელიც გულისხმობს ქართველი ერის ინტერესების შესაბამის სახალხო განათლებას, ეროვნული კულტურის აღორძინებასა და ბუნებრივ ენაზე სწავლებას. აუცილებლად მიიჩნევდა აგრეთვე რუსული ენის აუცილებელ შესწავლას. მან პირველმა წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა. სწავლების პრინციპებად მას მიაჩნდა: შეგნებულობა და აქტიურობა, სისტემატურობა და თანმიმდევრობა, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება. შექმნა მრავალი ბრწყინვალე სასკოლო სახელმძღვანელო ქართულ და რუსულ ენებზე, მათ შორის უბრწყინვალესია „დედენა" და „რუსული სლოვო", რომელთა საფუძველზე დღესაც იქმნება დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები. დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდაზე.

ი ო ს ე ბ ო ც ხ ე ლ ი — იოსებ ივანეს ძე (1865-1919), გამოჩენილი პედაგოგი, სახალხო განათლების მოღვაწე, ქუთაისის კერძო ქართული გიმნაზიის დირექტორი, მრავალი სახელმძღვანელოს აეტორი და თანაავტორი.

მ ი ს ა მ ხ ა ნ ა გ ა დ — აქ: მის მოადგილედ.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო ვ ი ს ბ ა ღ ი — ამჟამად კომუნარების ბაღი თბილისში.

ს ო ბ ო რ ი — ტაძარი.

ლ ა ნ დ ო — ერთგვარი ოთხაღგილიანი ეტლი.

კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე — კიტა (ივანე) გიორგის ძე (1870-1917), ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. მის სახელთან არის დაკავშირებული XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლისათვის საძირკვლის ჩაყრა.

ც ი ს ფ ე რ ყ ა ნ წ ე ლ ე ბ ი — იგივე „ცისფერი ორდენი" — ქართული ლიტერატურული დაჯგუფება. შეიქმნა 1915-1916 წლების მიჯნაზე. თავს აცხადებდნენ სიმბოლიზმის მიმდევრებად. ოფიციალურად გაუქმდა 1931 წელს.

ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ნიკოლოზ იაკობის ძე (1843-1928), გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, რევოლუციონერ-დემოკრატი. აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ, რუსულ, უცხოურ პრესაში, მათ შორის — ა. გერცენის „კოლოკოლში". პირადად იცნობდა კ. მარქსს. ჟენევაში დააარსა ჟურნალი „სოციალისტი", ციურიხში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „განიარაღება და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები".

გ ი ო რ გ ი ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი — გიორგი მიხეილის ძე (1865-1931), პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. თანამშრომლობდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში. ჰქონდა ფსევდონიმი „ლალი".

ე ვ გ ე ნ ი გ ე გ ე ჭ კ ო რ ი — ევგენი პეტრეს ძე (1881-1954), მენშევიკი, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის თავმჯდომარე, მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი. 1921 წელს გაიქცა საფრანგეთში და გახდა თეთრი ემიგრანტი.

ქაშვეთის ეკლესია — ქვაშვეთის (ქაშუეთის) ეკლესია თბილისში.

დეპუტაცია — დეპუტატების (რწმუნებულთა, არჩეულ პირთა) ჯგუფი, რომელიც ასრულებს რომელიმე ორგანიზაციის ან კრების დავალებას.

მთაწმინდა — უწმინდესი ადგილი თბილისში, სადაც მოწყობილია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი (აქვეა დასაფლავებული თავად დ. კლდიაშვილი).

ერევნის მოედანი — ამჟამად ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი თბილისში.

საჯეროს ვერ ვნახულობდი — აქ: მოსაწონ სიტყვას (რითაც უნდა დაწყებულიყო მოთხრობა) ვერ ვპოულობდი. საჯერო — გულის მოსაჯერებელი, სარწმუნო.

პეტრე უმიკაშვილი — პეტრე იოსების ძე (1838—1904), გამოჩენილი ფოლკლორისტი, პედაგოგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე.

არტურ ლეისტი — არტურ ლაისტი (1852-1927), გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი. ისწავლა ქართული ენა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელი საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეებთან. საქართველოს შესახებ დაწერა წიგნები (მათ შორის — „საქართველოს გული"), თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" (ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის დახმარებით). გერმანულ ენას ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დასაფლავებულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ივ. გომართელი — ივანე გედეონის ძე (1875-1938), ექიმი, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. იყო „მესამე დასის" წევრი, შემდეგ კი მენშევიკ-ავტონომისტი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, 1906 წელს პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ქუთაისის გუბერნიიდან. სხვა ნაშრომებთან ერთად აქვს კრიტიკული წერილები დ. კლდიაშვილის შემოქმედებაზე.

ხომლელი — რომანოზ სპირიდონის ძე ფანცხავა (1861-1928), კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი. განხილული აქვს დ. კლდიაშვილის შემოქმედება აკაკი წერეთლის „კრებულში".

„აკაკის კრებული" — „აკაკის თვიური კრებული", აკაკი წერეთლის დაარსებული ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა 1897-1900 წლებში ქუთაისსა და თბილისში.

საშა წულუკიძე — ალექსანდრე გრიგოლის ძე (1876-1905), პროფესიონალი რევოლუციონერი, ბოლშევიკი, ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანიზატორთაგანი, ქართული მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებე-

ლ. განხილული აქვს დ. კლდიაშვილის შემოქმედება „ნოვოე ობოზრენიეში“.

„ნ ო ვ ო ე ო ბ ო ზ რ ე ნ ი ე“ — ყოველდღიური გაზეთი რუსულ ენაზე. გამოდიოდა თბილისში 1884-1906 წლებში. აქ დაიბეჭდა ილ. წულუკიძის წერილი დ. კლდიაშვილზე.

ბ დ ღ ვ ი რ ი ა მ ა დ ი ნ ა — აქ: გამანადგურა (გამაცამტვერა), ძლიან გაშაკრიტიკა; ბ დ ღ ვ ი რ ი — ჰაერში დამდგარი მტვრის კორიანტელი.

შ ა ლ ვ ა დ ა დ ი ა ნ ი, ვ ა ს ო ბ ა ლ ა ნ ჩ ი ვ ა ძ ე, გ ი ო რ გ ი თ უ თ ბ ე რ ი ძ ე, გ ვ ე ტ ა ძ ი ს ქ ა ლ ი — ქუთაისის თეატრის მაშინდელი მსახიობები. შ ა ლ ვ ა ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე დ ა დ ი ა ნ ი — (1874-1959), გამოჩენილი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი), მთარგმნელი, თეატრისა და კინოს მოღვაწე. ითამაშა აბესალოს როლი დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებაში“ (ლადო მესხიშვილის დადგმა); ვ ა ს ი ლ ა ნ ტ ო ნ ა ს ძ ე ბ ა ლ ა ნ ჩ ი ვ ა ძ ე (1867-1951), საბჭოთა თეატრის, კინოს, ესტრადის მსახიობი, დრამატურგი. დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებაში“ ითამაშა ფილიპეს როლი (ლ. მესხიშვილის დადგმა ქუთაისის თეატრში), ასევე დარისპანის როლი — „დარისპანის გასაჭირში“; გ ი ო რ გ ი თ უ თ ბ ე რ ი ძ ე — ითამაშა როდამიშვილის როლი; გ ვ ე ტ ა ძ ე — ითამაშა ირინეს როლი.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი — ვალერიან ირაკლის ძე (1874-1919), ცნობილი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, მთარგმნელი. შესანიშნავად შეასრულა დარისპანის როლი დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირში“. განახორციელა იგივე პიესის დადგმა.

ნ ა ტ ო გ ა ბ უ ნ ი ა — ნატო (ნატალია) მერაბის ასული (1859-1910), გამოჩენილი მსახიობი. დ. კლდიაშვილმა მას საბენეფისოდ შესთავაზა თავისი პიესა „დარისპანის გასაჭირი“.

ხ ა ბ ე ნ ე ფ ი ს ო დ — ბენეფისისთვის. ბ ე ნ ე ფ ი ს ი — სპექტაკლი, რომლის შემოსავალი (გარკვეული ნაწილის გარდა) გადაეცემოდა ერთ ან რამდენიმე მსახიობს.

პ ა რ თ ე ნ გ ო თ უ ა — მწერალ ლევან გოთუას მამა, ჟურნალისტი.

კ ო ნ ს. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი — კონსტანტინე იოსების ძე (1887-1954), საბჭოთა რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. დაუდგამს დ. კლდიაშვილის პიესა „მსხვერპლი“.

ა კ ა კ ი ფ ა ღ ა ვ ა — აკაკი ნესტორის ძე (1887-1962), საბჭოთა რეჟისორი, პედაგოგი, თეატრმცოდნე, თეატრალური მოღვაწე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი. დადგა დ. კლდიაშვილის „ხამანიშვილის დედინაცვალი“ და სხვ.

IV. ᲛᲘᲛᲝᲬᲔᲠᲐ

დ. კლდიაშვილის წერილები:

ალ. ყაზბეგისადმი:

ალექსანდრე მიხეილის ძე — იგულისხმება დიდი ქართველი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი), პუბლიცისტი, მსახიობი, საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი (1848-1893).

ან. ფურცელაძე — ანტონ ნიკოლოზის ძე (1839-1913), მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი.

მაცნობეთ ორი გამოტოვებული თავის შინაარსი — ალ. ყაზბეგის „განკიცხულს" აკლია ორი თავი (XIV და XV), რომელთა შინაარსის გაცნობას ითხოვს დ. კლდიაშვილი. ცნობილი არ არის, რა უპასუხა ალ. ყაზბეგმა დავითს, ვინაიდან წერილი დაკარგულია (იხ. ს. კლდიაშვილის მოგონება მამაზე ამავე წიგნში); გამოტოვებული თავების მისამართით კი ალ. ყაზბეგი მიუთითებს მოთხრობის შენიშვნაში: „ამ ორს თავს ვსტოვებთ, რადგანაც მათი დაბეჭდვა ამ ჟამად მოუხერხებლად მიგვაჩნია" (იხ. ალ. ყაზბეგის „რჩეული", 1974, გვ. 525). იქნებ ეს სულაც მხატერული ხერხია ან ცენზურის ჩარევის შედეგი.

წერილები მეუღლისადმი:

მაშიკო — დ. კლდიაშვილის მეუღლე მარიამ პავლეს ასული მაჭავარიანი.

ბარნოვი — ვასილ ზაქარიას ძე ბარნაველი (1856-1934), გამოჩენილი ქართველი მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქართული საბჭოთა ისტორიული რომანის ფუძემდებელი. დ. კლდიაშვილის მეგობარი. ორი მწერლის მეგობრობის შესახებ იხ. აქვე ს. კლდიაშვილის მოგონებანი.

კიტა აბაშიძე — იხ. აქვე განყოფილებაში „მემუარები".

მარია ივანოვნა დემური — მარიამ ივანიშვილი (1860-1910), საბავშვო მწერალი, დრამატერგი, ჟურნალისტი, განათლების მუშაკი. საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" დამაარსებელი და რედაქტორი.

კოტე მაყაშვილი — კონსტანტინე ზაქარიას ძე (1875-1927), მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე; სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე. მან თარგმნა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო", რომელიც 1922 წელს დადგა კ. მარჯანიშვილმა ახლანდელ რუსთაველის სახელობის თეატრში.

მარიობა — მარიამობა — ქრისტიანული დღესასწაული, იმართება 15 (28) აგვისტოს.

სოსიკო (სიმონი), ნუცა (ნინო), ქეთო, გოგია (გიორგი) — დ. კლდიაშვილის შვილები.

დოდუნო (დოდო, თინათინი), ბუბუნჭულა (ალბათ ირაკლი), რუსია (რუსუდანი) — დ. კლდიაშვილის შვილიშვილები.

შ ა ლ ვ ა ნ უ ც უ ბ ი ძ ე — შალვა ისაკის ძე (1888-1969), გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი და ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი, მთარგმნელი, აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ი. აგლაძისადმი:

ი ლ ი ა — ილია სიმონის ძე აგლაძე (აღლაძე) (1872-1948), ცნობილი პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი. თანამშრომლობდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში, თარგმნა ა. პუშკინის, ი. ტურგენევის, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვის, მ. გორკისა და სხვათა ნაწარმოებები.

ს. თოდრიასადმი:

ს ი ლ ი ა — სილიბისტრო ესეს ძე თოდრია (1850-1936), საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, ჟურნალისტი, ლიტერატორი, პროფესიონალი რევოლუციონერი, პირადად იცნობდა ვ. ი. ლენინს. იყო თბილისის რევკომის პირველი თავმჯდომარე, სახალხო კომისარი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „ნიანგის" რედაქტორი.

დ. კლდიაშვილის ხელნაწერებიდან:

გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე — გალაქტიონ ესესის ძე (1891-1959), დიდი საბჭოთა პოეტი, საქართველოს სსრ სახალხო პოეტი, აკადემიკოსი. გალაქტიონის აზრი დ. კლდიაშვილზე იხ. ამავე წიგნში.

წერილები და საიუბილეო მილოცვები დ. კლდიაშვილისადმი:

მ ე უ ფ ე ბ ა — მეფობა. აქ: ძლევამოსილება.

ი ა ე ქ ა ლ ა ძ ე — ია (იაკობ) თომას ძე ცინცაძე (1872-1933), მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე.

დ ო ტ ო მ ე გ რ ე ლ ი — დიმიტრი თომას ძე ხოშტარია (1867-1938), მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. იგი ავტორია პოპულარული ლექსისა „მე პატარა ქართველი ვარ". ეს ლექსი და ბოთხრობა „ქინაქინა" ი. გოგებაშვილმა შეიტანა სასკოლო სახელმძღვანელოებში და აქამდე ისწავლება.

ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — იხ. განყოფილებაში „მემეარები".

ჰ ო ვ ა ნ ე ს თ უ მ ა ნ ი ა ნ ი — ჰოვანეს თათეოსის ძე (1869-1923), გამოჩენილი სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ქართველი მწერლებისა და საქართველოს დიდი მეგობარი. იმ დროს ჰოვანესი სომხეთის მწერალთა საზოგადოების თავმჯდომარე იყო.

კ ო რ პ ო რ ა ც ი ა — აქ: პროფესიული ინტერესების ერთიანობით გაერთიანებული ადამიანების ჯგუფი.

ნ ა ფ ი ც ვ ე ქ ი ლ თ ა ს ა ბ ჭ ო — მოსახლეობის მიერ არჩეულ ადვოკატთა საბჭო. ა დ ვ ო კ ა ტ ი — იურისტი, რომელიც იცავს მსჯავრდებულს.

ს ე რ გ ო ა მ ა ღ ლ ო ბ ე ლ ი — სერგო ივანეს ძე (1899-1946), თეატ-

რალური მოღვაწე, კრიტიკოსი და დრამატურგი. იყო რუსთაველის სახელობის თეატრისა და საქართველოს სახკინმრეწვის დირექტორი. ავტორია რამდენიმე წიგნისა და პიესისა.

მ ა რ ი ა მ ს ა ფ ა რ ო ვ ა-ა ბ ა შ ი ძ ი ს ა — იხ. განყოფილებაში „მემუარები“.

ე ფ ე მ ი ა ზ ე ს ხ ი — ეფემია სიმონის ასული (1862-1941), მსახიობი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

ვ ა ს ი ლ ბ ა რ ნ ო ვ ი — იხ. ზემოთ.

ს. ქ ვ ა რ ი ა ნ ი — სიმონ ალექსის ძე (1868-1946), მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, პოპულარული რომანის „დიდი მოურავის“ ავტორი.

ზ ა ქ ა რ ი ა ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი — ზაქარია პეტრეს ძე (1871-1933), დიდი კომპოზიტორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, კლასიკოსი.

ლ ა დ ო ბ ზ ვ ა ნ ე ლ ი — ვლადიმერ ქრისტეფორეს ძე ნაცვლიშვილი (1871-1953), მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და მოურიდებლად ამხელდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეებს, განსაკუთრებით აშკარავებდა მთავრობის ყველა იმ ცდას, რომელიც მიმართული იყო ჩვენი სკოლებიდან ქართული ენის განდევნისაკენ (ვ. ქაჯაია).

ი ა ე კ ა ლ ა ძ ე — იხ. აქვე.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე — იხ. აქვე.

V. მოგონებებიდან დ. კლდიაშვილზე

თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა — *:**

თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა — თედო ტიმოთეს ძე (1868-1956), მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი. ქართულად თარგმნა ჯ. ბოკაჩოს „დეკამერონი“, ა. ბარბიუსის „ცეცხლი“, ი. ეაზოვის „დამონებულნი“, გი დე მოპასანის, ვოლტერის (მარი ფრანსუა არუე), ე. ზოლას, ალ. დოდეს, ო. მირბოს, ჰ. კ. ანდერსონისა და სხვათა ნაწარმოებები.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჯ ა ბ ა დ ა რ ი — ალექსანდრე გიორგის ძე (1851-1933), რევოლუციონერი, ჟურნალისტი, რედაქტორ-გამომცემელი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. მისი ჟურნალისტური მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟურნალ „მოამბის“, გაზეთ „ცნობის ფურცლისა“ და მისი ყოველკვირეული „სურათებიანი დამატების“ რედაქტორობა და გამოცემა.

„მ ო ა მ ბ ე“ — ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც ქართულ ენაზე გამოდიოდა თბილისში (1894-1905). მისი რედაქტორი იყო ა. ჭყონია (1855-1907), ხოლო ერთ-ერთი გამომცემელი — ალ. ჯაბადარი 1895-1905 წლებში.

გრ. ვოლსკი — იხ. განყოფილებაში „მემუარები“.

თანამოსაგრე — თანამებრძოლი.

საჭოჭმანო — საეკვო (საჩოთირო).

„სახალხო ფურცელი“ — პოლიტიკური და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი ქართულ ენაზე, რომელიც გამოდიოდა თბილისში (1914-1917). აქონდა ყოველკვირეული „სურათებიანი დამატება“.

რედაქტორ-გამომცემელი — იგულისხმება ალ. ჯაბადარი (იხ. ზემოთ).

ძელქვა — თელასებრთა ოჯახის დიდი ხე.

ვასო გორგაძე — მომაკვდავი წოდების მხატვარი; ჰეშმარიტი შემოქმედი:

ვასო გორგაძე — პოეტი და ძთარგმნელი. თარგმანთაგან აღსანიშნავია ალ. ბლოკის „თორმეტნი“, ნ. ნეკრასოვის ლექსები და პოემები, ოსური „ნართების“ ეპოსი და ა. შ.

მეტოქე — მოწინააღმდეგე (მოქიშპე).

სანდრო ცირეკიძე — სანდრო გიორგის ძე (1894—1923), საბჭოთა მწერალი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, „ცისფერყანწელი“.

„მნათობი“ — ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ქართული ჟურნალი, რომელიც გამოდის 1924 წლიდან. აქ დაიბეჭდა დ. კლდიაშვილის მემუარები „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

აგენტის საშუალებით — აქ: რწმუნებულის საშუალებით (მეშვეობით).

ვალერიან გაფრინდაშვილი — ვალერიან ივანეს ძე (1888-1941), საბჭოთა პოეტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, „ცისფერყანწელი“; მისი თარგმანებიდან აღსანიშნავია ე. პოტიეს „ინტერნაციონალი“, ი. ვ. გოეთეს, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ნ. ნეკრასოვის, ვ. ბრიუსოვის, ალ. ბლოკის, ვლ. მაიაკოვსკისა და სხვათა ნაწარმოებები.

რაჟდენ გვეტაძე — რაჟდენ მათეს ძე (1897-1952), საბჭოთა მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი), ჟურნალისტი, გამომცემელი, „ცისფერყანწელი“; თარგმნა ინდური ეპოსი „რამაიანა“, ნ. ნეკრასოვის, ი. ფრანკოს, დ. გულიას ნაწარმოებები და სხვ.

სერგო კლდიაშვილი — დავით კლდიაშვილი:

„ქართული მწერლობა“ — საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალი ქართულ ენაზე. გამოდიოდა 1926-1930 წლებში.

ბაბუა პაველ — იგულისხმება დ. კლდიაშვილის სიმამრი პაველ მაჭავარიანი.

პროტოტიპი — მხატვრული სახის, ტიპის შესაქმნელად გამოყენებული რეალური პიროვნება ან ლიტერატურული პერსონაჟი.

ვინ გყავთ სახეში — ვინ გყავთ მხედველობაში (ვინ გამოიყენეთ ამ სახის შესაქმნელად, პროტოტიპად).

კიმოთე — კიმოთე ავალიშვილი იყო ღარიბი აზნაური, ცხოვრობდა დ. კლდიაშვილის სიმამრის (პაველ მაჭავარიანის) მეზობლად.

კიტა აბაშიძე — იხ. განყოფილებაში „მემუარები".

გადასალოცავად — იხ. განყოფილებაში „პიესები" („უბედურება").

ჩემი პირველი მოთხრობა — იგულისხმება „შერისხვა".

მარიამობა — იხ. განყოფილებაში „მიმოწერა" (წერილები მეუღლისადმი).

ბელეტრისტი — პროზაიკოსი (ბელეტრისტული, პროზაული ნაწარმოებების ავტორი).

ტუსკია, კილაძე, ბალანჩივაძე — მაშინ ახალგაზრდა, შემდგომში ცნობილი კომპოზიტორები.

ქუმსიაშვილი, ანდღულაძე, ნინო თოიძე — მაშინ ახალგაზრდა, შემდგომში ცნობილი მომღერლები.

პშიბიშევსკი — სტანისლავი (1868-1927), პოლონელი მწერალი.

ვასილ ბარნოვი — იხ. განყოფილებაში „მიმოწერა" (წერილები მეუღლისადმი).

სახელგამი — სახელმწიფო გამომცემლობა (ამჟამად — „საბჭოთა საქართველო").

ხიფათი მოელის — საფრთხე (საშიშროება, ფათერაკი) ელის.

დუელი რეაქციული გაზეთის რედაქტორთან — იგულისხმება დავითის მიერ „ჩერნომორსკი ეესტნიკის" რედაქტორის პალმის გაწვევა დუელში. საბედნიეროდ, ეს დუელი არ შედგა (პალმის შეეშინდა და ბოდიში მოიხადა).

გადასახლება დიშლაგარში — დ. კლდიაშვილი, თავისი უფროსის დაბეზღების შედეგად, გენერალ გრიაზნოვის ბრძანებით უნდა გაეგზავნათ დაღესტანში — დიშლაგარში, მაგრამ ამასობაში გრიაზნოვი მოკლა არსენ ჯორჯიაშვილმა. დ. კლდიაშვილი დაღესტანში გაგზავნას გადაარჩინა საოლქო შტაბის უფროსმა გენერალმა ბერხმანმა.

კაპრიზი — ჭირვეულობა.

ბრეკზე, ქუხნასთან — ბექობზე (გორაკზე, ბორცვზე) სამზად სახლთან.

ბეჩა — გაკვირვების (სიბრალულის, თანაგრძნობის) გამომხატველი შორისდებული.

კოპიტი — იფანი (იფნის ხე).

სიმონა აშოლტია — კლდიაშვილების ნაყმევი გლეხი, რომელიც მოხუცებულობაში ცხოვრობდა დ. კლდიაშვილის მამის ოჯახში.

კვინცხა — იხ. განყოფილებაში „მემუარები".

ნუ ჩაიდენთ ბარბაროსობას — ნუ ჩაიდენთ ბარბაროსულ (ველურ, მხეცურ) საქციელს.

სარჩევი

შემდგენლისგან . . 5
I. მოთხრობები 11
შერისხვა 13
მსხვერპლი . 25
წრფელი გული . 66
მრევლში 102
მიქელა . . . 122
როსტომ მანველიძე 139
თავადი პეტრე . 147
მშობლის ნუგეში 151
ბაკულას ღორები 154
II. პიესები . . 175
ირინეს ბედნიერება . 177
დარისპანის გასაჭირი . 240
უბედურება . 279
III. მემუარები . 311
ჩემი ცხოვრების გზაზე . 313
IV. მიმოწერა 365
დ. კლდიაშვილის წერილები 367
ალ. ყაზბეგისადმი . 367
მეუღლისადმი . . . 369
ს. კლდიაშვილისადმი . 372
ი. იგლაძისადმი . 372
ს. თოდრიასადმი . 374
დ. კლდიაშვილის ხელნაწერებიდან 374
„ივერიის“ რედაქციას . 374
ხელწერილი . . 375
გ. ტაბიძის შესახებ . . 375
ჩანაწერი ალბომში . . 375
წერილები და საიუბილეო ბილოცვები დ. კლდიაშვილისადმი . 376
კიტა აბაშიძე—*** . . 376
ია ეკალაძე—*** . . 376
დუტუ მეგრელი—*** . 377
ივანე ჯავახიშვილი—*** 377
ჰოვანეს თუმანიანი—*** 378
ელი ჯაფარიძე—*** . 378
ალ. წერეთელი—*** . . 378
გრიგოლ ბურჭულაძე—*** 379
თბილისის ეაეთა მეექვსე გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია—*** 379
სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა—*** 379
ჭიათურის მუშათა თეატრის მინდობილობით ფრანგიშვილი—*** . . 380
ნაფიც ეექილთა საბჭოს სახელით გრ. გიორგაძე, რ. გუნცაძე — მხცოვან მწერალს დავით კლდიაშვილს . . 380
სერგო ამაღლობელი—*** 381
მარიამ სიფაროვა-აბაშიძისა—*** . . 381
ეფემია მესხი—*** . 381
ნინო ჩხეიძე—*** 381
ვასილ ბარნოვი — დავით კლდიაშვილს . 382
სიმონ ქვარიანი—*** . 382
ზაქარია ფალიაშვილი—*** 383
ქუთაისის სომებთა საზოგადოების მინდობილობით ინჟინერი მამაჯანოვი, პროვიზორი ხოჯაშვილი—*** 383
ლადო ბზვანელი—საიუბილეო სიტყვიდან ქუთაისის მასწავლებელთა სახელით—*** . . 384
გაბრიელის სახელობის ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მოწაფენი—*** . 384
ია ეკალაძის სიტყვიდან დ. კლდიაშვილის გარდაცვალების გამო—*** . 385
გალაკტიონ ტაბიძე—*** 385
V. მოგონებებიდან დ. კლდიაშვილზე . . 387
თედო სახოკია—*** . 389
ვასო გორგაძე — მომაკვდავი წოდების მხატვარი; 394
ჭეშმარიტი შემოქმედი 395
სერგო კლდიაშვილი — დავით კლდიაშვილი 398
განმარტებანი . 416